1966/5

ეროვნული

1966 5

ცისფერი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 43-ე № 5 მაისი, 1966 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

10231

შ ი ნ ა ა რ ს ი

სამშობლოს მოკირნახულე 3

სიმონ ჩიქოვანი — უკანასკნელი ლექსებიდან 7

კონსტანტინე ლორთქიფანიძე — სიკვდილი ცოტას მოიცდის. მოთხრობები. 8

კოლაუ ნადირაძე — ლექსები 39

სერგო კლდიაშვილი — ბარველი — ლანდების კოლექციონერი. მოთხრობა. 41

მირზა გელოვანი — გამოუქვეყნებელი ლექსები 47

კალე ბობოხიძე — სამაისო სიმღერა. ლექსი 49

ჯანსულ ჩარკვიანი — ლექსები 50

პოლიკარპე კაკაბაძე — მეფე ვახტანგ პირველი. დრამა. 52

ოთარ ჩიჯავაძე — თვითმკვლელები. რომანი. გაგრძელება 77

ვახტანგ ჯავახაძე — ლექსები 109

ალი გუგუციძე — ლექსები 110

ნარკვევი

ვიქტორ კერნბახი — ყინვარებისა და ნარინჯების ქვეყანა. გაგრძელება. თარგმანი რევაზ ჯაფარიძისა 111

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

გურამ გვერდწითელი — შენიშვნები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე. დასასრული 141

ვახტანგ ჭელიძე — ერეკლე ტატიშვილი 160

გივი გაჩეჩილაძე — ჯონ გოლზუორთი 171

წიგნების მიმოხილვა

იორამ ქემერტელიძე — „საბედისწერო მოსახვევი“ 189

ტ. ლომთაძე — გულწრფელი სიმღერა 191

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი: **გრიგოლ აბაშიძე**

სარედაქციო კოლეგია: დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მაღრაძე, ბ. ულენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი, ს. შანშიაშვილი, ვ. წულუკიძე (პ/მგ. მდივანი), **გ. ჯიბლაძე.**

ტექრედაქტორი **რ. ჩაკვეტაძე.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/V-66 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12^1/_2$. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
უე 03048. ტირაჟი 6500. შეკვეთა № 1121.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამშობლოს მოჰირნახული

ქართველმა ხალხმა, ქართულმა საბჭოთა მწერლობამ დიდი დანაკლისი განიცადა. ჩვენს რიგებს გამოაკლდა გამოჩენილი პოეტი, მოაზროვნე და მოღვაწე სიმონ ჩიქოვანი.

ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ სიმონ ჩიქოვანი აღიარებულია განუმეორებელი ხმისა და დიდი კულტურის პოეტად, მდიდარი სულიერი სამყაროს ადამიანად. სიმონ ჩიქოვანი იყო დიდი მასშტაბის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწე.

სიმონ ჩიქოვანის აზრი, სიტყვა და საქმე ადამიანური კეთილშობილების განსახიერება იყო, ამიტომ მის მაგალითსა და მის შემოქმედებითს მემკვიდრეობას მრავალჟამიერი სიცოცხლე უწერია.

ორმოც წელზე მეტია, რაც სიმონ ჩიქოვანის შემოქმედება და მოღვაწეობა განუყრელი თანამგზავრია ჩვენი სულიერი ცხოვრებისა, ორგანული ნაწილია ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ-კულტურული პროცესისა. ჩვენი ხალხის ახალი, რევოლუციით აღორძინებული ისტორიული ცხოვრების პირველივე წლებიდან ვიდრე დღემდე. ჭირსა და ლხინში, შრომასა და ბრძოლაში, საზოგადოებრივ ვნებათაღელვაში თუ დინჯი განჭვრეტის ჟამს — სიმონ ჩიქოვანის შთაგონება საბჭოთა ხალხის სვე-ბედის თანაზიარი იყო.

სიმონ ჩიქოვანი დაიბადა 1902 წლის 27 დეკემბერს აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვოში. მოწაფეობის წლებშივე სიმონ ჩიქოვანი, თუმცა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში სწავლობდა, დაუახლოვდა გიმნაზიის მოსწავლეებს, რომლებიც გატაცებული იყვნენ ლიტერატურითა და ხელოვნებით. ახალგაზრდა სიმონ ჩიქოვანს კიდევ უფრო გაუღვივდა ბავშვობიდანვე ოჯახში ჩანერგილი სიყვარული პოეზიისა. მან თვით დაიწყო ლექსების წერა და გიმნაზიელების მიერ შედგენილ ხელნაწერ ჟურნალშიც თანამშრომლობდა.

1918 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, სიმონ ჩიქოვანმა დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო. ზაფხულობით სოფლად მუშაობდა, მიწის მუშაც იყო და მეზობლის ბავშვებსაც ამეცადინებდა, რათა საშუალება ჰქონოდა განეგრძო სწავლა. 1922 წელს რეალური სასწავლებელი დაამთავრა და საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში, სადაც სწავლა განაგრძო უნივერსიტეტში და თან წითელი არმიის ქართული ნაწილების პოლიტგანყოფილებაში მუშაობდა.

ლექსების ბეჭდვა სიმონ ჩიქოვანმა 1924 წელს დაიწყო.

სწორედ ამ დროისათვის საქართველოში, რუსული ფუტურიზმის გავლენით შეიქმნა ლიტერატურული დაჯგუფება „მემარცხენეობა", რომელიც აერთიანებდა სიმონ ჩიქოვანის თბილისელ და ქუთაისელ მეგობრებს — მწერლებსა და მხატვრებს. ქართულ კლასიკურ პოეტურ კულტურაზე გაზრდილი ახალგაზრდა მგოსნისათვის ფუტურიზმის პოზიციებზე დადგომა ჩვეულ შეხედულებათა და მიდრეკილებათა შეცვლას ნიშნავდა. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ახალ, რევოლუციურ სინამდვილესთან სისხლხორცეულმა კავშირმა პოეტი კვლავ დააყენა რეალისტური პოეზიის მაგისტრალურ გზაზე.

მაგრამ თუ ოციან წლებში სიმონ ჩიქოვანის ლირიკის საუკეთესო ნიმუშებსაც კი ჯერ კიდევ დაჰკრავდა ელფერი ერთგვარი განყენებული პოეტური აზროვნებისა, პოეტის შემდგომმა ძიებებმა მიიყვანეს იგი სწორედ სინამდვილის საგნობრივობასთან და კონკრეტულობასთან, ახალი საბჭოთა სინამდვილის დიდ თემებთან. შემთხვევითი როდია, რომ ამ პერიოდში სიმონ ჩიქოვანი ხშირად მიმართავს მხატვრული ნარკვევის ჟანრსაც.

ოცდაათიანი წლების დასაწყისი მთელი ჩვენი ქვეყნისათვის მეტად ღრმა და ძირეული მოვლენებით მდიდარი ხანა იყო. რევოლუციური ცვლილებები ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. განახლების ქარბუქი შეიჭრა მხატვრული ინტელიგენციის სულიერ სამყაროშიც, მის წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დასახა. ხელოვნება უფრო მჭიდროდ დაუახლოვდა ხალხის ცხოვრებას. სიმონ ჩიქოვანი მისთვის ჩვეული ენერგიითა და გზნებით ჩაება ახალი სოციალისტური კულტურის მშენებლობის საქმეში. მრავალმა მისმა მიდრეკილებამ —მოგზაურობისადმი ლტოლვამ, საქართველოს სხვადასხვა კუთხისადმი და სხვადასხვა ხალხის ცხოვრებისადმი ღრმა ინტერესმა კონკრეტული საფუძველი და რეალური შინაარსი შეიძინა.

პოეტმა შემოიარა მთელი საქართველო, მახვილი თვალით დაინახა ყველგან განახლებისა და აღორძინების ნიშნები. ხევსურეთმა და სვანეთმა შთააგონა პოეტს შესანიშნავი რეალისტური ლექსების ციკლი. „შემოღამება ხახმატში“, „უშგული“, „სვანური იავნანა“, „ოროშკელი ძილა“, „ფშავ-ხევსურეთის ბილიკებზე“ და სხვა ლექსები მკაფიოდ რეალისტური ფერებით ხატავდნენ სინამდვილეს, მის კონკრეტულ ნიშნებსა და ნაკვთებს. ეს ჯერ კიდევ არ იყო პოეტისათვის საბოლოო სიმწიფის ხანა, მაგრამ იგი უკვე მტკიცედ იდგა ცხოვრების მხატვრული ათვისების სწორ გზაზე.

ეს ის ეტაპია პოეტის შემოქმედებაში, რომლის წინადღეს თვით სიმონ ჩიქოვანმა უძღვნა ერთ-ერთი თავისი ლირიკული შედევრი —„არის სიყრმის და სიმწიფის შორის შესვენების და სიმორცხვის ჟამი“ და უწოდა ამ ეტაპს „ფერისცვალება“. შინაგანი დრამატიზმით აღსავსე ეს ლექსი მეტად ნიშანდობლივია სიმონ ჩიქოვანის მთელი შემოქმედებისათვის.

„ფერისცვალების“ ჟამს პოეტი შველას სამშობლოსაგან, თვით ცხოვრებისაგან, სინამდვილისაგან მოელოდა. მამულს უნდა შთაებერა მისთვის ქარიშხლის სული, მამულს უნდა გაეხარებინა მისი პოეზიის ყვავილი. პოეტის იმედები სავსებით გამართლდა. ცხოვრების ამ ქარიშხლიანმა დინებამ, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში ოცდაათიანი წლების დამდეგს იჩინა თავი, მისცა მყარი ნიადაგი და მტკიცე საფუძველი პოეტის შემოქმედების ახალ გაქანებას.

სწორედ ამ წლებში ჩამოყალიბდა და გამოვლინდა სიმონ ჩიქოვანი როგორც ბუნების ღრმა მესაიდუმლე, ხალხის ცხოვრების ხილული სურათების მოტრფიალე. სწორედ ამ წლებში გამოჭედა მან თავისი სანუკვარი პოეტური იარაღი — ელვარე მეტაფორა.

სიმონ ჩიქოვანისათვის ყოველი საგანი თუ მოვლენა ურიცხვი ასოციაციის წყაროა, ისინი ასაზრდოებენ ფიქრსა და გრძნობას, ოცნებასა და მოგონებას, ბადებენ მახვილ აზრსა და ღრმად დრამატიზებულ განცდას. პოეტი უზიარებს მკითხველს სამყაროს პირველხილვის სიხარულს. ასეთია სიმონ ჩიქოვანის ცნობილი ციკლები —„ქართლის საღამოები“, „სამეგრელოსა და აფხაზეთის საღამოები“, ლექსები კახეთსა და აჭარაზე. ამ ლექსებში დაკვირვებული მკითხველი გრძნობს მართლაც რომ „უთვალავი ფერით“ შემკობილ სამყაროს. ეს სამყარო მუდამ მოძრავია, ცოცხალი, ცვალებადი, შინაგანი ძალითა და მღელვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით შეძრული დ ამავე დროს ვაჟკაცური და ბრძნული თავშეკავებისა და კდემამოსილების ნიშნით აღბეჭდილი.

ერთ-ერთ თავის პოეტურ რკალს სიმონ ჩიქოვანმა საგულისხმო სათაური მისცა: „ეზოდან გაველ სამშობლოს გზაზე“.

გზა და გზების ძიება —სულიერ ჰორიზონტებს შეეხება ეს თუ თვალხილულ სივრცეს, სიმონ ჩიქოვანის პოეზიის მთავარი მიზანდასახულობა და შინაგანი მამოძრავებელი ძალაა. პოეტმა თვით განაცხადა ერთ თავის საპროგრამო ლექსში, რომ „თვალს არ უნდა წრის შეღობვა“, რათა „ძმური გრძნობა გულმა თესოს“.

„გზა“ სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში არ არის მარტო გზა მტკვრისპირეთისაკენ და შავი ზღვისაკენ. სვანეთისაკენ და ხევსურეთისაკენ, რიწისაკენ და სევანისაკენ, რუსეთ-უკრაინის ველებისაკენ და ოდერისა თუ ვისლისაკენ, — იგი ყველგან და ყოველთვის არის სიყვარულის „გზა და ხიდი“, გზა სატრფოსა და მეგობრის გულისაკენ, თვისტომისა თუ უცხოელი მოძმის გულისაკენ.

ასეთი პოეტური მიზანსწრაფვა განაპირობებს სიმონ ჩიქოვანის თვალთახედვის ნამდვილ სიფართოვეს, ანიჭებს მის პოეზიას სამშობლო მხარის ჭეშმარიტი „უსასრულობის“ განცდის უნარს, აძლევს პოეტს უფლებას მთელი ხმით განაცხადოს:

ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი.

აბა შეადგით ერთმანეთს მთები,
მთები შემკული სხივების სირმით,
ააშრიალეთ არწივის ფრთები,
კლდით გაიგონეთ ყვირილი ირმის...

...შეახეთ ბრძოლით გაწრთვნილი ხელი
დარუბანდიდან მოტანილ კარებს,
და გაიხსნება სამშობლო ჩემი,
უსასრულობის შემცველი მხარე.

სიმონ ჩიქოვანი თანამედროვეობის პოეტია. ამიტომ ისტორიული მასალაც მის პოეზიაში მეტად თავისებურად არის განსახიერებული. სიმონ ჩიქოვანის ნაწარმოებებში წარსული ყოველთვის გვევლინება როგორც თანამედროვე ადამიანის განცდა.

ლექსებში: „თეიმურაზ პირველი“, „მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი“, „მიძღვნა ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ ოსტატებისადმი“, „ვაჟა-ფშაველას ბუხართან“, „ნიკოლოზ ბარათაშვილის სავანეში“ და სხვ. მოცემულია არა იმდენად გუშინდელი დღე, რამდენადაც დღევანდელი ფიქრი გუშინდელ დღეზე, მისი სადღეისო განცდა და გააზრება. ასეთმა შემოქმედებითმა მიზანდასახულობამ განსაზღვრა დიდი სამამულო ომის წლებში სიმონ ჩიქოვანის პოემის — „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ თანამედროვე ეღერადობა და აქტუალობა.

სიმონ ჩიქოვანის ცხოვრების ბოლო წლებიც დაძაბული შრომითა და შემოქმედებითი ძიებით იყო აღსავსე. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მძიმე და უკურნებელი სენით დაავადებულმა, მხედველობადაკარგულმა პოეტმა ნამდვილი შემოქმედებითი და ადამიანური გმირობის მაგალითი გვიჩვენა, როდესაც შექმნა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები „განჯის ღღიური“ — ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლირიკული პოემა.

უკანასკნელ ამოსუნთქვამდე განაგრძობდა სიმონ ჩიქოვანი თავის მრავალმხრივ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. პოეტის შემოქმედებითი შრომა მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული საზოგადოებრივ საქმიანობასთან. 1944-1951 წლებში სიმონ ჩიქოვანი ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირს. 1954 წლიდან 1960 წლამდე იგი იყო ჟურნალ „მნათობის" მთავარი რედაქტორი.

ნამდვილად სამაგალითო იყო სიმონ ჩიქოვანის მეგობრული ურთიერთობა ახალგაზრდა მწერალთა არაერთ თაობასთან. ის იყო საუკეთესო მეგობარი, მასწავლებელი, მრჩეველი და გულშემატკივარი ნიჭიერი ახალგაზრდობისა.

სიმონ ჩიქოვანი თავისი მოღვაწეობის პირველი წლებიდანვე იყო ერთ-ერთი შესანიშნავი მჭედელი ჩვენი ქვეყნის ხალხთა კულტურული თანამეგობრობისა. მრავალი მიღწევა ამ დარგში მის პირად ინიციატივასა და მეცადინეობასაც უნდა მივაწეროთ.

ცნობილია სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებითი ინტერესების სიფართოვე და მისი მტკიცე მეგობრული კავშირი კულტურის სხვადასხვა დარგის საუკეთესო წარმომადგენლებთან. თეატრი და კინო, ფერწერა და მუსიკა მუდმივი ზრუნვისა და ღრმა ინტერესის საგანს წარმოადგენდა პოეტისათვის.

სიმონ ჩიქოვანი იყო ლიტერატურისა და ხელოვნების ნიჭიერი და ღრმა მკვლევარი. მისი ნაშრომები —ნარკვევები და წერილები რუსთაველსა და ბარათაშვილზე, გურამიშვილსა და ილიაზე, ვაჟასა და აკაკიზე. თანამედროვე რუსა, უკრაინელ თუ ქართველ მწერლებზე, მისი შესანიშნავი მემუარული ხასიათის ნარკვევები და თეორიულ-პრობლემური წერილები დამსახურებულად შედიან ქართული საბჭოთა ლიტერატურული აზრის საგანძურში. მისი ამაგი არაერთხელ აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით —ლენინის ორდენით, შრომითი და საბრძოლო ორდენებითა და მედლებით. მისი ნაწარმოებები აღნიშნული იყო სახელმწიფო პრემიით, ხოლო თვით მწერალი არაერთგზის იყო აღჭურვილი ხალხის ნდობით —იყო არჩეული სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატად, კომუნისტური პარტიის წევრი 1941 წლიდან — სიმონ ჩიქოვანი დაუღალავად იღვწოდა საშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ.

სიმონ ჩიქოვანის შუქმოსილი სახე მარად იცოცხლებს მის მეგობართა, ქართველ მწერალთა გულში, მთელი ჩვენი ხალხის ხსოვნაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ჩიქოვანი

უკანასკნელი ლექსებიდან

• • •

(მალეევკაში)

ჩვენ ყოველ დილით შევდივართ ტყეში,
ვსეირნობთ, ვარხევთ დათოვლილ
რტოებს,
შევდივართ ტყეში, თუ სიჩუმეში
და თოვლში ტერფის ანაბეჭდს ვტოვებთ.

უღრანში მეფობს საღამო ისევ,
დილა კი შერჩა მგონი აგარაკს,
დუმილია და ყურს ვუგდებთ მყისვე
თუ გავიგონებთ სადმე ლაპარაკს.

გვხიბლავს ლამაზი არყი და იფნი,
შევავლებთ მზერას წიფელის ლატანს,
უღრანში შეგვაქვს მრავალი ფიქრი
და ტყე მრავალ ფიქრს უკანვე გვატანს.

ძეწნებმა თითქოს წუხელ იჩხუბეს,
დღეს დაუხრიათ რტოები სწორი,
როგორც აფრები ვაპობთ სიჩუმეს
და შორს მივფრინავთ უღრანში ორი.

ტყეს საიდუმლო ვაუწყოთ გვინდა,
ვარხევთ იფნების დათოვლილ რტოებს,
ფიქრი ცისფერი თუ გაგვიფრინდა,
თოვლზე ტერფების ანაბეჭდს ვტოვებთ.

გვისხლტება ფეხი, ვაბიჯებთ ფრთხილად
თითქოს დავეძებთ სადოქე თიხას,
თუ არ შემოგვყვა უღრანში დილა,
საღამო მაინც გრძელდება დიდხანს.

11 ივლისი 1965 წ.

• • • •

არ მშორდება ჭირვეული მარტი,
ჩამიქროლებს ქარით ეტლიანი,
გამომტაცა ყველა მისამართი
და ვერ შევძელ გზებზე ხეტიალი.

აფრებივით ფარფატებენ დღენი,
ჯერ მთებია, მერე მკრთალი ხევი.
ჩემს ხელთნაწერს ვერსად მივაგენი,
ვერ ვიპოვე მოძმის ნაკვალევი.

სად მივდივარ ან მოვდივარ სიდან,
ნუთუ მართლა დამელია ჯადო
და სიცოცხლე მხოლოდ ერთი ციდა
ყველა გამვლელს როგორ ვუწილადო.

იანვარი, თებერვალი, მარტი,
სამი თვეა მეტად უღიმღამო.
გულის ჯამში დამიგროვდა ჭვარტლი
მოგიზგიზე სიყვარულის გამო.

13 მარტი 1966 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სიკვდილი ცოტას მოიცდის

უტყუარი მოთხრობები

„სხვა მოთხრობები კი სტყუიან?“ — შეიძლება სთქვას მკითხველმა, ამ წიგნის ქვესათაურს რომ დახედავს.

რა თქმა უნდა, არა, მაგრამ მწერალი ხომ ნახულსა და გაგონილს ხან კალაპოტს შეუცვლის, ხან კიდევ საღებავს ჩაამუქებს, ან ღია ფერს მიუტანებს, რომ მასალას თავისი სიმართლე ათქმევინოს.

მე კი აქ ერთი გვარიც არ შემიცვლია, არაფერი არ დამიმატებია, არც შემილამაზებია, მხოლოდ ცოტა უფრო მეტი სიყვარული გავაყოლე ამ ადამიანებს...

გ ა ხ ს ე ნ ე გ ა (1)

ჯერ ისევ ლოგინში ვიწექი, ილო მოსაშვილმა რომ დამირეკა და მითხრა, კარგი ხაში თუ გინდა, ახლავე ჩემთან გადმოდიო.

ხაში და ისიც კარგი — ორმოცდაორი წლის ზამთარში ისეთი იშვიათი რამ იყო, რომ ხელად ჩავიცვი და წავედი.

იმ ხანებში ჩვენ ერთ სახლში ვცხოვრობდით მარჯანიშვილის ქუჩაზე. არ გასულა ხუთი წუთი, მეც და ჩემი მასპინძელიც ორთქლიან ჯამებს ვუსხდებით და ცხელი წვენით პირს ვიფუფქავდით.

გარეთ უხვად თოვდა.

მიყვარს, ასე რომ ბარდნის ხოლმე, მაგრამ ახლა ფანჯრებზე ზოლ-ზოლად დაჭრილი მარლა იყო გაკრული და თოვლი კარგად არა სჩანდა.

წუხელ უბანში მორიგე ვიყავი, მთელი ღამე ფეხზე გავატარე, გამოძინება ვერ მოვასწარი. ნივრიანმა ხაშმა და ორმა ჭიქა არაყმა ძილი მომგვარა, მაგრამ ადგომა და შინ წასვლა მეზარებოდა. ილოსთან თბილოდა, ოჯახს ჯერ კიდევ შემორჩენოდა შარშანდელი წიფლის კუნძები. იმ წელიწადს თბილისში შეშა ძნელი საშოვარი იყო.

ამ დროს სახლიდან დამირეკეს, ცენტრალურ კომიტეტში გეძახიანო.

ვისთან-მეთქი, ვკითხე მეუღლეს.

თორმეტ საათზე შეროზიასთან მოვიდესო.

კალე შეროზია მაშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი იყო. იმწამსვე შინ დავბრუნდი და წასასვლელად მოვემზადე.

— აბა ერთი ახლოს მოდი, — ვუთხარი მეუღლეს.

— ახლოს რა მინდა! ლამის აქ წამაქციოს ნივრისა და არაყის სუნმა! ასე როგორ წახვალ, კაცო! — მკითხა შეშფოთებულმა ქალმა.

მართლაც, ასე როგორ წავიდოდი. მით უფრო, რომ ვიცოდი, შეროზიას ასეთი რამეები არ უყვარდა.

— იქნებ მურაბიანმა ჩაიმ გიშველოს რამე? — მითხრა მეუღლემ.

ხაშის მერე მურაბიანი ჩაი პირდაპირ სიკვდილი იყო, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა...

თორმეტ საათზე მდივნის კაბინეტში ვიყავი.

— ფრონტზე წასვლა ხომ არ გადაგიფიქრებია, კონსტანტინე? — მკითხა შეროზიამ.

არა-მეთქი, მივუგე.

— მაშ აგერ წასვლის დროც მოვიდა, — მითხრა მდივანმა: — ამ საღამოს ქერჩისაკენ მთელი ჯგუფი მიემგზავრება. ქართულ დივიზიაში ოფიცერთა შემადგენლობა უნდა შეავსონ. ხელდახელ მოემზადე. დანარჩენს გზაში გეტყვი, მეც თქვენთან ერთად მოვდივარ.

ამდენი წელიწადია თბილისში ვცხოვრობ და ისეთი ქარბუქი, იმ საღამოს რომ იყო, ჯერ არ მინახავს.

ტრამვაი არ მუშაობდა, ნამქერიან ქუჩებში მანქანებიც ველარ დადიოდნენ. სადგურში ფეხით წავედით. მამაჩემმა ჩემი საბარგო ჩანთა

ზურგზე მოიგდო და წინ გაგვიძღვა. ქუჩის შუაგულს მივყვებოდით, რომ ჩაბნელებულ ქალაქში უფრო მარჯვედ გვევლო.

მეგობრებიდან ილო მოსაშვილი და კოლია შენგელაია მაცილებდნენ, სადგურის დარბაზში ტევა არ იყო. სანამ მატარებელი ჩამოდგებოდა, ჩვენ კუთხეში მივდექით და წამსვლელ-გამცილებელს თვალი გადავავლეთ.

ჩვენს გვერდით ერთმა ჭალარა ქალმა ახალგაზრდა კაცს, ეტყობა შვილს, მხარზე გადაკიდებული ჩანთა გაუხსნა და შიგ მატყლის წინდები ჩაუწყო.

ამის დანახვაზე ჩემმა მეუღლემ შეიცხადა, ღმერთო მომკალი, იმ ფაცი-ფუცში თბილი წინდების ყიდვა დამავიწყდაო.

კოლიამ ეს რომ გაიგონა, ბევრი აღარ უფიქრია, — ვიღაცის ჩემოდანზე ჩამოჯდა და თვალის დახამხამებაში ორივე ჩექმა გაიძრო, ჭრელი თუშური წინდები გაიხადა და ხელში მომაჩეჩა.

— ჰა, ბიბო, ჩაიცვი. არ გაცივდე და სურდო არ დაგემართოს, თორემ დავიღუპებით, ჰიტლერს ვეღარ მოვერევითო. — სიცილით მითხრა მან, მერე ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, ფეხებზე შემოიხვია და ჩექმები ჩაიცვა.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი ეშელონი ფრონტის გზას გაუდგა.

...სამი წელიწადი დავყავი მოქმედ არმიაში. რაც იქ ვნახე და განვიცადე, ზოგი რამ უკვე იცის მკითხველმა ჩემი მოთხრობებიდან. ზოგზეც ახლა ვმუშაობ და ალბათ კიდევ დიდხანს ვიმუშავებ, რადგან ეტყობა, იმ ომის მოლანდება კაცს ასე ადვილად არ მოშორდება.

არ მინდა დაიკარგოს მათი სახელი, ვინც ნამუსიანად მოიხადა ყველაზე მძიმე ვალი ადამიანის ცხოვრებაში — ჯარისკაცის ვალი.

მამია ჯაიანი

1.

მთელი ღამის უძინარი ვიყავი.

გერმანელები სიმფეროპოლს ბომბავდნენ. შებინდებისას რომ დაიწყეს, გათენებამდე ერთი ხუთჯერ მაინც მიიტანეს იერიში ისედაც დანგრეულ ქალაქზე. თვალის მოხუჭვა აღარ გვაცალეს. წალმა-უკულმა გვარბენინებდნენ ოთახიდან თავშესაფარში.

ჩვენი თავშესაფარი კი ისეთი დაბალი და ვიწრო სადგომი იყო, სული გვეხუთებოდა. აქ ხალხი ერთმანეთს ისე მისრესოდა, ჯიბეში ხელს ვერ ჩაიყოფდი, რომ ცხვირსახოცი ამოგეღო და ოფლად გაღვარული თავკისერი მოგეწმინდა.

ჩვენი გაზეთის რედაქციის მდივანს, უფროს ლეიტენანტს ნიკა აგიაშვილს მალე მოსწყინდა ეს დავიდარაბა, ხელი ჩაიქნია და მითხრა, დავწვები და აღარ ავდგები, ქვეყანა რომ დაიქცესო. თუ ჩამეძინა... ამბობენ, ძილში სიკვდილი არც ისე ძნელიაო.

როგორც გინდა-მეთქი, ვუთხარი და ისევ თავშესაფარს მივუბრუნდი, რადგან ამ საკითხზე — ძილში სიკვდილზე, მე ცოტა სხვანაირი აზრი მქონდა.

კარგად რომ ინათა, მტრის თვითმფრინავები ქალაქს გაეცალნენ და ჩვენც ტანისამოსის ბერტყვითა და უსაშველო მთქნარებით თავშესაფრიდან გამოვძვერით.

ჩვენი რედაქციის კარმიდამო იოლად გადაურჩა იმ ღამეს. აფეთქების ტალღას ერთი პატარა სახლი დაენგრია და ხეხილის ბაღში დიდი ვაშლისხეები ერთმანეთში ისე აესვარ-დაესვარა, თითქოს ფიჩხი ყოფილიყო.

ოთახს მივაშურე. ის-კი იყო ფეხზე გავიხადე და სასთუმალი გავიწყვე, კაპიტანი ვალიკო ესაიაშვილი თავზე დამადგა.

— ძალიან დაღლილი ხარ, კონსტანტინე? — მკითხა მან, თუმცა ჩვენმა რედაქტორმა ჩინებულად იცოდა, რა დღეშიც ვიყავი.

— ამ ჩექმების თრევა კიდევ შემიძლია. რა იყო? — ვუთხარი მე.

ფორმის ტანსაცმელი რომ მოგვცეს, მე ისეთი სრული ჩექმები შემხვდა, ჩაცმა-გახდის დროს ხელის მიშველება აღარ მჭირდებოდა. გავიქნევდი ფეხს და ჩემი ჩექმა, აგერ, იმ კუთხეში ბრაგვანს მოადენდა.

ცოტა ვალიკოს ბრალიც იყო, რომ ასე უარშიოდ ვიყავ გამოწყობილი (იმ დღეს არ ეცალა და საწყობში არ წამყვა) და ახლა სწორედ ეს დავაყვედრე ჩვენს რე-

დაქტორს, მაგრამ მან ჩემი სიტყვა ყურში არ შეუშვა და მითხრა:

— მანაგაძის პოლკში უნდა წახვიდე. წუხელ კარგი საქმე გაუკეთებიათ ჩვენს ბიჭებს. აბა შენ იცი, თუ ამ მასალას ხვალინდელ ნომერში მომისწრებ...

არ გასულა ათი-თხუთმეტი წუთი, მე უკვე ბაღჩისარაისაკენ მიმავალ მანქანაზე ვიჯექი, თვლემით გაწებილ თვალებს ძლივს ვახელდი და თანამგზავრებს ვეხვეწებოდი: — სოფელ შულის გადასახვევთან უნდა ჩამოვიდე, ბიჭებო! თუ ვინიცობაა, დამეძინოს და ვერ გამაღვიძოთ, თქვენი ჭირიმე, ნუ მომერიდებით, ასე მძინარე ხელში ამიყვანეთ და იმ გადასახვევთან დამაგდეთ-მეთქი.

2.

აპრილის დამდეგს ჩვენმა ჯარებმა გატეხეს ქერჩის სიმაგრე, გაარღვიეს გერმანელთა აკმონაის განთქმული პოზიციები და უკანდახეულ მტერს დაედევნენ.

ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე გერმანელებმა ფეხი ვეღარსად მოიკიდეს და იხე სწრაფად მიაშურეს სევასტოპოლის გამაგრებულ რაიონს, რომ საარიერგარდო ბრძოლებში დახოცილ სალდათებს დაუმარხავად სტოვებდნენ მინდორზე; გზის ორივე მხარეს — ნასახლარებთან, სანგრების პირას, დამტვრეულ ზარბაზნებთან ბლომად ეყარა მათი გვამები.

ჩემი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიპყრო. დახოცილებში ბევრი იყო სრულიად ახალგაზრდა, პირტიტველა ჯარისკაცი. ეტყობა, ძალიან გაუჭირდა მესამე რაიხს, რომ ეს მოუთავებელი ბიჭ-ბუჭობა ფრონტზე გამორეკა.

ათი აპრილიდან ოცდახუთ აპრილამდე ჩვენმა რედაქციამ გაზეთის ერთი ნომერიც ვერ გამოუშვა. ჩვენი მადევარი ჯარი იმდენხანს არსად არ ჩერდებოდა, რომ გაზეთის აწყობა და დაბეჭდვა მოგვესწრო.

დამარცხებული გერმანულ-რუმინული დივიზიები თავს იყრიდნენ სევასტოპოლის ციხე-სიმაგრეში, რომ აქ, საპუნ-გორის კლდეებსა და ხევებში სისხლისაგან დაეცალათ ჩვენი მოიერიშე ჯარი და რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ყირიმში ეს უძლიერესი პლაცდარმი შეენარჩუნებინათ.

ბუნებრივი პირობების გამო, სევასტოპოლი, ხმელეთიდან ძნელი მისადგომი იყო. ამ ბუნებრივი ბარიერის გასაძლიერებლად გერმანელებმა აქ გამოიყენეს უახლესი სამხედრო ტექნიკა და ციხე-სიმაგრეების მშენებლობის მთელი გამოცდილება. მტერი რკინა-ბეტონში იყო ჩამჯდარი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

აპრილის დამლევს ჩვენი ჯარი სამი მხრიდან შემოეწყო სევასტოპოლს. ამ შეტევაში მონაწილეობას იღებდა ქართული ოთხასმეთოთხმეტე დივიზია.

მანაგაძის პოლკი პირველი ჩაება ბრძოლაში და მეც ახლა ამ პოლკში მივდიოდი, რომ რედაქციაში ახალი ამბები მომეტანა.

3.

ჩვენი მანქანა ერთხანს სწრაფად მიდიოდა მტვრიან შარაგზაზე. გზის ორივე მხარეს, ბაღებსა და ეზოებში, ბარაქიანად ჰყვაოდნენ ალუბლები, ატმები, ყირიმული იასამანი.

უთვალავი ჯარისკაცის ფეხითა და მანქანის თვლებით ამდგარი მტვერი უხვად შეფრქვევოდა ამ ყვავილებს.

ასე წმინდად დაფქვილი მტვერი შირაქშიც კი არ მინახავს დიდი გვალვების დროს. გზაზე მანქანა რომ ჩაივლიდა, მერე ჰაერში კარგახანს იდგა კვამლივით მსუბუქი, თვალგაუვალი ბუქი.

ძნელია იმის აღწერა, რაც იმ დღეებში სევასტოპოლისაკენ მიმავალ გზებზე ხდებოდა. თუ აქამდე ბრძოლა უმთავრესად ვაკეზე მიდიოდა, ახლა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ჩვენი მომავალი ბრძოლის ასპარეზი დასერილი იყო მაღალი მთებით, ხეობებით, ულრანი ტყეებით.

ამ მივარდნილ ადგილებში გზები ცო-

ტა იყო, ამიტომ ჩვენი ჯარი და საომარი ტექნიკა ორ ტოტად, სამ ტოტად მიედინებოდა სევასტოპოლისაკენ პოზიციების დასაკავებლად.

ამ შეუჩერებელ ნიაღვარში ჩვენისთანა „უთვისტომო“ მანქანა რომ მოხვდებოდა, — მორჩა, მისი საქმე წასული იყო. მიაგდებდნენ სადმე გვერდზე და სანამ ის ნაკადი არ ჩათავდებოდა, არც წინ გაგიშვებდნენ და ვერც უკან მობრუნდებოდი. ახალი ამბების მოსატანად მიმავალ კორესპონდენტს კი ამაზე ცუდი სხვა რა უნდა დამართოდა!

ჩვენს მანქანას დღესაც ასეთი ბედი ეწია. დიდ გზაზე გავედით თუ არა, თვითმავალ ქვემეხებში გავეჩხირეთ. მერე რის ვაივაგლახით მინდორზე გადასვლა მოვახერხეთ. დიდხანს არც აქ გვივლია. ჯერ ქვეითი ჯარისკაცები აგვიყვირდნენ და გზა არ მოგვცეს, მერე წინ პატარა ხევი გადაგვეღობა და ჩვენი მანქანა კალაპოტიდან საბოლოოდ ამოვარდა.

მანქანიდან გადმოვხტი და ჯეჯილში დალამბულ ბილიკს დავადექი. მალე გზაზე ერთი ვიღაც რუსი კაპიტანი დამეწია. აქაურობას კარგად ვიცნობო, მითხრა და გზის შესამოკლებლად სადღაც ხევში ჩამიყვანა, აღმა-დაღმა მატარა და ბოლოს მითხრა, ახლა იმ სერს გადაივლი და შენი ოდისეაც დასრულდებაო. დამემშვიდობა და თავისი გზით წავიდა.

მე კი ხელმარცხნივ გავუხვიე და პატარა ფერდობს შევუდექი, რომ უეცრად ხევის პირას გერმანელი ჯარისკაცები დავინახე. ხელები მკერდზე ჩამოკიდებულ ავტომატებზე დაეწყოთ და ნელა მოაბიჯებდნენ მუხლამდე აყრილ ჯეჯილში. თითქოს მოსეირნობდნენ. ყოველშემთხვევაში, სამტროდ მოსული კაცი აქ ასე გულარხეინად ვერ გაივლიდა, ეს კარგად ვიცოდი, მაგრამ ფაფის შეშინებული დოს უბერავდაო, მეც ისე დამემართა.

იმათ ხელებში თოფები რომ დავინახე, ცოტა არ იყოს, გული გადამიქანდა. ეს რა ჯანდაბაა, გერმანელებმა საჰაერო დესანტი ხომ არ ჩამოყარეს-მეთქი, გამკრა ფიქრმა.

ამ დროს ვიღაცამ რუსულად დამიძახა:

— ნუ გეშინია, ამხანაგო! ტყვეები არიან, მაგათი თოფების საკეტები ყველა აგერ მიყრია ჩანთაში!

მხოლოდ მაშინღა დავინახე, გერმანელებს გვერდით თოფიანი წითელარმიელი მოჰყვებოდა. ხელში მართლაც ჩანთა ეჭირა და ნატეხი შაქარივით თეთრი კბილებით მეგობრულად მიღიმოდა.

კილოზე შევატყვე, ქართველი იყო.

მაინც ვკითხე, ქართველი ხარ-მეთქი.

ქართველი ვარო, მითხრა სიხარულით. მერე თეთრი კბილები ისევ შემომანათა და სთქვა:

— იმდენი მამა უცხონდათ, რამდენი მე არ ვათრიო მაგათი თოფები! ყველას თავისი ფეხით მივატანინებ საწყობში!

ხმაში ისეთი ზარი ჰქონდა, ეტყობოდა, მაგარი ბიჭი იყო.

იმწამსვე ვკითხე:

— თუ ძმა ხარ, მითხარი, რაზე შემატყვე, რომ შევშინდი?

მან სიტყვა ბანზე ამიგდო, მერე რა მოხდა, აქ ვის არ ეშინიაო.

ჩავაცივდი, მაგრამ მეტი ვერაფერი ვათქმევინე და მეც დღემდე ვერ გამიგია, რაზე შემატყო იმ ბიჭმა, რომ იქ, პურის ყანაში გული შემიკრთა.

„ქაჯის თვალი გქონია, ძმაო!“ გავიფიქრე და სანამ ის და მისი ამალა ხეებს არ მიეფარნენ, ადგილიდან ფეხი ვერ მოვიცვალე. ვიცოდი ამ კაცს ვერასოდეს ვერ დავივიწყებდი.

ასე გავიცანი სადესანტო ბატალიონის მზვერავი მამია ჯაიანი — შუმი ქუთაისელი, როგორც თვითონ მითხრა. 1939 წელს სამთო ტექნიკუმი დაუმთავრებია. ერთხანს რაჭაში მუშაობდა გეოლოგიურ ჯგუფში, მერე კვაისაში გადასულა ტყვიის საბადოებზე. „ომი რომ დაიწყო, პირველი უწყება მე მომიტანესო!“ გაიცინა მან და ტყვეებს გადახედა:—„უჩემოდ, ხედავთ, ფეხი ვერ გადაუდგამთო!“

რედაქციაში იმ დღესვე დავბრუნდი. მანაგაძის პოლკში საინტერესო მასალა მოვაგროვე, მაგრამ ის ახოვანი, შავგვრემანი მზვერავი გულიდან ვერ ამოვიღე.

ყური სავსე მქონდა მისი ზარიანი ხმით, იმდენი მამა უცხონდათ, რამდენი მე არ ვათრიო ამათი თოფებიო...

4.

იმ დღეებში ჩვენი დივიზიის უბანზე ბრძოლა მიწყნარდა, რედაქციამ ცოტა სული მოითქვა, სარბენი და საშური საქმე შეგვიმცირდა. ვალიკო ესაიაშვილს ვთხოვე, მედესანტეებთან გამიშვი, ერთ კარგ ქართველ ბიჭზე მასალას მოვიტანმეთქი.

ნება დამრთო.

მარტო სამხედრო კორესპონდენტებმა იციან, რა ძნელია ფრონტზე რომელიმე პატარა ქვეგანაყოფის პოვნა. ზოგჯერ თუ შემთხვევით ზედ არ გადააწყდი, შეიძლება დილიდან საღამომდე დაუსრულებლად იარო და ეძებო თუნდაც მთელი ბატალიონი და მაინც ვერაფერს მიაკვლიო.

მე კი იმ დღეს იღბლიანი გამოვდექი. სოფელ ბელბეკის მახლობლად ტყვეების ბანაკს მოვკარი თვალი. ამის შემდეგ მამია ჯაიანის პოვნა დიდად არ გამჭირვებია.

მედესანტეებმა იმ დღეებში ცხარე ბრძოლა გადაიხადეს ბალაკლავასთან და ახლა მეორე ეშელონში იდგნენ დასასვენებლად და ბატალიონის შესავსებად.

ჯაიანმა მაშინვე მიცნო და ხელი ორივე ხელით ჩამომართვა. ხმის ამოღება არ დამაცალა, მაშინვე სადილად მიმიწვია.

— ამ დილას კურდღელი მოვკალი და ისეთი ჩახოხბილი გავაკეთე, კაცს საჭმლის უნახავს გახდის! აქაურ კურდღელს, ხომ იცით, ქათამზე თეთრი ხორცი აქვს! — მითხრა მან და მიწურში ჩამიძღვა.

კურდღლის ხორცზე არასდროს გული არ მიმდიოდა, თანაც იმ მიწურში ახლა ისეთი ჩახუთული ჰაერი იდგა, რომ იქ დარჩენა ძალიან არ მინდოდა, მაგრამ მე მაინც დავრჩი — დაცდილი მქონდა, პურის ჭამის დროს ჯარისკაცებმა უფრო დანდობილი და გულახდილი საუბარი იცოდნენ.

მიწურში ჯაიანმა გამაცნო ერთი გამხდარი, ფერმკრთალი ბიჭი, გვარად კაშია.

ამ კაშიას ძალიან ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. ჩვენი საუბრის დროს მან ერთი-ორჯერ რაღაცაზე ჩუმად ჩაიცინა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, მისი თვალებიდან ნაღველი ვერც სიცილმა განდევნა.

მე მაშინვე დაღლილი ხარის თვალები გამახსენდა. მათი ნაღვლიანი გამომეტყველება არასდროს არ იცვლება, რადგან იმ თვალებში არავითარი აზრი არ მოძრაობს. ამ ბიჭსაც ასე გაქვავებოდა თვალებში ერთხელ ჩასული ნაღველი.

იქნებ შიში?

თუმცა ეგ თითქმის ერთი და იგივეა. ყველაზე დიდი ნაღველი სწორედ შიშმა იცის.

სუფრას რომ მივუჯექით, ჯაიანი უცებ დაიხარა და სკამლოგინის ქვეშიდან მათარა გამოაძვრინა, ყურთან შეაჯანჯღარა და სთქვა:

— თითო ყლუპი ყველას შეგვხვდება. იტალიურია.

შუა ჭამაში რომ ვიყავით, სადღაც ზარბაზანი გავარდა, ყუმბარამ შხუილით თავზე გადაგვიქროლა და იქვე მთის ძირში აფეთქდა. ნამსხვრევების წივილი მკაფიოდ გავიგონეთ.

— კიდევ არ დადგა ის მამაძაღლი! — სთქვა ჯაიანმა: — სადღაც ხევში გერმანელებმა „სმერტნიკი“ დასტოვეს. ეტყობა, იმ საწყალს თავისიანებთან კავშირი გაუწყდა, ჯერ კიდევ არ იცის, რომ ყველაფერი კარგახანია დამთავრდა! ამიტომ არ გვეშვება! ძალიან უთავბოლოდ კი ისვრის, მაგრამ ერთიც ვნახოთ და...

— ვერ იპოვნეს?

— იპოვნიან. ჯერ ტყეში გაფანტულ ეგერებს ეძებენ. ბევრმა გაქცევა ვერ მოასწრო და ტყეში მიიმალნენ. გუშინ ხუთი ბიჭი დაგვიჭრეს. ცოცხლად არ გვნებდებიან... შენ ჭამე, ბიჭო რას უყურებ! — მიუბრუნდა უეცრად ჯაიანი ჩემს გვერდით მჯდომ კაშიას.

მართალი გითხრათ, მეც მივაქციე ყურადღება, რომ ზარბაზანი გავარდა თუ არა, კაშიამ ჭამას თავი მიანება, პირთან მიტანილი კოვზი ისევ კარდალაში ჩაუშვა და სმენად იქცა.

მერე სული მოიბრუნა და სთქვა:

— არ მინდა. გავძეხი.

— მე ვიცი შენი „არ მინდა!“ კოვზს მოკიდე ხელი! — უთხრა ჯაიანმა.

კაშიას ხმა არ გაუღია.

— მოგჭრა, ბიჭო, თავი ამ კაცთან? მოგჭრა? — ღიმილით ჰკითხა ჯაიანმა — აბა ჭამე და ცოდვილიანივით აქეთ-იქით ნუ იყურები. რამდენი თოფი და ზარბაზანი აქ გავარდება, შენ თუ იმდენჯერ ჭამის მადა დაგეკარგა, ტყვიაზე ადრე შიმშილი მოგიღებს ბოლოს! იცი ეს შენ!? მერე სოფელში მამაშენს რა ამბავი ჩავუტანო! შენი შვილი ბიჭიკო კაშია ბრძოლის ველზე შიმშილისაგან გმირულად დაეცა-მეთქი?!

— გჯერა კი, სოფელში რომ დაბრუნდები? — ჩაიცინა კაშიამ.

— ყოველ შემთხვევაში, მე მარტო ტყვიამ უნდა მომკლას! შენ კი ტყვიაც რომ არ მოგხვდეს, ეგ დიდ-მარხვა მოგიღებს ბოლოს! — სწრაფად მიუგო ჯაიანმა.

— შეეჩვევა. პირველად ჩვენც ასე ვიყავით. — ვთქვი მე.

—ორი თვეა, რაც აქ ჩამოვიდა. გვერდიდან არ ვიშორებ, ყველგან დამყავს და ვასწავლი, ეს ასე უნდა, ის ისე უნდა-მეთქი, ამას კი გული მოდის! — მითხრა ჯაიანმა.

— მასწავლის კი არა, მაწამებს! — შემომჩივლა კაშიამ, — ბლინდაჟის სახურავზე ისე გაიარე, შენი ფეხის ხმა არ გავიგონოო! აბა, ეგრე როგორ გავიარო, ჯამბაზი ვარ, კატა ვარ, თუ რა ვარ?!

კაშია ცოტა ჯაბანი ბიჭი იყო — ეს მაშინვე შეატყო ჯაიანმა და წრთვნა დაუწყო.

ხანდახან სადმე ტყის პირას გაიყვანდა და ეტყოდა:

— ამ ფოთლებში ჩაწექი და მოკვდი! კაცმა ფეხი რომ დაგადგას, კუნძი უნდა ეგონო!

ან კიდევ:

ჯაიანი ბლინდაჟში ჩავიდოდა და კაშიას დაუბარებდა, სახურავზე ისე გაიარე, ფეხის ხმა არ გავიგონო, თორემ აქედან თოფს გესვრიო...

ასე ასწავლიდა ჩასაფრებას, მიმმართავ სიარულს და მრავალ სხვა ფანდს, მზვერავისათვის აუცილებელს.

ეს ყველაფერი ჩემთვის გასაგები იყო. ჯარისკაცები მხოლოდ უნამუსო საქციელს არ აპატიებენ ერთიმეორეს. მაგრამ როცა კაცს პირველი ბრძოლის ელდა დაჰკრავს და შეიძლება წუთიერად თავგზაც აუბნიოს, ამხანაგები მაშინვე ხელს შეაშველებენ, ნუ გეშინია, აქა ვართო!

მე მხოლოდ ერთმა ამბავმა გამაკვირვა: რომ ეს მეხივით ბიჭი ამ ჯაბან კაცთან მეგობრობდა, და როგორც მერე გავიგე, უმისოდ თურმე ერთ ნაბიჯს არ გადადგამდა. ომის ხიფათიან გზაზე კი ეს ვერბიჭი დიდი არაფერი ხვითო იყო.

მაშ რა ჰქონდათ საერთო ამ ორ ჯარისკაცს? კაშია რომ წავიდა, ეს ჩემი გაოცება ხმამაღლა გამოვთქვი.

ჯაიანმა ჩაიცინა და მითხრა:

— რას ამბობ, კაცო! კაშია გვერდით რომ არა მყავდეს, ეს ამბები ძალიან გამიჭირდებოდა!

— რა ამბები?

— ჩვენ ხშირად მტრის ზურგში გადავდივართ!

— ვერაფერი გამიგია, — ვთქვი მე.

— ახლავე გაიგებთ, — მითხრა ჯაიანმა,—ამ ტყეებსა და მთაგორებში ბრძოლა, ხომ იცით, როგორი ეშმაკურ-ქაჯურია! საცა არ მოელი, მტერი იქიდან წამოგიხტება. ხანდახან ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე ბუჩქებში უძრავად აგდიხარ და მტერს თვალყურს ადევნებ. როცა კაშია ჩემთან არის, გული საგულეში მაქვს. ძილი მოერევა თუ რა! მთელი კვირის უძინარი რომ იყოს, შიშისაგან ტყუილად თვალს არ მოხუჭავს. ტყეში ხიდან ხეზე ჩიტი რომ გადაფრინდება, იმის ხმას გაიგონებს. უკეთესი ყარაული ღმერთმა შეარცხვინოს! ჩვენ გვძინავს, — ეს კი ზის და მუშტის ოდენა თვალებს აქეთ-იქით ატრიალებს, არავინ წამოგვეპაროსო!

5.

სანამ ჩვენ აქ ამ საუბარში ვიყავით, გარეთ საოცარი ამბავი მოხდა.

წელან ის სასიკვდილოდ გამეტებული გერმანელი რომ ვახსენე, იმ ბედოვლათმა ახლა რატომღაც ნიშანი გამოცვალა— ზარბაზანი კირქვის კარიერებს დაუშინა და ისეთი კორიანტელი დააყენა, გადარეული სიცხე თუ არა, კაცი იფიქრებდა, თოვლი მოდისო.

ერთი-ორი ყუმბარა გამომწვარი კირის ხვავებს დაეცა. ცაში ვეება თეთრი ღრუბელი ავარდა და მთელი ის არემარე ერთბაშად გადათეთრდა. მალე ეს ქარბუქი ჩვენც მოგვადგა. თეთრად შეიფიფქნენ გზის პირას ჩაყოლებული იასამნის ბუჩქები, ჯოჯგინად დადგმული თოფები, ასკილის ღობეზე მოწყენით თავმიბჯენილი ცხენები, მწვანე ბადეებით შენიღბული საზენიტო ქვემეხები.

გადათეთრდნენ მინგრეულ-მონგრეული ქოხები, ფარაჯები, წამოსასხამები, ჭუჭყისაგან გაზინთული ბრეზენტები,— ყველაფერი, რაც ამ კორიანტელის დაწყებისთანავე გაშალეს და თავზე წაიფარეს ფერდობზე მიყრილმა ჯარისკაცებმა.

გადათეთრდნენ სარებზე ჩამოცმული მუზარადები, გასაშრობად გაფენილი ფეხსახვევები; გადათეთრდა ხევის პირას განმარტოებული საფლავი, სადაც ამ დილით ორი სომეხი ჯარისკაცი დამარხეს. არტეზიულ ჭასთან წყალის დასალევად მისულიყვნენ, მაგრამ სახელური დაებრუნეს თუ არა, იგრიალა ნაღმმა და ყველაფერი გათავდა. უნამუსო გერმანელებმა არამცთუ ბლინდაჟი, თავლა, საწყობი, სახლის კარები, — ჭებიც კი დანაღმეს და ზოგან მოწამლეს კიდეც.

ამიტომ ჯარისკაცებს გზიდან გადახვევა აუკრძალეს და ახლა მთელი ბატალიონი ცოცხლად იხრჩობა კირის მტვერში. უხვად ბარდნის. მიწაზე როგორც თოვლზე, ფეხის კვალს სტოვებს.

გაგუდული, თვალებამომწვარი ჯარისკაცები ქოხებისაკენ იცქირებიან, იქნებ სადმე თავი შეაფარონ, მაგრამ ამ თვალგაუვალ ბუქში წამდაუწუმ ისმის ვუშაგების ძახილი: „უკან დაბრუნდი! ეზოებში არ შეხვიდეთ!“.

ახლა ეზოებში მხოლოდ შუბებიანი მესანგრეები დადიან; ნაღმს რომ იპოვნიან, მიწაზე წვებიან და იმ ადგილას კარგახანს ჯახირობენ. მერე წამოდგებიან, ნაღმის ქილას ღობის ძირში მიაგდებენ და ისევ შუბებს მოიმარჯვებენ.

ეზოებში იასამანი ჰყვავის. ხანდახან მესანგრეები ტოტებს შეარხევენ, კირის მტვერს ჩამობერტყავენ, მერე იასამანს დაყნოსავენ და გვერდს ჩაუვლიან.

კორიანტელი კი თანდათან მატულობს.

ჯაიანმა მიწურის შემოსასვლელს ბრეზენტი ჩამოაფარა და სთქვა:

— რა ქნა იმ ჩერჩეტმა! ლამის კირში ამოგვახრჩოს! იმას კი ჰგონია, საქმეს ვაკეთებო... მართლაც, რანაირი ოინი არ იცის ამ დაწყევლილმა ომმა. კაცი ვერ მოიფიქრებს, ისეთ რამეს გამოურევს!

ვინ იცის, შეიძლება სწორედ ამ გერმანელმა გაახსენა მამია ჯაიანს ერთი საოცარი ამბავი, ბალყარეთში რომ შემთხვეოდა.

აი, რა მიამბო მან...

6.

„ერთხელ ბაქსანის ხეობაში გზა დამებნა და კინაღამ ჭირს არ გადავეკიდე.

ყარატაუს უღელტეხილზე ერთი მოფარებული ადგილი უნდა შემერჩია, რომ იქ კორექტორი ჩამჯდარიყო და ჩვენი არტილერიის სროლა გაესწორებინა. საფარი რაც შეიძლება ახლო უნდა ყოფილიყო გერმანელთა პოზიციებთან.

არ იყო ძნელი საქმე და მეც დიდი მზადება არ დამიწყია, იმავე საღამოს გზას გავუდექი.

მთაში ბრძოლას ცოტა სხვანაირი გეში უნდა.

ბაქსანის კლდეებსა და ტყიან ხეობებში ფრონტის ხაზი ძალიან შეჭრილ-შემოჭრილი და მიკარგულ-მოკარგული იყო. ხანდახან ვერც იტყოდი, სად თავ-

დებოდა ჩვენი წინა კიდე და სად იწყებოდა მათი სამფლობელო.

მთაში „არავისი“ მიწა არ არსებობს. ზოგან შეიძლება რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ზედ გადააწყდე მოწინააღმდეგეს.

ეს ყველაფერი კარგად ვიცოდი, მაგრამ ამ ძებნა-ძებნაში აზიმუტი ამერია და მხარი მექცა.

სხვა დროს რამდენი წვალება დამჭირვებია, რომ ფრონტის ხაზი გადამელახა, რამდენჯერ ხელცარიელი უკან დავბრუნებულვარ! იმ ღამეს კი თურმე მთელი ორი საათი მტრის ზურგში არხეინად დავდიოდი და მე არაფერი გამიგია.

რაღაც ბედად, ვერც იმათ დამინახეს, თორემ უეჭველად რამეს შემამთხვევდნენ.

სანამ არ გათენდა, აზრზე ვერ მოვედი, რომ გზაკვალი არეული მქონდა. მხოლოდ გათენებისას თვალში მეცა, რომ ალაგ-ალაგ გზის პირებზე ტყიანი ფერდობები ბეჯითად ჩათლილი და ჩასწორებული იყო. გავსინჯე — ახლად ჩაჭრილ ფესვებს წვენი ჯერ კიდევ არ შეშრობოდა.

მერე ერთგან წიფლის ტოტებისაგან მოწნულ კარავს წავაწყდი, შიგ არავინ იყო, მხოლოდ კუთხეში ბლომად ეყარა მათი ბარ-ნიჩაბი და რაღაც ხელსაწყოები.

ეტყობოდა, ამ უბანზე მტერი მთის ბილიკს აგანიერებდა, რომ უღელტეხილზე სამთო ზარბაზნები ამოეტანა.

ცოტა რომ გავიარე, გზის პირას ერთი კარავი კიდევ დავინახე.

გულმა არ მომითმინა და იქაც შევიხედე, თუმცა სანამ შევიხედავდი, ჯერ ისეთი ხვრინვა გავიგონე, ყურებს არ დავუჯერე... რანაირად შეიძლება ცოცხალი კაცი ასე ხრიალებდეს, ყელი ხომ არ გამოღადრეს-მეთქი.

მაგრამ ის კაცი ცოცხალი იყო და ცხრა თავიან დევივით ხვრინავდა ძირს გაფენილ თივაზე. მის გვერდით მეორე სალდათს ეძინა. კარავი უცბად მოვათვალიერე, მეტი ვერავინ დავლანდე. გარეთაც არავინ სჩანდა.

მზვერავის ანბანი ამბობს: ხვრინვა კაცმა უეცარი გაღვიძება იცისო, ამიტომ პირველად ის მოვიშორე. მეორე არ მოკალი. ცოტა გალეული ბიჭი იყო და ადვილად მოვერიე. ხმის ამოღება ვერ მოასწრო, პირი ქეჩის ნაჭრით გამოვუტენე, ხელები შევუკარი, მერე ზურგზე მოვიგდე და ტყეს მივეცი თავი.

კარგახანს ვიძუნძულე გორებზე აღმა-დაღმა.

სანამ ხელ-ფეხი არ დამაწყდა, მუხლი არსად ჩამიკრეფია. მერე საშველი რომ არ დამადგა, ეს ჩემი გუდურა მიწაზე დავაგდე და მეც იქვე ჩავიკეცე. ერთი სული რომ მოვიბრუნე, ახლა იმას გადავხედე, მტრისას, ის რომ დღეში იყო. ეტყობა ქეჩამ სასულეს ჩაატანა და კაცი გაგუდა. პირისახეზე ისე დასიებულიყო, თვალები აღარ უჩანდა. თითქოს ნასიცხმა გამოაყარაო, წითელ-ყვითლად აჭრელებოდა ჩაფეთქილი ლოყები. ცოტაც კიდევ და ფეხებს გაჭიმავდა, ამდენი ჭაპან-წყვეტა ტყუილად ჩამივლიდა.

დავალება ვერ შევასრულე, ეს უდღეური მაინც მივიყვანო ნაწილში, გავიფიქრე და პირიდან ქეჩა გამოვუღე, მერე წყალი დავალევინე და ვუთხარი:

— რუჰე, შთილ, (ჩუმად, წყნარად!)

მალე გრძნობაზე მოვიდა. თვალებში სინათლე დაუბრუნდა. ერთხანს გაუნძრევლად იწვა მიწაზე. ეტყობა, კარავში ჭიდაობის დროს რაღაც ვატკინე, წამოჯდომა უნდოდა, წელი კი ვერ წამოიღო. ღრმად ამოიოხრა და გვერდზე გადაწვა.

— რუჰე, რუჰე! — ისევ გავაფრთხილე მე.

შევატყვე, თვალს მარიდებდა, თავი გვერდზე მიჰქონდა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც იქ ვიჯექი და ვისვენებდი, ჩემსკენ ერთხელაც არ გამოუხედავს.

ამან ცოტა გამაკვირვა, რადგან ასეთ დროს ტყვეები საერთოდ ძალიან დამფრთხალნი არიან, სულ თვალებში მოგჩერებიან და რამდენს მიბრუნდ-მობრუნდები, ან ერთ რომელიმეს ცოტა სხვანაირად გადახედავ, იგი მაშინვე ელდანაცემი მოგაპყრობს თვალებს, რას მიპირებსო.

ეს კი ზედაც არ მიყურებდა, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო, რასაც ვუზამდი: ტყვედ წავიყვანდი თუ აქვე სულს გავაცხებინებდი.

„დავიჯერო, ამ უდღეურს ასეთი გული აქვს!“

გამეცინა, ისეთი გაწრიპული კისერი ჰქონდა. ძალიან სრული კიტელი ეცვა, დაბალი საყელო უფრო წვრილად და უსუსურად აჩენდა იმ კისერს.

მარჯვენა გულჯიბე ამობრუნებული ეკიდა და ზედ თუთუნის ყვითელი მტვერი აჩნდა.

„ან იქნებ შიშისაგან ცნობა ჩაებინდა!“ გამიელვა თავში, თუმცა ამ სალდათს საამისო არაფერი ეტყობოდა.

არ მიყვარს ნამეტანი ცნობისმოყვარე ადამიანი, მაგრამ ახლა ძალიან მინდოდა ამ კაცის გულში ჩამეხედა. არ შემეძლო, თორემ უეჭველად გამოველაპარაკებოდი. გერმანულად მარტო ისეთი სიტყვები ვიცოდი, რაც ყველა უბრალო მზვერავმა უნდა იცოდეს: ადექი, დაწექი, ხელები მაღლა, ხმა არ ამოიღო, წინ წადი...

კარგად გათენდა, მე კი ჯერაც ვერ გავიგე, გამოვიარე თუ არა სახიფათო ადგილები. ამიტომ ავდექი და მასაც ვუთხარი, ადექი-მეთქი.

— რას ამტვრევ, კაცო ამ გერმანულს! — უეცრად ქართულად მითხრა მან და ცერად გადმომხედა: — ცოტა თოკი შემიშვი, ძარღვები ჩამიჭრა! არ გინდა სიარული შევიძლო?

ისეთი სუფთა იმერული კილო ჰქონდა, ქუთაისში ბაღის კიდეზე რომ გამიგონია.

— ქართველი ხარ, შე უპატრონო? — ვკითხე მე.

ხმა არ გამცა.

— შენ გეკითხები!

— ხომ ხედავ და რაღას მეკითხები!— უკმეხად მომიგო მან.

ბობრი ბიჭი იყო, ცისფერთვალება. ერთი შეხედვით ქართველს არა ჰგავდა, მაგრამ მისი პირისახის იერს კარგად რომ დავაკვირდი, უმალ მივხვდი, ეს ბიჭი ჩემი სისხლისა იყო.

„ალბათ, ტყვედ ჩავარდა და ახლა გერმანელები გზაზე ამუშავებენ!“ გავიფიქრე ერთი გაფიქრება. მაგრამ ეს, „გული“ არ დამეთანხმა. ეს რომ ჩვენი ბიჭი იყოს, კარავში წინააღმდეგობას არ გამიწევდა, ან აქამდე ჩუმად რა გააჩერებდა!

რამდენი ხანია, პირიდან ქეჩა გამოვუღე, მან კი ერთი ხმა არ გამცა, თავისი ვინაობა არ მითხრა...

— აქ საიდან მოხვდი, ბიჭო? — ვკითხე მე.

— თუ კაცი ხარ, შენ ახლა დაკითხვას და გამოძიებას ნუ დამიწყებ აქ! — მითხრა მან.

— გეტყობა, ძალიან გეშინია დაკითხვისა!

იგი ისევ გამიჩუმდა.

— რა გვარი ხარ? სადაური? — ვკითხე მე.

— ნურც მაგას მკითხავ. ვითომ გვარი არცა მქონია! — სთქვა მან და უცბად ჩაიცინა. მაგრამ მეორედ ღმერთმა ნუ გამაგონოს ასეთი სიცილი, თუ იმ ზმუილს სიცილი ეთქმოდა.

— მე რას მემალები, შე კაცო! განა იქ ვერ გამოარკვევენ, ვინცა ხარ!

ამ სიტყვებზე მან თვალებში პირველად შემომხედა და მითხრა:

— სწორედ მაგ არ მინდა, იქ რომ წამიყვანო!

— მეტი არაფერი გინდა?!

— შენ არ იფიქრო, რომ მეშინია, ტრიბუნალი გამასამართლებს და დახვრეტას მომცემსო...

— შუბლში არ გაკოცებენ.

— ვიცი, არ მაკოცებენ... მაგრამ ერთ რამეს გთხოვ და თუ გამიგებ, დიდი მადლობელი ვიქნები.

— შენი მადლობა შენთვის შეინახე. მითხარი!

— მაგ დივიზიას თბილისიდან მოვდევ... ოცეულის მეთაური ვიყავი! ახლა იქ ჩვენების წინ რომ ჩამატარებენ... ხომ იცი, რა თვალებით შემომხედავენ!.. ამას გადამარჩინე...

— ეს ადრე უნდა გეფიქრა!

— ჭკუა დამარიგეო, ამას იმიტომ კი არ გეუბნები, — მისაყვედურა მან და

ამით რალაცაში მაჯობა ამ საყვედურით.

— საშველი მომეცი... ჰქენი ამისთანა კაცობა!

მივხვდი, რაც უნდოდა, მაგრამ ასე ხელდახელ, ასე დაუფიქრებლად მე ამის გაკეთება არ შემეძლო. მე ჯარისკაცი ვიყავ და არა მკვლელი. აქ კი ახლა ისეთი გარემოება იყო, ეს შეიძლება მკვლელობას დამსგავსებოდა.

მგონი მიმიხვდა, რასაც ვფიქრობდი და პირდაპირ მითხრა:

— იქით ახალი გადასული ვარ. იმდენი არაფერი ვიცი, რომ ჩვენებს სარგებლობა მოვუტანო...

მოვკვდი კაცი, ეს რომ გავიგონე. გაყიდულ ამხანაგებს მაინც ჩვენებს ეძახდა!

—ასე როგორ გაგიწყრა ღმერთი, იმათთან რამ მიგიყვანა!

— ჯანდაბამ. გულს ვეღარ მოვერიე... ოცდაჩვიდმეტში მშობლები ციმბირში დამიკარგეს... იქიდან დაიწყო ყველაფერი.

— შენ დღეში სხვაცა ყოფილა, მაგრამ ეგრე ყველაფერზე როდი გადაუფურთხებია!

— სხვამ გაუძლო, მე ვერ გავუძელი და ხედავ, ბოლმამ სად გადამაგდო!

ღრუბლიანი დილა იყო. გარშემო ისეთი სიჩუმე იდგა, აბა ვინ იფიქრებდა, რომ მთელი უღელტეხილი სავსე იყო ერთმანეთზე დამიზნებული ქვემეხებით, ტყვიამფრქვევებით, თოფებითა და საცაა, აქ მეორედ მოსვლა დაიწყებოდა.

შეიძლება ამ სიჩუმის ბრალი იყო, რომ თავში ერთი უმაქნისი აზრი მომივიდა.

— იქნებ გაპატიონ...

ეს რომ ვუთხარი, მან ისევ ჩაიცინ-ჩაიზმუვლა.

— არა... არ მაპატიებენ და არც მინდა, რომ მაპატიონ! ახლა უკვე აღარაფერი არ მინდა. მეგონა, შურს ვიძიებ და დავწყნარდები მეთქი... არ გამოვიდა. უფრო გავწვალდი. კი უნდა მცოდნოდა, რომ ღალატი შურისსაძიებლად არ გამოდგებოდა!

აქამდე კიდევ ვფიქრობდი, რომ იგი ცოტას თვალთმაქცობდა და რალაც ანგარიშის გამო, ჩემი გრძნობების აშლა უნდოდა.

ამ სიტყვების მერე კი ყოველივე ეჭვი გამიქრა. მისი ყოვლად უსასოო ხმა მხოლოდ ერთ რამეს მეუბნებოდა — ეს ბიჭი ახლა უკანასკნელ საზღვართან იყო მისული. ამ საზღვრის გადალმა არავითარი ანგარიში და ანგარება არ შეიძლება ყოფილიყო.

ამ წუთში ისიც შემებრალა და ჩემი თავიც შემეცოდა.

— რალა მაინცა და მაინც შენ გადაგაწყდი, შე ოჯახქორო! — ვთქვი მე.

მან თავი წამოსწია და თვალებში შემომხედა.

— შენ თუ გეძნელება, იცი რას გეტყვი? მომეცი ეს მეორე ავტომატი... შიგ ერთი ტყვია ჩატოვე და მომეცი!

„კაცის გული ვინ გამოიცნოს!“ — ვაფიქრე მე, — „იქნებ მართლა ჭკუაში მატყუებს. ერთი ტყვია თუ მისთვის კმარა, ჩემთვისაც ასევე იკმარებს!“

ამასაც მიმიხვდა, სწრაფად დამამშვიდა:

— თუ არ მენდობი, შენ ეგერ კლდეს მოეფარე. წასვლით ვერსად წაგივალ, ძალიანაც რომ მოვინდომო!

კიდევ მაჯობა ამ უდღეურმა...

...ამ დროს მიწურში კაშიამ შემოიხედა. კაპიტანი გეძახისო, უთხრა ჯაიანს.

— რა უნდა, თუ იცი.

— ახლავე მოვიდესო.

მამიამ ბოდიში მოიხადა, მალე დავბრუნდებიო და წავიდა.

წასული არ მეგონა, უკანვე მოირბინა და მითხრა, იმ გადარეული გერმანელის საძებრად მივდივარო.

— ეს ბუქი რომ დააყენა?

ჯაიანმა თავი დამიქნია.

— ნიშანი კიდევ გამოუცვლია და რკინიგზის ხიდთან ორი ყუმბარა დაუგდია. თუ ახლავე არ ვიპოვნეთ, შეიძლება ხიდს რამე დამართოს. ძალიან კი ვწუხვარ, არ დაგვაცალეს ლაპარაკი. — მითხრა მან.

— არა უშავს. ხვალ-ზეგ ისევ ჩამოვალ. ახლა ვერ მოგცილდები, ხომ იცი!

— ბატონი ხარ. როცა გენებოს...

მათარა წყლით აავსო. ერთ ჯიბეში სანიტარული პაკეტი ჩაიდო, მეორეში ავტომატის სანაცვლო დისკი და ძუნძულით მიაშურა გზის პირას მომლოდინე მანქანას.

ეს იყო და ეს. იმ დღის მერე მამია ჯაიანი აღარ მინახავს.

ბელბეკში მეორე კვირას ჩავედი. ბატალიონი იქ აღარ დამიხვდა. ჩვენებმა იმ დღეებში რუმინეთის მიწა-წყალზე დიდი საზღვაო დესანტი გადასვეს. ჯაიანის ნაწილი იმ დესანტს გაჰყოლოდა.

მე კი დღესაც არ ვიცი, როგორ დამთავრდა ის დრამა ბაქსანის ხეობაში... რა ჰქნა ჯაიანმა! წამოიყვანა ის ცოდვისშვილი, თუ მარტო დასტოვა ერთ სანტრელ ტყვიასთან...

მინაწერი:

ბევრი გეძებე, მამია ჯაიანო! სად არ მივიკითხ-მოვიკითხე... შენი კვალი ველარსად ვიპოვნე.

იქნებ ცუდად გეძებე... იქნებ დაგზოგა იმ დაუზოგავმა და ახლა ის შენი ძველი წერაქვი ისევ ხელში გიჭირავს და სადმე მთაში დაეხეტები. მაშინ ხმა მომაწვდინე! შევხვდეთ ერთმანეთს, რომ შუაზე გაწყვეტილი სიტყვა გავაგრძელოთ.

სიმფეროპოლი — მცხეთა
1944—1965

ერთი ღამის საუკუნე

კაცმა რომ მკითხოს, დამისახელე ერთი ქართველი ჯარისკაცი, ვინც ამ წლების მანძილზე ყველაზე მეტად დაგამახსოვრდაო, მე ბევრი ფიქრი და ძიება არ დამჭირდება — მაშინვე თვალწინ დამიდგება ქვეითი მეზღვაურების მზვერავი გიორგი მუმლაძე.

მართალია, მჯობნთა მჯობნი არ დაილევა, მაგრამ ეს ხაშურელი ბიჭი ყველაში იმიტომ გამოვარჩიე, რომ იგი ცოტა სხვანაირი ზნისა და თვისების კაცი იყო.

სხვანაირი.

აქ ამ სიტყვაში არ იგულისხმება ვაქკაცობა, მოხერხება, ან სამშობლოს სიყვარული, თუმცა გიორგი მუმლაძე არავის არაფერში ტოლს არ დაუდებდა.

მუმლაძემ ჩემი ყურადღება უპირველეს ყოვლისა იმით მიიპყრო, რომ იგი უკან, შინისაკენ არ იხედებოდა და სხვებივით წარამარა არ ოხრავდა, ეს დასაქცევი ომი როდის გათავდებაო.

„როცა გათავდება, მაშინ გათავდება!“ იტყოდა იგი და მეორედ ამ საგანს აღარ მიუბრუნდებოდა.

მუმლაძე სხვებზე მალე შეეგუა საფრონტო ჭირვარამს. იგი ადვილად მოერგო ბუდიდან ამოვარდნილ ცხოვრებას და ამ მიწურიდან, ამ ტალახიან სანგრიდან სხვაგან არსად არ ეჩქარებოდა. ამიტომ იგი ბრძოლაში საშიშარი კაცი იყო. კოლია ტერეშჩენკოს მითხრა, ვისაც მუმლაძე ამოიჩემებს და თვალს დაადგამს, იმას მერე ველარაფერი უშველისო.

ეს არ იყო ლიტონი სიტყვა, ამაში მალე დავრწმუნდი, მხოლოდ ჯერ მინდა გავიხსენო ჩვენი პირველი შეხვედრა ჩერქეზეთში. ფსექუფსის ტყეში, სადაც ჩვენი ნაწილები თავს იყრიდნენ, რომ „ცისფერი ხაზის“ სუსტი ადგილები მოესინჯათ.

წვიმდა.

დიდი წიფლის ძირში მზვერავების უსტაბაშს კოლია ტერეშჩენკოს ვესაუბრებოდი. ამ დროს ჩვენთან ერთმა ახალგაზრდა ლეიტენანტმა მოირბინა და კოლიას უთხრა:

— არ ვიცი რა ვუყო ამ მუმლაძეს! ღამის ძიებაში მიჰყვება ბიჭებს. ჭირვ მოვჭამე, ნუ წახვალ-მეთქი... ჩემი სიტყვა ყურში არ შეუშვა. იქნებ შენ მოე-

ლაპარაკო, კოლია. ხომ იცი, ახლა მაგის გაშვება არ იქნება. ამ გამწარებულ გულზე იქ შეიძლება რამე ვერ მოზომოს და თავი წააგოს!

— მე კი დამიჯერებს?!

— შენი დიდი ხათრი აქვს.

— კარგი, ახლავე წამოვალ, — უთხრა კოლიამ, მაგრამ სანამ წავიდოდა, მე გულმა არ მომითმინა და ვკითხე, ვინ არის ეს მუმლაძე, ორი ლეიტენანტი რომ ვეღარ აკავებს-მეთქი.

— ჩვენი მზვერავია, ძალიან კარგი ბიჭია. მხოლოდ ამასწინათ დიდი უბედურება დაატყდა თავს... წამოდი, გაგაცნობ, შენ თვითონ გამოელაპარაკე.

— დაღამდება. ჩვენსკენ მიმავალ მანქანას ვეღარ ვიპოვნი.

— არ წააგებ. მზვერავად დაბადებულაო, რომ იტყვიან, სწორედ ეგ არის!

— ეს კაცი პოეტად დაბადებულაო, ასე კი გამიგონია, ჩემო კოლია, თუ მზვერავზედაც ამას იტყოდნენ...

— იტყვიან, იტყვიან! — შემაწყვეტინა კოლიამ: — თუ ეს ეგრე არ არის, აბა ვინ მისცა ამ ჯეელ ბიჭს ამდენი მიხვედრა და გულისყური! რაგინდ ჩახლართულ ამბავს არ უნდა გადააწყდეს, უმალვე მოჭრის და შენ წარმოიდგინე, გუმანი არ უღალატებს. სანამ ჩემთან მოხვდებოდა, ბატალიონის შტაბში ტელეფონისტად მუშაობდა, კაცი ყურადღებას არ აქცევდა. მაგრამ ერთხელ...

ერთხელ იერიშზე გადასულ ბატალიონს ტელეფონის ხაზი გაუწყდა. მუმლაძემ და მისმა მეწყვილემ დაზიანების ადგილი მალე იპოვნეს, მავთულის თავები ერთმანეთს გადააბეს და უკან გამობრუნდნენ.

ერთ ადგილას მუმლაძის ყურადღება იელის ბუჩქებმა მიიპყრო. ეს იყო ხევის პირას. იელის ფოთოლსა და ყვითელ ყვავილებს ალაგ-ალაგ ჭკნობა შეპარვოდა...

რატომ მაინც და მაინც ხევის პირას მოიწყინა იელმა და არ მოიწყინა, ვთქვათ, აგერ იმ ფერდობზე, ან იქ, გზის გასაყართან, ან კიდევ ტყისპირას...

საითაც არ უნდა მიატრიალო ეს ფერბინდი, იელი ყველგან თამამად ბრიალებს და მხოლოდ ერთგან, ხევის პირას გასწყრომია ღმერთი და ყურები ჩამოუყრია!

რა არის ეს, ბუნების კაპრიზი თუ კაცის ნამრუდალი?

— რამე ისეთი რომ იყოს, უეჭველად გვესროდნენ, — სთქვა მუმლაძის ამხანაგმა, — ჩვენ იმ ხევს ძალიან ახლოს ჩავუარეთ!

მუმლაძე არ დაეთანხმა.

— ორნი ვიყავით და იმიტომ არ გვესროლეს. ერთი წვეთი წვიმა ჭექა-ქუხილად არა ღირსო! აბა ოცი და ორმოცი კაცი ყოფილიყო!

ამხანაგს გაეცინა.

— ე, ბიჭო, ბუზი სპილოდ ნუ გადააქციე! ბუჩქი ზოგი ასე გაიზრდება და ზოგი ისე. არსად წამოგცდეს, თორემ მასხრად აგვიგდებენ, ნამეტანი შეშინებიათო!

მუმლაძემ უკან არ დაიხია, დაცინვას კაცი არ მოუკლავსო, სთქვა მან და ნაწილში რომ დაბრუნდა, თავისი დაკვირვება მზვერავთა ოცეულის მეთაურს გაუზიარა.

კოლიას ეს ამბავი ჭკუაში დაუჯდა, მაშინვე შეკრიბა ათი-თორმეტი კაცი, წაიღო ხელის ტყვიამფრქვევი და იმ ხევის მიმართულებით ტყუილი იერიში მიიტანა.

მეზღვაურებმა ჯერ სროლა გაახურეს, მერე ღრიანცელი ასტეხეს და სანგრიდან ჯოხებზე ჩამოცმული მუზარადები ამოსწიეს...

შემჭკნარი იელის ბუჩქებმა იმ წამსვე ხმა ამოიღეს. მოისმა მძიმე ტყვიამფრქვევის დაგადუგი, წამოვიდა ნაღმების სეტყვა.

ამ პატარა იმიტაციამ ძალიან საშიშარი ძელმიწური გამოამჟღავნა. კოლიას და მუმლაძეს მადლობა გამოუცხადეს. იმავე საღამოს ტერეშჩენკომ ბატალიონის მეთაურს პატაკი მისცა და გიორგი

მუმლაძე მზვერავთა ოცეულში გადაწერეს.

— ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა, — განაგრძო კოლიამ: — სანამ ის ამბავი მოხდებოდა, მაგაზე თავშეკავებული და აუღელვებელი კაცი ოცეულში მეორე არ მყავდა. ამიტომ ყველაფერში ვენდობოდი. შარშანდელი ზამთარი ჩვენ შედარებით წყნარად გავატარეთ ტუაფსეს მიდამოებში. წინ არც ჩვენ მივდიოდით და არც ისინი იკლავდნენ თავს. დრო და დრო ავტომატების ბათქა-ბუთქით თუ შევეხმიანებოდით ერთმანეთს. ცოტას გავისეირნებო, მეტყოდა ხანდახან მუმლაძე. მეც არ დავუშლიდი ხოლმე. იგი შეეჩვია ერთ სოფელს, სადაც რუმინელები იზამთრებდნენ, და ამ „სეირნობის“ დროს მეტად საჭირო ცნობებს აგროვებდა. ერთი წითელი დროშის ორდენი სწორედ იმ წყნარ ზამთარში მიიღო გიორგი მუმლაძემ.

წვიმამ ლაპარაკი არ დაგვაცალა. ისეთი თქეში წამოვიდა, სიგარეტი სახელოში ვერ დავმალე. ერთი ცერისოდენა წვეთი მაინც მოხვდა და თამბაქო ხელში ამიზილა.

თავიდან ფეხამდე მოსასხამებში გავეხვიეთ და ნაბიჯს ავუჩქარეთ.

დაღამდა.

ბევრი ვიწვალეთ, სანამ ვიწრო ბონდზე გავიდოდით. ბნელში ტალღები არა სჩანდნენ, მხოლოდ შხეფები გვცემდა პირისახეზე.

კოლიამ სთქვა:

— დღეში ორჯერ გავდივარ ამ ბეწვის ხიდზე, მაინც ვერ დავიმახსოვრე, რა და რა ადგილას არის ჩელტი ჩამტვრეული! აბა ერთი მუმლაძესა ჰკითხე, ზეპირად გეტყვის ყველაფერს!

„ეტყობა, მართლა ვარგა ის ბიჭი!“ — გავიფიქრე მე.

გალმა რომ გავედით, წინ სადღაც შენიღბული სინათლის მკრთალი ლურჯი ზოლი შეირხა, სველი მინდორი შემოირბინა და გაუჩინარდა.

— მივედით,—სთქვა კოლიამ და გზიდან გადაუხვია.

ახლო-მახლო კაცის ბიბური არ ისმოდა, მხოლოდ ის ლურჯი ზოლი ისევ დაფათურობდა მინდორში და ისევ წვიმდა გადაუღებლად.

დრო და დრო მდინარის მხრიდან ქარი წამოუქროლებდა და სველ ფოთოლს თავპირში მოგვაბნევდა.

— ცოტა ხანს აქ მომიცადე, ცუდი ჩასასვლელია, — სთქვა კოლიამ და წვიმაში სადღაც გაჰქრა. მერე კარმა გაიჭრიალა, კოლიამ ნავთის ფარანი მომაშუქა, სრიალა ფერდობზე ჩამიძღვა და მიწურში შემიყვანა.

მოსასხამი მოვიხადე. კოლიამ სკამი მომაწოდა, დაბრძანდიო. მერე საველე ტელეფონის აპარატს მიუჯდა. სანამ გაგონებდნენ, სახელურს კარგახანს ატრიალებდა. მუმლაძე მოვიდესო უთხრა ვიღაცას.

მივიხედ-მოვიხედე. აქ დაბრძანება და დასვენება მართლაც რომ შეიძლებოდა. მიწურის პირობაზე კოლიას სადგომს დასაწუნი არაფერი ჰქონდა. ორი სკამლოგინი, ქვეშაგებით გაწყობილი, მაგიდა, სკამები. კედლის თაროზე პატარა სარკე, სამართებელი, საპონი, ფუნჯი. თუ გინდა, დაჯექი და მთელი კვირის ჯაგარი ხელდახელ მოიშორე.

სადღაც კუთხეში მგონი თუნუქის ღუმელსაც მოვატანე თვალი. მაღლა რომ ავიხედე, ისეთი კოჭები დავინახე, ერთმანეთზე ორმაგად დაწყობილი, უკეთესი ნუ გინდა. ეს მიწური „ჩოხის ქილებს“ კი არა, ქვეყნის დაქცევას გაუძლებდა.

გერმანელები დღე და ღამე თავზე გვაყრიდნენ ერთი ციცქნა გრანატებს, — ისინი ბატიბუტივით ფეთქდებოდნენ ხან აქ, ხან იქ. მხოლოდ მტრისას, ვინც იმას გადააწყდებოდა. ჩოხის ქილის ოდენა იყო, ძალა კი მხეცისა ჰქონდა.

კოლიამ შემატყო, რომ მისმა ბინამ თვალი მომტაცა და ჩუმად ჩაიცინა.

— ამ ერთში მაინც გამომადგნენ ეს ძაღლიშვილები! რაც აქედან მოუსვეს,

ცოტა კაცურად მძინავს, ხან აი ისეთ მორთულ ბინას დამახვედრებენ, ხან კიდევ იმისთანა წითელ ბორდოს დამიტოვებენ, დასალევად არ მემეტება! ერთხელ პატეფონიც კი არ დაიშურეს, აქაო და ჩემო კოლია, მაგ ღვინოს კარგი სიმღერაც მოუხდებაო. ერთი სიტყვით, ხომ ატყობ, ამ სოფლებში გამოზამთრებას აპირებდნენ, მაგრამ...

კართან ვიღაცამ ჩაახველა.

— შემოდი! — გასძახა კოლიამ.

შემოვიდა მაღალი ტანის ბიჭი. შემოსვლისთანვე კოლიას გამოეჭიმა და ოდნავ ხრინწიანი ხმით მოახსენა, უფროსი სერჟანტი გიორგი მუმლაძე გეახლათო.

— გამარჯობა, — უთხრა კოლიამ, — წავიდნენ თუ წვიმის გადაღებას უცდიან?

— მე მიცდიან, — მიუგო მუმლაძემ.

თვალი ძლივს მოვატანე, ისე ჩუმად ჩაიცინა კოლიამ

— შენ დარჩი, გიორგი. აგერ გაზეთიდან კაცი მოვიდა, შენთან ლაპარაკი უნდა.

— როგორც თქვენ ბრძანებთ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! — მიუგო მუმლაძემ.

— რომ არ გიბრძანო და მხოლოდ მეგობრულად გთხოვო? — ჰკითხა კოლიამ.

— მაშინ მეც მეგობრულად ვეტყოდი ამ ამხანაგს, ლაპარაკის ხასიათზე არა ვარ-მეთქი! — წარბშეუხრელად მიუგო მუმლაძემ.

— კარგი, — ამოიოხრა კოლიამ. — ბრძანებად ჩათვალე, რაც გითხარი — მერე ჩემსკენ მოტრიალდა, — წავალ, ბიჭებს გავისტუმრებ და მალე დავბრუნდები. მანამდე კი მასპინძელი შენ იყავი, გიორგი. ცხელი ჩაი თუ გინდათ, ყველაფერი მანდ არის!

წავიდა.

მუმლაძესთან მარტო რომ დავრჩი, ცოტა ნირი წამიხდა და კარგახანს ხმა ვერ ამოვიღე.

ჯარისკაცებთან გამოლაპარაკება და საერთო ენის გამონახვა არასოდეს არ მიჭირდა, საუბრის სათავეს ადვილად მივაგნებდი და რაგინდ ენაგაწყვეტილი კაცი არ შემხვედროდა, ბოლოს მაინც ავალაპარაკებდი.

ახლა კი, ამ ორი კაცის საუბარს რომ დავესწარი ეს მუმლაძე ცოტა სხვანაირ ბიჭად მომეჩვენა და პირველი სიტყვა საძებარი გამიხდა.

არა და, ასე ერთი შეხედვით, მუმლაძე ძალიან მომეწონა. უპირველეს ყოვლისა, თვალში მეცა მისი მხედრული აღნაგობა. ბეჭები რომ შეარხია და მეთაურს გამოეჭიმა, ერთ კაცად მარტო ეს ღირდა.

მწევარივით ბიჭი იყო. ტანხმელი და ძარღვიანი. ჩვენში სწორედ ამისთანა ბიჭზე იტყოდნენ, ერთი ფეხი რომ დაჭკრას, პავლია ჩიხლაძის ღობეს გადაახტებაო. პავლია ჩიხლაძის ღობე-ყორე ყველაზე მაღალი იყო სოფელში. გზაზე ცხენიანი კაცი რომ ჩაივლიდა, პავლიას ეზოდან მარტო მისი ჩაბალახი გამოჩნდებოდა.

გიორგი მუმლაძე უფრო კი იმიტომ მომეწონა, რომ მისი ქცევა და სიტყვა-პასუხი მოკლებული იყო იმ შემბორკავ სალტეებს, რაც მუდამ თან ახლავს ჯარში დაწესებულ უფროს-უმცროსობას.

მუმლაძეს თავისუფლად ეჭირა თავი, ამავე დროს მისი ეს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა სავსე იყო კაცური ღირსებით, უფროსისადმი პატივისცემით და არა იმ საძაგელი შინაურულობითა და ძმა-ბიჭობით, უფროსთან შეთამამებულ ხელქვეითს რომ ახასიათებს.

— იქნებ მართლა ჩაი გნებავთ? — მკითხა მუმლაძემ, თუმცა ეტყობოდა, მაინცა და მაინც არც მასპინძლობის გუნებაზე იყო.

— კი დავლევდი ერთ ჭიქას. — ვთქვი მე.

მუმლაძემ თოფი კუთხეში მიაყუდა, სველი ქუდი მუხლისთავზე დაიბერტყა და ღუმელთან აფუსფუსდა.

— მაშ თქვენ კორესპონდენტი ხართ? — მკითხა მან.

— ჰო, გაზეთში ვმუშაობ!

— უცნაური ხალხი ყოფილხართ ეს კორესპონდენტები!—სთქვა მან და ისე ამხედ-დამხედა, თითქოს ახლაღა დამინახაო: — ან არ იცით, რა არის ომი, ან კიდევ გინდათ, რომ წამკითხველს თვალები აუჭრელოთ!

— მაინც რას გვიწუნებ, ჩემო გიორგი? — ეს ჩემო ცოტა გამიჭირდა, მაგრამ კაცის გულთან მოკლე ბილიკს ვეძებდი და უკან აღარ მოვიხედე.

— წაიკითხე დღევანდელი გაზეთი?

— მთელი დღე გზაში ვარ, ვერ მოვასწარი! — ვუთხარი მე, თუმცა მოსასწრები რა მქონდა, ნახევარი გაზეთი ჩემი დაწერილი იყო.

მუმლაძემ უბეზე ხელი გაიკრა და ოთხად დაკეცილი ფურცელი ამოიღო

— აბა უყურე, რასა სწერს! „ჩვენი ბიჭები ვეფხვებივით ჩაუხტნენ სანგრებში გერმანელებს და ხელჩართულ ბრძოლაში მრავალი ათეული ფაშისტი გაჟლიტეს. მარტო ერთმა მებრძოლმა ანდრო ჩიქვინიძემ ჩვიდმეტი გერმანელი გამოასალმა წუთისოფელს“... ჩვიდმეტი გერმანელი! ვიწრო სანგარში, ერთმა კაცმა, ისიც ხელჩართულში! ეს რომ ასე იყოს პატივცემულო უფროსო, მაშინ ამ არამზადებს აქ რა მოიყვანდა, ჩვენი სახლის ყურის ძირში?!

— მაშ თქვენი აზრით...

— არა, მოიცათ, — შემაწყვეტინა მან, — თქვენ სხვანაირად არ გამიგოთ! ჩვიდმეტი კი არა. მე ვიცი ერთი მეტყვიამფრქვეველ. ორჯერ და სამჯერ ჩვიდმეტიც რომ დაუწვენია! მაგრამ ეგრე კი არა, აქ რომ სწერია! კაცო, იმ ვიწრო სანგარში მოტრიალება არ გინდოდა ან ავტომატის ხმარება, ან გრანატის მოქნევა! ეს ჩვიდმეტი კაცი ხელფეხშეკრული ხომ არ ეყარა მიწაზე!

— ზოგჯერ ჩვენც გვეშლება ხოლმე!

— ეს არ უნდა შეგეშალოს. იქნებ ვინმეს ჰგონია, ამით ჯარისკაცს ვეხმარებიო, აქაო და გერმანელის მოკვლა ძალიან ადვილიაო! სად და როგორ — ეს თუ ვერ გაარჩიე, წამკითხველი არ დაგიჯერებს! განა მე არ ვიცი, რომ გამოუცდელ მებრძოლს გამხნევება და წაქეზება სჭირდება, მაგრამ ასე კი ძრა, ცარიელი სიტყვების რახარუხით...

მინდოდა, სათქმელი ბოლომდე ეთქვა, ამიტომ აღარ შეეედავე, ვაი-თუ დაფრთხეს და მთლად გაჩუმდეს-მეთქი.

— იცით, ერთხელ კოლიამ რა გააკეთა! მაშინ ეს ჩვენი ბიჭები ახალი ჩამოსულები იყვნენ. ჯერ თოფის ხმაც არ გაეგონათ. იმ დღეებში მტერმა პირი იბრუნა და გაიქცა. ერთი ჰაიჰუით დავედევნეთ, ხან სად შევიმწყვდიეთ და შავი დღე დავაყენეთ, ხან სად... მაგრამ ბიჭები გაკვირვებულნი იყვნენ, ეს ამდენი ტყვია სად მიდისო, დახოცილებს რატომ ვერ ვხედავთო. კოლიამ კი იცოდა, რაშიც იყო საქმე! გაქცეულები წელებზე ფეხს იდგამდნენ, რომ ჩვენი ხელით მოკლული გერმანელი ჩვენ არ დაგვენახა — აქაო და გერმანელს თქვენი ტყვია არა ჰკლავსო! მოკლულები მაშინვე თან მიჰქონდათ მესაფლავეთა ოცეულებს და ჩუმად მარხავდნენ. მაშინ კოლიამ ერთი რაზმი გამოჰყო და იმ მესაფლავეებს გზა მოუჭრა. მკვდარმა კი არა, ცოცხალმა ვერ გაგვასწრო. ვნახეთ, რა ვნახეთ! მთელი მინდორი გვამებით იყო მოფენილი. „აჰა, თუ არა ჰკლავსო!“ სთქვა მაშინ კოლიამ.

გაოცებული შევყურებდი ამ ახალგაზრდა ბიჭს. გამახსენდა კოლიას სიტყვები, გიორგი მუმლაძის ხელში ჩემი მტერი ჩავარდაო, — თუმცა ჩავარდნილია და ეგ არის...

კარდალაში წყალი აჩუხჩუხდა.

— მობრძანდით, — მითხრა მუმლაძემ და მაგიდაზე თუნუქის ვეება ტოლჩები შემოდგა. მალე იმ ტოლჩებს მხარი დაუმშვენა კონსერვის ქილებმა.

გიორგიმ პური დაჭრა, მერე საიდანღაც ხახვის თავები გამოაძვრინა.

— მდიდარი ხალხი ყოფილხართ, — ვთქვი მე.

— სასმელის მეტი არაფერი გვაკლია. სასმელსაც იშოვიდა კაცი, მაგრამ ახლა ხელი მოგვიჭირა ჩვენმა მეთაურმა.

— მოხდა რამე?

— ამ გაზაფხულზე ერთმა ბიჭმა ძალიან აგვირია. საღღაც არაყი ეშოვნა და ჩუმად დამთვრალიყო. შევხედე, პირში ენას ვერ აბრუნებდა. მიწურში ჩავიყვანე, დავაწვინე, უფროსმა არ დაგინახოს-მეთქი. რა ვიცოდი, ჭკუიდან გადასულიო თუ იყო, თორემ მარტო როგორ დავტოვებდი! ერთხანს კი იყო გასუსული, მერე რაღაცამ წამოუარა, მიწურიდან გამოვარდა, ფურგონის ცხენს ზურგზე მოახტა და ურაო, დაიძახა. სანამ მე რამეს მოვისაზრებდი, ის უკვე ცხენს მინდორზე მიაჭენებდა. მაინც გამოვეკიდე, დავუყვირე, დაბრუნდი, მოგკლავენ მეთქი! აპა! უკან არც მოიხედა... ასე ურას ძახილით ცხენი პირდაპირ მდინარეში შეაგდო. გაღმა გერმანელები იყვნენ, მაგრამ მათი მხრიდან ერთი თოფი არ გავარდნილა, ალბათ იფიქრეს, აქ რაღაც სხვა ამბავია, თორემ როდის იყო, ერთი კაცი იერიშზე მოდიოდაო. კოლიაც მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო, გადმოიღო თოფი და პირველივე ტყვიით ცხენიდან ჩამოაგდო ის უბედური ბიჭი. ასე იყო ეს ამბავი. ახლა კოლია თავს წაგაცლის პირიდან არყის სუნი რომ ამოგვიდეს!

— ქართველი იყო?

— ვინც იყო — იყო!

აღარ ჩავაცივდი. ალბათ არ იყო სათქმელი და არ მითხრა.

კოლიამ დაიგვიანა. მუმლაძემ კი მარტო ვერ დამტოვა, მოეხათრა და ძალაუნებურად კაი გრძელი საუბარი გამოგვივიდა.

ბოლოს გავბედე და ვკითხე:

— თუ კაცი ხარ, მითხარი, წელან იმ ბიჭებს რატომ არ გაგაყოლეს?

შევატყვე, ჩემი კითხვა არ ესიამოვნა. მაგრამ რატომღაც არ გამიჩუმდა. ცივი ჩაი ორი-სამი ყლუპით გამოსცალა და მერე მითხრა:

— ცხოვრებაში შეცდომა ვის არ მოსვლია, მაგრამ შეცდომა შეცდომას გაახნია. ის, რაც მე დამემართა, დღემდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვის.

კაცი ახლა მოკლულივით იყო და მეც აღარ ვკითხე, ასეთი რა მოხდა მეთქი. მასაც მეტი არაფერი უთქვამს. მხოლოდ წასვლისას კი მითხრა, ხვალ დილით კაბარდინკაში მივდივარ, თუ იქით რამე საქმე გაქვთ, ერთად წავიდეთო.

— „სადაც გინდა, იქ წამოგყვები“ — გავიფიქრე მე.

კაბარდინკა ერთი პატარა სოფელი იყო გელენჯიკის მახლობლად. თეთრად შელესილი სახლები ზღვისპირს გადაჰყურებდნენ, მათი ანარეკლი წყალში ისე ცახცახებდა, თითქოს ჩაძირული სოფელი მაღლა ამოდიოდა.

ომამდე ამ სოფელს არც სილამაზე აკლდა და არც დოვლათი. ახლა აქ ყველაფერი ნაცარტუტად იყო ქცეული. მხოლოდ ერთგან, ზღვისპირას, გენერალ ლესელიძის შტაბს სათვალთვალო კოშკი დაედგა, თვალყურს ადევნებდნენ ნოვოროსიისკში გამაგრებულ გერმანელებს.

ნაშუადღევს იმ სოფელში ვიყავით. მუმლაძემ ერთი ხის ძირას გამაჩერა და მითხრა, მე რომ ჭკუა მქონოდა, აქ ეს საფლავი არ გაითხრებოდაო.

გული ჩამწყდა, ამ მგელივით ბიჭმა სიტყვას იმდენი ნაღველი ამოაყოლა.

— ჩემი უფროსი დაი, თამარი, სანიტრად მუშაობდა გელენჯიკში. ჩვენი ნაწილი კი გაღმა იდგა, წაბლის ხევში. ამ გაზაფხულზე თამარმა წერილი მომწერა, შენთან გადამიყვანე, ერთად რომ ვიქნებით, უფრო კარგიაო!

„გამიწყრა ღმერთი, დავუჯერე! კოლიას შევეხვეწე და მეორე დღესვე თამარი ჩვენთან გადმოაბარგა. გამიხარდა, რაც არ უნდა იყოს, თამარი მაინც ქალია, ჩემთან რომ იქნება, ომის ჭირვარამს ცოტათი მაინც შევუმსუბუქებ, უფრო მივხედავ-მეთქი. ამას ვფიქრობდი, მაგრამ ასე არ გამოვიდა“.

ხმა აუკანკალდა. უცბად შემომხედა და გამიღიმა. თვალებში კი ცრემლი ედგა. იმ უადგილო ღიმილით უდროო ცრემლის შეწყნარებას მთხოვდა.

ეს მოხდა ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხნებთან.

მეზღვაურებს პირდაპირ სული ამოართვა ერთმა ძელმიწურმა. იგი სადღაც ქარხნის ნანგრევებში იყო დამალული. მუმლაძის ოცეულს გზა დაუკეტა, სანგრიდან ამოსვლის საშუალება არ მისცა. დანარჩენი ოცეულები კარგახანია წინ წავიდნენ და იერიშის თადარიგს შეუდგნენ, ესენი კი აქ ჩარჩნენ და ერთ ადგილს ტკეპნიდნენ.

— ღამე კი იყო, — სთქვა მუმლაძემ, — მაგრამ ეტყობა, მტერმა ჯერ კიდევ დღისით დაგვკრა თვალი და ჩვენი თავშეყრის ადგილი მიზანში ამოიღო. მიწაზე გაგვშალა და თავი არ აგვაწევინა.

კოლიამ დამიძახა და მითხრა, რაც გინდა მთხოვე, ოღონდ წადი და იმ ძელმიწურს რაიმე ნიშანი უპოვნეო. თუ არტილერია არ დავიხმარეთ, ჩვენ აქედან ფეხს ვერ მოვიცვლითო. კარგი-მეთქი, ვუთხარი. მერე სასინჯად მუზარადი მოვიხადე და სანგრის პირზე შემოვდე. მაშინვე უკან გადმოვარდა. მაინც წავედი. აქ კაცი ტყეილა ნუ იტყვის, არ მეშინიაო. სიკვდილისა ყველას ეშინია, მხოლოდ ზოგი მალავს ამ შიშს, ზოგი კი ვერ მალავს. მეც ალბათ გარედან არაფერი მეტყობოდა, ამიტომ გაჭირვების დროს კოლია პირველად მე დამიძახებდა ხოლმე. შენ ყველაზე გულადი კაცი ხარო, მეტყოდა, და მეც ხმას როგორ ამოვიღებდი, არა ვარ-მეთქი. ჩუმად ვიყავი, რომ კოლიას თვალში არ დავპატარავებულიყავ.

ასე იყო თუ ისე, ეშმაკს მივაფურთხე და წავედი. კოლიას დავუბარე, თუ დამაგვიანდეს, თამარს მიხედე, არაფერი ისულელოს და საძებრად არ წამოვიდეს-მეთქი.

ასე დაიწყო ერთი ღამის საუკუნე გიორგი მუმლაძის ცხოვრებაში.

ხშირი სროლის მიუხედავად, მუმლაძემ დრო კარგად შეარჩია და სანგრიდან ადვილად ამოვიდა. მხოლოდ ქუქიაყო, ძალიან ბნელოდა. გიორგის თავზე განუწყვეტლად გადადიოდა ფერადი ტყვიების ნაკადი. მისი მკრთალი გამონაშუქი მიწამდე ვერ აღწევდა და მზვერავმა კარგახანს გეში ვერ აუღო იქაურობას.

გუშინსაქეთ ძალიან შეიცვალა ქარხნების თვალგადაუწვდენელი ეზო-გარემო. აქ ახლა არაფერი არაფერს აღარ ჰგავდა. ღამე კი არა, დღეც რომ ყოფილიყო, მაშინაც კი ამ ჯანდაბაში კაცი გზას ვერ გაიკვლევდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხნები რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. ჯერ ჩვენმა არტილერიამ, მერე გერმანელთა იუნკერსებმა პირდაპირ დაფშვნეს იქაურობა.

ჩვენებური კოკა შუაზე რომ გადაიყრება, ისე გადაიყარა აქეთ-იქით რკინა-ბეტონის ვეება კორპუსები.

ასეთ ორომტრიალში ვინ იცის, სად ვის გადააწყდები, მაგრამ მუმლაძეს სხვა გზა არ ჰქონდა, ჯერჯერობით მხოლოდ ბედს უნდა დანდობოდა. სანამ ამ ნანგრევებში კარგად არ მოშინაურდებოდა.

„ერთ-ორჯერ არმატურის რკინებში გავეჩხირე და შინელის კალთა იქ დავტოვე. მერე სადღაც აგურისა და ღორღის ხორა-ხორას მივადექი და სანამ იმას შემოვუვლიდი, სული ამომივიდა.

ამ დროს ჩემს უკან ისეთი პათქაბუთქი ატყდა, ჯერ ვიფიქრე, იერიში ხომ არ დაიწყო-მეთქი. მერე კი მივხვდი, ეს კოლიას ოინი იყო. ჩვენი ბიჭები ისროდნენ, მე მამხნევებდნენ, ვულს მიკეთებდნენ, ნუ გეშინია, მარტო არა ხარო...

ვინ-ვინ და, კოლიამ კი იცოდა, როდის რა იყო საჭირო.

ერთ ადგილას მიწაზე დაღვრილი მაზუთი იწვოდა. ძალიან უგემურად ბო-

ლავდა, სული არ მომათქმევინა, ამიტომ სროლა მისწყდა თუ არა, გეზი ვიცვალე. თუმცა ახლა გზიდან გადახვევა და გასასვლელის ძებნა ხელს არ მაძლევდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ აქეთობას გზა არ ამრეოდა, მეორეც — მეშინოდა, წალმა-უკუღმა ტრიალში ბევრი დრო არ დამეკარგა.

უეცრად ღორღის ხრაშა-ხრუში გავიგონე... ერთი თვალი კი მოვატანე, რომ წელში მოხრილი შავ-შავი ლანდები ფაცხა-ფუცხით ორმოში ჩაცვივდნენ და გაისუსნენ. ეს ორმო კი აგერ იყო, ორი აგება ძაფის მანძილზე.

ყურები გამოვიბერტყე და გავქვავდი.

არ გასულა ერთი წამი, ღორღი ისევ გაფაჩუნდა.

„აქ საიდან გაჩნდნენ ეს მუდრეგები?“ — გამიელვა თავში.

ისევ ხრაშუნი... თითქოს ვიღაცა ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მოხოხავდა ნაშალ ღორღზე. ახლაც ვერავინ დავლანდე, მაგრამ მე უკვე ჩემი დამემართა.

„ეტყობა, დაგინახეს, ჩემო გიორგი! იციან, სადაც წევხარ და ჩუმად გეპარებიან, რომ ასევე ჩუმად გაგაქრონ!“

რატომ ჩუმად? ამ მეხისტეხაში საჩუმათო რა უნდა ყოფილიყო! არ ვიცი, ამაზე პასუხის გაცემა არ შემიძლია. მხოლოდ გეტყვით, რომ ეს ჩემი სიჩუმე მერე აღარ მომშორებია... სიჩუმის გარდა ახლა სხვა არაფერი შედიოდა ჩემს ყურებში.

* * *

სადღაც წინ, ეტყობა, წყალსადენის მილი იყო გახეთქილი. სანამ ეს დაიწყებოდა, მუმლაძეს ესმოდა წყლის თქიშინი. ახლა კი ესეც აღარ იყო.

მხოლოდ ერთი ხმის გაგონება შეეძლო, ერთ ხმას ეძებდა. მხოლოდ ერთ ხმას უდარაჯებდა მისი ყურთასმენა — ის წამი არ გამოჰპარვოდა. როდესაც უჩინარი მტერი ცოტაზე კიდევ წინ წამოიწეოდა.

იქიდან კი ჩამიჩუმი არ ისმოდა. „ნუთუ ასე ჩუმად მოხოხავენ“

ამ ფიქრმა ცუდ დღეში ჩამაგდო.

...პატარაობისას სოფელში ბიძასთან ვცხოვრობდი. ჭალაში იყო ერთი ადგილი, (თათრის კალოს ეძახდნენ) სადაც დაღამებულში მარტო ვერ გავივლიდი. მილიონი რომ მოგეცა. ბიჭები ისეთ რამეებს ამბობდნენ, ტანში ჟრუანტელი მივლიდა. „თათრის კალოზე რომ დაგაღამდეს, უეჭველად რამე მოგელანდებაო“.

ერთხელ ჭალაში ინდოურები დამეკარგა. იმ უტვინო ფრინველმა საბალახოდ შორს იცის წასვლა. თუ ერთი თვალი მოაცილე, დასაკარგავში ამოყოფს თავს.

ფეხები დამაწყდა, იმდენი ვიარე. ძებნამ შემიტყუა, ვერც დაღამება გავიგე და ვერც ის დავინახე, თათრის კალოს გომურებს როგორ მივადექი. აქ ისეთი სიჩუმე იყო, თითქოს ქვეყნის კიდეზე ვიყავი. მაშინვე მოვტრიალდი და გაქცევა დავაპირე... არ გაუშვაო, დაიძახა ვიღაცამ...

მერე აღარაფერი მახსოვს. ვიგრძენი მხოლოდ. ჩემმა თმამ მაღლა-მაღლა რომ ასწია ჩემი თუშური ქუდი...

შინ თურმე ცოცხალ-მკვდარი მიმიყვანეს.

ცოტა ხანი რომ გავიდა, ბიძაჩემმა დამიძახა და მკითხა:

— ყვირილი თუ იცი, ბიჭო?

გამეცინა, ყვირილი ვინ არ იცის-მეთქი.

აბა იყვირეო, მითხრა.

რა ვიყვირო-მეთქი, ვკითხე.

რაც გინდა, ის იყვირე, ოღონდ ხმას ნუ დაზოგავო...

დავაღე პირი და ვიყვირე.

არაო, მითხრა ბიძაჩემმა, ბორანზე მეურმეები რომ ყვირიან, ისე იყვირეო.

სული ჩავითქვი და ისეთი დავჭყივლე, ბიძაჩემმა ძლივს გამაჩერა, მოიცა, ბოშო, კისრის ძარღვები დაგაწყდებაო.

აი, ასე უნდაო, მითხრა მან — დღეიდან გახსოვდეს. თათრის კალოზე თუ კიდევ დაგაღამდა, დადექი და იყვირე, შეუძახ-შემოუძახე... ღამე შეშინდება და ვერაფერს გიზამსო.

მიშველა ბიძაჩემის წამალმა. თათრის კალოსთან რომ ჩავივლიდი, ჩემი ჭყივილ-კივილი სოფელშიაც კი ისმოდა. ერთხელ ბიძაჩემს ყანაში გული გადაუტრიალდა, არიქა, ის ბიჭი ნამდვილად ძაღლმა დაკბინა, თორემ ასე რამ გადარიაო...

რაღა თათრის კალო და რაღა ეს ცემენტის ქარხნები!

კაცი იმ ზომამდე მივედი, კინაღამ ყვირილი არ მოვრთე. ეს თუ ასე გაგრძელდა, ნამდვილად გავგიჟდები-მეთქი...

და ასეც მოხდებოდა. მუმლაძეს მეტი გაძლება აღარ ჰქონდა. ყელთან მომდგარი ხრიალი უკანასკნელ ჯებირს ანგრევდა.

წამოვარდება, დადგება ამ ღამის პირისპირ და იყვირებს, იყვირებს, როგორც ბალღობისას თათრის კალოზე ყვიროდა.

მუმლაძემ იცოდა იმის სახელი, რაც ახლა მის გაწამებულ სულში ყვირილს ბადებდა.

მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ეს მალე გაივლიდა. ეს მაშინ გაივლიდა, თუ იგი კბილს კბილზე დააჭერდა და ჩუმად იქნებოდა.

ამ შიშს მხოლოდ სიჩუმე მოჰკლავდა.

ვინ იცის, გაუძლებდა თუ არა მუმლაძე ამ ჭირსახდელს, მაგრამ აქ მოხდა ერთი ამბავი, რამაც უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცი გონს მოიყვანა.

ჩამონგრეულ კედელთან ერთი ლანდი კიდევ წამოვარდა. ჯერ მუმლაძისაკენ გამოიქცა, მერე უცბად მიბრუნდა და ისიც იმ ორმოს მიეტანა, სადაც წ ე ღ ა ნ ი ს ი ნ ი ჩაცვივდნენ.

სანამ ორმოში ჩაეშვებოდა, რაღაც ბედად, კვამლში გახვეულ გუბეს სუფთა ალი ავარდა. ეტყობა, მაზუთი გახურდა, ცეცხლმა იმძლავრა და მუმლაძემ აშკარად დაინახა, რომ იმ ლანდს წ ი თ ე ლ ა რ მ ი ე ლ ი ს შინელი ეცვა. წელზე დაკერებულ საჭირებელს ცალი ღილი აწყვეტოდა. ჩახტომის დროს მაღლა აუფრიალდა.

ნუთუ ოდესმე კაცს კაცის დანახვა ისე გაუხარდება, როგორც მუმლაძეს იმ ჩანჩურა ბიჭის დანახვა გაუხარდა...

ყველაფერი წაღმა შემობრუნდა. ახლა მუმლაძემ თოფის ხმაც გაიგონა. წყლის თქიშინიც, ალმოდებული მაზუთის წკიპინიც...

— Эй, кто там?—გასძახა მუმლაძემ.

ხმა არავინ გასცა.

„იქნებ ქართველები არიან!“

დღევანდელ იერიშში ქართული დივიზიის ორი ბატალიონი მონაწილეობდა.

— არ მესროლოთ, ბიჭებო, ჩვენი ვარ! — ისევ დაიყვირა მუმლაძემ.

ზედ მიწისპირიდან წამოვიდა ხრინწიანი ხმა:

— აქეთ, კაცო, აქეთ! აქ ტყვია ვერ უწევს!

ბნელოდა. მხოლოდ ხანდახან ცერზე შემდგარი ალი ორმოს კიდეებს შეაწითლებდა. ერთი ჯარისკაცი ორმოს კედელზე მიწოლილიყო. მუმლაძის დანახვაზე თავი კი წამოსწია და ისევ იქვე მიეგდო. მეორე — ფსკერზე იჯდა, ცალი ჩექმა გაეძრო და ბერტყავდა.

— აქ რას უცდით, ბიჭებო?! — ჰკითხა მუმლაძემ კედელზე მიწოლილ ჯარისკაცს.

განა ვერ მიხვდა, ეს ორი ბიჭი აქ რას უცდიდა, მაგრამ ახლა ეს კითხვა სჯობდა.

— მაგარი სროლა იყო... ცოტა შეგვაგვიანდა, — მიუგო მან.

— წახდით, ვაჟკაცები?! — ჩაიცინა მუმლაძემ.

— არა, ყველაფერს გეფიცები! ახ-

ლავე დავეწევით, არა ქრისტო? — ამოსძახა ქვევიდან მეორე ჯარისკაცმა.

— დავეწევით, აბა რას ვიზამთ! — ჩაიბურდღუნა ქრისტომ და შინელის სახელო თავპირზე რომ ჩამოისვა, ის სახელო გასაწურავად მოექცა.

— მალე წადით, ბიჭებო, სირცხვილია! — სთქვა მუმლაძემ.

—წავალთ, შე კაცო! აგერ ჩექმიდან ხვინჭკას გადმოვყრი და წავალთ. — აჩქარებით მიუგო მეორემ.

— ხომ იცით, ჩვენები სად უნდა მოგროვდნენ?

— მოვნახავთ. შენ არ წამოხვალ ჩვენთან?

— მე ჩემი გზა მაქვს. აბა, თქვენ იცით.

ძელმიწურმა ისევ ამოიდგა ენა. მუმლაძემ ყური მიუგდო. დაწყვილებული ტყვიამფრქვევი იყო. ასეთი ტყვიამფრქვევი საშიში იმით არის, რომ ის მიწისპირზე ბალახის ღერს არ გააჩერებს, ისე მოცელავს იქაურობას. სამაგიეროდ, ღამიანში მისი პოვნა ადვილია. სროლის დროს სათოფურიდან ისეთი ალი გამოვარდება ხოლმე, მისი დაფარვა, ან შენიღბვა ყოვლად შეუძლებელია.

მუმლაძე ჯარისკაცებს მიუბრუნდა.

— თვალი ხომ არ მოგიკრავთ, ბიჭებო, სად იმალება ის ოხერი!

— ეს კედელი ეფარება, — სთქვა ქრისტომ, — წეღან იქიდან დაგვცხო. ისეთი ალი გამოდის, გეგონება, ფურნეს ახურებენო!

— ვერ მიუდგები, თორემ... შენ რა, იმას ეძებ? — ჰკითხა პირველმა.

მუმლაძემ ხმა არ გასცა. ორმოდან ამოვიდა, ბეტონის კედელს შემოუარა და ის ალი კინაღამ თვალებში ეცა, ისე ახლოს ეჩვენა ნანგრევებში ჩამალული ძელმიწური. სროლის ხმაზე კი ეტყობოდა, მანძილი იქამდე არც ისე პატარა იყო: მაზუთის გუბეს ცეცხლი მოსდებოდა და ამან ცოტა გაუძნელა მანძილის გამოცნობა.

კარგად რომ დაუკვირდა, იმ ადგილას რაღაც სვეტი დალანდა. საკვამლე მილი თუ იყო, ან ცემენტის ბუნკერი.

მუმლაძე მუხლისთავებზე წამოდგა და სამი წითელი მაშხალა აანთო. სამივე ზედ იმ საკვამურის თავზე დაჭიდა.

თამარი, კოლია და მეთვალყურე არტილერისტები წუთით-წუთზე ელოდნენ ამ ნიშანს. წითელი მაშხალები რომ დაინახეს, ყველანი თამარს შემოეხვივნენ, მიულოცეს, გიორგის საქმე გაუკეთებია და უკან ბრუნდებაო.

მერე რა მოხდა, კაცმა არ იცის.

წითელმა მაშხალებმა მიიქციეს მტრის ყურადღება, თუ უბრალო შემთხვევის ბრალი იყო, — ძელმიწურმა უცბად ნიშანი გამოცვალა და ტყვია იმ ადგილას დააყარა, სადაც მზვერავი იწვა.

მუმლაძემ განძრევა ვერ მოასწრო, ტყვია მხარში მოხვდა. რაღაც ისე უბედურად დაიჭრა, რომ ტკივილმა ყველა მოძრაობა დაუკეტა. ვერც შინელი გაიხადა, რომ ჭრილობა შეეხვია და ვერც იმ ორმოსთან მიხოხდა, სადაც ის გულშემკრთალი ბიჭები იმალებოდნენ.

სანამ გრძნობას დაჰკარგავდა, ერთიღა მოახერხა — გაქვავებულ სახსრებს ძალა დაატანა და ადგილი მოინაცვლა. მაზუთის გუბიდან წამოსულ ცეცხლს თავი მოარიდა.

ცნობა რომ დაუბრუნდა, ისევ ღამე იყო. მაღლიდან ისეთი კაშკაშა მთვარე დაჰყურებდა და გარშემო ისეთი სიწყნარე იყო, რომ მუმლაძეს ეგონა, — სოფელში ყანის პირას ჩამძინებია, ახლავე ავდგები და შინ წავალო...

არადა, გურამიას ველოსიპედს გამოართმევს და მანანას ეზოსთან ჩაიქროლებს... ისინი ჯერ კიდევ ფეხზე იქნებიან. გუშინწინ შვიდლამპიანი რადიომიმღები შეიძინეს და მთელი ღამე აჩხავლებენ.

თუ მინდა, არსადაც არ წავალ. ვეგდები ამ თხრილში და ვუყურებ ამ კაშკაშა მთვარეს. ამას რა სჯობია! ეს წყეუ-

ლი ომი ხომ დამთავრდა და ახლა საითაც მინდა, იქით წავალ! არაფრისა აღარ მეშინია. წარმოგიდგენია იმ კაცის ბედნიერება, ვისაც არაფრისა აღარ ეშინია და საითაც უნდა, იქით მიაბრუნებს თავის მუნიან ცხვირს?!

...მაგრამ ეს ყველაფერი წამის ერთი ნამცეცი იყო.

„წამოდგომა რომ დავაპირე, ცალი ფეხი ველარ დავძარი. ზედ რაღაც დამწოლოდა. მიწა არ იყო, არც კოჭ-ფიცარსა ჰგავდა, სახლიდან რომ ჩამოინგრევა ხოლმე. გადავწვდი და ხელი მოვუფათურე.

თხრილში, ნახევარზე, ადამიანის სხეული ჩამომხობილიყო. აღარა სუნთქავდა“...

მუმლაძე გაჩუმდა.

ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

— თამარი იყო?

მუმლაძემ თავი დამიქნია.

— ძალიან რომ შემაგვიანდა, ამდგარა და ჩემს საძებრად წამოსულა. კაცმა ვერ დააკავა თურმე! სად მიპოვნა? ჭრილობა როდის შემიხვია, ან თვითონ ისე როგორ დალია სული, რომ მე ვერაფერი გავიგე!

გაბრუებული, ხმაჩაწყვეტილი ვიჯექი იმ თხრილში და მარტო ერთი სურათი მიტრიალებდა თვალწინ. თითქოს ჩვენს და-ძმობას მოსაგონარი მეტი არაფერი ჰქონდა...

...თამარი მაშინ ექვსი წლისა იყო. მე ვაკვეთილს ვამზადებდი, ის კი აივანზე ცინდალს ეთამაშებოდა. უცბად მოვიდა და ფერადი ფანქარი მთხოვა.

— ფანქარი რად გინდა, გოგო?

— ზღვა უნდა დავხატო, — მითხრა მან.

გამეცინა.

— შე სულელო, ზღვა რომ არ გინახავს, აბა როგორ დახატავ!

ახლა ის მოკვდა სიცილით.

— რაც არ გინახავს, ის უნდა დახატო. თორემ მზესა და სახლებს ყველა დახატავსო!...

რა დიდი გასახსენებელი ამბავი ეს იყო, მაგრამ ერთხელ რომ ამედევნა, მერე ველარ მოვიშორე... კოლიას კი ჰგონია, მუმლაძე ახლა გამწარებულია და შეიძლება პატარა რამეზე თავი წააგოსო! მიფრთხილდება. ერთი მეცა მკითხონ, მე რა მაქვს გულში! აქამდე ჩემი თავი მართლა მეცოდებოდა. ახლა კი მე ვიცი! ასი ტყვია რომ მესროლონ, ერთს არ მოვიხვედრებ, სანამ ამათი სისხლით არ გავძღები! ნუთუ ამ ურჯულოებმა სამი ათასი კილომეტრი გზა იმიტომ გამოიარეს, რომ ეს საწყალი გოგო მოეკლათ?!

23 სექტემბერი 1965 წელი.

გახსენება (2)

ეს ამბავი წინა მოთხრობაში როგორლაც ვერ ჩაეტია, არ „ჩაჯდა“, როგორც იტყვიან ხოლმე. ამიტომ ცალკე გამოვყავი. არ მინდა გიორგი მუმლაძეს ისე დავშორდე, რომ ერთი მისი ტექნიკა არ ვაჩვენო მკითხველს. ეს სიტყვა ძალიან უყვარდა გიორგის, მე ყველაფერში ჩემი ტექნიკა მაქვსო, ამბობდა იგი და ეს მართლაც ასე იყო.

ერთხელ სოფლის განაპირას მუმლაძე თავს წაადგა ორ რუმინელ სალდათს. ისინი ერთი დიდი ბარაკის თავსა და ბოლოში იდგნენ და როგორც სჩანდა, რაღაცას ყარაულობდნენ.

იმ წელიწადს მთაში ყინვამ ჯერ კიდევ ნოემბერში დაჰკრა. რუმინელებმა სოფლის ახლომახლო ერთი ნაძვი არ გაუშვეს. მთელი ტყე საშეშედ წააქციეს და ის არემარე ისე მოატიტვლეს, მიწის ზემოთ თითქმის აღარაფერი დასტოვეს. ეს უფრო იმიტომ გააკეთეს, რომ პარტიზანებისა ეშინოდათ. თვალს მეტი სარბიელი მისცეს. ის-კი არა, ლობეებიც აჰყარეს, გზისპირებზე ჩაშავებულ ეკალბარდს ბენზინი გადაასხეს და გადასწვეს, რომ კაცი ველარსად დაეფარულიყო.

ამგვარ პირობებში აქ ერთი კაცი, შეიძლება,

ალიაქოთს კი ასტეხდა, მაგრამ აქედან ცოცხალი გაალწევდა თუ არა,ეს საფიქრებელი იყო.

ყოველ შემთხვევაში, ამოცანას ორად-ორი სწორი პასუხი ჰქონდა.

პირველი:

მუმლაძე ჩუმად უნდა გასცლოდა აქაურობას..

მეორე:

მოეკლა ორივე რუმინელი და გაქცეულიყო.

გაიქცეოდა კი?!

თოფი გავარდებოდა თუ არა, სოფელში ერთი ვაი-უშველებელი ატყდებოდა.

განგაშის ხმა ელვის სისწრაფით მოედებოდა იქაურობას და მუმლაძეს მდევარს დაადევნებდნენ. სოფელში თუ ვერ მიაკვლევდნენ, წინა ხაზზე დაყენებულ გუშაგებს გააფრთხილებდნენ და მუმლაძეს გზას მოუჭრიდნენ.

ამიტომ ასეთ დროს, საომარი წესდების ენით რომ ვილაპარაკოთ, „თავის გამჟღავნება მიზანშეწონილად არ ითვლება", თუ რასაკვირველია, ამ გონივრულ ნაბიჯს სხვა რაიმე მოსაზრება არ გადასწონის.

მუმლაძემ კი ორივე გზას გვერდი აუარა და მესამე გამოძებნა, ერთი შეხედვით ყველაზე ძნელი და სახიფათო, მაგრამ მთელი სისრულით სწორედ აქ გამოჩნდა, ამ მესამე გზის არჩევაში, ყველა ის თვისება, რაც მუმლაძეს გააჩნდა, როგორც ადამიანსა და როგორც ჯარისკაცს.

ნოემბრის დამლევს საავიაციო დაზვერვამ გვაცნობა, ქერჩის სრუტეზე მტერმა მანქანების დიდი კოლონა გადმოიყვანაო. როგორც სჩანდა, რუმინელებს მაშველი ჯარი მოსდიოდა.

ჩვენი დივიზიის სარდლობამ ორჯერ მოაწყო ღამის ძიება. მოენე გვინდოდა. ორივე ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

მუმლაძემ იცოდა, რომ ერთი კარგი, როგორც იტყვიან, განათლებული ტყვე ჩვენი შტაბის ოფიცრებს ძალიან გაახარებდა. ამიტომ იმ ბარაკთან ბევრი ჯანჯალი და იწილო-ბიწილო არ დაუწყია.

გადასწყვიტა, ერთი გუშაგი მოეკლა და მეორე ცოცხლად წამოეყვანა.

მხოლოდ როგორ, რანაირად?

— არ მეგონა, თუ ეს ბიჭი ასეთი გამწევი იყო. აბა ერთი დაუკვირდი, რამდენი რამ იანგარიშა, რამდენი ჭრა და კერა, რომ ხელიდან არაფერი გაეშვა! — მითხრა კოლიამ.

ბარაკის სიგრძე ოცი-ოცდახუთი მეტრი იქნებოდა. მაშასადამე ბარაკის თავსა და ბოლოში მდგომი გუშაგები ერთმანეთს კარგად ხედავდნენ. მხოლოდ ხანდახან, პირველი გუშაგი სიარულს რომ დაიწყებდა, მცირე ხნით ბნელში ალანდული კომბაინს მოეფარებოდა. ეტყობა, აქ ოდესღაც ემტეესი იყო დაბინავებული. ეზოში ბლომად ეყარა მანქანის თვლები და სხვა რაღაც ნაწილები.

სანამ ის გუშაგი კომბაინს შემოუვლიდა, მუმლაძემ სამოცამდე დაითვალა.

ეს ერთი წუთი სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ გიორგი სწორედ კომბაინის შეა მოვლის დროს მიპარვოდა პირველ გუშაგს და სწრაფად მოეხრჩო იგი.

მუმლაძე თხრილში იმალებოდა. ადრე ამ ადგილას საომარი ტრანშეა გადიოდა. ახლა ეს ტრანშეა ალაგ-ალაგ ჩაქცეულიყო, ბალახი მორეოდა, ორგან თუ სამგან თხრილი ღორღითა და ფიჩხით ამოევსოთ და მიწისპირთან მოესწორებინათ, რომ ზედ მანქანა — ფურგონები ადვილად გადასულიყვნენ.

თუ ამ მოსწორებულ ადგილებს არ ჩავთვლით, სხვა მხრივ მუმლაძის სამალავს საყვედური არ ეთქმოდა.. იგი ისე მიხოხდებოდა კომბაინამდე, თხრილიდან მხოლოდ ორჯერ მოუწევდა ამოსვლა. ეს არ იყო ძნელი, რადგან შარშანდელი ლელი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა და საიმედო საფარს წარმოადგენდა. მართალია, მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ ასეთმა ღამემ შუქიც ბევრი იცის და ჩრდილიც. ისეთი ბნელი ჩრდილი იცის, იმ არემარეზე კაცი ვერაფერს დალანდავს. ასე რომ, პირველ გუშაგს მუმლაძე ადვილად მოიშორებდა. საგონებელი სხვა იყო, — მეორე გუშაგი რას იზამდა, ბარაკის ბოლოში ამხანაგს რომ ვერ დაინახავდა.

არ გაოცდება, ის კაცი რა იქნაო? ასე როგორ გაუდნა თვალსა და ხელს შუა! ეუ სადმე წავიდა, სიტყვის დაუბარებლად როგორ წავიდა! მაშინვე შეეხმიანება და პასუხს რომ ვერ მიიღებს, სასტიკად დაფრთხება.

დამფრთხალ გუშაგს კი მერე ველარაფერს გამოაპარებ...

გამოცდილებამ ერთი რამ ასწავლა გიორგი მუმლაძეს. კაცი ნურასდროს ნუ იტყვის, ბევრი ვეცადე, მაგრამ ამ კარს გასაღები ვერ ვუპოვნეო.

ვინც ძებნა იცის, მისთვის ქვეყანაზე უპოვარი არაფერია.

გიორგი მუმლაძეც მძებნელი კაცი იყო. იგი თვალს არ აშორებდა რუმინელებს.

სადღაც ზანტად წამოიყეფა ნამძინარევმა ძაღლმა. წამოიყეფა და გაჩუმდა..

პირველი გუშაგი ამ დროს კომბაინის ჩრდილში იდგა. ამიტომ მუმლაძემ ვერ დაინახა, ძაღლის ყეფამ მიიქცია თუ არა მისი ყურადღება. მეორე გუშაგი კი იმ წუთშივე დაფეთებული შეტრიალდა და მუმლაძემ მკაფიოდ გაიგონა საკეტის ჩხაკუნი. მერე ამხანაგს შეეხმიანა და მალე დაწყნარდა.

არ გასულა დიდიხანი, ახლა პირველ გუშაგს დაეტყო მოუსვენრობა. იგი უეცრად ადგილზე გაქვავდა, ყურთან ხელისგული მიიდო და რაღაცას მიაყურა.

„ამას რაღა მოელანდა!" — გაიფიქრა მუმლაძემ.

გუშაგმა ისევ დაიწყო სიარული, თუმცა ეტ-

ყობოდა, ყურადღება ჯერ ისევ დაძაბული ჰქონდა. ახლა აღარ დასეირნობდა. ორ-სამ ნაბიჯს რომ გადადგამდა, მერე ცოტას შეიცდიდა და ღამეს ყურს მიუგდებდა.

„ახლახან გამოსულან საგუშაგოზე, ასე იმიტომ ფეთიანობენ!" — გაიფიქრა მუმლაძემ.

მისი ვარაუდი ჭკუასთან ახლო იყო.

ასე მოუსვენრად ხამი გუშაგები არიან ხოლმე, ყოველ წუთში რაღაც ელდას ელიან, სულ უბრალო ფაჩუნზე ელეთ-მელეთი მოსდით.

იქნებ ეს ორი რუმინელი ამ საღამოს პირველად გამოვიდა საგუშაგოზე და ჯერ კიდევ ვერ შეჩვეულან უცნობ გარემოს?

ასე იყო თუ ისე, ეს ამბავი მუმლაძეს ხელს აძლევდა. ადრე თუ გვიან, რუმინელი გუშაგები ამ გადაჭარბებულ სიფრთხილეს ზედმეტ ბარგად ჩასთვლიდნენ, დაწყნარდებოდნენ, და რაკი დაინახავდნენ, აქ საშიში არაფერიაო, ხელფეხი გაეხსნებოდათ, გათამამდებოდნენ და სწორედ ისე მოიქცეოდნენ, როგორც ეს გიორგი მუმლაძეს უნდოდა.

მანამდე კი ისინი ასე მოუსვენრად იქნებოდნენ.

გავიდა ერთი საათი. გავიდა ორი საათი. სამი საათი....

აგერ თითქმის მიილია ზამთრის გრძელი ღამე. იქ კი, ბარაკთან ჯერ არაფერი შეცვლილა და არც ეტყობოდა რომ მალე რაიმე შეიცვლებოდა.

პირველი გუშაგი ისევ ისე მიდი-მოდიოდა კომბინსა და ბარაკს შუა.

მეორე რუმინელი უფრო ნაკლებად მოძრაობდა. იგი პატარა საჩეხში დაგდებულ მორზე იჯდა და ჩუმად მისჩერებოდა ზედმომდგარ ღამეს. ხანდახან წამოდგებოდა, ან იქვე კედელს მიეყრდნობოდა, ან ცოტას გაივლ-გამოივლიდა მუხლის გასამართავად.

ხუთი ნაბიჯი იქით, — ხუთი ნაბიჯი აქეთ — და ისევ მორზე დაეშვებოდა.

ზოგჯერ თითო-ოროლა სიტყვას თუ გადაუგდებდნენ ერთმანეთს, თორემ სხვამხრივ ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც დაიწყო.

მუმლაძეს უკვე შეეპარა ეჭვი, ვაი თუ მოტყუვდი და ამ თხრილში ამაოდ გავიოფშეო.

სულისამომხდელ ლოდინში ერთი გაუთავებელი საათი კიდევ გავიდა, მაგრამ აგერ გუშაგები ერთმანეთს გამოელაპარაკნენ. რაღაცაზე გაიცინეს და ისევ გაჩუმდნენ. მერე პირველმა გუშაგმა მკერდზე ჩამოკიდებული ავტომატი ზურგზე გადაიგდო. დაიხარა, მიწიდან კარდალა აიღო და ნელი ნაბიჯით საჩეხისაკენ გასწია.

ცოტახნის მერე ორივენი მორზე გვერდიგვერდ ისხდნენ, თამბაქოს აბოლებდნენ და თან რაღაცაზე ჩუმად ხვიხვინებდნენ.

აი, სწორედ ამ წუთს ელოდა გიორგი მუმლაძე.

„აქ შეიძლება ზოგი რამ დაუჯერებლად მოგეჩვენოს, ჩემო კონსტანტინე", — მითხრა ტერეშჩენკომ, — თუ ახლავე ისიც არ გითხარი, რომ ჩვენი ბიჭები მუმლაძეს ხოხვის მომგონს ეძახიან. ვისაც არ უნახავს, თუ როგორ მიცურავს მიწაზე გიორგი მუმლაძე, იმას მართლაც გაუკვირდება იმ ღამის ამბავი.

შარშან მეცადინეობაზე მუმლაძემ კაპიტანი კინაღამ გააგიჟა. სანაძლეო დასდეს — კაპიტანს თვალები აუხვიეს, შუა მინდორში დასვეს და უთხრეს, აბა თუ გამოიცნობ, მუმლაძე რომელი მხრიდან მოგეპარებაო.

ბევრი ატრიალა თავი კაპიტანმა, მაგრამ სანამ მუმლაძემ ჩექმაზე ხელი არ მოჰკიდა, იგი არაფრის აინუნში არ იყო.

აქაც ასე მოხდა.

რუმინელებმა ვერაფრის სუნი ვერ დაიკრეს, სანამ ბარაკის კედელთან თოფდაღირებული მუმლაძე არ დაინახეს .

იმ წამსვე წამოხტნენ და.. ხელები მაღლა ასწიეს.

არამც თუ ბარაკთან, მერეც, გზაშიც, ძალინ ჭკვიანურად მოიქცნენო, ამბობდა მუმლაძე. დაადეს თავი და ისეთი ტუსტუსით წამოვიდნენ, ერთი გვერდზე არ გაუხედავთო.

გ ა ხ ს ე ნ ე გ ა (3)

...და ბოლოს ეს პატარა მოთხრობა იმ კაცის სახელს მინდა მივუძღვნა, ვინც ამ წიგნის სათაური ჩამაგონა.

აი მისი სამხედრო წიგნაკის პირველი გვერდი.

1. გვარი	მებუკე
2. სახელი და მამის სახელი	იონა ვალერიანის ძე
3. წოდება და თანამდებობა	მეკავშირე წითელარმიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ნაწილის დასახელება	414 მდ. 1443 ასეული
5. დაბადების წელი	1898
6. დაბადების ადგილი	სამტრედიის რაიონი, სოფელ ჭაგანი
7. სპეციალობა	ტრაქტორისტი

სიკვდილი ცოტას მოიცდის

თავი პირველი

არამკითხე მამობილი

მზე ჩადიოდა, როდესაც სანიტარულმა ლინეიკამ ხრიგინით ჩაათავა კიდევ ერთი დაღმართი და ალიზის გალავანთან გამაჩერა.

არ მეგონა, აქაური თათრები თუ ასეთი კარჩაკეტილი ხალხი იყო. მომკლა კაცი ამ ციხე-გალავნიანი სახლების წინ ყურყუტმა, როდის გამომხედავს მასპინძელი ფეხზე ჩამომწყდარ კორესპონდენტს და სადმე გადახურულში ღამეს გამათევინებს.

მე შენ გეტყვი, ფეხის წვერებზე შედგები და ეზოში გადაიხედავ, რომ ვინმე დაინახო და ხმა გააგონო. გალავანი ჩემზე ბევრად მაღალია, ქუჩიდან მხოლოდ სახლის სახურავი მოსჩანს.

იმ დღეებში ჩვენი რედაქცია პირველ ეშელონს ჩამორჩა. ამიტომ სანამ ბრძოლის უბანს მოვივლიდი, მასალებს შევკრებდი და რედაქციაში დავბრუნდებოდი, გზაში ხშირად დამაღამდებოდა.

დაღამებულში კი სამხედრო მანქანა მამა-ღმერთს არ გაუჩერდება, არამცთუ გზაში ჩარჩენილ კორესპონდენტს... ღამე სადმე სოფელში უნდა გამეთია. გაზაფხულზე ყირიმში ძალიან ბნელი ღამეები იცის. ჩვენში ასეთ ღამეს ლეკის ღამეს ეძახიან. თითქმის მთელი გალავანი ხელის ფათურით უნდა შემომევლო, რომ სადღაც კედელში დატანებული ჭიშკარი მეპოვნა და ეზოში შევსულიყავ.

დღეს კი ამ ლინეიკამ მიშველა. დღისით-მზისით სოფელში ჩამომიყვანა და ღამე ხეტიალს გადამარჩინა.

ჭიშკარი შევაღე.

შუა ეზოში ალიზის სახლი იდგა, ძალიან დაბალი და უშნოდ წაგრძელებული. სახლის უკან პატარა ბაკი და სასიმინდე დავინახე. იქვე ერთადერთი ალუბალი ჰყვაოდა და ამ საცოდავ ეზოკარს რაღაც სიკეთეს ჰფენდა.

არც ბალახი, არც ყვავილი, ან სხვა რაიმე ნარგავი. მთელი ეზო ისე იყო დატკეპნილი და მოსწორებული, იმერეთში სოხანეს რომ აკეთებენ.

ამ სოხანეზე ახლა ათიოდე ჯარისკაცს ეძინა. სასთუმლის გაწყობა ვერ მოესწროთ, ზოგს საყელოც კი არ გაეხსნა. პირდაპირ მიწაზე დაყრილიყვნენ და საღათას ძილს მისცემოდნენ.

მხოლოდ ორ კაცს არ ეძინა. ერთი, წითური ბიჭი, ალუბლის ძირში ურიკაზე ჩამომჯდარიყო და ვახშმობდა. კონსერვის ქილიდან დანის წვერით ხორცის ნაჭერს რომ ამოიღებდა, ქონს ფრთხილად შემოაცლიდა და იქვე დაცუცქეებულ ლეკვს გადაუგდებდა. ფაქიზად სჭამდა. აუჩქარებლად. თანაც ეტყობოდა, საღეჭი კბილები აკლდა: ჭამის დროს ტუჩებს რაღაც არაბუნებრივად აცმაცუნებდა.

მეორე ჯარისკაცი უფრო ხნიერი სჩანდა. მისი ჭაღარა თავი და ნაოჭშეყრილი პირისახე მოწმობდა, რომ იგი შუახანს მიღწეული კაცი იყო. მან სახლიდან რაღაც ტყაპუჭი გამოიტანა და ჭიშკართან მიგდებულ ჯარისკაცს დაახურა. მერე ეზოში მიიხედ-მოიხედა, ეტყობა, შეამოწმა, ყველაფერი რიგზე

იყო თუ არა. რაღაცა არ მოეწონა, სასიმინდესთან მივიდა და იქ ჩალაზე გულაღმა გაშხვართული კაცი გვერდზე შეაბრუნა.

ჯერ გამიკვირდა, მერე კი მივხვდი, რატომ შეაბრუნა: ის კაცი ძილში იხრჩობოდა, მკერდზე ძილის მაჯლაჯუნა დასწოლოდა და ვეღარა სუნთქავდა, სული ეხუთებოდა.

შორიდან ზარბაზნების გრუხუნი რომ არ ისმოდეს, კაცი იფიქრებდა, ამ თათრის ეზოში ნაქეიფარი ხალხი მიყრილ-მოყრილა, მასპინძელი კი სტუმრებს თავს დასტრიალებს, აქაო და ხალხი შიშველ მიწაზე არ გამიცივდესო.

— ათმეთაურიც ასეთი უნდა! — ვთქვი მე.

— ჩვენი ათმეთაური, აგერ, იქ არის! ხედავ? — მითხრა წითურმა ბიჭმა.

ხახლის კედელთან სკამფიცარი იდგა და ზედ ისე საცოდავად მოკრუნჩხულიყო ზორბა ტანის სერჟანტი, რომ პირველად შემეშინდა, ეს კაცი ერთი რომ გაინძრეს, მიწაზე ბრაგვანს მოადენს-მეთქი. მაგრამ ვისაც უნახავს, თუ როგორ სძინავს დაღლილ ჯარისკაცს, იგი დამეთანხმება, რომ ამ სერჟანტს ახლა არაფერი მოეწეოდა, თუნდაც მთელი ღამე ამ ვიწრო ფიცარზე წოლილიყო.

— აბა ეგ ვინ არის!

წითურმა ბიჭმა ტუჩები მობრიცა.

— არამკითხე მამობილი... სხვა ვინ იქნება! ჭკუის დამრიგებელი სკოლაში მეზარებოდა, ახლა აქ არ გამომიჩნდა, ეს ოჯახქორი!? იონა! — დაუძახა მან ხნიერ ჯარისკაცს, — მართალი ვარ ხომ?

— რაში ხარ, ბიჭო, მართალი! ამ ოქროსავით ხორცს ძაღლს რომ აჭმევ? — უთხრა იონამ.

წითურმა ბიჭმა გაიცინა.

— ა, ბატონო, ხომ გითხარი! ენას არ მოაბრუნებს, რაიმე შემჩნევა არ მოგცეს!

იონა მებუკე ორმოცდაათხი წლის კაცი იყო, მაგრამ შესახედაობა მეტისა ჰქონდა. თანაც ძალიან შეშვებული საარული იცოდა, თითქოს დიდი გზა გამოუვლია და მუხლში ძალა გამოლეოდეოდა. ასე სჩანდა ერთი შეხედვით. ნამდვილად კი ძალიან ამტანი კაცი გამოდგა.

ვინ არ იცის, ყველაზე მეტად რა ეძნელება ჯარისკაცს: გაუთავებელი წანწალი პოზიციიდან პოზიციამდე, როდესაც გაგანია სიცხეში ოცი და ოცდახუთი კილომეტრი ფეხჩაუკრეფლად უნდა გაიარო მთელი შენი საჭურველითა და საბადებელით.

ხშირად ჯეელი ბიჭებიც ვერ უძლებენ ამ ჭაპანწყვეტას და ნირი წაუხდებათ ხოლმე. იონა მებუკე კი თავს რომ დაადებდა მტვრიან შარაგზას თუ ჭაობიან ბილიკს, მერე ნაბიჯს არ შეშლიდა, სანამ ბანაკად არ დადგებოდნენ.

ამავე დროს მისი ჩანთა ყველაზე მძიმე ჩანთა იყო ათეულში. რანაირი წამალი არ გინდა, რამდენი სანიტარული პაკეტი, რაღაც თასმები და ბალთები, თამბაქო, ღილები, ნემსი და ძაფი, ქაღალდი და ფანქარი — რა ვიცი, რას არ იპოვნიდა კაცი იონა მებუკეს ჩანთაში. ყველაფერი ჰქონდა, რაც საწყალ ჯარისკაცს დღეში ათჯერ დასჭირდება ხოლმე. თუმცა თვითონ იონა არც თამბაქოს ეწეოდა და არც ავადმყოფი უნახავს ვინმეს.

ის იყო მთელი ათეულის ძიძაცა და პატრონიც. ძიძა კი ბევრს არ უყვარს. ერთმა ახალგაზრდა ჯარისკაცმა შემომჩივლა, ეს არამკითხე მამობილები ყელში ამომივიდაო, მაგრამ ისინი რომ არა, რამდენი ჯეელი ბიჭი ალბათ ჯარისკაცად ვერ ივარგებდა და იქნებ შინ ცოცხალიც ვეღარ დაბრუნებულიყო.

და ეს მოთხრობაც სწორედ იმიტომ დაიწერა, რომ ერთი ასეთი „არამკითხე მამობილი", იონა მებუკე გავაცნო მკითხველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეორე

გური არდაშელია

თბილისელ სტუდენტს გური არდაშელიას თავზარი დაეცა, როდესაც პირველად მის თვალწინ კაცი მოჰკლეს.

გური და ის ბიჭი, სახელად შალიკოს რომ ეძახდნენ, ტყისპირას გვერდიგვერდ მიდიოდნენ. გური არდაშელიას წერილები და გაზეთები მიჰქონდა პირველი ხაზის სანგრებში. მეორე ბიჭი კი წუხელღამ მოკლული ზემდეგის შესაცვლელად მიდიოდა იმავე ოცეულში.

გური არდაშელია ყირიმში ახალი ჩამოსული იყო. აპრილის დამდეგს ჩვენი შეთხელებული ბატალიონი ისევ შეავსეს და ეს პირველი, ბობრი ყმაწვილი განაწილების დროს იონას ათეულში მოხვდა.

გური ჯერ ბრძოლაში ნამყოფი არ იყო, აქაურობასაც კარგად არ იცნობდა. ამიტომ იგი გამოცდილ ჯარისკაცს გააყოლეს, სახელად შალიკოს რომ ეძახდნენ.

დანიშნულ ადგილს რომ მიუახლოვდნენ, გზიდან გადაუხვიეს და ტანკსაწინააღმდეგო თხრილში ჩახტნენ. თხრილი განიერი იყო, მაგრამ შიგ იმდენი ნამარ-ნაოხარი ხარახურა ეყარა, რომ ჯარისკაცებმა გზა ძლივს გაიკვლიეს.

— მაინც ეს სჯობია! — სთქვა იმ ბიჭმა, შალიკოს რომ ეძახდნენ.

მზიანი დღე იყო. მხოლოდ ჩამუქებულ დასალიერს ხანდახან პატარა თეთრი ღრუბელი მოსწყდებოდა, მოკრიალებულ ცაზე გადაიქროლებდა და სადღაც გადნებოდა.

ახლად აყვავებულ ატმებსა და ალუბლებს უამრავი ფუტკარი დახვევოდა. ჰაერში ერთი გაბმული ზუზუნი იდგა. მიწის პირზე კაცი არსად ჭაჭანებდა, არც სროლა ისმოდა. ხანდახან ფრონტზეც გამოერევა ასეთი ჩუმი დღე.

ეს ორი ბიჭი მოატყუა ფუტკრის ზუზუნმა, მზიანმა დილამ და სიჩუმემ. ისინი თხრილიდან ამოვიდნენ და იქვე ბალახზე წამოკოტრიალდნენ.

აპრილის მზე ტკბილად იკბინებოდა. მხოლოდ ერთი-ორჯერ მზეს ღრუბელი ჩამოეფარა და მიწაზე უეცრად აგრილდა. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და წყნარად ჩაიცინეს.

რაღაც ჩუმი მღელვარება გური არდაშელიას ხელს უშლიდა, რომ ამხანაგთან საუბარი გაება. ხელები თავქვეშ ამოიდო და მზით გაჯერებულ ცას მიაჩერდა.

მეორე ბიჭმა კი პაპიროსი მოსწია, მერე წამოდგა და ხალათის გახდა დაიწყო. მცხელაო, სთქვა მან.

სანამ ხალათს თავზე გადაიძრობდა, ის უცბად დაბარბაცდა და მიწაზე გაიშხლართა.

გურის ჯერ ეგონა, რაღაცას წამოედო და იმიტომ წაიქცაო. ასე იმიტომ ეგონა, რომ გურის თოფის ხმა არ გაუგონია და ის ბიჭიც მიწაზე ისე ჩუმად დავარდა, ერთი ხმა არ გაუღია.

არდაშელიამ მხოლოდ მაშინღა გაიგო, რაც მოხდა, როდესაც იმ ბიჭის ყელკისრიდან სისხლმა იფეთქა.

განა გური არდაშელიამ არ იცოდა, რომ ომში ადამიანებს ჰკლავდნენ, მაგრამ ეს თუ ასე ადვილად ხდებოდა, ეს კი აღარ ეგონა. და სწორედ ამან გადარია ყმაწვილი კაცი...

ორი სანიტარული პაკეტი გახარჯა არდაშელიამ, სისხლი მაინც ვერ შეუჩერა. პერანგი გაიძრო და ისიც ჭრილობაზე შემოახვია. პერანგი თვალისწამში წითლად შეიღება.

სისხლი ისევ მოდიოდა და იმ ბიჭის სხეულიდან სიცოცხლე სწრაფად გამოჰქონდა.

სანამ ეს მუქი-წითელი სითხე ადამიანის გულსა და ძარღვებში უხილავად მოძრაობდა, ის იყო სიცოცხლის ყველაზე დიდი სასწაული, ყველაფრის დასაწყის-დასაბამი. ახლა კი ეს სისხლი ისე ალა-ალად იღვრებოდა მიწაზე, თი-

თქოს ფეხის ნაბანი წყალი იყო და მეტი არაფერი.

ეს არ შეიძლებოდა.

ეს არ შეიძლებოდა, რაც ახლა გური არდაშელიას თვალწინ ხდებოდა.

ბიჭი უკვე აღარ ხრიალებდა. მხოლოდ ხანდახან კვნესა წასცდებოდა. ბოლოს ღრმად ამოიოხრა და გაყუჩდა.

გური არდაშელია კი მიწაზე დაემხო და ბავშვივით აზლუქუნდა. ძალიან, ძალიან გულდაწყვეტილ ბავშვივით...

კარგახანს სტიროდა. მერე თავი ასწია და მიიხედ-მოიხედა. აპრილის მზე ტკბილად იკბინებოდა. ალუბლის ხეებს ისევ ისე დაბზუოდა ფუტკარი და მათი ყვავილიც ისეთივე თეთრი იყო, როგორც ამ ათიოდე წუთისა თუ ათიოდე საუკუნის წინ...

ეს ბიჭი, შალიკოს რომ ეძახდნენ, არდაშელიამ მხოლოდ ამ დილას გაიცნო. იგი მოკლული ზემდეგის შესაცვლელად მიდიოდა იმავე ოცეულში, სადაც არდაშელიას წერილები უნდა მიეტანა. გურიმ არც მისი გვარი იცოდა, არც მისი სადაურობა. მხოლოდ ერთხელ ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და ეს პატარა მინდორი ერთად გაიარეს. მაგრამ მისმა სიკვდილმა გულის სიღრმემდე შესძრა გური არდაშელია.

ეს არ იყო შიში. არც სიბრალული. ეს იყო ისეთი რამ, რასაც გური არდაშელია ვერასდროს ვერ შეურიგდებოდა...

იქიდან რომ დაბრუნდა, გური ამხანაგებმა ვერ იცნეს. მოწყენილი, ენაჩავარდნილი ბიჭი დილიდან საღამომდე გულშეხუთული დადიოდა. ყველაფერს აკეთებდა, რასაც ეტყოდნენ: წადიო — წავიდოდა. სჭამეო — სჭამდა. ისროლეო — ისროდა. მაგრამ ყველაფერზე ეტყობოდა, აღარაფრის გული აღარ ჰქონდა, თითქოს ამ ცისა და მიწის შუა ერთი სურვილიც აღარ შერჩაო.

მთელი დღე ხმას არ ამოიღებდა, თუ ვინმე თვითონ არ შეეძრახებოდა. თანდათან განზე გადგა, განმარტოვდა, რამდენადაც ფრონტის პირობებში ჯარისკაცს განმარტოება შეუძლია.

სასოწარკვეთილება ჩაცმა-დახურვაზედაც დაეტყო. ხალათზე საყელოს აღარ იცვლიდა, წელზე ქამარი ისე შემოერტყა, ბალთა ხანდახან თეძოს თავზე მოექცეოდა.

იონა მებუკე მალე მიხვდა, რომ არდაშელიას რაღაც დარდი გულს უჭამდა... ჯერ ეგონა, ეს ბიჭი ფრონტზე ახალი კაცია, ბრძოლის უნახავია და ეს იმიტომ დაემართაო.

ასე უღმერთოდ მხოლოდ სიკვდილის შიშმა იცის კაცის გულის დაჩაგვრა, ფიქრობდა იონა, მაგრამ ბოლოს ესეც არ გამოდგა მართალი. პირველსავე ბრძოლაში არდაშელია ისე თამამად გაჰყვა ათეულს, რომ იონას უმალვე აზრი შეეცვალა.

უფრო მეტიც.

იონას მოეჩვენა, რომ იერიშის დროს არდაშელია ტყვიას არ ერიდებოდა, ჩაწოლას აყოვნებდა და წამოდგომითაც სხვებზე ადრე წამოდგებოდა ხოლმე.

ნუ თუ არდაშელიამ ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და სიცოცხლემ ფასი დაჰკარგა მის თვალში!

დაკვირვებული კაცი იყო იონა მებუკე. ერთი შეხედვა და — ძაფის იმ წვერს გამოიღებდა, მთელ წინდას რომ გამოიყოლებს.

მიხვდა, რა ცეცხლიც ტრიალებდა ბიჭის გულში და ნელ-ნელა შეაპარა თავისი წამალი: ხან საყუჩებში ერთად წავიდნენ, ხან კიდევ — თითები მტკივა და წერილი დამიწერეო, სთხოვა რამდენჯერმე.

ერთხელ ადგა და სანგარი ჩაუღრმავა თავმიცემულ ბიჭს.

არდაშელიამ ერთი ამბავი დააწია, შენ ვინ გეკითხება, ჩემი სანგარი ასე იქნება თუ ისეო...

— მამა ხომ გყავს, ბიჭო! — ჰკითხა იონამ.

— მერე რა, რომ მყავს!?

— აი სწორედ მამაშენი მეკითხება, ბიჭო! შენი სულელი თავი თუ არ გეცოდება, ის მაინც შეიცოდე! ის ოხერი ტყვია მარტო შენ კი არ მოგკლავს, ჩემო გური, მამაშენსაც მოუღებს ბოლოს.

ეგ არის ამ ომის ცეცხლი! თორემ ერთი ტყვია მარტო ერთ კაცსა რომ ჰკლავდეს, მაშინ ჯანდაბას ჩვენი თავი! მაგრამ ეგრე რომ არ არის! ცოტახანს გაუძელი, შვილო, ჭირს მოხდა უნდა!

არდაშელიამ მაშინ ხმა არ გასცა, თავი ჩაღუნა და ავტომატს ჩხიკინი დაუწყო...

საღამოს კი, ახალ პოზიციაზე რომ გადადიოდნენ, არდაშელია მოულოდნელად იონას გვერდში ამოუდგა და თამბაქო სთხოვა.

— ეწევი, ბიჭო! — გაუკვირდა იონას, — შენს ხელში ჯერ პაპიროსი არ დამინახავს!

— ხანდახან გავაბოლებ ხოლმე, — უთხრა არდაშელიამ, მაგრამ ვიდრე თამბაქოს შეახვევდა, ქაღალდი სამჯერ გაეხა.

ამ პატარა ტყუილმა იონას ბევრი რამ უთხრა. მეორე დღესვე მასთან გადავიდა მიწურში, იქ ველარ გავძელი, ერთი ბიჭი ძილში ისე ბოდავს, წუხელ ათჯერ დამაფეთიანაო...

საუბედუროდ, იონა მებუკე მალე დაიჭრა და სოხუმში გადაგზავნეს, ამიტომ არ ვიცი, საბოლოოდ რა მოხდა: იონამ ის ბიჭი გაიყვანა თუ არა ბეწვის ხიდზე...

რაც შეეხება თვითონ იონას, მისი დაჭრის ამბავი იმდენად საინტერესოა, რომ გაჩუმება არ შემიძლია.

„ცისფერ ხაზთან“

შავი ზღვიდან მდინარე ყუბანის შუაწელამდე გადაჭიმულ ციხე-სიმაგრეს გერმანელებმა „ცისფერი ხაზი“ უწოდეს.

ცისფერი უწოდეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ერთმანეთზე მჭიდროდ მიწყობილი დოტები, ძელმიწურები, ჯავშნიანი ხუფები და ესკარპები ცისფერ ტბებსა და ლიმანებს გასდევდა.

ამ სახელს სხვა ელფერიც ჰქონდა, თავისებური პატარა ქვეტექსტი.

ცისფერი ძველთაგანვე იმედისა და ნუგეშის ფერად იყო მიჩნეული. გერმანელები დიდ იმედს ამყარებდნენ „ცისფერი ხაზის“ ბასტიონებზე. გენერალ კლიუგეს სჯეროდა, კავკასიონის უღელტეხილებზე დამარცხებული ედელვეისის ბატალიონები მშვიდად გამოიზამთრებდნენ „ცისფერი ხაზის“ გადაღმა და გაზაფხულზე ისევ ეკვეთებოდნენ კავკასიონს.

მტერმა მართლაც არაფერი დაზოგა, რომ ეს რაიონი სანაქებოდ გაემაგრებინა.

მე მინახავს „ცისფერი ხაზის“ რამდენიმე უბანი და უნდა გამოვტყდე, არ მეგონა, კავკასიონიდან უკუქცეულ მტერს იმდენი ძალა თუ კიდევ შესწევდა, რომ ხუთასორმოცი კილომეტრის სიგრძეზე ასეთი ციხე-სიმაგრე აეგო.

მაგრამ ჩვენმა სარდლობამ სული არ მოათქმევინა გერმანელებს. „ცისფერი ხაზის“ სიმაგრეებს ერთიმეორეზე უკეთესი მზვერავები დაესივნენ. ისინი დღე და ღამე უთვალთვალებდნენ „ცისფერი ხაზის“ ზღუდეებს და მისი საცეცხლე ქსელის რუკას ადგენდნენ.

ერთი პატარა უბანი ქართველ მზვერავებსაც მიუჩინეს. სამი კაცი — იონა მებუკე, სიმონ რუხაძე და აკაკი გვილავა მთელი ერთი კვირა პატარა გორაკზე ისხდნენ და გერმანელებს თვალყურს ადევნებდნენ.

თუ გიორგი მუმლაძეს ხოხვის მომგონს ეძახდნენ, იონა მებუკემ ჩინებული შენიღბვა იცოდა.

მინდორზე ღრუბლის ჩრდილის მეტი რომ არაფერი იყოს, იონას ისიც კი ეყოფა, უჩინარი გახდესო, მითხრა ერთხელ კაპიტანმა გელოვანმა.

იონამ თავისი პატარა ჯგუფი ისეთ ადგილას დააბინავა, საიდანაც ბევრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანახვა შეიძლებოდა. მათი გორაკიდან იქამდე ერთი გადარბენა მინდორი თუ იქნებოდა.

მზვერავები დღე და ღამე მორიგეობდნენ და უპირველეს ყოვლისა ერთი რამ გამოარკვიეს: ყოველ მეორე ღამეს ყარაულში ერთი და იგივე ჯარისკაცები გამოდიოდნენ. ეს უკვე კარგი ნიშანი იყო. მალე ისიც შეისწავლეს, მორიგეობის დროს ვინ როგორ იქცეოდა. ვინ უფრო მფრთხალი იყო და ვინ უფრო უდარდელი. მფრთხალი გუშაგი მტრისას! ნაბიჯს არ გადადგამს, უკან არ მოიხედოს...

ეს ამბავი ყუბანში, გირლიანის სერებზე ხდებოდა. იონას ჯგუფი ერთ-ერთ სერზე უნდა შეპარულიყო და იქაურობა კარგად მოეხილა.

ეს არ იყო ადვილი საქმე, მაგრამ ომში შენ ვინ გეკითხება, რა არის ადვილი და რა არის ძნელი...

თადარიგი რომ მოათავეს, მერე გუნებიერად გამოიძინეს, მთელი საჭურველი — თოფ-იარაღი. ნაღმსაძებნი, მაკრატლები და მათარები ტანზე კარგად დაიმაგრეს, რომ ხოხვის დროს ჟღარუნ-წკარუნი არაფერს დაეწყო.

დაღამდა თუ არა, გზას გაუდგნენ.

ნახევარ საათში მინდორი გალიეს და ქვიან ფერდობზე შეცურდნენ. კარგახანს ებრძოლეს ქაჯურად დახვეულ ეკლიან მავთულს, ბრუნოს სპირალს რომ ეძახიან. გასჭრეს, შიგ გაძვრნენ და მაკრატლები მიწაში ჩამარხეს.

აქ ისინი ორად გაიყვნენ. გვილავა და რუხაძე დაწინაურდნენ. სერზე მხოლოდ ისინი უნდა აჭიდნენ. იონა კი ფერდობზე იტრიალებს, რომ გაჭირვების დროს ამხანაგებს მიეშველოს და უკან დასაბრუნებელი გზა გაუწმინდოს.

წინ ყველაფერი სდუმს. მხოლოდ დრო და დრო მელნისფერ ცაზე პარაშუტიანი მაშხალა გაიშლება და ისეთი მკვდარი სინათლით გაანათებს იქაურობას, რომ თვალის გახელა გეზარება.

პარაშუტი ნელა-ნელა ეშვება დაბლა და სანამ არ ჩაჰქრება, შენ მიწაზე გაუნძრევლად უნდა ეგდო და გულში ილოცო, ღმერთო, კუნძად მაქციე, ან აგერ ამ ქვას დამამსგავსეო.

ასეა, რას იზამ!

სადაც ის ჯოჯოხეთის მუგუზალი მოგისწრებს, მიწას იქვე უნდა დააკვდე — შენი სუნთქვა ბალახმა არ უნდა გაიგოს... და იონაც ასე იქცეოდა, თვალს არ დაახამხამებდა, ვიდრე ის ფერდობი ბნელში არ გაეხვევოდა.

ხანდახან მიწაზე ყურს დაადებდა. ხახუნი ისევ ისმოდა. ეტყობოდა, გვილავა და რუხაძე დიდი გაჭირვებით მიიწევდნენ წინ. მაშხალები რომ არა, აქამდე კიდეც გასცდებოდნენ მტრის საყუჩებს და ტყეს შეერეოდნენ. ახლა კი ვინ იცის. როდის გადაივლიან ამ ფერდობს.

მაშხალები გახშირდნენ. ხან სამი, ხან ოთხი პარაშუტი ერთად გაიშლება იონას თავზე და გულგახეთქილმა კაცმა უკვე აღარ იცის, სად ჯანდაბაში წაიღოს თავისი ხელფეხი, თავისი სხეული, რომელსაც ახლა მთელი გერმანია დაეძებს, რომ დაფლითოს და მიწაში აზილოს...

„ცოტა ხანს სადმე უნდა შევიცადო, სანამ გამოიდარებს!“ — გაიფიქრა იონამ.

პატარა ორმო იპოვნა, შიგ ჩაძვრა, დაბეგვილ იდაყვებზე ხელი მოისვა და გაყუჩდა.

ზემოდან წყლის თქიშინი მოისმა, მერე ამ ხმას სტვენა შეერია... ეს ყველაფერი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ იონამ ვერ მოითმინა და ორმოდან ამოიჭვრიტა.

იქვე ბრეკზე გერმანელი ჯარისკაცი იდგა და შარდავდა. თან რაღაც ნაცნობ მელოდიას უსტვენდა. მგონი, ტორეადორის მარში იყო. ისე არხეინად უსტვენდა, თითქოს ყველა დარდი და საზრუნავი მოლეული ჰქონდა.

ჯარისკაცმა შარვალი შეიკრა, მერე სტვენა-სტვენით ქამრიდან აუჩქარებლად ხისტარიანი გრანატა მოიხსნა და რაღაცას დაუმიზნა.

რაღა რაღაცას, იონამ ცხადზე უცხადესად დაინახა, რომ ჯარისკაცმა ნაბიჯი წინ გადმოდგა და რატომღაც მისი

ორმო ამოიღო ნიშანში. სწორედ იმ ადგილს დაუპირისპირა გრძელტარიანი გრანატა, სადაც იონა მებუკე მოკრუნჩხულიყო.

„დამინახა თუ რა მოელანდა!“ — არ დასცალდა იონას ამის გამორკვევა.

ჯარისკაცმა გრანატა მოიქნია და ისროლა. ელდანაცემმა იონამ ისღა მოასწრო, ორმოში უფრო ღრმად ჩაცურდა და გაინაბა.

გრანატა ორმოს პირზე დავარდა, ცოტაზე ჩამოგორდა და რაღაცას წამოედო... იონას გული გაუჩერდა აფეთქების მოლოდინში. ნამდვილად გაუჩერდა, — კაცმა ვერც სული მოითქვა და ვერც ხელი გაანძრია, რომ თავი მაინც დაეფარა. ხელი რაღას უშველიდა, მაგრამ იონამ ესეც კი ვერ შეძლო... კაცი გათავდა ერთი გათავება.

ახლა იონას უკვე აღარაფერი აღარ ეკითხებოდა და აღარც ემორჩილებოდა.

მერე ერთბაშად ის გული ისევ ამუშავდა. ჯერ ნელა შეირხა საგულეში, შეირხა და გაჩერდა, შეირხა და გაჩერდა. მერე თანდათან მოუხშირა ფეთქვა და სანამ გონებას ეს სასიხარულო ამბავი მისწვდებოდა, იონა მებუკეს ტანმა უაზრა, გრანატა არ აფეთქდაო... არ აფეთქდაო. არ აფეთქდაო!

„არ ვყოფილვარ შენი წერა!“ —გაიფიქრა იონამ და ორმოდან ისევ ამოიხედა.

გერმანელი იქვე იდგა, მხოლოდ ახლა გვერდზე მიბრუნებულიყო და ვიღაცას ელაპარაკებოდა. ვის — არა სჩანდა. ყველაფერზე ეტყობოდა, არცარა დაუნახავს. არცარა მოლანდებია, თორემ ასე მშვიდად რა გაჩერებდა!

იონა მიხვდა, ამ კაცმა ახლა ეს გრანატა თავშესაქცევად ისროლა. გართობა უნდოდა... ასე იცის ზოგიერთმა გუშაგმა — სიჩუმე და მარტოობა რომ მოსწყინდება. ხან თოფს დასცლის, ხან კიდევ ხელის ყუმბარას ააფეთქებს და ღამეს შეეხმიანება.

კაცია და გუნება!

მადლობა ღმერთს, რომ გრანატა არ აფეთქდა და იონა ბეწვზე გადარჩა. „არ ვყოფილვარ შენი წერა“ — ისევ გაიფიქრა მებუკემ და იმავ წამს ცინლამ ზეზე წამოიჭრა, ისეთი რამ დაინახა.

ჯარისკაცმა ქამრიდან მეორე გრანატა მოიხსნა და ისევ იმ ორმოს დაუმიზნა, სადაც წეღან ხელი მოეცარა.

ერთმა რომ უმტყუნა, მერე, რა თქმა უნდა, მეორეც უნდა გაესინჯა. იქნებ ესეც უვარგისი შეხვდა — ეს ყველაფერი გასაგები იყო, მაგრამ წარმოიდგინეთ იმ კაცის მდგომარეობა, ვინც ახლა ამ სინჯვა-ცდისა და თავშექცევის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო.

განა მეორე გრანატაც ისევე ჩუმად ჩაგორდება ორმოში! იარაღმა ორჯერ მტყუნება არ იცის...

ერთი რამ დარჩენია იონა მებუკეს — დაასწროს და ესროლოს ამ მოცლილ გერმანელს... მხოლოდ ამით შეიძლება თავი გადაირჩინოს. მხოლოდ ამით, მაგრამ ეს ფიქრი მაშინვე უკუაგდო იონამ.

გერმანელი ჯარისკაცი მარტო რომ იყოს, კიდევ ჰო — თოფს ესვრის და გრანატას ხელიდან გააგდებინებს...

სამწუხაროდ, იგი წეღან ბრეკის გადაღმა ვიღაცას დაელაპარაკა. მაშასადამე, სროლა არ შეიძლება. ის ერთი ტყვია იონას კი უშველის, მაგრამ დანარჩენებს ყველას მახეში გააბამს. ატყდება განგაში და ყველაფერი გამოაშკარავდება. საყუჩებში ჩამჯდარი გერმანელები ხელად იპოვნიან მათ ფარგლებში შეჭრილ გვილავასა და რუხაძეს. ისინიც დაიღუპებიან და საქმეც ჩაიშლება.

ამ ფიქრსა და ურვას ერთი წამი მოანდომა იონამ.

ამხანაგები ვერ გაიმეტა. იმ ახირებულ ჯარისკაცს თოფი არ ესროლა, თუმცა ვაი რა ძნელი იყო ერთ წამში ორჯერ სიკვდილი.

ორმოცდაოთხი წლის კაცი იყო იონა მებუკე, როდესაც ცხოვრებაში ეს ძნელი წუთი დაუდგა. იგი მაშინვე მიხვდა, რომ მთელი მისი განვლილი ცხოვრება, მთელი მისი ორმოცდაოთხი წელიწა-

დი მხოლოდ და მხოლოდ ამ ერთი წუთის მოსამზადებელი წლები იყო...

ბედნიერია ის კაცი, ვისაც ცხოვრება დაზოგავს და ამ წუთს ააცილებს, მაგრამ თუ ეს არ მოხდა, თუ ის წუთი მაინც დაგიდგა, მაშინ ღმერთმა მოგცეს, ჩემო მეგობარო, იმდენი სულგრძელობა, რამდენიც იმ ღამეს იონა მებუკემ გამოიჩინა...

როდესაც გრანატა ტრიალ-ტრიალით მისკენ წამოვიდა, იგი ორმოში არცკი განძრეულა. მხოლოდ მიწას უფრო დაკვდა და გაინაბა.

გრანატა აფეთქდა. იარაღმა ორჯერ მტყუნება არ იცის.

იონას ბედი, რომ მან უმალვე დაჭკარგა გრძნობა. თოთხმეტ ადგილას დაჭრილი კაცი. კაჟან-დევიც რომ ყოფილიყო, ერთხელ მაინც დაიკვნესებდა, ერთი ვაი-დედა მაინც წამოცდებოდა და იმ ჯარისკაცის ყურადღებას მიიქცევდა. ახლა კი იგი სტვენა-სტვენით გაეცალა იქაურობას.

ნაშუადამევს ამ ორმოს უკან მობრუნებული გვილავა და რუხაძე მოადგნენ. ცოცხალ-მკვდარი მებუკე ლაბადა-კარავში შეახვიეს და ფერდობზე დიდი გაჭირვებით ჩაათრიეს.

ორი თვე ებრძოდა სიკვდილს ჭაგნელი ტრაქტორისტი. მარჯვენა ფეხი მოჭკვეთეს, მრავალ ადგილას გასჭრეს და გრანატის ნამსხვრევები ამოუღეს. ბოლოს, რიგორც იქნა, სააქაოდ მოიხედა და სოხუმის საევაკუაციო ჰოსპიტალში გადაგზავნეს.

როგორი ჩუმი კაციც იყო ცხოვრებაში, აქაც ასე ჩუმად იწვა სკოლის ოთახში და დილიდან საღამომდე დავით კლდიაშვილის მოთხრობებს კითხულობდა.

ერთხელ საუბარში წამომცდა. კიდევ ადვილად გადარჩი, ჩემო იონა, იმ ორმოში რა გულმა გაგაძლებინა, პირდაპირ მიკვირს-მეთქი...

— ეხ. ჩემო კონსტანტინე, სიკვდილი ცოტას ყოველთვის მოიცდის, თუ კაცი არ შეუშინდება! მხოლოდ სირცხვილმა არ იცის მოცდა, მოვა და მაშინვე თავს მოგჭრისო! — მითხრა მან და ნაღვლიანად გამიღიმა.

მცხეთა, ორი აპრილი, 1966 წელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლაუ ნაღიკაძე

ღ ა მ ე

ვარსკვლავთ კრებული დაჰყურებს მიწას,
ფოთლებს ნიავი ეხება ფრთებით.
ჩაფიქრებულან მდუმარე მთები
და მყუდროების სიჩუმე იცავს.

ვარსკვლავთ კრებული დაჰყურებს
მიწას.

თითქოს ბუნება განიცდის დაღლას...
მსუბუქი ქარი წელში ხრის ლერწამს,
ქვებზე ბროლივით იმსხვრევა ტალღა.

ო, სადღაც რაღაც დიადი ხდება,
სადღაც ახალი სიცოცხლე ჩნდება!

მე ვიმეორებ მხოლოდ შენს სახელს

შემოდის მწუხრი ფანჯრებში ცივად.
და აფერმკრთალებს თანდათან საგნებს.
იგი მათ ყველგან ფათურით აგნებს,
ფერადებს, როგორც ყვავილებს აკრებს
და ფეხაკრეფით კუთხეში მივა.

მე იქ მას ველი, თავდახრილი ვხვდები,
მხოლოდ ხელებით ვიფარავ სახეს...
ვზივარ უძრავად, თვალებს არ ვახელ.

მე ვიმეორებ მხოლოდ შენ სახელს.
მხოლოდ შენ სახელს,
შენს წმინდა სახელს...

და როცა მწუხრი მოიხმობს წყვდიადს—
მასაც შევხვდები...
და შემდეგ ღამეს,
წყვდიადს და ღამეს
შევუერთდები.

* * *

შეწყვიტე ფიქრი მშფოთვარე სრბოლა,
ეს გზა სიმშვიდით დავაბოლოოთ...
სიცოცხლისა და სიკვდილის ბრძოლა
მოჩვენებაა მხოლოდ და მხოლოდ!

ნუ დაგვაეჭვებს ყვავილთა ჭკნობა,
ცდუნება ქვეყნის, ჟღერა ჰანგების!
ეგ არის მხოლოდ ცვალებადობა,
უდიადესი სიბრძნე განგების.

არ ვიცი, არა

განა რაიმე არ მითქვამს შენთვის
და გულისკარი არ გამიღია?
მაგრამ ეაგ ცრემლებს
ცრემლი რად ერთვის?
ნუთუ ამ ქვეყნად აღარც ეს კმარა?

ნუთუ არსებობს ტრფობის სხვა
ღმერთი?
გარეშე ჩვენდა?
ვერ გამიგია,
არ ვიცი, არა!

არ ვიცი, არა,
  რა არის უფრო
  მცდარი ან კარგი
  გულს რომ ვახარო,
რომ მას გადავცე როგორც საუნჯე,
რათა ის სიკვდილს მაინც გადურჩეს,
  რომ როგორც მონა
  უძრავი დავრჩე,
რომ როგორც ბონამ
  თავი დავხარო,
მადლობა ვუთხრა ბედსა და გამჩენს!

ო, ყოველივე შხამით ნალესი,
  ფიქრი, ან განცდა,
  ან ჭმუნვარება,
უსიტყვოდ ლოცვა უმხურვალესი,
სევდა უღრმესი და უმწარესი,
  ვით კაეშანი,
  ვით მწუხარება,
როგორც ვედრება და მუდარება
  უსათნოესი და უნაზესი,
უსათუთესი ჩემი ალერსი,
ეს სუნთქვა ჩემი უსათუთესი,
  ეგ უწმინდესი
  ტრფიალი ჩემი,
განმარტოების ტანჯული დღენი —
განა ვინმესთვის მე გამინდვია
ამ მომაკვდავი ცოდვილი ენით?!

ო, ყოველივე მე მითქვამს შენთვის
და გულის კარიც მთლად გამიღია,
მაგრამ მაგ ცრემლებს
  ცრემლი რად ერთვის?
ნუ თუ ამ ქვეყნად აღარც ეს კმარა?
ნუ თუ არსებობს კიდევ სხვა ღმერთი
  და ჩვენს გარეშე?
  ვერ გამიგია,
  არ ვიცი, არა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო კლდიაშვილი

ბარველი—ლანდების კოლექციონერი

კარის მეზობელმა ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი გადმომცა და მორიდებით მთხოვა:

არ გაიკვირვოთ, მოთხრობის დაწერა ვცადე. თუ არ დაიზარებთ, თვალი გადაავლეთ და დაუფარავად მითხარით თქვენი აზრი!

რა თქმა უნდა, გამიკვირდა. აქამდე ვერ წარმომედგინა, რომ ეს ჩუმი, მოკრძალებული ჭაღარა კაცი მოთხრობებს წერდა. ცნობისმოყვარეობამ დამძლია და მაშინვე კითხვას შევუდექი. აი ისიც:

* * *

„ქარის ზუზუნი რომ გავიგონე, ფანჯარაში გავიხედე. დალახვროს ეშმაკმა, ნამდვილი გრიგალი იყო. ტროტუარის ნაპირზე დარგული ჭადარი ბორგავდა. მოლანდებულად ჩანდა მტვერში გახვეული მოედანი და ვარაზისხევის აღმართი. მთაწმინდის ფერდობი ბურუსში მიმალულიყო. ხუთ საათს რამდენიმე წუთი აკლდა, გარეთ კი არც დღის სინათლე იყო, არც საღამოს ბინდი.

ნაცრისფერ ბოდვად ქცეულიყო დრო.

მეგობარს ველოდებოდი და ვწუხდი, რომ ასეთ ავდარში უნდა ევლო.

— „სადმე თავს შეაფარებდა“... — ბოლოს ამით-ღა ვინუგეშე.

შემოსასვლელში უეცრად ზარმა დარეკა. გახარებული გავეშურე, მაგრამ კარი გავაღე თუ არა, სახტად დავრჩი: დერეფანში შემოაბოტა შუახნის მამაკაცმა, რომელსაც ხელში ეჭირა საკმაოდ გაცვეთილი პორტფელი.

— ეს რა ღვთის რისხვაა, თქვენი ჭირიმე! ციკლონია, ზუსტად! — შუბლზე ჩამოფხატული ქუდი აიწია, ამოიწმინდა თვალები და შვებით ამოიოხრა.

გაოცებით შევხედე და გავიფიქრე: გრიგალმა აიძულა პირველსავე სახლს შეხიზნებოდა და აღარ ეძია, ნაცნობი ვიყავი თუ არა... მოსულიერება ვაცალე, ოღონდ უსიამოდ წარმოვიდგინე, რომ ეს შემთხვევითი სტუმარი გამოდარებამდე ჩემთან იქნებოდა... რა მექნა, გასაჭირში ჩავარდნილს უარს ხომ ვერ ვეტყოდი თავშესაფარზე.

ულაზათო შესახედავი იყო, ამასთანავე არც თუ სუფთა მეჩვენა, და ვამჯობინე აქვე დერეფანში დამეტოვებია. მაგრამ სკამის გამოსატანად რომ წავედი, არც უთხოვია ნებართვა, გამომყვა და ოთახში ისე შემოვიდა, ვითომ მოშინაურებული ვინმე ყოფილიყო. თვალი მიმოავლო იქაურობას, თითქოს დარწმუნებულად, რომ ჩვენს გარდა სხვა არავინ იყო. თავისი გაბერილი პორტფელი მაგიდაზე დადო და პალტოგაუხდელად სავარძელში ჩაჯდა. მეხამუშა უცხო კაცის ამგვარი სითამამე და უკრძალავი ქცევა. მაგრამ მეტი რა ძალა იყო, მასპინძლობის გრძნობა მავალებდა უკმაყოფილება არ გამომეჩინა.

— როგორც იქნა, შინ გნახეთ... წასულ კვირას მოგაკითხეთ, ოღონდ...— საქმიანი კილოთი თქვა და ჯიბიდან სიგარეტი ამოაძვრინა.

— თქვენ გულდაგულ ჩემთან მოხვედით? —გაკვირვებული მივაჩერდი. — ისიც ამ ამინდში?

— რა ვქნა, ჭირიმე, — დამცინავად ჩაიქირქილა. —გულთმისანი არ ვარ, რა ვიცოდი გზაში მომისწრებდა...

მაშ ის შემთხვევით მოსული არ ყოფილა?! ვინ იყო, რა საქმე უნდა ჰქონოდა, რომ წინათაც ვუძებნივარ? სრულიად მოულოდნელი იყო ამის გაგონება და უნებურად დაიძაბა ჩემი ყურადღება.

— მე ყველასთან არ დავდივარ, — გააბოლა და დინჯად ალაპარაკდა, — მხოლოდ მასთან, ვისი იმედიც მაქვს, რომ...

ეჭვი დამებადა, რომ ქორვაჭარი იყო, ერთი მათგანი, ვინც მაღაზიებში ძნელად საშოვარ ნივთებს ოჯახებში დაატარებს და ზედმეტ ფასებში ყიდის. უკვე ვნანობდი, რომ შინ შემოვუშვი და, ცოტა არ იყოს, მკვახედ მივმართე:

—რა გინდათ, რად დაგჭირდათ ჩემი ნახვა?

პასუხის ნაცვლად მაგიდიდან აიღო საფერფლე, გულდასმით მოსინჯა სუფრა, რომ არსად ნამცეცი არ ყოფილიყო, გახსნა პორტფელი და ცელოფანის რამდენიმე კონვერტი ამოალაგა. თვითეულ კონვერტს ერთ სიტყვიანი წარწერა ჰქონდა.

— წინდები არ მჭირდება! — ჩავიდუდუნე.

— ოჰ, არა, შე კაი კაცო! — გაეღიმა და ჩაყვითლებული კბილები გამოუჩნდა. — ვინმე სპეკულანტი ხომ არ გგონივართ? არ გაგიგონიათ ლევან ბარველი? მე გახლავართ...

კონვერტებიდან ერთი ამოარჩია, პირი შეხსნა და დიდი სიფრთხილით გამოაცურა მოშავო ფერის უცნაური ნივთი, რომელიც უმალვე ისეთად მენიშნა, რომ უწონადო და ყოველგვარ მატერიალურ სხეულოვნებას მოკლებული უნდა ყოფილიყო.

თითების სათუთი მოძრაობით თანდათანობით გაშალა მრავლად დაკეცილი ნივთი და შემომთავაზა დამეხედნა. ეს იყო... ღმერთო ჩემო, შევკრთი კიდევაც.. ეს იყო ადამიანის ლანდი, მაგიდაზე გაშოტილი... ამაში დაეჭვება შეუძლებელი იყო, — გარკვევით ჩანდა ტანის გამოხატულება, მრგვალი თავისქალა, ფეხები, ხელები. სახის ნაკვთები და თვალები არ ემჩნეოდა, —მხოლოდ ბრტყელი ლანდი, რომელიც მუდამ თან ახლავს ადამიანს მზიანში და ღამით ელექტრონის შუქზე. წამიერად ისიც მეჩვენა, რომ კიდევაც მოძრაობდა.

— უფრო ახლოს მოიწიეთ და დააკვირდით, — მირჩია ბარველმა. — ხომ საინტერესო ექსპონატია? ა? რას იტყვით?

არ მიმიხედავს მისკენ, მაგრამ ვგრძნობდი, რომ გამომცდელი თვალით შემომცქეროდა და თავისი ყვითელი კბილებით იღრიჭებოდა.

არაფერი რომ არ ვთქვი, თვითონ ალაპარაკდა:

— თქვენ, ცხადია, იცით, რომ არსებობენ ნუმიზმატები, ფილატელისტები და სხვა მისთანანნი. არიან ისეთებიც, რომლებიც აგროვებენ ასანთის და პაპიროსის კოლოფებს, ღილებს და ძველ ფოტოსურათებსაც. ერთი სიტყვით, ვისაც რა ვნება ამოქმედებს, იმას მისდევს. არ ვკიცხავ მათ, რა ქნან, თუ კუდმოკვეცილი ფანტაზია აქვთ. ამგვარი კოლექციონერების მიამიტობა მხოლოდ შეცოდებას იწვევს ჩემში. ისინი ერთობიან, მე კი... ჩემი საქმე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია და რთულიც...

მეორე სიგარეტი ამოათრია და გააბოლა. ოთახში იაფფასიანი თამბაქოს მძაფრი სუნი დადგა.

— ნუ გაგიკვირდებათ, მე ლანდების კოლექციონერი ვარ... ჩემმა პროფესიამ კი საოცარი გატაცება იცის და ერთხელვე თუ ჩაგითრია... — ღრმა ნაფაზი დაარტყა და ხელი ჩააქნია. — არ დაგიმალავთ, ზოგჯერ მას განვიცდი როგორც უმძიმეს ტვირთს, როგორც ბედის წყევლასაც...

მოღუშული სახე მალე ისევ გაუნათდა. გუნებაზედაც მოვიდა.

— იქნებ, გინდათ იცოდეთ, როგორ ვახერხებ ამ უჩვეულო ექსპონატების შეძენას? უნდა გითხრათ, ზებუნებრივი აქ არაფერია. მერწმუნეთ, არავითა-

რი ჯადოქრობა! ეგ კი არა, ძალიან მარტივი და იოლი საქმეა. ერთადერთი სიძნელე, პირადად ჩემთვის, მხოლოდ ის არის, რომ შერჩევით ვაგროვებ. ლანდი ყველა ადამიანს გააჩნია, მაგრამ განუკითხავად ხომ ვერ წავეპოტინები. მრავალ მათგანს გინდ ჰქონია, გინდ არა, ჩემთვის სულერთია. მე ხარისხს მივსდევ, მე მხოლოდ განსაკუთრებული კატეგორია მაინტერესებს...

ნერვიულობა შემატყო და ჩემს დამშვიდებას შეეცადა.

— ბოდიშს ვითხოვ, საგანს გადავუხვიე... იმას მოგახსენებდით, რომ ჩემს პროფესიაში ზებუნებრივი სრულიად არაფერია. დიახ, არავითარი მისტიკა! პირიქით, ფრიად ცხოვრებისეული ამბავია და ხერხიც პროზაულია... მივდივარ ამა თუ იმ კაცთან, უსაშიშრო სამართებლის ჟილეტით გადავჭრი მის ლანდს, დავკეცავ და იქვე ვდებ აი ასეთ კონვერტში. რა თქმა უნდა, დიდი სიფრთხილით, დასტაქრის სიზუსტით უნდა იმოქმედო, ვინაიდან ლანდი ძალიან სათუთია, ადვილად შეიძლება დაზიანდეს და ამით, ხომ, თვითონვე იზარალებ... არ გეგონოთ, რომ სიტყვა ზარალი რაიმე კომერციასთან იყოს დაკავშირებული. მართალია, ხანდახან იძულებული ვარ ვიყიდო განსაკუთრებულად საინტერესო ეგზემპლარი, მაგრამ ასეთი შემთხვევა იშვიათია. მრავალი მოქალაქე თვითონვე უარს ამბობს საკუთარ ლანდზე და ცდილობს მოიშოროს... გინდათ, იცოდეთ, რატომ?

მართლაც, მინდოდა გამეგო. ეს კაცი თითქოს ჩემს სახეზე კითხულობდა, რაც, ვფიქრობდი ამ წუთში.

— როგორც ჩანს, წარმოდგენა არ გაქვთ ლანდის თვისებაზე. ის მეტად რთული არსებაა. არ იფიქროთ, რომ შეცდომით ვიხმარე სიტყვა არსება... თითქოს ბუნებრივი მოვლენაა, რომ მოუშორებლად დაგყვებათ და მაშინაც თქვენთან არის, როცა ბალიშზე თავი გიდევთ. წონა არა აქვს და არავის ამძიმებს. მას იოლად და თავისთვის შეუმჩნეველად დაატარებს ყრმა და გადახშუებული ბებერიც. ჰო, თითქოს უცოდველი რამ არის, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითია... ლანდს შეუძლია ერთ-ვალი ზიანი მოგაყენოთ და საბედისწეროც გახდეს თქვენთვის...

რაც დრო გადიოდა, ეჭვი მეღვიძებოდა, რომ ჩემი სტუმარი დარტყმული იყო, შეშლილი.

— რა უნდა შეეძლოს რაღაც ლანდს? ალბათ, იკითხავთ და კიდევაც გაგეცინებათ გუნებაში. ასეა, არა?

სულაც არ ვიყავი სიცილის გუნებაზე. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რა გზით მომეშორებია ის თავიდან.

— ასეა, არა?

არ მიპასუხნია.

— დიახ, არც ისე უცოდველია, როგორც ბევრს გონია! ის ხომ ადამიანთან ერთად გამოჩნდება მისი დაბადების პირველ წუთშივე. შემდეგ კი დაჰყვება მთელი სიცოცხლის მანძილზე, მასთან ერთად იზრდება და ბოლოს კიდევაც მასთან ერთად მოხუცდება. ბუნებრივია ამიტომ, რომ ლანდი არა მხოლოდ უბრალო ანარეკლია ადამიანის სხეულის, არამედ მისი ხასიათის, ყველა მისი თვისების განმეორებას წარმოადგენს. ასეა, ხომ? ლანდის ეს თვისება გარეგნულად თითქოს შეუმჩნეველია, მაგრამ თავის არსებაში ყველაფერს ინახავს, რაც მისი პატრონისათვის დამახასიათებელია... როგორც პატეფონის ფირფიტაზე, სადაც შენახულა მომღერლის ხმა, ასევე ლანდშიაც თავისი პატრონის მთელი ცხოვრებაა აღბეჭდილი და დაცული: მისი ბავშვობა, დავაჟკაცება, გატაცებანი, სურვილები და ფარული ფიქრებიც. ჰო, ფარული. სხვასთან გაუმხილელი ფიქრებიც და, როგორ გგონიათ, ამის შემდეგ მას არ შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს ადამიანს? ჩვენ ვცდილობთ როგორმე დავფაროთ, სხვას არ გავუმჟღავნოთ ჩვენი ფიქრები და ოცნებები, აქ კი, ჩემო კეთილო, შესაძლებელია, რომ უეცრად ყველაფერი საჯაროზე გამოვიდეს, ვინ არის, რომ არ დაფრთხება ამაზე? ჰმ!

ჩაიხითხითა და მერე სერიოზული სახე მიიღო.

— არ იფიქროთ, უბრალო ცნობისმოყვარეობა მამოქმედებდეს. ჩემს კოლექციონერობას საკმაოდ თვალსაჩინო მეცნიერული სარჩული უდევს... მინდა გამოვიკვლიო, როგორ და რაზე ოცნებობენ ჩემი დროის ადამიანები. ეშმაკმა წაიღოს, ხშირად ისინი ძალიან შეუღწეველ, თვალშეუვალ ნიღაბს ატარებენ. ლანდების შემწეობით კი მე ვახერხებ გავეცნო მათ ცხოვრებას და იმ საფეხურებსაც, რომლითაც მიაღწიეს თავის დღევანდელ წონას საზოგადოებაში, როგორი გზა განვლეს, რა ხვრელებში გაძვრნენ, რამდენი დაბრკოლების გადალახვა დასჭირდათ რა კომპრომისებზე წავიდნენ, რა დათმეს იმისათვის, რომ თავისი მდგომარეობა განემტკიცებიათ...

ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა. ოთახში ბოლი ცურავდა. დამძიმდა ჰაერი.

— როგორც გითხარით, ყოველივე ამას მეცნიერული სარჩული უდევს. ძალიან საკირკიტო და შრომატევადი საქმეა, მაგრამ ძალღონეს არ ვზოგავ, ოღონდ კი მიზანს მივაღწიო. ტრაბახობათ ნუ ჩამომართმევთ და, ამ შრომას უდიდეს ღვაწლად, სიმართლით გატაცებული მემატიანის თავდადებად ვთვლი. ერთ ჩემ საიდუმლოსაც გაგიმხელთ, — გადაწყვეტილი მაქვს დავწერო წიგნი... ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა... დიახ, მრავალტომიანი ნარკვევი ჩვენს საუკუნეზე, და თუ ახლავე არ შევუდექი მასალის შეგროვებას, შემდეგ მისი ნამდვილი სურათის აღდგენა შეუძლებელი გახდება. მომავალში სხვა ლანდები წარმოიშვებიან, ისინი შეერევიან ძველს და აირევა ყველაფერი. მომავალი სამყარო, იცოდეთ, ლანდების სამყარო იქნება და ხომ უნდა იცოდეს შთამომავლობამ, თუ რა გზა გაიარა, სანამ თავის დასრულებულ სახეს მიიღებდა!

საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემი სტუმარი შეშლილი იყო. მდუმარედ ვიჯექი და ვფიქრობდი მხოლოდ იმაზე, თუ რა ხერხისათვის მიმემართნა, რომ თავიდან მომეცილებინა. ერთადერთ იმედად ჯერჯერობით ის მქონდა, რომ მალე დაიღლებოდა ლაყბობისაგან და წავიდოდა.

მაგრამ შევნიშნე, რომ თანდათან შეემატა ხალისი.

— აი, ბატონო ჩემო, რა მიზნით ვაგროვებ ლანდებს... სიმართლე გითხრათ, დიდად გამრთობი და თავშესაქცევი საქმეა. ზოგჯერ, როცა მომწყინდება, ამოვიღებ ხოლმე მათ კონვერტებიდან და გავშლი. თვითონ კი მოვიკალათებ სავარძელში, ვუთვალთვალებ და ვაყურადებ მათ ჩურჩულს. ღმერთო ჩემო, რას არ მოისმენ, რას არ გაამჟღავნებენ ხოლმე ისეთს, რასაც მათი ძველი პატრონი შიშით არავის უმხელდა! პატრონი, ზოგიერთი მაინც, იქნებ, ჯერ კიდევ ცოცხალია, ქუჩაში დადის ან დაწესებულების კაბინეტში მედიდურად გამოჯგიმულა და აზრადაც არ მოუვა, რომ მე ყველაფერი ვიცი, რომ მთელი მისი ცხოვრება ჩემს ხელისგულზეა გადაშლილი!

ისე გულიანად გაეცინა, ცრემლიც მოადგა.

— ლიტონ სიტყვად რომ არ გეჩვენოთ ჩემი ნათქვამი, შემიძლია აქვე დაგიმტკიცოთ...

მაშინვე შუქი აანთო ოთახში, მერე დახსნა კონვერტები, დიდი სიფრთხილით ამოიღო რამდენიმე ლანდი და ზოგი კედელზე ააკრა, ზოგი იატაკზე გაშალა. იქნებ, ჩემი მეტისმეტი ნერვიულობის ბრალი იყო ანდა იმ წუთებში გონება ამღვრეული მქონდა, ისე მეჩვენა, რომ ისინი გამოცოცხლდნენ.

— ეჰეე, მოხსნეს გუდას პირი! — გადაიხარხარა ბარველმა. — თავის თავსაც აღარ ზოგავენ, ყველაფერი წამოაყრანტალეს! ოხოხო! ახლო ეოიწიეთ. გეთაყვა, დაუგდეთ ყური! ფანტასტიკური ეპოპეა გადაიშლება თქვენს წინაშე, რომელი ილიადა და ოდისეა!

უნებურად, ჩემი სურვილის წინააღმდეგ, ავდექი, რამდენიმე ნაბიჯი გადავ-

დგი, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გავბედე მიახლოვება. და, აი, სწორედ იმ წუთში შევნიშნე, რომ ბარველი დაჟინებით მომაჩერდა... მაგრამ მე კი არა, უფრო ჩემ ლანდს.

— ჰო, არ შევმცდარვარ! — მომესმა მისი გახარებული ჩუმი ხმა, მერე კიდევაც მომიახლოვდა, გვერდით ამეტუზა და ლანდს ფეხი დააჭირა. — ჰო, არ შევმცდარვარ, საინტერესო ექსპონატია!

ეჭვი აღარ მქონდა, ჩემს ლანდზე ნადირობდა. მუშტრის თვალით შეათვალიერა, დაიხარა, რომ ხელით შეხებოდა, მაგრამ უმალვე გავშორდი და ფანჯრისკენ მივიწიე.

— ვხედავ, ძნელი იქნება თქვენი დათანხმება. გატყობთ, არ გეშეტებათ,— დამცინავადაც გადმომხედა.—ის კი ძალიან გაამდიდრებდა ჩემ კოლექციას. გამოგიტყდებით, რამდენიმე თვეა თვალს ვადევნებდი, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი, თუ ასეთი საინტერესო იქნებოდა... იცით, რა გითხრათ? თუ უფასოდ არ დამითმობთ, მზად ვარ ვიყიდო!

თავი ველარ შევიკავე და გაბრაზებულმა ვუყვირე:

— გაეთრიეთ, აქედან, ახლავე გაეთრიეთ!

ბარველმა მხრები აიჩეჩა:

— რა საჭიროა ასეთი გაცხარება! ინტელიგენტები ვართ, მეტი თავდაჭერა და თავაზიანობა გვმართებს. მე მგონია, ისეთი არაფერი მითქვამს, რომ პირველად თქვენთან მოსულ კაცს აგრე უპატივცემულოდ მოეპყრათ...

მოახლოვებას ვერ ბედავდა, შორიახლოს გვითვალთვალებდა ხან მე, ხან ჩემ ლანდს და წამდაუწუმ აბოლებდა.

— როგორც გნებავდეთ, — თქვა წამიერი სიჩუმის შემდეგ. — ოღონდ ვერ გამიგია, რატომ ხართ წინააღმდეგი. სხვა თუ არაფერი, მე მგონია, საამაყოც არის, რომ ლანდი დაცული მექნება სხვა თვალსაჩინო ლანდებს შორის. ამით, ხომ, თქვენც ისტორიაში მოხვდებით... ბოლოსდაბოლოს, ეს მაინც მიიღეთ მხედველობაში, რომ დიდად მოგებული დარჩებით. თქვენ ამით ჩამოიშორებთ წარსულს, ყველაფერს, რაც ძველიდან მოგდგამთ და საბოლოოდ განთავისუფლდებით ყოველგვარი ხიფათისაგან... მომეცით ხელი, მოვრიგდეთ!

ოთახში ჰაერი დახშული იყო. თავი მიბრუოდა მყრალი თამბაქოს კვამლისაგან. ყურადღება არ მივაქციე, რომ გარეთ ცივი ქარი ბობოქრობდა და ფანჯრის გაღება დავაპირე.

— რას შვრებით! — მომესმა შეშფოთებული ხმა. — ვერ ხედავთ, რა ამინდია?!

შეძახილმა ბიძგი მკრა და მოვფლითე ფანჯრები. ოთახში სუფთა ჰაერი შემოიჭრა. მაშინვე გავიგონე ძლიერი ჯახუნიც, — სამზარეულოში სარკმელი ღია ყოფილიყო, ორპირმა ქარმა გახსნა კარები და კედელს მიახეთქა.

— დაკეტეთ ახლავე! დახურეთ! — ყვირილით გამოემართა ჩემსკენ ბარველი, მაგრამ უმალვე შეჩერდა და დატრიალდა ოთახში.

მხოლოდ მაშინ დავინახე, რომ აქამდე კუთხეებში მიყუდებული და იატაკზე დაფენილი ლანდები ქარს აერივნა ერთმანეთში, დააფრიალებდა და წეწავდა.

— რას დამდგარხართ! მომეშველეთ. — შეშფოთებულად ყვიროდა ბარველი და მათ დაჭერას ცდილობდა.

ჰაერის ძლიერმა ტალღამ ჯერ შიგნით აფორიაქა ლანდები, მერე ფანჯარასთან მირეკა და გარეთ გაიტაცა. თვალი მოვკარი, როგორ წაიღო ისინი სტიქიონმა და თხელი ნისლივით გააქროლა თავისუფალ სივრცეში. ლევან ბარველი წუთით დარეტიანებული მიშტერებოდა გარემოს, უეცრად ამოიგმინა, დასტაცა ხელი თავის პორტფელს და სახლიდან გაიჭრა. დავინახე, რო-

გორ მირბოდა ის ქუჩაში და ეძებდა გატაცებულ ლანდებს.

გავასუფთავე, გავწმინდე ოთახი თამბაქოს ბოლისგან და მივხურე ფანჯარა. გამოვლილი მღელვარების შემდეგ მოთენთილი ვიყავი. მძიმედ ჩავეშვი სავარძელში. კიდევ დიდხანს ყურში ჩამწიოდა გიჟი კოლექციონერის სასოწარკვეთილი ხმა. გვერდით ჩემი ლანდი მოკალათებულიყო იატაკზე. აქამდე არასოდეს მიფიქრია მასზე და როგორ წარმოვიდგენდი, რომ უმისოდ არ გამეძლებოდა... თურმე რა ახლობელი მეგობრის წართმევას მიპირებდა ვიღაც ტიალი!... დავჩერებოდი, ოცნებით ვუალერსებდი და ვამხნევებდი. შფოთიანი წუთების შემდეგ ახლა ისიც ხომ ჩემსავით მოთენთილი იყო!..

* * *

— რას იტყვით? — შემეკითხა, როცა ბოლო სტრიქონი ჩავათავე, — ოღონდ პირდაპირ, ნუ დამზოგავთ!

— მაშ პირდაპირ?

— არავითარი მობოდიშება, ასე აჯობებს ჩემთვის.

— ეს გახლავთ თქვენი კარჩაკეტილი ცხოვრების და ავადმყოფი ფანტაზიის ნაყოფი. დაკეცეთ, წაიღეთ და არავის აჩვენოთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირზა გელოვანი

გამოუქვეყნებელი ლექსები

* * *

ეს იყო წელი ოცდაცხრამეტი,
გემთა მლეწავი და გამრიყავი,
როცა დავკარგეთ ჩვენ ერთმანეთი
და დამნაშავე ჩვენვე ვიყავით.
როცა აყეფდნენ ჰაუბიცები
და ზღვაში შავი ჩაწვნენ ნაღმები...
გულის წამღებად სცრიდნენ ღრუბლები,
გრიგალიც ჰქროდა გულისწამღები.
იდგა ჩრდილებში სიკვდილის სვეტი
და მრისხანებას სცდიდა ცელისას.
ოცდაცხრამეტი, ოცდაცხრამეტი
ბევრს აიწონის შემდეგ წელიწადს
ეს იყო წელი ოცდაცხრამეტი,
გადაყოლილი ცეცხლსა და დემონს.
როცა დავკარგეთ ჩვენ ერთმანეთი.
სამარადისო წამებავ ჩემო.
როცა წამოდგა ზმორებით ქარი
და დასავლეთში ფრთები გაშალა,
როცა ჩამოჰკრეს ბრძოლების ზარი
და ომის ღმერთებს შეხსნეს ავშარა.
თვალით სინჯავდნენ ერებს ერები.
სიჩუმე სცემდა გარუჯულ ძარღვებს
წამოდგენ ლურჯი კრეისერები,
ზღვა გააპეს და ეძებდნენ ნაღმებს
ტყვიაც ეძებდა სისხლიან წერტილს,
ცაც ჩამოწვა და სისხლი წაიცხო.
ასე დამთავრდა ოცდაცხრამეტი
და მეორმოცე ასე დაიწყო.

* * *

მე მხოლოდ მახსოვს, რომ გასაშრობად
ცას ეწვა ნისლი უკაბადონო.
მე არ მქონია ქვეყნად ბავშვობა,
თქვენ უსირცხვილოდ სტყუით, ბატონო,
შეხედეთ ჩემ გულს ათასგზის ნაგმობს,
ქარმა, ღამემ და სიცივემ აცრა.
თქვენ რაღაც სუფთა ყვავილზე ამბობთ
ჩემი უსიტყვო ცრემლების ნაცვლად.
მე მხოლოდ მახსოვს, ქარი ულხინოდ
მიაქანებდა ბედს უპატრონოს,
თქვენ უსირცხვილოდ, ო,
უსირცხვილოდ
ჰო, უსირცხვილოდ სტყუით, ბატონო.
ხომალდი ჩემი ტალღებს ქაფიანს
არც შველას სთხოვდა, არც სთხოვდა
შეხლას.
მე მაქვს უბავშვო ბიოგრაფია
და ერთადერთი ამით ვარ ქვეყნად.

* * *

სუფთა შარა რად ვერ გახსოვს
ჩვენი სახლის ზემოდ...
ჩემი გული რად არ გახსოვს,
სიყვარულო ჩემო?!
რად არ გახსოვს სუფთა შარა.
სუფთა ჩრდილი ხეთა,
სადაც ჩუმად, სადაც მწუხრად
ჩვენ ვისხედით ერთად.

უგულო ამური

ბაღში აუზი გულივით თრთოდა,
აუზში თრთოდა ჩვილი ამური.
ბაღს ჰქონდა გული, აუზსაც ჰქონდა,
მარტოდენ ამურს არ ჰქონდა გული

ჩვენ ვიყრებოდით ღიმილის ზენით,
რომ გადატეხა გვეტირა ბედის,
აუზთან დარჩნენ გულები ჩვენი
და უგულონი დავდივართ დღემდის.

* * *

როგორც იფნები, როგორც ვერხვები,
მხრებს დაეხარნენ შუქთა შვილდები.
გითხარ, რომ ქვეყნად ვეღარ
შეეხვდებით
და ატირებულს ვერ გამშვიდებდი.
ო, იმ საღამოს ცის ლურჯი ფერი

იცრიდა გაყრას, წამწამა შვილდო,
ბედმა შესცვალა როლები ჩვენი
და ქვეყანაზე ვინ დაგამშვიდოს?!

1940
ქ. ხარკოვი

პ ა ტ ი ე ბ ა

ნაპირზე მთვლემარ წვეთების შრიალს
დაღუპვის ოხვრა ამცნეს ტივებმა
მე გაპატიე, რომ სიკვდილშიაც
არ მეპატიოს ეს პატიება.
თვალები შენი გათვალულ მტევნებს
დამგვანებოდნენ წუხილს ანატირს,

მაგრამ, ბოროტო, მე მოგიტევე,
მე მოგიტევე აწ და მარადის.
და გზების ბოლოს, ვით ჩუმი გლოვა
როცა მზის ცახცახს შესცვლის ციება
მწუხრი მოვა და მოძღვარიც მოვა
და არ შემინდობს ამ პატიებას.

* * *

სად ალერსი შენებულა,
იქ წუხილი ვის ებურა?
შენ წახვედი შენებურად,
იგი დარჩა მისებურად.

დარჩა ბედთან დამდურება —
ცრემლი დარჩა საყვარელის
და შენებურ დაბრუნებას
ნატრობს, მაგრამ აღარ ელის.

* * *

ბაგეთა კოცნა ლოდინს
არ მიქარვებდა შენსას,
მე დავიღალე, მოდი,
ჩემი დაღლისა შევსვათ.
შევსვათ, უნაზეს სურვილს
ვეჭვრეტდი სხივებად ჩენილს...
ოდესღაც მქონდა სული,

შევსვათ სულისა ჩემის
შევსვათ? ცხოვრება მოკლე
ღიმილს მიგავდა შენსას.
მე უშენობით მომკლეს
ჩემი სიკვდილის შევსვათ.

1940
ხარკოვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაღე ბობოხიძე

სამაისო სიმღერა

წითელ ფერს — მაისის ვარდის ფერს
ვეტრფოდი და ახლაც შევხარი;
სიყრმის დღე ჩემს თვალწინ გადიფრენს,
ვერ მაკრთობს ცა რისხვით მჭექარი.

ზღვა ღელავს და მიწა ზანზარებს,
გაზაფხულს კვლავ ვხედავ, ეგ არი!
მაისი ტკბილ ნექტარს მაძალებს,
მზეს ვუცქერ — მთის ქიმზე შემდგარი!

დავიპყრეთ. მთვარე კვლავ მაოცებს,
მიწაა დილის ცვრით ნამული,
და პოეტს — მიღწეულს სამოც წელს
მამაღლებს რუსთველის მამული.

ქარს ვხვდები მთებიდან მობერილს,
ზღვაური მხნეობას მთავაზობს;
დრო მწყალობს და მიწა მშობელი
მეძახის: — არ დასცხრე არასდროს!..

ტურფაა მზიური მთა-ბარი,
სიმღერა სიამეს მაღირსებს
და გული — ალერსით გამთბარი
მიჰყვება სიცოცხლის მაისებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანსულ ჩარკვიანი

დიდი ნათელი

დაღამებულა, ფიქრით და სევდით
და ლურჯი ფერი წასულა ცისკენ,
ჩვენ კი, ოთახში ვისხედით, ვწერდით
და ხმას კეტავდა კედლების სისქე.
თურმე გარბოდნენ ლამაზი წლები,
ჩვენ რომ გვეგონა გავრბოდით მზისკენ.

თეთრი ფიქრები ორთქლავენ მინებს,
მერე თითებით აწერენ ცრემლებს,
დაეშვა ფარდა შხაპუნა წვიმის
და თქარა-თქური გაუდით ცხენებს...
წვიმასაც მიაქვს თავისი წილი
და გვიფათურებს უამრავ ხელებს.

ხომ არ გვეძინა, რა ვუყოთ მერე,
ხომ არ ვტიროდით დაკარგულ წუთებს...

დავდიოდით და ვეძებდით ფერებს,
დაგვდევდა სევდა ვით სულის ხუთვა.
მზისკენ მივსდევდით გაფრენილ
მერნებს
და მკერდში წლების გვესმოდა
სუნთქვა.

ახლა თუ გინდა წავიდეთ მართლა,
ახლა თუ გინდა გვიმუხთლოს
ბედმაც,
შენი ჭირიმე, აუგი არ სთქვა
და არ აჩვენო არავის სევდა,
შენ სხვა იყავი, შენ წერდი მართალს
და დიდი ზეცის ნათელი გედგა.

სიზმრები

სად დამეკარგე ნათელო ფიქრო,
სად მიგატოვე აღარც კი მახსოვს...
გუდანისჯვართან დაგტოვე იქნებ,
სად მიგატოვე, აღარც კი მახსოვს.

მერე მოვბრუნდი და ბევრი გდიე,
ავაწიოკე ქვეყანა მთელი.

ბოლოს მივადექ გაღებულ დილეგს,
როგორც ყაჩაღი და როგორც მკვლელი.

ამაოდ გძებნე,
ამაოდ დავშვრი,
სულში მზისფერი ქარები ქრიან
და მთვარის შუქზე არაგვის ხმაში.
გაურკვეველი სიზმრები ყრია.

მტკვარი და მთვარე

მეტეხის ციხე, მეტეხის კარი,
ჰაღალი ღამე, წვიმა და ქარი,
თბილისის ქუჩებს
ნაცრისფრად რთავენ
მთვარე და მტკვარი...
მტკვარი და მთვარე...

სიონის სევდა, რუსთველის ბწკარი,
ჯვარზე გაკრული დღეები მწარე —
შეუნახიათ კრწანისის ქარებს,
მთვარე და მტკვარი...
მტკვარი და მთვარე...

ასეა ჩვენი სიცოცხლე ჩქარი,
მერე მივდივართ ჩუმად და წყნარად.
დავიწყეთ, მაგრამ ვერ დავამთავრეთ...
მთვარე და მტკვარი...
მტკვარი და მთვარე...

და როცა ყველგან დარეკავს ზარი,
როგორც ოცნება ანდა სიზმარი,
ისევ ხელახლა გამოიდარებს,
მთვარე და მტკვარი...
მტკვარი და მთვარე...

იქნება მთელი სიცოცხლეც ჩქარი,
მერე წამოვლენ ჩუმად და წყნარად.
ისე, როგორც ჩვენ ვერ დავამთავრეთ
მთვარე და მტკვარი...
მტკვარი და მთვარე...

და რომ ბზინავდეს მზისფერი ზვარი,
სიმღერას, რომ არ დაეტყოს ბზარი,
აშრიალებენ სიცოცხლის თვალებს
მთვარე და მტკვარი...
მტკვარი და მთვარე.

დაღლილი მზისკენ

დაღლილი მზისკენ წასულო თრიმლო,
ისე ვიცოცხლებ,
ისე ვცხონდები,
შენთან სტუმრობას ვშიშობ და
ვფრთხილობ,
რადგანაც ვიცი, თოვლს ელოდები.

დაღლილი მზისკენ წასულო ხავსო,
თუმცა სიმღერით მომაგონდები,
ვერ მიგალობებ
იმ მწვანე ხმაზე,
რადგანაც მალე, თოვლს ელოდები.

დაღლილი მზისკენ წასულო ნისლო,
დროზე ვმღერით და
დროზე ვღონდებით...
შენს გალობასაც ველარ მოვისმენ,
რადგანაც მალე, თოვლს ელოდები.
. . . .

ასე მიდიხართ, ჩუმად და წყნარად,
დაღლილი მზისკენ,
დაღლილი მზისკენ...
და ყინულის ქვეშ პატარა წყარო,
თოვლის იისფერ სიმღერას ისმენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლიკარპე კაკაბაძე

მეფე ვახტანგ პირველი

დრამატიული პოემა სამ ნაწილად

ნაწილი პირველი

დრამა ოთხ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

მ ე ფ ე ვ ა ხ ტ ა ნ გ I — მეფე სრულიად საქართველოსი
ს ა გ დ უ ხ ტ ი — ვახტანგის დედა
მ ი ჰ რ ა ნ ი — სამეფო გვარის დიდებული
დ ი ნ ა რ ა — მიჰრანის ასული
მ ი ქ ე ლ ი — ეპისკოპოსი
ჯ უ ა ნ შ ე რ ი — სამეფოს პირველი ერისთავი
ს ა მ ნ ა ღ ი რ ი — ოდიშის და სვანეთის ერისთავი
გ რ ი გ ო ლ, დ ე მ ე ტ რ ე — ერისთავნი
ბ ი ვ რ ი ტ ი ა ნ ე, ნ ა ს ა რ, ა რ ტ ა ვ ა ზ — ერისთავნი, ვახტანგ მეფის სპასპეტები
ვ ა ლ ე ნ ტ ი — წარმართი მოქანდაკე
ბ ა კ უ რ ი — სომხეთის დიდი პიტიახში
ხ ვ ა რ ა მ ზ ე — ვახტანგის და, ბაკურის საცოლე
მ ი რ ა ნ დ უ ხ ტ — ვახტანგის და
ლ ე ო ნ ი დ ე — კეისარის ლეონ I სარდალი
პ ე ტ რ ე — რომის გავლენიანი სამღვდელო პირი
მ ა ნ გ უ, ბ ა ქ ა რ — ქურუმები
ე ზ დ ი გ ე რ ი — ალვანის შაჰი, ვახტანგის დედის ძმა
კ ი რ ო ს ი, ბ ე ქ ა რ ი — სპარსეთის შაჰინ-შაჰის ელჩები
გ უ ლ ე დ ი — გავლენიანი წარმართი
ფ ი რ უ ზ ა — წარმართი დალაქი
ზ ა ლ უ ნ ი — ფირუზას ვაჟი, მეფის მცველთაგანი
ი ა ს ო ნ ი, დ ი ა გ ო რ ე — მიჰრანის მოყმენი
ს ტ ე ფ ა ნ ე, ა ნ ტ ი პ ე — ბერები
ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო უ რ ა ვ ი

მლოცველები, დიდებულები, ბანოვანები, მეომრები, მღვდელი, ბერები, შიკრიკები, ბლახაკები, ბრბო.

საქართველო, მცხეთა. მეხუთე საუკუნე.

მოქმედება პირველი

მცხეთა. მაყვლოვანი, წმინდა ნინოს ყოფილი სამყოფელო. მარცხნივ, სიღრმეში ეპისკოპოს მიქელის სენაკი. სცენის იქეთ ჩანს დაუმთავრებელი ტაძრის კედლები. მარცხნიდან გზა მოდის. სცენაზეა ბერი. გზიდან შემოდიან ქალაქის მოურავი, ბერი ანტიპე და წარმართი ხელოვანი ვალენტი. სენაკიდან გამოდის ეპისკოპოსი მიქელი.

მ ო უ რ ა ვ ი — სრული სიმშვიდე დაგირღვიე. ნეტარო, მაგრამ
მწვავე დავა აქვთ ბერს და ვალენტს. მისთვის მოგმართეთ.
ბ ე რ ი — მეფის ასულის მირანდუხტის დარბაზში ვპოვე
ეს წიგნი. შენთან წამოვიღე, მამავ, ვალენტი
ძალით მართმევდა და მოურავს ვუხმე საშველად.
ვ ა ლ ე ნ ტ ი — მეფის ასულს ეს მე ვათხოვე.
ბ ე რ ი — მავნე წიგნია.
ვ ა ლ ე ნ ტ ი — შენ ხარ შობილი მაბეზღარად, ყოვლის მქირდავად.
ბ ე რ ი — ჩვენ კეთილნი ვართ ბოროტების მტრობით.
ვ ა ლ ე ნ ტ ი — შენს გულში
თვით სილამაზეც სიძულვილის მეტს ვერას პოვებს.
მ ი ქ ე ლ ი — ეჰ, ვცადე, ვალენტ და ნათლისკენ ვერ მოგაქციე.
ვ ა ლ ე ნ ტ ი — მე რად ვარ ბნელში, უთვალავ ფერს შევხარი ქვეყნად.
მ ი ქ ე ლ ი — შენ სიჭრელეთა ცქერითა ხარ დაბრმავებული.
ვ ა ლ ე ნ ტ ი — მრავალფერია ქვეყანაზე მხოლოდ სინათლე, —
სიბნელე ყველა ერთფერია.
მ ი ქ ე ლ ი — ცოდვაა კაცი,
როს თავის ვიწრო გონებისთვის შეუზომელთა
კითხვათა ახსნას ეწაფება.
ვ ა ლ ე ნ ტ ი — ო, ვეღარც თქვენი
წერილთა კითხვით მივაკვლიე ჭეშმარიტებას.
ბ ე რ ი — სიბილწე წმინდა წიგნიდანაც სიბილწეს იღებს,
მ ი ქ ე ლ ი — გონების ძაბვით ცრუ ზრდის მხოლოდ თავის სიცრუეს.
ვ ა ლ ე ნ ტ ი — ჰო, მე კაცი ვარ. რაც არ მწვართოს სწავლამ და ბედმა,
კაცად დავრჩები, ასე ხდება მთელ ბუნებაში.
პატარა მხეცი გაიზრდება მხოლოდ დიდ მხეცად.
გველის წიწილი მოთავდება შხამიან გველად.
მ ი ქ ე ლ ი — შენ გავხარ ჭიან ნაყოფს, ცნობილ სენით ხარ ავად.
შენს სენს სახელად ქვია „ძველი ადამიანი“.
შენი დამღრღნელი ჭიებია წარსულის ბრძენნი.
მაგრამ გადაგრგავ უჭკნობელად ახალ მიწაზე.
ვ ა ლ ე ნ ტ ი — სად?
მ ი ქ ე ლ ი — ღვთის წიაღში.

ვალენტი — შენ პირდები სულს საიქიოს,
ის თქვენი მიწა ოცნებაა უნივთიერო,
ჩვენ კი გვჯერა, რომ ნივთისაგან განუყრელი ვართ.
მოკვდება კაცი და მოკვდება მასთან სიზმარი.

მიქელი — იმ დღიდან, რაც ჯვარს ეცვა ღმერთი და წმინდა სისხლი
მოეცხო მიწას, დრო განახლდა. უფლის აღდგომამ
მოსპო სიკვდილი, ძველი მტერი ადამიანის.
სული ნივთიერ ტყვეობისგან განთავისუფლდა
და წუთიერად ვცხოვრობთ აქ, ვით სტუმარნი.

ვალენტი — არ მრწამს.

მიქელი — სატანა გიპყრობს.

ვალენტი — ამიხსენი, რაა სატანა.

მიქელი — რაც ღვთის სიყვარულს წინ აღუდგა ქვეყნის შექმნის ჟამს.

ანტიპე — გესმის, წარმართო!

მიქელი — ღმერთმა თიხას შთაბერა სული
და აზრი გაჩნდა პირველ კაცად. ბუნება ჩვენი
ღვთაებრივია. აზრი იქცა მკვდარ ნივთებისა
მონურად მოძრავ სამყაროში თავისუფლების
პირველ სხივად. ხოლო გვიცავს აწ სიკვდილისგან
ჩვენთვის ჯვარცმულ ღვთის სიყვარული.

მოურავი — რა სასოებას
მგვრის შენი სიტყვა, უწმინდესო.

ვალენტი — მაშ, ფილოსოფოსთ
წერილებს ვინც წვავს, ის ვმობს აზრის თავისუფლებას.

მიქელი — ხოლო ამასთან ნუ ვივიწყებთ; სატანის ხელში
წიგნი ყველაზე საშინელი იარაღია.
არა ყურთაგან ჩასძახის ჩვენს არსებას წიგნი, —
სუფთა თვალთაგან, რომლისგანაც მხოლოდ სინათლეს
უნდა იღებდეს ჩვენი სული. ბოროტის ხელში
წიგნი ის არის, რაც კბილია გველის ხახაში.

ვალენტი — შეფარულად ვმობ აზრის ნამდვილ თავისუფლებას.

მიქელი — ჭეშმარიტებას ჩვენ გზას ვაძლევთ.

ვალენტი — ყველა მტარვალი
თავისუფლების ქებით იწყებს ბორკილის ჭედვას.

მიქელი — უმძიმესია ხელოვანთა თავისუფლება,
ვიდრე მტარვალთა ძალადობა. თქვენ სიტყვას ხმარობთ
ქვეყნის წინაშე მხოლოდ მჭევრად მეტყველებისთვის.

ვალენტი — თქვენ ერს არიგებთ მხოლოდ თქვენი გრძნობით იცხოვრონ
და მათი აზრი ბნელ ზღუდეში მისუსტებული
კვდება მტარვალის ნებით ძილში განუღვიძებლად.

ანტიპე — ნეტარო მამავ, დარიგება არ ჭრის, შენც ხედავ;
დახედე, აჰა, უწმინდესო, მის ცბიერებას,
რა მშვენიერად მოუხატავს სიცრუის წიგნი,
მეფის ასულის შესაცდენად. ო, ლამაზ შუშით
შეპარებული შხამი ასე მავნე არ არის, —
ის უსპობს მიმღებს ხრწნილ, წარმავალ სიცოცხლეს, ხოლო
ამ მოხატულის წიგნის კითხვა კლავს უკვდავ სულსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახეთ, — სიტყვაც რა ნატიფია, თვით მოურავიც
შეაყოყმანა.

მ ო ურ ა ვ ი — ვერ ვიხმარე ძალა, ნუ მკიცხავთ.

მ ი ქ ე ლ ი — რისთვის?

მ ო ურ ა ვ ი — მე ვფიქრობ, მოგახსენეს, ნეტარო მამავ,
მეფეს ბრძოლაში ხელჩართულში მოუკლეს ცხენი,
დიდ გაჭირვების ჟამს მოჰგვარა ჰუნე ვალენტმა
და მთელ მცხეთაში ადიდებენ უბადლო გმირად.

მ ი ქ ე ლ ი — იქ, გამარჯვების მოხვეჭაში ვინ რა შესცოდა,
არ გამიკითხავს, მხოლოდ ვიცი, რომ მობრუნებულ
მეფეს დინარა შეეყარა დარიალის პირს
და ღვთის საწყენად იზეიმეს.

ვ ა ლ ე ნ ტ ი — მანდ უბრალო ვარ.

მ ი ქ ე ლ ი — მეხოტბეებმა შეადარეს მეფე ბერძნულ ღმერთს.
დინარას ჯიხვნი აკვლევინეთ ვერცხლის მშვილდ-ისრით
და არტემიდეს ჰიმნს უმღერდით.

ვ ა ლ ე ნ ტ ი — როს შეგვეგება დარიალთან დინარა გუნდით,
„გედად“ წოდებულ თეთრ ცხენზე იჯდა; — ემოსა
მას არტემიდას სამოსელი. და წარმართულად
ეგებებოდნენ როგორც ქალღმერთს. ეს დინარასგან
იყო უმანკო თავ-შექცევა.

მ ი ქ ე ლ ი — მე თვითონ ვნახე,
რომ ამთავრებ მის ქანდაკებას.

ვ ა ლ ე ნ ტ ი — ძველად დავიწყე.

მ ი ქ ე ლ ი — შენ მის წარმავალ გარეგნობას სახავ მკვრივ ქვაში.
მოუკრძალებლად მის სახეზე აშიშვლებ ვნებას,
და მატებ ზოგად სილამაზეს, მომხიბლაობას,
მეფის გრძნობების ასანთებად. ეს არ შეშვენის
ქრისტიან ქალწულს.

ვ ა ლ ე ნ ტ ი — ვქმნი, როგორც ვგრძნობ.

მ ი ქ ე ლ ი — მაშ, ამიერით,
ჩემ წინ ხელს ვერვინ დაგაფარებს, ვერც მეფე.

ვ ა ლ ე ნ ტ ი — რად მსჯი?
აქ სისხლიც ვღვარე, ვით მეორე სამშობლოსათვის.

მ ი ქ ე ლ ი — ავკვეთავ თქვენი შხამის ნთხევას სასახლეებში.
ამ წიგნს ვიტოვებ დასაწვავად.

ვ ა ლ ე ნ ტ ი — არა, კეთილო,
ეს ჩემი მშობლის ქმნილებაა.

მ ი ქ ე ლ ი — იმ ათინელის?
ო, მას ვიცნობდი, როგორ არა!

ვ ა ლ ე ნ ტ ი — ძველ ელადის ბოლო ჟამის დიდ
ფილოსოფოსს ეს დარჩა მხოლოდ. აქ ყოველ სიტყვას
ისე ვგრძნობ, ვით ამ ქვეყნად მისგან დარჩენილ სუნთქვას;
არ გიყვარდა ის?

მ ი ქ ე ლ ი — მახსოვს, ერთ დროს წარმართნი ღარიბ
ევდოკიასთან ვიყრიდით თავს, შემდეგ ევდოკიმ
მოხიბლა თავის სულით-ხორცით რომის სასახლე,
მიიღო ქრისტეს რწმენა, დაჯდა იმპერატრიცად.

შენი მამა კი ძველ გზას გაჰყვა. ამ წიგნს ვიტოვებ.

ვალენტი — ნუ მთხოვ სამძიმოს.

მიქელი — თუმც შენ მისი შვილი ხარ ხორცით,
მე, ვით მეგობარს, მის სულთან მაქვს წილი და ვითხოვ
ამ წიგნს, ვით ჩემი ჭაბუკობის ნაწილს.

ვალენტი — არ ძალმიძს.

მოურავი — დიდი უფალნი! — ვხედავ, აქეთ მობრძანდებიან.

მიქელი — ო, ვინ? ვახტანგი?

მოურავი — არა, მიჰრან, მეფისა სწორი.

ანტიპე — მისი ასულიც.

მოურავი — ჰო, დინარა... თვალს ვერ ვუჯერებ,
ნაცარდაყრილი, ფეხშიშველი მოემართება.

ანტიპე — მიჰრანს მოჰყვება მირანდუხტი.

მიქელი — ძათი მოვლენა
რას მოასწავებს! თქვენ დამტოვეთ. ღმერთო, მოგვხედე.

ვალენტი — ჩემი წიგნი?!

მიქელი — ახლა ყრუ ვარ. სხვა ჟამს მომკითხე.

მოურავი — ჰო,
არ დაგიკარგავს, შემდეგ თხოვე.

(ყველა მიდის. რჩება მიქელი. შემოდიან მიჰრან და მირანდუხტ)

მირანდუხტ — (უკან იხედება) დინარა, ნუთუ შეგიღონდა გული, დაეცი?!

დინარას ხმა — არა, წმინდანის ქვა-სასთუმალს ვეამბორები.

მიჰრანი — მშვიდობა, ნეტარ მამა მიქელს!

მიქელი — ო, მადლი უფალს,
აბრძანებულხარ სარეცელით.

მირანდუხტ — ეს რა წიგნია?
ო, მე მომტაცა ბერმა!

მიქელი — იცან? ჰო, შენს ასაკში
მე ვმეგობრობდი ამის დამწერს. — ხვალ კოცონში ვწვავ,
ჯერ ნარში ეგდოს.

მირანდუხტ — მე ავიღებ.

მიქელა — არა.

მირანდუხტ — ავიღებ!

მიქელი — გაქვავდი, სანამ ჩემი კვერთხით დაგილეწ სახეს!

მირანდუხტ — თუ მეგობრობდი, დღეს რისთვის სწვავ?

მიქელი — ასე სპობს ღმერთი
კაცს ამპარტავნად დამდგარს თავის კაცურ სიბრძნეზე.
მე კი უფალმა მშვიდს და მორჩილს მარგო საყდარი.
გესმის, ველურთა ტყვეობაში ქაჯად გაზრდილო!

მიჰრანი — წმინდაო მამავ, აპატიე. ეს დღეს დაგვჭირდა
დიდ საქმის მოწმედ.

(შემოდის დინარა ფეხშიშველი, ძაძით. მირანდუხტ ეგებება)

მიქელი — ო, დინარა, ძაძით მოსილხარ,
ჩანს, დარიალის ცოდვა გინდა მოინანიო.

დინარა — მე მინდა წმინდანს შევევედრო, თავს აგვაშოროს
მეხი, რომელიც ჩემთან ერთად შენც დაგატყდება.

მიქელი — მე დაცული ვარ თვით უფლისგან. სთქვით, რა გაშფოთებთ.

მიჰრანი — თუმც ცის წინაშე ბადალი ხარ სვიმონ მესვეტის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას, მაღალ სვეტზე დაყუდებულს, ხელს ვერ უწევენ,
შენ კი გწვდებიან.

მიქელი — თქვენ რაღა გწყლავთ?

დინარა — ვახტანგ მეუფეს
ერთი მზაკვარი შეეყარა, მესვეტის დედის
მხლებელის სახით, და მოხიბლა.

მიქელი — არა, ეს ეჭვი.
უსაფუძვლოა.

დინარა — რად გგონია?

მიქელი — მეუფეს ვნება
თუ მოერია, ვით მოძღვარს არ დამიფარავდა.

დინარა — ვერც გაგიმხელდა, რადგან თავის გულის სიმართლე
მიჯნურმა თვითონ ძნელად იცის.

მიქელი — არა, დამშვიდდით,
იმ გლეხის ქალის შესაცნობად ჩვენ გავამგზავრეთ
ბერი სტეფანე სირიაში. მან მესვეტესთან
და მლოცველებთან ვინაობა იძია მისი...
გუშინ სირიით ჩამოსულმა მინახულა და
ნათლად გავიგე ყოველივე.

მიჰრანი — მაშ, ბრძანე, მამავ.

მიქელი — მეფემ მირანდუხტ მიაცილა სვიმონის სვეტთან,
ჩამქრალი რწმენის ასაგზნებად, გასამაგრებლად.
იმ ჟამს ეპოვნა ერთ გლეხის ქალს სვიმონის დედა,
ლატაკი, ადრე დამკარგველი ერთად-ერთ ძის და
დამწუხრებული; გლეხის ქალმა ის წარადგინა
ქვეყნის წმინდანად ქცეულ შვილთან, მაგრამ სვიმონმა
არ მიიღო და ზაფრით მოკვდა დედა. მხლებელი
გველ-მხეცებიან უდაბნოში გაიჭრა წყევლით.
მეფე მას გაყვა დასაცავად მხეცთაგან, მაგრამ
გზაში დავარდა. შემდეგ მისი კვალი ამ ქვეყნად
ვერ პოვა ვერა სულიერმა, ამისთვის მჯერა
აქ თვითონ ღმერთი ურევია.

დინარა — სად ხედავ ღვთის ხელს?

მიქელი — ის გლეხის ქალი უხორცოა, მოვლენილია
განგებისაგან სიმონის ზნის გამოსაცდელად.
მის საქციელში დედის მიმართ ნათლად იხილა
ამპარტავნება, სისასტიკე, ცრუ სიწმინდე და
განშორდა წყევლით.

დინარა — არა, მამავ, ის ქალი ავი
ხორციელია, მხოლოდ გკითხავ, ისევ შეჰხარის
მეფე?

მიქელი — მე ვურჩევ მიწიერად არ მიიჩნიოს.

დინარა — მაშ, როგორც ციერს ასე ეტრფის? თვალთ მიბნელდება...
(მიჰრანს და მირანდუხტს)
თქვენ მოახსენეთ ვინც ბრძანდება (შედის მაყვლის ბუჩქებში)

მიქელი — ასე მწუხარე
მე ბანოვანი არ მინახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინარა — ო, წმინდა ნინო!
გთხოვ მომისმინო შენგან ცხებულ მირიანის ნაშრომს.
სიტყვა არ მყოფნის... ხმა მიწყდება... ო, რადგან ზეცას
ესმის გრძნობები გულიდან და—არა ბაგედან
დამუწვილ პირით აღმოგივლენ ლოცვას გულისას.
(დაემხობა მაყვლოვანში)

მიჰრანი — გუშინ შეიპყრეს ჩემმა ყმებმა საეჭვო მგზავრნი
და გამოძალეს ეს ბარათი.

მიქელი — (დახედავს ბარათს) კეისრის ბეჭდით!..

მიჰრანი — აქ კეისარი სწერს ვახტანგს, რომ დასავლეთიდან
სკვითნი უტევენ.

მიქელი — ძლევა მისცეს ღმერთმა კეისარს.

მიჰრანი — ხოლო სპარსეთი, ძველი მტერი, ყამს პოულობს და
სირიას ესხმის... მოუწოდებს ვახტანგს, ლაშქარით
დაუყოვნებლივ მიეშველოს იერუსალიმს.
ამასთან... ითხოვს ივერიის მწყემსის, მიქელის,
სწრაფად წარგზავნას კონსტანტინეს ქალაქში, რათა
მკაცრად განსაჯოს ახალ რომის საპატრიარქომ
ჭეშმარიტ რწმენის შებღალვისთვის.

მიქელი — ასე გამწირეს!

მიჰრანი — მშვიდად მიიღე, კიდევ რას სწერს: რომის საყდარი
ამ შფოთიან ყამს საშიშრად თვლის იბერიაში
მის ერთი დღითაც დატოვებას.

მიქელი — მე ქალკედონის
დოგმებს არ ვცნობდი, მაგრამ ვდუმდი მათი პატივით...
რომისგან ჩვენი ეკლესიის გამოყოფისთვის
დიდ შაჰისაგან მივიღებდი უთქმელ განძს, ძალას...
ეს ვიცოდი და მაინც ცოდვას მივყვებოდი. ეჰ!..

მიჰრანი — ბარათს ჩაჰყევი. კეისარი მეფეს პირდება,
რომ ღირს მეუღლედ შერთავს თავის ასულს, ელენეს,
რომელსაც მზითვად შეუერთებს იბერიელთა
ნათესავ ტომებს, აბხაზ-ლაზებს, ხოლო ელენე
თან წამოიყვანს მღვდელთა მთავარს უწმინდეს დასით.

მიქელი — ვახტანგს მზითვით ვერ მოისყიდის — დინარა უყვარს.

მიჰრანი — შენ კი გათიშე.

მიქელი — მცირე ყამით, თუმც მთელი ერი
სამართლიანად ავუმხედრე.

მიჰრანი — სიმართლე ჩემკენ იყო.

მიქელი — არა, როს ვახტანგმა შორს
გაილაშქრა, ჩვენ დაგვიბარა, თუ დაიღუპოს,
შენ, ვით ერთად-ერთ მის ნათესავს, გარგუნოთ ტახტი
და როს მოვიდა შავი ცნობა, მეფედ გაკურთხეთ,
ხოლო ყამისა შემდეგ, ოდეს გავიგეთ, რომ ის
მტრისგან დახსნილ დით მოდის დიდად გამარჯვებული,
შენ მოინდომე ძალადობით ტახტის შერჩენა.

მიჰრანი — მე — რეკვისგან ვარ, ვახტანგი კი უმცროს ძის შტოა.

მიქელი — თვითონ გადასცა მირიანმა ტახტი უმცროს ძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჰრანი — ბოლოს მთელ დარბაზს მოვურიგდი, რომ შეირთავდა
ვახტანგ ჩემს ასულს, თანაც, არა მარტო დედოფლად,
სრულ თანამეფედ დაისვამდა. მაგრამ ეს ფიცი
შენ მოგვიშალე.

მიქელი — თქვენ, კურთხევის მზადების ჟამში,
შენს დას, კორინას, შაჰინ-შაჰის უფროს დედოფალს,
დაუკავშირდით და საეჭვო ქრთამი მიიღეთ.
ამ ბიწის გარდა გამქღავნდა, რომ შენი ასული
მანამდე ჩუმად გათხოვილი იყო, და სიძე
დარბაზთან ფიცის დადების წინ, მუხთლად მოჰკალი.

მიჰრანი — მისი სიძობა გვიბრკოლებდა რევის კუთვნილი
ტახტის მიღებას, შვიდ თაობის ზრახვას გვიქრობდა,
და მოგვახვია ბედმა ცოდვა, ისე, ვით დღეს შენ
თავდასახსნელად არას რიდებ.

მირანდუხტ — დინარა ვახტანგს
ეტრფის, თქვენ კი გძრავთ ანგარება.

მიქელი — შენ ხარ, მირანდუხტ, შეპყრობილი სრულ ანგარებით.
ტყვეობაში ჰყავს ვახტანგს შენი მიჯნური სკვითი,
და მის სახსნელად ეტმასნები დინარას. ისიც
გპირდება შველას, რადგან შენგან სასახლეებში
მოელის ჯიქურ მხარდაჭერას.

მიჰრანი — არა გვიან არს.

მიქელი — გულს ნუ გაიტეხთ, მე სულიერ მამად მცნობს ვახტანგ,
ხოლო მიწიერ ნეტარებად დინარა უჩანს.

მიჰრანი — მის გულს ელენე ფლობს.

მიქელი — ავ გლეხის ქალზე თქვით ეჭვი.

მიჰრანი — ვინც სვეტთან ვახტანგს წარმოუდგა გლეხის ქალად. ის
ლეონ კეისრის ასულია — ელენე.

მიქელი — როგორ?

მიჰრანი — დღეს გაგვიმქღავნა მირანდუხტმა.

მიქელი — (მირანდუხტს) მე სხვა მაუწყე.
მეფეც პირფერობს?

მირანდუხტ — ვახტანგ დღემდე გლეხის ქალად რაცხს.

მიქელი — მაშ, შენ რა ნიშნით შეიცანი ელენედ?

მირანდუხტ — მზარავს,
ნეტარო მამავ, იმ საშინელ დღის გახსენება.

მიქელი — თქვი დალაგებით. მე გავარჩევ ტყუილს და მართალს.

მირანდუხტ — ჩვენ შევხვდით სვეტთან კონკიან ქალს, რომელსაც, თურმე,
მესვეტეს დედა ეპოვნა და ღატაკ ქოხიდან
წამოეყვანა შვილთან. გზა-გზა ერი შერთოდა
ყველა ელოდა თრთოლვით იმათ ნეტარ შეხვედრას;
მაგრამ მესვეტე არ გამოჩნდა და მხლებლის ხელზე
გაწბილებული დედა ზაფრით გარდაიცვალა.
გლეხ-ქალი შეკრთა და კივილით გააპო ზეცა.
მის ზარს ბრბო აჰყვა. თითქო მეხით შეიძრა სვეტი,
და ჩამოეშვა განდეგილი მაღალ წვეტიდან,
დაემხო დედის გვამზე. აწ ის არ გავდა ციურს
და გლეხური ხმით და სიტყვებით გოდებდა მწარედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის მხლებელი აღშფოთებით ბრალად დებდა მას
ამპარტავნებით გაქსუებას და კერპად ქცევას. —
შემდეგ ჩვენ გვითხრა: აწ წმინდანად ნუღარვის
ვიჩქაროთ ციურ სამშობლოში ამ ბილწ ქვეყნიდან.
აშკარად ჩანდა, რომ ის ქალი ზაფრით შეირყა,
მაგრამ სულყველას გადაეცა მისგან ცოფი და
აგზნებული ბრბო სხვადასხვაგვარ აზრით და ვნებით
ერთიმეორეს შეეჯახა. მეც მწვდა ვიღაცა
ერესის თქმისთვის გასაწეწად და მაგრად ვგვემე.

მიქელი — ვახტანგ რას იქდა?

მირანდუხტ — ზოგნი დედის მხლებლის გავლენით
სვიმონს არ რაცხდენ ღირსად დედის ნეშტზე ეტირნა,
სხვანი წმინდანის გაკიცხვისთვის ქალს ქვას უშენდნენ
და გზირნი წესის დასაცავად შეიჭრნენ ბრბოში.
მაშინ ვახტანგმა ჰკითხა სვიმონს, თუ რა იღონოს
ბრბოს ამჯანყებელ გლეხის ქალის მოსათურგნავად.
სვიმონ მესვეტემ მიუგო, რომ უფლისგან ესმის,
ეს ქალი არის მისი ბედი და მეფურ გვირგვინს
მას გადაუქცევს სადიდებელ ეკლის გვირგვინად.
ეს სიტყვა ლახვრად მომხვდა გულში.

მიქელი — სიგიჟით უთქვამს.

მირანდუხტ — როცა მესვეტემ ასე იწინასწარმეტყველა
მეფე გაშეშდა. ქალი შეკრთა, მოშორდა გვამს და
სასოწარკვეთით უდაბნოში გაიჭრა. ვახტანგ
თვალს აყოლებდა. უდაბნოდან მოისმა მხეცთ ხმა
და მეუფე ქალს დაედევნა. შემდეგ მეც გავყევ...
მზე მიიდრიკა და ისინი ბორცვს მიეფარნენ...

მიქელი — მეფის ამალა სადღა იყო?

მირანდუხტ — მსწრაფლ გამოვიდნენ,
მაგრამ ჩვენები გააბრუნეს რომაელებმა
და მარტო თვითონ წამოვიდნენ. მე გადავუდექ —
თან წავეყვანე, ვთხოვე, მაგრამ აღარ მომხედეს,
მაშინ წავართვი ერთსა ცხენი და წინ გავქუსლე.
ისინი მომყვენ. ჩვენ დავქროდით დაუცხრომელად.
ხან ვპოვებდით კვალს სიბნელეში, ხანაც ვკარგავდით
უქმად ძებნაში დაგვათენდა... ბოლოს, ვიკითხე,
რად გააბრუნეს იბერნი, მეც გვერდს რად მივლიდენ,
თუ მეფის მიმართ ავი ზრახვა რა ედოთ გულში!

მიქელი — ძმისთვის მხურვალედ გიზრუნია, მეფის ასულო.

მირანდუხტ — რა იგრძნო გუნდის თავმა, — მეტად მაცოფებს ეჭვი,
გამიტყდა, რომ ის გლეხქალია ასული რომის
კეისრის, გლეხად იმოსება, რათა დაბალ ერს
არ აგრძნობინოს კრძალულება თავის მიმართ და
ასეთ ჟამს ჩუმად დარაჯობენ რჩეული მცველნი.

მიქელი — აქამდე რისთვის დამიფარე ეს ბნელი საქმე!

მიჰრანი — კიდევ რა გითხრა იმ ასულზე გუნდის უფროსმა?

მირანდუხტ — მესვეტე იცნობს ელენეს და მის მეშვეობით
ღვთით ჩაგონებულ რჩევას უთვლის კეისარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიქელი — აჰა,
კეისარს გზირი აუპყრია სვეტზე წმინდანად
და ეს მზაკვარი, ვინ მოთვლის რა ცოდვებს ადულებს
როს მაჭანკლობაც უკისრია.

მიჰრანი — შემდეგ, მირანდუხტ,
რა გადაგხდა იმ უდაბნოში?

მირანდუხტ — მე დავშოშმინდი.
განვაგრძეთ ძებნა. სიცხე იყო აუტანელი,
როცა მეგზურმა მოისაზრა, რომ ის ასული
მიაკითხავდა თავის მოძღვარს. ავიღეთ გეზი.
საღამოს პირად მივაღწიეთ პეტრეს ფინიკთან.
შემოგვეგება წინ ელენე ასი წლის ბერით
და გვაუწყა, რომ ვახტანგს, დაღლილს სძინავს ხის ჩრდილში,
პეტრე კი სადღაც ველურ თაფლის გამოსაღებად
იყო წასული და იმ დროს შინ დახვედრიათ...
ხოლო რა ჩაწვდა მეგზურისგან, რომ მე გამანდო
მან ვინაობა, ზაფრა ეცა და დამაფიცა
არ გაუმჟღავნო ვახტანგს, არც სხვას, რადგან უფლის რძალ
უნდა აღკვეცა მონასტერში — და... გაჰყვა ბადრაგს.
მე იქ თავს ვადექ ცხრა დღეს ვახტანგს მის „გლეხის ქალის"
დაკარგვით შეძრულს... მაგრამ ფიცი აღარ გავტეხე,
რადგან ელენე არ მხიბლავდა.

მიჰრანი — მეფის ასულო,
ის მეგზური სად პოვე გუშინ?

მირანდუხტ — ტყვედ, შენს სარდაფში.

მიქელი — მეც ვნახავ.

მიჰრანი — ო. ის მოკვდა.

მიქელი — რისთვის?

მიჰრანი — დესპანთა შორის
მარტო მან ერთმა იცოდა ეს საიდუმლო და,
საშიშად ვცანი გაემხილა ვახტანგისათვის.

მიქელი — აზრი მებნევა...

მიჰრანი — მე მოვუვლი ჩემს საქმეს, მენდე,
ნეტარო მამავ (ეძახის მხლებლებს) ამანათი ამომიტანეთ!
მე გაგიშლი გულს. დაგანახვებ სრულ ერთგულებას.
შენ, წმინდა მამავ, სათაყვანოვ. ჩემს მეტი ვერვინ
ვეღარ დაგიხსნის ამა ქვეყნად შებღალვისაგან.

მიქელი — ვით მუხას, ბევრი ქარის ქროლა გადამხდენია
მაგრამ ღვთის მადლით, დღემდე ავი გრიგალი მხოლოდ
ფესვებს მიზრდიდა. დღეს კი თქვენი ამბავი ისეთ
მეხად დამეცა, თითქო შემძრა ფუძიდან (მოიხედავს) აჰა,
ისამხრა, წესით დროა ჩემი ლოცვის. მივმართავ
უფალს სიკეთე ჩაგვაგონოს (მიდის სენაკში).

მირანდუხტ — დაო, დინარა! (მიუახლოვდა დინარას).
ის მეგზური დესპანი მოკვდა?

დინარა — მისთვისაც მიჭირს ლოცვა.

მირანდუხტ — ნუ ძრწი, ის დაგლუშავდა
(შემოდიან მიჰრანის მხლებლები ამანათით და კიროსი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიროსი — მოველ, თქვენს მღვდელთან სანატრელი ბარათით დიდის
შაჰინ-შაჰისგან

მიჰრანი — დიახ, ვუწყით. ის სენაკშია,
ვატყობ, ყოყმანობს, — ხელსაყრელი ჟამია შენთვის.

კიროსი — პირობას დავდებთ, თუ რომისგან გაითიშება,
ხმლით დავიცავთ მის ეკლესიას და არ დავუშლით
ჩვენთა ქურუმთა მკაცრად დევნას იბერიაში. —
ხელს გავუმართავ, თუ სურს შექმნას თავის სახელზე
წმინდა მიქელის ეკლესია.

მიჰრანი — მტკიცედ შებრძანდი.
კიროს, ხელთა გაქვს გამარჯვება.

(კიროსი შედის სენაკში, მიჰრანი ხსნის ამანათს, ათვალიერებს განძსა და პერგამენტებს).

დინარა — (მირანდუხტს) მე ქმარი მყავდა.

მირანდუხტ — სადღაც, ჩუმად გამიგონია.

დინარა — ის სანადირიოდ გაჰყვა მიჰრანს და ვიცოდი, ვერ
დაბრუნდებოდა... ბოროტი ვარ?

მირანდუხტ — რაში გაცვალე, —
ტახტს ეძიებდი თუ სიყვარულს?

დინარა — ორივეს ერთად. —
იმ დღეს მუცელში მეძრა შვილი. ცოცხალი არსი,
მოვეალერსე უნებურად, მაგრამ იმავ დღეს
მოვსპე... მითხარი, ეს ცოდვაა? აღთქმა უფლისა
მკიცხავს ამისთვის?

მირანდუხტ — რად თაყვანებთ მას, ვის აღთქმასაც
ვერ შეასრულებთ.

დინარა — გვეშინია. გვიღვიძებს სინდისს.

მირანდუხტ — თქვენი უფალი გივლენთ სულში თქვენს ბუნების მტერს.

დინარა — ზოგჯერ ადვილად ვქრთამავთ სინდისს, დღეს კი ძაშინებს, —
მემუქრება, რომ არ მიიღებს ცა ჩემ ვედრებას.

მირანდუხტ — თუ არა აქვს აქ ლოცვას ძალა, რად ცდები, დაო.

დინარა — მიმართვით მაინც მოვიოხებ ტკივილს. ო, ყველა
დატანჯული ფრთად ღვთისკენ ისხამს სიტყვას და ყოველ
ცდომილს სწადს სიტყვა უძღოდეს ჭეშმარიტებისაკენ,
ვით უსინათლოს მიუძღვება გზაზე ბრმა ჯოხი.

მირანდუხტ — რად აირჩიე მაყვლოვანი? ამ წმინდანს ტრფობა
ცოდვად მიაჩნდა.

დინარა — მეურვეა სამეფო სახლის.

მირანდუხტ — ილოცე, დაო, ყურს გაშორებ, და გულს კი არა.

(მირანდუხტ მიუახლოვდა მიჰრანს)

დინარა — წმინდაო ნინო, იბერიის ნათლის მფენელო,
მინდა მოგმართო... ძლივს... ძლივს ვიწყებ შენდა ვედრებას...
და თუ ჩემ სიტყვას არ ცნობ ღირსად ლოცვად მიიღო,
იცანი შენგან ნათელღებულ მირიან მეფის
უმწეო ნაშთზე მოკიდებულ ცეცხლის გუგუნად. —
თუ მართალი არ ვარ... ტანჯვა ხომ მაინც ნამდვილი
მაქვს... რა შუქია! ეკლის ბუჩქზე ცეცხლია! არა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაქრა! ეს იყო შენი შუქი, დიდო წმინდანო!..
თუ რისხვის ელვა? (ეძახის) ბუჩქზე შუქი თქვენ დაინახეთ?

მ ი რ ა ნ დ უ ხ ტ — არა, მზის დარო!

დ ი ნ ა რ ა — მომეჩვენა?

მ ი ჰ რ ა ნ ი — მადლი თუ იყო.

მ ი რ ა ნ დ უ ხ ტ — მადლი ყოფილა, მამა ბრძანებს.

დ ი ნ ა რ ა — (აღფრთოვანებით) ქალთ სიქადულო!
შენ მოგანიჭა ღმერთმა ხილვა უთქმელ ქვეყნის, მე
იქ სულით ბრმა ვარ. ვხედავ მხოლოდ ქვეყნიურ ნათელს
და ვეხარბები სწრაფ წარმავალ სიჭრელეებსა.
შენ იწექ ჭილზე აქ და გეცვა კონკები, მაგრამ
კონკის ქვეშ იყავ სასოება იბერიისა,
ხოლო მე ტურფა სამოსელით ვფარავ სიცრუეს...
ახლაც, აქ შენთან წარსადგომად. დარბაზში დიდხანს
ვიმოსებოდი ძონძით, ნაცარს ვიყრიდი. რათა
ამპარტავანი თვინეირად მოგჩვენებოდი
და მეღო შენი მფარველობა სასჯელისაგან. —
ჰოი, გთხოვ, რისხვა ამარიდო, არა ვით წარსულ
წადილთა დამგმობს, ტრფობის შემცვლელს საღვთო
ღვაწლითა;
მე ღმერთი შიშს მგვრის. მაგრამ ვნება უცვლელი მრჩება.
მე მწადს განცხრომა, მეუფეებით და ბრწყინვალებით
თაყვანისცემის მოპოვება. მე ამ ვნებით ვჭვრეტ
და შენს სინათლეს ჩემი თვალი ვერ ჩაიყენებს,
შენს სიყმილს. ეკალს, ჩემი ტანი ვერ შეიშნოებს,
ჩემს ხორცში შენებრ დიდი სული ვერ მოთავსდება...
ო. წმინდა ნინო, ნუ არგუნებ ჩემს შესაფერ ხვედრს
კეისრის ასულს. იგი შენი მოსაგარეა
და სურს ღვთის რძლობა დაიმკვიდროს. გემუდარები,
მას თავის გზიდან ნუ გადახრი. შენ, ვით წმინდანი,
თითონ ღვთაების ნათელს სუნთქავ ნეტარად, ხოლო
მე ჩემ საკუთარ ნერწყვსა ვყლაპავ, ვით მიწის ჭია,
და გევედრები ნესტიან ყელს ნუ გამიმწარებ...
შენ სამუდამო დიდება ხარ, ჩემი ცხოვრება
ცრუ სიზმარია. ერთის წუთით შემოფარგლული,
და თუ ამ წუთსაც გადამიქცევ სასოწარკვეთად,
ხოხვად, წამებად, მე, ვით გველმა ილო მუცელში
ეშმაკი, ისე შევივრდომებ ბოროტს...

მ ი რ ა ნ დ უ ხ ტ — ბატონო,
დინარა დრტვინვით მოიქანცა.

მ ი ჰ რ ა ნ ი — ვხედავ, საბრალომ
სასოება ვერ მოიხვეჭა.

მ ი რ ა ნ დ უ ხ ტ — (უახლოვდება) ილოცე, დაო?

დ ი ნ ა რ ა — რამ გაიელვა მაყვლის ბუჩქზე, მაეჭვებს ისევ,
მზაკვრულად მოკლულ კეთილების რისხვა ავია?

(შემოდის სპარსი კიროსი სენაკიდან)

კ ი რ ო ს ი — მღვდელ-მთავარმა ყურადღებით წაიკითხა დიდი შაჰინ-შაჰის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი და დამპირდა, რომ მეფეს შთააგონებს ირანთან
მუდმივ მეგობრობას.

მიჰრანი — მე მუდამ ამ კავშირისთვის ვიღწოდი.

დინარა — ჩვენ ვთხოვთ წმინდა მიქელს გაეთიშოს მზაკვარ რომს.
ჩემს მაღალ მამიდას, დარბაისელო კიროს, მადლობას
ვუძღვნი საჩუქრისთვის.

კიროსი — ეს კაბა შენთვის, მზისა დარო, ორ წელიწადს იკერებოდა.
დედოფალმა ესეც მიბრძანა გაუწყოთ, რომ თუ საბოლოოდ
დაშლილია შენი შეუღლება ვახტანგთან, შეგიძლია მიიღო
ეს სამოსი, როგორც ნიშანი, მისი ძის ბარტამისგან.

დინარა — როგორც აყვავებულ ხეს არა აქვს წადილი გადაირგოს
უცხო ნიადაგზე. არც მე მინდა ალმოვიფხრა ჩემ სამშობლოდან.

კიროსი — ეს პასუხი მძიმეა. ეგეს, არც მეყოს ძალა იქამდე მივიტანო.

დინარა — გზა დაგილოცოს ღმერთმა!

მიჰრანი — ბედნიერი იყოს შენი გზა!

მირანდუხტ — რა ერთგული ხარ ჩემი ძმისა, მზის დარო!

(კიროსი მიდის)

მიჰრანი — მეფის ასულო, ეს საგანძე მსურს შენი ხელით მიერთვას
წმინდანს.

(შემოდის სენაკიდან მიქელი)

მიქელი — ვთხოვე ღმერთს და გზა განმინათლა.

მიჰრანი — გიხსნის მის წმინდანს.

მიქელი — მე ვარ არარა, მიწის ჭია. ვერა სიწმინდეს
ვერ ვჭვრეტ გარეგნულ ჩემ ხორციელ თვალით და ყურით.
მხოლოდ ღვთის მადლით მაქვს ახსნილი შიგნით ხედვა და
შინაგან ყურით უსმენ ღმერთს. მის სიბრძნით ვივსები,
და ვინც ჩემს სიტყვას ძრახავს, იგი აგინებს უფალს.
ვინც მე ქვას მესვრის, — შეურაცხყოფს უფლის დიდებას.
მე ხრწნილსა ხორცში თავის ნება ჩამიდვა ღმერთმა.
ვინც ეცდება ჩემს განძევებას ეკლესიიდან,
ჩემსა სისხლ-ხორცზე საყვარელიც იყოს, ვით წყეულ
ეშმაკს, გულიდან ამოვიღებ და შავ ცეცხლს შევრთავ,
ხოლო ჩემ ძველსა მოსისხლე მტერს, თუ მობრუნდება
ჩემკენ გულწრფელად, შევიწყალებ და შევივრდომ ვით
უფალმა ჯვარზე ბნელ ავაზაკს შეუნდო ცოდვა,
მაგრამ მოვითხოვ მონანების ხილულ მტკიცებას.

მიჰრანი — ღვთის მოციქულად მწამხარ.

დინარა — მხოლოდ შენ ძალგიძს მიხსნა.
ახლაც, ლოცვის ჟამს, განმიმტკიცდა იგივე აზრი
და შენ გაბარებ მთელ სიცოცხლეს.

მიქელი — თბილი სიტყვაა. მეფის სწორო.

მიჰრანი — მე, მორჩილების,
ნიშნად, ამ დღიდან შენ გაკუთვნებ მთელ ჩემ ქონებას,
სახლს საგანძურით, ეკლესიის გასამაგრებლად.
ჩემს ასულს მხოლოდ შენსა კალთას ვუტოვებ ქვეყნად.
მხოლოდ ერთსა გთხოვ, სიკვდილის ჟამს ჩემთა ცოდვათა
აღსარება შენ ჩაიბარე.

მიქელი — ესა გაქვს ფიქრად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჰრანი — უკვე — საქმედ. ამ ქისაშია განმზადებული
სიმტკიცე შენთვის ამ ქონების გადმოცემისა.
მიქელი — (გამოართმევს პერგამენტებს) ადასტურებენ...
მიჰრანი — სრული წესით შედგენილია.
მიქელი — მსურს მოვუსმინო გულის ნადები შენს ასულსაც.
დინარა — საკუთრად ჩემი
ამ ქისაშია სამოსელი, ფასით უთქმელი,
ჩემ დიდ მამიდა კორინასგან გამოგზავნილი.
მოჭედილია ძვირფას ქვებით. მე გიძღვნი ამ განძს
დიდი წმინდანის ნინოს ხატის მოსაჭედავად...
ჩემს თავს, გაცლილს მთელ ქონებიდან, მაგრამ აღსავსეს
სიყვარულით, შენს ნებას ვანდობ.
მიქელი — თქვენ თავს ანდობთ ღმერთს და ის მე მთხოვს კეთილ
მწყემსობას.

(შემოდის ბერი)

ბერი — მეფე მცხეთაში შემობრძანდა შენს შესაყრელად.
მიქელი — კეთილ ჟამს მოდის.
მიჰრანი — მე მივდივარ მოსასვენებლად,
დინარა — არ მსურს ვეჩვენო მას ამ სახით. დაო, შენ ჩუმად
გადმომცემ ამათ სიტყვა-პასუხს, მაყვლის საფარში.
თუ დამჭირდება, გამოვჩნდები, ან გულის პასუხს
შენ გათქმევინებ.
მიჰრანი — მაშ, გიტოვებ ყოველივეს, რაც
ღმერთს მოუცია.
მიქელი — დამშვიდდი, მხნედ დავხვდები მეფეს,
ვით სირაქლემა ხვდება ბუდის დასაცავად ვეფხს.

(მიჰრანი, ბერზე დაყრდნობილი, უახლოვდება თავის ამალას, და მიდიან. დინარა თავს შეაფარებს მაყვლოვანს. მირანდუხტი ხელს უწყობს თავის დაფარვაში.

შემოდიან მეფე ვახტანგი, სპასპეტები: ბივრიტიანე, ნასარ. ვახტანგის ამალა შორს გაჩერდება; ჩანს მათი შუბები და მუზარადები).

ვახტანგ — ღმერთმა მაღირსა კვლავ გემთხვიო ხელზე, მოძღვარო!
მიქელი — გილოცავ მრთლად მობრძანებას.
ვახტანგ — მძიმე გზა მოვვლეთ
შენი ლოცვებით.
ბივრიტ — შენი მადლი გვახლდა, მამაო!
მიქელი — მე სიხარულით მომახსენეს მალემრწმენებმა,
რომ ვერ იტევენ გზა-ხევები დარიალიდან
მცხეთამდე დიდსა ალაფს, მაგრამ ჭკუადამჯდარნი
კითხავენ ზეცას. ეს რას ნიშნავს. მადლს, თუ დაქცევას?
ვახტანგ — დიახ, ყოველს კაცს თავში უძევს თავის სასწორი.
მიქელი — შემდეგ ომისა. გვიან ჟამში ურიგებს ღმერთი
გამარჯვებულს და დამარცხებულს ომისა ნაყოფს.
ვახტანგ — შენ მასწავლიდი ყრმობიდანვე, რომ დიდი საფრთხე
იბერიისთვის მოდის მხოლოდ ველურებისგან.
ეს ალაფი დღეს იმ ველურთა კბილები არის,
რომელიც ბევრჯერ ჩასობია საქართველოს ხორცს.
მიქელი — დღეს ველურებზე მეტად თვისნი გვემუქრებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპასპეტნი — ვინ? ვინ?
ძიქელი — ყველაზე საშიშარი არის ქვეყნისა
როდესაც რყევნა და ბოროტება შიგნით იზრდება
ამისთვის მკაცრად შევუდექი მე ქრისტიანთა
სახლების წმენდას სიბილწისგან. ბივრიტიანეს
დარბაზს ბერები შევუსია, და გამოქექეს
მთელი ურემი წარმართული, ცრუ წერილების.
ბივრიტ. — მე იმ სიბრძნეთა სწავლით მეფეს ვემსახურები.
ძიქელი — კეთილის ცოდნით დაგვეხმარე, არა ბოროტის.
შენი ბინიდან, ნასარ, ბერთა გამოიტანეს
შენ მიერ მოკლულ კაცთა ხელნი და თავნი. აწ მათ
ვერ გამოაფენ აივანზე.
ნასარი — ამით ზარს ვცემდი
ვახტანგის ორგულთ.
ძიქელი — ასწავლე მტერს ლმობიერებით.
ნასარი — ეგებ, აბჯარიც გსურს აგვხადო.
ძიქელი — ხმა ჩაიწყვიტე!
შენა ხარ მხეცი, კარგად გიცნობ, სად არის არტვაზ
სპასპეტი? ისიც სიწმიდეთა დამცინავია;
უდგახართ გვერდით საჭურველით და ბღალავთ ვახტანგს,
ჩემი შრომით და ზრუნვით აღზრდილს ღარიბთ მფარველად.
ბივრიტ. — ჩვენ აქ ლოცვას ველოდით.
ვახტანგ — წმინდაო მამავ,
აწ დაგასვენებთ. მადლობა ღმერთს, გიხილეთ.
ძიქელი — ჯერეთ
გთხოვ სიტყვა ცალკე მომისმინო.
ვახტანგ — მზად ვარ, მოძღვარო.
ძიქელი — გლოცავთ, სპასპეტნო, მამობრივად. თქვენს ბანოვანებს
დღეს გავაგზავნი მონასტერში მოსანანებლად,
შვიდ დღე და ღამის ლოცვა-მარხვას გარდვახდევინებ,
რათა მიიღოთ განწმენდილნი.
ნასარი — (ბივრიტიანეს) ამემღვრა სული
მამის სიმკაცრით.
(ბივრიტიანე და ნასარ მიდიან ამალაში. გამოჩნდება მირანდუხტი)
მირანდუხტ — სალამი მეფეს, გულო!
ვახტანგ — ო, შენ აქ ხარ, მიხარის!
ძიქელი — მეტად დაენდე შენს თავს მეფეს, შორს გაიქერი.
ვახტანგ — მობეზრდათ სკვითებს მშვიდობა და შემოთავაზეს
სპარსეთს ფარ-ხმალი რომის სამტროდ, მისთვის დავქსაქსე.
ძიქელი — არ მკითხე მოძღვარს.
ვახტანგ — დამილოცა ეს კონსტანტინეს
ქალაქის დიდმა პატრიარქმა.
ძიქელი — ჩემ გვერდის ავლით?
ვახტანგ — შენ მასწავლიდი, ზოგჯერ ვენდო საკუთარ გულსაც.
ძიქელი — ზოგი თვისება, რაც უბრალო კაცს დაშვენდება,
მეფეს არ არგებს. მევალება კიდევ გასწავლო.
ვახტანგ — შენი სიბრძნიდან შევიძინე, რამდენიც შევძელ;
ჟამის გარდასვლის შემდეგ დედის რძეც ურგებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიქელი — მოძღვრისგან ვიღებთ სულიერ რძეს, არა ნივთიერს,
და ის გვეპირდება მუდამ. რადგან სულით ბავშვობა
კაცს სიბერემდე არ შორდება.

ვახტანგ — დიახ ,ნეტარო,
შენა ხარ მამა სულიერი.

მიქელი — გიცავდი ობოლ
ყრმას მკვლელებისგან. შემდეგ შაჰინ-შაჰის ასული
შეგრთე და მტერი დაგიმოყვრე. თუმც ორ კვირაში
შორს ილაშქრე და მკვდარი დაგხვდა.

ვახტანგ — იმ მოკლე ჟამშიც
ბავშვურ მორცხვობით პირს მალავდა, და ძლივს ვიგონებ.

მიქელი — მაინც გახსოვდეს: დაგიტოვა ძე მარგალიტი.
მე გიძღვებოდი არა მარტო სულიერ მამად,
მცველად ხორცისა და ტახტისა.

ვახტანგ — მხოლოდ მიჰრანთან
შემაშლევინე ძალად პირი.

მიქელი — თვითონ გვიმუხთლეს.
ახლა კი. ოდეს კეთილ აზრზე დადგა დინარა,
პირს ვერ შეუშლით.

(მირანდუხტი უახლოვდება ბუჩქში შემალულ დინარას ჩუმად)

დინარა — რას ასწავლის ეპისკოპოსი?

მირანდუხტ — შენს დასაცავად, ესეც არის, ამოიღო ხმა.

დინარა — ჯერ გლეხის ქალზე შეეკითხეთ, თუ ისევ უყვარს.

ვახტანგ — შენ ამიჯანყე მაშინ ერიც და ეკლესიაც.

მიქელი — დინარამ ცოდვა მოიბანა ურიცხვ სიკეთით
და შეუყვარდა იგი ერს და ეკლესიასაც.

ვახტანგ — ეს მსიამოვნებს.

მიქელი — დღეს შენ მრავალს ქრთამავ ალაფით,
მაგრამ ნადავლი ერის თვალში ვერ გაგამართლებს.
რად განაახლე ძველი მტრობა ავ მეზობლებთან?

ვახტანგ — წმინდა ადგილთა შემოვლის ჟამს მე შემეყარნენ
რომის უფალნი, და ვიმსჯელეთ, როგორ დავიცვათ
ბარბაროსთაგან ჩვენი ზღვარნი და მთელი ქვეყნის
სინათლის კერა, ღვთის ქალაქი.

მიქელი — რა კარგად ვიცნობ
მათ ცბიერ ენას!

ვახტანგ — ვერ მაცდუნებს სიტყვა. — მე ვიცი.
ღვთის სიყვარულის გარე ყველა გზები ბნელია,
ამით მიცანი შენს მოწაფედ და მენდე, მამავ.

მირანდუხტ — წმინდა ადგილთა მოვლა, მეფევ, ჩვენ არ წაგვადგა,
იქ შენ დაგსახრა გლეხის ქალმა.

ვახტანგ — რარიგ, მირანდუხტ!

მირანდუხტ — შენს მაღალ სატრფოს
ვერ ესალმები ძველ აგზნებით.

ვახტანგ — მივხვდი, რად სწუხხარ,
მაგრამ... დამშვიდდი, ის დინარას არ ეცილება.

მირანდუხტ — დიახ გლეხის ქალს ტახტზე ველარ დაისვამ მაგრამ

ტოლი რომ იყოს, ვის არჩევდი?
ჩვენ ხორცი მუდამ
მდაბალ ვნებებში გვამწყვდევს, მაღალ გრძნობებსა
მხოლოდ ოცნება და ბურანი. ამიტომ კაცი
მთელ ცხოვრებაში ოცნებით და სიზმარით უფრო
ნეტარებს, ვიდრე ცხადით.

(შემოდის სტეფანე)

სტეფანე — ვმადლობ ღმერთს, მეფე და ქვეყანა მშვიდობით დამხვდა.
ვახტანგ — ო, სტეფან, კეთილ ამბით მოხველ?
სტეფანე — ვერა, მეუფევ.
ამაოდ დავყავ სვეტთან, ყური იხშო წმინდანმა.
ვახტანგ — ვერავინ ჰპოვე მლოცველებში მისი მცნობელი?
სტეფანე — ვერა, მეუფევ, მიტომ მე და მიქელი ვასკვნით,
რომ გლეხის ქალი მოგზავნილი იყო განგებით
სვიმონ მესვეტეს წმინდანობის გამოსაცდელად.
ვახტანგ — მაშ, რად აღმითქვა ის მესვეტემ?
მიქელი — ბორგავდა.
ვახტანგ — რარიგ
მოერგო მის თქმას უდაბნოში ჩვენი მგზავრობა!
სტეფანე — მასთან გივლია გზაზე?
ვახტანგ — დიაღ.
სტეფანე — სულისგან ჩრდილი
არ ეცემა, მას ჩრდილი ახლდა?
ვახტანგ — არა, სიზმრად და
მოჩვენებად არ იღებს გული.
მირანდუხტ — ძმაო, მეუფევ,
რა სახით, სიტყვით და ან ქცევით შეგიძვრა სულში.
ვახტანგ — მიჭირს თქმა, რადგან მიპყრობს გრძნობა ენით უთქმელი.
მიქელი — ენით უთქმელს და ზებუნებრივს სასწაულით ვცნობთ.
თქვენ რა გადაგხდათ საკვირველი იმ მგზავრობაში?
ვახტანგ — მაშ, მოგიყვებით და განსაჯეთ.
მიქელი — დიაღ, მეუფევ.
ვახტანგ — როს უდაბნოში მივდევდი ქალს, ის მიეფარა
ბორცვებს. მე, მდევარს, ზის ძებნაში ღამემ მომისწრო.
ბოლოს, მხეცის ხმა შემომესმა და ვით მუქ ჩრდილებს,
ძლივს თვალი მოვკარ მძვინვარე ლომს და მის ახლოს — ქალს.
ფიცხლივ შევძახე და შემართულ ხმლით გავეშურე.
ლომი ჩემ ხმაზე შემობრუნდა ბოროტ ღრიალით
და გულს იმედმა გამიელვა, რომ მოვიზიდავ
ჩემკენ მხეცს, მაგრამ ქალი თვითონ გადაუდგა წინ
და მოფერებით, ხან გაწყრომით ის გააბრუნა;
როგორც თიკანი.
მიქელი — ეს უდაბნოს განდეგილებში
ბევრგან მომხდარა.
ვახტანგ — მე მივუსწარ გლეხქალს გულწასულს
შევუხსენ ღილი, კოხტა ნაკვთნი გამოჩნდენ მკრთალად.
ჩემი დაღუპვის შიშით დაბნდა, ჩურჩულში ვცანი,
მე გავვოცდი და გამახსენდა მესვეტეს აღთქმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ის დამადგამს ეკლის გვირგვინს სადიდებელად,
და აღტაცებით ვუპვრეტდი, ვით ართქმულ დედოფალსა
მაგრამ შორიდან კვლავ იბრდღვინა ზვიადმა მხეცმა
და შენი სახით მომეჩვენა, მამავ, ის ლომი.

მიქელი — რით მიმამსგავსე მე სასტიკ ლომს?

ვახტანგ — როს დინარაზე
ამიჯანყდი, თქვი, რომ კეისრის ასულზე მცირე
არ მეკადრება. მე კი მარტო ცხელ უდაბნოში
ძონძიან გლეხქალს დავცქეროდი აღთქმულ დედოფლად...
მარტო ფიქრისთვის შემრისხავდი.

მიქელი — ვის არ შეძრავდა
გლეხქალის ტახტზე დაჯდომა?

ვახტანგ — მას არ აქვს წოდება,
ვისაც ვერ არჩევ, ციურია თუ მიწიერი.

მიქელი — ცაში ნუ ეძებ ქალის ტრფობის ფესვს. — ის ხორცშია.

ვახტანგ — სულს მოკლავს გაყრა სიყვარულის, და არა ხორცის.

მიქელი — ლომისგან იხსენ და განშორდი?

ვახტანგ — არა.

მიქელი — მიამბე.
დაშორებამდე რა გადაგხდა. მინდა, ვით მამამ,
ვიხილო თქვენი შემქსოველი ყველა ძაფები,
და დაგარიგო.

ვახტანგ — ის წავიდა ღრმა უდაბნოში
მტკიცედ. მე გვერდით გავყევ მცველად. ჯერ ვმდუმარებდით,
მაგრამ დუმილში ერთმანეთთან სულის სიღრმიდან
ჩვენ ვსაუბრობდით მთის წყაროზე შეუნელებლად.
დიდ კრძალვას ვგრძნობდი; ის აჩქარდა. გზაში შევნიშნე,
საგლახო ხამლი გაცვეთოდა, ქვიშა ფეხს ტკენდა,
და შევთავაზე ხელთ აყვანა. მან გაიკვირვა
და შემდეგ ტკივილს არ იმჩნევდა. ბოლო როდესაც
წვეტიან ქვებით მოფენილი ადგილი შეგვხვდა,
მისი შიშველი ტერფებისთვის აუტანელი,
გაუფრთხილებლად. ვით ტარიგი, შევისვი მხარზე.
მას ჯერეთ ენა გაუშეშდა ქალურ მორცხვობით.
ვაგრძნობინე, რომ ჩემ მხრებისთვის მძიმე არ იყო.
მაგრამ სული რა მოიბრუნა, ოხვრით მომმართა:
„ნუთუ ეს მაინც არ გიმძიმს, რომ მე მდაბიო ვარ?"
მე ვუპასუხე, რომ მას ვზიდავ მეტ მოწიწებით,
ვიდრე პორფირს და მეფის გვირგვინს.

მირანდუხტ — ო, შენ არ შეგრცხვა
არც ტახტის და არც ეკლესიის?

ვახტანგ — ისიც, ალბათ, მაგ
ფიქრით შეშფოთდა, აკანკალდა ჩემს მხარზე გარნა,
აღმოხდა მთვარე და უდაბნოს შუქი მოჰფინა.
გადმოვიყვანე ის მხარიდან მარცხენა ხელზე.
ამ დროს მომესმა ქვების ჩქამი, და წინ ბორცვიდან
ვეფხმა შურდულის უსწრაფესად წინ გადირბინა.
ლომზე სასტიკი და ცბიერი, ცდილობდა იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარის დაცემას ერთად: ძალით და სიკოხტავით...
და წარმომიდგა ის დინარას ნამდვილ ბუნებად,
მის ერთარსებად, იმის სულად.

მირანდუხტ — დიახ, დინარა
იგრძნობდა სიზმრად, რომ თხა გეპყრა და შენც სინდისმა
ვეფხი მის სულად მოგაჩვენა.

ვახტანგ — მზეცი ლამობდა
შემომხტომოდა დასაგლეჯად, გვისაფრდებოდა,
მაგრამ ვამჩნევდით ფხიზლად ყველგან, მედგრად ვუტევდით
და იგი გაჰქრა, აღარ ჩანდა, და გზა განვაგრძეთ.
ხე დავინახეთ შეეერცხლილი მთვარის შუქითა.
მწვავე წყურვილი ვიგრძენით და გულს დაგვესახა
ცივი ნაკადის ჩქრიალი და ტოტებზე ხილი...
მაგრამ დამშრალი დაგვხვდა წყარო, მსხვილ ტოტებზე კი
ჩასაფრებული იყო ისევ მძვინვარე ვეფხი...
თვალის მოკვრა ძლივს მოვასწარით, თავს გადმოგვეშვა,
მაგრამ ჰაერშივ ჩემმა შუბმა გაუპო თავი
და მე ავკუწე და მის ლამაზ ქურქზე სიამით
გავწმინდე ხმალი.

მირანდუხტ — ჰოი, ვნებას რა განსაცდელში
შეუყვანიხარ.

მიქელი — ღმერთს უხსნიხარ.

ვახტანგ — მოვშორდი იმ ხეს.
ვით მთელი ქვეყნის სილამაზის ჯიქანს, მის სახეს,
ვწოვდი თვალით, და სული ჩემი ვერა ძღებოდა,
და ვუთხარ მტკიცედ: დე, აღსრულდეს მესვეტის სიტყვა.
მან მიპასუხა: „მე ვერ შევძელ შენთან რონინი.
ერთ ღამის გზაზეც ვალი მერგო. შენ სიმართლისთვის
შეგფერის ბრძოლა, მე — ღვთის რძლობა“. „— ჩვენ
გადავიხდით
ამქვეყნიურ ვალს ერთად“ — ვუთხარ. ასული დაცხრა.
მთელი სხეულით მიილულა... მხოლოდ მორცხვობის
ფერცვლა სახეზე ამჟღავნებდა, რომ არ ეძინა.
„ჩვენ დავშორდებით ერთმანეთს. ვით ღრუბელი ღრუბელს“.
ალმითქვა ბოლოს და პირს ჯვარი გადაისახა.

მირანდუხტ — მეუფის მხარზე თვლემდა!

მიქელი — გვესმის, ასულო!

ვახტანგ — ცა მოსინათლდა. მზე აღმოხდა, შორს, დასავალში
ფინიკის წვერნი დავინახეთ იმედად. ქალმა
ცნო ის ადგილი განდეგილთა სავანედ... მაგრამ
იქ მომელოდა უძვირფასეს ტვირთის ჩამოხსნა
და გზა გავხარე. გარს ვუვლიდი შორით ფინიკებს.
ცაში ცხელ ბორბლად მზე გორავდა. მე ვატარებდი
გულ-მკერდზე ქალს, ვით ჩემი არსის ახლად პოვნილ წილს,
სადაც ეპოვა ჩემ სულს ბინა სამოთხის დარი.
ავარდა ბული. მთელ ბუნების გამაცოფებელ
სიცხით უტევდა ქვიშა ჰაერს, ჰაერი — ქვიშას...
ალხში მითვლემილს ჩავცქეროდი ქალს, შევფრფინავდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით ცრუ ქვეყნიდან გაყოფილსა ჭეშმარიტებას,
და წინ ვჩქარობდი გულზე პყრობის ნეტარ წუთებს
განსაგრძობად, თუ მისაღწევად სამარადისო
ბედნიერების... ქალი უცებ მომწყდა მკერდიდან
წინ ამემართა ცხელ ქვიშაზე და ასე მითხრა:
„ცეცხლში მიგდენის ვნება, ჩემი სიწმინდე მხოლოდ
ცოდვას გიღვიძებს, პირჯვარს მიგმობ“. ამ მოულოდნელ
გაკიცხვის დროს ის დაემსგავსა ხმითა და სახით
ზეციურ ცივ შუქს და სიცივით ამაკანკალა,
მეფის ნიშნები ხელთ დამცვივდა, ძირს წავიქეცი. მან
შეკივლა, რომ მკვდრის ფერი მაძევს. მოულბა გული,
მომიალერსა, მომაბრუნა მხურვალ ალერსით,
წამომაყენა და გამიძღვა ფინიკებისკენ...
უზომო გარჯით დიდ ხის ჩრდილში მიმაღწევინა,
იქ პირს სპეტაკად მეამბორა, გადმომცა ხმალი
და დამაფიცა მოვიხმარო ღვთის სამსახურში.
მე მსურდა ფიცი მეთქვა, მაგრამ დაბნელდა გონი...
სამი დღის შემდეგ გავახილე თვალი და თავსა
მადგა მირანდუხტ. მოსულიყო იქ სამარტვილოდ
გამდგარი პეტრეც და მივლიდა... ხოლო გლეხქალის
კვალიც ვერვისგან ვერ გავიგე.

მიქელი — გულში რა კვალი დაგრჩა მისგან?

ვახტანგ — ვით ესაიას,
სიკვდილის პირად უდაბნოში, ანგელოსმა მკერდს
ჩაუდვა ცეცხლი. — ბაგეში კი ენა გველისა,
ამის დარად მან უდაბნოში გადმომცა ხმალი
მართალთა რწმენის დასაცავად, ვით ღვთის მეომარს.
ეს სიტყვა ვუთხარ მე პეტრესაც, წმინდა განდეგილს.

მიქელი — მაშ, შენ გრწამს იგი ანგელოზად.

ვახტანგ — არა, მამაო.
ცის ანგელოზად, წმინდა სულად რომ მეცნო, ეგზომ
მწვავედ აგზნებულ სიყვარულს ვერ დამიტოვებდა...
ის გულს მწვავს ამით, რომ უსაზღვროდ კეთილი სული
გლეხის ქალია, შებოჭილი მწარე სიღატაკით,
და ვლოცულობ, რომ გაჭირვებამ არ დაზრას სულით.

მიქელი — უბოროტესი ბედისწერა ადამიანის,
ან მთელი ერის თავზე, მოდის პირველად ნათელ,
ციაგის ფერად, დიდ იმედად... და ხედავ, ბოლოს
თავს ჯოჯოხეთში. რაც, მეუფევ. აქ ჩვენ გვიამბე,
თუნდ ერთი სიტყვაც რომ გესმოდეს, შეშფოთდებოდი.
და ვინც ყრმობაში მკვლელებისგან გიცავდი, მმართებს
ახლა შეგბოჭო დასახსნელად თვითმკვლელობისგან.

ვახტანგ — ზვავობ. მოძღვარო, ემუქრები უკვალოდ გამქრალს.

მიქელი — მის კვალს შენს გულში ვამჩნევ კეთრად.

ვახტანგ — რისთვის მამაო?

მიქელი — ის აღგითქვა სვიმონ მესვეტემ
მთელ იბერიის ასარევად. ამ ცოფს ამოგწვავ.

ვახტანგ. — რით მექადები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიქელი — შეგინახო უნდა უმწიკვლოდ
სანამ საყდარზე არ დაჯდება ერის და შენი
გასახარელი დედოფალი.
ვახტანგ — მეც ეს მადლი მსურს.
მიქელი — მაშ, გლეხქალის გზა-კვალს სად ეძებ.
ვახტანგ — მე მსურს მივაგნო
დაკარგულ ტაძარს. სად ციური ბალობა ისმის.
ხორციელად ჩვენ ერთმანეთთან ხვედრს ვერ გავიყოფთ.
ერთმანეთისთვის სამუდამოდ ქვეყნის მიღმა ვართ
მაგრამ ცხოვრებას ჩემსას მართავს ის, ვით სინდისი.
მიქელი — სინდისი მუდამ გახლდა, მაგრამ წმინდა ადგილთა
შემოვლის შემდეგ, ჩვენო მეფევ, დაემორჩილე
რომისა ნებას საზიანოდ ივერიისა.
ამისთვის მე, ვით მოძღვარს, მმართებს აღგიხვნა თვალი
ყოველივეზე. მინდა ბოლოს აღგადგენინო
ჩვენგან ჩაშლილი დინარასთან პირობა, რადგან
შენი შორს ყოფნის ჟამს ვუმოძღვრე და დავიჯერე,
რომ შემიცოდავს მის წინაშე.
ვახტანგ — წმინდა მამაო,
ერთ დროს დინარას შენ ტუქსავდი, დღეს კი სწავლება
შენი ემჩნევა გარეგნულად. და ვსასოებ, აწ
ღრმად დააბრძენებ. მას საყდარზე. მამაო, მხოლოდ
შენი ხელიდან ჩავიბარებ. სხვა არსებაზე
გვირგვინს ვერ ვისკვნი ვერც პირობის ძალით, ვერც
ტრფობით,
რადგან მიწიერთ შორის მხოლოდ დინარა დამრჩა,
ვით ამ ცხოვრების ცოდვილ წიგნის მშვენიერი ყდა.
მიქელი — ჩვენი ვალია. უნდობლობით რაც დავაყოვნეთ.
დღეს დავაჩქაროთ სრული ნდობით.
ვახტანგ — მაკვირვებს, მამავ.
შენგან ასეთი აჩქარება.
მირანდუხტ — დარიალის პირს
ერთიმეორეს შეეყარეთ მეტის ზეიმით.
ვახტანგ — გუნდრუკს ვუკმევდი სილამაზეს, ხოლო ვფიქრობდი,
მიქელთან სწავლას განაგრძობდა.
მიქელი — მე მას ვენდობი.
ვახტანგ — ვშიშობ, უებრო ხელოვნებით თვალს არ გიხვევდეს.
მიქელი — ხელოვანება მას არა აქვს.
ვახტანგ — მე კი მგონია,
როგორც მეჩანგე ნიჭიერი ჩანგს უფლობს, აგრე
ხმარობს ის თავის ლამაზ სხეულს, ისეთ გრძნობათა
გამოსაჩენად, რაც საჭიროდ მას მიაჩნია.
მიქელი — მე ვაბრალებდი ასეთ ცოდვას.
ვახტანგ — არც ცილი იყო,
თვითონაც დიდად არ ფარავდა მანკს ჩვენს წინაშე,
აწ კი მეტის-მეტ ლოცვა-მარხვას დაწაფებია...
და უფრო მაკრთობს, ვიდრე წინათ. ოდეს აშკარად
ვეფხის ბუნებას ამჟღავნებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიქელი — მე კარგად ვიცნობ,
შენ ეჭვით უცქერ, რადგან გარე აკვირდებოდი,
ვნების ალმურში ვერ ხედავდი მის ნამდვილ სულს და
მთხოვ ხანგრძლივ სწავლით მოვაქციო.

ვახტანგ — დიახ, მამაო,
თუ შეითვისებს ღვთის სიყვარულს, დავუცდი ჟამით,
ხოლო თუ მარტო ამად უნდა თანამეფობა,
რათა საყდარზე სილამაზის კერპად დაბრძანდეს
და შინაგანი უმწეობა დაფაროს მეფურ
ფუფუნებით და სისასტიკით, ვერ გავწევთ უღელს, —
სჯობს უდედოფლოდ დავშთე ტახტზე.

მიქელი — იცი, მეუფევ,
ქვეყნის წახდენის და დამხობის შიშით ქორწილი
მე შეგიფერხეთ, მაგრამ ბოლოს დავინახე, რომ
რაშიც ბრალს ვდებდი, არ ჰქონია ის თვისებები.

ვახტანგ — ვიცი, მოძღვარო. შენ სიფიცხით არას გადაწყვეტ,
მაგრამ არ ძალმიძს დავიჯერო, რომ თავიდანვე
დინარა იყო სრულყოფილი, თუ წარსულით ვცნობთ,
იგი სიმწარეს არ მიიღებს სხვის საამებლად.
ლოცვის ჟამსაც კი ღვთის წინაშე არ დაიჩოქებს
სხვაგან. თუ არა რბილ ადგილზე, და მე მინდოდა
შენ აგემაღლა იგი სულით და გამოგეწრთო
ისე მტკიცედ, რომ მას თვითონვე მოსწყურებოდა
მსხვერპლის გაღება სიმართლისთვის.

მირანდუხტ — (შეშფოთებული) მამავ, მოგვხედე,
ამის გოდებას ველარ ვუძლებ.

მიქელი — (მიდის ბუჩქისკენ) ვინ შეგაშფოთა?

მირანდუხტ — (მიქელს) რარიგ ძრწის, ხედავ?

მიქელი — (ვახტანგს) მეფევ, რადგან სიტყვა არ გჯერა,
ნათელ თვალს ენდე, დაინახე, აქ, ნარ-ეკალში
თავგადადებით ვინ ლოცულობს.
(უახლოვდებიან ბუჩქს)

მირანდუხტ — ვით იმდურღრება.

სტეფანე — ალმასებს აფრქვევს.

ვახტანგ — ო, დინარა, განრთხმულა ლოცვით
მტვერში, ეკალში რა.აგზნებით!

მიქელი — ჩვენ ის ვერ გვხედავს,
მისი მთავარი სული ახლა სხვა ქვეყნადაა.

ვახტანგ — ასე აღტყენით კეთილ საქმეს რომ ჩაიდენდეს!

მიქელი — ზოგჯერა ეჭვი შებღალვაა საკუთარ თავის.

ვახტანგ — ჭეშმარიტ სახეს ღმერთი ხედავს ლოცვაში, ჩვენ კი
საქმეში — მსხვერპლში.

მიქელი — ესეც მოხდა. დღეს სარეცლიდან
აქ მოავლინა თავის მამა.

ვახტანგ — რისთვის, მოძღვარო?

მიქელი — მთელი ქონება მიანდერძეს ეკლესიისთვის. —
აგერ სიმტკიცე. (აწოდებს პერგამენტებს)

ვახტანგ — (კითხულობს ჩუმად) რა დარჩება საზრდოდ დინარას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიქელი — თანამეფობის პირს თუ ვუტეხთ, უფლის რძლად წავა.
ვახტანგ — ნუთუ ეს არის ის დინარა დაუდგრომელი.
ვინც დარიალში შემეყარა გედის მსგავს ცხენზე!
მიქელი — კორინასაგან მიულია საუნჯე კაბა, —
წმინდა ხატების მოსაჭედად გადმომილოცა.
მირანდუხტ — ნუთუ ამ ძვირფას ქვებს ჩამოხსნით დინარას გულმკერდს.
ვახტანგ — ეს იმ აფთარმა მოუკითხა!
მიქელი — თან რძლობაც თხოვა.
ხოლო ასულმა შეუთვალა, რომ ურჩევნია
შესვლა უფლის რძლად მონასტერში.
მირანდუხტ — არ იპოვება;
ბევრიც ვეძიოთ სხვა დინარა!
მიქელი — ერიც მოგვკითხავს
მიზეზს პირობის დარღვევისას, ოდეს იხილავს
ასულს სიკეთემიუწვდომელს.
მირანდუხტ — ასე მხურვალედ ის ლოცულობს თქვენს სიყვარულზე.
ვახტანგ — მე ერთ დროს შვებით დავდე მასთან თანამეფობის
პირობა და დღეს შევუსრულებ იმავე გულით.
მიქელი — შენი პირობა ურყევია?
ვახტანგ — რად ეჭვობ, მამავ?
მიქელი — მე ვჩქარობ, რათა მითქმა-მოთქმით არ გავრყვნათ ერი.
მართებს შეფიცოს თანამეფეს მთელმა სამეფომ.
ვახტანგ — დიდი სპა მახლავს, ერისთავნიც მრავალ კუთხიდან.
მიქელი — მე ერს ტაძარში ვუქადაგებ.
ვახტანგ — ფრფინვარებ, მამავ
მიქელი — სამეფოს სრული დამშვიდება მახარებს მოხუცს.
ვახტანგ — მეც სასოება ჩამესახა. ვტოვებ მას მლოცველს,
მინდა გულთბილად ვეამბორო, გარნა ვერ ვბედავ
თავხედად ჩავდგე ლოცვის ჟამსა მის და ღვთის შორის.
დაო მირანდუხტ, გადაეცი, რომ ჩემი სული
და გული მუდამ მის ხელთაა... მივდივარ. მამავ,
დიდებულთ კრებულს ჩემი ნება გამოვუცხადო.

(მირანდუხტ დინარას უახლოვდება. ვახტანგი ნელა მიდის. შემოეყრებიან სპასპეტნი, შემდეგ ამალა და ერთად მიდიან. მირანდუხტი ჩუმად გაესაუბრა დინარას)

დინარა — მიჰყევ კვალდაკვალ და მაცნობე, რასაც გაიგებ.

(მირანდუხტი მიდის მიმავალ ამალისაკენ)

მიქელი — ამ ჟამ ვახტანგი ჩვენ ხელთ არის, მაგრამ სასტიკად
ჩაკირვა გვმართებს.
დინარა — გამქლავნდება ოდესმე.
მიქელი — მანამ
შევიჯავშნებით ქორწინებით და ერის ფიცით.

(შემოდის ფირუზა)

ფირუზა — ღვთის წყალობა ყველას.
დინარა — ჰოი, ფირუზა!
ფირუზა — დიაღ. თქვენი ლალაქი!
დინარა — აქ რამ მოგიყვანა?
ფირუზა — გავიგე, რომ ნაცარდაყრილი ამოსულხარ და მეც ამოგდიე. ვით
ცოდვის მონაწილემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინარა — რა წილი გაქვს ჩემთან?

ფირუზა — შენ ბრძანე, რომ ძაღლი გაგიცოფდა და მის გასაფშეკად ნაზუქი გამომართვი. მე მივხვდი, რომ ის ორფეხა ძაღლი იქნებოდა და ნაზუქის წონა ვერცხლი მიბოძე... ახლა კი ისეთი ძრწოლით მიაკითხე წმინდანს, ეტყობა, იმ ნაზუქით მძიმე ცოდვა ჩაგიდენია, მეც მეტადა ვარ შებილწული და იაფად გამიყიდია სული.

დინარა — მეტ საფასურს მოითხოვ?

ფირუზა — მაშ, რა ვქნა? შენთვის წმინდანი ილოცებს, მე კი ვინ ამაცილებს ჯოჯოხეთს?

დინარა — შენ ამ წმინდა ადგილზეც ვერცხლს ეძიებ, იუდას ტალო!

ფირუზა — რაც აქ ნაზუქებით შემომაქვს, იმის შესადარს რას წავიღებ.

მიქელი — შენს ნაზუქს წყევლად ხმაროობენ.

ფირუზა — როცა იარაღის ნაცვლად ჩემს ნაზუქებს ხმაროობენ, კაცის მკვლელები ერთმანეთს ეალერსებიან და კოცნიან, ხოლო დანაშაულის ჩადენის შემდეგ ცოდვათა გამოსასყიდად ეკლესიას დიდ განძს სწირავენ. ამგვარად, ჩემი წყალობით ცოდვილნი იწმინდებიან, ეკლესია მდიდრდება, ხოლო მე ღმერთთანაც და კაცთანაც დამცირებული ვარ.

დინარა — დამშვიდდი, ფირუზ, შენგან წაღებული ნაზუქი ჩემი ხელით არავისთვის არ შემიპარებია.

ფირუზა — მაშ. ძველი ცოდვის მოსაბანად მოდი?

დინარა — რომელი ცოდვის?

ფირუზა — ჩემი შეწევნით საკუთარ მუცელში მოსპე ცოცხალი სული და საქმე ისე ჩაფარცხე, რომ არავის არ სჯერა, თუ შენ ხუთ მთვარემდე ქმარი გყავდა და მუცელში — შვილი.

დინარა — მიქელთან მასმენ? ალსარებაში ეს არ გამომრჩენია.

ფირუზა — არა ,მე გადარებ მნათობებს, რომელთა საშოდან ამოსროლილი ვარსკვლავები ცაში ნაპერწკლებად ქრებიან, თვითონ კი დაუსრულებლად ბრწყინავენ.

დინარა — ბოლოს, რა გინდა ჩემგან?

ფირუზა — არაფერი. მხოლოდ ამის სათქმელად მოვედი, იცოდეთ, უფალნო, რომ მე გამოსადეგი ვარ და, თუ კიდევ ოდესმე გაგიჭირდეს, ჩემი სახელი ახსენე, — იქვე გავჩნდები.

დინარა — კარგი, წადი. მიიღებ ვერცხლით ქისას.

(ფირუზა მიდის. შემოდის მირანდუხტი).

მირანდუხტ — აი, მობრუნდა წაღმა ბედი. — მეფემ სპასალართ გამოუცხადა. რომ მიჰრაჯთან შესარიგებლად დიდებულების კრებას იწვევს.

მიქელი — მე ეკლესიას ავაღალადებ.

მირანდუხტ — მე — ვახარებ დიდ სასახლეებს.

მიქელი — ო, მეტოქისგან შეკრული გული მეფის უნდა გადაიბირო აწ.ყოველ ღონით, ვით ხორციელ სიმშვენიერით, ისე სულიერ სიწმინდითაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინარა — მე ვიცი იცი
ვით აფრინდება, როს მიხილავს ბრწყინვალე ყდაშრეულ
მამავ. ვიმეფებ შენი სიბრძნით, შეგაქმნევინებ
უფლის ჭეშმარიტ ეკლესიას, ვით ღვთის მოციქულს. —
შენ განადიდებ ჩემს სვეს, მე კი — შენს წმინდანობას.

მიქელი — მე ვიქნები კლდე, დასაყრდნობი თქვენი დიდების.

მირანდუხტ — ორივ იქნებით ჩემ გმირ ძმისა ძლიერი სვეტი.

დინარა — გმადლობ, მომქცევო იბერიის. მხურვალე ლოცვით
შენს წინაშე ჯერ თვალზე ცრემლი არ შემშრობია
და ადრტვინებულს მომაგებე მეფის გვირგვინი.

(აპირებენ წასვლას)

ფარდა

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჩიჯავაძე

თვითმკვლელები

რომანი

* * *

ორი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი საიდუმლო სააშკარაოზე გამოიტანეს და აბუჩად ამიგდეს. ახლაც, ეს შეუსაბამო ამბები რომ არ მომხდარიყო. დღიურს არც მოვუბრუნდებოდი...

ყველაფერი ჯერ კიდევ ზამთარში დაიწყო. ოჯახის წევრები შეიკრიბნენ სათათბიროდ და მამას გადაათქმევინეს ოჯახის დანგრევა. ბავშვები მაინც შეიბრალეო.

ახლა ზაფხულია და ჩვენ ვისვენებთ აქ, „წმინდა ანტონის“ მონასტერში.

დაბურული ტყით გარშემორტყმული ეს ქვის მაღალგალავნიანი მონასტერი თითქმის მთის თხემზე დგას. ცოტა მოშორებით, გარე ეზოში აღმართულა მოგვიანებით აშენებული ეკლესია. მის გვერდით კი ზედ ხევის პირზე გადმოკიდებულ მოგრძო შენობას მთელ სიგრძეზე აივანი აქვს დაყოლებული.

ადრე აქ ბერები ცხოვრობდნენ და მიწას ამუშავებდნენ. სწორედ ამ სახლში დავიქირავეთ ჩვენ ციხის საკანის მსგავსი ერთი ოთახი, სადაც საწოლად კედლიდან კედლამდე ფიცრები იყო გაწყობილი. ჩვენს გვერდით ისვენებდა ხუთი თუ ექვსი ოჯახი.

გასულ შემოდგომაზე მამამ ნადირობიდან ჩამომიყვანა მელიის პაწაწინა ლეკვი. მთელ ზამთარს ვუვლიდი. ლეკვი გაიზარდა და მოშინაურდა, თუმცა ჩვენს ქუჩაზე არც ერთ მეზობელს ქათამი არ შეარჩინა. მელაკუდა მხოლოდ და მხოლოდ მე მეკარებოდა .

„წმინდა ანტონის“ მონასტერში ჩასვლისას გადავკოცნე ჩემი მელია და ნებაზე გავუშვი. მან გვერდზე გაიხედ-გამოიხედა და ცუნცულით წავიდა, ჩემს კენ არც მოუხედავს. რუსუდანის ცისფერმა ბებიამ, რომელიც კისერზე მოვახვიე მელას, მონადირეებს რომ არ ესროლათ მისთვის, ერთი ორჯერ გაიელვა მაყვლის ბუჩქებში და გაუჩინარდა. მიუხედავად ჩემი ძმის დაცინვისა, მე გოგოსავით ვზლუქუნებდი.

მონასტერში რამდენიმე ბერი ცხოვრობდა, მაგრამ გარეთ იშვიათად გამოდიოდნენ, ერთთავად სენაკებში ისხდნენ. მხოლოდ ილია, უსინათლო მნათე გვიყადრებდა თავს. იგი გვიამბობდა ყაჩაღებზე, გვიკეთებდა შურდულებს და გვასწავლიდა შურდულის სროლას, რაც საკმაოდ რთული საქმე გამოდგა. იქვე, მონასტრის ხშირბალახიან ეზოში ილიას სახედარი ძოვდა. კვირაში ერთხელ ილია შეჯდებოდა ხოლმე თავის სახედარზე და გაემგზავრებოდა თბილისში. სახედარი თითქმის მთელ ქალაქს გადასერავდა და შეუცდომლად მიიყვანდა ხოლმე ილიას პირდაპირ საეპისკოპოსო საბჭოში, რომელიც მუხრანის ხიდთან იყო. მერე ისევ უკან, მონასტერში წამოიყვანდა.

პატრონის მეტს სახედარი არავის იკარებდა და ზედ შეჯდომაზე ხომ ფიქრიც ზედმეტი იყო. თუ ვინმე მაინც შეჯდებოდა, რამდენიმე წამის შემდეგ უკვე დაბლა ეგდო.

ილიას სახედარს ჩვენ „ველური მუსტანგი“ შევარქვით.

რუსუდანი დილიდან საღამომდე კითხულობდა თბილისიდან ჩამოტანილ რომანებს. შოთამ კი თავი გამოიდო და ვიღაც ქალიშვილს „მათემატიკის“ სწავლება დაუწყო. უცნაური იყო, რომ შო-

---

გაგრძელება, იხ. „მნათობი“, № 4.

თას სულ ორიანები ჰქონდა მათემატიკაში, ხოლო სახელმძღვანელო, რომელიც მათ პლედთან ერთად მიჰქონდათ ხოლმე ტყეში, უმცროსი კლასელებისა გახლდათ.

ერთხელ ყაჩაღები მივიდნენ. ორი ახალგაზრდა გლეხი ბიჭი იყო. ვაზნების ფალასკები მკერდზე ჯვარედინად ჰქონდათ გაკრული და შემოჭრილი თოფები ეკიდათ. ქამრებში კი ნაგანი ჰქონდათ გაჩრილი. საშუალო ტანისანი იყვნენ, ჯმუხები, და სულაც არ ჰგავდნენ ყაჩაღებს. მარტყოფის გზაზე გერმანელი ტურისტების ავტომობილი გაეჩერებინათ და გაეძარცვათ. ეს ამბავი თვითონ გვითხრეს, თან ჩვენი აივნიდან გზას თვალს არ აშორებდნენ. მოაგარაკეებს ეშინოდათ, ამ ყაჩაღებმა ჩვენც არ გაგვძარცვონო და, უხვად გაუმასპინძლდნენ. მე ისე გამეხარდა ნამდვილი ყაჩაღების ნახვა, რომ პირდაპირ ტაფიანად მივართვი შემწვარი ვარია და ლორის ნაჭერი. წასვლისას ფოტოაპარატი მაჩუქეს, რომელიც ტურისტებისათვის წაერთმიათ. შოთას გული დაწყდა, რომ ამ დროს ტყეში მათემატიკის „სწავლებით“ იყო გართული. სამწუხაროდ, ფოტოაპარატი იმავე ღამეს დამეკარგა. დედაჩემს სადღაც მიწაში ჩაეფლო. დამემუქრა კიდეც, მამას ვეტყვი, თუ თავს მომაბეზრებ.

მერე ის იყო, მეზობლებთან ერთი კვირით ჩამოვიდა ვიღაც ქალი. იგი თავიდანვე ავითვალწუნე. სახე ერთიანად პუდრში ჰქონდა ამოგანგლული. ქათამივით წვრილ კისერზე შავი ხაველდის ბაფთა წაეჭირა და უფერული თვალებით სულ განზე იყურებოდა.

— ეს არის, მამამისს რომ ძალიანა ჰგავს?... — იკითხა მან და ლოყაზე ცივი, გამხდარი ხელი მომითათუნა.

წასვლის წინა დღეს ის ქალი დედაჩემს რაღაცას საიდუმლოდ ეჩურჩულებოდა. მაგრამ როგორც კი მივუახლოვდებოდი, მაშინვე სხვა საგანზე გადაიტანდა ლაპარაკს.

მერე ის ქალი წავიდა. დედას კი რაღაც დაემართა: ბევრსა ტიროდა და ვიღაცას წერილსა სწერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდანმა მე და შოთა ბაღში გვგვიხმო, გვითხრა. დედა თავის მოწამვლას აპირებსო. თვალი შეუსწრია, რომ დედას უბეში საწამლავის შუშა შეუნახავს.

გადავწყვიტეთ, არც ერთი ნაბიჯით არ მოვშორებოდით დედას, და თუ შუშის ამოღებას დააპირებდა, მივცვივნოდით და წაგვერთმია. მჭიდროდ შემოვერტყით დედას და თვალს არ ვაშორებდით თვითეულ მის მოძრაობას.

— აბა, ეგ რამ გაფიქრებინათ, დამეხსენით, სული მომათქმევინეთ, — თავიდან გვიცილებდა დედა.

ჩვენ ვემუდარებოდით, მოეცა ის შუშა, კაბის უბეში რომ ჰქონდა. ბოლოს გადავწყვიტეთ ძალით წაგვერთმია, მაგრამ შუშა არსად იყო. დედა იცინოდა კიდეც, მაგრამ რაღაც არაბუნებრივი სიცილით.

დაბინდდა. კარგა ხნის შემდეგ მეზობლებმა ლამპები ჩააქრეს და დასაძინებლად დაწვნენ. ჩვენ კი, ქანცგამოლეულები, ისევ დედას დავდევდით.

კარგახანი გავიდა. შუაღამის მამლებმა იყივლეს. დედა უეცრად დაწყნარდა.

— კარგია, დაწყნარდით და დაიძინეთ! — გვითხრა მან სრულიად მშვიდ ხმით.

— არა, ვიდრე შენ...

— ყველაფერმა გადამიარა! სიტყვას გაძლევთ! დაწექით!..

— დაიფიცე!

— ვფიცავ! დაწექით... დაწექით!

შოთა და რუსუდანი ძლივს მიათრევდნენ ფეხებს. ისე გაემართნენ დასაწოლად. მე კი მაინც არ ვშორდებოდი და, რაკი დედა ყოველნაირად ცდილობდა თავიდან მოვეშორებინე, უფრო დავეჭვდი.

დედა უცებ აივანზე გავარდა, კაბის კალთიდან პაწაწინა შუშა ამოიღო და ტუჩებთან მიიტანა.

მე მივვარდი, მაგრამ ისეთი ძალით ეჭირა ტუჩებზე შუშა და სვამდა...

ცარიელი შუშა გამოვგლიჯე. მარცხენა ხელით მისი თავი მკერდზე მივიკარი, ხოლო მარჯვენა ხელის თითები პირში ჩავჩარე. დედა მკბენდა თითებზე, მაგრამ ტკივილს არა ვგრძნობდი, საწყალ დედას მთელი სასა გამოვაყვლიფე და ჩემსას მივაღწიე: დედას პირღებინება დაეწყო. ჩვენ ჩუმად ვიბრძოდით. მხოლოდ გვიან მივხვდი, საშველად მეხმო

შოთასა და რუსუდანისათვის. მერე მათი დახმარებით დედას ისევ ჩავჩარე თითები პირში... და ისევ ასაქმა. დედას ოდი დაელია! ბედად, სახლში რძე გვქონდა და მორჩილებით დალია.

— გემუდარებით!.. არავის არც ერთი სიტყვა! მე უკეთა ვარ!

შოთა თავლაში გაიქცა და ბერების ერთ-ერთ უბელო ცხენს მოახტა, თბილისისაკენ გაჰქუსლა მამასთან. რუსუდანი ლოგინზე დაეცა, ბორგავდა, მერე კი დაწყნარდა, ალბათ, გული წაუვიდა. ან ჩაეძინა.

გათენებამდე ვიჯექი აივანზე და მკერდზე ვიკრავდი შემცივნებულსა და აკვნესებულ დედას. როცა წაიძინებდა, ან გონებას ჰკარგავდა, ვანჯღრევდი ხოლმე. რადგან მეშინოდა, ვაი, თუ აღარ გაღვიძებოდა.

დამსვენებლებს ჯერ კიდევ ეძინათ, რომ მამა ვიღაცების თანხლებით, მანქანით მოგვადგა და დედა წაიყვანეს.

მამასთან ერთად დაბრუნებულმა შოთამ გვიამბო, რომ როცა კუკიის სასაფლაოზე გადაღიოდა, ცხენიანად ჩავარდა ახალგათხრილ საფლავში. იქნებ ეს ფანტაზიაც იყო, მაგრამ მის გმირულ საქციელს სულაც არ ამცირებდა. ეს კი იყო, რომ შოთა ერთხანს გაჩაჩხული დადიოდა და სკამზე დაჯდომაც კი უჭირდა.

— ცხენს ხერხივით ჰქონდა კუსუბო... — თავს იმართლებდა შოთა.

შუადღისას რუსუდანმა საფულეში დედის დატოვებული წერილი იპოვნა. შოთა და რუსუდანი დიდხანს კითხულობდნენ, ბოლოს მეც მომცეს.

ვერც კი წარმომედგინა, რომ ახლახან განცდილ მწუხარებას მეორეც დაემატებოდა; ეს წერილი ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება:

„ჩემო საყვარელო შვილებო, შოთა და რუსუდან!

მე აღარ მინდა სიცოცხლე. ვანოს სხვა ქალი უყვარს და ამას ვერ ავიტან. თქვენ ჯერ კიდევ ნორჩები ხართ და, ალბათ, გამამტყუნებთ, რომ თქვენ გტოვებთ. მაგრამ როცა წამოიზრდებით, გამიგებთ და მაპატიებთ.

გოცნით უკანასკნელად.
თქვენი დედა“.

წერილს მინაწერი ჰქონდა:

„დაუბრუნეთ ოთარს 4 მანეთი, მაგისი მმართებს“.

არა!.. აჰ რაღაც შეცდომა იყო!..

რატომ მიმართა მან მხოლოდ შოთასა და რუსუდანს, განა მე მათზე ნაკლებად მიყვარს დედა?

ღმერთო!.. დედას იმიტომ მოვაგონდი, რომ ჩემი 4 მანეთი ემართებოდა?

რაც მეტსა ვკითხულობდი ამ წერილს, მით უფრო მეტი იყო ჩემი გაცვიფრება და მწუხარება.

— რატომ?.. რისთვის?!

ტყეში წავედი და ხეებშუა დავყიალობდი. მერე კი პატარა კორდზე გავედი და ბალახებში მივეგდე...

— რათა?! რისთვის?! იქნებ დედა ცოცხალიც აღარ არის! დედა!.. დედიკო!.. მე არ გემდური!.. ოღონდ ნუ მოკვდები!..

რაღაც ცივი და ნოტიო შემეხო ხელზე. თავი ავწიე. ეს ჩემი პატარა მელაკუდა იყო. ვერც ვიცნობდი, ისე გაბალტყავებულიყო საცოდავი, ფეხზე ძლივს იდგა, ბეწვი ალაგ-ალაგ დასცვივნოდა და ბირკით გავსებოდა.

ხელი ვტაცე და მკერდზე მივიკარი. კბილებმა გაიწკაპუნეს და ვიგრძენი, ნიკაპიდან სისხლის წვეთები ჩამომდიოდა.

— იკბინები, მაგრამ მაინც მოხვედი ჩემთან!... ალბათ, გიყვარვარ!

მერე ისე დავიჭირე, რომ აღარ ეკბინა და სახლში წავიყვანე.

ოთახში ჩავიკეტე და ვაჭამე,— ყველაფერი მივეცი, რაც კი გვებადა: ხორცი, ლორი, ყველი. რამდენიმე წუთში მელაკუდა დოლივით გაიტიკნა. მერე გავიყვანე ველზე და გავუშვი. ტყის პირთან ერთ წამს გაჩერდა და ჩემკენ მოიხედა.

ვიცოდი, აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

საღამოთი მამიდა ელენე ჩამოვიდა. დედას საფრთხე აღარ ელოდა.

ისევ გამიბრწყინდა მზე.

* * *

შემოდგომაზე ისევ შევუდექით სწავლას. ტექნიკუმის ლაბორატორიებში — მეცადინეობა, დარბაზებსა და ეზოებში — ტანვარჯიში და ფეხბურთი.

ტანვარჯიში და ფეხბურთი ძლიერ უშლიან ერთმანეთს, მაგრამ მე ვერც ერთს ვერ ველეოდი.

ჰთელი ქალაქი ყვითელ, წითელ, თეთრსა და ლურჯ ბუტსებში დადის: ბუტსები იმათაც კი აცვიათ, ვისაც სი-

ცოცხლეში ერთხელაც არ გაუკრავს ფეხი ბურთისათვის. ეს მოდაა — სხვა ფეხსაცმელი არ იშოვება.

ჩრდილოეთში აცივდა და უპატრონო ბავშვების ტალღა ახლა სამხრეთისაკენ დაიძრა, თბილისში ასობით ლტოლვილი დაეხეტება. დაძონძილები და მაზუთში ამოთხვრილები, მოწყალებას თხოულობენ, ბაცაცობენ, ან ქალაქის მთავარ ქუჩებში მზეს ეფიცხებიან.

თავხედურად და უტიფრად უჭირავთ თავი ნეპმანების ცოლებს.

„ანგლიჩანკა“ თავის დედაზე ბევრად ხნიერ ნეპმანს მისთხოვდა.

სასაცილო სანახავია, როცა ჩია ნეპმანი ცოლის გვერდზე მიცუხცუხებს. მისი მელოტი თავი „ანგლიჩანკას“ მხრებსაც კი ვერა სწვდება. ნეპმანი ბაქოდან არის ჩამოსული და მათთან დასახლდა.

ხიდთან რომ ტირია, იქ აღარ დავდივარ, იქ ახლა ძია ილია მუშაობს და ვატყობ, როგორღაც ეუხერხულება ამ დონემდე დაცემა.

ლუკომსკი პოლონეთში წავიდა, მარკოვმა კი კავკასიის ფაუნაზე წიგნი დაწერა და ახლა ზოოლოგიური ბაღის გახსნაზე ფიქრითაა გატაცებული.

თამარი ქუჩაში კლასობანას აღარ თამაშობს, თავისუფალ დროს მეტწილად ფანჯარასთან ატარებს, გავლისას, ხანდახან შევჩერდები ხოლმე და ვმუსაიფობთ. ჩვენ ყველანი გავიზარდეთ, ნიკოს გარდა, რომელმაც რატომღაც ტანი ვერ აიყარა. ეს, ალბათ, შინა სეკრეციის მიზეზია. სამაგიეროდ, ანტონის სეკრეცია იმდენად ძლიერია, რომ მთელი სახე მუწუკებით დაეფარა.

თამარი მას ზედაც არ უყურებს.

ყველაზე მეტად სანდრო შეიცვალა თავის ძმასავით ისიც პოლიტიკურმა წიგნებმა გაიტაცა და ახლა ჩვენი ტექნიკუმის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის მოადგილეა. კედლის გაზეთისთვის ყველა კარიკატურის მე ვუხატავ.

ოთხივე იმდენად წამოვიზარდეთ, რომ ლადოსთან თითქმის აღარა ვმეგობრობთ. შარშან ლადოს მამა დაანატიმრეს. იმათ სარდაფში ემდენი შაქარი და კონსერვი იპოვნეს, ლადოს ბებიას მთელი სატვირთო მანქანა დასჭირდა. ლადო ჩამოხმა და ძალიან ცუდად აცვია.

დედა გამოჯანსაღდა და წინანდებურად ყველაფერს ჰკარგავს და ავიწყდება. შოთა „პოულობს“ დედას დაკარგულ ნივთს და ამისათვის ფულად ჯილდოებს ღებულობს. რამდენჯერმე მეცა ვცადე „მეპოვნა“, მაგრამ ჩემი გარჯა არავის შეუმჩნევია.

* * *

ცივგომბორი.

ტყით დაფარულ ფერდობზე მიიკლაკნება თელავის ძველი გზა, გადის ქვემო და ზემო გომბორის ბაღნარებში და მერე ისევ ტყეში იკარგება.

ჩვენ ვცხოვრობთ ზემო გომბორში ერთ პატარა, თეთრად შეფეთქილ მალაკნურ სახლში. ჩვენი ფანჯრების წინ მძიმედ დაზნექილა ჯერ კიდევ მკვახე ხილით დახუნძლული ხეები.

ყოველ საღამოს უკრავს გარმონი და სეირნობენ ლოყებლაქლაქა გოგოები და ბიჭები. სახლების წინ ბექობებზე მზესუმზირას აკნატუნებენ ენაჭარტალა დედაკაცები და დარბაისლურად მუსაიფობენ მოხუცები.

ქვემო გომბორში, ყოფილ ყაზარმებს და მიწურებში თათრები ცხოვრობენ.

იქვეა ბაზარი და სამიოდე დუქანი.

მამა ჯერ კიდევ არ ჩამოსულა და მე მოწყენილი ვარ. დამსვენებელთა შორის რუსუდანი თავის ორ ამხანაგს შეხვდა. შოთა ეხოხმარიკება მათ, ისინი მხიარულობენ და სულ ერთად არიან.

აქ ბევრი დამსვენებელია, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემი ტოლი არავინაა. განდეგილივით მარტო დავდივარ.

გუშინ დილით დედამ ბაზარში გამგზავნა ხორცისათვის. ადრე მივედი. ისის იყო ძროხას ჰკლავდნენ ქვევით, მდინარესთან. თუმცა ძროხა ძალზე მეცოდებოდა, მაინც მივედი და ვუყურებდი.

ყასაბთან ახლო იდგა მაღალი, გამხდარი, შავებში ჩაცმული ქალი. ხელში თიხის ბადია ეჭირა, რატომღაც აღტკინებული იყო და რაღაც უცნაურად დასცქეროდა საბრალო ძროხას.

როცა დაკლული ძროხის ყანყრატოდან შადრევანივით გადმოხეთქა სისხლმა, ქალი მივარდა და ბადია შეუშვირა. ჯამი აავსო, მერე განზე გადგა და იქვე ხარბად დაუწყო სმა. ლოყები შეეფაკლა და თვალებში რაღაც სხივი ჩაუდგა.იქნებ მე ვცდები, მაგრამ ასე უციმციმებთ თვალები ჩხუბში გამარჯვებულ ბიჭებს. ეტყობოდა, ქალი დაიღალა, სულს ძლივს იბრუნებდა და ჯერაც არ მოეწმინდა სისხლით ფოსვრილი ტუჩები.

— ღმერთმანი, თუ კიდევ მოვიდა, უთუოდ გავაგდებ! — აღშფოთდა ყასაბი.

— სად გაგონილა ასეთი ცოდვა! საქონლის სისხლი მიწამ უნდა სვას! — დაუდასტურა დამხმარემ.

— ამბობენ, ჭლექს ახლა ასე მკურნალობენო, — თქვა ჩალისქუდიანმა მოაგარაკემ.

შეძრწუნებულმა ხორცის ნაცვლად ოციოდე კვერცხი ვიყიდე და წამოვედი. დიდხანს არ მშორდებოდა იმ ქალზე ფიქრი.

* * *

მე და მუნჯს მეტად ცუდი ამბავი შეგვემთხვა. მთელი გომბორი ჩვენ დაგვცინის. ზოგს კიდეც შურს ჩვენი. აბა, ერთი ისინიც ყოფილიყვნენ ჩემს დღეში?!

მუნჯს ერთი ნაკლი აქვს: ძალიან უყვარს თვალთვალი. ეს ყველამ ვიცით. ჩვენი საბაზანო თბილისში, როცა იქ ქალები ბანაობენ, ცეცხლგამძლე ყუთივით არის ხოლმე დაგმანული.

ყოველ კვირა დღეს მალაკნის ქალები ზემო რუზე მოწყობილ საგუბარში დადიან ხოლმე საბანაოდ. თან მიჰყვებიან მოხუცი დედაკაცები, რომლებიც ჰყარაულობენ მათ ტანსაცმელს და ბიჭების სახსენებელს მთელ კილომეტრზე არ აჭაჭანებენ.

მუნჯმა ამიხსნა, თუ ჩვენ ადრე წავალთ და დავიმალებით ბუჩქნარში, ფლატეზე, რომლის ქვეშ მდიხარე მიდის...

წინათ ასეთი რამ სულ არ მაინტერესებდა, მაგრამ ახლა რატომღაც დავთანხმდი... ვღელავდი კიდეც...

ვიდრე მობანავენი მოვიდოდნენ, ჩვენ უკვე ვიწექით ბუჩქებში, თიხნარ ფლატეზე, რომელიც თითქმის შვეულად იყო დაქანებული. ჩვენს ქვემოთ საგუბარი იყო. წყალი მკერდამდე სწვდებოდა.

სიმღერითა და სიცილ-კისკისით მოვიდნენ გოგოები. მათ უკან ფრატუნით მოსდევდნენ შორს ჩამორჩენილი დედაბრები.

თითქოს საომრად ემზადებიანო, დედაბრებმა საბრძოლო პოზიციები დაიკავეს.

გოგოები საგუბართან მოვიდნენ და გახდა დაიწყეს. მიწაზე ეფინებოდა სოფლური, უბადრუკი კაბები, საცვლები... და რიყის ქვით მოფენილ ნაპირზე გამოჩნდნენ დიანები, აფროდიტები, ვენერები... რა ბრძანებაა, ესენი ათასჯერ ლამაზები იყვნენ იმ უსიცოცხლო ქანდაკებებზე! ჩვენი უსახური მეზობელი, ფენია — ევას სამოსელში ისეთი ნატიფი და ლამაზი იყო, რომ სული მეკმინდებოდა.

ზედ ფლატეს კიდეზე ვიწექი ნიდაყვებზე დაბჯენილი, ოდნავ თავწამოწეული. ჩემს გვერდზე ადუღებული ჩაიდანივით ფრუტუნებდა მუნჯი.

უეცრად ფლატეს თიხნარი კიდე, რომელზედაც ნიდაყვები მქონდა დაბჯენილი, ჩაინგრა. თავით წამოვედი. სულ უფრო და უფრო ვუმატე სიჩქარეს. წყალში ჩაზვავებული გორახების ბუყბუყი, მუნჯის კივილი და გოგოების ჟრიამული უცებ შეწყდა. წყალქვეშ სიჩუმე ჩამოდგა.

რაწამს ფეხებქვეშ ნიადაგი ვიგრძენი, ხელად წამოვდექი. ერთი კი მოვასწარი შემესუნთქა ჰაერი და ისევ წყა-

ლში ჩამაყვინთინეს. გოგოები წყლიდან თავის ამოყოფის საშუალებას არ მაძლევდნენ. სუნთქვა მიჭირდა, გავმწარდი. გოგოებს კბენა დავუწყე, მაგრამ ისეთი მკვრივი და ლიპი სხეული ჰქონდათ, რომ კბილებს ამაოდ ვაწკაპუნებდი და სულ მეტსა და მეტ წყალს ვყლაპავდი. დახეთ ჩემს უბედურებას! გამოცდილი მცურავი, ერთ ბეწო რუში ვიხრჩობოდი!...

წყალწაღებულიო, რომ იტყვიან... ორივე ხელით ფენიას კისერზე ჩამოვეკიდე. გაშმაგებულმა გოგოებმა ღიტინი და ჩქმეტა დამიწყეს, მაგრამ მე არ ვეშვებოდი ჩემი გადარჩენის ერთადერთ იმედს. ახლა უკვე ერთად გვაყურყუმალავებდნენ. ფენიას არაქათი გამოელია, მე საცაა გრძნობას დავკარგავდი.

გული რომ იჯერეს გოგოებმა, თავი დაგვანებეს..

ძლივძლივობით ამოვფოფხდი ნაპირზე და ბარბაცით გავეცალე იქაურობას. მესმოდა გოგოების სიცილ-ხარხარი და ოხუნჯობა. ერთმა დედაბერმა წკეპლაც მომცხო ფეხებში, მაგრამ ამას უკვე აღარ დაგიდევდით.

მუნჯი მოსახვევში მელოდებოდა, ჰუცელი შემებერა და მის დაუხმარებლად სახლამდე ვერ მივაღწევდი. ბედად, სახლში არავინ იყო.

მეორე დღე ლოგინში გავატარე. მუნჯმა მალულად მთიულური ქადა გამომიცხო.

ბევრი ფიქრის შემდეგ დავასკვენი, რომ გოგოები, დედამიწაზე ყველაზე ბშვენიერი არსებანი არიან. ჩქარა მაინც გავიზრდებოდე, რომ თამარი ცოლად შევირთო!

ახლა ფენია თავის ცისფერი, წითელ-ყვავილებიანი კაბით მორთული დადის, და ყველანი ამბობენ, ბეტად დამშვენდაო. მუდამ რაღაცას საქმიანობს ღობეს̆თან, რომელიც ჩვენს ეზოებს ჰყოფს. მეც რატომღაც ერთთავად შინა ვზივარ. ჩვენ ქურდულად გავცქერით ერთმანეთს და ხანდახან წყაროზედაც ერთად მივდივართ წყლის მოსატანად.

ბოლო დროს ყველაზე შორეულ წყაროზე დავიწყეთ სიარული. ფენიას რატომღაც ყველაფრისა ეშინია და ჩვენ ხელჩაკიდებულები მივდივართ. მე ვუყვები წაკითხულ წიგნებს, მაგრამ მას მხოლოდ ისეთი ამბები მოსწონს, სადაც „საშინელი სიყვარულია!“

ამას წინათ წყაროსთან ვისხედით, ვარსკვლავებსა ვთვლიდით. ფენიამ მთხოვა, კიდევ მეამბნა „მარგარიტა გოტიეზე“. ყოველთვის, როცა მარგარიტა გოტიე კვდება, ფენია ტირის. ცრემლებს ვუმშრალებ ჩემი ცხვირსახოცით, რომელსაც სპეციალურად ვაპკურებ დედაჩემის ოდეკოლონს. ერთხელ, როცა ცრემლები შევუმშრალე, ფენია მომეკრა, თავი ასწია და თავისი სახე ჩემსას მოუახლოვა, თანაც თვალებში ჩამაშტერდა. დიდხანს ჩავცქეროდით ერთმანეთს თვალების სიღრმეში. მერე ფენიამ თვალები დახუჭა და მისმა ფუნჩულა ტუჩებმა ჩემსკენ გამოიწიეს.

მისი სუნთქვა, ახალი რძისა და ჟოლოს სურნელი რომ დაჰკრავდა, სახესა მწვავდა და თავს მიბრუებდა. გამბედაობა არ მყოფნიდა... ის იყო გავბედე მეკოცნა, რომ ცარიელი სათლების ზრიალი მოისმა...

მთელი ღამე ფენიაზე ოცნებაში გავატარე და თან სინდისი მქენჯნიდა, რომ თამარს ვღალატობდი.

თამარი უნდა ყოფილიყო პირველი და უკანასკნელი ქალი, რომელსაც მე ოდესმე ვაკოცებდი.

* * *

მამა მხოლოდ შუა აგვისტოში ჩამოვიდა. ეს ორი კვირა ბშვენივრად გავატარეთ. ყოველდღე ვსეირნობდით და ერთხელ არიფანაც გავმართეთ.

ოღონდ გუშინდლიდან ყველაფერი შეიცვალა.

მამაჩემი ძლიერ ღელავდა და მივხვდი, მდგომარეობა სერიოზული იყო. გუშინ დილიდანვე შორიდან დროგ-

მოშვებით სროლის ხმა მოისმოდა. ჩვენი სახლის წინ გაქაფული ცხენებით გაიქროლა რამდენიმე შეიარაღებულმა მხედარმა.

თბილისიდან ველოსიპედით ჩამოვიდა მთლად ჰტვერში ამოგანგლული ჩვილი ტყუპის მამა, რომლის ოჯახიც ფენიაანთ სახლში ისვენებდა.

— აჯანყება დაიწყო! — შეგვატყობინა დაღლილობისაგან არაქათგამოცლილმა მეზობელმა. — მენშევიკებს ხელისუფლების ჩამოგდება უნდათ!

ჩვენ სახლიდან გასვლა აგვიკრძალეს.

ყველანი — აივანზე ვიყავით, როცა ხევსურებმა ჩაიარეს. ოცამდე კაცი იქნებოდა; ჯვრებამოქარგულ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილები. ზოგ მათგანს კაჟიანი თოფი ეკიდა, სხვებს ხმალ-ხანჯალი და შუა საუკუნეების დროინდელი ფარი აესხა.

ხალხი ეზოებიდან უყურებდა, როგორ მიდიოდნენ ისინი ქვევით, ბაზრისაკენ.

გორაკზე წამომდგარი შავებში გამოწყობილი ქალი გრძელ, გაძვალტყავებულ ხელებს აქნევდა და გზას ულოცავდა ხევსურებს.

ყოველთვის დინჯი და თავდაჭერილი მამა ახლა უცნაურად გამოიცვალა.

— საცოდავები!... მოტყუებულები, უბედურები! — ამოიკვნესა მან. — ღმერთო ჩემო, რა სულელურად იღუპავენ თავს!...

— მამა, ეგენი მაინც შეაჩერე, — ვუთხარი მე აღელვებით.

— ვანო, ნუ ჩაერევი! — შეშინდა დედა.

— მამა, შენ ხომ ყველაფერი შეგიძლია!

— არა, არ შემიძლია!... საუბედუროდ, მე არაფერი არ შემიძლია!.

ხევსურები მოსახვევს მიეფარნენ. შავებით შემოსილი ქალი უკან მისდევდა მათ.

მამა ოთახში შევიდა და კარი მიიხურა.

არა მჯეროდა, რომ მამას არაფერი შეეძლო. ცოტა არ იყოს, გულიც გამიტყდა.

ღამით ჩვენი სახლის წინ ცხენოსანმა ჯარმა ჩაიარა. უკან აღალი მისდევდა.

ეს იყო თელავიდან გამოგზავნილი სამხედრო ნაწილი. დღეს დილით წავედი, რომ მენახა, როგორ განლაგდნენ სამხედროები.

ეკლესიის მოედანი მთლად კარვებით იყო დაფარული. გალავანთან ფურგონები იდგა. ყველანი სადღაც გაკრეფილიყვნენ, გარდა რამდენიმე ყარაულისა და მზარეულებისა.

სალაშქრო სამზარეულოსთან მზარეულები ქვაბებსა და სათლებს აზრიალებდნენ. ერთი მათგანი გაოგნებულ მოზვერს თოკით ეწეოდა. მომეჩვენა, რომ მოზვერმა თვალები მიბრიცა დიდი დანისკენ, რომელიც მზარეულს ეჭირა ხელში.

უეცრად შევკრთი. შავად შემოსილი ქალი მოჩვენებასავით გამოჩნდა. ხელში კვლავ ჯამი ეჭირა. ქალი ზიზღით უყურებდა სამხედროებს და პასუხიც არ აღირსა, როცა რაღაც ჰკითხეს.

მოზვერს ფეხები გაუკრეს და წააქციეს.

შემოვტრიალდი, როცა ყველაფერი უკვე მოთავებული იყო, მივიხედე.

შავოსან ქალს ისევ ეჭირა ტუჩებთან ჯამი, სვამდა სისხლს და ზიზღით უყურებდა ჯარისკაცებს.

* * *

ბავშვობა გათავდა.

დღეს 16 წლისა შევსრულდები და სწორედ ორმოცი დღე გახდება, რაც მამაჩემი აღარ არის. მე ახლაც არა მჯერა ეს.

ზოგჯერ მეჩვენება, რომ მას ვხედავ შორს.. შორს ხალხში... სხვებზე მთელი თავით მაღალს. გავრბივარ მისკენ, თუმცა ვიცი, რომ იგი გარდაიცვალა და შეუძლებელია, რომ ის ცოცხალი იყოს... თავჩაქინდრული უკან ვბრუნდები. ეს ვიღაც სხვაა...

ჩემ სიცოცხლეში ყველაფერი მამას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან იყო დაკავშირებული, მის წამახალისებელ ღიმილთან ან ირონიულ გამოხედვასთან, მუდამ მშვიდ მოძრაობასა და დინჯ საუბართან, ჩემდამი სიყვარულთან. როგორ გამომხედა მან, როცა სიკვდილამდე სამი დღის წინ ქიმიური ტექნიკუმის დამთავრების დიპლომი მივუტანე.

— ბარაქალა!... მხოლოდ ხუთიანები!... — მე მეგონა, ეს უშველიდა და გამოაჯანსაღებდა.

დღეს პირველად მივდივარ სახლიდან უცხო ხალხთან ერთად, როგორც მოზრდილი და თანასწორუფლებიანი.

დღეს ჩვენები სასაფლაოზე წავლენ. მე კი სხვაგან უნდა გავემგზავრო.

ადამიანები, რომლებთანაც ერთად მივდივარ, სხვადასხვანაირები, მაგრამ თითქმის ყველანი კარგები არიან. მათთან ჩემ წუხილს ვმალავ, თანაგრძნობის ძალიან მეშინია.

ჩემო მამა, შენ მომეცი სიცოცხლე... მე კი ვერ დაგიცავი მკვლელისაგან!

მე მხოლოდ იმედით შევყურებდი მას... ზორზოხასა და მოუხეშავს, როცა ის შენს „სამკურნალოდ“ მოდიოდა. მერე, ვიღაცას უნდოდა ჩემი დამშვიდება არაფრისმთქმელი და გაცვეთილი ფრაზით: „ზოგჯერ პროფესორებიც ცდებიან“. არა, არავის და არასოდეს არა აქვს უფლება ადამიანს სიცოცხლე მოუსწრაფოს, მაგრამ, თურმე, ამ უფლებით ყოველთვის სარგებლობდა ადამიანის სიბეცე... მკურნალობდე მალარიას, როცა კაცს ფილტვების კრუპოზული ანთება აქვს?!

უკანასკნელ წუთებში მამა და ჩვენ მარტო დაგვტოვეს. ჩვენ გვეჭირა მისი გაყინული ხელები და ვხედავდით, თუ როგორ ფითრდებოდა მისი ლამაზი სახე. გონება არ დაუკარგავს, უკანასკნელი გამოხედვა და სიტყვები ჩემკენ იყო მომართული. — „მხოლოდ ოთარი მახარებს“, — წარმოსთქვა მან სულის ამოხდომამდე.

მერე საშინელება დატრიალდა.

მამა დავკრძალეთ საგვარეულო სასაფლაოზე, ნავთლუღში.

* * *

უჩუმრად გამოვედი სახლიდან დილის ექვს საათზე, რომ არავინ გამეღვიძებია.

პლეხანოვისა და კრილოვის ქუჩების კუთხეში მელოდებოდა ჩემი დეიდაშვილი, დათა. იგი ჩემზე ათი წლით უფროსია. ჩვენ გავუდექით გზას. დიდუბის ნერგსაშენისკენ, რომლის ნაწილი ეკავა ტრაქტორისტების მოსამზადებელ კურსებს.

— საცვლები, ცხვირსახოცები, წინდები თუ წამოიღე?

პასუხის ნაცვლად პატარა ჩემოდანი შევაქანე.

— საგზალი?

— არა... მაგრამ ფული მაქვს.

— არა უშავს რა. მე ორი სულის სამყოფი წამოვიღე.

ქუჩა უკაცრიელი იყო. ქვის ფილაქანზე ჩვენი ფეხის ხმა სიჩუმეს არღვევდა.

— ხომ არ მემდური?

— რატომ უნდა გემდუროდე?

— მე ხომ შოთას წამოსაყვანად მოვედი. მეგონა, ეს გადაავიწყებდა იმ... — აღარ დაამთავრა დათამ.

— სულერთია, შოთა არ წამოვიდოდა.

— ჰო, ის ისე იყო გატაცებული იმ ცეცხლგამძლე კარადით. — ირონიულად გაიღიმა დათამ. — თუ გახსნა მაინც?

— არა.

— განა ისეთი რთული კლიტე აქვს?

— არა.

— შენ, მაინც, თუ რამე იყოს... იქ სულ სხვა ხალხთან გექნება საქმე.

— ამ ერთ თვეში უკვე ყველანი გავიცანი...

— მხოლოდ მგზავრობაში გაიცნობ ხალხს ნამდვილად... ან ფრონტზე.

დათა ყოფილი სამხედროა.

— გთხოვ, ნუ დამიწყებ. პატარა აღარა ვარ!

— არა, ეგ არც მიფიქრია! შენ რაღაც უგუნებოდა ხარ!

— დღეს ორმოცია. ყველანი სასაფლაოზე წავლენ...

ისევ ჩვენი ფეხის ხმა ისმოდა მხოლოდ. მზე უკვე ამოვიდა და ქუჩის მხოლოდ ერთ მხარეს ანათებდა. ზორზოობა, შავულვაშა მეეზოვე ცოცხს ცელივით იქნევდა და ოქროსფერი მტვრის შარავანდედში გახვეულიყო.

— მოგერწყა მაინც! — უთხრა მეეზოვეს დათამ.

— მიდი... მიდი!... გაიარე!

ჩვენ გავიარეთ, თუმცა დათა ერთ წამს შეჩერდა, მე მკლავზე წავავლე ხელი და ოდნავ მოვქაჩე, იგი დაძაბული იყო.

დათა ძალიან ნერვიულია. ამას წინათ ძუძუთა ბავშვი დაეღუპა და ლამაზმა ცოლმა მიატოვა.

მამის დაკრძალვიდან ერთი კვირის შემდეგ დათა ჩვენთან მოვიდა და შოთას შესთავაზა წაჰყოლოდა მას ტრაქტორისტების კურსებზე. შოთას მაგიერ მე წავედი, რადგან შოთა ისევ აპირებდა სამხატვრო აკადემიაში მეცადინეობას. რუსუდანი ფიქრობდა, რომ სწავლის გაგრძელება აღარაა საჭირო. რადგან თავი ჭკვიან გოგოდ მიაჩნდა. მაგრამ ხომ უნდა ემუშავნა ვინმეს. ჰოდა, გადავწყვიტე, ტრაქტორისტი გავმხდარიყავი და ოჯახი მერჩინა. ერთი წლის შემდეგ კი, როცა ჩვიდმეტი წლის შევსრულდები, ინსტიტუტში შევალ და ინჟინერი გამოვალ მამასავით.

მთელ თვეს ვსწავლობდით მექანიკასა და ტრაქტორის მართვას.

პროფესორისა და მისი თანაშემწე ინჟინრის გარდა, ჩვენს შორის იყვნენ: სამი სოფლელი მჭედელი, კინომექანიკოსი ,ზეინკალი, წყალსადენის ოსტატი, ყასაბი, ჩემი ახალი მეგობარი სტუდენტი ირაკლი და სხვები, გაურკვეველი პროფესიის ადამიანები. ორნი გამოცდებამდე გაგვეცალნენ. ერთ მათგანს პროგრესული დამბლა ეწყებოდა (ასე მითხრა ,დათამ), მეორე კი მრუში ცოლის მკვლელობის გამო დააპატიმრეს.

საოცარია, როგორი რთული და მრავალმხრივი ყოფილა ცხოვრება. თურმე უთვალავი მოვლენა და ამბავი ტრიალებდა ჩემს ირგვლივ და მე ვერ ვამჩნევდი.

მხოლოდ ახლა შევიგნე, რა ყოჩაღები ყოფილან ეს მუშაკელები, რომლებიც სამუშაოს შემდეგ, საღამოობით სწავლობენ და გვიან ღამით გაივლიან ხოლმე ჩვენ სახლთან სიმღერით. ახლა კიდევ ეს რაიონიდან ჩამოსული უბინაო სტუდენტები, სადგურზე და სკვერებში რომ სძინავთ...

— შენ რა, ენა ჩაყლაპე? — თქვა დათამ.

— მე?!

— ჰო, შენ! რამდენჯერ უნდა გკითხო?

— რა?

— ჭამე რამე? დილას დედამ გასაუზმა?

რა საჭირო იყო ამეხსნა და თავი შემეცოდებინა.

— ხომ გთხოვე, მზრუნველობას ნუ დამიწყებ-მეთქი!

დათას ეწყინა და ფეხი ააჩქარა.

— რა თქმა უნდა, ვისაუზმე, თანაც ლაზათიანად —საჩქაროდ დავუმატე, თუმცა შიმშილით გული მელეოდა.

— ჰო... გეტყობა... — წაიბუზღუნა დათამ.

ჩვენ ერთ-ერთი პირველთაგანი მივედით. კანტორასთან, დიდი ფარდულის ქვეშ, იდგა რვა „ფორდზონი“ და ერთი „ხოლტი“, მოშორებით, სამჭედლოსთან, წითლად შეღებილი გუთნები იყო ჩამწკრივებული. კანტორის წინ დიდი „ბრიჩკა“ იდგა, რომელსაც ერთ-ერთ ტრაქტორს მიაბამენ და ზედ ბარგიანად მოთავსდებიან პროფესორი, მისი თანაშემწე და მნე.

დათამ გახსნა თავისი ჩემოდანი და სასაუზმედ გაემზადა. ამას ჩემთვის აკეთებდა. მე კატეგორიულად ვიუარე ,და იმანაც ყველაფერი უკანვე ჩააწყო.

დღეს ჩვენ მივემგზავრებით მუხრანში, ყოფილ საუფლისწულო მამულში, ერთთვიან პრაქტიკაზე.

ნახევარ საათში ყველანი შევიკრიბენით.

მოვიდა ჩემი მეწყვილე, ირაკლი. ჩემს შემდეგ ის არის ყველაზე უმცროსი, — თვრამეტი წლისაა.

— იცი, „ბრიჩკას“, რომლითაც უფროსები წამოვლენ, „ხოლტს“ არ მიუბამენ. რადგან მუხლუხებიანი უფრო ამტვერებს გზას, ვიდრე თვლებიანი.

— „ბრიჩკას“ ჩვენ არ გვანდობენ — ვუთხარი მე.

— იმიტომ, რომ ძალიან ახალგაზრდებად გამოვიყურებით? — გადმომკრა ირაკლიმ.

— იცი, რა გითხრა? შეგიძლია მეწყვილედ ჩემზე ხნიერი შეარჩიო!

— რადა გწყინს?... პირველად მინდოდა „ბრიჩკა“ ჩვენთვის მოებათ, მაგრამ მთელ გზაზე ზურგს უკან უფროსები...

— რა თქმა უნდა... დავუდასტურე მე, თუმცა გულში ვოცნებობდი ამაზე.

კანტორიდან პროფესორი გამოვიდა. ხის ფეხს როგორღაც განზე ადგამდა. დაუყოვნებლივ მის გარშემო შევიკრიბენით. პროფესორმა თვალი გაგვისწორა.

— როგორ არის საქმე, ყველაფერი რიგზეა?

— ყველაფერი! — ყველაზე ხმამაღლა დაიყვირა ყასაბმა ნიკამ.

— შენ გაუპარსავი რადა ხარ?

— განა მე გაუპარსავი ვარ? — შავ ჯაგრიან ლოყაზე ხელი მოისვა ვითომ გაკვირვებულმა ნიკამ.

— ქალაქში გავლისას საჭესთან ნუ დაჯდები. ტრაქტორს შენი მეწყვილე წაიყვანს.

— მე ახლავე, ხუთ წუთში გავიპარსავ!

საერთო ხარხარმა ნიკა გააბრაზა. მობრუნდა ზაქროსკენ. თავის მეწყვილესაკენ.

— ზაქროც გაუპარსავია, ამხანაგო პროფესორო!

ნიკას საქციელმა ყველა აღაშფოთა, კეთილი პავლიკაც კი გაბრაზდა და ნიკას უსაყვედურა:

— სხვებზე რაღას უთითებ?

— შენ რაღა გინდა? — ისა, რომ თუნდაც გაიპარსო, მაინც მაიმუნი დარჩები!

პროფესორმა მკაცრად გახედა მოკამათეებს.

— სიჩუმე!... წინ წავა „ხოლტი“, მას დანარჩენები გაჰყვებიან. ყველაზე ბოლო „ფორდზონი“ მიიბამს „ბრიჩკას“. ასე, რომ ყველანი თვალწინ მეყოლებით.

პროფესორს არ უთქვამს, ვინ მიიბამდა „ბრიჩკას“, ჩვენ მდუმარედ ველოდით.

— ნიკა!

— აქა ვარ, ხაზეინ... ამხანაგო პროფესორო.

— შენ მიიბამ... — ნიკას სქელ ტუჩებზე ღიმილი აუთამაშდა. პროფესორი განაგრძობდა, — იმ ტრაქტორის გუთანსაც, რომელიც ჩვენ წაგვიყვანს.

ახლა ნიკასთვის სულერთი იყო, ვინ მიიბამდა „ბრიჩკას“...

— საწყენად რომ არავის დარჩეს, „ბრიჩკას“ ყველაზე ახალგაზრდები მიიბამენ. შეამოწმეთ მანქანებზე ყველაფერი. ცხრის ნახევარზე გზას გავუდგებით.

პროფესორი კანტორაში შევიდა, ჩვენ კი მანქანებს ვეცით.

— ჩვენს პროფესორს ხუმრობა ჰყვარებია. — უთხრა პავლიკამ დათას.

— კარგად კი გაათამაშა! — გაიცინა დათამ.

— დიახაც, კაცური კაცია! — დაუდასტურა დიომიდემ. პავლიკას მეწყვილემ.

რა თქმა უნდა, ყველაზე ბედნიერები მე და ირაკლი ვიყავით.

შევამოწმეთ ზეთი, ავზებში ბენზინი და ნავთი, ხელით მივაგორეთ ტრაქტორთან „ბრიჩკა“ და გუთნის ნაცვლად მივუბით. დღეს უფრო შეგვიყვარდა ჩვენი ტრაქტორი და ისე ვუალერსებდით ჩვრებით მის ლითონის გვერდებს, თითქოს ცოცხალი ყოფილიყოს.

— მოდი, შევამოწმოთ, როგორ მუშაობს!

— შევამოწმოთ.

ეტყობოდა, ტრაქტორიც კმაყოფილი იყო. ერთნახევარი ბრუნით დაიქოქა.

ხმაურობდნენ გუთნებისაკენ მიმავალი ტრაქტორები. სულ მოკლე ხანში ყველანი უკვე დიდ ჭიშკართან ვიდექით და წასვლის ნიშანს ველოდით. მხოლოდ ნიკა და ზაქრო ცოდვილობდნენ შორს, სამჭედლოსთან და ჩვენს გუთანს უბამდნენ ტრაქტორს.

— წავიდეთ, ვუშველოთ, — ვუთხარი ირაკლის.

— ეშმაკსაც წაუღია მაგისი თავი!

— ისე მაინც მივიდეთ, დავხედოთ.

მივედით.

— მობრძანდნენ ღლაპები! — თქვა ნიკამ, გაბრაზებულმა გამოგვხედა და შეიგინა.

— ჩვენ რა შუაში ვართ! — უთხრა ირაკლიმ.

— ერთი ნაგავია!... ყველაფერი კარგი მაგათ, მე კი, მუშამ, უნდა ვითმინო! — დაიღრიალა ნიკამ.

— შენ რა მუშა ხარ? ბაზრის სპეკულიანტი!... გგონია, არ მინახავხარ „დეზერტირკაზე?“ — უთხრა ირაკლიმ.

— რა გაღრიალებს! — დავუმატე მე, მაგრამ ნიკა უკვე მუშტით მიიწევდა ირაკლისკენ. იმის მიხედვით, თუ როგორ იქნევდა ხელებს, მივხვდი რა მოჩხუბარი იქნებოდა. ირაკლი გაფითრდა, მაგრამ ფეხი არ მოიცვალა. მე შუაში ჩავდექი გასაშველებლად. ნიკამ, ალბათ, ორივესთან ერთდროულად გასწორება გადაწყვიტა. უეცრივ ისეთი სილა მომხვდა, რომ წავბარბაცდი. ერთ წამს დავაყოვნე, ვიდრე მოულოდნელობისაგან სულს მოვითქვამდი, მერე გავექანე და თავი დავაძგერე მის მთვარესავით გაბადრულ სიფათს. ნიკა წაბარბაცდა და ხელები ჩამოუშვა. ერთი მაგარი მუშტიც ქვეიდან ნიკაპში და — ნიკა უკვე მიწაზე იჯდა.

თავზე ვადექი და ვუცდიდი, როდის ადგებოდა.

მოცვივდნენ დათა, პავლიკა და სხვები.

— რა მოხდა? — იკითხა დათამ.

— შემომკრა, — ვთქვი მე.

ნიკა დგებოდა და უშვერად ილანძღებოდა.

დათა წინ გადამიდგა და არ მიშვებდა.

— გამიშვი!

— არა! — დათა აღშფოთებული იყო.

ნიკა უეცრად გაუსხლტა ხალხს და ჩემკენ გამოექანა, მაგრამ პავლიკამ და დიომიდემ დააკავეს.

მერე ნიკა წყლის ონკანისკენ წაიყვანეს. თვინიერად მიჰყვებოდა პავლიკას.

რასაკვირველია, ბედმა გამიღიმა, ნიკას მუშტი რომ არ მომხვდა, თორემ...

ყველანი როგორღაც უცნაურად მიყურებდნენ.

ალბათ, უკმაყოფილონი იყვნენ ჩემი საქციელით.

— კაი ჯანი გქონია... — მითხრა ზაქრომ.

— თქვენ მამა გენახათ მაგისი! — თქვა დათამ.

— იცი რა, — მითხრა ირაკლიმ.— ქალაქზე მანქანით შენ გაიარე!

— არა!... როგორც მოვილაპარაკეთ, ისე იქნება.

წასვლამდე ჯერ კიდევ იყო დრო. ზოგმა საუზმე გაშალა. ყველამ მათ მაგალითს მიჰბაძა. მე დათამ მიმიპატიჟა, და უარი აღარ მითქვამს.

დათამ გამაფრთხილა, რომ შემდეგში ნიკასგან შორს დამეჭირა თავი.

ამასობაში ინჟინერი მოვიდა და მითხრა, პროფესორი გიხმობსო.

წავედი კანტორაში და ვცდილობდი, არხეინი გამომეტყველება მქონოდა.

— შემოდი, შემოდი! — მოისმა ოთახიდან.

კარებს ვხურავდი და მინდოდა მივხვედრილიყავი, რა ინტონაციით იყო ეს ნათქვამი.

— მამაშენს ბავშვობიდანვე ვიცნობდი — დაიწყო პროფესორმა.

— ვიცი... ბატონო!

— საოცარი ფიზიკური ძალის პატრონი იყო, მაგრამ არასოდეს გამიგონია, რომ ღონე ბოროტად გამოეყენებინოს.

— ნიკამ პირველმა გამარტყა!

— ეგ არ ვიცი!

— ნიკას უნდოდა...

— რა უნდოდა ნიკას!— უეცრად აყვირდა პროფესორი. — მთავარია, მას უნდოდა კაცი გამხდარიყო!... თავი გაანება ბაზარს, სპეკულაციას... ხელობის შესწავლა დაიწყო! შენ თვითონ იცი, როგორ უჭირდა თეორია!

მე მხრები ავიჩეჩე.

— უსაქმურობისგან ვიხსენი, ამათ კი გამილახეს!... ახლა რომ წავიდეს? იცი, სად წავა?

— ამაზე არც მიფიქრია. ისე კი, არავის არ მივცემ ნებას გამლახოს!

— სწორია. ერთხელ ბრიუსელში მეც... მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და...

— პროფესორი შეცბუნდა და ტონი შეიცვალა. — მაინც რაზე წაკინკლავდით?

— ჩვენი გუთანი უნდა მიება და...

— აჰა... ეგონა, „ბრიჩკას“ წაიყვანდა... პროფესორი ერთ წამს დაფიქრდა, — რა თქმა უნდა!... მეც ვერ მოვზომე... — პროფესორი დანაშაულზე წასწრებულ მოწაფეს ჰგავდა.

— ბოდიშს ვიხდი! — ვთქვი მე.

— წადი და ეცადე შეურიგდე. ნიკა თუ ბაზარში დაბრუნდა! ვითომც ჩემთვის გაურტყამთ სახეში.

გამოვედი და კანტორის წინ შეკრებილთა დაჟინებულ მზერას წავაწყდი.

— როგორ არის საქმე? — მკითხა დათამ.

— როგორ იქნება?!

მე და ირაკლი ჩვენი ტრაქტორისკენ გავემართენით.

როგორც იქნა, დავიძარით. ჩვენი ქარავანი მოტორების ძლიერი გუგუნით მიდიოდა, რკინის თვლები ქვაფენილზე და ტრამვაის რელსებზე ყურისწამღებად ღრჭიალებდა.

წინ „ხოლტით“ პავლიკა და დიოშიდე მიგვიძღოდნენ. მათ მიჰყვებოდნენ დათა და მისი მეწყვილე, სულ ბოლოში ჩვენი „ფორდზონი“ ეწეოდა „ბრიჩკას“, რომელშიც უფროსები ისხდნენ.

პლეხანოვის ქუჩაზე ირაკლი მართავდა ტრაქტორს. მერე საჭეს მე მივუჯექი.

ხალხი ჩერდებოდა ხოლმე ამ მოძრავ ტექნიკას შესცქეროდა. ეს ცხრა ტრაქტორი გახლდათ დასაწყისი იმ ასი ათასებისა, რომლებზეც პროფესორმა გვიამბო. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში მეც აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი.

მანქანებმა მარჯვნივ, ხიდისაკენ დაუხვიეს. ჩემ წინ მიმავალ ტრაქტორზე დავინახე სიამაყითა და ბედნიერებით გაბრწყინებული ნიკას სახე. ცუდი კაცი თავის დღეში ვერ შესძლებდა ყოფილიყო ასე გულმართლად ბედნიერი. მაგრამ ახლა რაღას იზამ. რაც მოხდა, მოხდა!...

მეწინავე ტრაქტორები უკვე ხიდზე შედგნენ. სანაპირო ქუჩის კუთხეში თამარი და ჩემი მეგობრები იდგნენ. როგორც კი დამინახეს, ტრაქტორს რომ ვმართავდი, ხელების ქნევას მოჰყვნენ. ეს იყო ერთ-ერთი ბედნიერი წუთი ჩემს სიცოცხლეში, თუმცა ამ სიხარულს მცირე ჩრდილიც ადგა: ჩვენი სახლის ფანჯრები დაგმანული იყო. ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა, მაგრამ მაინც რაღაცის იმედი მქონდა...

ქალაქგარეთ სიჩქარეს ვუმატეთ.

ირაკლიმ ტრაქტორის ფრთაზე ჯანჯღარს „ბრიჩკაზე“ გადაჯდომა არჩია. შევთანხმდით, რომ საჭეს სანახევროდ ვმართავდით.

მზემ დააცხუნა და ნიავი კი არ იძროდა. მტვერში გახვეულები, მაღლა ატყორცნილ ვეება მთებისკენ მიიწევდნენ რიხით აღსავსე ჩვენი მანქანები. ჩემს უკან, „ბრიჩკაში“ აცხიკინებდნენ და ილანძღებოდნენ, მირჩევდნენ ნაკლებ მტვრიან ადგილებზე მევლო, თითქოს ეს შესაძლებელი ყოფილიყოს.

თანაბრად გუგუნებდა მთლიანად ჩემს ნებას დამორჩილებული ორმოცი ცხენისძალიანი რკინის მერანი. დიახ. ის ჩემთვის მერანი გახლდათ. ბერკეტის ოდნავი მოძრაობით მე შემეძლო საზარლად ამეჭიხვინებინა იგი და ყველასთვის გამესწრო.

ძლიერი ვიყავი. ძლიერი, როგორც არასოდეს!...

ერთბაშად ურყევი რწმენა შევიგრძენ ჩემში. გათავდა ერთი შთანაფიქრიდან მეორისაკენ მქროლავი ჩემი მშფოთვარე ბავშვობა — მე უკვე დავვაჟკაცდი! თვლებქვეშ თითქოს ისევ წინანდებურად ღრჭიალებდა ღორღი, მიცურავდა ხეები და ნელი ბრუნვით უკან რჩებოდა მოხნული მიწის ზოლები.

მე კი ბავშვი აღარ ვიყავი!..

ერთადერთი ადამიანი, ვისაც გავანდობდი ამ მოზღვავებული სიამაყის გრძნობას, მამაჩემი იყო! ნეტავ კი დავენახე... მაგრამ მამა სადღაც ჩემში იყო!... ვიცოდი, რომ მთელ სიცოცხლეში ჩემთან იქნებოდა, თუ არ შევარცხვენდი მის სახელს!

„ბრიჩკიდან“ წრიპინა ხმა მოისმა:

— ერთი წუთით გააჩერე, აი, იქ, ჯაგებთან!

ჩასუქებული მნე „ბრიჩკიდან“ ჩამობობღდა. პროფესორი დაჟინებით გასცქეროდა ნიკას ტრაქტორს, რომელსაც ორი გუთანი მისთრევდა. ირაკლი და ინჟინერი რაღაცაზე კამათობდნენ.

არ მინდოდა კოლონას ჩამოვრჩენოდი.

მაყვლის ბუჩქზემოთ, ბუერას ფოთოლდახურულ გოგრასავით მოსჩანდა ჩვენი მნეს თავი.

მნე უკვე გამოემართა „ბრიჩკისკენ“. გზაში მოიხადა გაზინთული მომწვანო კარტუზი და მოტვლეპილ თავს ცხვირსახოცით იწმენდდა. „ბრიჩკაზე“ გაჭირვებით ამოძვრა.

— ეს რა მარულა გამიმართე! — მომაძახა პროფესორმა.

— გაზი მოუკელი! დაგავიწყდა, რომ დისტანცია უნდა დაიცვა? — დაუმატა ინჟინერმა.

სიჩქარეს ვუკელი და წინ მიმავალი ტრაქტორისგან აყენებულ მტვრის კორიანტელს ჩამოვრჩი.

ეშმაკმა წაიღოს! თავში ჩემთვის უკვე შეუფერებელი ბავშვური ფანტაზიები მოდიოდნენ. მაინც რა ძნელი ყოფილა უცებ გახდე მოზრდილი.

მზე სულ უფრო ძლიერად მაჭერდა უკვე ატკივებულ წელსა და ბეჭებზე.

ტრაქტორებისაგან დაყენებული მტვერი თითქოს მხოლოდ მე მეყრებოდა. ხანდახან ოფლის ნაკადი გაეონავდა ამ მტვრის ჯავშანში, წურწურით ჩადიოდა საყელოში, მიღიტინებდა და მაღიზიანებდა... და, უცნაურია, სწორედ ამის გამო მშვენიერ გუნებაზე ვიყავი.

ამის გარდაცვალების შემდეგ ერთი წამით პირველად ვიგრძენი შვება, იმ განუყრელი ყრუ ტკივილისაგან. რასაც მწუხარება ერქვა.

ნუთუ მწუხარება გაქრა? მე შემეშინდა კიდეც ამისა.

არა, ჭეშმარიტი მწუხარება არასოდეს არ გაივლის. იგი მხოლოდ სხვა ფორმას ღებულობს. ამ წუთში რომ დავენახე მამას, იგი იამაყებდა. რამდენჯერ უსაუბრია მას ჩვენთან, ბავშვებთან, შრომის კეთილშობილებაზე...

ზაჰესის სადგურსა და კაშხალს გავცდით. დროდადრო გავხედავდი ხოლმე „ჯვრის“ მუქ ლანდს, თითქოს საუკუნეებით ამომწვარს მტრედისფერ ცის ფონზე.

„ჯვარი“ ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ ახლა მისთვის არ მეცალა. არ შემეძლო ფიქრებით მევლო უკან, წარსულში, როცა მთლიანად აწმყოთი ვიყავი შეპყრობილი.

ვფიქრობდი, თუ როგორ მიშველა ავტორიტეტის მოპოვებაში ნიკაზე გამარჯვებამ და როგორ უნდა მოვქცეულიყავი შემდგომში, რომ მოპოვებული არ დამეკარგა.

მოსახვევში გამოჩნდა სვეტიცხოველის ვეება ტაძარი. მის ირგვლივ წითური წიწილებივით გაფანტულიყვნენ კრამიტით დახურული პატარა სახლები.

მთელი მცხეთა შემოგვეგება. ფეხშიშველა ბიჭები ლამის თვლებქვეშ შეგვიცვივდნენ, მოზრდილები საქმიანად გვათვალიერებდნენ, მოხუცები კი სკეპტიკურად აკანტურებდნენ თავს.

დაბალ ღობეებთან მდგარი ქალები ამშვიდებდნენ მანქანების გრუხუნით გულგახეთქილ ბალღებს, ღია ფანჯრე-

ბიდან კი, როგორც შუასაუკუნეების რაინდებს, ღიმილს გვაფოქვევდნენ შავთვალწარბა გოგოები.

უცებ, ტრაქტორები ერთი მეორის მიყოლებით შეჩერდნენ.

ზარის აჩქარებული რეკა მომესმა.

ულაზათოდ ჩასქელებული მიკიტანი მთელი ძალით ეჯაჯგურებოდა ბოძზე ჩამოკიდებულ ზარის თოკს. თავისუფალი ხელით კი უჩვენებდა სამიკიტნოს ღია კარს, თანაც რაღაცას გაჰყვიროდა. ალბათ, ოხუნჯობდა, რადგან მის აპოპლექსიკურ სახეზე ღიმილის მსგავსი რაღაც თამაშობდა.

ალბათ, რომელიმე გაუქმებული პატარა ეკლესიიდან წამოღებული ზარი ოდესღაც თავისი ოხუნჯობით განთქმულის, ახლა უკვე ხანში შესული და წყალმანკით დაავადებული მიკიტნის მორიგი ოინი იყო.

თვითეული გაჩერებული ტრაქტორიდან ჩვენი „ბრიჩკისკენ“ იყურებოდა მტვრით გარუჯულ სახეებზე მოელვარე ორ-ორი წყვილი თვალი.

ბიჭები უარს არ იტყოდნენ ჩამოსულიყვნენ და თითო ჭიქა ცივი ღვინო გადაეკრათ.

— იარეთ! — გაისმა ჩემს უკან პროფესორის მჭახე ხმა.

მთელი ძალით აგუგუნდნენ დაძრული ტრაქტორების მოტორები.

ის იყო არაგვის ხეობისკენ დავეშვით, რომ ბრიჩკიდან ირაკლის ხმა მომესმა:

— ნატახტრის გზაჯვარედინთან შეაჩერე!

მას სული ესწრაფებოდა საჭესთან დასაჯდომად.

— კარგი, კარგი!... ნუ ღელავ!...

მე გავცქეროდი ჩემს წინ აბიბინებულ ველს, მთებზე ატეხილი ტყე ალაგ-ალაგ ეშვებოდა რიყის ქვით დაფარულ განიერ კალაპოტამდე, სადაც ლურჯ ნაწნავებად გაშლილიყო არაგვი. არაგვთან რამდენი მოგონებები მაკავშირებდა... თითქოს წყლის ჩუხჩუხიც მომესმა და წარმომიდგა, როგორი ლივლივით კრიალებდნენ ფსკერზე ფერადი ქვები... ლანდებივით გაიელვებენ სწრაფი კალმახები — და მიამიტად ამაშობენ პაწაწა ლიფსიტების ქარავნებს.

— გაჩერდი! გააჩერე! — ირაკლი პირდაპირ „ბრიჩკიდან“ აპირებდა ტრაქტორზე გადმოსვლას. უსიტყვოდ, თითქმის უხეშად, შემცვალა საჭესთან.

„ბრიჩკის“ ძირზე მოვეწყვე და გულისტკივილით გავცქეროდი გზას, საიდანაც ჩვენ მარცხნივ მოვუხვიეთ და თანდათან დავშორდით. კიდევ კარგი, რომ ირაკლიმ შემცვალა. ასე მგონია, აღარსად გავუხვევდი და პირდაპირ ფასანაურში წავიდოდი.

უკვე ოთხი წელია, იქ აღარა ვყოფილვარ.

მთელი არსებით მომენატრა კვლავ მომესმინა აბობოქრებული არაგვის გუგუნი, ერთმანეთს მიხეთქებული ქვების გრუხუნი. მომენატრა, მომესმინა ქვიდან ქვაზე ვარდნილი წყლის საამო ჩუხჩუხი... ან და უფრო მეგრძნო, ვიდრე მომესმინა, სრულ მყუდროებაში შორიდან მოსული მთის ღრმა ამოოხვრა ზვავის ჩამოწოლისას.

კვლავ მომენატრა, დამენახა, როგორ გაჰკვეთდნენ მზის პირველი სხივები მთის თხემებზე სქლად ჩამოწოლილ ნისლის საბურველს... და მესვა ის ნისლი მთების ძირში კლდიდან გადმომსკდარ შუშხუნა მინერალურ წყაროდან... მერე შევსულიყავი დაბურული ტყის მდუმარე ბინდბუნდში, წამოვწოლილიყავ სურნელოვან ფოთოლთა რბილ ხალიჩაზე და ყური მეგდო იდუმალებით მოცული ფაჩუნისათვის.

მომაგონდა, როგორ ჩამოწვებიან ხოლმე შეღამებისას ვეება მთების ლანდები და შემდეგ, გამოკაშკაშებული მთვარე როგორ გადააფრქვევს მათ თავის ვერცხლს და აქცევს ზღაპრულ არსებებად.

ალბათ, ყველას ასე უყვარს სამშობლო... სამშობლო თავისი განცდებისა და გრძნობებისა.

ფასანაურში, თეთრისა და შავი არაგვის შესაყარში შევიგენ, როგორ იბრძ-

ვის ოდითგანვე ორი წინააღმდეგობა და როგორ სძლევს მუდამ თეთრი შავს...

აქა ვნახე პირველად ნაზი ყვავილობა შინდისა, ვისუნთქავდი გარეული მიხაკის სურნელებას და ვტიროდი ბრაზიანი ჭინჭრისაგან დასუსხული.. იქვე დავცინოდი ბუერას სულელურ თვითკმაყოფილებას და მრავალძარღვას მონურ მორჩილებას... კისრისტეხით გავურბოდი ბოროტად აბზუებულ გარეულ ფუტკრებს.

იქ, ფასანაურში მე თავდავიწყებამდე შევიყვარე ხალხი, მათი განუმეორებელი, წარმტაცი, მთიულური ნაბიჯი. მშვიდი ზოზინი, რომელშიც იგრძნობოდა საოცარი ღონე და სიმარდე. მათი უბრალოება, კეთილზნეობა და პატიოსნება.

იქვე შევიგრძნე გულისტკივილამდე მისული ზიზღი ადამიანის სულმდაბლობისადმი.

ეს სულმდაბლობა გამოწყობილი იყო „მეფურ“ ჩექმებში, განიერ გალიფეში, და მას თეძოზე მაუზერი სცემდა.

ვიწრო მხრები, მოგრძო, უმარილო სახე, შეჭრილი ულვაშები და უტყვი თვალები — ასეთი იყო მაშინდელი მენშევიკური მთავრობის სამხედრო კომისარი ფასანაურში.

იგი მეტ დროს დუქნებისა და სამიკიტნოების უბანში ატარებდა. ბებერი ცხენის ჯაგლაგა სიარულს ხელად შესცვლიდა ლაღი ულაყის ნავარდით, როცა ლამაზ მოაგარაკე ქალებს დაინახავდა. მამაჩემს პირმოთნედ ესალმებოდა ხოლმე.

იგი არ უყვარდათ. იმიტომაც ითვალწუნეს, რომ იქაური არ იყო და, როგორც ეს საერთოდ ხდება, გარეულს მაინც თავისიანი გარეწრები ურჩევნიათ ხოლმე.

იმ ხანებში რამდენიმე კაცი ფასანაურიდან „ტყეში გავიდა“. მათ ხან ყაჩაღებს და ხან ბოლშევიკებს უწოდებდნენ.

ერთ-ერთი „ყაჩაღის“ სახლი წყაროსთან ახლო, ფოსტის იქით იდგა.

ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ლოყაწითელი ცოლი, ორი გოგონა, რომლებსაც ერთთავად თან დაჰყავდა, ერთი წლის ძმა, აეჭვებდა კომისარს: „ყაჩაღი“ სადმე ახლო-მახლო ეგულებოდა.

როცა დედა მინდორში მუშაობდა, საღამოობით ბავშვები დედის დასახვედრად დიდ გზაზე გამოდიოდნენ. შინ მშობლის კალთაზე მაგრა მობღაუჭებული ბრუნდებოდნენ. ჩვილი კი დედის ხელში აყვანილი რაღაცას ტიტინებდა ბედნიერად.

დედის შინ არყოფნისას კომისარი სულ ერთთავად წყაროსთან წრიალებდა.

ერთხელ კომისარმა დრო იხელთა, როცა უმცროსი გოგონა მარტო იყო, და ჯიბიდან შაქრის ნატეხი ამოიღო.

— გინდა?! — ჰკითხა მან. ბავშვმა არ უპასუხა, მაგრამ თვალები კი დაუმრგვალდა.

კომისარმა გაძვალტყავებული ხელი წაიღო გალიფეს ჯიბისაკენ და კიდევ ორი ნატეხი ამოიღო.

— ეს სულ შენია!

გოგონამ უნდოდ გაიღიმა, მაგრამ ერთი ნაბიჯით მაინც წინ წაიწია.

ხუთი ნატეხი შაქარი „ოცდაათ ვერცხლად“ იქცა. გოგონამ თქვა, რომ „ხანდახან ღამით მამა მოდის ხოლმე დედასთან“.

სახლს მეთვალყურე მიუჩინეს და მესამე ღამეს, გათენებას რომ აღარა უკლდა რა, გოგონას მამა დააპატიმრეს.

იმავე დღეს პატიმარი ქალაქში ნაიყვანეს და „გაქცევისას“... გაითამაშეს მკვლელობის გამართლების ტრაფარეტული და ძველი სცენა. თვითონ კომისარმა დახვრიტა იგი.

ბავშვმა ყველაფერი აღიარა. სიმწრისაგან გაცოფებულ დედას ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან გოგონა.

მამაჩემმა გოგონები თბილისში წაიყვანა და ბავშვთა თავშესაფარში მოაწყო.

კომისარი კი, ლამაზი ქალების გამო-

ჩენისას, ისევ ლაღი კვიცივით ნავარდობდა...

ინჟინერი მომიბრუნდა და დაჟინებით დამიწყო ცქერა, მაგრამ მე მთელი ფიქრებით ფასანაურში ვიყავი.

— რა დაგემართა, შეუძლოდ ხარ? — თანაგრძნობით მკითხა მან.

— არა! რატომ?

— შენ ისეთი სახე გაქვს, თითქოს მუცელი გტკივა... ანდა ვიღაცის მოკვლას აპირებ!

მუხრანის სიახლოვეს „ხოლტმა", რომელიც „ფორდზონზე" ბევრად მძიმეა, ხის ბოგირი ჩაანგრია და მდინარეში ჩავარდა.

დიომიდეს, რომელიც „ხოლტს" მართავდა, შუბლზე დიდი კოპი აზის და ხელსაც იტკივებს.

დიდი ენთუზიაზმით ამოგვქონდა „ხოლტი" მდინარიდან. თანაც წყალში ყოფნა ძალიან სასიამოვნო იყო. სამი ტრაქტორით ვეწეოდით „ხოლტს" და, როგორც იქნა, ამოვათრიეთ ნაპირზე.

მუხრანში ყბაახვეული კაცი შემოგვეგება. მომაკვდავი ძაღლის სევდიანი თვალები ჰქონდა. ძალიან სტკიოდა კბილი.

— აი, იქ აიღებთ ჩალას, — მიგვითითა მან ნახევრად დამპალ ჩალის ზვინზე. — აი, იქ იცხოვრებთ. ხვალ ფიცრებს მოგცემთ. მაგიდებს და სკამებს გაიკეთებთ.

ჩვენმა მნემ რაღაცის მტკიცება დაუწყო, მაგრამ მას ყბაზე ხელი მიედო, კვნესოდა და არაფერი გაეგებოდა.

ბაღით გარშემორტყმული საუფლისწულო მამული სოფლის განაპირასაა. იქვე ღვინის მიწისქვეშა სარდაფებია. ოდნავ მოშორებით რაღაც გრძელი ერთსართულიანი შენობებია, იმათ იქით კი სწორი, შიშველი მინდორია. აქა-იქ უზარმაზარი მუხები მოჩანს.

იატაკაყრილ და კედლებჩამონგრეულ ორ ოთახში დავბინავდით.

დაღლილობისაგან ჩალა ახლადგაპენტილ ლეიბზე რბილად მეჩვენა.

ძილის წინ მნე დაგვპირდა, ხვალ გვაჭმევდა, და იმწამსვე გაილაღა, რომ გაუთვალისწინებელი ფიზიკური მოქმედების მსხვერპლი არ გამხდარიყო.

პირველ დღეებიდანვე მომიხდა მთელი ნებისყოფის დაძაბვა, რომ სირცხვილი არ მეჭამა. მხოლოდ ცოდნა და ღონე არა ყოფილა თურმე საკმარისი. აუცილებელი იყო მუდმივი და შეუპოვარი ურყეობა...

საჭირო იყო შრომას მივჩვეოდი.

ირაკლი და დათაც ჩემს დღეში არიან. ჩვენ ერთმანეთს არ ვუტყდებით, მაგრამ შეუმჩნევლად ერთიმეორეს ვახალისებთ.

ისე ძალიან ვიღლები, რომ რამდენჯერმე პირდაუბანელიც კი დავწექი დასაძინებლად.

* * *

ძალიან მეცოდება ნიკა.

გასულ კვირა დღეს საზამთროს ყიდულობდა. ცოტა შეზარხოშებულიც გახლდათ. იმ პაპანაქებაში, თავზე უშველებელ ფაფახჩამოფხატული თათარი „გაჭრაზე" ევაჭრებოდა.

ნიკამ თათარს ხანჯალი გამოართვა და თვითონ მოინდომა საზამთროს გასინჯვა. როცა მუცელზე მიბჯენილ საზამთროს გაჭრა დაუწყო, გადამწიფებული საზამთრო უცებ გასკდა. და ნიკამ ხანჯლის წვერი მუცელში იტაკა.

იმავე თათრის ურმით ნიკა საავადმყოფოში წავიყვანეთ, რისთვისაც ურმიდან საზამთროს გადმოყრა და გაძალიანებული თათრის მიბერტყვაც დაგვჭირდა.

ექიმი არც საავადმყოფოში აღმოჩნდა, არც სახლში. ბავშვების დახმარებით სოფლის ბოლოს, მუშაობაში გართულს მივაგენით. ეს იყო წვერებგაბარდღული, შუახნის ჯმუხი კაცი.

აბა, როგორ შეეძლო ამ კაცს, ძილში დაფეთებულ დათვს რომ ჰგავდა, რთული ქირურგიული ოპერაცია გაეკეთებინა. ამაზე ვფიქრობდი, როცა იგი ოპერაციას შეუდგა. უკვე საღამოს ათი საათი იქნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე და ირაკლი ექიმს ხელში ნავთის დიდი ლამპებით აქეთ-იქიდან ვუდექით. ლამპები მეტისმეტად გვაცხუნებდა. ჭერში ჩამოკიდებული ელექტრონის ნათურა კი ბჟუტავდა, ქრებოდა, მერე კვლავ ინთებოდა. ექიმს ახალგაზრდა ექთანი შველოდა.

— ჰხედავ, ზოგჯერ რა ხდება ხოლმე, როცა ძალიან უყვართ საზამთრო!— ხუმრობდა ექიმი, თან მარდად უსვამდა იოდს მუცელზე, სადაც მუქად ჩანდა ჭრილობის წვრილი ზოლი.

— ექიმო, ძალიან მეტკინება?

— არა, შეიძლება სულ ცოტა გეტკინოს. შენ იცი, რა არის ადგილობრივი ანესთეზია?

— ექიმო, თქვენ კიდევ გაჭრას აპირებთ?! — შეშფოთდა ნიკა, როცა ექიმის ხელში ლანცეტი დაინახა.

— დააფარეთ სახეზე პირსახოცი!

ზორბა პავლიკამ, რომელსაც ნიკას ხელები ეჭირა, სახეზე პირსახოცი გადააფარა.

— ექიმო, არ მოვკვდები?!

— უეჭველად მოკვდები, თუ არ გამასინჯებ, შიგნით ხომ არა ხარ დაჭრილი.

— ვაიმე, დედავ! — ამოიგმინა ნიკამ.

— ბიჭოს, თურმე საზამთროს გარდა დედაც გყვარებია!.. მე კი, აი ახლა, ქვეყნად ყველაზე მეტად შენ მიყვარხარ... და მეყვარები, სანამ ფეხზე არ დაგაყენებ!

— ნუ. ნუ, ნუღარ გამჭრით!

აბორგდა მოძველებულ, დანჯღრეულ საოპერაციო მაგიდაზე ნიკა.

ეთერით დაძინება დაგვჭირდა.

ოპერაცია დიდხანს გაგრძელდა. შესაძლოა, მომეჩვენა კიდეც, რადგან ლამპა სულ უფრო და უფრო მაცხუნებდა.

დავცქეროდი საოცარი სიზუსტით მომუშავე ხელებს, რომლებიც პირველად ასე ტლანქი მეჩვენა, და აღტაცებაში მოვდიოდი. ყველაფერი აუღელვებელი სიმშვიდით და დიდი სისწრაფით კეთდებოდა.

აი, რას ნიშნავს ნამდვილი ოსტატობა, — ვიფიქრე და აქვე გადავწყვიტე ექიმი გავმხდარიყავი.

ექიმი კი რაღაცას ღიღინებდა თავისთვის. მერე თქვა:

— ეეჰ! ამ მაგიდაზე ოპერაციები კი არა... ქათმები უნდა პუტო... ძველი ხარა-ხურაა... მაგრამ არა უშავს რა... სულ მალე ყველაფერი გვექნება! მსოფლიოში საუკეთესო!.. აბა, რად მოვახდინეთ რევოლუცია!... აი, ეს ქალიშვილები... სკალპელი... პეანი!... კიდევ პეანი!.. პინცეტი!.. კოხერი!.. მასალა!.. კიდევ მასალა!.. მასალა!.. ესეც ასე!..—ექიმმა კეთილად გადახედა დაძინებულ ნიკას და დაამატა: — აი, შე სალახანავ, მგონი ბედმა გაგიღიმა!

ვერ წარმომედგინა, თუ ადამიანს ამდენი ქონი ექნებოდა და შეიძლებოდა, ხატობაში დაკლული ცხვარივით, მისი ნაწლავების გარეთ გადმოლაგება.

ექიმმა განაგრძო:

— აი, ეს გოგოები, ან ამათი ძმები, როდისმე იქნებიან ექიმები, აგრონომები, ინჟინრები...

ირაკლიმ თვალი ჩამიკრა, როცა ინჟინრები გაიგონა, მაგრამ მე არ ვუპასუხე. მან ხომ არ იცოდა, რომ ეს-ეს არის ექიმობა გადავწყვიტე.

— ჩვენ ჩვენი საკუთარი ტრაქტორებიც გვექნება, ამ ამერიკულებზე ბევრად უკეთესი!

ექიმი დახელოვნებული თერძივით ხმარობდა ნემსს.

— ამაღამ დარჩება ვინმე ამასთან?

— მე დავრჩები! — ერთდროულად ვუპასუხეთ მე და ირაკლიმ.

— ერთიც საკმარისია, რადგან მოკვლელი ქალიც იქნება; ეს იმ შემთხვევისათვის, რომ ჩემთან მოირბინოთ, თუ საჭირო ვიქნები. ნუ შეშინდებით, თუ ეთერის გავლენით პირსაქმება დაეწყოს. ერთ კვირაში ლეკურს დაუვლის. კარგად კი დავუგვირისტე მუცელი, არა?! ხა, ხა, ხა!.. შეგიძლიათ დადგათ ლამპები. ერიჰაა! თქვენ იმ ქალიშვილებივით გაწითლებულხართ, საქმროები რომ

სინჯავენ ხოლმე. ყოჩაღ, ბიჭებო! დიდი მადლობელი ვარ თქვენი.

— დიდი მადლობა თქვენ, ექიმო!

ექიმმა რაღაც დარიგება მისცა ჩასუქებულ ჭაღარა მომვლელ ქალს და წავიდა.

მე ვიჯექი მკვნესარე ნიკასთან და ვფიქრობდი ექიმზე, რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

დაახლოებით ღამის ორ საათზე ექიმი დაბრუნდა, ნიკას დახედა, მაჯა გაუსინჯა და ისევ წავიდა.

სკამის საზურგეზე მისვენებული ვთვლემდი. თავს ვაკანტურებდი და ძილს ვებრძოდი.

— შვილო, შენც ტრაქტორისტი ხარ? — მკითხა მომვლელმა ქალმა.

— რასაკვირველია... — რაც შეიძლება, ცივად ვუპასუხე. ეგღა მაკლია. ეჭვი ეპარებოდეთ!

— დაიძინე. შვილო. თუ საჭირო იქნება, გაგაღვიძებ.

— არა!

— პატივს საიდანღა იშოვით. შვილო?

— რა პატივს?

— აი, ნიადაგის გასაპოხიერებლად, შვილო, ღმერთო კი შეგცოდე, მაგრამ ეგ თქვენი ტრაქტორები რასაც მოინელებენ. ხომ ყველაფერს ჰაერში უშვებენ.

— პატივი არცა გვჭირდება. მინერალური სასუქი გვექნება...

— ეგ ხომ მაინც ის არ არის, შვილო!

— როგორ თუ არ არის! ეს პროგრესია! თქვენთვის ჯერ ძნელია ამაში გარკვევა.

— შეიძლება... აი შენ კი, სოფლურ საქმეებში სულაც ვერ ერკვევი!

— არც მჭირდება. მე ტრაქტორისტი ვარ! — ვუპასუხე ფიცხლად და უცებ მივხვდი, რომ სისულელე წამოვროშე. ხომ შემეძლო მეთქვა, ცხენების ადგილზე ძროხების რიცხვი მოიმატებსთქო.

— მაშ ეგრეა, ეგრე. ჰა! — წაიბუზღუნა მან და ნიკას ბალიში გაუსწორა.

ჩემი პირველი საუბარი სასოფლო-სამეურნეო თემაზე სრული მარცხით დამთავრდა. დედაბერმა ახლა სულ სხვა სფეროში მოისურვა გაკამათება.

— მე რომ დედაშენი ვყოფილიყავი. შვილო, ამ სამუშაოზე არ გამოგიშვებდი.

— ვითომ რადაო?

— ძალიან ნორჩი ხარ, შვილო. ჯერ გაუმაგრებელი, ხედავ, როგორ გახდი... ცარიელი ცხვირი-ღა დარჩი.

— მერე და, თქვენ რა იცით, ადრე როგორი ვიყავი?

— შეგნიშნე, შვილო, როცა ჩამოხვედით. ექიმსაც კი ვუთხარი, რომ, ტრაქტორებზე ბავშვებს ამუშავებენ-თქო.

ავიტკიცე, მაგრამ მის ხმაში ტკბილი, დედობრივი ალერსი გამოსჭვიოდა.

— იქნება, ობოლი ხარ, შვილო? — განაგრძო მან ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

მამის გარდაცვალების დღიდან პირველად გავიგონე სიტყვა „ობოლი". ვეღარაფერი ვუპასუხე, ყელში რაღაც მომებჯინა. დედაბერი კი განაგრძობდა...

— საცოდავი!... ძალიან ადრე კი დაგხოცვია დედ-მამაი, შვილო... მაგრამ არაფერია... ვისაც შრომისა არ ეშინიან. არადროს არ დაიკარგება...

— ცოტას წავიძინებ. — ჩახველების შემდეგ ვთქვი მე.

— დაიძინე. დაიძინე. ღმერთი იყოს შენი შემწეი, შვილო.

ადრე დილით მომვლელმა ქალმა ჩაი დამალევინა და თავისი პური და ყველი მიწილადა.

ნიკამ გაიღვიძა და თავისთან მიხმო.

— მართალი მითხარი, ბიჭო, არ მოვკვდები?

მან ხელზე ხელი მომკიდა და შაშითა და იმედით თვალებში შემომცქეროდა.

კარგა ხანი მოვანდომე დაშოშმინებას.

მერე სამუშაოდ წავედი.

მეორე საღამოს ყველამ ერთად ვინახულეთ.

ნიკა თავს კარგად გრძნობდა. ჩვენი

მისვლა ძალიან გაეხარდა, ოღონდ ჩემკენ ისევ ზიზღით იყურებოდა, თავი ისე ეჭირა, თითქოს არც მამჩნევდა...

მე კი იმედი მქონდა... შენც არ მომიკვდე!

მე როგორცა ვფიქრობდი, ისე მხოლოდ იაფფასიან რომანებში ხდება. ცხოვრება კი ბევრად რთულია.

ჯერ კიდევ ცუდ გუნებაზე ვარ. კარგია, რომ მალე თბილისში ვბრუნდებით.

* * *

მუხრანიდან გუშინ დავბრუნდით. ჩემი ჩამოსვლა ძალიან გაეხარდათ მუნჯსა და პოინტერს, რექსს.

დედას რაღაც ფულის საკითხებზე ერბინა და დაბრუნებისას ისეთი აღელვებული იყო, რომ ჩემი კოცნაც კი დავიწყდა. მერე პლეხანოვის ქუჩაზე გაიქცა თავის დასთან, დეიდა სონიასთან.

გადაჭარბებული თავაზიანობითა და ოფიციალობით შემხვდნენ შოთა და რუსუდანი. ვამჩნევდი, რა დაძაბულები იყვნენ ჩემთან აუცილებელი ლაპარაკის მოლოდინში. მალე ისინიც სადღაც წავიდნენ.

მე ოთახები შემოვიარე. შოთას მამის კაბინეტი დაეკავებინა, ეს კიდევ არაფერი. — კაბინეტის კედელზე აღარ იყო ცნობილი ჰოლანდიელი ოსტატის ნახელავი, რომელიც მამაჩემს ყველა სურათზე მეტად უყვარდა.

უნებლიედ დავხუჭე თვალები და წარმოვიდგინე ის სურათი — ტავერნაში თითქმის ჭერთან გამოჭრილ რიკულიან სარკმლიდან ეშვებოდა მზის სხივი, რომელიც დარბაზის ბინდბუნდიდან იტაცებდა შეზარხოშებული მოქეიფეების საოცრად გამომეტყველ სახეებს.

მუდამ მაკვირვებდა, როგორ შეეძლო ადამიანს, და ისიც სამი საუკუნის წინ, უბრალო საღებავებით ასეთი გასაოცარი დამაჯერებლობით დაეხატა მზის სხივი!..

ახლა სურათის ადგილას ვერის პარკში მომქმედი „ლურჯი ბლუზის“ აფიშა ეკიდა. შოთა, ნაწილობრივ მონაწილეობდა „ლურჯი ბლუზის“ მუშაობაში: მსახიობ ქალებს ეარშიყებოდა.

იმ იმედით, რომ სურათი მინდა, დავუწყე მას ძებნა და აღმოვაჩინე, რომ მამაჩემის ტანისამოსის კარადა ნახევრად ცარიელი იყო.

ნუთუ შოთა ჰყიდის ტანისამოსს, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია მამის სითბო?

მუნჯის გარდა სახლში აღარავინ იყო. მისი გამოკითხვა კი არ მინდოდა.

რუსუდანის ოთახში ვერ შევედი. კარებში ახალი, ინგლისური კლიტე იყო ჩასმული.

ახლა, თვითონ მუნჯმა ამიხსნა, რომ რუსუდანი ოთახში არავის უშვებს და ხალები, გობელენები, ვერცხლეული, სუფრები და ყველა საუკეთესო ნივთი მის ოთახშია ჩაკეტილიო.

მუნჯი მეტად სასაცილოდ მიხსნიდა, რომ რუსუდანის ოთახში თაგვი კუდს ვერ მოიქნევსო.

გაზეთილი და ოფლით გაჟღენთილი ტანისამოსით წავედი მამის საფლავზე.

რა თქმა უნდა, შემეძლო ტანისამოსი გამომეცვალა, მაგრამ მინდოდა წავსულიყავი იქ ისეთი, როგორიც მამას არასოდეს ვუნახივარ.

დიდხანს, დაბინდებამდე ვიჯექი შემჭკნარყვავილებიან, ირგვლივ სუფთად მიწაშემოგვილ პატარა ბორცვთან.

ღობის გადაღმა, კოწახურის ბუჩქებს იქიდან, მითვალთვალებდა გზად მიმავალი ხალხი. ორი დედაბერი შეჩერდა და ჩემს გასაგონად გამოსთქვეს თანაგრძნობა. ჯაგზე შემომსხდარი ყვავებივით ჩანდა თალხი თავშლებით შებუდნული მათი თავები. მომიახლოვდა მათხოვარი მონაზონი, წელზე თოკშემორტყმული, ზედ ჩამოკიდებული ქვაბუნით, და შემომთავაზა მიცვალებულის სულის მოსახსენებელი ლოცვა... როგორც იქნა, მარტო დავრჩი. არა, მარტო არ ვიყავი... მე მამასთან ვსაუბრობდი...

„ადამიანის სიცოცხლის მიზანია — მოიქცე მართებულად“, მაგრამ ჩემს მი-

ერ დახსომებული არისტოტელეს ნათქვამი ახლა სრულიად გაუგებრად ჟღერდა. მე არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, რომ გადამერჩინა ჩვენი ოჯახი იმისაგან, რაც უკვე დიდი ხანია დაიწყო ჩვენს ნათესავებისა და ნაცნობების ოჯახებში.

მაშინ სულაც არ მაღელვებდა საკითხი, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ? არც ოჯახის წევრთა ცუდად დაფარული ზიზღი იმ ხალხისადმი, რომლებიც მათგან ყიდულობდნენ ავეჯს, სასადილო სერვიზებს, წიგნებს და ზედმეტ ტანსაცმელს. არც მათი შინაურობაში წამომცდარი ჩივილი ამ „საშინელ წესწყობილებაზე.“

მომაგონდა, მამაჩემი. მათზე მწარე ირონიით და სიბრალულით ამბობდა:

— ყველაფერს ჰყიდიან... სულაც არ ცდილობენ შრომა ისწავლონ!

და აი, უცებ ერთადერთი გადაწყვეტილება:

— შრომა! უცნაურია, მაგრამ შინ გულშემსუბუქებული წამოვედი.

დღეს დილით მე და დედა წავლაპარაკდით:

— დედა, რა ხდება ჩვენს სახლში?

— უი, გენაცვა... სონიასთან უნდა გავიქცე, მელოდება!

— მე სერიოზულად გელაპარაკები!

— ღმერთო!.. ნეტავი, რა იქნა გასაღები?

— ხელში გიჭირავს. დედა, რად მიეცი ამის ნება?

ახლა ყოველგვარი ლოგიკის გარეშე დაიწყებს თავის საყვარელი შვილების დაცვას. მისი ლამაზი, უნებისყოფო სახე აღსავსე იყო იმ სიმტკიცით. რომელიც მხოლოდ ჩემთან კამათის დროს აღებეჭდებოდა ხოლმე.

— ისინი უფროსები არიან!

— მით უმეტეს! რას დაამსგავსეს სახლი?

— რუსუდანს ეს ნივთები თავის ოთახში რომ არ შეეტანა, შოთა ყველაფერს გაჰყიდდა. ეს მისი მზითვები იქნება. ნუთუ გენანება?

— არა, რა სათქმელია!.. — მე ცოტა უხერხულობაც კი ვიგრძენი. — ძალიან კარგია... მე არც მიფიქრია ამაზე... მაგრამ რად...

სწორედ ამ მომენტში კიბეებზე, პირდაპირ ჩვენი ბინის კარებთან, მოისმა: Стари адеж каво ест продаш?... стари адеж!..

დედამ ნერვულად გაიხედა კარისაკენ.

— აი, ასეა... ეს მეძველმანეები დილიდანვე არ გვაძლევენ მოსვენებას.

— სადარბაზოშიც შემოდიან?

— ჰო... შოთამ მიაჩვია.

— მაშ, ასე!.. შენ ამბობ, მიაჩვიაო!

ყელში მომდგარ ბოღმისაგან თვალთ დამიბნელდა. დედას შეეშინდა.

— ოღონდ არ წაეჩხუბო. გადარეულივით არის. ამ წინებზე რაღაც მოქარგული სუფრის გამო რუსუდანი გალახა.

დედას თვალები სევდიანი და შენამული ჰქონდა, თითქოს ეს არის, ტირილი უნდა დაიწყოსო.

ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე. დედა თავის გრძნობებს ებრძოდა. მერე მისი სახე ისეთი უსაზღვრო სიყვარულით გაცისკროვნდა, გეგონებოდა, მადონა თავის ყრმას დასცქერისო.

— შოთა არ არის ბოროტი! — თქვა მან. — როცა ფული აქვს, ისეთი კეთილია! აი. ის გოგოები რომ არ იყვნენ, პარკიდან... ისინი ახარჯვინებენ...

— არამზადა! — ვთქვი მე.

— ოი, ღმერთო... გეხვეწები, არ წაეჩხუბო! თორემ ხიფათს წაგკიდებს და ციხეში ჩავარდება!

— ძალიან აფარებ ხელს!

— არა. მე შენზედაც ვფიქრობ, რა თქმა უნდა...

Стари адеж каво
ест продаш?!..
Стари адеж!..

კარს უკან, ალბათ. მოთმინება დაჰკარგა **მეძველმანემ.**

— დაწყნარდი! იყვირებს და წავა.— თითქოს ამ მეძველმანეს საშუალებით, შოთას დაცვას ლამობდა დედა.

— მე მას ვუჩვენებ, როგორ უნდა მამის საყვარელი სურათის გაყიდვა!

— არა, მეძველმანე აქ არაფერ შუაშია! — შეშფოთდა დედა,—შოთამ სურათი საელჩოში წაიღო.

— რა საელჩოში?

— გერმანელ ელჩთან. ის ძვირფას ნივთებს ყიდულობს... ბრილიანტებსაც კი. კარგად იძლევა, აგერ ეს ერთი კვირაა. შოთას აღარაფერი გაუყიდია.

— კი, მაგრამ თავი სადა გაქვს, დედა. იმ სურათის საფასურით მთელ ოჯახს შეეძლო რამდენიმე წელიწადს გაეტანა თავი.

— აახ, მას შემდეგ, რაც ვანო დაიკარგა. ჩემთვის სულერთია... — დედა ატირდა, და ძალიან შემებრალა.

— კარგი, ნუ სტირი! ნუთუ გგონია, რომ მე ნივთებს ვებღაუჭები. ისინი სულაც არა მჭირდება. მაგრამ ხომ უნდა ვნახოთ გამოსავალი...

— მაშ, აღარ წაეჩხუბები შოთას?

მე მომაგონდა მამიდა ელენეს ნათქვამი. მაგრამ თუ დედა, მართლაც, სავსებით ჯანსაღი არ არის, მით უმეტეს საჭიროა, ვიღაცამ იკისროს ოჯახზე ზრუნვა.

— ოჯახში ვიღაცამ უნდა იმუშაოს, სხვაგვარად არ შეიძლება, დედა!

— შენ გინდა, შოთამ სწავლას თავი დაანებოს? — თითქმის მძულვარებით შემომხედა დედამ.

— მაგან ისედაც დაანება. მეორე კურსზე არ გადასულა... მაგრამ არაფერია, ამ წელს მე ვიმუშავებ. შოთამ ისწავლოს. მერმის კი შევალ სამედიცინოზე, და ვნახავთ.

— რასაკვირველია! — გაუხარდა დედას. — გაისად შენ მხოლოდ ჩვიდმეტი წლისა გახდები. თვრამეტისასაც შეგიძლია შეხვიდე უნივერსიტეტში. ტრაქტორისტებს კარგი ჯამაგირი უნდა ჰქონდეთ...

გამოსავალი რომ ნახა, დედამ გაიცინა თავისი უშუალო, ბავშვური სიცილით.

მამის სიკვდილის შემდეგ, პირველად ვიხილე ეს სიცილი. რომელიც აგრე მიყვარდა... მაგრამ ახლა დანაკვეთ მომხვდა გულზე.

ბიბლიოთეკა

მაინც, სადღაც ძალზე შორს, უკანა პლანზე მაგდებდა დედაჩემი.

* * *

ამ რამდენიმე თვეში თამარი სულ გამოიცვალა. ახლა ის ტანწერწეტა ქალიშვილია. ანტონი, ნიკო და სანდრო თვალს ძლივს აშორებენ.

მე, ცოტა არ იყოს, ვეჭვიანობ კიდეც, როცა უცაბედად შევამჩნევ, თუ როგორ მოსწონთ თამარი.

თამარს უნდოდა მარტონი დავრჩენილიყავით, მაგრამ არ მოხერხდა. ანტონმა ყველანი კინოში დაგვპატიჟა.

თამარი სიამოვნებით დასთანხმდა. დაავიწყდა, მე რომ მგლოვიარედ ვიყავი.

— ნახვამდის, მე ვერ წამოვალ თქვენთან, — ვუთხარი მათ, თან ვცდილობდი, წყენა არ დამტყობოდა. წავედი, თვალი მოვკარი, ნიკო რაღაცას ეუბნებოდა თამარს. მერე კი, ზურგს უკან, ფეხის ხმა მომესმა. თამარი დამეწია.

— ოთარ... მე არ დავფიქრებულვარ... ნუ გეწყინება!

— არა, მე არცა მწყინს. — მართლაც, არ შეიძლებოდა, მას გავწყრომოდი. ისეთი ლამაზი იყო. სირბილისაგან გაწითლებულს მკერდი აუდ-ჩამოუდიოდა და გრძელწამწამებიანი შავი თვალები დაბლა დაეხარა.

საკვირველი სინაზის გრძნობით აღვივსე. ამ ქვეყნად ყველაზე უფრო მიყვარდა. მზად ვიყავი გულში ჩამესვა, რათა დამეფარა ყოველგვარი უსიამოვნებისაგან.

— დავტოვოთ ეგენი და წავიდეთ, გავისეირნოთ... სადაც გინდა. — თქვა მან.

— წავიდეთ.

— როგორ დავაკაცებულხარ... კინაღამ ველარ გიცანი, — თქვა თამარმა ჩემკენ გამოუხედავად. სიარულისას ხანდახან, მხრით მხარზე მეხებოდა.

— შენ... შენც. რაღაც... ძალიან...

— რა?

— შენ ნამდვილი ქალიშვილი გახდი, მთის ჰაერი მოგხდენია.

— ჰო, წლეულს აგარაკზე კარგი დრო გავატარეთ. ბევრი ვიხეტიალეთ.

— ალბათ, ბევრნი გეტრფოდნენ, არა?

— ჰო, იქ ვიღაც სტუდენტები... — აშკარა უპატივცემლობით გაიხსენა მან და სახეზე დამაცქერდა. — შენ უკვე იპარსავ?

— რამდენი ხანია! — ვუპასუხე მე, და მეტი დამაჯერებლობისათვის ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოვიღე.

— რადა გაქვს მთელი სახე დასერილი?

— პარიკმახერი მთვრალი ყოფილა და...

— შენც გასცლოდი...

— უხერხული იყო, ხალხს ეგონებოდა, შევშინდი.

— შენ საერთოდ არაფრისა არ გეშინია! — თამარი აღტაცებული ათვალიერებდა ჩემს ჭრილობებს.

— ჰო! — მოკრძალებით დავუდასტურე და სულ დამავიწყდა. რომ არავითარი მთვრალი პარიკმახერი არ ყოფილა, წვერი მე თვითონ გავიპარსე და. ისიც პირველად ჩემს სიცოცხლეში.

პაპიროსს მოვუკიდე და, რაც შეიძლება, სქელ ბოლქვებად გამოვუშვი ბოლი.

— როგორ ვნანობ, რომ შენ ჩემთან არ იყავი. ერთი ისე მაბეზრებდა თავს... შენ, ალბათ, მიბეგვავდი მას!

— რა თქმა უნდა!..

ჩვენ მდუმარედ განვაგრძობდით გზას. მე თავბრუ მესხმოდა, არ ვიცი თამბაქოსაგან, არ ვიცი, იჭვიანობისაგან.

— თქვენთან, მუხრანში. ქალიშვილები არ იყვნენ? — თქვა თამარმა.

— ჰმ!.. რამდენიც გინდა!.. რომ აგეკვიატებიან, საშველს არ მოგცემენ.

— რა, შენ აგეკვიატა ვინმე?! ვინ იყო?

— ეჰ, სისულელეა!.. აგრონომის ქალიშვილი... ტრაქტორის მართვას ვასწავლიდი. მან კი იფიქრა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლამაზი იყო?

— ჰო, ძალიან ლამაზი! მაგრამ მე არ მომწონდა — დავუმატე სასწრაფოდ, რადგან ვიგრძენი, რომ გადავაჭარბე.

კვლავ მდუმარედ მივდიოდით. ძალიან უკმაყოფილო ვიყავი ჩემი თავისა. უკანასკნელ თვეებში ხომ თვითეული ნაბიჯი ასე მაშორებდა ბავშვობას... აქ კი თავი ისევ პატარა ბიჭივით მეჭირა, — გამოვიგონე ვიღაც არარსებული ქალიშვილი.

გუნება გამიფუჭდა და გამეხარდა კიდეც, ჩვენს უკან მომავალი ანტონი, ნიკო და სანდრო რომ შევამჩნიე.

ჩვენ შევჩერდით და მათ დავუცადეთ. ვისარგებლე ტრაქტორისტის ავტორიტეტით და იმითაც, რომ მათზე ადრე დავამთავრე სკოლა, თუმცა წლოვანებით ტოლები ვიყავით და მეგობრებს „ბავშვები“ ვუწოდე. მაგრამ მათ არცა სწყენიათ და ისევ მშვენიერ გუნებაზე დარჩნენ.

* * *

დრო გადის. მე კი ჯერაც არა ვმუშაობ. რვა „ფორდზონი“ და ერთი „ხოლტი“ ყველა ტრაქტორისტს სამუშაოდ არ ეყოფა, მაგრამ მე დამპირდნენ და ვუცდი. მინდოდა მხაზველად მოვწყობილიყავ. მაგრამ იქაც მითხრეს, მოიცადეო. საერთოდ, სამუშაო ძალიან ცოტაა. მთელი ქალაქი მღერის რომელიღაც გასტროლიორის მიერ ჩამოტანილ სიმღერას:

В биржу труда я записался,
И каждый день туда шатался...
Все думал, что дадут работу,
Тем сократят мою заботу!

შოთა ჯერ-ჯერობით კარგად იქცევა. იყიდა ტყავის ქურთუკი, გალიფე, კარტუზი და კრაგები. რამდენიმე დღე დადიოდა, აჭრაჭუნებდა და ამყრალებდა იქაურობას ტყავის სუნით, მერე თვითონვე მოსწყინდა და ახლა ტყავის ზაბ-

ჯარ-აბგარი ცარიელ კარადაში ჰკიდია, ვიდრე არ გაჰყიდის.

სანამ შოთა თავის ტყავეულში გამოწყობილი დაიარებოდა, რუსუდანმა „ვირი ხბოს ტყავში“ შეარქვა. როცა გაიგო, საიდან მოდის ეს წოდება, შოთამ რუსუდანზე საცემრად გაიწია და მე ტუჩგახეთქილი დავდივარ.

რუსუდანი შემორჩენილ ამხანაგებს ძველებურად იწვევს ალიბაბას გამოქვაბულის მსგავს თავის ოთახში. ერთთავად კითხულობს რომანებს და ჯერჯერობით სხვა საქმეზე ხელის მოკიდებას არცა ფიქრობს.

დედა დილიდან საღამომდის თავის დასთან, დეიდა სონიასთან თათბირობს და, ალბათ, მისი რჩევით გადაწყვიტა, მუნჯი ვიღაც შორეულ ნათესავებთან მოაწყოს.

ვცდილობ, როგორმე გადავათქმევინო დედაჩემს მუნჯის თავიდან მოშორება, მაგრამ ვერ მოვახერხე. მუნჯი რომ დალევს. მისი გაღვიძება დედას უხდება. გუშინწინ დედა შესულა მუნჯის ოთახში, ჩვეულებრივ, უნდოდა ფეხზე წაეკრა გასაღვიძებლად. აღშფოთებულმა დედამ გვიამბო:

— შევდივარ, მინდა ფეხზე წავკრა... და. ვაი უბედურებავ! იქ სამ წყვილ ფეხსა ვხედავ! ორ წყვილს ქალისას. შუაში კი ამ გათახსირებულისას.

— უნდა გვიხაროდეს. მუნჯმა ასეთ წარმატებებს რომ მიაღწია — ვიხუმრე მე, რათა დაჭიმული მდგომარეობა შემემსუბუქებინა.

— რაც მთავარია, ახალგაზრდები! იატაკზე კი რაღაც ბოხჩები, ტომრები...

— როგორცა ჩანს, ჩამოსულები ყოფილან, და რადგან ვერსად მოწყობილან, მუნჯს შებრალებია. რახან ყრუმუნჯია, გგონია, ადამიანი არ არის?! — მე როგორღაც, ისე ვერ ვამბობდი, როგორც საჭირო იყო. მაგრამ ძალიან მინდოდა მუნჯის დატოვება ჩვენთან.

— ჩემი სახლი წითელფარნიანი სასტუმრო ხომ არ არის?

— მუნჯი ხომ ჩვენი ოჯახის წევრია! გახსოვს, მამა რომ გარდაიცვალა, მუნჯი გამშვიდებდა, ვიმუშავებ და ბიჭს შენ მოგიტანო!

— მე დავაფასე ეს!... ოღონდ როგორ ვიარსებოთ მხოლოდ მდგმურების ქირით?

— მე მალე...

— ოჰ, გული ნუ გააწყალე!.. და მერე. ისინი შეძლებულები არიან. და მუნჯისთვისაც იქ უკეთესი იქნება.

ლაპარაკის გაგრძელება აღარ ღირდა. ეს საკითხები უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილი იყო.

* * *

მუნჯი წავიდა და სახლი თითქოს დაცარიელდაო. აღარ ისმის მისი როხროხა ხარხარი, ღმუილი და წამოძახილები. თურმე, ძალიან მყვარებია.

მუნჯი ძალიან ცდილობდა არ ეჩვენებინა, თუ როგორ უძძიმდა ჩვენგან წასვლა. ყველას საბრალობელი ღიმილით ჩამოგვართვა ხელი და დაგვპირდა, რომ შემოგვივლიდა ხოლმე.

მე ჩემი საპარსი მოწყობილობა ვაჩუქე. მეტი არა გამაჩნდა რა.

მუნჯმა გახსნა ხის ჩემოდანი, შეინახა შიგ საჩუქარი, მერე გასწორდა და რიგრიგობით ყველას თვალებში შემოგვხედა. მისი გამოხედვა აშკარად თხოულობდა პასუხს იმაზე, რაც ვერ გაეგო. მე ვეღარ გავუძელი და მივბრუნდი.

შემდეგ მუნჯმა შუბლზე საჩვენებელი თითი მიიდო, რაც ერთდროულად ნიშნავდა ჭკუასა და მამაჩემს, ნაღვლიანად გააქნია თავი და ღრმად ამოიოხრა.

ეტლით წავიდნენ. მუნჯს ცალი ხელით შეკრული ლეიბი ეჭირა, მეორეთი ჩემოდანი. მეტი ვეღარაფერი გვითხრა, რადგან ხელები დაკავებული ჰქონდა და კუშტად მისჩერებოდა მეეტლის ზურგს.

მე მომაგონდა, რომ წინათ, როცა სტუმრები შეაქებდნენ ხოლმე მუნჯის მომზადებულ სადილს, რომელიმე ჩვენ-

განი უეჭველად გულითადად აღნიშნავდა, „მუნჯი ჩვენი ოჯახის წევრიაო“.

თურმე რა პირობითი ყოფილა ეს ცნება!.. შემდეგ ყველაფერი უფრო მეტად დაემორჩილა სტიქიურ კანონზომიერებას. შინ დარჩენილებიდან თვითეულმა განაგრძო ცხოვრება თავისი შეხედულებისა და სურვილების შესაბამისად.

მეც მოვნახე, სად დამეხარჯა მთელი ენერგია და საით წარმემართა აზრი! მთლიანად გამიტაცა ფეხბურთმა.

ეს იყო რაღაც აღგზნება, ყოვლისშემძლე გატაცება, სხვას ყველაფერს რომ მავიწყებდა. იგი მაიძულებდა მორალურად და ფიზიკურად ავწყობილიყავ... და გულის სიღრმეში მელოლიავებინა წარმატებისათვის, რომელსაც სახელი მოაქვს.

მიმიღეს საქართველოს საუკეთესო გუნდის, „დურუჯის“ დუბლშემადგენლობაში. ახლა მე ვთამაშობ ნამდვილ სტადიონზე, ვვარჯიშობ განთქმულ მოთამაშეებთან და ზოგიერთ მათგანთან ვმეგობრობ კიდეც.

დიდი ხანია, ფეხბურთს ვთამაშობ, მაგრამ ნამდვილი სპორტული ცხოვრება მხოლოდ ახლა დაიწყო. საუკეთესო გუნდებთან შეხვედრები, მაყურებელთა ყიჟინა, როცა ბურთის დაუფლებისათვის ბრძოლაში იგებს ის, ვისაც შერჩა ცოტა უფრო მეტი სუნთქვა, სპორტული ჟინი და ნათელი თავი.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს წინათაც საჭირო იყო კარგი თამაშისათვის, მაგრამ განსხვავება მათ შორის ისეთივეა, როგორც ფილთათოფიან ბრაკონიერსა და შესანიშნავად აღჭურვილ მონადირეს შორის.

მაშინ დაკერებული ბურთი, როგორც წესი, სწორედ მწვავე მომენტის დროს „დალევდა სულს“. მერე, სანამ კამერას დავაწებებდით და რეზინის პატარა ოყნით, რომელიც დეფიციტურ ტუმბოს სცვლიდა, გავბერავდით ბურთს, მოთამაშეები მავთულით ამაგრებდნენ ნაწილებად დაშლილ ბუცებს და ისწორებდნენ თვითნაკეთებ პაჭიჭებს.

მიუხედავად ამისა, სამხედრო ტაძრის, არსენალის, გამოცარიელებულ შეშის საწყობების მოედნებიდან გამოდიოდა ყველა საუკეთესო მოთამაშე.

წავიდა ის დრო, როცა კვირა დღეებში ორ და სამ მატჩს ვთამაშობდი. ის დროც წავიდა, როცა ვაგონების სახურავებზე ვმგზავრობდით საგასტროლოდ და დაძრული მატარებლის ერთი ვაგონის სახურავიდან მეორე ვაგონზე გადახტომით გავურბოდით კონდუქტორებს, ან მუშტი-კრივს გავმართავდით ხოლმე არასწორად, „ოფსაიდიდან“ გატანილი ბურთისთვის.

წლეულს თამაშ-გარე „ოფსაიდის“ წესები შეიცვალა და მატჩები ბევრად უფრო საინტერესო გახდა.

და აი, როცა სამუშაო თითქმის დავიწყებას მივეცი, ჩვენთან მოვიდა ერთი დაბალი, ძალზე შავგვრემანი, მღვრიე თვალისკაკლებიანი კაცი.

— შალიკო, მცირეწლოვან დამნაშავეთა კოლონიის მთავარი მექანიკოსი, — გამეცნო იგი.

კოლონიას „ფორდზონი“ შეუძენია და ტრაქტორისტი სჭირდებოდათ.

ჩვენ შევთანხმდით, ხვალ გამოვცხადებულიყავი, რომ კოლონისტებისათვის ტრაქტორის მართვა მესწავლებინა და მომეხნა მათი კუთვნილი მინდვრები.

ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ვერ .მოვასწარი ვერც გახარება, ვერც პირობების გაგება.

* * *

სადგურზე შალიკო დამიხვდა.

სოფლის შარაგზით, ყაზარმისებურ დიდ შენობისკენ გავემართეთ. ფასადი მტკვარს გადასცქეროდა. დიდი შენობის გასწვრივ ორმხრივ განლაგებული უფრო მომცრო შენობები ღობესავით ევლებოდნენ მოზრდილ ფართო ეზოს.

— მთავარია, თავზე არ დაისვა

ისინი. თავიდანვე უნდა აიყვანო ხელში და არავითარ შემთხვევაში არ გაითამამო, — გზადაგზა მარიგებდა შალიკო.

— ნუ გედარდებათ, — არც ისე დარწმუნებით ვუპასუხე მე.

— მაგათ თუ ვინმე აითვალწუნეს, ყველაფერზე წავლენ!.. აი, ამას წინათ დირექტორის მონადირე ძაღლს ისეთი დღე დააყენეს, რომ საწყალი ძუკნის მოკვლა შეიქნა საჭირო. რა თქმა უნდა, დირექტორიც არ დაურჩა ვალში...

— მასწავლებლები?

— მასწავლებლები თვითონ სჭამენ ერთი მეორეს, მაგრამ მე განზე ვარ. თუმცა, იმ „ახალს", რომელმაც აურია ყველაფერი, ჩემი ჩათრევაც უნდოდა.

— გაათავისუფლონ, მორჩა და გათავდა!

შალიკომ ბრაზიანად ჩაიქნია ხელი.

ვიღაც დიდი კაცი მფარველობს.

უკვე შევდიოდით განიერ და რატომღაც ღია ჭიშკარში.

ეზოში ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ, იდგნენ, ან პირდაპირ მიწაზე იწვნენ კოლონისტები.

მათ შორის იყვნენ ჯერ კიდევ ბავშვები და კარგა მოზრდილებიც. რომელთა სახეებზე ბიწიერებასა და ბოროტებას თავისი კვალი დაემჩნია.

შევამჩნიე, რომ მათი ჯგუფებად დაყოფა თუმცა ასაკობრივიც იყო, მაგრამ უმთავრესად კოლონისტების გარეგნულ შესახედაობაზე იყო დამოკიდებული.

მიწაზე წამოწოლილ პირდაუბანელ, თმაგაბურძგნულ და ჭუჭყიან სამოსელში გახვეულთა მახლობლად მიმოდიოდნენ წელში გამართული, წესიერად დაკემსილ ტანსაცმელში გამოწყობილი, თმადავარცხნილი ბიჭები.

საკუთარი ღირსებით აღსავსემ, პატარა ჩემოდნით ხელში, გავიარე ეზო.

თავიც კი არავის მოუბრუნებია, რომ შემოეხედათ ჩემთვის. მე შევამჩნიე მხოლოდ რამდენიმე დაბღვერილი გამოხედვა, რომელშიც აშკარა ზიზღი გამოსჭვიოდა.

მხოლოდ ერთი პირღია, დორბლიანი, პატარა იდიოტი მოვიდა ჩვენთან და მომაშტერდა გადმოკარკლული თვალებით.

შალიკომ დაუცაცხანა და გააგდო.

დირექტორის ძებნაში, სამასწავლებლოში შევედით.

სამი ხანშიშესული კაცი, რომლებიც სულ არა ჰგვანდნენ აღმზრდელებს, ფანჯარასთან იდგნენ და რაღაცაზე საუბრობდნენ.

თუმცა ისინი არაფრით არა ჰგვანდნენ ერთმანეთს, მე მაინც მომეჩვენა, რომ რაღაც აკავშირებდა ერთმანეთთან. ეს უეჭველად რაღაც ნერვიული ავადმყოფობა უნდა ყოფილიყო. ერთი განუწყვეტლივ ატოკებდა მარცხენა ყბას, მეორე ერთთავად წინა სწევდა თავს და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს გრძელი, დაღარული კისერი გილოტინას უნდა გაუსწოროსო. მესამე გაკვირვებით აჭყეტდა თვალებს.

მათი დათვალიერება კარგად მოვასწარი, დიდხანს ბაასობდნენ, სანამ მოწყალება მოიღეს და ყურადღება მოგვაქციეს.

ალბათ, აქ ასეთი ჩვეულება ჰქონდათ. ანდა, შესაძლებელია, მცირეწლოვან დამნაშავეთა აღზრდისას თვითონ გადმოიღეს მათგან ზოგი ჩვევა.

ბოლოს შალიკომ გაგვაცნო ერთმანეთი.

— გაიცანით. ეს ჩვენი ცნობილი „სამეულია", ნიკოლოზის დროინდელი წრთობის, ნამდვილი პედაგოგები.

მე ხელი ჩამოვართვი მათ.

— ეს კი ჩვენი ახალგაზრდა ტრაქტორისტ-მექანიკოსია. — მესიამოვნა, რომ „მექანიკოსი" დაუმატა.

— მაშ, ჩვენთან მუშაობას აპირებთ?.. კარგია!.. მართალი რომ ვთქვათ... ჩვენთან... — ვერ დაამთავრა თვალებგადმოკარკლულმა, რადგან გრძელკისერამ შეაწყვეტინა.

— უკვე ის აღარ არის!.. აღარ არის!.. — დაილაპარაკა მან და ახლა წინ

ტუჩებიც წამოსწია გაბრაზებული ცხენივით.

მათი ნათქვამიდან ვერაფერი გავიგე. მესამე ლოყას ატოკებდა და სდუმდა.

— ხომ არ იცით, სად არის დირექტორი? — იკითხა შალიკომ.

— ჯერ არ ჩამოსულა. დღეს კი შეუკეთებს მაგ „ახალს!“ — წარმოსთქვა გახარებულმა გრძელკისერამ.

— რაღა ახალია! — აღშფოთდა თვალებგადმოკარკლული. — უკვე წელიწადია, რაც აქ წყალს გვიმღვრევს. მალე თქვენც იგრძნობთ ამას, — მომმართა მშვენიერი ღიმილით.

მალე დირექტორთან წარმადგინეს.

— ძალიან სასიამოვნოა! — დირექტორმა ხელი ჩამომართვა და მეგობრულად, მხარზე ხელის თათუნით, შემიყვანა დიდ ოთახში. იგი საშუალო ტანისა იყო, ლამაზი, ფერმკრთალი, ტრაგიკოსი მსახიობის სახე ჰქონდა.

— მაპატიეთ ერთი ხუთიოდე წუთს... სანამ წესრიგში მოვიყვანდე თავს. შენ კი, შალიკო, ამ ახალგაზრდას საქმის ვითარება გააცანი.

— მე უკვე ყველაფერი ვუთხარი, — წაიბუტბუტა შალიკომ, როცა დირექტორი უკვე გასული იყო.

ფანჯარასთან მივედი. აქედან მშვენიერი ბაღი ჩანდა. ყვავილნარი გაეშენებინათ. ბილიკებზე დაფხვნილი აგურიც იყო მოყრილი. შუაში დიდი ფანჩატური დაეტანებინათ.

— ვისია ეს ბაღი? — ვკითხე შალიკოს.

— როგორ თუ ვისია? ჩვენი, დირექტორისა.

დაბრუნებული დირექტორი ჯერ რაღაც ქაღალდებს ეძებდა, მერე კი ჩვენ მოგვმართა. საწერი მაგიდის გამოწეულ უჯრაში შევნიშნე დიდი რევოლვერი. რატომღაც ის უჯრა ყველაზე გვიან შესწია.

დირექტორი სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა და ერთთავად კოხტაობდა თავისი ლამაზი სახით. ნამდვილ მსახიობს მაგონებდა და ამიტომ მომეწონა. ცოტა ნირს უფუჭებდა ისეთი გამოთქმები როგორც: „მოიყვანეთ ცნობიერებაში“, „შესრულდეს აღნიშნული“, „ადგილობა“, „უზრუნველჰყავით ზემომოყვანილი ოდენობა ერთეულებისა“... და სხვა.

როცა გამოვდიოდით, დირექტორმა შალიკოს დაავალა:

— უზრუნველჰყავით ეს ერთეული მასწავლებელთა შემადგენლობის კატეგორიით.

ეს ერთეული, ესე იგი მე, კიბეებზე ჩამოვდიოდი აღტაცებული. შალიკოც ჩემზე ნაკლებ არ იყო გახარებული.

— მოეწონე. — თქვა შალიკომ.

გავიღიმე.

— ძალიან ჭკვიანია, — დაუმატა შალიკომ.

— რასაკვირველია, — დავუდასტურე მე.

დამხმარე შენობის მეორე სართულზე პატარა ოთახი გამომიყვეს.

მერე შალიკომ წამიყვანა საქათმეში და მაჩვენა გალია, სადაც თეთრი ქათამი იჯდა, რომელსაც ჩემთვის კვერცხები უნდა ედო.

მაგრამ ეს არ იყო ყველაფერი. პირადად დირექტორისაგან მივიღე საჩუქრად დიდი, სამკილოგრამიანი შუშის ქილით ალუბლის მურაბა.

გადავწყვიტე, მურაბა სახლში წამეღო, ამიტომ ქილა არ გავხსენი და ფანჯრის პირდაპირ ერთადერთ თაროზე შევდგი.

დასაწყისს თითქოს კარგი პირი უჩანდა. ადრე ვერც წარმომედგინა, რა სასიამოვნო ყოფილა საკუთარი მეურნეობის შექმნა.

სანამ ტრაქტორს ავამუშავებდი, ბევრი მუშაობა დამჭირდა, ირგვლივ კოლონისტები იდგნენ, მდუმარეები და უხალისოები, როგორც ყოველთვის.

პედაგოგმა კოლონისტები ჩემთან მოიყვანა; როცა დარწმუნდა, რომ თავს არავის დავაჩაგვრინებდი, წავიდა.

— მოკლედ აგიხსნით შიდაწვის მოტორის მუშაობის პრინციპს, — მივმართე კოლონისტებს.

რა თქმა უნდა, ცოტა ჩემს პროფესორს ვბაძავდი.

— ჩვენ არა გვჭირდება „პრინციპები!“ — თქვა ვიღაცამ ჩემს უკან. ვითომც ვერ გავიგონე და განვაგრძე:

— თვით სახელწოდება შიდაწვა, მიუთითებს, რომ...

— ხანძარი! — დაიღრიალა ვიღაცამ.

მოვიხედე და დავინახე გაღრეჭილი სახეები, რომლებიც უცებ სერიოზულები გახდნენ.

თავზე არ უნდა დამესვა ისინი.

— ვინ დაიყვირა? — რაც შეიძლება, მკაცრად მოვავლე თვალი ყველას.

პასუხის ნაცვლად ბოროტი და მძიმე დუმილი ჩამოდგა.

— რახან ვაუკაცობა არა ჰყოფნის თქვას, ვინც იყო, წაეთრიოს აქედან!.. მას ჩემგან არა ესწავლება რა!

ფეხი არავინ მოიცვალა.

— მშიშარა, — აი ვინა ბრძანდება!

ბიჭები შეჩოჩქოლდნენ, მერე მობრუნდნენ და წავიდნენ. ყველანი... გარდა პატარა იდიოტისა, რომელსაც ახლა. დორბლის გარდა, წვინტლიც ჩამოსდიოდა.

ოჰ, როგორ მეზიზღებოდნენ ისინი. ასეთ სულელურ მდგომარეობაში, რომ ჩამაყენეს.

სხვა არა დამრჩენოდა რა, რომ პედაგოგებისათვის დამეძახა საშველად. და აი, უკვე მერამდენე დღეა, ასეა. ყოველდღე ერთსა და იმავეს ჩავჩიჩინებ კოლონისტებს, მაგრამ ამაოდ.

სამივე პედაგოგმა, რომლებსაც სამასწავლებლოში შევხვდი, უკვე იმუშავა ჩემთან. უდავოა, ისინი ფრიად გამოცდილები არიან, მაგრამ მათი ეს გამოცდილება არაფერს მშველის. ძალიანაც რომ მინდოდეს. ვერც ვისარგებლებ ამით.

ორნი, გრძელკისერა და თვალებგადმოკარკლული, განუწყვეტლივ აბუჩად იგდებდნენ კოლონისტებს. ძალიან ბოროტად დასცინიან მათ. დარწმუნებული ვარ, ისინი ნამდვილ სიამოვნებას პოულობენ ამაში. მესამე, ერთთავად რომ ლოყა უტოკავს, სდუმს, მაგრამ ბავშვებსა სცემს და. ჩემი აზრით, ყველაზე ლებ სიამოვნებას ღებულობს.

მე ისიც შევამჩნიე, რომ ზოგიერთი უფროსი კოლონისტისა მათ ეშინიათ და ვერც ვერაფერს უბედავენ.

ჩემი ავტორიტეტი კოლონისტებში იმდენად დაბალია, რომ ხელფასი არა მჭირდებოდეს, წავიდოდი.

კიდევ უფრო ცუდად მექცევა ის პედაგოგი, „ახალს“ რომ ეძახიან. მხოლოდ ირონიულად გადმომხედავს ხოლმე და ლაპარაკის ღირსადაც კი არა მხდის.

საშუალო ტანის, ხმელხმელი, წინ წამოწეული შუბლით და ნიკაპით, რომელთა შორის თითქოს დაკარგულან მისი სახის სხვა ნაკვთები, „ახალი“ ნამდვილად მაღიზიანებს.

რამდენჯერმე მინატრია, ერთი შემოვკრა მას უთოს მაგვარ ნიკაპში... მაგრამ, რას იზამ...

* * *

ვგრძნობდი, ეს არაჯანსაღი დამოკიდებულება ჩემსა და კოლონისტებს შორის თუ სადამდეც მიგვიყვანდა.

ვერაფრით ვაიძულე, გაეგოთ ჩემი და პატივი ეცათ.

საქმე ქათმიდან დაიწყო. პირველ დღეს კი დამიდო კვერცხი, მაგრამ მომდევნო დღეებში გადაჭრით შესწყვიტა ბუნების მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულება. ყოველ საღამოს საქათმეში ჩემი მისვლა ჭირით დაავადებულ ქათმებთან სწავლული ეპიდემიოლოგის ვიზიტს უფრო დაემსგავსა, ვიდრე თბილ-თბილი კვერცხისათვის ბედნიერი პატრონის მისვლას.

ახლა თეთრი. ქათქათა ქათმის ნაცვლად გალიის კუთხეში რაღაც ჭუჭყიანი ბუმბულების გროვას ნახავდი. მხოლოდ ძლივს წამოწეულ, ღიანისკარტიან თავის რაცრაცზე ეტყობოდა. რომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

საქათმეების მეთვალყურე, თხუთმეტი წლის კოლონისტი ჩემზე ნაკლებად

არ იყო განაწყენებული. მას ისე უყვარდა მისთვის მინდობილი ფრთოსანი პენსიონერები, რომ ვერაფრით ვერ დაადანაშაულებდი.

მასავით ცხოველთა მოყვარულს არ შეეძლო მოეწამლა ქათამი, თუმცა კოლონიაში იმიტომ მოხვდა, რომ ქვით თავი გაუხეთქა მძინარე გლეხს, რათა დაპატრონებოდა იმ უბედურის თავქვეშ ამოდებულ მაზარას. მერე სოფელ მეტეხში თავმომწონედ დასეირნობდა ამ სისხლით მოსვრილი მაზარით, სანამ დააპატიმრებდნენ.

მივხვდი, ტრაქტორის ავზებში აღმოჩენილი ქვიშა იქ შემთხვევით არ მოხვედრილა.

ვერაფრით ვერ ამიხსნია, რა დავუშავე მათ... არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი შემდგომში.

მწარე ფიქრებში გართული ჩემი ოთახისკენ გავემართე. ოთახში შესვლისას ვიგრძენი, რომ რაღაც სველსა და ლიპზე ვაბიჯებ. სინათლე ავანთე და ვხედავ, სისხლის გუბეში ვდგავარ. საბედნიეროდ, ეს მურაბა აღმოჩნდა. — თაროზე ქილის ნამსხვრევები ეყარა. ხოლო კედელი და იატაკი ალუბლის მურაბას შეეღება.

ჩავაქრე სინათლე, ჩამოვჯექი ფანჯარასთან და თავი მძიმე ფიქრებს მივეცი.

ყველგან, ყოველთვის ბევრი მეგობარი მყავდა... აქ კი...

ჩამობნელებულ ეზოში რაღაც ლანდები დაძრწოდნენ — ორი პატარა ერთ უზარმაზარს გაურბოდა. ეს „სპილო“— ვეებერთელა და სქელი პედაგოგი, — დაეძებდა ეზოში მიმალულ, თავისუფლებას დანატრებულ უმცროსკლასელებს. შემდეგ უზარმაზარ ლანდს ორივე მხრიდან თითო პატარა ლანდი მიემატა. „სპილოს“ ხელჩაკიდებული ბავშვები მიჰყავდა დასაძინებლად.

უფროს კოლონისტთა ბნელი ფანჯრებიდან მოისმა ვიღაც გალახულის ყრუ გმინვა. მერე უცებ სიჩუმე ჩამოვარდა.

ჩაიგრიალა ცარიელი ცისტერნებით დატვირთულმა მატარებელმა. შემდეგ ბაღიდან მოისმა მხიარული წამოძახილები და სუფრული სიმღერა. მომაგონდა, რომ ფანჩატურში უცხობს ხალხის მთელი ჯგუფი დავინახე. ალბათ, დირექტორის სტუმრები იყვნენ.

რად გახდა ცხოვრება ასე ძნელი?.. ნუთუ ყველას ასე უჭირს... ან იქნებ, მე გადაჭარბებულად განვიცდი ყოველდღიურ საკითხებს. ყოველ შემთხვევაში, კარგად ვერ დავიწყე. ბოლოს და ბოლოს, ცემას ხომ ვერ დავუწყებ ამ სულელ ბავშვებს. ან პირფერობას...

ალბათ, სკამზე ჩამთვლიმა, რადგან ახლა ოთახში სინათლე ენთო, კარებში კი „ახალი“ იდგა და მქირდავი თვალით უცქეროდა ალუბლის მურაბის მოზაიკას კედელსა და იატაკზე.

— აქ რა გნებავთ? — მკვახედ ვკითხე მე.

— უნდა აიღოთ სველი ჩვარი და ყველაფერი მოწმინდოთ, — მშვიდად მითხრა მან.

— ეგ ჩემი საქმეა!

— ეს, მართლაც, თქვენი საქმეა! — ის ფანჯარასთან მივიდა. —შურდულით არის ნასროლი და საკმაოდ შორი მანძილიდან. ამას მხოლოდ ვასკა შესძლებდა.

— ხვალ იმ ვასკას შავ დღეს დავაყენებ!

— რატომ?!—გაიკვირვა „ახალმა“. — თქვენ ხომ დაიმსახურეთ ეს!

— რაო?!

— ქათმისა და ტრაქტორის ამბავიც!.. მაშ როგორ გეგონათ? — თქვა მან ისე, თითქოს მეგობრულად ვსაუბრობდით.

— აა, თქვენ ყველაფერი გცოდნიათ, მაშ თქვენც მათთან ხართ?!

— აბა, ვისთან უნდა ვიყო?

— თუ ასეა, გთხოვთ დამტოვოთ!

— არა!.. თქვენთან სალაპარაკოდ მოვედი, მაგრამ ჯერ ყველაფერი წესრიგში მოვიყვანოთ.

— ბოლოს და ბოლოს, დამანებებთ თუ არა თავს! — ახლა უკვე ვიყვირე მე.

მეგონა, შეშინდა და იმიტომ წავიდა,

მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ, „ახალი“ დაბრუნდა და თან სავსე სათლი და ჩვარი მოიყოლა.

ცოტა ხანი დააყოვნა. ხოლო როცა დარწმუნდა, რომ მის რჩევას ყური არ ვათხოვე, თვითონ დაიკაპიწა სახელოები.

რაღა თქმა უნდა. ამას აღარ დავანებებდი. რამდენიმე წუთის შემდეგ, ოთახი სუფთა იყო.

— ახლა კი ჩემს ოთახში გავიდეთ.— მომმართა მან.

— არა! — ვთქვი მე.

— კარგი... — „ახალი“ რაღაც უცნაურად მიყურებდა და ღიმილით მითხრა, — მე ახლავე დავბრუნდები.

მალე დაბრუნდა. წიწიბურას ფაფა, კატლეტები და პურის დიდი ნაჭერი შემოიტანა.

— ბორშჩი არ წამოვიღე, ეს კი ვფიქრობ, გამოგვადგება.

რატომღაც, „ახალი“ აღარ მეჩვენა ისეთი ანტიპატიური, როგორც წინათ.

— არ მინდა! — აღვშფოთდი, როცა მომაგონდა, მისი ღიმილი ოთახიდან რომ გადიოდა.

— როგორც გენებოთ, მხოლოდ უნდა მოვილაპარაკოთ კი, — დაბეჯითებით მითხრა მან.

— თუ კი ასე გნებავთ, დაიცვათ თქვენი ვასკა... — მე თავი შევიკავე ენაზე მომდგარი, ძალზე უსიამოვნო ეპითეტისგან.

— ისინი ისეთივე ხალხია, როგორც ჩვენ! — „ახალი“ როგორღაც უცნაურად მიყურებდა კუშტად შეკრული შუბლქვეშიდან, — და, შეიძლება, ზოგ რამეში ჩვენზე უკეთესებიც იყვნენ.

— შეგიძლიათ ისინი თქვენზე უკეთესად ჩათვალოთ, რაკი ასე გნებავთ. ამ შემთხვევაში გირჩევთ, ხვალვე ვისმე თავი გაუჭეჭყოთ ქვით, ან...

— ან რა?

აშკარად დამცინოდა და ამიტომ არც იყო საჭირო მასთან მორიდება.

— ან ჩამოუშვით დორბლები და წვინტლი იმ პატარა იდიოტივით.

— თვითონ „იდიოტი“ ამბობს, რომ ის ავადმყოფია. საერთოდ, ბევრის ადგილი საავადმყოფოშია [illegible] ნარჩენებისთვის კი აქ უნდა აღმზრდელობითი კოლონია იყოს და არა ციხე. ამისათვის ვართ გამოგზავნილები.

„ახალი“ ლაპარაკობდა წყნარად, თითქო სრულიადაც არ მიუქცევია ყურადღება ჩემი უხეში სიტყვებისთვის.

— მერე და ჩემგან რაღა გნებავთ?

— იფიქრეთ ბიჭებთან თქვენს დამოკიდებულებაზე. მე მგონია, საზრიანი ადამიანი ხართ და მიხვდებით, რომ ბევრ რამეში თქვენ თვითონა ხართ დამნაშავე.

„ახალმა“ ჩემს პასუხს აღარ დაუცადა, ადგა და ოთახიდან გავიდა, კარი ფრთხილად გაიხურა.

უკვე განთიადისას შევჭამე ფაფა, კატლეტები და დავწექი დასაძინებლად.

ამ ხნის განმავლობაში ვფიქრობდი, გამოშტერებამდე ვფიქრობდი ჩემს დამოკიდებულებაზე გარე სამყაროსთან.

* * *

— აჰა, ასეა?! მაშ, აბა ვნახოთ!

ვთქვი იმ დილით, ლოგინიდან წამოხტომისას, და იმავე დროს ვგრძნობდი, რომ ეს, სადღაც, მეც მეხებოდა.

რამდენიმე დღის განმავლობაში ვასკას ვაკვირდებოდი.

იგი ცოტა ჩემზე უმცროსი იყო, მაგრამ ბევრად უფროსი ბიჭების გუნდს მეთაურობდა.

„ისპანკის“ ეპიდემიის მძვინვარების დროს დედ-მამა დაჰხოცვია. ნათესავებს მისი სახლკარი მიუთვისებიათ, ვასკა კი ქუჩაში გამოუგდიათ. ვასკამ სახლს ცეცხლი წაუკიდა და მაშინ პირველად ციხეში ამოჰყო თავი. შემდეგ კი, ცნობილი ჯიბგირი გახდა.

შევიტყვე, რომ ვასკა ზოგჯერ ღამღამობით კოლონიიდან იპარება და შეუმჩნევლად ბრუნდება ხოლმე. „ახალმაც“ იცოდა ეს, მაგრამ, რატომღაც, არავითარ ზომებს არ ღებულობდა.

უეჭველად ვასკადან უნდა დამეწყო.

მოუთმენლობით ველოდი დილის გაკვეთილს. ქანჩის გასაღების ქვეშ იზოლაციისთვის ამოვდე რეზინის პატარა ნაჭერი, გასაღები კი ელგამტარით ტრაქტორის სანთებთან შევაერთე. მერე ერთ-ერთ კოლონისტს, ზორბა კრეტინს ვუბრძანე, მოტორი დაექოქა.

რა წამს მოტორმა მუშაობა დაიწყო, ვასკას ვთხოვე გასაღები მოეწოდებინა.

— ვაი, ვაი, ვაი!.. — ქაღალდივით გაფითრებულმა ვასკამ გასაღები ხელიდან გააგდო და ჯერაც ვერ მიხვედრილიყო, რა დაემართა.

— არა უშავს რა! — სრულიად მშვიდად ვუთხარი მე. — სამაგიეროდ აღარასოდეს გაგაციებს... თანაც, ერთხანს მურაბის ქილებსაც ველარ დაამტვრევ.

კოლონისტებმა ერთმანეთს გადახედეს, და ვერ მიმხვდარიყვნენ, სერიოზულად ვამბობდი ამას, თუ ვხუმრობდი.

დაბალშუბლა კრეტინი დათვივით მობაჯბაჯდა ჩემთან.

— ეი, ე, ეე! — დამუქრებით წაიზმუვლა მან.

— შენ რაღას ეჩრები! —

— მაშ ეს რად უყავი... — მეტისათვის ტვინი აღარ ჰყოფნიდა. ვიცოდი, საქმე სხვანაირად წავიდოდა.

— წამომყევი სადმე, მოფარებულში.. აი, იქ, სადურგლო სახელოსნოში!

უკანმოუხედავად წავედი. კოლონისტები ფეხდაფეხ გამომყვნენ.

ახლა უნდა გადაწყვეტილიყო ჩემი აქ ყოფნის საკითხი...

სახელოსნოში ბიუებმა წრე შეჰკრეს, ვასკა კი გულმოდგინედ ასუფთავებდა მიწას ნაფოტებისა და ხის ნაჭრებისაგან.

კარგად დარტყმა მთელი ხელოვნებაა, თუ ასობით არიან კარგი ფეხბურთელები, მოვარჯიშენი, მცურავები, ნამდვილი დამრტყმელები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მხოლოდ ერთეულებია.

მე ძალიან ვღელავდი, თუმცა თავი ნაცადი მყავდა მრავალ ჩხუბში. არც ერთხელ არ წამიგია.

ჩემი მეტოქე დიაღაც მძიმე წონისა იყო. მაგრამ მეც ოთხმოც კილოგრამზე მეტს ვიწონიდი.

დაბალშუბლამ პირველი — ვასკა ... ელოდა, ვიდრე მეც გავიხდიდი. კუნთები რელიეფური, მაგრამ მოკლე ჰქონდა. უთუოდ ძალიან ღონიერი იქნებოდა, ერთი შემოკვრით შეიძლება ყბა დაელეწა ან სახე გაეხეთქა, მაგრამ ნოკაუტისთვის საკმაო სიფიცხე არ ექნებოდა. ჯიქურ უნდოდა ჩემი კედელზე მიკვრა. მე კი ყოველნაირად ვცდილობდი დავსხლტომოდი.

მეც ვიხელთე, მარცხენა ხელი მარჯვენა თვალში საკმაოდ მაგრა დავარტყი. დაბალშუბლა გაცოფდა, და ამით, რასაკვირველია, უფრო მისაწვდომი გახდა. იმავე თვალში მეორედ დარტყმის შემდეგ შევამჩნიე, რომ დაიბნა. მარჯვენა თვალით თითქმის ველარ იხედებოდა. ახლა ის უპირატესობაც მქონდა, რომ მარტო მარცხენა თვალით ალღოს აღება გაუჭირდებოდა.

ზედმეტმა თავდაჭერილობამ მიმტყუნა და მაგარი დარტყმა მივიღე, მაგრამ გამოცდილებამ მიშველა და დარტყმა „გავაცილე“ — მუშტს თავი გავადევნე და ამით შევასუსტე დარტყმის ძალა.

— მიდი, ბუღა!.. მიდი! — ამხნევებდა ვასკა.

ახლაღა გავიგე მისი მეტსახელი. ბუღა მძიმედ ქშინავდა და რამდენიმეჯერ, როცა შორს ვიყავი, ხელები ჩამოუშვა. მაინც იწევდა ჩემზე.

ნეტავი ვისმე გავეშველებინეთ. მაგრამ ყველანი მდუმარედ იდგნენ, თავიანთი ფალავნის ღონეში დარწმუნებულები.

იშვიათია, როცა წამგები მოჩხუბარი არ მიმართავს ცბიერებას და აკრძალულ ფანდებს. ბუღა კი პატიოსნად განაგრძობდა ჩხუბს... უკვე მრცხვენოდა კიდეც ჩხუბის გაგრძელება.

საჭირო იყო საქმის მოთავება. როცა მან ხელები ჩამოუშვა, დარტყმაში, ერთი ნახტომით, მთელი ძალა ჩავაქსოვე და...

საუბედუროდ, ბუღამ თავი უკან გადასწია და მუშტი ხორხში მოხვდა. ზო-

გმა კოლონისტმა როგორღაც ბოროტად გაიცინა... ბუღა კი მიწაზე ეგდო, უცნაურად ხროტინებდა და ფითრდებოდა.

ვასკა მივარდა.

— იხრჩობა! — წამოიძახა ვასკამ. — შეხედეთ, ლურჯდება!

ვიღაცამ გვერდზე მიმწია, მივარდა ბუღასთან, დაიჩოქა და დაუწყო ყელის ზელა. ეს „ახალი" გახლდათ.

ვცდილობდი, არავისთვის შემეხედა, ისე გავემართე გასასვლელისკენ.

ოთახში ვინანიებდი ჩემს საქციელს და, ვაი სირცხვილო! ტირილი მომდიოდა, სახე ბალიშში ჩავრგე და ველოდი, როდის წამსკდებოდა ცრემლები... მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში, გამარჯვება ზეიმობდა და ხელს უშლიდა მათ გადმოღვრას.

კარმა დაიჭრიალა, ვიღაც მოვიდა ჩემს საწოლთან, მე თავი მოვიმძინარე. შემოსული იდგა და მელოდა.

— კიდევ დიდხანს გაგრძელდება ეს ძილის კომედია? — გაისმა ბოლოს „ახალის" ხმა.

— იმდენ ხანს, რამდენიც მომესურვება! — განგებ მძიმედ წამოვიწიე და დავჯექი. „ახალი" თამამად მომიჯდა გვერდზე.

— თქვენ მუდამ იმას აკეთებთ, რაც მოგესურვებათ?.. რა სისულელეა!

— თქვენ აგრე ფიქრობთ? — მინდოდა ირონიით მეკითხა, მაგრამ თვალებზე მომდგარმა ცრემლებმა გამცა.

ნუთუ ვერასოდეს ვერ უნდა დავეუფლო თავს?! ოჰ, როგორა მრცხვენოდა და მძულდა საკუთარი თავი...

„ახალი" ჩემკენ არ იყურებოდა.

— ოჰ, მაშ ასე!.. — დაფიქრებით თქვა მან.

მივბრუნდი და შეუმჩნევლად შევიმშრალე ცრემლები. ახლა უკვე მზად ვიყავი საპასუხოდ.

მაგრამ ამ „ახალის" ნათქვამმა გამაოცა:

— რას იზამ... იქნებ, ეს უკეთესიც იყოს. ალბათ, სხვა გამოსავალი არ იყო.

— რა?

— ორი ბოროტებისაგან უმცირესს ირჩევენ ხოლმე. მაგრამ, სიმართლე-გითხრა, იყო წამი, როცა მინდოდა, [illegible] მას გაელახეთ. მხოლოდ ერთი წამი. — დაუმატა მან ღიმილით.

— მაშ თქვენ ყველაფერი ნახეთ?

— თითქმის.

— ბუღა როგორღაა?

— ახლა აღარა უშავს რა. ჩვენ გადავწყვიტეთ, ვთქვათ, თითქოს იგი კიბიდან ჩამოვარდა სახელოსნოს სახურავის შეკეთებისას.

ნეტავი რად აიგივებს ხოლმე „ახალი" თავის თავს კოლონისტებთან და ამბობს „ჩვენ"?

— თქვენ გგონიათ, ეს პედაგოგიურია?

მე უკვე სავსებით ვფლობდი თავს და გადავწყვიტე, ცოტა აგდებულად მელაპარაკა.

— არა, რა თქმა უნდა... მაგრამ პედაგოგიკაც ხომ გაყინული დოგმა არაა. — მიპასუხა მან.

— და ამიტომ, თუმცა იცით, რომ ვასკა ქალაქში იპარება ხოლმე, თქვენ არავითარ ღონისძიებას არ მიმართავთ?

— თუ რასმე იღონებ, იგი არასოდეს აღარ დაბრუნდება. საწყენი კი იქნება, რადგან ძალიან ნიჭიერია.

— ჯიბგირი?

— მხატვარი! მისი ნამუშევრები ვაჩვენე ცნობილ ოსტატებს, და ყველა აღტაცებულია. როგორმე სამხატვრო სკოლაში უნდა მოვაწყოთ. უნდა ვენდოთ მას... მაგრამ თავის თავში შეყვარებულ იმ კაცს არა სურს შეიგნოს!

— დირექტორს? ის ხომ ჭკვიანი კაცია!

— სამწუხაროდ, სულელია.

— მე კი პატიოსანი მგონია.

„ახალი" წამოხტა და აღშფოთებულმა სიარული დაიწყო ოთახში.

— პატიოსანი?! როგორ შეიძლება, ეჭვი შევიტანოთ მის პატიოსნებაში, როცა სახელმწიფოს არაფერს ჰპარავს!.. მაგრამ ფანჩატურში გამართული ღრეობის შემდეგ, კოლონისტებმა სამი დღის განმავლობაში კუთვნილის ნაცვლად

მხოლოდ ნახევარ რაციონს ღებულობენ! — იგი აღელვებისაგან გაწითლდა და ცოტა ენასაც მოუკიდა. — ც... ცოდონი არიან ბ... ბიჭები!.. ბოროტმოქმედები არ იბადებიან, მერე ხდებიან.

ეს ჩემთვის ახალი ამბავი იყო, კამათის სურვილმა გამიარა და მინდოდა მომესმინა, კიდევ რას იტყოდა.

— რამდენია მათ შორის ნიჭიერი, თავისებურად პატიოსანი, რომლებიც აქ უბედურ გარემოებათა წყალობით მოხვდნენ. რამდენი ფსიქიურად დაავადებულია... ჩვენ — საზოგადოებამ უნდა გარდავქმნათ ისინი, განვკურნოთ ავადმყოფები. ჩვენ კი რა ვქენით? საზოგადოებას მოვწყვიტეთ და დავმშვიდდით. — გაბრაზებული „ახალი“ ვაჟკაცურად გამოიყურებოდა. — ასეთი უგუნურება მავნებლობაზე უარესია.

მე ბევრჯერ მომისმენია ამგვარი გატაცებითი შთაგონებანი. მომწონდნენ კიდეც თავისი სიახლით, გამბედაობით და გადმოცემის ლოღიკით. მაგრამ მერე აირივნენ უამრავ, ჩემთვის ახალ აღმოჩენებში და უბრალო, ყოველდღიურ აუცილებლობად გადაიქცნენ.

ახლა მე პირველად ვიგრძენი მთელი კეთილშობილება ადამიანისა, რომელიც სხვისი კეთილდღეობისთვის იბრძვის.

ფანჯარასთან მივედი, რომ მისი დაბნეულობისათვის არ მეცქირა.

როცა მოვიხედე, „ახალი“ ოთახში აღარ იყო. საერთოდ, ასე იცოდა, მოულოდნელად გამოჩნდებოდა და ასევე გაქრებოდა ხოლმე.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯავახაძე

* * *

ქალაქში ზეცა არ ჩანს მთლიანად,
ქალაქში ზეცა არ ჩანს სრულიად,
ღრუბლის ნახევით იხვევს იარას
და მავთულებით დაკაწრულია;
მიწას არიდებს თვალებს ცრემლიანს
და ემალება ქუჩებს ქარიანს,
გარეუბნებში უფრო ვრცელია
და ქალაქგარეთ უფრო წყნარია.

ბევრი შეჰყურებს ზეცას ცარიელს,
ბევრისთვის ცაა ტკბილი სულზედაც:
ცას უმზერენ და აღარ არიან
მათთან,
რომელთაც გვერდით უსხედან...
ზეცას კი თავი არ ეზოგება,
არ უკვირს ქვეყნის სიპატარავე,
და ეჯავრებათ კაცებს ქოლგები,
რადგან ქოლგები ზეცას მალავენ.

* * *

მთელი ქალაქი
მთელი ზამთარი
თოვლს მოელოდა — როგორც
სიყვარულს...
ახლა ღრუბლებთან კამათს ამთავრებს
და ჯავრი ჩვენზე უნდა იყაროს.
ჩვენც თოვლს მოველით პატარებივით.
ღღეებს მოველით ხალისიანებს,

გადათოვლილი მატარებელი
მატადორივით გვაღიზიანებს.
კარგი ამინდი მაინც სამთავე
თაობის გულს და თვალებს ახარებს...
მთელი ქალაქი
მთელი ზამთარი
თოვლს მოელოდა — როგორც
საყვარელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალი გუგუსიძე

განშორება

ბაქანი ბრუნავს, როგორც მორევი
და ჩემკენ მორბის შენი სახელი...
შენ ხელს მიქნევდი, თუ განშორების
ზარებს რეკდი და დუმილს არღვევდი.

ახლაც ასეა. სულში შეფრინდა
იმედი — სადღაც... სადღაც შეხვედრის,
და სიმარტოვე მატარებლიდან
ჩამოდის შენი წყნარი ფეხებით.

ის მოდის ჩემთან... შენ კი ფანჯრიდან
ისევ იღვრები, როგორც სინათლე,
და როგორც ვაშლი ორად გაჭრილი,
ერთმანეთს ჰგავხართ შენ და სინათლე.

არაფერს ამბობ... უკვე მიდიხარ...
უკვე არც სჩანხარ... უკვე წახვედი...
და სულის რტოებს ფრთხილად ჰკიდია
შეშინებული შენი სახელი.

მოგონება

მე უცებ მივხვდი, რომ ქარს მივყავდი
და დილას ჰქონდა სინათლე დროშის,
შენც დაგინახე და შენ იყავი
ლამაზი, როგორც მგზავრობა თოვლში.

სახლში კი შუქი ჰყვაოდა უკვე
შუაცეცხლივით იდგა იმედიც.
და დედამიწის პატარა რუქა
ეკიდა, როგორც ველოსიპედი.

* * *

მქონდა
ტრიფოლიატის ყვავილებზე ყვითელი
თმები

და მზე
მიყვარდა, ვით მოწყენილ ხარის
თვალები

ამოვდიოდი დიდ ხეებზე, ან როგორც
სურო,
ან მწვანე ხავსი და ვბიბინებდი.
და წკრიალებდა ლამაზი წვიმა,
როგორც შენი ფანჯრის მინები.
ან იყო ქარი,
ან სრულიად არ იყო ქარი,
და ვდუმდი ისე,
ვით ფანჯრებში ყვითელი მთვარე.

და როგორც წვიმის წვეთები მინებს,
შენს მკლავებს ჩუმად მიყვებოდნენ
წვრილი ძარღვები:

მსურდა,
ვყოფილიყავ სინათლე,
და დაგფენოდი მხრებზე, როგორც
ჭადრის ფოთლები.
...გაჩირაღდნებულ ქუჩებიდან
შემოვიდოდი
და ჭადრის ფოთლებს გაგახსენებდი,
რომლებზეც წვიმის თითები ხტიან,
ვით როიალის კლავიშებზე და
გუგუნებენ.

რა ძლიერ გავხარ
თეთრ ხეებს შორის გაბნეულ ძახილს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიქტორ კერნბახი

ყინვარეგისა და ნარინჯეგის ქვეყანა

ქვეყანა და თბილისი

დაკვირვებული კაცი კავკასიაში მოგზაურობისას შენიშნავს, რომ დედამიწის ამ კუთხის ყველა ადგილი ძველისძველია. თვით ისტორიული დოკუმენტები დიდი ხნის წინათ მივიწყებული საუკუნეებისა, ბევრად უფრო ნაგვიანევად გამოიყურებიან, ვიდრე ადამიანის მოღვაწეობის სხვა კვალი, რომელსაც აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდები. ადგილის სიძველის გამოსარკვევად ისევ ლეგენდას უნდა მიმართო. ამბავი ხანდახან პრომეთეოსიდან ან სამყაროს გაჩენიდან იწყება.

თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, ათასხუთასი წლისაა, მაგრამ არქეოლოგები სხვა აზრისა არიან: ქალაქის ახლანდელი ტერიტორია დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ჯობს ისევ ლეგენდას მივდიოთ, ესე იგი წლები იმ დღიდან მოვითვალოთ, რა დღიდანაც ქალაქსა და ადგილს თბილისი დაერქვა.

ვახტანგ გორგასალი, რომელიც ქართლის ტახტზე იჯდა მეხუთე საუკუნეში, სანადიროდ წამოვიდა თავისი მცხეთიდან. ხოხობს დადევნებული მონადირეები მალე სამი კლდოვანი მთის შესაყარში აღმოჩნდნენ. მეფის ისრით დაჭრილი ხოხობი ცხელი წყლის გუბეში ჩავარდა და, ვიდრე ბაზიერები იპოვნიდნენ, კიდევაც მოიხარშა. ვახტანგ გორგასალს თვალში მოუვიდა ეს ადგილები. ვინ იცის, იქნებ ამ ცხელმა წყაროებმაც მოხიბლა. მეფემ ბრძანება გასცა ნადირობის ადგილზე საიმედოდ გამაგრებული ქალაქი აეშენებინათ. სიტყვა „თბილისაგან“ წარმოსდგა სიტყვა „თბილისი“, რომელმაც შემდეგ სიმბოლური მნიშვნელობა მიიღო და ქალაქის სახელწოდებად იქცა.

ქართლის მეფეებმა დიდი ზრუნვა გასწიეს თავიანთი სატახტო ქალაქის კეთილმოწყობისათვის. სავაჭრო გზების შესაყარზე მდებარე ქალაქი მალე აყვავდა და დაწინაურდა. შემდეგ ქვეყანას ბევრი ჭირი გადახდა. სისხლისმღვრელი ომები ურიცხვ და ძლიერ მტერთან, შიმშილობა და ეპიდემიები, თითქოს განზრახ, ერთმანეთს წაება.

რუსეთთან შეერთებამ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს საქართველო ფიზიკური განადგურებისაგან იხსნა, მაგრამ დედაქალაქის მნიშვნელობა და მისი მოსახლეობის რიცხვი მაინც საგრძნობლად დაეცა.

1828 წლის ზაფხულში ქალაქს ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინი ეწვია. პოეტი უკმაყოფილებას გამოთქვამს აქაური დიდი სიცხეების გამო, მაგრამ ის მა-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 4.

ინც მოიხიბლა საქართველოს გულის მშვენიერი მდებარეობით, აგრეთვე შესანიშნავი გოგირდის აბანოებით. ამ აბანოებმა თავის დროზე ინგლისელი პოეტის თომას მურის აღტაცებაც გამოიწვია. პუშკინი გვატყობინებს, რომ თბილისში ამ დროს ოთხიათასი ოჯახი ცხოვრობდა. ძალიან ეჭვიც რომ შეგვეპაროს პოეტის სტატისტიკაში, ისედაც აშკარად ჩანს: ამდენ ომსა და ვაივაგლახში გაჟლეტილი ქართული მოსახლეობა მაშინ საგრძნობლად შემცირებული იყო. 1865 წელს თბილისის მოსახლეობის საერთო რიცხვი 71 ათასსაც ვერ აღწევდა. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციისა და, განსაკუთრებით, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო თბილისის მოსახლეობის შემდგომი მატება. 1926 წელს თბილისში 294 ათასი სული ცხოვრობდა, ხოლო 1956 წელს —ორჯერ მეტი—635 ათასი. დღეს თბილისში 700 ათასი მცხოვრებია.

პუშკინი ამბობდა, თითქოს თბილისში ჯანმრთელობისათვის მავნე სიცხე იყოს. ჰავა აქ დღესაც ისეთივეა, როგორიც პუშკინის დროს, მეცხრამეტე საუკუნის პირველ მესამედში. მას შესაძლოა საგრძნობლად არბილებდეს უკანასკნელ წლებში გაშენებული მცენარეულობა, მაგრამ სიცხეს რაც შეეხება, ის მაინც აუტანელი იცის. ზამთრის ყველაზე უფრო ცივ თვეში — იანვარში, საშუალო ტემპერატურა +8 გრადუსს აღწევს, ზაფხულობით კი, ივლისში, უფრო აგვისტოში, სინდიყის სვეტი ადვილად აღწევს 40 გრადუსს და ხანდახან უფრო ზევითაც აიწევს ხოლმე

დამრეც ვაკეზე გაშენებულ ქალაქს გამჭოლი ქარებისაგან იცავენ ოთხივე მხარეს აღმართული მთები. თბილისი სასიამოვნო სიმაღლეზეა ზღვის დონიდან. 406—522 მეტრი არც დიდი სიმაღლეა და არც პატარა. ახლა ქალაქი მაღალი ხეების ჩრდილშია მოქცეული. საბნად მწვანე ბალახითა და ყვავილნარებით მოქარგული მდელო ახურავს. იქნებ, სწორედ ამის გამოა, რომ თბილისი სტუმართმოყვარე ჰავით გამოირჩევა. აქაური მშრალი სითბო მოკლებულია ჯანმრთელობისათვის საზიანო ნესტს, რაზედაც დიდი პუშკინი ლაპარაკობდა. იგი არ გქანცავს, ძალ-ღონეს არ გაცლის. პირიქით, თითქოს კიდევაც გიჩქარებს სისხლის მიმოქცევას, რაც, ჩემი აზრით, ურიგო სულაც არ უნდა იყოს.

თბილისში მე არ დამინახავს სიცხისაგან ქანცგამოლეული და მელანქოლიური უიმედობით შეპყრობილი ადამიანები. მაშ რამ გამოიწვია პუშკინის ამგვარი შთაბეჭდილება? ამის ერთადერთი მიზეზი, მე მგონი, ის გახლდათ, რომ პოეტი პეტერბურგიდან, ბალტიკის ამ ნისლიანი და ნესტიანი ქალაქიდან ჩამოვიდა. მისი გაკვირვება, რასაც ამ ორი ქალაქის ტემპერატურის დიდი განსხვავება იწვევდა, იმითაც მძაფრდებოდა, რომ თბილისში მაშინ არავითარი მცენარეულობა არ იყო. მას შემდეგ ქართველებმა ბევრი რამ გააკეთეს სიცხის დასამარცხებლად. დღეს ადამიანი დიდი ძალების ბატონ-პატრონია. მან, გარდა იმისა, რომ თვით ქალაქში ურიცხვი მცენარეულობა გააშენა, ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით შექმნა ხელოვნური წყალსაცავი, „თბილისის ზღვა“, რომელიც მდინარე იორის წყლით იკვებება. „ზღვას“, რომელიც ძალიან მგრძნობიარეა და ქარის ამოვარდნისას სწორედ ნამდვილ ზღვასავით ღელავს, თავისი ყურე და ნავმისადგომიც აქვს.

ქალაქში თბილისის ზღვის სიახლოვე იგრძნობა. მე ერთხელ საგანგებოდ მოვინახულე ეს პაწაწინა ზღვა. კატერითაც კი გავისეირნე მის აქოჩრილ ტალღებზე. მსუბუქი ნიავი უბერავდა, საკმაოდ მაღალი ტალღები მოგორავდნენ და კატერს სასიამოვნოდ არწევდნენ. წყალი წმინდა და გრილი იყო. ირგვლივ მწვანედ ხასხასებდნენ მთები. ცას მტრედისფერი ედო. ასე რომ, როგორც

დუნაის დაბლობის მცხოვრებმა, გამბედაობა გამოვიჩინე და ჩავთვალე, რომ პუშკინი სულ ტყუილად შეუშინებია თბილისურ სიცხეს.

ქალაქი ამჟამად ძალიან გაფართოვდა. იგი გაიშალა მტკვრის ორივე ნაპირზე. ქალაქის სიგრძემ ოც კილომეტრს გადააჭარბა.

მტკვარი ჩვენს დამბოვიცაზე ბევრად ფართოა და, თუ არა ვცდები, უფრო ღრმაც არის. მტკვრის სანაპირო დამშვენებულია გუდრონით, გრანიტის მოაჯირებით, ლამპიონებით, განსაკუთრებით კი ლაღად ნაზარდი მწვანე ჭადრებით, რომელთა დანახვა უცებ გავიწყებთ სიცხე-პაპანაქებას.

ბოტანიკოსები გვასწავლიან, რომ ჰაერს ყოველნაირი სახის მცენარეულობა აგრილებს. კამათს ვერ გავბედავ, რადგან ბოტანიკოსი არ გახლავართ, მაგრამ გამოგიტყდებით, რომ პირადად მე მაშინ უფრო დამცხება ხოლმე, როდესაც აკაციებს დავინახავ, ვიდრე უდაბურ ტრამალში. სადაც ხვლიკებისა და ღრიანკალების მეტი არაფერია.

საქართველოში კვიპაროსი იზრდება. კვიპაროსი თავისი უცნაური სიმწვანით თბილისშიაც ხარობს, მტკვრის პირას. ჩემთვის დაუვიწყარი იყო აგვისტოს ღამე, როდესაც სუბტროპიკებში ბულბულების გალობა გავიგონე.

გამოგიტყდებით, თბილისის მზე უფრო მომეწონა, ვიდრე ველოდი. იგი უფრო სამხრეთულია, ვიდრე ბუქარესტის მზე და მისი სხივები დედამიწაზე თითქმის პირდაპირ, ვერტიკალურად ეშვება. თბილისის მზის ქვეშ ყველა ელვარე და თეთრი საგანი პლატინის ბრწყინვალებას იძენს. ერთხელ, სიცხით გასავათებულმა თეთრი პერანგი გავიხადე და აივანზე სკამის ზურგზე გადავკიდე, მერე კი დავჯექი და დიდხანს აღტაცებული ვუყურებდი ამ პერანგს. ადრე არსად და არასოდეს შემიმჩნევია თეთრი ფერის ამგვარი ნიუანსები: პერანგი ისე ბრწყინავდა მზის სხივებზე, როგორც ალუმინის თვითმფრინავი შუადღისას.

მე მესმის პოეტ გიორგი ლეონიძისა, რომელმაც ასეთი ქებათა-ქება მიუძღვნა თავისი დედაქალაქის მზეს:

ვარ მოაშიკე შენი მზის
და მეჯაშნიკე მარადი,
შენი მშობლიურ სიტკბოსი,
ჩემი საფლავის კარამდი!
ვინ ამოცალოს ჩანჩქერი,
ჩანჩქერს რათ უნდა ღარები?
შენი თაფლური ღვარების
გულმა რაც სიტკბო დალია,
ის მხოლოდ ნაათალია!..

დიახ, თბილისს ამოუწურავი სილამაზე გააჩნია და სწორედ სულელური გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ შეიძლება ამოწურო იგი იმ დროის მანძილზე, რომელიც მოგზაურს აქვს.

დავდივარ მზის სხივებით განათებულ ქუჩებში, ვათვალიერებ ქალაქის ახალ, სწორკუთხედებად დალაგებულ კვარტალებს და ძველი თბილისის უბნებს. მივყვები ამ უბნის დაკლაკნილ ქუჩებს, მისახვევ-მოსახვევებს. ფიქრი ძველ ამბებს დასტრიალებს. ნეტა თუ გაუვლია ამ ქუჩაში ანთიმოზ ივერიელს, თუ სამშობლოს ისე მოსწყვიტეს, რომ ვერც კი მოასწრო თავისი სანუკვარი დედაქალაქის ნახვა? მაგრამ ჩვენი მიხეილ უნგროვლახელი კი უსათუოდ ჩემებრ დაიარებოდა ამ ქუჩებში. აქ გაუვლიათ რუსთაველს და ვახტანგ მეექვსეს. ეს ვახტანგი მეექვსე მეფე ვახტანგი იყო ვახტანგ გორგასალის შემდეგ, იმ გორგასალისა, ვინც თბილისი დააარსა. სათვალავით მეექვსე ვახტანგი საქართველოში ჩვენი კონსტანტინე ბრანკოვიანუს დროს მეფობდა. კონსტანტინესა და ვახტანგ მეექვსეს მეგობრული მიწერ-მოწერა ჰქონდათ ერთმანეთს შორის. ვახტანგ მეექვსე არამარტო პირველი გამომცემელი და პირველი კრიტიკოსი გახლდათ თავისი ქვეყნის დიდი პოეტისა, იგი თვით იყო პოეტი (განა მარტო ის იყო მგოსანი ქართველ მეფეთაგან!) და თავის დედაქალაქს გულის-

კანკალით უმღეროდა, უმღეროდა ვარსკვლავებით მოჭედილ მაისის ცას, ამწვანებულ ბორცვებს, დილის ცვრით დაწინწკლულ მდელოს...

მაგრამ მე არ მინახავს თბილისი მაისში. ცვარს მანამ აშრობდა ხოლმე მზე, ვიდრე მე გამოვიღვიძებდი, ვარდებს კი უკვე კარგა ხნის წინათ დაეხუჭათ თვალები. ხასხასა სიმწვანე ირგვლივ ოდნავ გახუნებულიყო და ქალაქში დამკვიდრებულიყო ზაფხული, რომელიც აქ წლის ყველა სხვა დროზე უფრო ხანგრძლივია. ისე რომ, თბილისის ფერები მე მაშინ ვიხილე, როცა მათ ზაფხულის მცხუნვარე მზე ანათებდა.

თბილის-ქალაქის სილამაზე ფერებით იწყება. ყოველ ქალაქს აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფერი. რამდენადაც მიმზიდველი და ნაზია ეს ფერი, იმდენად უფრო გაგიძნელდება მისი სიტყვებით გამოხატვა. რასაკვირველია, ქალაქის კომპოზიციაში შედიან შენობებიც და მცენარეულობაც, აგრეთვე ადამიანები, განსაკუთრებით ჰაერი. ჰაერი, რომელიც ყველა დანარჩენ საგანს ნთქავს და შემდეგ ქალაქს ერთმანეთთან შერწყმულს და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ შუქთა არილში აცურებულს უბრუნებს. თბილისის სპეციფიკური ფერი მზით არის განსაზღვრული. საღებავების ქარხნის რომელ ქიმიურ ხერხს ძალუძს ამ ფერის დაჭერა? სიტყვებით ის არ გადმოიცემა. თუ მაინცდამაინც თავს გამოიდებ, მაშინ რემბრანდტის ყალამს უნდა ფლობდე, რადგან, სინათლის შემქმნელი ბუნების შემდეგ, სწორედ ის არის სინათლის იგავმიუწვდომელი ჯადოქარი.

მე მგონია, რომ ძველი თბილისიც, გასული საუკუნისა, ისეთი, რომლის ნახვა მოგზაურს უკვე აღარ შეუძლია, აგრეთვე ძალიან ლამაზი იყო. მის ძველისძველ სილამაზეს, ალბათ, არც პუშკინის მიერ მოხსენიებული აღმოსავლური ბაზარი ქმნიდა და არც ყაფანი, რომელიც არასოდეს არ ყოფილა სპეციფიკური და განმასხვავებელი ამ ქალაქისათვის. ჩემი ღრმა რწმენით, მთავარ ესთეტიკურ მიზეზს, რის გამოც ქარაფებს შუა მოქცეული ეს ქალაქი შინაურსა და გარეშეს ხიბლავდა, იმავე თბილისური მზით განათებული ქართველ ხუროთმოძღვართა ნახელავი შეადგენდა. ამ დასკვნამდე უბნების უმრავლესობის დათვალიერებამ მიმიყვანა. უბნებს ჯერ კიდევ აზით წარსულის ბეჭედი. გარდა ამისა, ძველი დროების მომსწრეებიც ხომ ბევრია... ბოლოსდაბოლოს, მეც შემეძლო მეთქვა, რომ

„თბილისი მხატვრისათვის ნამდვილი მიგნებაა!“

თუმცა პროზაულად. მაგრამ მაინც ასე ამბობდა თბილისის ხილვით გულწრფელად აღფრთოვანებული ი. პ. პოლონსკი 1846 წელს თავის საკმაოდ დიდტანიან ლექს-ნარკვევში, რომელსაც სათაურად „თბილისში გასეირნება“ უზის.

თბილისში თითქმის ყველა შენობა შეღებილია ნაზი ,სამხრეთული, მზიური ტონებით. მე აქ არსად არ მინახავს მკვეთრი ფერები. ბევრი სახლი ვულკანური ტუფით არის აშენებული. ტუფს ლიმონის ხის ფერი დაჰკრავს, ოღონდ ოდნავ ბაცი. იგი დაძარღვულია. ძარღვები უფრო მუქი ფერისაა. ნარინჯისფერისა და ჩამავალი მზის სისხლისფერს შუა. სხვა შენობები ყავისფერი ტუფით აუშენებიათ. ყავისფერი ტუფის ფილები თითქოს იმ ხისგანაა გამოჭრილი, რომელზე ამოკვეთილი ორნამენტაციაც თბილისის სიონის შესავალ კარს აქვს გარსშემორტყმული. შენობები მწვანე პალმებისა და კვიპაროსების ჩარჩოშია ჩასმული. მზე ყოველივე ამას პლატინის მტვრისფრად ელვარებს და ქალაქს იმ ფერს აძლევს, რომლის ჩვენებასაც მე შევეცადე.

საქართველოში ჩამოსულმა პირველი დღე თბილისის ქუჩებში გავლა-გამოვლას მოვანდომე. მანქანას იშვიათად თუ სადმე გავაჩერებდი. მინდოდა, ვიდრე საფუძვლიან გაცნობას დავიწყებდი, ქალაქის საერთო ატმოსფეროში შევსულიყავი. ახლა დიდად კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი მოგზაურობა სწორედ

ასე დაიწყო. იმ პირველსავე დღეს შევნიშნე, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდნენ თბილისში ქალაქის ერთიანი იერის შენარჩუნებას.

გასულ საუკუნეში, რუსმა დრამატურგმა ა. ნ. ოსტროვსკიმ, როდესაც საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა, დღიურში ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა ჩასწერა: „თბილისი ნახევრად ევროპული, ნახევრად აზიური ქალაქის შთაბეჭდილებას ქმნის“. აზიური ნაწილი თავისი ბაზრებით, აქლემებითა და ვაჭრებით დიდი ხანია გაჰქრა. მეორე ნაწილი, ევროპული, თუ გვსურს მაინცდამაინც ასე ვუწოდოთ თანამედროვე ცივილიზაციის მიერ შექმნილ კომ. ფორტს, ქართულია და ამავე დროს ახალი. დღევანდელი ხუროთმოძღვრები ქართულ სტილს აგრძელებენ, ავითარებენ და სრულყოფენ და, ამასთან ერთად, არ ივიწყებენ თანამედროვე ცივილიზაციის მოთხოვნებს, რასაც საქართველოში უძველესი ტრადიცია აქვს, თუ გავიხსენებთ, რომ, მაგალითად, წყალსადენები ციხე-დარბაზებსა და მონასტრებში ათასხუთასი წლის წინათაც იყო გაყვანილი. თუ ძველად თბილისში რაიმე აღმოსავლურს ნახავდი, ეს მხოლოდ სხვისი ხელით აშენებული იქნებოდა. თვით ქართულ კლასიკურ სტილს ძალიან ცოტა რამ საერთო აქვს აღმოსავლურთან. შეხვდებით მხოლოდ განზრახ შექმნილ გამონაკლისებს, რომელთა მსგავსი გამონაკლისების ნახვა მსოფლიოს ყოველ ქალაქში შეიძლება. ამ მხრივ სამაგალითოა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა. იგი, მართალია, სუფთა მავრიტანული სტილით არის აგებული, მაშასადამე, გამონაკლისია, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ის მაინც არ მიმაჩნია ქალაქის საერთო სტილიდან ამოვარდნილად. თბილისის ოპერის თეატრი მე იმ ლამაზ სამკერდე ნიშნად მივიჩნიე, რომელიც გულზე გაქვს დაბნეული. განა ის შენს გარეგნობას რითიმე სცვლის? სამკერდე ნიშანი ხომ სხვა ქვეყნისაგან გაქვს სამახსოვროდ მიღებული.

საქართველოს დედაქალაქის ნაგებობებს სავსებით არაფერი აქვთ საერთო მოთენთილ აღმოსავლურ ხილამაზესთან, ფილიგრანულ ხაზებსა და არაბესკებთან, ხაზების სიუხვით სულის ამოხდასთან, რაც ასე ძალიან მოსწონდა ვერეშჩაგინს.

ქართული ხაზი ბევრად უფრო სადა და ჰარმონიულია, ხოლო მისი ორნამენტაცია აღჭურვილია სიმეტრიით და, მე ვიტყოდი, მელოდიურობით, რომლის ელემენტები სიახლეს, ელეგანტურობასა და დინამიზმს ბადებენ. არქიტექტურული და ორნამენტული ხაზების ეს დინამიური ხასიათი ხალხის ტემპერამენტის ნაყოფს წარმოადგენს ისევე, როგორც მონუმენტურობისა და მასიურობის მოულოდნელი შთაბეჭდილება, თუმცა აქ ვერ შეხვდები ძალიან მაღალ სახლებს; ეს ხუროთმოძღვართა ნიჭისა და მიხვედრილობის შედეგია; მათ კარგად შეუთვისებიათ მთაგორიანი ბუნების გაკვეთილი. თბილისში ყველგან (როგორც შემდეგ დავინახე, არამარტო თბილისში) შეიძლება გაშიფრო ხალხის დამოკიდებულება არქიტექტურისადმი, შენობისადმი, რომელიც ქართველი ხალხის თვალსა და გულს ესალბუნება.

ქალაქი შემკულია არამარტო ქვის ფრონტონებზე ამოკვეთილი ფრიზებით, არამედ მრავალი ქანდაკებით, შადრევნით და ხშირი მცენარეულობით გამწვანებული პარკით. ეს ყოველივე საერთო ურბანისტული გეგმითაა გათვალისწინებული. მაგრამ მე ქალაქის განაპირა რაიონებში მინახავს პატარ-პატარა ერთსართულიანი სახლები, რომელთა აგებაში არცერთი ხუროთმოძღვარი არ ჩარეულა. სახლის სინატიფე, ყურძნის მტევანი, ან ვაზის ფოთოლი, რომელიც კარის თავზე ან ჭიშკრის ბოძზეა ამოკვეთილი, აშკარად მიუთითებს იმ გრძნობაზე, რომელზედაც წელან ვლაპარაკობდი. ეს გრძნობა რომელიმე არქიტექტურული სასწავლებლის სალექციო დარბაზში როდი დაბადებულა თავდაპირველად.

ყველაზე ლამაზი შენობები, რასაკვირველია, რუსთაველის პროსპექტზეა. ეს შენობები ძალიან მაღალი არ არის, მაგრამ მნახველის ყურადღებას იქცევენ თავიანთი მასიური შესახედაობით. რუსთაველის პროსპექტზე გამოდის ოპერისა და ბალეტის თეატრის ფასადი. როგორც ზემოთა ვთქვი, იგი მავრიტანული სტილით არის აგებული. აქვეა კავშირგაბმულობის ხუთსართულიანი სახლი. დიდებულად დგას ვულკანური ტუფის დიდრონ-დიდრონი ბლოკებით ნაშენი მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი, რომლის თეთრი შუბლი რუხი მარმარილოს სვეტებზეა დაყრდნობილი. აგრეთვე ვულკანური ტუფით ნაშენ მთავრობის სასახლეს ზურგი მთისთვის შეუქცევია. იგი შენობის უკანა ნაწილის მიმართ პერპენდიკულარულად განლაგებულ ორ ფრთად იშლება და უზარმაზარ საავარაკო სახლს მოგაგონებთ. აირბენ განიერ კიბეებს და ასე გგონია, ნაძვებისა და ოზონის სამფლობელოში მოხვდი.

შენობებს ქალებს ვამსგავსებ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ, მე მგონია, რომ ხუროთმოძღვრები თავიანთ ნაფიქრ-ნაოცნებარს, უფრო ვიდრე სხვა მხატვრები, ხანში შესვლამდე ასხამენ ფრთებს. ლამაზ, არცთუ ისე მაღალ ქალს სადა, მოურთავ-მოუკაზმავი, გრძელზოლიანი ან ვერტიკალურნაკეცებიანი პალტო უხდება. ამგვარი პალტო მას უფრო მაღალს გამოაჩენს. მაღალი და ტანწვრილი ქალი სხვადასხვანაირ სამკაულს იკეთებს, რათა, სანამ ვისმე ჯერ კიდევ გულში არ ჩავარდნია, მის მორთულობაზე შეაჩეროს თვალი და ამით ნაკლები ყურადღება მიაქციოს ქალის ზედმეტ სიმაღლეს. რასაკვირველია, ყოველივე ეს კიდევ დამოკიდებულია ფონზე, რომელზედაც ქალს ვხედავთ. მხატვრებს არ ეშლებათ თავიანთი საქმე. კარგად ჩაცმულ ქალს, რომელმაც იცის, რა და როგორ მოუხდება მის გარეგნობას, რასაკვირველია, პლასტიკური ტალანტის ჩანასახი აქვს. ადრე მე არასოდეს მიფიქრია, თუ რითიმე დაუკავშირდებოდა ერთმანეთს ქალის კაბის წვრილმანები, ერთი მხრივ, და სახლების მშენებლობა, მეორე მხრივ. თბილისში დავრწმუნდი, რომ ამგვარი კავშირი მართლა არსებობს. შენობა შეიძლება ათსართულიანიც იყოს, მაგრამ, თუ აივნები თავის ადგილზე და ზომიერების დაცვით არ ექნა დატანებული, თუ სვეტები და ქანდაკებები თავ-თავის ადგილზე არ დაიდგა, მისი სიმაღლე უმალვე გაუფასურდება. დიდებულ შთაბეჭდილებას მხოლოდ ციცაბოდ აღმართული გლუვი შენობა ახდენს და ისიც, უკიდურეს შემთხვევაში, ირიბ კონტრაფორსებზე დაფუძნებული.

მე შევამჩნიე, რომ ქართველი ხუროთმოძღვრები ოსტატურად იყენებენ პეიზაჟის ფონს, მინდორი იქნება ეს, მთა თუ მდინარის ნაპირი. ამ ფონის მიხედვით ისინი წყვეტენ საკითხს, გამოიყენონ თუ არა ფასადის ორნამენტიკა. თბილისში არ მინახავს სვეტების შემკულობის ბოროტად გამოყენება. ქართული კლასიკური სტილი ერთი იმათგანია, რომელიც ყველაზე უფრო უახლოვდება თანამედროვე ხუროთმოძღვრების სტილს. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი მაღალი შენობა არ არის, მაგრამ მისი სვეტების უბრალოება და სისადავე თითქოს ზემოთ, ღრუბლებისაკენ ეწევა მთელ შენობას და, ამგვარად, გაბატონებულ მდგომარეობას ანიჭებს პროსპექტზე.

მაგრამ თბილისში ყველა შენობა ერთნაირი როდია. პირიქით, ვერ ნახავთ სახლს, რომელიც მეორეს ჰგავდეს (ეს, სხვათაშორის, ძალიან სასარგებლო რამ არის ტურისტებისათვის — გზა არავის დაებნევა), თუნდაც მათი სიმაღლე ძალიან განსხვავებული არც კი იყოს. ყოველ ახალ ქუჩაზე გასეირნება ახალი მოულოდნელობის წინაშე გაყენებს, ისევე, როგორც მთის ბუნებრივ პეიზაჟებში. თვალი მოგზაურისა, თუ იგი გრძნობს არქიტექტურას, ყველაზე უფრო სანდო და გაგებული მეგზურია ქალაქში გავლა-გამოვლის დროს.

თბილისის ყველა ლამაზი სახლის ჩა-

მოთვლა და აღწერა სულაც არ გახლავთ იოლი საქმე. განა ადვილია აღწერო თუნდ უნივერსიტეტი, რომელიც, ვით უზარმაზარი თეთრი ფრინველი, ცისკენ აღმართული თავისი ნისკარტითა და გაშლილი ფრთებით მწვანედ მოხასხასე კვიპაროსების თავზე მიფრინავს; ან საჯარო ბიბლიოთეკა, რომელსაც წინიდან სამზერლად სასიამოვნო ლოჯი ამშვენებს, ზემოთ კი სამი ტყუპი სარკმელი. სამივე მკვეთრი თაღებით გამოზნექილა წინ, გასამებულ ფიტონებს დანდობია და ხაზების საერთო ჰარმონიასა და ტაძრის საზეიმო განწყობილებას ქმნის. ან ნახშირის კომბინატის ციხე-სიმაგრის მსგავსი შენობა, რომელსაც სტილიზებული გოდოლები, კოშკები და ქონგურები აქვს; ან პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, ფასადზე გამომავალი შესასვლელებით და პარალელოპიპედური დაბალი სვეტებით; ან მთაწმინდის დიდი რესტორანი, რომელსაც ჭერად თითქოსდა ათგზის გადიდებული ფილიგრანი გადმომხობია, ხოლო ტერასებიდან, სადაც კახურს წრუპავ და ცხვრის შიშხინა მწვადს შეექცევი, შეგიძლია მთელ ქალაქს ხელისგულზე უყურო; ან სასტუმრო „თბილისი“, სადაც მე ვცხოვრობდი და უზარმაზარი ფანჯრებიდან მთებსა და ქალაქს ვუყურებდი; ან სახელმწიფო ცირკი, ქვითა და ლითონით აშენებული სოლიდური მრგვალი შენობა, რომელიც რაღაც მანქანებით ძველი დროის მოხეტიალე ცირკის მომხიბლავ იდუმალებას და შუა მოედანზე გაშლილი უკარ-ფანჯრო კარვის სახეს ინარჩუნებს, და მრავალი სხვა სახლი და შენობა, შვილები ერთი და იგივე მშობლებისა, მაგრამ არქიტექტურული თვალსაზრისით მაინც ნათესავები და არა ძმები! აბა რომელ შენობაზე გინდა ილაპარაკო ცალკე და გამოყოფილად, თუ თვითეული მათგანი თავისებურად მშვენიერია და მნახველსაც თავისებურად მოსწონს?

აი, მაგალითად, შევდივარ ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში რუსთაველის პროსპექტზე და აგრე მგონია, ეკლესიაში შევდგი ფეხი. გამყიდველები, ყმაწვილი, (ნაზი, თვალუუჭუნა გოგონები, რომელთაც თოვლივით თეთრად მოქათქათე წინსაფრები აუფარებიათ, რუსთაველის ლექსის ენაზე ჟღურტულებენ. მეჩვენება, რომ გარს ანგელოზთა გუნდი მახვევია და რომ მე გზა დამებნა. მაგრამ ამ სიხარულის, სიცოცხლის, ძალისა და დასვენების მზიურ ტაძარში, სადაც, გარდა მარმარილოს ფილებზე დადგმული ფეხისხმისა, სხვა ხმა არ ისმის, ანგელოზები ბალსა და პომიდორს, კომბოსტოსა და ნესვებს ჰყიდიან.

თბილისი სხვა მიზეზის გამოც გახლავთ ლამაზი. იგი ვაკე ადგილას არ არის გაშენებული. ქალაქში ბევრია ჰორიზონტალური ქუჩა, მაგრამ კიბისებური ქუჩებიც არანაკლებ გვხვდება. არის ერთიმეორის ქვეშ გამავალი ფართო. ხალხმრავალი ქუჩებიც. მაგალითად, მტკვარს სიგრძივ გასდევს მწვანე ნარგავებით ჩარიგებული ნათელი და ფართო ქუჩა, მას კი მდინარესთან ერთად, ოღონდ ზემოდან, ჰკვეთს მეორე ქუჩა და არა ხიდი.

ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა ქუჩების განლაგებისა, რაც ტერიტორიის სხვადასხვა ადგილის განსხვავებულ დონეს ითვალისწინებს, ბევრ რასმე მატებს ქალაქის ბუნებრივ სურათოვნებას. ქუჩაში მოძრაობა იოტისოდენადაც არ ბრკოლდება, თვალს კი უხარია, ამ მრავალფეროვნებას რომ უყურებს.

მაგრამ თვით მტკვარი? მისი ციცაბო ნაპირები, რომლებიც ქალაქის თითქმის მთელ სიგრძეზე ადამიანის ხელითაა მოდელირებული, გარეუბანთან მიახლოებისას თავისუფლად მაღლდება და ებჯინება სახლებსა და უძველეს ციხე-დარბაზებს, რომელთა ფანჯრები პირდაპირ წყალს გაღმოჰყურებენ. მე ვნახე ისეთი საცხოვრებელი სახლები ზედ მდინარის, მდინარის კი არა, ხრამის პირზე, რომელთა აივნები უფსკრულზე იყო გადაკიდებული და თითქოს გაფრენას აპირებდნენ.

თბილისს უსათუოდ მთაწმინდიდანაც უნდა გადმოხედო. ჯერ მთის შუაწელზე, პატარა პლატფორმასთან შეჩერდები და გადმოიხედავ. აქვე დაინახავ თეთრად შეფეთქილ ძველ ეკლესიას და თვალის გასახარად მოწანწკარე მინერალურ წყაროს. ეკლესიის მოვაკებული გარემო ქართველ მწერალთა საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს წარმოადგენს. პანთეონის მოაჯირთან მდგომ ადამიანს, განსაკუთრებით საღამოჟამს, თვალწინ დაუვიწყარი სანახაობა ეშლება. აქედან ეალერსებოდა თავის დედაქალაქს ნაღვლიანი ჭაბუკის— ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკული მზერა.

ბარათაშვილი 29 წლისა გარდაიცვალა. მოგვიანებით, როდესაც მისი ნეშტი დრომ მტვრად აქცია, პოეტი მთაწმინდაზე გადმოასვენეს და აქ ძეგლი დაუდგეს. ახლა არც არავინ იცის, როგორი სახე ჰქონდა მას სიცოცხლეში. მე ამ ძეგლთან — გრანიტის სვეტთან, რომლის წვერზე გრანიტისავე ლირაა დადგმული, ვიდექი და თბილისის შემოღამებას დავყურებდი, ბარათაშვილზე ვფიქრობდი და ამ წმინდა მთისადმი მიძღვნილი მისი ერთ-ერთი ლექსის სტროფს ვჩურჩულებდი:

ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი
შენნი,
დამაფიქრველნი, ვერანანი და უდაბურნი,
ვითარ შვენიან როს მონამენ ციურნი ცვარნი,
ოდეს საღამოს დაშთენ ამოდ ციაგნი ნელნი!

შემდეგ მთის მწვერვალზე ავედი და იქიდან გადმოვიხედე. თბილისი თანდათანობით გამოდიოდა მთაწმინდის ილლიებიდან. ზემოდან კარგად მოჩანდა. როგორ გაშლილიყო ქალაქი მოპირდაპირე მთის კორდებზე. მტკვრის კლაკნილი ამაით შუაზე გაყოფილი თბილისი, რომელიც ჩემს თვალწინ წითელი კრამიტის სახურავების ქვეშ განაბულიყო, სრულებითაც აღარ მიგავდა იმ ქალაქს, საიდანაც რამდენიმე წუთის წინ ამოვედი. ის უფრო მთის მკერდზე სულის ამოსათქმელად ჩამომჯდარ უზარმაზარ ფრინველს ჰგავდა, რომელიც ესაა შეიფრთხიალებს, ფრთებს უფრო ფართოდ გაშლის და გაფრინდება.

მეორედ ამ ადგილას გვიან ღამით ამოვედი, რათა სინათლის ჯადოსნურ ბალეტს თუ ფეერიულ მისტერიას დავსწრებოდი. ვისაც თბილისი ღამით მთაწმინდიდან არ დაუნახავს, არამარტო თვალისათვის მოუკლია უდიდესი სიამოვნება, მას დაუკარგავს ქალაქის სახის ნახევარი, რომლის წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია, თუ თბილისის ხედისათვის მხოლოდ დღისით უმზერია.

პრომეთესავით ან ჰერკულესივით მხარბეჭიან მთას ჯაჭვის პერანგი აცვია. პერანგის შიგნით ძლიერი მკერდი და ელვარე კუნთები მოუჩანს. მხრებსშუა, ჯაჭვის პერანგის ზემოთ, მკერდზე, დიდრონი პატიოსანი ქვების კრიალოსანი ჰკიდია. ესაა ერთიმეორის მიყოლებით დამსხდარი ბრდღვიალა ლამპიონები მტკვრის ორივე ნაპირის გასწვრივ.

ქალაქის სინათლეების მდიდრულ განფენილობაში შეინიშნება ერთგვარი კონტურული სიმეტრია, რომლის შიგნითაც სინათლის შუქი მშვენიერი უწესრიგობის სისადავითა და მომაჯადოებელი გამომგონებლობით კრთის და ცახცახებს. სანახაობა ფეერიული და საოცარია, რადგან წყნარი ნიავი აქანავებს უთვალავ ნათელ წერტილებს და ისინიც თითქოს უსასრულოდ მოძრაობენ, როგორც ყოველივე ცოცხალი და არაცოცხალი ამ ქვეყანაზე, აქ ხომ ყველაფერი სიცოცხლის დაუოკებელი ჟინითა და წყურვილითაა აღსავსე, თვით ყაზბეგის მწვერვალზე დადებული მარადიული თოვლიც კი, რომელსაც მზისა და მთვარის შუქ-ჩრდილები დასთამაშებენ. როდესაც მე ეს ღამეული ფეერია დავინახე, სულაც აღარ გავუკვირვებივარ პოეტის მხატვრულ სახეს, საღაც ღამის თბილისი თავდაღმა დამხობილ ცასთან არის შედარებული. ცა ნამდვილად გადმობრუნებულია.

მაგრამ თვით მთაწმინდას თავისი საკუთარი სინათლის მძივები ამშვენებს.

ესაა ლამპიონები, რომლებიც ტრამვაი-ფუნიკულორის რკინიგზას სდარაჯობს. რკინიგზა აღმა მიჰყვება მთაწმინდის ციცაბო კალთას და ქალაქის შუაგულს მთის წვერზე გაშენებულ პარკთან აკავშირებს. ტრამვაი-ფუნიკულორი ტრამვაის ჩვეულებრივი ვაგონია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შიგნით დასაჯდომები კიბისებურადაა განლაგებული, რათა 45 გრადუსით დახრილი ვაგონის მოძრაობისას ჰორიზონტალური მდგომარეობა ჰქონდეთ მიღებული. ვაგონი ელექტროდენის ძალით მუშაობს. მას ლითონის ბაგირი ეწევა. სიარულით ჩვეულებრივად მიდის, ტრამვაის ჩვეულებრივ თვლებზე დგას და თვლები კიდევ ასევე ჩვეულებრივ ლიანდაგებზე მიგორავენ. ამ ვაგონში მჯდომს, მთელი 501 მეტრის მანძილზე, რაც ზედა სადგურს ქვედა სადგურისაგან აშორებს, გეჩვენება, რომ ქალაქის მშვენიერება თანდათან უფრო თვალსაჩინო ხდება და გოლიათის სუნთქვასავით გარეშემო გერტყმის.

თბილისი კი მართლაც თავისებური გოლიათია. იგი ფენიქსია. ათასხუთასი წლის განმავლობაში, რაც ისტორიული დოკუმენტებით მტკიცდება, მრავალჯერ დამწვარ-დანგრეული და მიწასთან გასწორებული ხელახლა აღდგებოდა ხოლმე ნანგრევებიდან და კიდევ უფრო წარმტაცი ხდებოდა, ვიდრე წინათ იყო. ისე, რომ მართალს ბრძანებს სახელოვანი გალაკტიონ ტაბიძე, როდესაც თბილისს მიმართავს — შენი ხანდაზმულობა არწივის ბარტყობას მაგონებსო...

ვინაც კი თვალი შეავლო ამ ქალაქს და უმღერა კიდეც, მისდამი ისეთივე ტრფობით აღივსო, როგორი ტრფობითაც გულის რჩეულის მიმართ აღივსებიან ხოლმე.

მე უკვე მეასეჯერ დავდიოდი თბილისის ქუჩებში და აღელვებული ერთ საფიქრალსღა ვფიქრობდი: როგორ მოხდა, რომ ასე სწრაფად შემიყვარდა? შეიძლება ითქვას, რომ განსაზღვრული აზრით, ობიექტურობა ყოველთვის როდია კარგი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვიღაცაზე ან რაღაცაზე მეტისმეტად შეყვარებული ხარ. ხანდახან ობიექტურობა გულგრილობად და გულცივობად გადაიქცევა ხოლმე. ასეა თუ ისე, ადამიანის თვალსაზრისი სამყაროზე, ყოველგვარი კრიტიკული დაკვირვების დროსაც კი, სითბოსა და სუბიექტივიზმს საჭიროებს. დარწმუნებული ვარ, ყოველი კაცის ღირსების შესაქებად, თუ გსურს ქება-დიდება ღირსებათა რეგისტრში აიყვანო, საჭიროა გიყვარდეს ეს კაცი, ხოლო ყოველი მავნებლის მანკიერება (შენ შეგიძლია პირად ცხოვრებაში თავი აარიდო მათ) უფრო ნათლად გამოჩნდება, უკეთუ შენ გძულს ეს პიროვნება.

ადამიანს სიყვარულიც ათბობს და სიძულვილიც. ფასეულობის ჭეშმარიტი შეცნობისათვის აუცილებლად საჭიროა მღელვარება და ზეაწეული ტემპერატურა. თუკი კაცობრიობის ერთიან ან ნაწილობრივი განადგურების ცდას, კაცობრიობისა, რომელიც გიყვარს, ადამიანი ცივი ობიექტურობით მიუდგები, თუკი ზურგს შეაქცევ უკანასკნელი აღმოჩენებით გაზულუქებულ იმპერიალისტურ გაუმაძღრობას, ვერც ნაზი ობიექტურობის არითმეტიკა და ვერც არისტოკრატიული ზიზღი დაგანახებს საშიშროებას, მთელი თავისი დემონური ზომით. მარტოოდენ სიყვარული კულტურისადმი, სიცოცხლისადმი, ადამიანებისადმი, სითბო შენი სიძულვილისა კულტურის, ადამიანებისა და ცხოვრების მტრებისადმი წარმოგისახავს ამ საშიშროების რეალურ სახეს.

ჩვენ ხომ ადამიანები ვართ და არა ქვები, ან ხეები, თუმცა ძველ ქართულ ციხე-სიმაგრეებში მე ქვების სიმღერაც საკუთარი ყურით გავიგონე. ქალაქებში ფერების გალობას ვუსმენდი. მე ვნახე თბილისი. შევიტყე, რომ ის ათჯერ და ასჯერ ხელახლა აშენდა ყოველი დაქცევისა და უწყალო ნგრევის შემდეგ. მე შემიყვარდა თბილისი, შემიყვარდა, როგორც მის ღვიძლ შვილს. როდესაც გა-

მიელვა აზრმა, რომ წყალბადის ბომბის აფეთქებას თვალის დახამხამებაში შეუძლია მისი აღგვა პირისაგან მიწისა, შიშმა შემიპყრო და ის კიდევ უფრო შემიყვარდა. წყეულიმც იყოს ადამიანის გარყვნილი გონება, რომელსაც შეუძლია კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარი ამავე კაცობრიობის მოსასპობად გამოიყენოს! ამ ფიქრებში საკვირველი სისავსით და ნათლად დავინახე ქალაქ თბილისის მთელი მშვენიერება. მისი დაკარგვის შიშმა ბევრად უფრო მკაფიოდ დამანახა სიტურფე ამ ქალაქისა, ვიდრე ობიექტურობის ცივ თვალს შეეძლო დაენახვებინა.

რუსთაველის პროსპექტზე, დიდი პოეტის ძეგლის ახლომახლო, სახლები მიღიმოდნენ, როცა გვერდით ჩავუვლიდი, მიღიმოდნენ იმავე სასოებითა და ფერებით, რომლითაც კიდიდან კიდემდე გადაირკალება ხოლმე შვიდფერი ცისარტყელა.

მთიანეთის ქალაქები

მე რომ დაბლობებში მემოგზაურა და აღწერაც დაბლობებისა მომენდომებინა, საქმე ბევრად უფრო გამიადვილდებოდა. დაბლობი თეფშსა ჰგავს, რომელზედაც სხვადასხვა კერძის ნიმუშებია გადმოღებული. ამ ნიმუშების გასინჯვა თავისუფლად, ყოველგვარი უსიამოვნო მოულოდნელობის გარეშე შეიძლება. მოასუფთავებ და შემდეგ დაჰხედავ თეფშს, როგორც სარკეს. მაგრამ მთებთან ურთიერთობა სულ სხვანაირი ხასიათისაა. იქ უღრანი ტყეებია, ფრიალო კლდეები, ხრამები, ბილიკი გველივით მიიკლაკნება სადღაც ზემოთ. უცებ, სწორედ მაშინ, როცა არ ელი, თვალს გადაეშლება მწვანე მდელო, ან ბალახოვანი ბორცვი, რომელიც ისევე სწრაფად ქრება, როგორც გამოჩნდა. მდელოს კედლებად მთების ციცაბო კალთები შემორტყმია. შემდეგ ისევ წვრილი ბილიკი, გამჭვირვალე ნისლსა და ღრუბელში გამავალი გზა, ფრთხილი ნაბიჯები ბალახზე ან წვეტიან ქვებზე. ვიღაცას ხორბალი დაბნევია თუ განზრახ დაუთესია ბილიკის მახლობლად უპატრონოდ დაგდებული საყანე მიწა. მაგრამ მოიცათ! ეს ყანა კი არა, მთელი ქალაქია! კიდევ უფრო ახლოს მიდიხარ და ახლა უკვე გარკვევით ხედავ: ხრჩოლავენ ქარხნების მილები. პიპინებენ ავტომობილები. სახლები მზეს უფიცხებენ თავიანთ კრამიტის სახურავებს. კიდევ ერთი ნაბიჯი, ყოველივე ხელახლა თვალს ეფარება და უცხოელი მოგზაური უნებლიედ იგონებ ზღაპრებს, ოდესღაც, ადრეულ ბავშვობაში, ბებიასაგან რომ გაგიგონია.

ჩვენში ძალიან ლამაზი მთებია, როგორც, მაგალითად, ბიკაზის წყაროები, გოლიათი ოქრომჭედლის ნახელავი, ანდა ჩახლეუ, მისი პერსპექტივით აღმოსავლეთისაკენ, სადაც ზაფხულობით, თუ გამჭვირვალე დღე დაგესწრო, შეიძლება დაინახო მთებსა და ვაკეებს შუა მიმავალი სამი მდინარე, მაგრამ ეს მთები მაინც არ არის ისე მაღალი, როგორც კავკასიონისა. აზიის ამ ბასტიონის გიგანტურმა სიმაღლემ, რომელიც 5 ათას მეტრზე მეტია, ბუნებისაგან მასიურობაც მოითხოვა, ხოლო მასიურობა პეიზაჟების უსასრულო მრავალფეროვნებასა და მოულოდნელ გადასვლებს გულისხმობს, რაც ვაკისათვის საერთოდ წარმოუდგენელია, როგორც არ უნდა გვიყვარდეს იგი და როგორ ვნებიანადაც არ უნდა უმღერონ მას გოგოლმა და ოდოევსკიმ.

საქართველოში არ არის სტეპები. ის პატარა ვაკე დედაქალაქის მახლობლად, რომელზედაც რუსთავია გაშენებული, მე მთების სულის ამოთქმა მგონია. მსგავსად ალაზნის ველისა. მთებმა ერთმანეთი დაინახეს და წამით გაირინდნენ. ისინი თითქოს მზად არიან მეორე წუთს ადგილიდან დაიძრნენ და სამტ-

როდ ან სამოყვროდ ერთმანეთს მიბრჯნით მიუახლოვდნენ.

სიძველით დაღლილი რუმინული მთები, კარპატები, პატარავდებიან, იკუზებიან, ბორცვებად იშლებიან და, ბოლოს, რადგანაც ვერ პოულობენ ზღვას, რომლის ფსკერსაც ოდესღაც წარმოადგენდნენ, მიწაზე წვებიან, რათა საუკუნო ძილს მიეცნენ.

ეს გახლავთ დუნაის დაბლობი.

კავკასიონი ბევრად უფრო მაღალია და, მე მგონია, რომ თუ ის ფეხისწვერებზე ოდნავ აიწევდა, უსათუოდ დაინახავდა ჩახლეუს, რადგან შავი ზღვა, მართალია, დიდია, მაგრამ ოკეანე მაინც არ არის. კავკასიონი თავზე დაჰყურებს ზღვას, მთელი თავისი სხეულის სიმძიმით ეყრდნობა, მაგრამ, რადგანაც წინ წასვლას ვერ ახერხებს, ბედს შერიგებული ნაპირზე ჯდება. რომ შეიძლებოდეს, შველას შევთხოვდი მიხეილ ლერმონტოვს, რომელმაც კავკასიაში მეტი დრო დაჰყო, ვინემ მე და მის გამოსახავად ისეთი სახე იპოვა, რომლის ძებნაში ამაოდ დავშვრებოდი.

1837 წელს რუსი პოეტი, მისივე სიტყვებით, სამხრეთის ამ მთებში მარტოობის საპოვნელად გადმოხვეწილი, რათა მეფის თვალსა და ყურს მოშორებოდა, ნამდვილი რომანტიკოსისათვის დამახასიათებელი გატაცებით ეტრფის კავკასიონის მწვერვალების მკაცრ სიმარტოვეს და წერს ოდესღაც ამავე ადგილებში მოხეტიალე პოეტის — ოდოევსკის მოსაგონარ ლექსებს.

თუ საქართველოს ზღვის მხრიდან შემოვხედავთ, განსაკუთრებით კი გაგრიდან, რომელიც ქართული სანაპიროს ჩრდილო კიდეზე იმყოფება, შეიძლება უცნაური შთაბეჭდილება შეგექმნას და თავს ჰკითხო: „ქვეყანა სადღა არის?“ გგონია, სამყარო შენს წინ გათავდა და ამას იქით მეტი აღარაფერია.

მე ზუსტად არ ვიცი, ზღვის სანაპიროს რომელ ადგილს მოადგა იეზონი, როდესაც ოქროს საწმისის საძიებლად მოვიდა კოლხეთში. მან აქ მედეაც იპოვნა, რაც არგოსელის სიყოჩაღესა და მთის ბუნების ხუმრობებისადმი უნდობლობის გამომჟღავნებაზე მიუთითებს. ეს ბუნება ოდითგანვე დაჩვეული იყო ზღვიდან ან ვრცელი ველებიდან მოსული სტუმრების მიღებას. აბა, მიდი და სინჯე აქ ხეობებში ჩაკარგული და უღელტეხილებზე გადაჭიმული გზაწვრილებით მოსვლა! განსაკუთრებით დღეს, როდესაც საქართველო თავის სტუმრებს მოხერხებულ და სწრაფ ელექტრომატარებლებს სთავაზობს, უკვამლო მატარებლებს, და სწრაფზე სწრაფ მსუბუქ ავტომობილებს, რომლებიც მთებში თხებივით თავისუფლად და სახედრებივით თავდაჯერებულად დაიარებიან. მე მაინც მგონია, რომ იაზონი ჩვენი დროის კომფორტის გამოყენებას თუნდაც იმიტომ არ ინატრებდა, რომ მის პირად გმირობას და შარავანდედს ამ კომფორტის გამოყენება საგრძნობლად გაამკრთალებდა. მაგრამ, საბედნიეროდ, არც მე მშურს ფისი.

საიდან დავიწყოთ მოყოლა? სანაპირო ქალაქზე რა და როგორ მოგითხროთ, ასე თუ ისე, ვიცი. მაგრამ აქ სულ სხვა ამბავია.

... სადღაც თბილისის მახლობლად მე და ერთი დიდი ქართველი პოეტი სუფრას ვუსხედით და ღვინოს ვსვამდით. პოეტმა დამანახა კარგა დიდი, ძნელად მისადგომი მთა და გამომიტყდა: „როდესაც ოცი წლისა ვიყავი, სატრფოს პაემანს აი იმ ნაძვებში ვუნიშნავდი (პოეტმა თითქოს სხვათაშორის, ხელის აქნევით, დამანახა ადგილი ზედ მთის წვერზე, სადაც მართლა მოჩანდა მწვანე ნაძვები). ყოველთვის დანიშნულ დროს ვხვდებოდით ერთმანეთს, ერთხელაც არ დაგვიგვიანია. მთაზე მცხეთის მხრიდან ავდიოდით. მცხეთა ყურისძირშია...“

მცხეთა, ქვეყნის ძველისძველი სატახტო, ამჟამად პატარა ქალაქია და მაინც-დამაინც არაფრით გამოირჩევა. იგი მიმზიდველია თავისი ბუნებრივი სილამაზითა და სიჩუმით. მოგზაურებზე უფრო, რომლებიც უპირატესად თანა-

მედროვეობით არიან დაინტერესებული, მცხეთა არქეოლოგებს იზიდავს. არქეოლოგები აქ განუწყვეტლივ გათხრებს აწარმოებდნენ და წლითი-წლობით აღადგენდნენ ძველ, გაფურჩქნულ დედაქალაქს, რომელსაც —ეს კი თექვსმეტი საუკუნის წინათ იყო! —თავისი მთავარი ხუროთმოძღვარი და მთავარი მხატვარი ჰყავდა. ხუროთმოძღვარი და მხატვარი ურბანისტულ ესთეტიკას წარმართავდნენ და ზედამხედველობდნენ. ეს იმ დროს, როდესაც ჩვენ, დაკიელებმა, ის იყო დავიხსენით თავი რომაელთა ბატონობისაგან.

მე მინდა საქართველოს ჩემს მიერ ნანახი ქალაქების შეძლებისდაგვარი აღწერა ამ ქალაქების ასაკის მიხედვით დავალაგო, მაგრამ ესეც რომ არ ხერხდება?

ქუთაისი, სიდიდითა და სილამაზით საქართველოს მეორე ქალაქი, იმდენად ძველია, მეტრიკაც კი არა აქვს. მხოლოდ ახლანდელი რუსთავი, ქალაქთა შორის ყველაზე ახალგაზრდა, გახლავთ ერთადერთი, რომლის მშენებლობის ამბავს 14-15 წლის წინათ გამომავალი გაზეთების ფურცლებზე წაიკითხავ.

ქუთაისის მახლობლად არის საკურორტო ადგილი წყალტუბო. მისი ცხელი წყაროები დიდი ხანია ცნობილია და თვით წყალტუბოსაც უხსოვარ დროს ჩაყრია საფუძველი. და მაინც, მიუხედავად ამისა, ყველაფერი, რასაც აქ დღევანდელი მოგზაური ხედავს, ახალი აშენებულია, უპირატესად საბჭოთა ხელისუფლების დროს. თვითეული სანატორიუმი სტილის დაცვით არის აგებული. დიდხანს ვუყურებდი ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს სანატორიუმს, მოგრძო შენობას, რომელსაც მომრგვალებული, შეზნექილი ფასადი აქვს. მას თითქოს შენობის წინ გაშლილი ბაღნარის გულში ჩახუტება მოუწადინებია. სანატორიუმი მშვენიერი ქართული სტილით აუშენებიათ ორი წლის წინათ. იგი ოდნავ მოდერნიზებულია. მთავარი კორპუსის ორი ზედა სართული 33 მაღალი ლოჯით არის დამშვენებული. სახურავის ქობას საიმედოდ იჭერს ციხე-სიმაგრის დაგბილული ქონგურები —ქვისაგან ფაქიზად გამოკვეთილი ვაზის ფოთლები.

საქართველოში იშვიათად შეხვდები ერთიმეორეზე მხარი-მხარგადაჭდობილ სახლებს, მაგრამ თბილისში, აგრეთვე ქუთაისში, ერთიმეორის გვერდით მდგომ შენობებს მაინც შეხვდები. აქ, წყალტუბოში, სადაც დიდი სიცხე იცის, რადგანაც ეს სიცხე არამარტო ზემოდან აცხუნებს, არამედ ქვესკნელიდანაც, შენობები საგრძნობლად შორი-შორს დაუდგამთ, იქნებ იმისთვისაც, რომ გული მოაჯერებინონ ერთმანეთის ცქერით. ბოლოსდაბოლოს, წყალტუბო ქალაქი-სანატორიუმია. აბა, რა სანატორიუმი იქნება, თუ ადამიანმა შიგ სიამოვნება არ იგრძნო.

სამკურნალო თბილი წყლის სადღეღამისო ნორმა 23 მილიონი კუბმეტრით განისაზღვრება. იგი დედამიწის ყოველი კუთხიდან იზიდავს სხვადასხვა ავადმყოფობით დაავადებულ ადამიანებს. ეს ხალხი ხომ არ უნდა გაისრისონ მჭიდროდ დასახლებული ქალაქის სივიწროვეში! და ისიც სად? სადაც ადამიანები სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოდიან.

პატარა ქალაქ წყალტუბოს თანამედროვე მშენებლებს ჩინებულად გაუთვალისწინებიათ ეს გარემოებაც. წყალტუბო ყველა სხვა კურორტისაგან გამოირჩევა ქორფა სიმწვანით, რომელიც შორი-შორს გაბნეულ შენობებს შორის ხასხასებს, და სამკურნალო წყლების სიუხვით. სააბაზანოში წყალი განუწყვეტლივ მოედინება და წამითაც კი არ ჰკარგავს თავის მუდმივ ტემპერატურას. აქ მარტო ეს წყალი რომ ყოფილიყო, რევმატიზმით თუ იშიაზით დაკრუნჩხული ადამიანები მაინც განიკურნებოდნენ, ისევე, როგორც შორეულ წარსულში. მაგრამ ახლა აქ წყლის სამკურნალო თვისებებს თანამედროვე მედიცინის გამოცდილება ემატება. ერთი დღე-ღამის განმავლობაში სხვადასხვა სამედიცინო დანადგარის

საშუალებით სამიათას ხუთასზე მეტი პროცედურა კეთდება. მე ვნახე ძალიან რთული სპორტული დარბაზები (ვარჯიში წყალშიაც ტარდება, აბაზანის მიღების დროს), ვნახე ათასნაირი აპარატი და მოწყობილობა, მაგრამ არასპეციალისტი და ისიც ჯანმრთელი ყოველივე ამას ვერაფერს გაუგებ.

ერთ-ერთი სანატორიუმის მთავარმა ექიმმა მითხრა, რომ წყალტუბოში ყოველდღიურად 5 ათასი კაცი შეიძლება მკურნალობდეს. წყლის დიდი მარაგი ჯერ კიდევ გამოუყენებელია. როდესაც მთელი არსებული რესურსები ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში ჩადგება, მაშინ დღე-ღამის განმავლობაში ათას ხუთასზე მეტი პაციენტი შესძლებს მკურნალობას.

წყალტუბოს წყაროები ხელახლა აღმოაჩინეს ჩვენს დროში, მაგრამ ეს ადგილი წყალტუბოდ ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში იწოდებოდა. მეთორმეტე საუკუნის დოკუმენტები ამბობენ, რომ თამარ მეფის მეომრები აქ ომში მიღებულ ჭრილობებს იშუშებდნენ. აქაური წყაროების თბილი წყალი მგონი ყველა ნივთიერებას შეიცავს, რაც კი ავადმყოფის სრული განკურნებისათვის არის საჭირო. მედიცინის მონაპოვრებით აღჭურვილ ექიმებს წესრიგში მოჰყავთ ეს ბუნებრივი პროცესი და კიდევაც წარმართავენ მას.

თვით წყალი უფერულია. არც სუნი აქვს, არც გემო, და, რასაკვირველია, როგორც ყოველგვარი წყალი, გამჭვირვალეა. ტემპერატურა +36 გრადუსი. როდესაც წყალს ზემოდან დავჩერებოდი და შიგ ხელს ვაჭყუმპალებდი, მიკვირდა, საიდან და როგორ აქვს მას ეს სამკურნალო თვისებები. ზემოთ მგონი უკვე ვთქვი, რომ ქიმიკოსი არა ვარ, მაგრამ ამჯერად მაინც არ ძალმიძს ცთუნებას გავუძლო და არ აგიწეროთ ამ საზოგადოებრივი ბალზამის კომპოზიცია (ეჰ, დონ კიხოტს რომ ჰქონოდა თუნდ ერთი ვედრო ეს წყალი იმ თავისი ბალზამის მაგივრად, რომლის სასწაულმოქმედება ისე ძალიან სჯეროდა!), ის მაინც, რაც დღემდეა გაშიფრული: ნახშირორჟანგი, კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, სილიციუმი, რკინა, ქლორი, ბრომი და იოდი. ყველა ამ მინერალური ჯადოს გარდა, წყალს კიდევ რაღაც რადიოაქტიური ძალა აქვს.

როგორი აღტაცებულიც არ უნდა იყოს კაცი ნანახ-გაგონილით, მას ადგილის მონაცვლების დაუძლეველი სურვილი ებადება. აქ სასწაულები მზისქვეშ, მოჯადოებულ წყალში ხდება. სადღაც ჰქრებიან ყავარჯნები და საკაცეები. გუშინდელი კუტები და დავრდომილები ცეკვას იწყებენ. მაგრამ მე პირადად მთები მომენატრა. ისინი არ ჩანან.

წყალტუბოდან გელათს გავემგზავრე ის აქ ახლოსაა. გზაში პირველად იყო, რომ მთებს მხოლოდ ცისკიდურზე ვხედავდი. გზა დიდხანს ჰორიზონტალური გეჩვენება, მერე მანქანა ხომალდივით აჰყვება და დაჰყვება ტალღისებურად აზიდულ ბორცვებს: მთები შორიდან თავიანთ ელჩებს აგზავნიან. ეს საკმაოდ განიერი ველი მთათა თოვლიანი კალთების შორეული მისადგომებია. უნდა გითხრათ: უცხო კაცის თვალს ვაკე ეჩოთირება ამ მთა-გორიან ქვეყანაში. დაკლაკნილი გზის მარჯვნივ უკვე ვარჩევ აქლემების ქარავნებივით ერთიმეორეზე წაბმულ ქედებს. აქ დასავლეთის მიმართულებით მიედინება მდინარე რიონი. ამ მხრივ ის განსხვავდება საქართველოს სხვა მდინარეებისაგან. რომლებსაც გეზი აღმოსავლეთისაკენ აქვთ აღებული.

თვით ქუთაისი არ ჩაითვლება მთის ქალაქად, მაგრამ ვერც იმას იტყვი, ბარის ქალაქიაო. ყველა ძველ და დიდ ქართულ ქალაქთაგან, რასაკვირველია, გარდა ზღვისპირა ქალაქებისა, ეს მგონი ერთადერთი ქალაქია კოლხეთის დაბლობზე, რომელსაც თავი მაღალი მთების ძირას შეუფარებია. იგი თბილია, მე ვიტყოდი, ცხელიც, რადგან ივლისში, როცა იქ ვიყავი, ასე მეგონა, სიცხე უკან დამდევდა და ხშირ ჩეროშიაც კი არ მასვენებდა. მდინარე რიონი ვოლტებისა

და ამპერების მთელ ცენტნერს აწვდის ჰიდროელექტროსადგურებს და იმის ღონე კი აღარ ჰყოფნის,- რომ ქუთაისს სიგრილე მიაწოდოს. მზის მცხუნვარეებას, ალბათ, მახლობელი წყალტუბოს ცხელი წყაროების ფუხფუხიც აძლიერებს.

აქ სინათლე უფრო კაშკაშაა, ვიდრე თბილისში, რასაკვირველია, განედის წყალობით, რაც სავსებით არაჩვეულებრივი რამაა ჩვენი ქალაქებისათვის. ქუთაისის ქუჩები, თითქმის ყველა, პროსპექტებია. ამის გამო ქალაქი დიდი მეჩვენება, თუმცა მისი მოსახლეობა არც კი აღემატება 150 ათასს.

ქუთაისის სილამაზეს საშუალო სიდიდის სახლები ქმნიან. თვითეულ ლამაზ სახლს მასიურობას მატებს სივრცე და მწვანე მცენარეულობა, ქალაქში რომ ასე უხვად გაუშენებიათ. საქართველოს რომელიმე სხვა ქალაქში კაცმა შეიძლება ვერც კი ნახოს ამდენი სიმწვანე. იგი გავიწყებს თვით სულის შემხუთველ სიცხესაც კი და მზის სხივებზე აელვარებული თვალებს გიბრჭყვიალებს. ხანდახან, ხეების ლაბირინთებად ქცეულ ქუჩებში გავლისას, გეჩვენება, რომ ტყეში შეხვედი. ერთმანეთს გადახლართვიან პალმები და კვიპაროსები, ცაცხვები და თელები. მაგრამ ზემოთ აიხედავ თუ არა, უმალ დაინახავ: ფოთლებსა და ფოთლებს შუა დაგყურებენ სხვადასხვა სიმაღლის სახლები. დაგყურებენ და თვალს გაყოლებენ.

არა, შენ ტყეში როდი ხარ! ეს ყოვლად თანამედროვე სამრეწველო ქალაქია, სადაც ავტომობილებს აკეთებენ. ქუთაისის ავტოქარხანა უკანასკნელი ომის შემდეგ აშენდა. იგი ძირითადად რესპუბლიკის რეზერვებს იყენებს და შესანიშნავ სატვირთო ავტომანქანებს უშვებს. ქარხნის მრავალი საწარმოო პროცესი ავტომატიზებულია. ზედმეტი არ იქნება, ნათქვამს ისიც დავსძინოთ, რომ ქუთაისში ყველაზე საუკეთესო ქართული აბრეშუმი იქსოვება.

აი, მე გავცდი ე. წ. ქუთაისის ვაკეს, და უკვე ხელახლა მომიტაცეს მთებმა. მანქანა სადღაც სამხრეთისაკენ მიმაქანებს. გზა თანდათან ზემოთ და ზემოთ იწევს. ერთ ადგილას, მგზავრობით ცოტა ენ იყოს პოქანცულებმა და მოშივებულებმა, ბალახზე დავისვენეთ პურის საჭმელად. როგორ მეამა ყველაფერი! დიდი რესტორნების ელეგანტური კომფორტი აბა ამას როგორ შეედრება! აქ ჰაერიც არის, სუფთა და გამჭვირვალე, სინათლეც. მთებიც და სანახაობაც. ვის უნდა აქ ან ქათქათა სუფრა და ან დანა-ჩანგალი! მსგავსი სიამოვნება შინაც, ვინ მოსთვლის, რამდენჯერ განმიცდია, როდესაც ფაგარაშისა და ნიამცის მთებში საბოგზაუროდ წავსულვარ. ასევე უბრალოდ დადიოდა იქ ხოგაშიც. ამ ფაქიზი სულის მწერალმა და ადამიანმა, რომელმაც სახელი მშობლიურ მთებში მოგზაურობათა აღწერილობით გაითქვა, სხვებზე უკეთ გაიცნო შემდეგ ჩემს მიერ განცდილი სიამოვნებანი. როდესაც ნიამცის მთებში, ნიკიტისაკენ მიმავალმა კალისტრატე ხოგაშმა ერთი გლეხისაგან ახლადდაჭერილი კალმახი იყიდა, იქვე შეწვა გავარვარებულ კრამიტზე, გამომშრალი პური მიატანა, მერე თავქვეშ ჩვალოს ტომარა ამოიდო და თვალის მოსატყუებლად მიწვა ხის ჩრდილში და აუწერელი სიამოვნებით წაილაპარაკა: „აი, რა ადვილია, ბედნიერი გახდე... მხოლოდ იმ პირობით, თუ შენს ბრძნულ სიგიჟეს სხვათა უჭკუო სიბრძნეზე არ გასცვლი“.

მოინახულეთ მთები და მაშინ დარწმუნდებით, თუ რა ბაჯაღლო სიმართლეს ბრძანებდა კალისტრატე ხოგაში.

სხვა დროს, მთებში ქალაქის ძებნისას, ბორჯომში აღმოვჩნდი. იგი ძალიან წააგავს ჩვენს სინას, განსაკუთრებით კი მის: იმ უბნებს, - რომლებიც ფურნიკის მთის დასაწყისსა და პელეშის ციხე-დარბაზს შორის არის მოქცეული. აქ, ბორჯომში, წყაროსთან დავლიე სახელგანთქმული წყალი, რომლის ფასი ერთად აღებულ რამდენიმე კლინიკას იყიდის. წყაროს წყალი ცოტა თბილია და უგაზო. ბოთლებში ჩასხმისას ოდნავ გაზავენ და მაშინ კი, მის დალევისას, გრძნობ, რომ ნამდვილად ლასწაულებრივ წყალსა სვამ.

მნიშვნელობა შეიძლება იმასაც აქვს, რომ ყოველი ბოთლის ეთიკეტზე ავტორიტეტულად და შთამაგონებლად არის ჩამოთვლილი ყველა მარილი, რომელიც ამ წყალს მიწის წიაღიდან ამოუტანია: ქლორი, ბრომი, იოდი, სულფატები (მკითხველი, ალბათ, ახლაც შენიშნავს, რომ ქიმიისაგან შორს მდგომი კაცი ხარბად ვიჭრები ქიმიის სამფლობელოში), ბიკარბონატები, ლიტიუმი, ნატრიუმი, კალიუმი, ამონიუმი, მაგნიუმი, კალციუმი, სტრონციუმი, ბარიუმი და რკინა...

ყოველივე ამას სულის მოუბრუნებლად ვერც კი ჩამოთვლი. აქ თითქმის მთლიანადაა წარმოდგენილი მენდელეევის პერიოდული სისტემა! რამდენად ადვილია ბორჯომის წყლის დალევა...

ბორჯომში ორი დღე დავყავი, აბ წყალს ვსვამდი და ისე გემოზე დავისვენე, მიკვირდა კიდევაც — ნუთუ ოდესმე მიმოგზაურია და დავღლილვარ-მეთქი. რა გასაკვირია: ბუნების სიმშვენიერე ადამიანს მხნეობას მატებს.

თბილისიდან ავტომანქანით წამოვედით. როდესაც მანქანა ბორჯომის ხეობას უახლოვდებოდა, ხეობიდან ტყით შემოსილი მთები გამოვიდნენ და ერთბაშად გულში ჩაგვიხუტეს. გზას მეგზურივით მოსდევდა მტკვარი. მე შოფერთან ვიჯექი და წინ, ვერ დავმალავ, შეშფოთებული ვიყურებოდი: სად მივყავდით ნეტავ ამ გზას და ამ ხეობას? მთლიანად ცაც კი აღარ მოჩანდა. მთები და მხოლოდ მთები. მთები და კლდეები თავზედაც დაგვყურებდნენ. გზას თვალი გავაყოლე და იქ უცებ დავინახე ჭუჭრუტანა. რომელიც თანდათანობით ფართოვდებოდა .მერე ისევ ზევით ავიხედე. ცა კვლავ დამალული იყო. შოფერმა მითხრა, უკვე ბორჯომში ვართო.

წინ მართლაც მთას მუხლზე შემოესვა პატარა ქალაქი, რომელიც მშობელს ეალერსებოდა და მის მკერდზე აბობღებას ლამობდა.

მეორე დღეს გეზი ბაკურიანისაკენ ავიღეთ- აქ უკვე სხვა მთები იყო. გზა სამხრეთისაკენ მიიკლაკნებოდა და მკვეთრ მოსახვევებში ზევით-ზევით იწევდა.

ნისლში გახვეული მთები აქ მოურიდებლად აჩენდნენ თავიანთ გეოლოგიურ შიგნეულობას, თითქოსდა ამით მოგზაურის შეშინებას აპირებენო. მაგრამ გზა კარგად იყო გამაგრებული, შოფერს კი მანქანა ოსტატურად მიჰყავდა. ყოველ ნაბიჯზე მოჩანდნენ ძველი ციხეების ნანგრევები. გზა ხანდახან შუაზე გახლეჩილ კლდეში შედიოდა, და მე ყოველთვის როდიღა ვამჩნევდი, რა იყო აქ კაცის ნახელავი და რა კიდევ ბუნების მიერ შექმნილი. კლდეები ძალიან წაგავდნენ ციხეებს, ციხეები კი — კლდეებს.

სიცოცხლის სუნთქვას მოკლებული უკაცრიელი გზა ნაღველის მაგიერ სიხარულს ბგვრიდა. აქეთ-იქით მოჯადოებული ვიყურებოდი. მავიწყდებოდა, რომ ავტომობილში ვიჯექი, მავიწყდებოდა თანამგზავრები, მავიწყდებოდა თვით გზაც კი, რომლის დანახვა ახლა უკვე აღარ შემეძლო ამდენი მისახვევ-მოსახვევის გადამკიდე. გზაზე სულიერი არ ჭაჭანებდა. მე იმასაც კი ვფიქრობდი: ამ გეოლოგიურ პეიზაჟში ოდესმე გაევლო კი რაიმე ცოცხალ არსებას? და უცებ, ქედის ზურგზე, იქ. სადაც მხოლოდ არწივები იკეთებენ ბუდეს, ტყეებსა და კლდეს გამოეყო სანატორიუმის მაღალი, ღიმილიანი შენობა, რომელიც რბილ, დამამშვიდებელ ფერად იყო შეღებილი.

ასეთივე გრძნობა დამეუფლა, როდესაც საქართველოს სამხედრო გზაზე მივდიოდი. სამხედრო გზა ხომ თბილისში, დიღმის ჩასავალთან იღებს სათავეს. სტრატეგიული მნიშვნელობის უძველესი გზა ახლა გუდრონით მოკირწყლული მშვენიერი გზატკეცილია. მისი ათასწლოვანი სამხედრო ტრადიცია გუდრონის ასადუღებელ ქვაბებში გამდნარა და ახლა ისტორიულ ეკზოტიზმად გეჩვენება.

ვზა ერთხანს მტკვრის პარალელურად მისდევს ხეობას. რაც უფრო შორს მიდიხარ და თბილისს შორდები, წინ და აქეთ-იქით ამოზიდული მთები მით უფრო გერტყმიან გარს და გიპყრობენ. მთის წკერიდან, რომელიც არაგვისა და

მტკვრის შესართავს ზემოდან დასცქერის, მშვიდობით მგზავრობას გვისურვებს ჯვარი. ცოტა იქით, ვიწროში, წყალქვეშ ძველი ხიდის ბურჯები მოჩანს. მას, გადმოცემის მიხედვით, პომპეუსის ხიდს ეძახიან (შესაძლოა, ხიდი მაშინ აშენდა, როდესაც პომპეუსი მითრიდატეს დაედევნა?). უკან რჩება მცხეთა, საქართველოს ძველი დედაქალაქი. მონასტრები და ციხე-სიმაგრეები ერთიმეორეს მისდევენ საწინააღმდეგო მიმართულებით. ისინი ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი: სვეტიცხოველი, სამთავრო, ბებრისციხე, ანანური...

სამხედრო გზა მთებისაკენ იწევს და შემდეგ უკვე მთებში მიემართება. მთები. ტყეები. ჩრდილი. უკაცრიელი გზა და უცებ — ადამიანი! საიდან? სად მიდის? ზომიერი ნაბიჯით მოაბიჯებს. ეტყობა, წინ შორი გზა უდევს. ხეირიანად თვალის შევლება ვერც კი მოვასწარი. ის ერთბაშად დაიკარგა თვალთაგან. რომ გამეჩერებინა და მეკითხა. საით გაგიწევია-მეთქი, ჩვენებური მთიელივით შეტყობდა, აგერ მივდივარო, თუმცა, ვინ იცის, იქნებ წინ კიდევ ოცდაათი კილომეტრი გზა ჰქონდა გასავლელი. დამაგვიანდა. მგზავრი უკვე მოეფარა კლდეს.

ადგილ-ადგილ გზას წუხანდელი წვიმით ადიდებული ნაკადულები ჰკვეთენ. ხიდების გადება აქ შეუძლებელია, რადგან, სულერთია, გაზაფხულზე წყალი მოვარდება და წაიღებს. წყალში მანქანა ფრთხილად უნდა გავიდეს. ყოველ წამს მოსალოდნელია საბურავების აცურება, მაგრამ მანქანის საჭე საიმედო მარჯვენას უჭირავს. ისე რომ, საშიში მაინცდამაინც არაფერია.

ამ ნაკადულების გამო სიჩქარე ძალზე ეთანაბრო ხდება. ხან ასი კილომეტრით მივქრიოვართ და ხან კიდევ ცხენშებმულ ფორანივით მივჯაჯაყებთ. სიჩქარის უეცარი ნომატების დროს მანქანის სამზერ მინას უცაბედად ჩიტი, მგონი, ბელურა დაეტაკა. სუსტი ჩქამი და ფრთაგაშლილი ჩიტის ძირს დავარდნა ერთი იყო. ეს ერთი ჩიტი გახლდათ იმ აუარებელ ფრთოსნებისაგან, რომლებიც საქართველოს მთასა და ბარში დაფრინავდნენ. მაგრამ შოფერს მაინც წყენის ჩრდილმა გადაჰკრა სახეზე. მანქანა შეაჩერა და გადავიდა. ჩვენც გადავედით. იქნებ კიდევ შეიძლებოდა, საბრალო ჩიტუნასათვის რაიმე გვეშველა. მაგრამ უკვე დაგვგვიანებოდა — ჩიტი მომკვდარიყო. ამ შემთხვევის შემდეგ, შოფერს კარგა ხანს ხმა არ ამოუღია.

განვაგრძეთ გზა. მთებმა თავის მოყრა დაიწყეს. ახლოვდებიან... მე ოდნავადაც არ გამიკვირდებოდა, ახლა რომ დამენახა მთები, რომლებიც ერთმანეთს თავს ახეთქებენ, საიდანაც გამოდის ცხენი ხარაპ ალბა და საიდანაც წითელი ბეფის ასულის მსახურები ცოცხალ წყალსა და მკვდარ წყალს ეზიდებიან. ო, ნეტავი კი გვეპოვნა ერთი ისეთი წყალი საბრალო მკვდარი ჩიტის გადასარჩენად!

როდესაც საქართველოში მივდიოდი, მინდოდა იქ ისე ჩავსულიყავი, რომ ბევრი რამ წინასწარვე მცოდნოდა. გადავიკითხე სხვადასხვა გეოგრაფიული ნარკვევები, ვიშოვნე ფოტოები, ჩავუკირკიტდი რუკას. ჩემი მეხსიერება სახელწოდებათა კატალოგად იქცა. მაგრამ როგორც კი ამ თავბრუდამხვევ პეიზაჟებში მოვხვდი, გავიგე, რომ ძალიან ცოტა. თითქმის უმნიშვნელო რამ ვიცოდი ამ ქვეყნის ბუნების შესახებ. ბუნებამ, როდესაც მდინარეების და ნაკადულების, მთებისა და დაბლობის სახე მიიღო, როდი იზრუნა თავისთავი ამა თუ იმ სახელებითაც შეემკო. მან საქმე ისე მოაწყო, რომ ყოველივე ადამიანის თვალს აერეკლა და შეეფასებინა. განა სხვა თვალს ძალუძს აირეკლოს და შეაფასოს ბუნების მშვენიერება?

მე ყველაფერი წაკითხული მქონდა იმის შესახებ, რასაც ახლა ვხედავდი, განა მარტო წაკითხული, წარმოდგენილიც კი ფოტოების მიხედვით, მაგრამ ადგილზე მისული ვერაფერს ვეღარ ვცნობდი.

გავყურებ ამ ხეობებს და გული გამალებით მიცემს. აქ ხომ, სადაც ჩვენი მანქანის თვლები ეხებიან მიწას, ბუცეფალსაც დაუდგამს ფეხი...

განა არ ვიცი: ისტორიკოსები უსათუ-

ოდ შემომედავებიან, მაკედონელს აბა აქ რა უნდოდაო, მაგრამ მე მაინც მწადია ალექსანდრე დიდის სახე გამოვიწვიო ამ მშვენიერ ალაგებში, რომლებიც ასე უდაბურად გეჩვენება, ვიდრე მათს წიაღში შეხვიდოდე და საიდუმლოს ფარდას ახდიდე.

ესეც უნდა ვთქვა: როგორც კი კაცი საქართველოს მთების მოშინაურებას დაიწყებ, სიცოცხლეც იმ წამსვე გაგიღებს თავის სალაროს. ამ მთებში და კლდეებზე უამრავი არჩვი და შველი დახტის, ნიკოლოზ ლაბაშის მიერ ქებაშესხმული არჩვი და შველი, რომლებიც ასე უყვართ ქართველებს. ფერწერის ერთ-ერთმა უდიდესმა ქართველმა ოსტატმა, თანამედროვემ, შვლის გამოსახულება ეშბლემად გაიხადა. შველი ძალიან ხშირად გვხვდება მის სურათებში. ეს მხატვარი ლადო გუდიაშვილი გახლავთ.

მაგრამ ცოცხალი ჯიხვების, არჩვების და შვლების გარდა, აქ ადგილ-ადგილ უძირო ხრამების პირას დადგმულ მათ უზარმაზარ ქანდაკებებსაც შეხვდები. ერთ-ერთი მათგანი თითქმის ბუნებრივი ფერისაა. იგი მოყვითალო-მოწითალო ტუფისაგან გამოუქანდაკებიათ. ქვის ჯიხვი ყურებდაცქვეტილი გადმომდგარა კლდის ქიმზე და ყურს უგდებს წყლის ჩხრიალს, ან რომელიმე სხვა ხმას, რაც მის სმენას სწვდება, ჩემს სმენას კი არა.

ალფრედ დე ვინი, როდესაც როლანდზე წერდა, ალბათ, პირინეის ჯიხვებს იგონებდა:

ჯიხვი, შიშნაჭამი, ნაცვლად იმისა,
რომ მტერს დაემალოს,
ზე ეკიდება წვერსა კლდისასა.

მე არა მსმენია როლანდის საომარი თუ სანადირო რქის ღრიალი, მაგრამ დე ვინის ლექსმა ხიდი გამიდო კავკასიის მთებსა და პირინეებს შორის. პირინეებში ცხოვრობენ ბასკები, დღესდღეობით ერთადერთი ხალხი დედამიწის ზურგზე, რომელიც ქართველებს ენათესავება. იქნებ ამიტომაც ამიტანა თრთოლვამ ნამდვილი და ქვის ჯიხვების დანახვისას. მათ ხომ ერთმანეთისაგან ვერ განასხვავებ მანქანის სწრაფი სრბოლის დროს!

მთები კახეთშიაც ვნახე. ქვის ჯიხვები იქაც იდგნენ გზებზე, მაგრამ კახეთის პეიზაჟი სულ სხვანაირი იყო, არა ალპური, არამედ, პირიქით — მთები დაბლობებს ელჩებს უგზავნიდნენ მრგვალ-მრგვალი ბორცვების სახით, რომლებზედაც ვაშლები ღაღანებდნენ, ანდა ვენახი ეფიცხებოდა მზეს.

მთავარი ქალაქი კახეთისა არის თელავი. თელავის პატარ-პატარა, ირიბი ქუჩები ისე მდიდარი არ არის მცენარეულობით, როგორც, მაგალითად, ქუთაისის ქუჩები და მოედნები, მაგრამ ქალაქს სიმწვანე მაინც არ აკლია, როგორც საზოგადოდ ყოველ მთა ადგილზე გაშენებულ ქალაქს საქართველოში. აქ მე მომეჩვენა, რომ პიატრა-ნიამცში ვიმყოფებოდი, თუმცა სულ სხვანაირი არქიტექტურული აღნაგობის მქონე თელავი სავსებით თანამედროვე ქალაქი გახლავთ. იგი განთქმულია თავისი აბრეშუმით და, რაც მთავარია, ყურძნითა და ღვინით. მსგავსად საქართველოს სხვა დაბა-ქალაქებისა, მას აქვს მუზეუმი და მოგონებების გრძელი ჯაჭვი. მაგრამ თელავზე, პაწაწინა, თითქმის მინიატურულ, ლამაზ ქალაქზე მე მეტს არაფერს ვიტყვი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თელავი, კახეთის ეს ძველი სატახტო, მთელ კახეთთან ერთად ალაზნის ველის კმაყოფაზეა.

ალაზნის ველი ჩემს თვალწინ უეცრად გადაიშალა და, შეიძლება, ამითაც უფრო დამატყვევა. ალაზნის ველი მთის ხეობიდან იწყება. მე იმ ხეობის ყელში შევჩერდი და კარგა ხანს მანქანის სარკმლიდან გავყურებდი ალაზნის ველს. ხეობიდან გამოსვლისთანავე იგი კორდს უკან დაგვემალა, რათა შემდეგ ისევ ამოტივტივებულიყო მთელი თავისი სიდიადით და მომხიბლავი ფერების ლივლივით.

სიგრძე ალაზნის ველს 160 კილომეტრი ჰქონია, ხოლო სიგანე ალაგ 20, ალაგ 25 და ალაგ 30 კილომეტრი. მისი დანახვა რომ ხეობის ფანჯრიდან ან გზიდან შეიძლებოდეს, უფრო ლამაზს რას იხილავდა კაცის თვალი. მთლიანად იგი ზემოდან მოსჩანს და ერთბაშად

იპყრობს მნახველს თავისი ფერებით, უსასრულო სივრცითა და ნაყოფიერებით, რასაც აგრონომიაში მთლად ჩაუხედავი მოგზაურიც კი გამოიცნობს. მე არ დამჭირვებია, —„გეორგიკის“ ავტორი ვყოფილიყავი, სასოფლო-სამეურნეო ცოდნით აღჭურვილი პიროვნება, ან კიდევ უდიდესი ტალანტით დაჯილდოებული ვინმე, რათა გამეგო, თუ ძველთაგანვე რისთვის აღმერთებდნენ ალაზნის ველს. მანქანა დიდი სისწრაფით მიჰქროდა გზატკეცილზე. ის ჯერ ღრმად შეიჭრა მთის სიღრმეში, ხოლო შემდეგ, თითქოსდა შეშინებია თავისივე მოძრაობისო, აღმართ-თავდაღმართებს მორიდებულად გაჰყვა, იქ კი მთები მისწიმოსწია და ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა. იმ წამს მე ერთბაშად და მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, მთელი ფერადოვნებით დავინახე წუთის წინ უხილავი ალაზნის ველი. ველზე ღიამწვანე, ყვითელი და რუხი ფერები მოსჩანდა. შორეთში ჰაერი არბილებდა ამ ფერებს და მაცქერალს გიჭირდა იმის დაჯერება, რომ ფერთა მოკრძალებულ სიმკრთალეში ჭირნახულის გასაოცარი სიმდიდრე იყო ჩაქსოვილი. ამგვარი სიმდიდრის მოტანა მხოლოდ მითიურ ნაყოფიერებას შეუძლია. ყურძნის მტევანი ყოველთვის ნაზი და გამჭვირვალე ფერისაა. მაგრამ რა ძალა იბადება მის წვენში, რომელიც შემდეგ ღვინოდ უნდა გადაიქცეს!

ყველაზე საუკეთესო, ღვთაებრივი ღვინო — წინანდალი (ზემოთაც ვთქვი), ალაზნის ველზე მოჰყავთ. რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ უკვე წინანდალში ვიყავი, იყალთოს აკადემიის მეზობლად, სადაც რუსთაველი იწვრთნებოდა. დავისვენე მთისა და ბარის პეიზაჟში, წინანდლის მომხიბლავ ბაღში, რომელიც გამოცდილ მებაღეებს საბჭოთა მეურნეობის მახლობლად დიდი ხნის წინათ გაუშენებიათ. აქვე გამასინჯეს ადგილობრივი ღვინოების ჭაშნიკი. ერთი წუთით ბოდიშს მოვითხოვ მკითხველის წინაშე: წინანდალზე ცოტა მოგვიანებით ვილაპარაკებ, რადგანაც „წინანდალი“ უფრო ღვინო № 1-ია, ვიდრე ის ბაღი, სადაც მე დავისვენე, ღვინო, რომელზედაც შესანიშნავი მეღვინეების სტუმარმა გამოცალკევებულად და ისიც ლიტურღიით, ან ჰიმნით უნდა ილაპარაკო.

საქართველოში ბევრი ქალაქია. ყველა ამათგანი თავისებურებით გამოირჩევა, როგორც, მაგალითად, ზუგდიდი ან მახარაძე, მაგრამ მე არ მინდა მოგზაურობის შთაბეჭდილებები დავამძიმო ყოველივე იმით, რის მოყოლაც გეოგრაფს ან სტატისტიკოსს მართებს.

ახლა მინდა მოგითხროთ იმ ქვეყნის უახალგაზრდავეს ქალაქზე, რომელთან შედარებით ყველა დანარჩენი ქალაქი უფრო ძველია, ე. ი. რუსთავზე. ის ჯერ თხუთმეტი წლისაც არ არის და ათასხუთასწლოვანი თბილისიდან სულ ნახევარი საათის სავალზე მდებარეობს.

ქალაქის შესასვლელთან, მთავარი გზატკეცილიდან როგორც კი გადაუხვევ, ორ მაღალ, ტყუპ ძმასავით ერთმანეთთან მიმსგავსებული სახლი შემოგხვდება. ისინი აქ გუშაგებივით დგანან, ორი ახალგაზრდა და ლამაზი მასპინძელი, რომლებიც სტუმრების შესახვედრად სახლის ზღურბლზე გადმომდგარან. ქალაქის ყველა შენობის სტილი არსებითად ქართულია, მაგრამ თვითეული მათგანი ჩვენი დროის კომფორტის მოთხოვნილებების ახალი ელემენტებით არის შევსებული და დასრულებული, თანაც ეროვნული ფორმების ყოველგვარი გაუბრალოების გარეშე.

ის გარემოება, რომ ტრიალ მინდორზე გაშენებული ქალაქი სიმაღლეში არ იზრდება (არც არის საჭირო!), აქაური გეოგრაფიითა და ისტორიული ტრადიციებით არის განსაზღვრული. აქედან არცთუ ისე შორს აღმართულა მთები. საქართველოს პეიზაჟისათვის დამახასიათებელი ციხე-სიმაგრეები და მონასტრებიც მრავლად არტყია გარს რუსთავს. მათი გავლენა არამცთუ თბილისს, თვით ყველაზე უფრო ახალგაზრდა ქალაქს, რუსთავსაც კი ამჩნევია. მისი ყოველი კოშკი, თაღი თუ ცოკო-

ლი ამ ადგილების გეოგრაფიას და ისტორიას ეთანხმება.

რუსთავში 60 ათასი მოსახლე ცხოვრობს. ამათ თავიანთი ქალაქი ვაკეზე გაუშენებიათ, სადაც, თქმა არ უნდა, დიდი სიცხეები იცის, მაგრამ ადამიანის გამრჯე ხელმა აქ იმდენი მცენარეულობა გააშენა, თანაც წყობისად და სტილის დაცვით, რომ ჰავა უსათუოდ დამორჩილებული იქნება. ხეები ჯერ კიდევ ნორჩია, მაგრამ მალე აქ უღრანი ტყე აშრიალდება. რუსთავის ურთიერთპერპენდიკულარული, სწორი ქუჩები მწვანე ხეივნებს წარმოადგენენ. როდესაც ამ ქუჩებში დავსეირნობდი, თანდათან მოუსვენრობა მიპყრობდა: სად გაქრნენ, თავიანთი მიხვეულ-მოხვეული გზებითა და ბილიკებით, ასევე ერთმანეთში გადახლართული წვრილ-წვრილი ქუჩები, ჩიხები და შესახვევები სხვა ქალაქებისა? აქ უზარმაზარი მეტალურგიული ქარხანა დგას. ქარხანაში აგუზგუზებულ ჯოჯოხეთის ცეცხლს, რომელიც კაცობრიობის სამსახურშია ჩაყენებული, ადამიანები განაგებენ. ადამიანები ფუნიკულორის ტრამვაის მაგვარი გრილი კაბინებით დასცურავენ სახურავის ქვეშ და საამქროებს ყოველი მიმართულებით სერავენ.

აღრე აქ, რუსთავის ადგილზე, უნაყოფო ველი იყო. თბილისის მთებს გამოცილებული მოგზაური გაკვირვებული უყურებდა აქაური მიწის სიშიშვლეს. ჰაერიც რაღაცნაირად გამომშრალი იყო. და აი, უცებ თითქოს დედამიწის გულიდან ამოიზარდა ოაზისი. გრძელ-გრძელ რიგებად ჩამწკრივდნენ ჭადრები და ალვისხეები, აშენდა და ელექტრონით გაჩახჩახდა ლამაზი სახლები, მხრებით ცას მიებჯინა კავკასიური ლითონების გადამმუშავებელი ქარხანა — გოლიათი. აღრე აქ ადამიანი მზით გადაბუგულ მინდორში დააბიჯებდა და ეკვატორული უდაბნოებივ[illegible] მირაჟს უმკლავდებოდა. იგი იმედებით [illegible] იკვებებოდა. მოისურვა ოაზისი და კიდევაც შექმნა. მირაჟის შთაგონება როდი დასჭირვებია. ადამიანმა აიძულა რკინა ალს შეჰბრძოლებოდა, ხეები სიცხე-პაპანაქებას მიუსია, წყალს კი უბრძანა, ელექტროენერგიად გადაიქეცი. ეს ხომ იგივე ადამიანია, რომელმაც შიშველი ხელებით შექმნა ვარძია და ანანური, რომელმაც კლდოვანი მთები გამოთხარა, თანაც ისე, რომ მათი მშვენიერება არ დაეზიანებინა, და იქ გზატკეცილები გაიყვანა.

დავდივარ რუსთავის ქუჩებში, ჯერ კიდევ ნორჩი ჭადრების ქვეშ და გული მიფრიალებს იმის გახსენებისას, რომ ჩემს ირგვლივ სინამდვილედ ქცეული ზღაპარია. საქართველოს მკვიდრთა მიერ ხუთი თუ ექვსი წლის განმავლობაში რუსთავის აშენება წარმტაცი გამოხატულებაა სოციალისტური რევოლუციისა.

დავსეირნობ და აღტაცება მიპყრობს.. რა დიდი ბედნიერებაა, რომ ქართველებმა თავის დროზე არ მიიღეს, არ გაიზიარეს და არ ირწმუნეს ეკლეზიასტეს დაცემულობის ფილოსოფია. მას ხომ სძულდა თავისივე ნაშრომ-ნაღვაწი, სძულდა იმის შიშით, რომ ყოველივე ეს შემდგომ სხვა ადამიანებს, შთამომავლობას, კაცობრიობას დარჩებოდა.

არ ვიცი, დამდგარა თუ არა ოდესმე ქართველების წინაშე კითხვა, თუ ვის სამემკვიდრეოდ აშენებდნენ ამდენ რამეს. მაგრამ ისინი აშენებდნენ და დღესაც აშენებენ. ამიტომაც შეუძლებელია ქვეყნად წინაპრებისათვის შეუფერებელი ოაობები მოვიდნენ.

ᲖᲚᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲖᲝᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘ

ვინც ზღვას არ იცნობს, ანდა იგი იშვიათად და გულგრილად უნახავს, იფიქრებს, წყლის ეს თვალუწვდენელი სივრცე ერთფეროვანიაო. მე არ მომიხდენია არჩევანი, მთა ჯობია თუ ზღვა. თუ მთები მდიდარია ფორმებით, ზღვა

მნახველის თვალს ატყვევებს ფერების სიუხვით. მთაგრეხილები ხშირად ზღვის ფსკერს გაგონებენ. ბუნება, ალბათ, ყოყმანობდა მთებისა და ზღვების შექმნის დროს. ხშირად ცვლიდა, გადააკეთებდა და შემდეგ ისევ გადმოაკეთებდა ხედებს. მარადიული უმოძრაობა მას ჭირივით სძულდა. ხან წყალს დაასხამდა ზემოდან მთებს და ზღვის ფსკერად აქცევდა, ხან კიდევ ზღვის ფსკერს წყლიდან ამოზიდავდა და წვერით ცას მიაბჯენდა.

მაგრამ ახლა ზღვაზე როდი მინდა გესაუბროთ. ამჯერად სიტყვა შეეხება ზღვის მეზობლებს, რომლებიც სანაპიროზე — გაგრაში, გუდაუთაში, სოხუმში, ფოთში, ქობულეთში, ანდა ბათუმში კავკასიონის მწვერვალებსა და ქაფმორეული ევქსინის პონტოს შორის ცხოვრობენ და საქართველოს მცხუნვარე მზის ქვეშ მადლიანი ქართული მიწის ხვავითა და ბარაქით საზრდოობენ. ესენი არიან შავი ზღვის მეზობლები, რომელთაც წილად ხვდათ უდიდესი ბედნიერება. ჩვენი პლანეტის ყველაზე უფრო საოცნებო კუთხის მკვიდრებად და ბატონ-პატრონებად მიაჩნდეთ თავი.

გაგრაზე ზემოთ უკვე ვილაპარაკე და, იმედი მაქვს, მკითხველს არ დაავიწყდებოდა მთისა და ზღვის ფანტასტიკური შეხვედრის ამბავი, მარად მზიანი ცის ლაჟვარდის ზღაპრული შარავანდედი...

ათასეული წლების წინათ ამ ადგილიდან სამხრეთით ზღვა ლეგენდარული კოლხეთის ნაპირებს ელაციცებოდა, ნაპირებს, რომელთაც ოქროს საწმისის საძიებლად წამოსული იაზონი მოადგა.

ზღვის ნაპირ-ნაპირ რომაელთა ნაფეხურებს მივყვები. უცებ ჩემს წარმოდგენაში შავი ზღვა პატარავდება და პაწაწინა ტბის მოპირდაპირე ნაპირიდან შეშფოთებული ოვიდიუსის ფეხისხმა მესმის. იგი ფეხისხმა გარკვევით გაისმის ლობრუჯის სანაპიროზე.

რომაელი მეზღვაურები ბაგრამდეც აღწევდნენ, ნაპირზე გადმოდიოდნენ, კოცონებს ანთებდნენ და სანადირეებს ამაგრებდნენ უეცარი შემოტევისაგან თავდასაცავად. მათი კვალი ცოტა უფრო სამხრეთით დარჩა, რადგანაც აფხაზები, რომელთა ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი სოხუმია, ამავე სოხუმს „აკუას“, ე. ი. „წყალს“ ეძახიან. ეს, ალბათ, ის სიტყვაა, რომელიც რომაელმა ლეგიონერებმა წამოიძახეს, როდესაც მოულოდნელად მათ თვალწინ ისევ ზღვა გადაიშალა.

დიახ, წყალი საკმაოა ამ მხარეში! წვიმა სულაც რომ არ მოვიდეს, წყლის ნაკლებობა მაინც არ შეიმჩნევა. რამდენი წყალი აწყდება ზღვის ნაპირს. რამდენი მდინარე და ნაკადული მოედინება მთათა მწვერვალებიდან და ხშირად, რათა თვალი გაახარონ გარემოს მზერით, ერთ ადგილზე შემდგარნი ბროლივით გამჭვირვალე ტბებად იქცევიან...

სხვადასხვა დროს აქ გენუელებიც ყოფილან, თურქებიც და სხვა ტომებიც, ვისაც დედამიწის ამ უმშვენიერეს კუთხეზე თვალი რჩებოდა. მეფის რუსეთში გაგრას აღმოსავლეთის ნიცად მიიჩნევდნენ, დღეს კი გაგრის ფართო და მდიდრულ სანატორიუმებში საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ყოველი კუთხიდან ჩამოსული ადამიანები ისვენებენ. ამ ათასობით და ათიათასობით ადამიანს გაგრა იზიდავს თავისი მაგიური სუბტროპიკული მზით, მოლივლივე ზღვითა და მაგნოლიებით.

ერთ ღრუბლიან დღეს მე მთის ძირში ვიჯექი. მთის ძირი ამავე დროს ზღვის ნაპირიცაა. ვიჯექი და მოჯადოებული გავყურებდი, როგორ ეშვებოდნენ ზღვაზე მთის მწვერვალზე შემოგრაგნილი ყომრალი ღრუბლები, რათა ფაქიზად შეხებოდნენ ზვირთებს და მერე იქვე გამქრალიყვნენ თუ შერწყმოდნენ ზღვას.

მეორე შემთხვევაც მახსოვს. გაგრის ქუჩაში მივსეირნობდი. ერთიმეორის გვერდით მხვდებოდა ნაძვი და პალმა, ლეღვი და სოჭი, ცაცხვი და მაგნოლია,

ლიმონი და ჭადარი, მზე მთისა და მზე ზღვისა... ქუჩაში, ტროტუარსა და ფილაქანს შუა, დიდრონი ოლეანდრები ჰყვაოდა, მაგრამ მათ ყურადღებას არავინ აქცევდა.

დილით, ავდგებოდი თუ არა, უმალ გამოღებულ ფანჯარასთან მივდიოდი. ვერ გამეგო, რა მიგრილებდა სახეს — ოდნავ მკაცრი მთის ნიავი თუ ზღვის წინწკლები.

ღამეს სანატორიუმ „უკრაინაში“ ვათევდი. „უკრაინა“ სასტუმროა, ან დასასვენებელი სახლი, მაგრამ სანატორიუმად გადაიქცევა იმისთვის, ვისაც სურს მკურნალობის განსაზღვრული კურსი გაიაროს, რაიც სამკურნალო რეჟიმის დაცვას გულისხმობს.

საერთოდ, საბჭოთა კავშირში ყველა დასასვენებელ სახლს სანატორიუმს ეძახიან, რადგან ყველა ამ სახლს გააჩნია სანატორიუმის რეჟიმის ყოველგვარი შესაძლებლობა. არ არის აუცილებელი, იქ მოხვედრილი ადამიანი უსათუოდ ავადმყოფი იყოს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. „უკრაინის“ დირექტორმა, მედიკმა, მითხრა, რომ დაღლილობაც ავადმყოფობაა. რევოლუციამდე ადამიანები ამ საშინელი სენისაგან მხოლოდ სიკვდილით განიკურნებოდნენ ხოლმე. სიკვდილით ბოლოვდებოდა ყოველი ავადმყოფობა, დიდიც და მცირეც. თერთმეტი თვის მუშაობით ნორმალურად დაღლილი ადამიანი დღეს ძალებს ერთი თვის განმავლობაში აღიდგენს ამგვარ კეთილმოწყობილ დასასვენებელ სახლში. მისი უპირველესი მკურნალი ამ შესანიშნავი მხარის კომბინირებული ჰაერია, რომელსაც ბუნებას უნდა ვუმადლოდეთ, მაგრამ ადამიანმა იგი ისეთნაირად გაამდიდრა თავისი ნაშრომ-ნაღვაწით, რომ ბუნებას მისი წარმოდგენაც არ შეეძლო.

აფხაზები თავიანთ კუთხეს „სულის ქვეყანას“ ეძახიან. მე საგანგებოდ წავედი სოხუმში, იგივე აკუაში, იმის სანახავად, თუ საიდან ეიებს სათავეს სული, მაგრამ შევიტყე, რომ სულის სათავე დედაქალაქი სულაც არ არის. სულის სათავე გახლავთ მთიანი ადგილი ფსირცხა, იგივე ახალი ათონი, სადაც წინათ უზარმაზარი მონასტერი მდგარა და ეს მონასტერი ახალ დროებას ბრწყინვალე სანატორიუმად გადაუქცევია. სანატორიუმში დამსვენებლებს სულ სხვანაირად მკურნალობენ, ვიდრე ძველ დროს, წმინდა იოანეს ქადაგებების მიხედვით.

ფსირცხაში, რაც აფხაზურად „სულის წყაროს“ ნიშნავს, რამდენიმე საათი დავყავი, რათა ერთხელ კიდევ დამერწმუნებინა თავი, რომ წმინდა მამამ, ბიზანტიელმა ოქროპირმა, რომელიც, მე მგონია, უნიჭო ფსიქოლოგი იყო, ისევე, როგორც მისი მიმდევრები ძველი ფსირცხიდან, კოლოსალური შეცდომა ჩაიდინა თავის ემპირიულ დიაგნოზში. დღევანდელ ახალ ათონში მე ლოყებდაბრაწული გოგონები და ხალისიანი ჭაბუკები ვნახე. ყველა მათგანს მთებისა და ზღვისაგან უხვად ნაბოძები ჯანი და ღონე ერჩოდა. ისე რომ, აფხაზური „სულის“ ნამდვილი წყარო მაინც დედაქალაქში, სოხუმში, ვიპოვნე, იმ ნაზი და რბილი ფერებით შემკულ შენობებთან, რომლებიც ბარჩხალა მზეს უფაქიზეს აკვარელად აუციმციმებია.

სოხუმში ბევრი მეგობარი შევიძინე. აფხაზურ სუფრასთან, როდესაც ცხვრის შიშხინა მწვადებს შევექცეოდი, ჩემი შორეული სამშობლო მაგონდებოდა. ვიგონებდი ღერღილის იქაურ ღომს, რომელიც აფხაზურ ღომს ისე ძალიან ჰგავს, და ვსვამდი სურნელოვან მსუბუქ ღვინოს, რომლისმაგვარი მოლდაველებთან დამილევია.

ერთხელ მეგობრებმა ზღვის ნაპირზე გამიყვანეს გუდაუთის მახლობლად. თვალგაუწვდენელ ბაღში, რომელიც ზღვის სანაპიროს გასდევდა, პირი მსხვილი, სურნელოვანი ატმით ჩავიგემრიელეთ. დავისვენეთ კიდეც. ირგვლივ შემოჯარული მთები მზისგულზე მონებივრე კაციებივით წამოწოლილიყვნენ. მეგობრებმა მითხრეს, ამ ადგილს სერი ბაბა ჰქვიაო. ნეტა რატომ? რაც უნდა ერქვას, ძალიან ლამაზი ადგილი კია,

ცოტათი თითქოს მკაცრი, მაგრამ მაინც ქალური სილამაზისა. ქალები, მგონი, არ დამემდურებიან, თუ ვიტყვი, რომ სხვაგვარი სილამაზეც არსებობს. აი, მაგალითად, სილამაზე მაღალი და მიუწვდომელი მთებისა, ანდა ნამდვილი მამაკაცური მომხიბვლელობა ქართველი ვაჟებისა, რომელთა სახის ნაკვთები მოკლებული არიან ხაზგასმულ სინაზეს. ამით იმის თქმა მინდა, რომ მოტკბილებული სილამაზე, საერთოდ, არ არის სილამაზე. იქნებ, ამიტომაც მომეწონა აფხაზური ენის ჟღერადობა, თუმცა იგი ძალზე ბევრ ხორხისმიერ ბგერას შეიცავს. მრავალი მათგანის გამოთქმა, თუ საგანგებოდ არ ივარჯიშე, უცხოელს, რასაკვირველია, არ შეუძლია.

მტრედს, მაგალითად, აფხაზურად (ლათინური ასოებით არ ხერხდება ამ სიტყვის ფონეტიკური გადმოწერა; დაახლოებით ჰქვია „ახუხ“, მაგრამ სინამდვილეში წარმოითქმის არა ჩვეულებრივი „ხ“, არამედ რაღაც რთული და ხორხისმიერი ბგერა, რომელიც „ხ“-საც ენათესავება, „გ“-საც და „რ“-საც. რამდენჯერმე ვცადე ამ სიტყვის გამოთქმა, მაგრამ არაფერი გამომივიდა, თუმცა გამოთქმის ხერხი თეორიულად მშვენივრად ვიცოდი. სწორედ სამშობლოში გამომგზავრების წინადღეს აივანზე ვიდექი და სასტუმროს ლავგარდანზე მოფრთხიალე ორ შეყვარებულ მტრედს ვუთვალთვალებდი. ერთმა მტრედმა, მოდი და ნუ განცვიფრდები, აფხაზურად წარმოთქვა თავისი სახელი — „ახუხ“, თანაც ისე ზუსტად, პირდაპირ შეგშურდებოდა. მე მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ რას ნიშნავს ბუნების ხმების წაბაძულობით სიტყვების წარმოქმნა ამათუიმ ენაში. ბოლოს, როდესაც ამ საკითხზე ჩემს ახლადშეძენილ სოხუმელ მეგობრებს ვესაუბრე და პირად დაკვირვებასაც ანალიზი გავუკეთე, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ აფხაზური ენა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო ონომატოლოგიური ენაა, რომელშიაც ბუნების ხმების წაბაძვა სმენისა და ბგერის გამომცემი ორგანოების განსაკუთრებული მგრძნობელობის საშუალებით ხდება. სიტყვის სხვა ბგერა თითქოს არც კი გამოითქმის, თუმცა ის მაინც არ იკარგება. მე, მაგალითად, არასგზით არ შემიძლია აფხაზური სიტყვის წარმოთქმა, რა ფონოლოგიურ ხერხსაც არ უნდა მივმართო.

რაკი ყოველივე ესა ვთქვი, მკითხველმა შეიძლება აფხაზური ენა რაღაც ძალზე მკვეთრ ენად წარმოიდგინოს. მაგრამ ასე როდია. ბგერის სიმკვეთრე თუ სიმკაცრე ენის საერთო მასაში ითქვიფება და როდესაც თავის მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე წკრიალა ხმის პატრონ აფხაზს უსმენ, ყურის დაგდება გსიამოვნებს. აქვე უნდა დავუმატო, რომ დიდი სიამოვნებით, სიამოვნებით კი არა, აღტაცებული ვუსმენდი, როდესაც მასპინძლები აფხაზურ ლექსებს კითხულობდნენ, თუმცა გაგებით კი არაფერი გამეგებოდა. მკაცრი მელოდიური რიტმი საშუალებას მაძლევდა, დაახლოებით მაინც გამეგო, თუ რაზე იყო ლაპარაკი.

აფხაზები ბუნების ხალხია. მათს არსებაში ბუნება გამოსჭვივის. როდესაც ჩემს ახალ მეგობართან, აფხაზ პოეტ კუმფ ლომიასთან ერთად, ზღვის ნაპირზე თუ აფხაზეთის კლდე-ღრეებში დავეხეტებოდი, ვტკბებოდი ამ ადამიანების სულის სითბოთი. ბევრი, ვინც მათ ახლო არ იცნობს და ვინც მათი ისტორია არ იცის, აფხაზებს კარჩაკეტილ ხალხად თვლის. აფხაზების, ამ მცირერიცხოვანი ხალხის, ბედი არცთუ სახარბიელო გახლდათ. რამდენადაც უფრო ლამაზი და მდიდარი იყო მათი მხარე, მით უფრო იზიდავდა იგი ხარბ დამპყრობელებს. ქართველებს და აფხაზებს, აქაურ მკვიდრთ, ცალ ხელში კავი ეჭირათ და მეორეში თოფი, რათა თავი დაეცვათ მომხვდურთა მონობისაგან. მართალია, იაზონმა ოქროს საწმისი, ეს უდიდესი განძი ქვეყნისა, აქედან წაიღო, მაგრამ დარჩენილი სიმდიდრე ათგზის და ასგზის გაიზარდა. ოქტომბრის გადატრიალებამ ისტორიულ ძნელბედობას ბოლო მოუღო და

აქაურ ადამიანებს ასწავლა, თუ როგორ და რა გზით ეშენებინათ ერთი უმშვენიერესი და უმდიდრესი ქვეყანა დედამიწის ზურგზე.

აფხაზი პოეტი ივანე თარბა მოკრძალებული თავმომწონეობით შეჰხარის თავისი მშობლიური მზის მცხუნვარებას:

სად არ ვიყავ, რა არ ვნახე,
რა სივრცე და ალაგი,
მაგრამ ტურფა, ვით სოხუმი,
არ მინახავს ქალაქი.

მოვიარე ზღვა და ხმელი,
რა არა მაქვს ნახული!
ჩემს ქალაქში ყვავის მხოლოდ
ზამთარშიაც ზაფხული.

სოხუმი ულამაზესი ქალაქია და მის სიმშვენიერეს მარტო მზის ღიმილი და განუწყვეტელი ზაფხული როდი შეადგენს. ადამიანები მას ქალაქ-ბაღს უწოდებენ. აქვე უნდა დავსძინო, რომ ქალაქის ამგვარი ღირსებანი საქართველოში არავის აკვირვებს. მოგზაურს გაუჭირდება იმის თქმა, თუ სად მეტი სიმწვანე და სინედლე ნახა. თუ სოხუმის პარკების უზარმაზარ აუზებში მე წყალზე მოტივტივე ვიქტორია-რეჯიას დიდრონ-დიდრონი სინები ვნახე, რომელთაც, როგორც ტივებს, ორმოცდაათამდე კილოგრამის გაძლება და ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა შეუძლიათ (ფოთოლზე ექვსი წლის გოგონა იჯდა და სურათს იღებდა, რაც არავისათვის განსაცვიფრებელი არ იყო), ბათუმში, ცოტათი სამხრეთით ამავე სანაპიროზე, ბამბუკის ტყეში შევედი. ბამბუკი აქ ისევე ხარბად იზრდება და ვარგობს, როგორც თავცეცხლა ჩვენს ბარაგანში. ნარინჯები და ჩაის პლანტაციები დაუსრულებლივ მისდევენ სანაპიროს, ზღვასა და მთებს შორის. აქვთ ექსპერიმენტული სათბურებიც. სოხუმში სიცოცხლე დუღს და გადმოდის. ქალაქს მოუსვენრობასა და დაუდეგრობას მატებს ნავსადგური; ნავსადგურის ინტენსიური ცხოვრება. სოხუმი ხომ ერთ-ერთი მთავარი პუნქტია საზღვაო გზაზე, რითაც საქართველოდან ჩაი და ნარინჯები გაქვთ.

ერთმა სოხუმელმა ბოტანიკოსმა მითხრა, აფხაზეთში ათასხუთასზე მეტი ჯიშის მცენარე ხარობსო. ამ ძველ და მდიდარ მხარეში მხოლოდ ადამიანს და ხალხს აკლდა გახარება. აფხაზური კულტურის განვითარება მრავალჯერ იქნა შეფერხებული მომხვდურთა გამუდმებული შემოსევების მეოხებით. მიუხედავად მდიდარი ხალხური ზეპირსიტყვიერებისა, მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა აფხაზებმა ამ საუკუნის დამდეგს დაიწყეს. პირველი ლიტერატურული სახელი, რომელიც აფხაზურ ენაზე შექმნილი ნაწარმოების ქვეშ გაჩნდა, იყო დიმიტრი გულია. დიმიტრი გულიამ ჩაუყარა საფუძველი მშობლიურ ლიტერატურასა და დამწერლობას. იგი დაუცხრომლად მუშაობდა სანუკვარი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ის, რაც სოხუმზე ივანო თარბამ თქვა, მე ძალიან ცოტა მეგონია. სოხუმში ძალიან დიდხანს არ დავრჩენილვარ, მაგრამ მაინც შევნიშნე: ეარდა მომგებიანი ბუნებრივი მდებარეობისა მთის ძირას შემოჭრილ ყურეში. სოხუმს მოეძევება კიდევ ერთი ნიშანი, რითაც თავს ვერ მოიწონებდა მსოფლიოს ბევრი დედაქალაქი. იმ დროს, როდესაც ზაფხულში (სხვათა შორის, აქ ზაფხულს მხოლოდ კალენდარული მნიშვნელობა აქვს), სხვა დედაქალაქების მცხოვრებლები დასასვენებელ ადგილს ეძებენ, რათა თავი დააღწიონ მშობლიური ადგილების მტვერსა და სიცხეს, აქ, სოხუმში, ზაფხულის გასატარებლად ჩამოდიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ადამიანები, რომელთაც არამარტო პეიზაჟის სილამაზე იზიდავთ, არამედ ჯანმრთელობისათვის ფრიად სასარგებლო ჰავაც.

მაგრამ იმას, ვისაც მთელი საქართველო კიდიდან კიდემდე შემოუვლია, სოხუმის ვერც ეს თავისებურება გააკვირვებს. მკითხველებს, ვინც მოთმინებით აღიჭურვა და წიგნის ამ ადგილამდე მოაღწია, უსათუოდ გული დასწყდებათ, თუ არ შევეცადე და სო-

ხუმზეც არა ვთქვი ორიოდე სიტყვა.

აი, ვამბობ კიდეც.

სოხუმში ვნახე ერთი ისეთი რამე, რაც თვით კავკასიისთვისაც კი იშვიათობას წარმოადგენს, კავკასიისათვის, სადაც უცხოელ მოგზაურს ყველაფერი ეკზოტიკურად ეჩვენება, ხოლო ადგილობრივ მცხოვრებს თავისი ქვეყნისათვის სავსებით ჩვეულებრივად მიაჩნია.

სოხუმში ვნახე ერთი ისეთი რამ, დაც თანამედროვე მეცნიერული მეთოდებით სწავლობენ კიბოსა და პოლიომელიტს, არსებობს მაიმუნების სანაშენე (სულ—700 მაიმუნი). მაიმუნების მეცნიერული მოვლა და მათზე დაკვირვება საშუალებას აძლევს ბიოლოგებსა და ექიმებს დღითიდღე უფრო ღრმად და ღრმად შეიჭრნენ საიდუმლოებათა ლაბირინთებში. ისინი იძულებული არ არიან სხვა მატერიკებიდან ჩამოიყვანონ ადამიანის წინამორბედი ცხოველები, რომლებიც ახლა ასე დიდ სამსახურს უწევენ მეცნიერებას საშინელ დაავადებებთან ბრძოლის საქმეში. იქნებ, ამ გარემოებამაც გააძვირა მაიმუნები თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების ბაზრებზე, სადაც ყველაზე უფრო იაფად ადამიანი ფასობს.

აქ, სოხუმში, ბევრი მეცნიერი ადევნებს თვალყურს მაიმუნების ცხოვრებას. მაიმუნებისათვის საგანგებოდ არის მოწყობილი პარკი, რომელიც თავისი პირობებით აფრიკის ჯუნგლებს მიაგავს. ისე რომ, ცხოველები ჯანმრთელი და სიცოცხლით სავსენი არიან, რასაკვირველია, მანამდე, სანამ ლაბორატორიაში ამოჰყოფდნენ თავს და ცდისპირად გადაიქცეოდნენ. ასე გასინჯეთ, მრავლდებიან კიდეც. საამისოდ აქ, იქნებ, უკეთესი პირობებიც აქვთ შექმნილი, ვიდრე ათასი მღელოდნელობებით სავსე ტროპიკულ ულრან ტყეებში.

ამ ადგილებში ჯანმრთელობა და მისი ღვიძლი და — ხანგრძლივი სიცოცხლე ჩვეულებრივი ამბავია. სწორედ ამიტომ მეუცნაურა, როცა ექიმებმა მითხრეს, თუ რა უთვალავ ცდას აყენებენ სიცოცხლის ელექსირის მისაღებად. მაგრამ ეს არცთუ ისე დიდი უცნაურობაა. „სულის წყარო“ შეუსვენებლივ გადმოსჩქეფს, და ადამიანებს სურთ იგი მუდამდღე ანკარა და კიდევ უფრო ანკარა იხილონ.

...მაშ ასე: შევიტყე თუ არა, რას ნიშნავს „სულის წყარო“, ფსიერცხა, მე, ბოლოსდაბოლოს, გუდა-ნაბადი ავიკარი და ზღვის სანაპიროს სამხრეთისაკენ დავყევი. უკან ჩამოვიტოვე ფოთი, გული კოლხეთისა, პატარა ქალაქი ქობულეთი და რამდენიმე საათით შევჩერდი ჩაქვში, სადაც შესანიშნავი ჩაის ქარხანა მაჩვენეს.

ეზოში ფეხის შედგმისთანავე მომეჩვენა, რომ ძვირფასი სუნამოების საწყობში შევედი. მე ეს სურნელება არ მიგრძვნია, როდესაც დაუსრულებლივ გაგრძელებულ ჩაის ბუჩქებს მივყვებოდი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩაის რამდენიმე ფოთოლი მოვწყვიტე და ხელისგულზე დავსრისე, ვიგრძენი რაღაც სუნი. მაგრამ განა ეს სუნი ჩაის ნამდვილ სუნს შეედრებოდა? იგი სწრაფადვე განიბნა ჰაერში, როგორც კი ფოთლები გადავყარე, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ, როცა ხელები სახესთან ახლო მივიტანე, უმალვე ვიგრძენი, რომ თითები ჩაის ყლორტების ხსოვნას ინახავდნენ...

ბუნების ყოველგვარი სანახაობა მუდამ მიტაცებდა, მაგრამ ჩაის ბუჩქებით დასერილ ფერდობებს მაინც აქვთ რაღაც საკუთარი და განუმეორებელი. მწვანე ბუჩქები როდი ხუნდებიან მზეზე. პირიქით, მზის სინათლე ფერს თითქოს მეტ სიმკვეთრესა და გამომსახველობას მატებს. სადმე ბორცვზე დგახარ და პლანტაციას ზემოდან გადმოსცქერი. ხედავ სომბრეროსმაგვარ თეთრ ჭილის ქუდებს, რომლებიც ჩაის მწკრივებს მოსდებიან, მკრეფავები ნელა მისდევენ მწკრივებს და მათი ეს დინჯი მოძრაობა სრულ კონტრასტს ქმნის ცისკიდურამდე უძრავად გაწოლილი მწვანე ბუჩქების ფონზე. სწორედ მომხიბლავი საყურებელია! ამასვე გვეუბნება ქართველი პოეტი ირაკლი აბაშიძე:

ნახე, გახედე! — მიწა ქართული
აყვავებულა წარმტაც იებით,
რქაჩაგრეხილი და ჩახლართული
ლურჯად ელავენ პლანტაციები.

მოძრაობისა და უძრაობის კონტრასტი ჩაის კრეფის დროს კარგად შენიშნა აფხაზმა პოეტმა ივანე თარბამ:

მიყვარს ლივლივი ჩაის ბუჩქების,
როს პლანტაციას ვერ სწვდება თვალი;
ქალიშვილების თითების ცეკვა—
თეთრ თოლიების ფრთების ფართქალი.

ამ შთაბეჭდილებების მიღების შემდეგ სავსებით ბუნებრივი იყო ჩაის ფაბრიკის დათვალიერება. მე ოდესღაც ცოტა რამ და ისიც მოძველებული წამიკითხავს მრეწველობის ამ დარგზე. ამიტომაც, ცოტა არ იყოს დავიბენი. ვერ წარმომედგინა, მაგალითად, რომ ნედლეულის დახარისხება აქ, ფაბრიკაში, კი არ ხდება, არამედ ჩაის ბუჩქებთან. კრეფის დროს. ჩაის კრეფა ძნელი და საპასუხისმგებლო სამუშაოა იმიტომ, რომ ბუჩქის ყოველი ფოთოლი როდია მოსაკრეფად გამოსადეგი. ფაბრიკა მარტო ნორჩ, სათუთ ყლორტებს ღებულობს, რადგან გადამწიფებული, უხეში ყლორტები არავის არაფრად არგია. მაგრამ ნორჩი ყლორტები ანუ დუყები ბუჩქს მარტო ზემოდან კი არ ასხია, როგორც ადრე მეგონა, არამედ გაბნეულია მის ყოველ ნაწილში. რამდენიმე წუთის განმავლობაში განცვიფრებული ვადევნებდი თვალს ჩაის კრეფას. მკრეფავის ხელების მოძრაობა წმინდა წყლის ვიბრაციაა, ოღონდ საკმაო ფართო რადიუსით. თვალები თითქმის არ უყურებენ იმას, რასაც კრეფენ ხელები, ხელები კი, უფრო სწორად, თითები, დახტიან ბუჩქის გარე ყლორტებზე, არჩევენ, წყვეტენ და მოკრეფილ ფოთოლს დროდადრო ჰყრიან კალთაში ან გოდორში, რომელიც წელზე აქვს მიმაგრებული მკრეფავს.

ჩაის საკრეფი კომბაინები, რომლებიც უკვე მუშაობენ პლანტაციებში. ჯერჯერობით მთლად სრულყოფილი არ არის.

ის, რის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ჩაის საკრეფი მანქანის სრულყოფის საკითხში, მიღწეულია ფაბრიკაში და თანაც იმ ზომით, რის წარმოდგენა ადრე სავსებით შეუძლებელი იყო.

როდესაც ჩაქვის ჩაის ფაბრიკის დასათვალიერებლად მივდიოდი, რასაკვირველია, არ ვფიქრობდი, რომ ადამისეამინდელი ჩინური ჩაის ფაბრიკის პეიზაჟს დავინახავდი. ის ფაბრიკები თვით ჩინეთშიაც დავიწყებულია. ჩაის ძველებური ფაბრიკების ნახვა ამჟამად, მე მგონია, მხოლოდ ჩინურ აბრეშუმსა და ფაიფურის ჭურჭელზე დახატულ მინიატურებში თუ შეიძლება. აბა ჩაქვში სადა ვნახავდი, როგორც ძველ ჩინეთში ნახულობდნენ ხოლმე მოგზაურები, ადამიანებს, რომლებსაც ხელში სპილენძის გაცხელებული თასები ეკავათ, ოთახიდან ოთახში დარბოდნენ და თან თასებს დათუთქულ თითისწვერებზე ათამაშებდნენ, რათა შიგ ჩაყრილი ჩაის ფოთოლი გაშრობის მაგიერ არ დახრუკულიყო. სურნელოვანი ჩაი მხოლოდ ამის შემდეგ ჩაიყრებოდა ფაიფურის ჩაიდანში და ქაფქაფა წყლით დაიმდუღრებოდა.

ეს ამბავი ლექსადა აქვს დაწერილი ჩინელ პოეტს ბო-ძიუ-ის, ჩაის დიდ მოყვარულს. აი, მისი ლექსიც სიტყვა-სიტყვით:

წყაროზე ლიტრა ავავსე
მოჩუხჩუხე ანკარა წყლით.
ავადუღე და შიგ თითქო
მომწვანო-ფირუზისფერი მტვერი
დატრიალდა.

როგორ ვწუხვარ, რომ არ ძალმიძს
გემრიელი ჩაი დავაყენო
და შორს ვავუგზავნო ადამიანს,
ვისაც მონატრებია ივი.

ამდაგვარი მსხვერპლის გაღებით დამზადებული ჩაი, შესაძლოა, უფრო გემრიელიც იყოს. მაგრამ ჩვენი დროის ადამიანი ვერ შესძლებს მის დალევას. მუდამ ეხსომება, რომ ჩაის არომატს მუშების დაშაშრული თითების სუნიც ურევია.

აქ, ჩაქვში, ყველაფერი თანამედროვე

ცივილიზაციის დონეზეა, და მეც სიამოვნებით შევექეცი ჩაის, რომელიც თავად დაგვისხა და მოგვართვა ქართველმა ქალმა. ფაბრიკის დირექტორმა. ჩაი, მართლაც, შესანიშნავი რამ იყო.

ფაბრიკაში იდეალური სისუფთავეა. თავი აფთიაქში გეგონება. სისუფთავე ჭიშკრიდანვე იწყება და ერწყმის იმ საკვირველ სურნელს, რომლითაც ჰაერია გაჟღენთილი.

უზარმაზარ ნათელ დარბაზებში, თითქოსდა ფუტკრის სკაა, ვეება მანქანები წყნარად ზუზუნებენ. მათი ხმა რაღაცით წააგავს პრიმიტიული ორკესტრის ჟღერას, იმ ორკესტრისას, რომელიც მხოლოდ პატარ-პატარა დოლებისაგან და სიმებიანი საკრავებისაგან შედგება, მხოლოდ ყველა ამათი დაგადუგი და წკიპინ-წკიპინი სტილიზებულია გემოვნებადახვეწილი კომპოზიტორის მიერ.

ამ სამოთხეში ჩაის ფოთოლი მაინც დიდხანს და მწვავედ იტანჯება. მწვანე ფოთოლი ჯერ წყლით სავსე მექანიკურ აგრეგატში შემოდის, შემდეგ მათ ხელოვნურად აჭკნობენ ცივი და ცხელი ჰაერის მონაცვლეობით. ხუთი იარუსისაგან შემდგარი ეს აგრეგატი ძალიან მარჯვე და მოხერხებული სახმარია. იგი ქართველ საბჭოთა ინჟინერს გამოუგონია. დამჭკნარი ფოთოლი აქედან საკმაოდ რთულ დამგრეხ მანქანებში გადადის. ყოველ ფურცელს სამჯერ ზედიზედ გრეხენ. ამის შემდეგ ხდება დახარისხება სამ კატეგორიად. მომდევნო დარბაზში, სადაც ნესტიანი სითბოა, ჩაის რამდენიმე საათს აჩერებენ ფერმენტაციისათვის, შემდეგ გადაქვთ საშრობში. ჩაი იქ ორ საათს ჩერდება და თბილი, ამჯერად უკვე მშრალი ჰაერის შემწეობით შრება. ამგვარად, ოცი საათის უღვთო ტანჯვა-წვალების შემდეგ, ჯერ ისევ ნახევარფაბრიკატი ჩაი ხელახლა ნაწილდება ხარისხების მიხედვით. სპეციალისტები ყნოსავენ ჩაის, გემოს უსინჯავენ და გასაშრობად საგანგებოდ გამართულ ცხრილებზე ათავსებენ. ბოლოს ჩაის ყუთებში უკრავენ თავს, მაგრამ მისი მოუსვენარი ტანჯვა-წვალება ამით ჯერ-ჯერობით სულ ბოლოდ-ბოლოს. ჩაით სავსე ყუთებს ვიბრატორზე აჩერებენ. ვიბრატორი შეაჯანჯღარებს ყუთებს, ჩაის დააჯენს, საჰაერო ორმოებს გამოდევნის. სულ ბოლოს ჰერმეტულად ჩაგმანული ყუთები სავაჭრო ქსელში გააქვთ. ჩაი პერგამენტის ქაღალდში დელიკატურადაა გახვეული და სიკვდილის წინ განცხრომას ეძლევა. ჩაის ფოთლის უკანასკნელი წამება ჩაიდანში ჩაყრა და ქაფქაფა წყლით დამდუღრვაა. ძალიან კი მიყვარს, მაგრამ ვერა, ჩაის ფოთლობას ვერ ვისურვებდი. მტერსა და ავს ნუ მოაკლოს მისი ბედი! ახლა, რომ ვუფიქრდები, მგონია, ჩაის ფოთლის ტოლ წამებას კანაფის კანი თუ განიცდის, ვიდრე ადამიანის შესამოსავად ტილოდ გადაიქცეოდეს. მაგრამ მას, კანაფს, თავისი სიამაყე აქვს. კანაფისაგან ნაქსოვი ტილო ხშირად ნაზი ასულის სარო ტანს ან ვაჟკაცის ძლიერ მკერდს ეკვრის. და ეს იმ დროს, როდესაც ჩაი, მიუხედავად ამდენი გადატანილი ტანჯვისა, დალევის შემდეგ უკვალოდ ქრება.

ქართული ჩაის ამ ბალადას, ცოტა არ იყოს, უცნაური დაბოლოება აქვს. ჩაის ბუჩქი ქართულ მიწაზე ხარობს. მას უვლიან და პატრონობენ ქართველები. ქართველებივე კრეფენ და საქართველოშივე ამუშავებენ ქართული მანქანებით (საბჭოთა კავშირის ჩაის პროდუქციის 95 პროცენტი საქართველოზე მოდის), მაგრამ თვით ქართველები ჩაის ნაკლებად მიირთმევენ.

ჩაის სურნელით გაბრუებულნი ჩაქვიდან ბათუმს გავემგზავრეთ. მთები თანდათან დაგვშორდნენ. თვალწინ ზღვა გამეფდა...

დილით, როდესაც ბათუმის ქუჩაში გასასეირნებლად გამოვედი, თანმხლებმა მეგობარმა ღიმილით წამჩურჩულა:

— ფრთხილად, თქვენ ზღვის ფსკერზე მიაბიჯებთ!

ზღვა ძალიან მიყვარს, მაგრამ მის ფსკერზე ჯერ ნამყოფი არა ვარ. წამით

გავირინდე და ვცადე წარმომედგინა გრგვინვა ტალღებისა, რომლებიც ჩემს ირგვლივ და ზემოთ აწყდებოდნენ კიდით—-კიდეს. ზღვა ჩვენთანაც არის. იგივე ზღვა, რომლის აღმოსავლეთ ნაპირზედაც ბათუმია გაშენებული. თუმცა რუმინელები უფრო მთისა და დაბლობების ხალხად ითვლებიან, მათ ზღვა ძველთაგანვე შეიყვარეს. ალექსანდრე კეთილს უკვე ფლოტი ჰყავდა. რუმინულ ზეპირსიტყვიერებაში არაერთი საზღვაო მოტივი გვხვდება. ზღვას უმღერა თავის ფსალმუნში მიტროპოლიტმა დოსითეოსმა:

ზღვა ვრცელია და დაუსაბამო,
თვალის წარმტაცი და მშვენიერი.
შიგ ბუდობს ბევრზე ბევრი სულდგმული,
დიდიც, მცირეც და სუსტიც, ძლიერიც.
აელვარებულ ზვირთის ტლაშუნით
წყალს მიაპობენ თეთრი გემები,
ქვეშ კი, მორევში, დოღს გამართავენ
ნათელთევზები და ზვიგენები.

მართალია, ბათუმში ნათელთევზები და ზვიგენები არ მინახავს, ვინაიდან თვით დოსითეოსსაც არ უნახავს ისინი. თუმცა ის კი შევიტყე, რომ რამდენიმე წლის წინათ ზღვამ ნაპირზე გამორიყა უზარმაზარი მკვდარი ქაშალოტი, რომელსაც გზა დაბნეოდა სადღაც საქართველოს ზღვებში და, ბოლოს, დარდანელის ჭიშკარს შავ ზღვაში შემოეგდო.

ჩვენი მიტროპოლიტი-პოეტის მიერ დანახული ზღვის პეიზაჟი იდილიურია, მაგრამ ზღვა, ასე მგონია, ძალიან იშვიათად თუ არის იდილიური. თავს მოვალედ ვრაცხ გამოვტყდე: ბათუმში, როდესაც მოტორიანმა ნავმა საათში სამოცდაათი-სამოცდათხუთმეტი კილომეტრი სიჩქარით გამაქროლა, თუმცა ამ პატარა ხომალდის კაპიტანს თვალიც უჭრიდა, მარჯვენაც საიმედო ჰქონდა და არც ზღვა ღელავდა, მთელი სიცოცხლის მანძილზე პირველად გავიფიქრე, რომ ადამიანების დაყოფა მკვდრებად, ცოცხლებად და იმად, ვინც ზღვაშია, რაიც ბერძენმა ფილოსოფოსმა ანაქსაგორემ მოახდინა, ხანდახან ძალიან ახლოა ჭეშმარიტებასთან.

ამ აზრზე მაშინ დავდექი, როდესაც ბათუმის პარკში სეირნობისას ულამაზეს ზღვის ფსკერზე მოსეირნეთ ფარიკაობა-გინე...

მე, რასაკვირველია, მინის თაღით გადახურულ ქალაქში არ მიცხოვრია, თუნდაც ისეთში, როგორიც, მაგალითად, ოლდუს ჰაქსლის ერთ-ერთ რომანშია აღწერილი. ყოველთვის სანაპიროს ჰაერით ვსუნთქავდი, სადაც მზის სხივები მოწმენდილი ცის სილურჯეში იფილტრებოდა. მითხრეს, რომ ეს თვალწარმტაცი პარკი ორმოცდაათი წლის წინათ ჯერ კიდევ არ იყო გაშენებული. აქ მხოლოდ რიყის ქვები და ლოკოკინის ნიჟარები ეყარა, ზღვის მოქცევით ნაპირზე გამორიყული. ახლა მე იმ ადგილზე მივაბიჯებდი, რომელსაც ადრე ზღვის ზვირთები სწვდებოდნენ. რაც უფრო სამხრეთისაკენ მიიწევ, ზღვა მით უფრო იხევს დასავლეთისაკენ. ერთხელ კიდევ მომაგონდა საქართველოს სამოთხისებური ბუნება, რომელიც თავისი სილამაზისა და სიმდიდრის ყოველდღიურ კორექტირებას ეწევა. სწორედ ამგვარი კორექტირების შედეგად დაიბადა რიწის ტბა თითქმის მიუვალ მთებში. ის მას შემდეგ გაჩნდა, როცა ყველაფერი უკვე საბოლოოდ დამთავრებული იყო. ასევე მოქცეულა შავი ზღვაც ბათუმის სანაპიროზე. მას ბოლოსდაბოლოს უგრძვნია, რომ ამ ადგილს პარკი მოუხდებოდა. ამდგარა და უყოყმანოდ უკან დაუხევია, რათა შრომისმოყვარე და გამრჯე ადამიანისათვის მშვენიერი პარკის გაშენების საშუალება მიეცა. ჰოლანდიაში ადამიანი ბევრს ეწვალა, რათა ზღვისათვის მიწა წაერთმია, წაართვა კიდევაც, მაგრამ ზღვა თითქმის ყოველწლიურად უხდის სამაგიეროს — აიწევს, პოლდერებში გადმოიჭრება და თვალის დახამხამებაში წალეკავს ყველას და ყველაფერს; აქ კი კეთილი შავი ზღვა თავისი ნებით და თვითონ იძლევა საჩუქარს. მე, იქნებ, არც ის გამკვირვებოდა, თუ გულუხვობის გამოსაჩენად, ზღვა ერთ მშვენიერ დღეს სულაც ჩაიღვრებოდა სადმე დედამიწის წიაღში

და საშუალებას მომცემდა ნაზღვაურზე დაგებული რკინიგზით მოვბრუნებულიყავი რუმინეთიდან საქართველოში, თითქმის იმავე გზით, რომელიც ოდესღაც არგონავტების იალქნიანმა გემმა გაიარა.

ბათუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქია. იგი, ისევე, როგორც მთელი აჭარა, ქართველებით არის დასახლებული და საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. აჭარის თავისებურება მისი მცენარეულობის მრავალფეროვნებით იწყება. აქ განსაკუთრებით ბევრია ყვავილები. შესაძლოა, ზღვაც ამ თვალებქუჟუნა ყვავილებმა მოხიბლეს და გულუხვობის გამოსაჩენად უკან დაახევინეს.

ბათუმიდან არცთუ ისე შორსაა ეგრეთწოდებული მწვანე კონცხი. იგი შეჭრილია ღია ზღვაში. მწვანე კონცხის 108 ჰექტარ ფართობზე გაშენებულია ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ყველაზე უდიდესი იმათ შორის, რომლებიც მე მინახავს. „ნაციონალურ უბნებად“ დაყოფილი ეს ბაღი მთელი დედამიწის ზურგის ფლორას იტევს, იაპონიიდან ვიდრე ამერიკამდე.

ბოტანიკური ბაღის ავტორები მეცნიერები, ბოტანიკოსები არიან, მაგრამ მისი ღმერთი საქართველოს ზღვისპირეთის ბუნებაა, რომელიც საშუალებას იძლევა აჭარაში წელიწადი — თორმეტი თვე ყვაოდეს ვარდი.

ბუნების მოყვარულთაგან აქ, იცოცხლე, არავის მოეწყინება. შეიძლება მხოლოდ რომელიმე ყვავილი მობეზრდეს თვალსა და სულს. აჭარული ყვავილები და ვარდები თავიანთი ბუნებრივი სიცოცხლით ცოცხლობენ და მანამ არ კვდებიან, ვიდრე შემცვლელი ნორჩი ყვავილები არ ამოუდგებათ გვერდში. მარადისობა აქ თვით ბუნების კუთვნილებაა და ამიტომ ის ნამდვილ მარადისობად უნდა იწამო.

რა დიდ სიამოვნებას გგვრის ადამიანს, მაგალითად, ფორთოხლის ხის ჩრდილში ჯდომა... ალექსანდრი, გამოჩენილი რუმინელი კლასიკოსი პოეტი, რომელიც სამხრეთში ნასიარულევი იყო, კარგად იცნობდა ამ სიამოვნებას. მე მოკრძალებით მივაპყრობ ყურადღებას 67 წლის მოხუცის ხმას, ეს სწორედ 67 წლისა იყო, როდესაც სიკვდილის წინ, იქნებ უკანასკნელადაც, მშვიდობიანი სიხარულით თუ სიამით განმსჭვალული, ამ პეიზაჟს ძერწავდა:

მწვანე რტოებში
ფორთოხლის ხეთა
ვხედავ სილურჯეს
ცისა მაღალის.
იქ გამჭვირვალე
ღრუბელთ ფარები
ლაჟვარდში დინჯად
დაბალახობენ.

ქრის სუსტი ქარი
და ფოთლებიც შეირხევიან.
ეს ვითომც გუნდი ჩიტებისა
აფრინდა უცებ
და უსაზღვრო ცას შეერია.

ლიმონი, რომელსაც მონტალემ უმღერა:

ღრიჭოდ გაღებულ ჭიშკრის გადაღმა,
სხვა ხეების და ბუჩქების შუა,
ერთ დღეს ლიმონი დავინახე.
უმალ გამილხვა გულის ყინული.
მზით დაფერილი სალამურები
ამღერდნენ მკერდში.

იმას ვერ ვიტყვი, რომ უკვე თავი მომაბეზრეს ცაცხვებმა, წაბლებმა და ალვისხეებმა, რომლებიც მზისაგან იფარავენ ჩემი ბინის ფანჯრებს ბუქარესტში, მაგრამ სუბტროპიკულ მცენარეულობას მაინც ჯეროვანი უნდა მივუზღა. მათ რაღაცნაირი ლირიკული ელფერი ამკობთ. ჩვენი ხეები, უფრო ეპიკური ხასიათისა, თავს მხოლოდ საზეიმო ვითარებაში იმშვენებენ.

და მიუხედავად ამისა, საქართველოს ლირიკულ ბაღებს უდიდესი სარგებლობა მოაქვთ პრაქტიკული თვალსაზრისით. ერთ ადგილობრივ გაზეთში წავიკითხე, რომ იმ წელიწადს, ე. ი. 1957 წელს, როდესაც მე საქართველოში ვმოგზაურობდი, რესპუბლიკის მებაღეები პირობას სდებდნენ, ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავის აღ-

სანიშნავად 400 მილიონ ცალ მანდარინს, ლიმონს და ფორთოხალს მოკრეფთო.

წარმოვიდგინე, როგორი უნდა ყოფილიყო აჭარის ზღვისპირეთი მთელი წლის განმავლობაში. მეტასტასიოსის ყბადაღებული წამოძახილი, რომ გაზაფხული წლის სიყმაწვილეა, აქ, შავი ზღვის ამ სანაპიროზე, ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა. გაზაფხულზე, როდესაც ბუნება იღვიძებს და თითქოს ახალ სიცოცხლეს იწყებს, პოეტის სული შთაგონებით იჟღინთება, მაგრამ, თუ აჭარის ბუნების მიხედვით ვიმსჯელებთ და მის მუდმივ გაზაფხულს მოვიგონებთ, ძნელი არ იქნება მიხვედრა, რომ აქ პოეტი წლის ყოველ დროს შთაგონების კოცონზე იწვის.

ბათუმში ყოფნისას ზღვაში ვიბანავე. ივლისი იყო. დიდად როდი გამკვირვებია, როდესაც მითხრეს, ზღვაში ბანაობის სეზონი აქ მაისში იწყება და თითქმის დეკემბრამდე გრძელდებაო. ბათუმში ისე ძლიერი ქარები არ იცის, როგორიც ქობულეთში, სიცხე აქ სასიამოვნოა და არ გქანცავს. აჭარის დედაქალაქში რამდენიმე დღის ყოფნის შემდეგ, ვიგრძენი, რომ ვახალგაზრდავდებოდი და კინაღამ გადავირიე. ამ გრძნობის ასახსნელად შორს წასვლა როდი იყო საჭირო. ეს ყვავილები, ეს ბუნება, ეს ადამიანები, თუმცა მათ გვერდით მხოლოდ რამდენიმე დღე გავატარე, ქმნიან სწორედ მარადიული სიცოცხლისა და დაუშკნარი ახალგაზრდობის შთაბეჭდილებას. ბათუმში გავიცანი კარლო დოლიძე და ილია რურუა. ორივეს დავუმეგობრდი. არ დავინტერესებულვარ. რამდენი წლის იყო ან ერთი ან მეორე ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, მხოლოდ ის ასაკი მაინტერესებდა, რომელსაც ყოველ დილას ვხედავდი მათს თვალებში და სახეზე. ეს ასაკი უბერებელი ახალგაზრდობა გახლავთ. ჩემს აჭარელ მეგობრებთან ახლოს ყოფნამ და ყოველდღიურმა ურთიერთობამ მიმახვედრა, რომ საქართველოში, განსაკუთრებით კი ზღვისპირეთის ამ ნაწილში, ადამიანები თითქმის არ ბერდებიან. ვინმეს რომ ეთქვა, თუნდაც ჩემს საკუთარ ფანტაზიას, შენ აქ, ბათუმში, სამყაროს გაჩენის დღიდან ცხოვრობო, დარწმუნებული ვარ, სრულებით არ გამიკვირდებოდა.

მე ჯერ კიდევ დამრჩა რამდენიმე საუკუნე, სანამ მათუსალას ასაკს მივაღწევდე. რუმინელები ყოველთვის პესიმისტური გულისკანკალით ვიგონებთ ხოლმე ადამიანებს, ვინც 100 წელს გადაბიჯა, რაც საქართველოში, განსაკუთრებით კი, ზღვის სანაპიროზე, ჩვეულებრივ ამბად ითვლება. ეს ისევე ჩვეულებრივია, როგორც აქაური ბუნების სილამაზე, სიმდიდრე და მარად განახლებული სიცოცხლის სიხარული. აქ ზოგიერთები 120 წლის ასაკში კვდებიან. ზოგი უფრო დიდხანსაც ცოცხლობს. აბა, მიდი და 70 წლის მამაკაცს მოხუცი დაუძახე —იცოდე, ძალიან აწყენინებ...

როდესაც მე საქართველოში გავემგზავრე ედემის სანახავად, ჩემი ასაკი სიცოცხლის ნახევარს უკაკუნებდა. სწორედ ამ ხნის იყო დანტე, ჯოჯოხეთში რომ ჩავიდა. მაგრამ განა შეიძლება ეს ასაკი საქართველოში სიცოცხლის შუალედად ჩაითვალოს? გაფიქრებაც კი ამისა მკრეხელობაა და იგი შეურაცხყოფას აყენებს მთელ კავკასიას, ბუნებას და ადამიანებს.

ამიტომ, როცა ჩემმა ახალმა მეგობრებმა, კარლომ და ილიამ, პიონერთა ბანაკში წამიყვანეს იმის საჩვენებლად, თუ როგორ ატარებს არდადეგებს აქაური მოსწავლე ახალგაზრდობა, და, როცა ბათუმელმა პიონერებმა ყელზე პიონერის წითელი ყელსახვევი გამიკეთეს, ამაში მარტოოდენ სტუმრისადმი, მისი ასაკისადმი პატივისცემა როდი დამინახავს. ერთბაშად წამომიარა ძველმა სიცელქემ, რაც, მეგონა, დავიწყებული მქონდა, და მსუბუქად ავირბინე ოცდაერთტონიანი გემის — „პიონერის“ ბაქანზე. გემის საკომანდო ბოგაზე 12 წლის კაპიტანი იდგა...

ბათუმელ პიონერებს თავიანთი პარკი

აქვთ. პარკში არის საკმაოდ დიდი ტბა, რომელშიაც პიონერების საკუთარი გემი დაცურავს. ბავშვები გემზე ზღვაოსნობას სწავლობენ. გემი, თუმცა იგი მინიატურულია, არამცდაარამც არ შეიძლება სათამაშოდ ჩაითვალოს. მისი აშენების დროს საზღვაოსნო ხელოვნების არცერთი წვრილმანი არ გამორჩენიათ. მე ვესაუბრე 45 ბიჭუნასა და 3 გოგონასაგან შემდგარ ეკიპაჟს. ბავშვების სერიოზულობამ აღტაცება მომგვარა, მაგრამ ამ სერიოზულობას არ გავუკვირვებივარ, თუმცა კაპიტანი სამი წლით უმცროსი იყო ჟიულ ვერნის მიერ გამოგონილ თხუთმეტი წლის კაპიტანზე.

ბათუმში, მეგობრებთან შეხვედრების დროს, ჩვენი საუბარი, რაზედაც არ უნდა გველაპარაკა, ყოველთვის რუსთაველით იწყებოდა და ემინესკუთი მთავრდებოდა. ემინესკუს ძალიან კარგად იცნობენ ბათუმში.

შავი ზღვა ბათუმთან კუთხესა ჰქმნის, საიდანაც, თუ წარმოსადგომ ადგილს მოიმარჯვებ, შეგიძლიან ლობიოს ნაპირო დაინახო.

ბათუმის ქუჩებში და ზღვის ნაპირზე, ვინ მოსთვლის, ეს მერამდენედ დავაბიჯებდი. თავს დამნათოდა აჭარის თბილი მზე, რომელიც აგრე ჰარმონიულად ერწყმის ქართული გულის სითბოს. ვიგონებდი რომაელების ნაფეხურებს ამ ოქროს ქვიშაზე. ზღვა იგივე იყო — პონტო — მიწაც იგივე...

იმნაირი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს სული ქვეყნის გაჩენის დღიდან მედგა და შემეძლო ჩემი მეგობრების სიყვარულით გულაძგერებულს ჰაინესავით დამეძახა:

სალამი შენდა,
მარადიულო
ზღვაო, დიადო,
მოლაპარაკევ
ჩემს მშობლიურ
ღედაენაზე.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გვეტაძეწითელი

შენიშვნები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე

დემნა შენგელაიას „განძით“ და გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზით“, ამ ორი შესანიშნავი მოთხრობით არ ამოიწურება უკანასკნელი წლების ქართული მწერლობის ინტერესი მორალურ-ეთიკური პრობლემებისადმი. საერთოდ, ძნელია რომელიმე მნიშვნელოვანი პროზაული ნაწარმოების დასახელება, სადაც თანამედროვე ადამიანის მორალური სახე მეტ-ნაკლებად არ იყოს მწერლის ყურადღების ცენტრში. მაგრამ ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ამ პრობლემას ეძღვნება, ან გამოირჩევა მისი ძლიერი აქცენტირებით. მათ შორის, პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ თენგიზ აბულაძისა და რევაზ ჯაფარიძის კინომოთხრობა „სხვისი შვილები“, არჩილ სულაკაურის მოთხრობები „წყალდიდობა“, „უკეთუ გაცდუნებდეს“, თამაზ ჭილაძის „შუადღე“ და სხვები.

კინომოთხრობა „სხვისი შვილები“ ერთი საყურადღებო ნიმუშია იმისა, თუ რა განუყოფელია თანამედროვე კინოხელოვნება მწერლობისაგან. ქართული (ისევე, როგორც საერთოდ, ყოველი) კინოხელოვნება ხშირად მიმართავს თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას და განსაკუთრებით საინტერესო ნაწარმოებებს ეკრანზე ახალ სიცოცხლეს აძლევს, ხელოვნების ფაქტად აქცევს. ამისი არა ერთი საყურადღებო ნიმუში გვაქვს, გავიხსენოთ თუნდაც ლეო ქიაჩელის „თავადის ქალი მაია“, ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“, დემნა შენგელაიას „განძი“ და სხვა მოთხრობები და რომანები, რომლებიც საფუძვლად დაედო ქართული კინემატოგრაფიის საუკეთესო ფილმებს. თუმცა მწერლობისა და კინოხელოვნების მარტო ასეთი ცალმხრივი ურთიერთობა არ არის საკმარისი. ძნელია იმის მოთხოვნა, რომ თვითეული კინოსცენარი ლიტერატურული ნაწარმოების ტოლფასოვანი იყოს, რომ მისი გამოქვეყნება ისევე შეიძლებოდეს, როგორც კარგი მოთხრობისა ან რომანისა, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, ლიტერატურულად მაღალხარისხოვანი სცენარი მნიშვნელოვანი ფილმის შექმნის საიმედო წინაპირობაა. ამის მაგალითად, ჩვენში „სხვისი შვილებიც“ იკმარებდა. ამ კინომოთხრობის საფუძველზე თენგიზ აბულაძემ შექმნა ჭეშმარიტად შთამბეჭდავი ფილმი, რომელიც ერთი საუკეთესოა უკანასკნელი წლების საბჭოთა ფილმებს შორის. სამწუხაროდ, ამ ჟანრმა ვერ მოიკიდა ფეხი ქართულ მწერლობაში და „სხვისი შვილების“ შემდეგ, მიუხედავად მისი წარმატებისა, სხვა კინომოთხრობა აღარ გამოქვეყნებულა. თუ ევროპაში, ან რუსეთში კინოსცენარი სულ უფრო მეტად პოულობს თავის ლიტერატურულ უფლებებს, იბეჭდება ჟურნალებში

*დასასრული. იხ. „მნათობი“ № 4.

ან კრებულებში, ცალკე წიგნებადაც გამოდის, ჩვენში იგი ძალიან ნელ მასალად რიცხება, რომელსაც ეკრანისაგან დამოუკიდებელი არსებობის პრეტენზია ვერა აქვს.

„სხვისი შვილები" მრავალმხრივ საინტერესო ნაწარმოები აღმოჩნდა. კინემატოგრაფიულმა ხედვამ მას სხვა რიტმი და ექსპრესია მისცა. ჩვენთვის მოულოდნელი იყო მისი ძუნწი თხრობა, რამდენიმე მარტივი წინადადებით ჩამოთვლილი ან მიხიშნებული კადრები, რომელთა წაკითხვა თითქოს არც შეიძლება, ისინი მხოლოდ უნდა დაინახოს მკითხველმა. მკითხველი, ერთგვარად თვითონ გამოდის აქ რეჟისორის როლში და საკუთარი ფანტაზიით ქმნის იმ ფონს, სადაც იშლება მოქმედება. ხასიათები აქ, როგორც წესი, დიალოგებში და მოქმედებაში იკვეთება, რადგან ავტორისეული ტექსტი თითქმის არ არსებობს. მაგრამ ეს არც ნაწარმოებს და არც მის მხატვრულ სახეებს არაფერს ვნებს. ნატოს, დათას, გიასა და ლიას სახეც აქ რელიეფურადაა გამოკვეთილი, მათი ხასიათები მთელი სიღრმითაა გახსნილი და, ამდენად, ის დიდი დრამა, რომელიც ჩვენს თვალწინ იშლება, სავსებით გასაგებია.

ახალგაზრდა ქვრივი მამაკაცი, ორი ბავშვის მამა, დათა შეყვარებულია თეოში, მაგრამ მათი შეუღლება შეუძლებელია, რადგან თეო არ მალავს, რომ დედობას ვერ გაუწევს სხვის ბავშვებს. ამ კეთილშობილურ და ძნელ საქმეს მთელი გულით იტვირთებს ახალგაზრდა სტუდენტი ქალი ნატო. რამოდენიმე ხნის შემდეგ დათა თეოს გაჰყვება მატარებლით და ბავშვებს ნატოს შეატოვებს. ეს უკანასკნელი კი ერთგული რჩება სხვისი შვილებისა, რომელთა დედობაც იკისრა. აი ორიოდ სიტყვით ამ კინომოთხრობის სიუჟეტური ქარგა. თუმცა, ასე მარტივად არ ვითარდება კინომოთხრობაში მოქმედება. ასე რომ იყოს, ყველაფერი იოლად დალაგდებოდა თავის ადგილზე, ნატოს მოქალაქეობრივი გმირობა და ზნეობრივი სრულყოფილება დაუპირისპირდებოდა დათას ძუნწებლობასა და უნებისყოფობას, მივიღებდით ბოროტისა და კეთილის საწყისს. მოთხრობის ავტორებს ასე მარტივად არა ყავთ გათიშული თავისი გმირები. თუმცა, უტრირების გზას რომ გავყვეთ, საბოლოოდ მაინც ორ პოლუსზე განლაგდებიან ნატო და დათა. მაგრამ ცოცხალი ადამიანების სულიერი სამყარო გაცილებით რთულია იმისათვის, რომ კეთილიცა და ბოროტიც ასე გაშიშვლებულად არ იყოს დაბუდებული მასში. დათა უიღბლო, თუმცა მოსიყვარულე მამაა, რომელმაც უბრალოდ არ იცის შვილების გაზრდა და არცა აქვს ამისი მოცალეობა, იგი მემანქანეა და მატარებლებს ხან ქართლის ველებზე დააქანებს და ხან კახეთის აღმართებს შეუყენებს. მას მთელი გულით უყვარს თეო, თუმცა პირველ პირობად მაინც იმას უყენებს, რომ ბავშვებს დედობა უნდა გაუწიოს და ამ მხრივ იგი კომპრომისზე ვერ წავა, ამიტომაც მიანებებს თავს თეოს, შეეცდება გულიდან ამოიღოს მისი სიყვარული. ნატო შემთხვევით გადაეყრება დათას ბავშვებს, რომლებიც ქუჩის ხშირი სტუმრები არიან და გამოექომაგება მათ. ნატოს თვითონაც მწარედ აქვს გამოცდილი ობლობა და მისი გული განსაკუთრებით მგრძნობიარეა უპატრონოთა მიმართ. გია და ლია ბავშვური გუმანით პირველივე შეხვედრისთანავე იგრძნობენ ნატოს კეთილ გულს და შეუყვარდებათ ეს უცნობი ქალი. რთულია ამ კეთილი ადამიანების ურთიერთობა. ნატოსა და დათას პირველი შეხვედრები კარგს არაფერს მოასწავებს. რადგან ნატოს სამართლიან საყვედურებს ბავშვების გამო, შეურაცხყოფილი მამა მტკივნეულად იღებს. ისევ ბავშვები მოახერხებენ მათ შორის მშვიდობის ჩამოგდებას. არც მერე, როდესაც უკვე ნატო დათას სახლში დიასახლისად შევა, ვითარდება ყველაფერი იოლად. ბავშვების სიყვარულს მალე მოიპოვებს ნატო, მაგრამ დედას

მაინც დიდხანს ვერ ეძახიან. ბოლოს, როდესაც თითქოს ყველა სიძნელე უკანაა ჩამოტოვებული და ამ მრავალტანჯულ ოჯახს ახლოდან ტკბილი და კეთილი ცხოვრება ელის, კვლავ დიდი, საბედისწერო განსაცდელი დაატყდება თავს. დათას ძველი სიყვარული მოუხდელი სენივით გაუხსენებს და როდესაც თეოს შეხვდება, იგრძნობს, რომ იღუპება, რომ ვეღარ მოერევა თავს. განწირულივით შვილს ჩაეხლაუჭება, გიას წაიყვანს თეოს გასაცილებლად, მაგრამ მატარებელი რომ დაიძრება, ბავშვს უნებურად ხელს გაუშვებს, ვაგონის საფეხურზე შეხტება და ასე გაჰყვება თავის ძველ სიყვარულს.

მძიმე ფიქრები თეთრად გაათენებინებენ ღამეს ნატოს, შეურაცხყოფილი ქალი ალიონზე ჩუმად გაეპარება ბავშვებს, ისიც მატარებლით გაურბის მათ, იმ სახლისაკენ გახედვაც არ უნდა, სადაც ასე გასთელეს მისი ქალური ღირსება. მაინც ერთი ფიქრი ყველაზე მეტად აწუხებს ნატოს, გია და ლია მეორედ კარგავენ დედას და ნატომ იცის რა ძნელიცაა ეს. ამიტომაც გარბის იგი, გარბის, რომ ამ ფიქრმა, სინდისმა არ გადასძლიოს მის სავსებით ადამიანურ და კანონიერ გულისწყრომას. როდესაც მატარებელი მათ სახლს ჩაუვლის, ნატო თვალს მოჰკრავს დამფრთხალ და-ძმას, გია და ლია მიწაყრილზე მორბიან, მას ეძებენ, მათი თვალები სავსეა შიშითა და მუდარით, და ნატოც ანგარიშმიუცემლად გადმოხტება გაქანებული მატარებლიდან.

ამ ყოფითი დეტალებით სავსე კინომოთხრობაში, რომელშიც არც ერთი არამცთუ პათეტური ფრაზა, უბრალო საუბარიც კი არ არის ადამიანის მორალურ ვალზე ბავშვების, მით უმეტეს შვილების მიმართ, მეტად ძლიერად არის გამოკვეთილი, ნაჩვენები (და არა განმარტებული ან თუნდაც ახსნილი) ორი დამოკიდებულება, დათასი და ნატოსი, ერთი ძნელად გასაგები, რთული, მერყევი, - რომელსაც საბოლოოდ სძლევს რაღაც ხმა იდუმალი, დაუმორჩილებელი გრძნობა და მეორე, უბრალო, ნათელი, სპეტაკი, რომელსაც ... ლად ამკარა შეურაცხყოფა-კი. სუფთარი ადამიანური ღირსების გათელვაც კი ვერ ააღებინებს ხელს თავის ვალზე ბავშვების ციმაოთ. ჩვენ ამას მხოლოდ ვხედავთ და განვიცდით, გულისყურით ვივსდევთ მოქმედების ამ დაძაბულ და დინამიურ განვითარებას. დასკვნები კი მერე თავისთავად კეთდება, ავტორები სულაც არ ცდილობენ ამ მხრივ მკითხველის მეურვეობას. ამ ცხოვრების ერთ ნაკადში, რომელიც მხატვრულ ფაქტად უქცევიათ ავტორებს, ციური მნათობივით ანათებს უბრალო, ჩვეულებრივი ქალის, ნატოს, დიდი ადამიანური სული. იგი მკითხველსაც გადასცემს თავისი გულის სითბოს, ავსებს მას მაღალი ზნეობითა და ადამიანის კეთილშობილური ბუნების რწმენით.

ნატოს სულის სითბოსა და სიკეთის გამობრწყინებას მეტი ელვარებისათვის არა სჭირდება დათას ზნეობრივი დაცემის ხაზგასმა. როგორც აღვნიშნე, ასე მარტივად არ უპირისპირდებიან ისინი ერთმანეთს, თუმცა მათი მოქმედებით შეიძლება ასეც გვეფიქრა. დათა უბრალოდ უგულო, ან ბოროტი ადამიანი არ არის, მან საკმაოდ კარგად იცის თავისი მოვალეობა ბავშვების წინაშე, მაგრამ რაღაც ქვეცნობიერი, დაუოკებელი ძალა სძლევს მას.

რევაზ ჯაფარიძემ თავის საინტერესო მოთხრობას „ხმა იდუმალი" უწოდა. მართალია, ამ ორ მოთხრობას სხვადასხვა მიზანდასახულება აქვს. მაგრამ მათი გმირები ქვეცნობიერი, იდუმალი ხმის კარნახით მოქმედებენ და ამ თვალსაზრისით კინო მოთხრობის გმირი დათაცა და „ხმა იდუმალის" ლევან ბერიშვილიც თითქოს ერთმანეთს გვაგონებენ. ლევან ბერიშვილი ამ იდუმალი ხმის ძალით ჯარისკაცის ვალსაც კი ივიწყებს. იგი, სამაგალითო ჯარისკაცი, პატრულირების დროს მიატოვებს სადარაჯოს, ანგარიშმიუცემლად მოახტება მატარებელს და საკმაოდ გრძელ გზას ადგება საყვარელ ადამიანზე ფიქრე-

ბით აფორიაქებული. მიუხედავად იმისა, რომ ლევან ბერიშვილი მიუტევებელ დანაშაულს სჩადის, ომის დროს სტოვებს სადარაჯოს და ბედისწერის იდუმალ ხმას აყოლილი საყვარელი ადამიანისაკენ ეშურება, მკითხველს უჭირს ეს აშკარა ბოროტებად ჩაუთვალოს, რადგან მოწამეა მისი შინაგანი მღელვარებისა და განცდისა. ადამიანები, სადაც არ უნდა იყვნენ, ან რა პირობებშიც არ უნდა იყვნენ ისინი, არა ცხოვრობენ ისეთი მარტივი ცხოვრებით, რომ თავიანთი მოვალეობის შესრულებაში ათასი რამ არ ეღობებოდეთ წინ. ბავშვების აღზრდაცა და სამშობლოს დაცვაც, თვით ეს ორი წმიდათა წმიდა ვალი ადამიანისა, მთლიანად არ ავსებს მას ისე, რომ აღარ დაუტოვოს სხვა რამ მწუხარებისა თუ სიხარულისათვის, დიდი ადამიანური განცდისათვის. ამ იდუმალი ხმის ძალით, ანგარიშმიუცემლად ღალატობენ დათა — საკუთარ ბავშვებს და ლევანი — ჯარისკაცის ვალს. ამავე დროს არც ერთი მათგანი არ არის ზნეობრივად დაცემული, ან მოვალეობის წმინდა გრძნობისაგან დაცლილი. და აი, აქ გვაფიქრებინებს მწერალი, რომ ადამიანს ბევრი განსაცდელი ელის თავისი პატიოსანი ცხოვრების გზაზე და მისი სიძლიერე, სიდიადე იმაშია, ვაქკაცურად გაუძლოს ყოველ ცდუნებას, იდუმალი იქნება იგი, ქვეცნობიერი თუ შეცნობილი. ეს სათქმელი, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია და ფსიქოლოგიურადაც მეტად საინტერესო: ამასთან, უფრო ახალიცაა ქართული მწერლობისათვის, ვიდრე აშკარა ბოროტების მხატვრული მხილება.

ასევე სავსეა ყოფითი დეტალებით არჩილ სულაკაურის მოთხრობა „წყალდიდობა“ და, ამასთან ასევე მძაფრადაა მასში დასმული თანამედროვე ადამიანის ზნეობრივი სიწმინდის პრობლემა. ერთი შეხედვით, ძველი თბილისის სანაპირო, თავისი ტივებით, პატარ-პატარა წისქვილებითა და ნავებით, თავისი მობინადრეებით, მეწისქვილეებით, მედუქნეებით, მრეცხავებით, ხელოსნებით, მეთევზეებით, რომელთა ცხოვრება მეტწილად პატარა ეზოებსა და უსწორმასწორო ქუჩებში, ანდა ფართო აივნებზე ერთმანეთის თვალწინ მიედინება, — ყველაფერი ეს, რასაც მწერალი, მართლაც, კოლორიტის მახვილი გრძნობით, მსუყე ფერებით გვიხატავს, თითქოს ყოფითი ნაწარმოების შექმნისათვისაა გამიზნული. მაგრამ არჩილ სულაკაურს აქ, პირველ რიგში, ადამიანის ქცევისა და, საერთოდ, ცხოვრების ზნეობრივი პრინციპის გარკვევა და გამოხატვა სურს. მაღალი ზნეობა მარტო აუცილებლად მნიშვნელოვან ეროვნულ ან საზოგადოებრივ მოვლენაში არ ჩანს, იგი ერთნაირად ძლიერად გამოსჭვივის დიდსა და პატარა, იქნებ, სულ უმნიშვნელო ფაქტსა და მოქმედებაშიც კი. მეთევზე ლადოც სწორედ ისეთი პატარა და უბრალო ადამიანია, რომელსაც არც უფიქრია დიდ საქმეებზე, მისი ცხოვრების დღენი ერთგვაროვნად, მოსაწყენად, თითქოს ფუჭადაც მიედინებიან, მაგრამ მაინც თვალნათლივს ხდიან მკითხველისათვის ამ გულმართალი და სინდისიანი კაცის პრინციპებს. საზოგადოების ყოველ ფენაში არიან ზნეობრივად სუფთა და ზნედაცემული ადამიანები, აქ განათლება ან პროფესია მნიშვნელოვან როლს არა თამაშობს. მეთევზე ლადოც გამოირჩევა იმ წრეში, რომელშიც იგი ტრიალებს და რომლის კანონმდებელიც მეწისქვილე ანტონაა. ეს წამგლეჯი, გარყვნილი, მეთავისე კაცი. ლადოს ერთნაირად უყვარს ყველა ახლობელი თუ შორეული. ერთნაირად შეუძლია თანაუგრძნოს ყველას, თვით უცნობ ნატოსაც კი, ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ავბედითად უტრიალებს ანტონა. ლადოს არა მარტო ნატოსთვის, უბრალოდ, ცოცხალი არსებისთვისაც შესტკივა გული და ამიტომაც გასწირავს თავს, როდესაც ადიდებულ მტკვარს შეებმის ნაგაზის გადასარჩენად. ლადო, ეს უბრალო მეთევზე, ერთი ჩუმი და უტყვი კაცი, თავისი ცხოვრებითა და ქცევით ირგვლივ სიკე-

თესა და სიყვარულს სთესავს მხოლოდ. ადამიანს ყველა ვალი გასტუმრებული უნდა ჰქონდეს, ეს ღრმადა სწამს ლადოს და ამ პრინციპს მისდევს კიდეც ცხოვრებაში. რა ვუყოთ, თუ ლადოს ასპარეზი ან მასშტაბი აკლია, მისი ცხოვრება და ქცევა, მისი სულიერი სამყარო ამით ნაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანი როდი ხდება. ერთი რამ აკლია, ჩემი აზრით, ლადოს, იგი ცოტა ინერტულია და თავისი ცხოვრებით უფრო „ქადაგებს" მაღალ ზნეობას, ვიდრე იბრძვის მისთვის. ამ მხრივ უფრო საინტერესოა არჩილ სულაკაურის მეორე მოთხრობა „უკეთუ გაცდუნებდეს", სადაც ახალგაზრდა გმირები ცოტნე, გიგი და დათუნა ზნეობრივად ფაქიზი ადამიანებიდან მაღალი ზნეობისათვის მებრძოლ ადამიანებად იქცევიან.

ეს პროცესი, ახალგაზრდა ადამიანის ზნეობრივი საფუძვლების ჩამოყალიბების პროცესი, ახლა, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად იტაცებს ქართულ მწერლობას, ყოველ შეძთხვევაში, ახალგაზრდა პროზაიკოსთა შემოქმედებაში იგი ერთი წამყვანი თემაა. თამაზ ჭილაძეს, რომელმაც ამ მოკლე დროში სამი თუ ოთხი ვრცელი მოთხრობა გამოაქვეყნა, ყოვილ მათგანში სწორედ ეს პრობლემა აინტერესებს — როგორია, ან როგორი უნდა იყოს თანამედროვე ახალგაზრდის ზნეობრივი საფუძვლები, როგორც ჩანს, ჩვენი საზოგადოების განვითარების ერთ ეტაპზე თითქოს საკმარისი იყო, ან მიჩნეული იყო საკმარისად ის, რომ ადამიანი თვითონ ყოფილიყო სუფთა და სპეტაკი. ახლა ეს აღარ აკმაყოფილებთ თანამედროვე ადამიანებს და, პირველ რიგში, თანამედროვე მწერლობას, პირადი პატიოსნება — ეს ჯერ კიდევ არ არის მაღალი ზნეობის გამოხატულება. ამასთან ერთად, აქტიური ბრძოლა ყოველივე უპატიოსნოსა და ანტისაზოგადოებრივის წინააღმდეგ,—აი ის ასპარეზი, რომელიც გამოაჩენს თანამედროვე ადამიანის მორალურ სიძლიერეს. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურის გმირები ამ პათოსით არიან გამსჭვალულნი. თამაზ ჭილაძის პროზაში ყველაზე საინტერესოდ და ძლიერად ეს შემართება, ვფიქრობ, მოთხრობაში „შუადღე" გამოჩნდა. ამ მოთხრობის გმირი, ტაქსის მძღოლი გოგი, რომელიც თავისი ცხოვრების შუადღეს მიახლოვებია, თანდათან რწმუნდება აქტიური მოქმედების აუცილებლობაში და იგი სწორედ ამ მაღალი ზნეობისათვის, სამართლიანობისათვის მებრძოლ ადამიანად იქცევა. ეს მოთხრობა საინტერესოა თანამედროვე ცხოვრების მტკივნეული საკითხების თამამი დაყენებით, ორიგინალური არქიტექტონიკით, თხრობის მანერით თუ ბევრი სხვა რამით, მაგრამ მთავარი აქ სწორედ გოგის ზნეობრივი მომწიფების საკითხია, და მწერალი გვაჯერებს, გვარწმუნებს, რომ მის გმირს შუადღის შემდგომ უფრო დაძაბული, სისხლსავსე ცხოვრება ელის, ვიდრე შუადღემდე.

თანამედროვე ახალგაზრდობის ზნეობრივი საფუძვლების მხატვრულ გახსნას მიუძღვნა აგრეთვე ახალი რომანი „ოქროს თევზი" არჩილ სულაკაურმა. როგორ უნდა შევიდეს ცხოვრებაში ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავის დამოუკიდებელ, შრომით საქმიანობას იწყებს, შეიძლება თუ არა საკუთარ სინდისთან კომპრომისზე წასვლა, თუნდაც ამას შენი და შენი ოჯახის, ახლობლების ინტერესები მოითხოვდეს, — აი ამ კითხვებზე პასუხობს არჩილ სულაკაურის რომანი. მწერალი რომანის პროლოგში გვაძლევს გარეგნულად მყუდრო და ტკბილი ოჯახის სურათს, რომელსაც ცხოვრების შფოთვა და დუღილი არა სწვდება. ოჯახის მამას კეთილ და შრომისმოყვარე კაცად იცნობენ, დედაც მშვიდი და აუღელვებელი ქალია, შვილების მოყვარული, ოჯახის ერთგული; შვილებიც არაფრით არღვევენ იმ მყუდროებას, რომელიც ბარამიძეების ოჯახისათვის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს. ასე იყო და ასევე გაგრძელდებოდა მათი ცხოვრე-

ბა, რომ ციხე შიგნიდან არ გამტყდარიყო. ეს „დანაშაული“ დათოს ედება ბრალად. მწერალი საინტერესოდ მოგვითხრობს დათოს პირველ დაბოუკიდებელ ნაბიჯებზე ცხოვრებაში. დათო თავიდანვე აწყდება წინააღმდეგობებს, რომლებსაც იგი არ ელოდა. იგი აუღელვებლად, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, უცხადებს ბრძოლას „შავ კოლას“ და სულაც არ ფიქრობს, რომ ეს ბრძოლა ძნელი და ხიფათით სავსე იქნება. დათოს სჯერა თავისი სიმართლისა და ასე ჰგონია, რომ სხვებისთვისაც დღესავით ნათელი იქნება მისი სიმართლე. მწერალი საკმაოდ თამამად ავითარებს ამ კონფლიქტს, საიდანაც მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ „შავ კოლას“ საკმაოდ ძლიერად აქვს ფესვები გადგმული და მისი დაძლევა არც თუ ისე იოლია. „შავი კოლას“ ნაცვლად ისჯება დათო, იგი კარგავს თავის საქმეს, რომელსაც მთელი ენერგიითა და მონდომებით ეკიდებოდა. მაგრამ ეს შედარებით ადვილი გადასატანია მისთვის. ყველაზე მძიმე დათოსათვის ისაა, რომ თანდათან სულ უფრო ფხიზელი თვალით უკვირდება იგი თავის ოჯახს და ამჩნევს, რომ მოჩვენებით სიკეთესა და სიმყუდროვის იქით მეშჩანური სული, გარყვნილება, დანაშაულია დაბუდებული. მწერალს ღრმად სჯერა, რომ ბრძოლა მაღალი ზნეობისათვის ღირსია ისეთი მსხვერპლისაც კი, რომელსაც ოჯახური სიკეთე და სიმყუდროვე ჰქვია. დათო ეს, ერთი შეხედვით, უცნაური კაცი, რომელსაც არა რცხვენია წინ აღუდგეს ოჯახს, ანგარიში არ გაუწიოს დედის მუდარასა და მამის რჩევას, იმეგობროს პატარა ბავშვთან და აშკარა თანაგრძნობა გაუწიოს სახელგატეხილ ქალს, ყოველივე ამის გამო კი კარგავს ოჯახის, სატრფოს, ახლობლების სიყვარულს, სამსახურს, სიმშვიდეს, — სწორედ ეს დათოა ამ რომანში ამაღლებული სულის პატრონი. გარეგნულ კეთილსინდისიერებაში შენიღბულ მახინჯ სულს იგი უპირისპირებს შინაგან გულწრფელობასა და პატიოსნებას. ბოროტებისადმი შეურიგებლობას, და ეს კი აღარ დაეძებს, თუ როგორ ფორმაში იქნება ეს გამოხატული, მისთვის ეს არაა მთავარი. მართალია, ბოლოს დათოს კვლავ სთავაზობენ ძველ სამუშაო ადგილს, ბევრი რამ შეიცვლება დათოს ირგვლივ, რადგან ბოროტებას დიდი დღე არ უწერია, მაგრამ სწორად იქცევა დათო, როდესაც კატეგორიულად უარს აცხადებს ყოველივე ამაზე და ქალაქიდან მიემგზავრება. ცხოვრების პირველსავე გაკვეთილზე მიღებული მძიმე ტრავმის იოლად მონელება და გადატანა არ შეშვენოდა დათოს და, ამასთანაც, რომანის პათოსსაც გაანეიტრალებდა. დათო მიდის იმ ქალაქიდან, სადაც მას ასე ძლიერ ატკინეს გული, მიდის იმ ოჯახიდან, რომელიც კერპი იყო მისი და ასე უმოწყალოდ დაემსხვრა, მიდის ახალ მშენებლობაზე, იქ, სადაც ჭეშმარიტ და არა მოჩვენებით სიმშვიდეს ჰპოვებს. არჩილ სულაკაურის რომანი „ოქროს თევზი“ ერთპლანიანი ნაწარმოები არ არის. ბევრი რამ მკითხველს აუხსნელი რჩება, მათ შორის ყველაზე მეტად გვაწუხებს დათოს ძმის მირიანის დუმილი. როგორც ჩანს, მირიანიც ამოიღებს ხმას და ბოლოს გაგვაგებინებს თავის დამოკიდებულებას მთელ იმ გარემოსთან, რომელშიც დათოსთან ერთად მასაც უხდება ყოფნა, გაგვაგებინებს თავისი უცნაური დუმილისა და ინერტულობის მიზეზებს, და ეს, ალბათ, რომანის მომდევნო წიგნში მოხდება.

მორალურ-ეთიკურ პრობლემატიკაზე უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში, ზემოთგანხილულის გარდა, კიდევ არა ერთი რომანი თუ მოთხრობა დაიწერა, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა ძლიერია თანამედროვე მწერლობის ინტერესი ამ პრობლემისადმი.

თანამედროვე ქართული მწერლობის ერთი დამახასიათებელი, წინა პერიოდის ლიტერატურისაგან განმასხვავებე-

ლი ნიშანთვისება, მისი თვალთახედვისა და ინტერესების სფეროს სიფართოეში უნდა ვეძიოთ. მწერლობისათვის არ არსებობს დიდი და მცირე საკითხი, ერთი და უცვლელი განწყობილება, საინტერესო და უინტერესო თემა. მწერლობა ისევე განუსაზღვრელია, როგორც თვით ცხოვრება, რომელიც სავსეა სიხარულითა და ტკივილით, იმედებითა და ეჭვებით, სიყვარულითა და სიძულვილით. თუ ამ ცოტა ხნის წინ ქართველი მწერლები ერთმანეთს თითქოს რამდენიმე თემის დამუშავებაში ეჯიბრებოდნენ, და ასე ჩამოყალიბდა ლიტერატურაში ეგრეთწოდებული სოფლის (ან კიდევ უფრო ვიწროდ, კოლექტივიზაციის) თემა, საწარმოო თემა და სხვა, ახლა გვაკვირვებს თემების სიმრავლეცა და ცხოვრებასთან მწერალთა განსხვავებული, მართლაც, ორიგინალური დამოკიდებულებაც. კონსტანტინე ლორთქიფანიძესა და დემნა შენგელაიას, სერგო კლდიაშვილსა და ალექსანდრე ქუთათელს, გიორგი ნატროშვილსა და გრიგოლ ჩიქოვანს, რევაზ ჯაფარიძესა და ოთარ ჩხეიძეს, თუ ქართველი პროზაიკოსების ახალ თაობას გურამ რჩეულიშვილს, ნოდარ დუმბაძეს, არჩილ სულაკაურს, რევაზ ინანიშვილს, ოტია იოსელიანს, ედიშერ ყიფიანს, თამაზ ჭილაძეს, მერაბ ელიოზიშვილს თუ სხვებსა და სხვებს, არა მარტო ორიგინალური ხელწერა, თხრობა, სიუჟეტის ოსტატობა და სხვა მხოლოდ მხატვრული თავისებურება განასხვავებს ერთმანეთისაგან, არამედ საკუთარი მხატვრული სამყაროც, საკუთარი ხედვაც ცხოვრების მოვლენებისაეს ლტოლვა მრავალფეროვნებისაკენ, ცხოვრების სხვადასხვა კუთხით დანახვისა და შეცნობისაკენ, ადამიანის, ხასიათისა და ფსიქიკის მრავალმხრივ გახსნისაკენ სრულიად კანონზომიერი რამ არის და, უნდა ვიფიქროთ, თანდათან სულ უფრო გაძლიერდება იგი.

არ არსებობს და, ვფიქრობ, არც შეიძლება არსებობდეს თავისი თავითა და თანამედროვე ცხოვრებით მხოლოდ კმაყოფილი მწერლობა. ასეთი განწყობილებით გამსჭვალული ლიტერატურის პერსპექტივა, რბილად რომ ვთქვათ, გაურკვეველია და ნაკლებ საიმედო. თუმცა ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ცხოვრებაზე გულის გატეხა და ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. საბჭოთა მწერლობაში ამ უკანასკნელ წლებში აქა-იქ გამოსჭვივოდა ერთგვარი გულგატეხილობა, რისი უფლებაც არ შეიძლება ჰქონდეს პროგრესული საზოგადოების ლიტერატურას, სოციალისტურ ლიტერატურას. მაგრამ სწორედ იმავ მიზეზით, რომ საზოგადოების, ცხოვრების პროგრესი დაუსრულებელი პროცესია, ლიტერატურა არ შეიძლება იყოს მხოლოდ კმაყოფილების გრძნობით გამსჭვალული მისი თანამედროვე ცხოვრების მიმართ. საბჭოთა მწერლობის ოპტიმიზმი მარტო ისეთ ნაწარმოებებში კი არა ჩანს, სადაც თანამედროვე ცხოვრების ნათელი მხარეებია წინა პლანზე წამოწეული, არამედ ისეთშიც, რომელიც უარყოფს ცხოვრების, ან ადამიანის ხასიათის ამა თუ იმ მახინჯ, ან ჩრდილოვან მხარესა და თვისებას.

ისეთი ხასიათის ნაწარმოები, სადაც გარეგნულ სიძნელეებთან თუ შინაგან ტკივილებთან ბრძოლაში ჩანს გმირის ღრმა და რეალური ოპტიმიზმი, უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში, შეიძლება ითქვას, არცთუ ცოტაა. მათ შორის აღსანიშნავია ნოდარ დუმბაძის რომანი „მზიანი ღამე" და გრიგოლ აბაშიძის მოთხრობა „ცხოვრება წინ არი".

გრიგოლ აბაშიძეს მკითხველი კარგად იცნობს, როგორც პოეტს, დრამატურგსა და ისტორიული რომანების ავტორს. მას სულ ორი მოთხრობა აქვს თანამედროვეობის თემაზე დაბეჭდილი: „ქვევრში" და „ცხოვრება წინ არი". როგორც ვხედავთ, მწერალი, სამწუხაროდ, მაინცა და მაინც არ ანებივრებს მკითხველს თანამედროვე ცხოვრებაზე დაწერილი ნაწარმოებებით. თუმცა არც

იმ მოთხრობას აკლია დრამატული სიმწვავე, სადაც სოფლად თავის ოჯახში სტუმრად ჩასული მსახიობი ელიზბარი, ქვევრში გასარეცხად ჩასული, მარტოდმარტო ებრძვის სიკვდილს და თავისი ცხოვრების სიხარულითა და ტკივილით სავსე გზას იხსენებს, მაგრამ ამჯერად, ზემოთ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას უფრო მეორე მოთხრობა, „ცხოვრება წინ არი“ იქცევს. ამ ცოტა პლაკატური სათაურის მქონე ნაწარმოებში დიდი ადამიანური დრამაა გაცხნილი. მწერალი თავისი უიღბლო გმირის ეუეუნას ცხოვრებით აფიქრებს მკითხველს იმ განსაცდელზე, რომელიც ადამიანს შეიძლება თავს დაატყდეს, და იმ სულიერ მხნეობაზეც, რომელმაც განსაცდელი უნდა გადაატანინოს. გრიგოლ აბაშიძე მეტად ყრუდ მიგვანიშნებს, რომ ეუეუნას მწარე ხვედრი იმ საერთო ტრაგიკული ამბებითაა შეპირობებული, რამაც არა ერთი უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა. მაგრამ ეს არაა მთავარი ამ მოთხრობაში და, ამიტომ, მწერალიც არ ამახვილებს მასზე ყურადღებას. მოთხრობა იმით იწყება, როდესაც ეუეუნა თავისი ავადმყოფი ქმრის, პატიმრობიდან განთავისუფლებული არჩილის ჩამოსაყვანად ომის მძიმე წლებში შუა აზიისაკენ მიემგზავრება. მწარე ცხოვრება ჰქონია ეუეუნას, ენერგიითა და სიცოცხლით სავსე მოსიყვარულე ქმარი, ელექტროსადგურების ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტი მალე დაუკარგავს მას, გადაუსახლებიათ. ახალგაზრდა მარტოხელა ქალს წმინდად შეუნახავს მეუღლისა და დედის სახელი, ახლა კი სულმოუთქმელად მიიჩქარის ავადმყოფ, თუმცა განთავისუფლებულ არჩილთან, რომ კვლავ დაუბრუნოს იგი ცხოვრებას. დიდი განსაცდელის გადატანის შემდეგ, მიაგნებს და შეხვდება არჩილს, უფრო სწორად, არჩილის აჩრდილს. შემაძრწუნებელია ეს შეხვედრის სცენა. არჩილს მეხსიერება დაუკარგავს; დავრდომილს, დაჩაჩანაკებულს, ერთი ინსტინქტი-ღა შერჩენია — საჭმელს ეტანება აკანკალებული ხელებითა და ველური თვალებით. კიდევ უფრო შემაძრწუნებელია ეუეუნას უკან გამომგზავრების ეპიზოდები, როდესაც მას მატარებელში გარდაეცვლება ქმარი. და შიშით ვერ ამხელს ამას. მწერალს ბოლომდე დაძაბული ჰყავს მკითხველი და, მიუხედავად ამ კოშმარებისა, ეუეუნას სასოწარკვეთამდე მისული განცდებისა, მოთხრობა მაინც ოპტიმისტურია. გრიგოლ აბაშიძე კარგი ტაქტით, მხატვრულად ზომიერად და დამაჯერებლად გვიჩვენებს იმ თანაგრძნობასა და მხარდაჭერას, რომლებსაც ნაცნობები თუ უცნობები, უბრალო ადამიანები უწევენ ეუეუნას, მოყოლებული თავისი მარტოხელა ცხოვრებიდან თვით ამ ტრაგიკულ მომენტამდე. ეუეუნა თავის სამსახურშიც, მგზავრობის დროსაც, გრძნობს ხალხის კეთილ გულს. ვიღაც უცხო დედაბერის ამ კეთილმა გულმა შეანახვინა უანგაროდ დავრდომილ არჩილს სიცოცხლე მეუღლის ჩამოსვლამდე. სწორედ ის გამცილებელი ქალი, რომლისაც ასე ეშინია ეუეუნას, ვაი თუ ვაგონში მიცვალებული აღმომიჩინოსო, გაუწევს ნამდვილ გულისხმიერ, მეგობრულ თანაგრძნობასა და დახმარებას ყველაზე მძიმე მომენტში. და აი, ამ უბრალო, თუმცა უსაზღვროდ დიდი სიკეთისა და სიყვარულის წყალობით, ეუეუნა მომავლის იმედითა და რწმენით ივსება. ეუეუნას ოპტიმიზმი, რომელიც ასეთ მძიმე, განსაცდელით სავსე ცხოვრებაში ისახება, უფრო ძლიერია და დამარწმუნებელი, ვიდრე ცხოვრებით გალაღებული ადამიანისა.

ნოდარ დუმბაძის რომანის „მზიანი ღამის“ გმირის თემო ბარამიძის მძიმე ცხოვრებისა და განცდების საფუძველი იგივეა, რაც ეუეუნასა და არჩილის ტრაგიზმისა. ორიგინალურად და დიდი სიწრფელითაა დაწერილი ამ რომანში თემოს პირველი შეხვედრა გადასახლებიდან დაბრუნებულ დედასთან. უნივერსიტეტიდან დაბრუნებული თემო თავისი ოთახის კარებს შეაღებს და მოულოდნელად დაინახავს ქალს, რო-

მელიც თურმე დედაა მისი; თემოს უჭირს თავის მშობელს დედა დაუძახოს, რადგან მთელი ცხოვრება, რაც თავი ახსოვს, უდედოდ გაატარა, მშობლიური ალერსი უცხოა მისთვის; იგი გადაეჩვია მშობელთან ურთიერთობას. თემო გარბის სახლიდან, დაეხეტება ღამით თბილისში და ასე ნელ-ნელა იკრებს ძალას, ამზადებს თავის თავს დედასთან შესახვედრად. გურამის ვრცელი ტირადა დუქანში, რომ ღმერთი დედაა და დედა კი ღმერთი, თითქოს მართლაც ნასვამი კაცის გრძელ სიტყვას ჰგავს, მაგრამ ამ რომანის ყველაზე ნათელი და წმინდა პათოსი სწორედ ამის მტკიცებაა. ნოდარ დუმბაძე მისთვის ჩვეული უბრალო, მაგრამ შთამაგონებელი მხატვრული ლოგიკით გვარწმუნებს ამაში. თემოსა და დედამისის ურთიერთობა, თუმცა „მზიანი ღამე" მთლიანად ამაზე აგებული არ არის, არამც თუ ძირითადი, ყველაზე თბილი, მნიშვნელოვანი, ძლიერი სიუჟეტური ხაზია ამ რომანში. უფრო მეტიც, სწორედ ამიტომ ჰქვია მას „მზიანი ღამე", სწორედ დედამისი უნათებს თემოს ცხოვრების გზას, ხოლო სიკვდილის შემდეგ უტოვებს სულსა და მზეს. დიდი ემოციური ძალითაა დაწერილი ეპიზოდი დედის საფლავზე, როდესაც თემო თავის საცოლეს ლიას გარდაცვლილ მშობელს წარუდგენს და აცნობს.

საინტერესოდაა გამოკვეთილი რომანში თემოსა და აბიბოს ურთიერთობის სიუჟეტური ხაზიც. აბიბოს სახის სრულად გახსნისათვის მწერალი არ უბრუნდება წარსულს და არ აფორიაქებს მკითხველის გრძნობებს გარდასულ ბოროტებათა გახსენებით, მაგრამ ჩვენთვის ისედაც ნათელია, თუ რა იქნებოდა დღევანდელი აბიბო ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც სულით მდაბალი ადამიანები ხშირად აღწევდნენ საწადელს და ტალახში სვრიდნენ პატიოსანი ხალხის სახელს. აბიბო დღესაც კი, როდესაც ყველა ბოროტება წარსულს ჩაბარდა, სიამოვნებას ნახულობს იმაში, რომ დაასმინოს თემოს მეგობარი რამაზ კორსაველი, რომელსაც გულწრფელად სურს თავისი ახალგაზრდული მძიმე ცოდვების მონანიება. ნოდარ დუმბაძეც და მისი გმირიც ადამიანურ ვალს ბოლომდე პირნათლად იხდიან მომაკვდავი აბიბოს წინაშე.

თემო ბარამიძეს, ახალგაზრდა კაცს, სხვა მძიმე განცდებიც აქვს, მისი ცხოვრება სავსეა ფიქრითა და დარდით, ზრუნვითა და ოცნებით. თემო არის ადამიანური სიწრფელისა და სინდისიერების განსახიერება, ამიტომ კარგავს იგი გულიკოს და იძენს ლიას, ასე ახლოს მიაქვს გულთან თავისი მეგობრის რამაზ კორსაველის უბედობა, ერთის ნახვით უმეგობრდება ართავაზას.

თუმცა ნოდარ დუმბაძის ამ რომანში, როგორც ვნახეთ, მოქმედება მძაფრად, დრამატულად ვითარდება და მისი გმირის ცხოვრებაც სავსეა მძიმე განცდებით, მაინც ეს ნაწარმოებიც, ისევე, როგორც ავტორის ადრინდელი რომანები, სავსეა ხალისიანი იუმორით. ეს ნოდარ დუმბაძის დამახასიათებელი მანერაა, რომელსაც დღემდე არ ღალატობს იგი. მწერალი გვაიძულებს ცრემლნარევი ღიმილით ვიკითხოთ მისი ხალისიანი გმირების სევდიანი თავგადასავალი. თემო ბარამიძის ძალა სწორედ მის დაუშრეტელ იუმორშია; მას შესწევს უნარი ყველაზე დიდ სირთულეებზეც კი თავისი ცხოვრების გზაზე იუმორით ილაპარაკოს, და ეს გმირის სულიერ მხნეობაზე მეტყველებს მხოლოდ. ნოდარ დუმბაძის ეს სიცოცხლით, სიყვარულითა და ხალისით სავსე ნაწარმოები დიდი ინტერესით იკითხება, მიუხედავად იმისა, რომ ერთი დამახასიათებელი ნაკლი მასაც თან ახლავს, ესაა კომპოზიციის სიმყიფე და ზოგჯერ ერთგვარი ღალატი ზომიერების გრძნობისა. ნოდარ დუმბაძის დაუშრეტელი იუმორი ზოგჯერ, სამწუხაროდ, ანეგდოტურ იერს იღებს და თავისთავად, არაორგანული ელემენტის შთაბეჭდილებას ტოვებს რომანში.

აქამდე ისეთ ნაწარმოებებზე გვქონდა საუბარი, რომლებშიც მახვილი სოციალური პრობლემები იყო დასმული და გმირების განცდაც მათი საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ურთიერთობით იყო შეპირობებული. მაგრამ ადამიანის სიხარულსა თუ მწუხარებას მარტო ეს როდი განსაზღვრავს. ლიტერატურას კი ადამიანის სულის მოძრაობის ყოველი შემთხვევა აინტერესებს, რითაც არ უნდა იყოს იგი გამოწვეული. პირადი, შემთხვევითი უბედურების განცდა, რომელიც არ არის დამოკიდებული ცხოვრების პირობებზე, არანაკლებ საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად უფრო მოკლებულია დროის კონკრეტულ ნიშნებს. ამის ერთ თვალსაჩინო ნიმუშს თანამედროვე ქართულ მწერლობაში ოტია იოსელიანის მოთხრობა „ლევანა" წარმოადგენს. მხნე და გამრჯე გლეხს ლევან კიკაბიძეს ორი მოსწრებული საცოლე ვაჟკაცი ერთ დღეს დაელუპება; დედაც მალე გადაჰყვება დარდს. და ლევანი — ეს „თბილი მიცვალებული" — მას შემდეგ უშფოთველად და უმოძრაოდ ხვდება ყოველ დილას. შეძლებული ოჯახი გაუნადგურდა; ძროხა მეზობლებმა წაიყვანეს მოსავლელად, ხარები ბრიგადირმა გარეკა, კატამაც კი მიატოვა კერა, და დარჩა ლევანი მარტოდმარტო თავის სიზმრებთან და მოგონებებთან ერთად. ლევანი ყოველ ღამე ხედავს სიზმრად თავის შვილებსა და მეუღლეს, ხოლო დღისით სიზმრად ნანახს იგონებს და ისე ესაუბრება შვილებს, თითქოს, მართლაც, გვერდით ჰყავდეს. ზრუნავს მათ დაცოლშვილებაზე, ჭკუას არიგებს, უფროს-უმცროსობას ასწავლის, მეუღლეს უწყრება, რომელიც მუდამ ქმარგობს ბავშვებს. მწერალი შესანიშნავად გადმოგვცემს მდგომარეობას ლევანისას, რომელიც გამოეთიშა ამ სამყაროს და თავისი მოჩვენებითი ცხოვრებით ცხოვრობს. ოტია იოსელიანი ფსიქოლოგიურად სწორად და საინტერესოდ ხსნის ლევანის გამოფხიზლებას. ვერც მეზობლების რჩევა-დარიგებამ გასჭრა. ვერც ათასგვარმა ხერხმა, რომელიც კეთილმა ხალხმა იხმარა, ... — მაინც თავისი შვილების აჩრდილებთან ცხოვრობდა და სხვას არავის ამჩნევდა. მხოლოდ მიწის ძალამ სძლია, გლეხის ბუნებამ გაიმარჯვა, და ლევანიც, რომელსაც ეგონა შვილს მივსდევო, ისევ გაუძღვა ხარებს ყანაში; მთელი ღამე იშრომა და დაღლილ-დაქანცულს მკვდარივით ჩაეძინა. იმ ღამეს პირველად ვერ ნახა შვილები სიზმარში და დილით მთელ სოფელს ესმოდა ლევანას ბღავილი. მხოლოდ ახლა შეიგრძნო ლევანამ რეალურად შვილების დაღუპვა, მაგრამ ამასთან ესაა დასაწყისი ცხოვრებისაკენ ლევანას მობრუნებისა. ოტია იოსელიანის ეს მოთხრობა საინტერესოა არა მარტო ადამიანური განცდის სიღრმით, არა მარტო ცხოვრების უძლეველობის უბრალო და ძლიერი გამოხატვით; მისი ღირსება ისიც არის, რომ ყოველი სიტყვა თუ ფრაზა ზუსტად არის მიგნებული და ფსიქოლოგიურად მართალია.

„ლევანასთან" შედარებით უფრო მსუბუქადაა დაწერილი ფსიქოლოგიურად არანაკლებ საინტერესო მოთხრობა „ქვრივის ცრემლები". „ლევანაში" მწერალი ისევე მძიმედ მოგვითხრობს ამბავს, როგორადაც მძიმეა თვით ეს ამბავი, „ქვრივის ცრემლებში" გმირის განცდა არანაკლებ რთულია, რადგან აქ ადამიანის ბუნება და მოვალეობის გრძნობა, სინდისი ებრძვის ერთმანეთს. ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქვრივი დარია უმწიკვლოდ ინახავს ოჯახის ნამუსს. თუმცა არც თუ იოლია ეს მისთვის. რადგან ბუნება ამ ჯანმრთელი ქალისა თავისას მოითხოვს. მკითხველი დაძაბული ელის ფინალს, თუ რითი დამთავრდება დარიასა და ლუკაიას მგზავრობა წისქვილიდან საბლამდე. დარია სულ ელის ლუკაიას შემოტევას. სულ ამის შიშშია, გული გამალებით უცემს და თავის ფიქრებში ანამუსებს ლუკაიას, არ ჩაიდინოს ცოდვა, მაგრამ ამასთან შეურიგდა ბედს, რადგან საკუთარი ჯანმრთელი ორგანიზმიც ამბოხე-

ბულა მის წინააღმდეგ. ეს ღელვა კი ამაოდ ჩაუვლის, ლუკაია მშვიდად გადმოუგდებს ტომარას და ვერც კი შენიშნავს, რომ ქალს მოლოდინში თვალები დაუხუჭავს და ერთიანად ცახცახებს. ეს ფინალი, რომელსაც თბილი იუმორი დაჰკრავს, არ ანელებს დარიას განცდის სიმძაფრეს.

ზემოთ ერთხელ უკვე აღვნიშნე და ახლა კვლავ მინდა გავიმეორო, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობაში ერთბაშად მოვიდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ნიჭიერი მწერლების ჯგუფი. და ეს ყველაზე სასიხარულო მოვლენაა უთუოდ. ამ წერილში განგებ არ გამოვყავი ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსები და მათი ნაწარმოებები, რადგან უფროსი თაობის მწერლებიცა და ახალგაზრდებიც ერთად, ერთმანეთის მხარდამხარ და მხარდაჭერით ემსახურებიან თანამედროვე ქართულ მწერლობას. იმ თემატური თუ პრობლემატური მიმოხილვითა და ანალიზით, რომელსაც მივმართე თანამედროვე მწერლობაზე მსჯელობის დროს, ვფიქრობ, ერთხელ კიდევ ნათელი გახდა ჩვენთვის, რომ უფროსებსაც და უმცროსებსაც უფრო მეტი რამ აქვთ საერთო, ვიდრე განსხვავებული. რაც მთავარია, მათ აერთიანებთ არა მარტო ერთი შემოქმედებითი მეთოდი, ან ერთი მსოფლმხედველობა, ან ერთი მიზანი (სხვაგვარად ხომ არც შეიძლება იყოს), არამედ საერთო ინტერესებიც, პრობლემებიც, თემებიც, თუმცა, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ორიგინალური კუთხით აქვს თვითეულ მათგანს დანახული და თავისებურად, ხშირ შემთხვევაში, განუმეორებლად გახსნილი. მიუხედავად ზემოთქმულისა, მაინც უნდა გამოვყო ცალკე ორი ახალგაზრდა მწერალი, გურამ რჩეულიშვილი და რევაზ ინანიშვილი, რადგან ისინი თავისი ორიგინალური ხედვითა და მანერით გამოირჩევიან თანამედროვე ქართულ მწერლობაში.

როდესაც გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების კრებულს ვკითხულობთ, ერთი მხრივ გვიკვირს, თუ სულ სამოოთხი წლის მანძილზე რამდენი ნაკვეთის გაკეთება, უფრო სწორად, შექმნა შეძლო მან, ხოლო მეორე მხრივ ისიც გვაკვირვებს, თუ ამ თავისი რამდენიმე მოთხრობით, რომლებმაც ერთი მომცრო კრებული შეადგინა მხოლოდ, როგორ შეძლო ამ ახალგაზრდა კაცმა არა მარტო თავისი სახელი დაემკვიდრებინა ახალგაზრდა მწერლებს შორის, არამედ გავლენაც მოეხდინა ახალგაზრდა ქართულ მწერლობაზე. გურამ რჩეულიშვილის საუკეთესო მოთხრობები „თვირთვილა", „სალამურა", „სიკვდილი მთებში", „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე", „ალავერდობა", „ბათარეკა ჭინჭარაული" ამავე დროს თანამედროვე ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებებიც არის.

გ. რჩეულიშვილის განუსაზღვრელი სურვილი ცხოვრებისა და მოქმედების თავისუფლებისა შესანიშნავად გამოიხატა მისსავე მოთხრობებში. ხოლო ეს შეუზღუდველობა, თავისუფლება რისთვისაც სჭირდებოდა მას, ნათლად გვითხრა მწერალმა თავისი საუკეთესო მოთხრობით „ალავერდობა". ალავერდობაზე ჩასული ახალგაზრდა კაცი გურამი (გმირისა და ავტორის სახელის დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს) უყურებს ამ გაუთავებელ ღრეობას, უაზროდ ატორტმანებულ და აცეკვებულ ბრბოს, და ამ როკვაში სრულ ინერტულობას ხედავს. „უმიზნო, დაუოკებელი ვნება სუფევს გარშემო... უყურებს მათ ჩვენი მოთხრობის გმირი და რაღაც ცრემლებივით ებჯინება ყელში. ნუთუ ამ უთავბოლო აურზაურისა და ღრეობისაყურებლად მოვიდა აქ"... გურამი ერთი წუთით შეძლებს ამ დამაჩლუნგებელი ბურანიდან მოალავერდეების გამოყვანას, — იგი თუშის ცხენს შოიტაცებს და გიჟური ჭენებით დააფეთებს მოქეიფეებს. მაგრამ ისინი მალე დაკარგავენ მისდამი ინტერესს, და გუმბათის ლავგარდანზე გადმომდგარ გურამს არა თუ თავისი, სხვისი უმოქმედობა აწუხებს. „ის ფიქრობს: საიდან მოდის

ეს სიცოცხლისუნარიანობა, და პასუხობს: ის თვითონ ჩემშია, ის თვითონ ხალხშია, მაგრამ აქ ზოგიერთნი დაბნეულან და ველარ გრძნობენ შემოქმედის ნამდვილ სიამოვნებას, სიამოვნებას შრომისა, რადგან ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში". გურამ რჩეულიშვილისათვის სწორედ ეს შენებაა მთავარი და არა აშენებულით ტკბობა; ესაა წყარო მისი ენერგიისა, მოქმედების სურვილისა, ესაა მისი ცხოვრების აზრი. ეს დიდი სათქმელი გვიანდერძა გურამ რჩეულიშვილმა თავისი შესანიშნავი მოთხრობით „ალავერდობა".

სულ სხვა მომხიბლაობა აქვს რევაზ ინანიშვილის მოთხრობებს, რომლებიც მწერალმა კრებულში („წვეთები ფოთლებზე") გააერთიანა. თვით სათაურიც შესანიშნავად არის შერჩეული მოთხრობებისათვის, რადგან მომცრონი, ანკარანი, გამჭვირვალენი, ისინი, მართლაც. წვიმის წვეთებს ჰგვანან, ხოლო კრებულიდან ფოთლების სურნელი იღვრება. საერთოდ ეპიგრაფი უნდა ესადაგებოდეს ნაწარმოების აზრსა და სულისკვეთებას, მაგრამ თითქოს საგანგებოდ რევაზ ინანიშვილის მოთხრობებისათვის დაწერაო თანამედროვეობის დიდმა იტალიელმა პოეტმა სალვატორე ქვაზიმოდომ ის, რაც ამ წიგნს წინ უძღვის:

„...ჩვენ გვინდა ქალაქგარეთ გავიდეთ,
ბალახებზე წამოვწვეთ უიარაღოდ,
უდაფდაფოდ,
და ვუსმინოთ, როგორ სცვივათ მწვანე
ფოთლებს
წვიმის წვეთები,
როგორ ეცემიან ეს წვეთები ჩვენს თმებს,
და თმებს იმ ქალისას,
რომელიც ჩვენ გვიყვარს..."

რევაზ ინანაშვილის მოთხრობები შესანიშნავი ნიმუშია ლირიკული პროზისა. მწერალი აქ არ გვთავაზობს დიდ ადამიანურ ვნებათაღელვებსა და ცხოვრების მძაფრ ხილვას; იგი არავის და არაფერს არ ებრძვის, მას უბრალოდ მთელი გულით, მთელი არსებით, უყვარს ის წმინდა და ნათელი, რაც ასე უხვადაა ბუნებასა და ადამიანში. სამის მეტს ის არც არაფერს ხედავს. იმ სამყაროში, რომელსაც დაუტყვევებია მწერალი, მხოლოდ სიყვარული და იდილია სუფევს. რევაზ ინანიშვილის მოთხრობები ეგრეთწოდებულ უსიუჟეტო მოთხრობებს მიეკუთვნებიან; არც ერთი მათგანის მოყოლა არ შეიძლება, ისევე როგორც ვერ მოყვები კარგ ლექსს. ეს წიგნი „წვეთები ფოთლებზე" უშუალო, პოეტური განცდის ნიმუშია და არა ცხოვრების დაკვირვებული შესწავლის შედეგი; ცხოვრებაზე, სიცოცხლეზე. ადამიანში შეყვარებულის ღაღადისია, მწერლის კეთილი გულის გამოსხივებაა.

თანამედროვე ქართული მწერლობა დიდი ინტერესით ეკიდება სამამულო ომის თემას. ეს არცაა გასაკვირი და მას რამდენიმე საფუძვლიანი მიზეზი აქვს. თვით ომის წლების ქართული პროზა საკმარისად მცირეა ნაწარმოებთა რაოდენობით და, თავისი მხატვრული ღირსებებით. ომის წლებში დაწერილი ქართული მოთხრობები და რომანები საკმაოდ შიშვლად, სწორხაზოვნად ქადაგებდნენ საბჭოთა პატრიოტიზმს, გვიჩვენებდნენ საბჭოთა ადამიანების გმირულ ბრძოლას სამშობლოს დასაცავად, ან საბჭოთა მშრომელების თავდადებას გამარჯვების გამოსაჭედად. ასეთი ნაწარმოებები საჭირო იყო ხალხისათვის ომის წლებში, მაგრამ მათ დიდი დღე არ ეწერათ, რადგან ჭეშმარიტ მხატვრულ აზროვნებასთან საერთო ძალზე ნაკლები ჰქონდათ. სამწუხაროდ, არც ომისშემდგომ წლებში გაკეთებულა ბევრი რამ სამამულო ომის თემის მხატვრული ხორცშესხმის თვალსაზრისით. ამ დიდ თემას არ ეყოფოდა ლეო ქიაჩელის „მთის კაცი" და დემნა შენგელაიას „წითელი ყაყაჩო", მით უმეტეს, რომ თვით ეს გამორჩეული ნაწარმოებებიც ზოგჯერ სცოდავდნენ მხატვრულობის თვალსაზრისით. საერთოდაც ომისშემდგომ წლებში, საყოველთაოდ ცნობილ გარემოებათა გამო, არც

იყო ხელსაყრელი პირობები ისეთი დრამატული ეპოქის წარმოსახვავად, როგორიც ომის წლები იყო. ასე რომ, ქართული მწერლობის ეს დიდი ინტერესი სამამულო ომის ეპოქისადმი პირველ რიგში, ვფიქრობ, სწორედ იმით უნდა აიხსნას, რომ მას დღემდე ძალზე სუსტად აქვს გამოყენებული ეს მეტად საინტერესო მასალა. ამას გარდა, სამამულო ომი იმდენად ამოუწურავი თემაა, რომ იგი დიდხანს იქნება კიდევ საბჭოთა მწერლობის შთაგონების წყარო. ამ ომის დროს განსაკუთრებით მკაფიოდ გამომჟღავნდა საბჭოთა ადამიანის მაღალი ეროვნული შეგნება, პატრიოტული სულისკვეთება, შეუდრეკელი ხასიათი, მორალური სიძლიერე; ერთი სიტყვით, სრულად გაიხსნა საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს სილამაზე და, ბუნებრივია, ყველაფერი ეს იზიდავს საბჭოთა მწერლობას. მართალია, ომმა თან მოიტანა ათასი უბედურება, განსაცდელი, გაჭირვება, მაგრამ სწორედ ამ მძიმე ცხოვრების დაძლევაში გამოჩნდა საბჭოთა ადამიანის გულგაუტეხელობა, სულიერი მხნეობა. თანამედროვე მწერლობა, წინა წლების მწერლობისაგან განსხვავებით, საბჭოთა ადამიანის მხოლოდ ამ სულიერი მხნეობის და მაღალი მორალური თვისებების გამოხატვით კი არ კმაყოფილდება, არამედ ომის წლების მძიმე ცხოვრების მართალი სურათების შექმნით, ადამიანების მართალი განცდების გამოხატვით გვიხსნის ამ სულიერი მხნეობის წყაროსა და საფუძველს. საკმარისია გავიხსენოთ ისეთი ფართო ეპიური ტილოები, როგორიცაა რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“ და „მარუხის თეთრი ღამეები“, ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“, ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“, ან გავიხსენოთ კონსტანტინე ლორთქიფანიძის, სერგო კლდიაშვილის, არჩილ სულაკაურის და სხვების მოთხრობები, რომ ნათელი გახდეს, თუ რა მრავალმხრივ, სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა ასპექტშია გახსნილი ომის თემა უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში.

მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ლიტერატურას, მით უმეტეს, პროზას ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი. განსაკუთრებით ცოტაა დაწერილი თვით ფრონტულ ცხოვრებაზე. ეს შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ პირად შთაბეჭდილებას, განცდას, უშუალოდ ცხოვრებისაგან მიღებულ დაკვირვებებს, გადამწყვეტი თუ არა, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლისათვის, და შეიძლება ნაწილობრივ ამითაც აიხსნას ქართულ მწერლობაში ფრონტული ყოფის გამოხატვის სიძუნწე. ამ მოსაზრების მართებულობაში ისიც გვარწმუნებს, რომ ფრონტული ყოფა იმ ქართველმა მწერლებმა გაგვიხსნეს და წარმოგვისახეს საინტერესოდ, რომლებსაც ეს პირადი გამოცდილება და უშუალო განცდა ჰქონდათ. მე მხედველობაში მაქვს გ. ნატროშვილის მოთხრობები, რევაზ ჯაფარიძის ვრცელი მოთხრობა „მარუხის თეთრი ღამეები“ და კონსტანტინე ლორთქიფანიძის „სიკვდილი ცოტას მოიცდის“.

რევაზ ჯაფარიძე მეტად ნაყოფიერ შემოქმედებით შრომას ეწევა ამ უკანასკნელ წლებში. სწორედ ამ წლებში დაწერილ ერთ მის ნაწარმოებთაგანს წარმოადგენს „მარუხის თეთრი ღამეები“, ვრცელი დოკუმენტური მოთხრობა, რომელიც თავისი ღირსებებით არ ჩამოუვარდება მწერლის მხატვრულ ნაწარმოებებს და რომელშიც უღელტეხილის დაცვის, და ბრძოლების მონაწილე ქართველების გმირული ცხოვრების ეპიზოდები შესანიშნავადაა გაცოცხლებული.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ თავის მოთხრობას „სიკვდილი ცოტას მოიცდის“, ნამდვილი ამბავი უწოდა. ნაწარმოებისათვის კარგი სათაურის მიგნებას ყველა მწერალი როდი ახერხებს. უკვე ამ ცოტა უცნაურ სათაურში შესანიშნავად ჩანს საბჭოთა მეომრის ჯრმა რწმე-

ნა მომავლისა, მისი გაუტეხელი გული, ვაჟკაცური ხასიათი, რაც თვით სიკვდილ-სიცოცხლესთან დაკავშირებითაც კი არ უკარგავს იუმორის გრძნობას. სწორედ ამ ვაჟკაც მეომრებზე, რომლებიც სიკვდილსაც კი მოაცდევინებენ, არის დაწერილი ეს ნაწარმოები. „სამი წელიწადი დავყავი მოქმედ არმიაში, — წერს კ. ლორთქიფანიძე. — რაც იქ ვნახე და განვიცადე, ზოგი რამ უკვე იცის მკითხველმა ჩემი მოთხრობებიდან. ზოგზეც ახლა ვმუშაობ და, ალბათ, კიდევ დიდხანს ვიმუშავებ, რადგან, ეტყობა, იმ ომის მოლანდება კაცს ასე ადვილად არ მოშორდება“. ის, რაც მწერალმა გამოაქვეყნა, ერთი ნაწილია წიგნისა, რომელსაც იგი ამზადებს. თუ რა მიზანდასახულებისა იქნება ეს წიგნი, ამას მწერალი ახლავე გვამცნობს: „ბევრი რამ საკუთარი თვალითა ვნახე და იქვე ჩავიწერე. ეს ყველაფერი თავის დროზე საფრონტო გაზეთებში დაიბეჭდა და თუ ახლა ისევ განვიზრახე მათი გამოქვეყნება, — მხოლოდ იმიტომ, რომ არ მინდა დაიკარგოს მათი სახელი, ვინც ნამუსიანად მოიხადა ყველაზე მძიმე ვალი კაცის ცხოვრებაში — ჯარისკაცის ვალი“.

როგორც გამოქვეყნებული ნაწილიდან და მწერლის ზემოთმოტანილი სიტყვებიდან ჩანს, კ. ლორთქიფანიძის ახალი წიგნი ერთგვარად ავტობიოგრაფიული და დოკუმენტური პროზის ხასიათისა იქნება. თუმცა, ეტყობა, ეს არ უშლის ხელს, არ ზღუდავს მწერალს იმდენად, რომ დიდ განზოგადებებს და მხატვრულ ეფექტს ვერ მიაღწიოს. მწერალი ძალზე უბრალოდ და საინტერესოდ (საერთოდ, მას ამისი ჩინებული უნარი აქვს, მკითხველს მუდამ ძაბავს საინტერესო სიუჟეტითა და ენერგიული, ეფექტური თხრობით) გვაცნობს ერთ-ერთ ასეთ ვალმოხდილ ჯარისკაცს მამია ჯაიანს, რომელთანაც ერთად ფრონტის წინა ხაზზე რამდენიმე დღე დაუყვია და მისი ვაჟკაცური ხასიათი სიკვდილის პირისპირ გამოუცდია. ამასთანავე, აქვეა ერთი ჩართული ამბავი, რომელსაც ჯაიანი ყვება და რომელიც თავისთავად ბრწყინვალე ნოველაა. ჯაიანი მოენეს წამოიყვანს და, როგორც გზაში გამოირკვევა, ეს მოენე ქართველი ყოფილა, ახალი გადასული მტრის მხარეზე. მთელი საოცრება ამ ნოველისა ისაა, რომ მკითხველს თანაგრძნობით განაწყობს ამ უბედური კაცისადმი. თანაგრძნობის საფუძველი ის კი არაა, რომ თავისი პირადი დიდი წყენის გამო, რაკიღა მშობლები უსამართლოდ დაუღუპეს, თითქოს ჰქონდა მორალური უფლება მტრის მხარეზე გადასულიყო, არამედ ეს საფუძველი თვით ამ ტრაგიკული პიროვნების სინდის-ნამუსია. ამ დაუფიქრებელი, საბედისწერო ნაბიჯის შემდეგ კი, რამაც მას გერმანული მაზარა ჩააცვა, იგი უნებლიედ, თუმცა გულითა და გრძნობით, საბჭოთა მეომრებს ჩვენებს უწოდებს. მას დახვრეტის არ ეშინია; აი, რას ემუდარება ჯაიანს: „მაგ დივიზიას თბილისიდან მოვდევ.. ახლა იქ ჩვენების წინ რომ ჩამატარებენ... რანაირად შემომხედავენ!.. ამას გადამარჩინე...“ ერთადერთ ტყვიას ითხოვს ეს უბედური, სიკვდილი უნდა, ისე უნდა წავიდეს ამ ქვეყნიდან, რომ თავისი შერცხვენილი სახელი არ დატოვოს, ვერავინ გაიგოს. მწერალი ყოველ ფაქტს იქით ადამიანის სულის მოძრაობას ხედავს, და ამითაა სწორედ მწერალი. აქაც კონსტ. ლორთქიფანიძე მარტო იმას კი არ გვიყვება, რომ ეს უცნობი ბიჭი მტრის მხარეზე გადავიდა, არამედ მის სულში გვახედებს, და ვგრძნობთ, რომ სხვაზე თუ მეტად არა, არანაკლებ და უფრო მწვავედ ესმის მას, რომ „ღალატი შურისსაძიებლად არ გამოდგება“, ვხედავთ მის ნამუსიან კაცობას, რომელმაც საკუთარ თავს ყველაზე მკაცრი განაჩენი გამოუტანა. ვგრძნობთ, რომ ჩვენ წინ ცდომილი კაცია, არა კაცუნა, არამედ კაცი, რომელიც შენდობის ღირსია. მაგრამ ომს თავისი კანონები აქვს. ასეთ წინააღმდეგობაში მოექცა, უფრო სწორად, მოაქცია გმირი მწე-

რალმა. როგორ უნდა გადაწყდეს იგი, ეს ბიჭი უნდა ჩამოიყვანოს ჯაიანმა და ტრიბუნალს გადასცეს, თუ ერთი ტყვია შეაწიოს მას? მწერალმა არ დაამთავრა ნოველა. ხერხი იხმარა; ჯაიანს სასწრაფო დავალების მიღებით თხრობა შეაწყვეტინა და მკითხველი „უმოწყალოდ" ასეთ დიდ საგონებელში ჩააგდო.

ფრონტულ ცხოვრებაზეა დაწერილი არჩილ სულაკაურის მოთხრობა — „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან". უფრო სწორად, აქ ფრონტული ყოფა მწერალს გამოყენებული აქვს იმისათვის, რომ დიდ განზოგადებამდე აიყვანოს ჯარისკაცის ტკივილი და მისი მამაკაცური სინდისის ხმა გაგვაგონოს. მწერალს აქ არ აინტერესებს საბრძოლო ეპიზოდები, რომლებიც საშუალებას მისცემს მის გმირს თავისი დიდი სინდისი და მამულისადმი ვალის გრძნობა გამოამჟღავნოს. ამის ჩვენებას არჩილ სულაკაური გმირის სულიერი მდგომარეობის ფსიქოლოგიური ანალიზით ახერხებს და, უნდა ითქვას, რომ ამ ხერხით შესანიშნავად გვაჯერებს თავისი ჯარისკაცის დიდბუნებოვნობაში. მომაკვდავი ჯარისკაცის უცნაური სიმღერა ღიად დარჩენილ საფლავებზე, იმ საფლავზე, რომელიც ქალიშვილს გაუთხარა, მაგრამ ვერ კი დამარხა, მართალი სინდისის ძლიერი ხმაა, რომელიც უთუოდ წალეკავს ბოროტებას.

ქართულ ლიტერატურაში უფრო მრავალმხრივაა წარმოსახული საბჭოთა ადამიანების ცხოვრება სამუმულო ომის წლებში. საბჭოთა ადამიანების იმედები, ტკივილები, შეუპოვრობა, ამტანობა, მოქალაქეობრივი და მამულიშვილური გრძნობა ამ დიდი განსაცდელის ჟამს არანაკლებ ამაღელვებელია, ვიდრე ფრონტელი მებრძოლებისა, და ყველაფერი ერთად კი გვიხსნის ხალხის იმ შეუდრეკელ ხასიათს და ნებისყოფას, რომელიც წყვეტს ომის ბედს.

სამამულო ომის წლების ცხოვრებაზეა დაწერილი უკანასკნელი წლების ისეთი მნიშვნელოვანი რომანი, როგორიცაა რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი". ამ ფართო ეპიკურ ტილოზე მწერალმა საინტერესოდ დაგვიხატა ქართული სოფლისა და მის მკვიდრთა ცხოვრება ომის მძიმე წლებში. მწერალი ცხოვრების ფართო პანორამას იძლევა, უამრავი გმირები შემოჰყავს მოქმედებაში, მაგრამ ყველას და ყველაფერს ჩრდილავს ხათუნა მინდელის, ჯარისკაცის ქვრივისა და ქართველი დედის მონუმენტური ფიგურა. ესაა ქართველი ქალის სინდისისა და ნამუსის სიმბოლო, თუმცა ეს სულაც არ უშლის ხათუნა მინდელს ცოცხალი ადამიანის განცდითა და ტკივილებით, გასაჭირითა და მხნეობით წარმოგვიდგეს თვალწინ. ხათუნას შეუდრეკელი ხასიათი, მისი უტეხი ნებისყოფა, მისი მოქმედება ერთი დიადი მიზნითაა შთაგონებული; მას არა აქვს უფლება გააციოს თავისი ქმრის, დაღუპული ჯარისკაცის კერა. ამ დიდი მიზნის გამო უარყოფს ხათუნა შედარებით იოლ ცხოვრებას მშობლებთან და უმამაკაცოდ, მარტოდმარტო ეწევა ცხოვრების მძიმე ჭაპანს. ბევრ განსაცდელს გადაიტანს ხათუნა. ამ ახალგაზრდა, გამოუცდელი ქალისათვის გაციებული კერის აღდგენა, ცხოვრების სიძნელეებთან ბრძოლა, შვილების ნამუსიანად აღზრდა, ცოცხალი ადამიანის ვნებებთან ბრძოლა იოლი საქმე არ არის, მაგრამ ყველაფერს სძლევს, სძლევს იმიტომ, რომ ეს ისეთივე ჯარისკაცული ვალია მისთვის, როგორ ვალსაც შეეწირა მისი მეუღლე. ხათუნა მინდელი, როგორც ქართველი დედა, ღრმად გვარწმუნებს იმაში, რომ ის ხალხი, რომელიც ასეთ მეუღლესა და დედას ზრდის, არ გადაშენდება, არ მოშლის ქართულ ოჯახს და კვლავაც დაზრდის ისეთ შვილებს, რომლებიც, თუ ამას მამული მოითხოვს, მამის კვალზე წავლენ და ვაჟკაცურად გასწირავენ თავს, რადგან ხათუნა მინდელები რჩებიან იმედად. რევაზ ჯაფარიძის ეს რომანი მნიშვნელოვანია თავისი ამ დიდი იმედით, რომელსაც ასე მძლავ-

რად გვაგრძნობინებს ცხოვრების მძიმე გზაზე ამაყად და მტკიცედ მიმავალი ხათუნა მინდელი.

ომის წლებში ვაქაცდებიან ნოდარ დუმბაძის რომანების „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“ გმირები ზურიკელა ვაშალომიძე და სოსოია. ნოდარ დუმბაძის ამ რომანებმა, რომლებიც სავსეა დიდი ადამიანური სითბოთი, ღრმა ჰუმანიზმით, ცხოვრების სიხალისით, ადამიანური ტკივილებით, ღრმა ოპტიმიზმითა და დაუშრეტელი იუმორით, სავსებით დამსახურებულად მოიპოვა ქართველი, და არა მარტო ქართველი მკითხველის დიდი მოწონება და სიყვარული. ამ წმინდა ოთხეულის — ზურიკოს, ბებიას, ილიკოსა და ილარიონის — სიყვარულით სავსე ურთიერთობა ადამიანის კეთილი ბუნების მხატვრულად მართალი, ორიგინალური და შთამბეჭდავი გამოხატულებაა. არც ზურიკოსა და არც სოსოიას არა აქვთ უზრუნველი ბავშვობა, მათ საკმაოდ ადრე დააწვათ ამქვეყნიური უღელი მხრებზე, და ეს იმიტომ, რომ ომის მძიმე წლებში უხდებათ ცხოვრება, მაგრამ მათ იმის გამო არ დაუკარგავთ არც ცხოვრების ხალისი, არც ბავშვური უშუალობა და არც ადამიანებისადმი დიდი სიყვარული.

მხატვრული ღირსებისათვის, თუნდაც გამოხატვის სისრულისათვის ლიტერატურული ნაწარმოების მოცულობას რომ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ამას ერთხელ კიდევ გვახსენებს კ. ლორთქიფანიძისა და სერგო კლდიაშვილის ბრწყინვალე ნოველები „ცაბუნია“ და „ჭინკა ბიჭები“. ამ ორ სულ რამდენიმე გვერდიან ნაწარმოებში, კონკრეტულ პატარა ფაქტთან დაკავშირებით შესანიშნავადაა გადმოცემული ომის დრამატული განცდაც, ადამიანების დიდი ჰუმანური ბუნებაც და ცხოვრების ღრმა ოპტიმისტური ხილვაც. კ. ლორთქიფანიძის მოთხრობის გმირი პატარა ცაბუნია, რომელიც ყოველ დილით მორბის სოფლიდან სადგურში, ეგებ ფრონტიდან მომავალმა დაჭრილებმა მამის ამბავი მითხრანო და ავადმყოფი დედა [illegible] ეკითხაროო, დიდხანს უტოვებს ტკივილს მკითხველს და ერთხელ კიდევ განაცდევინებს მთელი სიმძაფრით ომის ტრაგედიას. ამ ტკივილს მხოლოდ უცნობი დაჭრილი ჯარისკაცის დიდი ადამიანური გულით ნათქვამი ტყუილი აყუჩებს, რადგან ვგრძნობთ, რომ ცაბუნიას ირგვლივ კეთილი ხალხია, რომლებიც თავისი სიკეთით გაათბობენ დარდისა და სიცივისაგან გათოშილ გოგონას. როგორი იქნება ცაბუნიას ბედი, საერთოდ ცაბუნიების ბედი, ამ ზოგად კითხვას ღრმა ოპტიმიზმით პასუხობს სერგო კლდიაშვილის ნოველა „ჭინკა ბიჭები“. ჭინკა ბიჭების მამებიც არ დაბრუნდნენ ომიდან, შემდეგ მეორე ომში თვით დავაჟკაცებული ჭინკა ბიჭები დაიკარგნენ, და ამ სევდიან მოგონებას თავის მშობლიურ სოფელში ჩასულ მწერალს ერთბაშად უქარვებს ჟრიამული ბავშვებისა, მესამე თაობის ჭინკა ბიჭებისა და იგი გრძნობს, რომ ცხოვრება ძლიერია ომზე, რომ სიკეთე მარადიულია, რომ ჭინკა ბიჭებს არ უწერიათ გადაშენება და ეს იმედითა და ხალისით ავსებს მას.

ომის ეს დრამატული, მაგრამ ერთდროულად ოპტიმისტური განცდა უდევს საფუძვლად ოტია იოსელიანის რომანს „ვარსკვლავთცვენას“. ის, რაც სერგო კლდიაშვილთან ნოველისებური ხერხითაა გადაწყვეტილი, აქ უკვე ვრცელ ეპიურ ტილოს ავსებს. გოგიტა და მისი ამხანაგები რიკ-ტაფელას თამაშით ხვდებიან ომს და მათი ბავშვობა ამით მთავრდება. მამაკაცებისაგან დაცლილ სოფელში ეს ცხოვრებისაგან ნაადრევად მომწიფებული ბავშვები ებმებიან ცხოვრების უღელში. ომის ტრაგედია მარტო ბრძოლის ხაზზე კი არ იშლება. იგი ყველგან სწვდება, ცხოვრების ყველა კუნჭულს აღწევს. მწერალი გვარწმუნებს, რომ სოფელში დატრიალებული მთელი უბედურება, რაც მთავარია, ფატის დაღუპვაც, რომელიც ვერ მოერია თავის თავსა და ცხოვრების წყურ-

ვილს, ყველაფერი იმ საერთო ბოროტების ბრალია და არა ამ ადამიანებისა. ფატიც ერთი ჩვეულებრივი, ადამიანური და წმინდა მსხვერპლია ომისა, მწერალი სოფლის, კერძოდ კი, გოგიტასა და ფატის იმ დიდ ტკივილებზე მოგვითხრობს მხოლოდ, და გმირების ამ მძიმე, ტრაგიკული ცხოვრების განცდას ეპილოგის ნათელი ოპტიმიზმი ცვლის, სადაც კვლავ გაისმის რიკ-ტაფელას თამაშით გართული ბავშვების უდარდელი ხმები. გოგიტას დარდი, შავებიანი ქალის დარდი, რომელიც თავის ამბაკოს ამბავს ეკითხება შემხვდურთ, ნელ-ნელა ქრება, რადგან უცხოა იმათთვის, ვისაც ეს თვითონ არ განუცდია, ვინც ომის მერე წამოჩიტულა და დავაკაცებულა და ამაშია ცხოვრების მარადიულობის კანონი.

ვფიქრობთ, ამ წერილიდანაც ნათელი უნდა იყოს მკითხველისათვის. თუ რამდენად მრავალფეროვანია თავისი პრობლემატიკითაც, გამოხატვის საშუალებებითა და ხერხებითაც თანამედროვე ქართული პროზა. თუ იმასაც დავსძენთ, რომ უკვე ნახსენებ მწერლებთან ერთად ნაყოფიერ შემოქმედებით შრომას სხვებიც ეწევიან; თუ გავიხსენებთ თანამედროვეობისადმი მიძღვნილ ისეთ საინტერესო წიგნებს, როგორიცაა ედიშერ ყიფიანის „გოგონა, რომელსაც ზღვა არ უნახავს“, ნოდარ წულეისკირის „თეთრი მთა“, მერაბ ელიოზიშვილის „მოლოდინი“ , გურამ გეგეშიძის „მზეა, თბილა“, რეზო ჭეიშვილის „ბზიანეთი“. მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება თანამედროვე ქართული პროზის სიძლიერე და მრავალფეროვნება.

თანამედროვე ქართულ პროზაზე მთლიანი შთაბეჭდილება არ შეგვექნება, თუ არ გავიხსენებთ ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებსაც. მე-20 საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ ჟანრის განვითარებაში. იმდენად დიდი იყო ყურადღება და ინტერესი ისტორიული თემებისადმი, რომ ხშირად კიდეც საყვედურობდნენ ისტორიზმით გატაცებას. ეს საყვედურები მათ ავტორების სინდისზე იყოს, რადგან ძალზე ხშირად ისტორიული ნაწარმოებები უფრო აქტიურად და გულმართლად ეხმაურებიან თანამედროვე ცხოვრებას, ვიდრე ამ უკანასკნელზე საგანგებოდ დაწერილები. ამდენად საგანგაშოს ამაში არაფერს უნდა ხედავდნენ. ყოველ შემთხვევაში თანადროულობის თემებისაკენ, როგორც ვნახეთ, საკმაოდ მღელვარედ, საინტერესოდ და მრავალფეროვნადაა მიმართული უკანასკნელი წლების ქართული პროზის ყურადღება, ხოლო, ამასთან ერთად, თუ ისტორიული პროზაც მომძლავრდა, ეს კმაყოფილების მეტს არაფერს შეიძლება იწვევდეს. ჩვენთვის საინტერესო წლებში გამოქვეყნდა კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ მე-4 წიგნი, გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“, სერგო კლდიაშვილის „მყუდრო სავანე“, შალვა დადიანის „გვირგვილიანების ოჯახი“, ალექსანდრე ქუთათელის „პირისპირ“, გრიგოლ აბაშიძის „XIII საუკუნის ქართული ქრონიკა“, რომელიც ორ წიგნს მოიცავს — „ლაშარელასა“ და „დიდ ღამეს“, ლევან გოთუას ოთხწიგნიანი „გმირთა ვარამი“, გრიგოლ ჩიქოვანის „ოდიშური მოთხრობები“ და სხვა.

ამათგან ზოგი შედარებით ნაკლებად ეკუთვნის უშუალოდ ამ პერიოდს, და მათზე საგანგებოდ არ შევჩერდებით. ჩვენი სახელოვანი ქართველი პროზაიკოსის კონსტ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნი ოც წელზე მეტია, რაც გამოიცა და უკანასკნელი, მე-4 კი ავტორმა მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინ დაასრულა. აქ არ შევუდგებით ამ რომანის დახასიათებას, რადგან მისი ძირითადი, პირველი, მხატვრულადაც ყველაზე ძლიერი ტომები, საგრძნობლად უსწრებს წინ ჩვენთვის საინტერესო პერიოდს, მხოლოდ ერთს აღვნიშნავ, რომ ამ ტეტრალოგიის მიმართ ხალხის დამოკიდე-

ბულების გამოხატულება იყო მისი ავტორისათვის უმაღლესი ეროვნული ჯილდოს, რუსთველის პრემიის მიკუთვნება. მე-20 საუკუნის ქართული ინტელიგენციის ბედ-იღბალზეა დაწერილი ალექსანდრე ქუთათელის შესანიშნავი რომანი „პირისპირ“, რომელიც ასევე მრავალი წლის მუშაობის ნაყოფია და ადრევე ცნობილი იყო მკითხველისათვის, თუმცა ბოლო თავები ახლა დაწერა მწერალმა.

სერგო კლდიაშვილის „მყუდრო სავანეც“ მწერლის ძველი ნაწარმოებების „პროვინციის მთვარის“ საფუძვლიანი გადამუშავებისა და შევსების შედეგად შეიქმნა. მასში ავტორი მისთვის ჩვეული ოსტატობით მოგვითხრობს ქართველი ინტელიგენციის ბედზე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. თუხარელების ოჯახის ტრაგედია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ ესმით და ეშინიათ ამ დიდი სოციალური და პოლიტიკური ძვრებისა, გაურბიან ახალ ცხოვრებას და პროვინციაში ეძებენ მყუდრო თავშესაფარს. მაგრამ სწორედ ეს მყუდრო თავშესაფარი იქცევა თუხარელების ოჯახისათვის საბედისწეროდ, აქედან იწყება მათი დაკნინებაცა და ზნეობრივი დაცემაც. სწორედ ახალი ცხოვრების იმედი მისცემს ძალასა და მხნეობას ირინე თუხარელს და ნათელ პერსპექტივას სახავს მის წინაშე.

ქართული ლიტერატურის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ჩვენს ისტორიულ პროზაში ერთერთი მნიშვნელოვანია გრიგოლ აბაშიძის რომანები „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“. საერთოდ, ისტორიული ხასიათის ნაწარმოებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. მან უნდა დაუკმაყოფილოს ხალხს ბუნებრივი და აუცილებელი ინტერესი თავისი ისტორიული წარსულისადმი, ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით ისეთი პრობლემები უნდა იქნას დაყენებული, რომლებიც უშუალოდ ეხმაურებიან თანამედროვეობის მწვავე საკითხებს, ან ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ადამიანის ინტერესების სფეროს არა სცილდება. გარდა ამისა, მკითხველი დიდი ადამიანური გზებების მოწმე უნდა გახდეს, რაც მხატვრულად ეფექტურად და ძლიერად იქნება გახსნილი. სხვადასხვა ავტორებისა და სხვადასხვა ხასიათის ისტორიულ ნაწარმოებებში ერთ-ერთ ამათგანს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, და სხვა ასპექტები, ამის გამო, იჩრდილება ხოლმე. შედარებით იშვიათია ისეთი ისტორიული ნაწარმოებები, რომელიც ყველა ამ ნიშნით თანაბრად ძლიერად იყოს აღბეჭდილი. ჩემი აზრით, გრიგოლ აბაშიძის რომანები სწორედ ასეთ მრავალმხრივ საინტერესო ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნებიან, რასაც ემატება კიდევ საერთოდ ქართული ისტორიული პროზისათვის დამახასიათებელი ეროვნული ღირსების გრძნობის აქცენტირება.

გრიგოლ აბაშიძემ „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“ მე-13 საუკუნის ქართულ ქრონიკად წარმოგვიდგინა და, მართლაც, ამ ორი რომანით მკითხველი საფუძვლიან, ისტორიულად სწორ და მრავალმხრივ წარმოდგენას შეიქმნის საქართველოს ისტორიის ამ დრამატულ პერიოდზე. რომანებში ნათლად ჩანს ის უმდიდრესი ისტორიული მასალა, რომელიც ავტორს დაუმუშავებია და რომელსაც დიდი ტაქტით იყენებს. ლაშასა და რუსუდანის კარის ცხოვრება, ქვეყნის შინაური ვითარება თუ ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, საბედისწერო ბრძოლები ჯალალედინთან ავტორს უტყუარად აქვს გადმოცემული. აქ მხედველობაში არ არის მისაღები მოვლენათა ზოგიერთი გადანაცვლება, რომელიც ერთიან ისტორიულ სიმართლეს თითქმის არაფერს ვნებს და რის უფლებასაც ვერავითარ შემთხვევაში მწერალს ვერ წავართმევთ. გრიგოლ აბაშიძის რომანების დიდ ღირსებას სწორედ ის შეადგენს, რომ მწერალი არა ტვირთავს მათ ისტორიული მასა-

ლით და ამით არ ამძიმებს ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილს.

მწერალმა საქართველოს ისტორიის ერთი ტრაგიკული პერიოდი აირჩია თავისი რომანებისათვის, ესაა თამარის დროინდელი ძლიერი ქართული სახელმწიფოს თანდათანობით დაშლის, დაკნინების, განადგურების პერიოდი, რამაც თავის ლოგიკურ ფინალამდე მიიყვანა იგი. მწერალს ბუნებრივად აინტერესებს ამ დეგრადაციის პროცესის ხელშემწყობი მიზეზები და ამის რკვევაში იგი მწვავე სოციალური საკითხების გადაწყვეტამდე მიდის. ქვეყნის შიგნით ქიშპი დიდებულთა შორის, მთავარ-ერისთავთა თავგასულობა და მეთავისეობა იყო ის მიზეზი, რაც ძირს უთხრიდა ერთიანი და ძლიერი საქართველოს საფუძველს. სახელმწიფოს მესვეურთ არ ესმოდათ, რომ ქვეყნის ძლიერება უბრალო ხალხზეა დაფუძნებული და უგულობით, სიმკაცრითა და დაუნდობლობით თვითონვე შრეტდნენ ამ წყაროს. ამის გამოა, რომ რომანში ჩვენ ვხედავთ არა მარტო იმას, თუ როგორ ეცემა საქართველოს პოლიტიკური ძლიერება, მისი გავლენა მეზობელ ქვეყნებზე, არამედ იმასაც, თუ როგორ პარტახდება, კნინდება ეკონომიურადაც და კულტურულადაც ეს სულ ცოტა ხნის წინ ყოველმხრივ ძლიერი და აყვავებული ქვეყანა.

მწერალი მხატვრულად საინტერესოდ აგვიწერს საქართველოს მეფის კარის ცხოვრებას, კარგად ხსნის თვით ლაშასა და რუსუდანის ხასიათებს. რაც მთავარია, გრიგოლ აბაშიძის რომანები იმით გამოირჩევა ქართულ ისტორიულ ნაწარმოებთა შორის, რომ აქ ხალხის ცხოვრება მწერალს სასხვათაშორისოდ, მხოლოდ ფონად კი არ მოაქვს, არამედ მას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიულ მოვლენათა განვითარებაში. დიდებულთაგან განსხვავებით (რომელთა შორისაც არიან, რაღა თქმა უნდა, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები, ისეთები როგორიც იყვნენ. შალვა ახალციხელი და სხვები), ხალხი ერთსულოვანია, უანგარო და წმინდა თავის სიყვარულში მამულისადმი. მწერალი დიდი ოსტატობით ძერწავს ხალხის წარმომადგენელთა მხატვრულ სახეებს, რომელთაგან თავისი ემოციური ზემოქმედების ძალით განსაკუთრებით გამოირჩევიან ლუხუმი, ჩალხია, ვაჩე და სხვები.

ნაწარმოების დრამატიზმი ძირითადად ეროვნული და ისტორიული ბედუკუღმართობით, სოციალური უსამართლობითა და პოლიტიკური მოვლენებით არის შეპირობებული, რასაც ორგანულად ერწყმის თვით გმირების სატრფიალო ინტრიგებზე აგებული ღრმა ადამიანური, დრამატული განცდებიც. ამათგან ყველაზე ძლიერი და ამაღელვებელია ლაშასა და ლილეს ჭეშმარიტი და საბედისწერო სიყვარულის ისტორია. თუმცა ამ ურთიერთობისათვის ლაშა უგულოდ გასწირავს თავის უერთგულეს მცველს ლუხუმს და ამით ყველაზე დიდ ადამიანურ ცოდვას იდებს თავს ხალხისა და საკუთარი თავის წინაშეც, მაგრამ ეს ურთიერთობა ისეთ განუსაზღვრელ და წმინდა თავდადებულ სიყვარულში იზრდება, რომელიც აღამაღლებს ლაშასაცა და ლილესაც ჩვენს თვალში. გრიგოლ აბაშიძემ, მართლაც, აღასრულა თავისი ჩანაფიქრი და ამ ორი რომანით — „ლაშარელათი“ და „დიდი ღამით“ XIII საუკუნის ქართლის ცხოვრების შესანიშნავი მხატვრული ქრონიკა შექმნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჭელიძე

ერეკლე ტატიშვილი

(წიგნიდან „თანამედროვეთა პორტრეტები“)

ვისაც ოცდაათიან წლებში რუსთაველისა და მელიქიშვილის ქუჩებსა თუ მათ მოსაზღვრე უბნებში უცხოვრია, ან სასწავლებლითა და სამსახურით ყოფილა დაკავშირებული ამ ადგილებთან, უსათუოდ ემახსოვრება საშუალოზე ოდნავ მომაღლო, გამხდარი, მაგრამ ძვალმსხვილი, მხრებში გამართული, მუდამ სუფთად წვერგაპარსული კაცი, რომელიც ყოველგვარ ამინდსა და პირობებში, ყოველ ცისმარე, მძიმე, თანაბარი ნაბიჯით დაუყვებოდა ხოლმე ბესიკის დაღმართს, შეუჩერებლივ გაიცლიდა რუსთაველს, გავიდოდა მელიქიშვილის მაშინდელ მეტისმეტად ვიწრო და ხმაურიან ქუჩაზე და მხოლოდ ახლანდელი ჭავჭავაძის პროსპექტის დასაწყისში შედგებოდა, პენსნეს გაისწორებდა, თავის ყვითელ, სიძველისაგან გაპრიალებულ, მუდამ წიგნებით გამობერილ, ღია პორთფელს, — რომელიც განუყრელად თან დაჰქონდა ხოლმე, — უფრო მარჯვედ მიიკრავდა ფერდზე და ხაზგაუსმელი მოწიწებით შესდგამდა ფეხს უნივერსიტეტის ეზოში. ნაბიჯი მოკლე და სუსტი ჰქონდა, მაგრამ დაკვირვებულ ადამიანს ეს სულაც არ შეუშლიდა ხელს, ერთი შეხედვით მიმხვდარიყო, რომ ამ კაცის მთელი არსებიდან საოცარი სიმტკიცე და ნებისყოფა გამოსჭვიოდა. ქართველს არა ჰგავდა გარეგნულად, ჩრდილო ევროპის რომელიმე ხალხს უფრო მიაკუთვნებდი; პირქუში იყო, გულჩათხრობილი ჩანდა, უკარება; ცივი გამომეტყველება ჰქონდა; მონაცრისფერო თვალები ღრმად არა ჰქონია ბუდეში ჩამჯდარი, მაგრამ როცა შემოგხედავდა, სხივი მისი მხედველობისა თითქოს სადღაც სიღრმიდან გამოდიოდა და ერთბაშად აღგიქვამდა არა მარტო თვალებით, არამედ მთელი არსებით.

არიან ადამიანები, რომელთა ნამდვილ ხასიათსა და არსს გარეგანი ნიღაბი ფარავს და მუდამ სჭირს ხოლმე მათი შინაგანი ბუნების შეცნობა და ამოკითხვა. ზოგჯერ ბუნება თვითონვე იძლევა გასაღებს ასეთი ადამიანის სულის შესაცნობად. ეს გასაღები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს — ღიმილი, გაცინება, გამოხედვა, მიხრა-მოხრა... ამ კაცისათვის ასეთი გასაღები იყო გულშიჩამწვდომი ხმა, იშვიათი სილამაზისა და ტემბრის დაბალი ბარიტონი, რომლის ერთი მოსმენაც კი ხელადვე მიგიზიდავდა, ერთბაშად გაგრძნობინებდა იმ დიდ სიყვარულსა და სიკეთეს, რითაც ამ ადამიანის სული იყო გამთბარი და რითაც იგი ყველა ახლობელის სულს ათბობდა და აკეთილშობილებდა. საკმარისი იყო ამ ხმის რამდენჯერმე მოსმენა, ამ ხმის პატრონთან საუბარი, და თითქოს თვალსაჩინოდ გადაგეშლებოდა დიდი, პატიოსანი გული ადამიანისა, რომელიც თავისი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით ძგერდა, და რომლის კეთილშობილური ზრახვანი თავისი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას ემსახურებოდა.

ასეთი იყო ერეკლე ტატიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ევროპული ენების სპე-

ციალისტი, მსოფლიო ისტორიისა და ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნე; ინგლისური ენისა და ლიტერატურის, საერთაშორისო სამართლის, აღმოსავლეთის ქვეყნების დიპლომატიის ისტორიის ლექტორი.

აქ დაწვრილებით ვერ შევჩერდებით ერეკლე ტატიშვილის ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ მთელი თავისი ცხოვრება მან ქვეყნისათვის სასარგებლო შრომაში გაატარა. დაიბადა გორში, სასულიერო პირის ოჯახში, პირველდაწყებითი განათლება ოჯახშივე მიიღო. ბავშვობიდანვე საფუძვლიანად გაეცნო ჩვენს მდიდარ ხალხურ შემოქმედებას, ძველ ქართულ ლიტერატურას, სახარებას, ბიბლიას... მთელი პასაჟები სახარებიდან და ბიბლიიდან ზეპირად შეეძლო ეთქვა. იმ დროს, როცა სკოლებიდან განდევნილი იყო ქართული ენა და ბევრი ჩვენი ინტელიგენტი, ცხოვრების უკულმართობის გამო, ქართულ სწორ მეტყველებას, დიდი მონდომების მიუხედავად, გაჭირვებით ახერხებდა, ტრადიციულ ოჯახში მიღებულ განათლებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჩვენს შესანიშნავ მწერლებსა და ლიტერატორებს სწორედ ოჯახიდან გამოჰყვათ ქართულის ცოდნა, და პირველი ხმა აქ ქართულ ზღაპრებს ეკუთვნოდა.

სწავლობდა გორის გიმნაზიაში, შემდეგ თბილისში. 1904 წელს კი სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში გაემგზავრა. რამდენიმე წელი დაჰყო ლაიპციგში, სადაც იგი ლიტერატურისა და ფილოსოფიის კურსს გადიოდა, პარიზში სწავლობდა საერთაშორისო სამართალსა და მედიცინას, ედინბურგში ისევ საერთაშორისო სამართალს. 1909 წელს სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, 1910 წელს, იძულებული გახდა კვლავ ევროპაში წასულიყო. ამჟამად როგორც ემიგრანტი. ცხოვრობდა მონპელიეში, პარიზში, კონსტანტინეპოლში. სხვათა შორის. კონსტანტინეპოლში ყოფნისას, მთელი ორი წლის განმავლობაში ქართულ მონასტერთან არსებულ წმ. იოსების ფრანგულ კოლეჯში ასწავლიდა ფრანგულ ენასა და ბუნებისმეტყველებას. კონსტანტინეპოლშივე იგი მუშაობდა ექიმადაც.

ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ პირველად გორში დაიწყო მუშაობა. 1918-20 წლებში გორის გიმნაზიაში ასწავლიდა ფრანგულსა და გერმანულს. 1921-23 წლებში უკვე თბილისის ტექნიკუმებში ასწავლის გერმანულ ენას. 1923 წელს კი მიწვეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლის ლექტორად.

ერეკლე ტატიშვილს საზოგადოებაში უმთავრესად იცნობენ, როგორც ევროპული ენებისა და ლიტერატურის შესანიშნავ მცოდნეს. თბილისის უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის კათედრის დამაარსებელს. მაგრამ მას არანაკლები ღვაწლი მიუძღვის ქართველ იურისტთა კადრების მომზადების საქმეშიაც. წლების განმავლობაში იგი კითხულობდა საერთაშორისო სამართალს, აღმოსავლეთის ქვეყნების დიპლომატიის ისტორიას... ერთი შეხედვით ძნელიც კია იმის დადგენა, რომელ დარგში უფრო დიდი ღვაწლი მიუძღვის მას, ან თვითონ მისი არჩევანი რომელი იქნებოდა. მისი მოწაფეები, ამ დარგების სპეციალისტები, უფრო იოლად წყვეტენ საქმეს: იურისტებისათვის იგი, პირველყოვლისა, იურისტი იყო. საერთაშორისო სამართლის ლექტორი; ევროპული ენებისა და ლიტერატურის სპეციალისტებისათვის კი, რა თქმა უნდა — ფილოლოგი. საერთო საზოგადოებრივი თვალსაზრისით თუ მივუდგებით საკითხს, ერეკლე ტატიშვილმა ჩვენს უნივერსიტეტში ევროპული ენისა და ლიტერატურის სწავლების სასურველ დონეზე დაყენებას, ამ დარგის სპეციალისტთა მომზადების საქმეს და, — უფრო ფართო მასშტაბით

თუ ავიღებთ და ცოტა უფრო გაბედულად ვიტყვით, — საერთოდ ქართული ლიტერატურის გახვითარების საქმეს უფრო დიდი ძაგი დასდო, და ამდენად, ამ დარგში მისი მოღვაწეობაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია.

რომ უფრო სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ ძისი მოღვაწეობის ძასძტაბსა და მნიშვნელობაზე, გავიხსენოთ რა სურათი იყო ჩვენს საუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, უცხო ენების სწავლების თვალსაზრისით, იმ პერიოდამდე, როცა ერეკლე ტატიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით თბილისის უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტთან, დას. ევროპის ენებისა და ლიტერატურის კათედრა ჩამოყალიბდებოდა. ბევრს ახლაც ახსოვს, ალბათ, რომ უცხო ენების სწავლებას მაშინ წმინდა ფორმალური ხასიათი ჰქონდა და ამის ძიზეზი, ენების მიმართ საერთოდ ნაკლები დაინტერესების გარდა, შესაფერი კადრების მეტისმეტი სიმცირეც იყო. ისწავლებოდა მხოლოდ ერთი ენა—გერმანული; აქა-იქ, კანტიკუნტად, სათქმელადაც რომ არ ღირს, ისე — ფრანგულიც; ინგლისური — შეიძლება ითქვას, არსად. იმ ერთი ენის მასწავლებლებიც, იშვიათ გამონაკლისს გარდა, შემთხვევითი ხალხი იყო — ხან ვინ, ხან ვინ... სულ სხვადასხვა პროფესიისა და განათლების ადამიანები (უფრო ხშირად, ყოველგვარ პროფესიას მოკლებულები). უცხო ენის გაკვეთილები სკოლის დირექციასაც მოძულებული ჰქონდა, და მოსწავლეებს ხომ — მით უმეტეს. უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ ჩვენს უნივერსიტეტში, უკეთესი მდგომარეობა იყო იმით, რომ ჩვენი შესანიშნავი მეცნიერები თავად კარგად იყვნენ დაუფლებულნი უცხო ენებს, და, ამდენად, მეცნიერული აზროვნების საერთო დონეს ენების არცოდნა დაბლა არა სწევდა. მაგრამ საავალალო იყო ხვალინდელი დღე, მეცნიერთა ახალი კადრების მომზადების საქმე. ამ კუთხით, და, რაღა თქმა უნდა, კიდევ უფრო საავალალო იყო [illegible] ძაასწავლებელთა კადრების [illegible] საქმე საშუალო სკოლებისათვის. ეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და ამიტომ გადაწყდა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტთან ჩამოყალიბებულიყო თავდაპირველად დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის განყოფილება, რომელიც თანდათანობით გაფართოვდებოდა და შემდეგ დამოუკიდებელ ფაკულტეტად იქცეოდა, როგორც ეს მოხდა კიდეც. ამ საქმის ინიციატივა ერეკლე ტატიშვილს ეკუთვნის, და ხელმძღვანელობაც, როგორც მოსალოდნელი იყო, მას დაევალა. მანაც სიამოვნებით იკისრა ეს მძიმე მოვალეობა. იკისრა და ღირსეულადაც შეასრულა. „მძიმე მოვალეობაში“ მე მარტო იმ სიძნელეს კი არ ვგულისხმობ, რაც ყოველ ახალ საქმეს, და მათ შორის ახალჩამოყალიბებული კათედრის ხელმძღვანელობასაც თან ახლავს. იმ სიძნელეს რომ ჩავწვდეთ, საჭიროა მაშინდელი კონკრეტული მდგომარეობა გავითვალისწინოთ. ზემოთაც გაკვრით აღვნიშნეთ, ხალხი ნაკლებად იყო მაშინ დაინტერესებული უცხო ენათა შესწავლით. ძალიან ძნელი ხდებოდა ახალგაზრდების მოზიდვა. ახლა ეს ძნელი დასაჯერებელია: რამდენადაც ვიცი, უნივერსიტეტში მიღების დროს, ყოველწლიურად თითქმის ყველაზე მეტი მსურველი ამჟამად დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტს აწყდება. ყოველ შემთხვევაში, ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი ადგილი ამ ფაკულტეტს უჭირავს. ეს შეიძლება თვითონ აბითურიენტებისათვის არ იყოს სასურველი, რადგან დიდ კონკურსში ბევრი გარეთ რჩება. სამაგიეროდ პედაგოგებს საშუალება ეძლევათ შეარჩიონ ყველაზე საუკეთესონი ისედაც კარგად მომზადებულ ახალგაზრდათა შორის. მაშინ სავსებით საწინააღმდეგო სურათი იყო: თითო ჯგუფში (გერმანულსა, ფრანგულსა და ინგლისურში) სულ ათ-ათი

სტუდენტი იყო გათვალისწინებული და ამის შევსებაც კი სჭირდა. განსაკუთრებით ინგლისური და ფრანგული ჯგუფებისა. ერთ-ერთი მიღების დროს, მაგალითად, ფრანგულსა და ინგლისურ ჯგუფებში სულ 5-5 კაცი აღმოჩნდა. ხშირად ისეთ ხალხს შეხვდებოდი ხოლმე ამ სექციაზე, რომლებიც სხვა ფაკულტეტებზე ვერ მოხვდნენ, და გული არც უდგებოდათ, ცალი თვალი თავიანთი სასურველი ფაკულტეტისაკენ ეჭირათ, მზად იყვნენ პირველივე შესაძლებლობისთანავე გუდა-ნაბადი აეკრიფათ და გადასულიყვნენ. ერეკლე ტატიშვილს ძალის უდიდესი დაძაბვა უხდებოდა, რათა ღირსეული ახალგაზრდობა მიეზიდა, უკვე მიღებული სტუდენტები დაეინტერესებინა და წაეხალისებინა. თავისი პირველი მოწაფეები მისიონერებად ჰყავდა დაგზავნილი სკოლებში, რათა ადრევე ჩაენერგა ენებისა და ევროპის ლიტერატურის სიყვარული ბავშვებისათვის, და ნიჭიერი, განათლებული ცვლა დაებევებინა. თვითონაც ესწრებოდა ხოლმე თავისი პირველი მოწაფეების გაკვეთილებს სკოლაში, და გარდა იმისა, რომ მეთოდურ დახმარებას უწევდა მათ, ამასთან საკუთარი თვალით არჩევდა თავის მომავალ სტუდენტებს.

იმ დროს, როცა ჩვენს უნივერსიტეტში ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ჩამოყალიბდა, არ არსებობდა არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო, ყოველ შემთხვევაში, ინგლისური ენისა. პედაგოგებს თვითონვე უხდებოდათ მასალების მოძებნა და დალაგება, თავისი მეთოდის შემუშავება. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ პირველად, ფრანგულსა და, განსაკუთრებით, ინგლისურ ჯგუფებში ენის აბსოლუტურად უცოდინარი ახალგაზრდები შედიოდნენ. საჭირო იყო სულ თავიდან, ანბანიდან დაწყება. თუ გავითვალისწინებთ, რა უხალისოდ იყო ბევრი ახალგაზრდა მისული (თუ „მიზიტული") და რა უხალისო და უგემური მოსამზადებელი გაკვეთილების გავლა მოუხდებოდათ, მანამ გემოს გაუსინჯავდნენ ენას და ფრაზის აგების პირველ სიხარულს ნიცდიდნენ, ადვილი წარმოსადგენი იქნება ჩვენი მაშინდელი პედაგოგების მდგომარეობა.

პრეტენზია არა მაქვს, ანალიზი გავუკეთო ერეკლე ტატიშვილის სწავლების მეთოდსა და ხერხებს, სათანადო ფორმებში ჩამოვაყალიბო იგი და მეცნიერული განზოგადება მივცე. ამ პატარა წერილში ეს მოუხერხებელიც არის და, ალბათ, ჩემს ძალღონესაც აღემატება. ეს უშუალოდ ინგლისური ფილოლოგიის კათედრას ევალება და, უნდა ვიფიქროთ, მუშაობენ კიდეც, რათა თავიანთი ღირსეული მასწავლებლის სწავლების მეთოდი, — რისი თეორიულად ჩამოყალიბება მან ვერ მოასწრო თუ არ მოინდომა, — შთამომავლობას არ დაუკარგონ და პრაქტიკულადაც გამოიყენონ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში. ამისი პრეტენზია, ვიმეორებ, მე არა მაქვს, ყოველ შემთხვევაში, ამჟამად, ამ წერილში. მაგრამ არ შემიძლია ამ მეთოდიდან ერთი საკითხი არ გამოვყო, რასაც, შორიდან რომ ვუკვირდები, ერეკლე ტატიშვილის პედაგოგიურ მოღვაწეობაში ერთ-ერთი პირველხარისხოვანი როლი ენიჭებოდა. ეს არის ფსიქოლოგიური მომენტი: ხალისით სწავლა, პირველდაწყებითი სწავლების გამარტივება, დაჩქარება, და მოსაწყენიდან, რაც შეიძლება, სწრაფად გადასვლა უფრო რთულზე, იმაზე, რაც უფრო საინტერესო იქნება, ე. ი. რასაც სწორედ „გემოს გასინჯვას" თუ „გემოში შესვლას" ეძახიან.

დაირეკებოდა თუ არა ზარი 1 სექტემბერს, იგი ცარცს აიღებდა, დაფასთან მიდგებოდა და წინასწარვე საგანგებოდ შერჩეულ მარტივ, მაგრამ შინაარსობლივად ისეთ სიტყვებს ჩამოწერდა, რომელთაგან შემდეგ უბრალო წინადადებების შედგენა ყოფილიყო შესაძლებელი. მერე რამდენჯერმე წაიკითხავდა ამ სიტყვებს, საერთოდ ყველა სტუდენტს გაამეორებინებდა,

(სმენას აჩვევდა, გამოთქმას აზეპირებინებდა) და პირველსავე ლექციაზე მარტივ წინადადებებს ადგენინებდა სტუდენტს. რამდენიმე ლექციის შემდეგ ერეკლე ტატიშვილის სტუდენტები, — ისეთებიც კი, რომელთაც მანამდე ინგლისურის ერთი სიტყვაც არ გაეგონათ, ხოლო საერთოდ უცხო ენის შეძულება უკვე სკოლაშივე მოესწროთ, — ენას ამოიდგამდნენ, ხალისით ადგენდნენ ხოლმე წინადადებებს და საკმაოდ რთულ იუმორისტულ მოთხრობა-ანეგდოტებსაც ზეპირად წარმოთქვამდნენ. ხოლო მთელ იმ მოსაწყენ სირთულეს, რაც ყოველი ენის შესწავლას თან ახლავს ხოლმე, ერეკლე ტატიშვილი მოხდენილად ანაწილებდა და ნელ-ნელა, თანდათანობით შეაპარებდა. ეს, რა თქმა უნდა, მდგომარეობით იყო გამოწვეული და გარკვეულ რისკთან დაკავშირებული. მაგრამ გამოცდილი მასწავლებელი მარჯვედ ახერხებდა ამას და არასოდეს დამარცხებულა. ამ ხერხის ბრმად გადმოტანა, რა თქმა უნდა, არ არის მიზანშეწონილი და საფასურველი, მაგრამ ფსიქოლოგიური მომენტის პირველ პლანზე წამოწევა უსათუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამასთან დაკავშირებით, იყო პერიოდი, გამოჩნდა ხალხი, რომლებიც, ყოველთვის ხმამაღლა ვერა, მაგრამ ჩუმჩუმად, ფონეტიკის უგულვებელყოფას სწამებდნენ ტატიშვილს. ეს არ იყო სწორი. ფონეტიკის როლი ენის სწავლების დროს მას არასოდეს დაუმცირებია. საქმე ეხებოდა არა ფონეტიკის უარყოფასა თუ მოწონებას, არამედ იმას, თუ მაშინდელი პირობების გათვალისწინებით როდის და როგორ მიეტანათ იგი სტუდენტთან. საერთოდ, ერეკლე ტატიშვილი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი მოსაწყენი და გაუმართლებელი პედანტიზმისა, და თვით უზუსტეს მეცნიერებაშიაც კი პოეზიას მოითხოვდა. რამდენჯერ უთქვამს, ახლაც თითქოს ყურში ჩამესმის მისი სიტყვები — ვინც დიდი პოეტი არ არის, დიდი მეცნიერი ვერ გახდებაო.

ცნობილია, რომ სკოლადამთავრებულ ყმაწვილს უმაღლეს სასწავლებელში გარემო ეცვლება; ბავშვობას სკოლაშივე ტოვებს და იმ სითბოს ხშირად ვეღარ პოულობს, რაც საერთოდ ბავშვობასთან და სკოლასთან არის დაკავშირებული. ერთი დიდი დამსახურება ერეკლე ტატიშვილისა, — და ესეც სწორედ იმ ფსიქოლოგიურ ფაქტორს უკავშირდება, — ის არის, რომ საშუალო სკოლიდან მასთან მისული ახალგაზრდობა ისეთივე სითბოსა და ოჯახურ გარემოს გრძნობდა, როგორც სკოლაში, როგორც პირველ-დაწყებით სასწავლებელში. და ამას იგი ახერხებდა არა ენის მოჩლექითა და თავზე ხელის სმით, არამედ საქმიანი ყურადღებითა და გულისხმიერებით. საოცარი ალღო და მიხვედრილობა ჰქონდა; იცოდა, ვის რა სტკიოდა და აწუხებდა, ვის რა ახარებდა, ვის მოფერება და შექება მოუხდებოდა, ვის გაჯავრება. ან როდის მოუხდებოდა მოფერება და როდის გაჯავრება. ზოგიერთ ლექტორთან საგნის ჩაბარების დროს სტუდენტები ცახცახებენ, და ამ ლექტორს ეს, ალბათ, ესახელება კიდეც. გამოცდები ერეკლე ტატიშვილთან მკაცრი იყო, ვერ დავმალავ, მაგრამ საზეიმო იერი დაჰკრავდა და მუდამ სიხარულთან იყო დაკავშირებული, სულერთია, რა ნიშანიც არ უნდა მიგეღო.

კიდევ ერთი საკითხი იმ ფსიქოლოგიურ მომენტთან დაკავშირებით. საოცრად გადამდები იყო სტუდენტებისათვის ის სიყვარული და გულმოდგინება, რასაც ერეკლე ტატიშვილი საქმის მიმართ იჩენდა. სად პოულობდა ამდენ დროს, ენერგიას, ძალას, რომ მომდგარიყო და, უკვე მეორე კურსიდან მოკიდებული, ჩვენი ათ-ათ ფურცლიანი „თხზულებანი“ ესწორებინა? და ეს ყოველთვიურად, იმ ყოველდღიურ „წვრილ-წვრილ“ დავალებებს გარდა, რის გასწორებასაც იგი ხშირად ლექციებზე ვერ ასწრებდა და შინ მიჰქონდა ხოლმე. ამიტომაც იყო, რომ მის პატარა ოთახში, ძერჟინსკის ქუჩაზე,

სინათლე ხშირად ღამის ორ-სამ საათამდე არა ქრებოდა.

თემა ზემოხსენებული თხზულებებისა უმეტესად თავისუფალი და, ამდენად, ყველა სტუდენტისათვის სულ სხვადასხვა იყო. მოგვცემდა, მაგალითად, საერთო სათაურს—„ჩემი გმირი". ვინ გიორგი სააკაძეს დაისახავდა თავის საყვარელ გმირად, ვინ — თეოდორე მღვდელს... მე, მახსოვს, ოსკარ უალდის ბულბულის თავგანწირვა უფრო დიდ გმირობად მივიჩნიე... და ამას, ყველაფერს, უდიდესი სერიოზულობითა და სიყვარულით კითხულობდა და ასწორებდა. სტუდენტი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობდა საქმის ამ დიდ სიყვარულს, არა ყალბსა და მოგონილს, არა თვალთმაქცურსა და ცრუ მზრუნველობით აფუსფუსებულს, და თუ თვითონაც მოქალაქის რაიმე სინდისი და გული ჰქონდა, არ შეიძლებოდა ეს სიყვარული არ გადასდებოდა.

აქვე ერთი მომენტი მინდა აღვნიშნო. საშუალო სკოლებში იმ ხანად, ხშირი და ბევრჯერ სავსებით გაუმართლებელი ექსპერიმენტების წყალობით, სწავლების საქმე სასურველ დონეზე ვერ იდგა. საქართველოს ისტორია, მაგალითად, სავსებით დავიწყებული და უგულვებელყოფილი იყო, ჯეროვანი ყურადღება არ ჰქონდა დათმობილი აგრეთვე მსოფლიო ისტორიას, გეოგრაფიას, ანტიკურ მითოლოგიას. და, ალბათ, ამ დანაკლისის შესავსებად, ერეკლე ტატიშვილი ცდილობდა საგანგებოდ შეერჩია ისეთი მასალა, რაც ენის შესწავლასთან ერთად, სტუდენტის საერთო განათლებასა და გონებრივ ჰორიზონტსაც გააფართოვებდა.

ასეთმა მოღვაწეობამ მალე გამოიღო შედეგი და თანდათანობით მთელი ჩვენი ქვეყნის სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები ერეკლე ტატიშვილის მოწაფეებითა და მოწაფეთა მოწაფეებით დაკომპლექტდა. ნეტა თვითონაც მოსწრებოდა და ენახა თავისივე მოწაფეების შესანიშნავი სახელმძღვანელოები ფონეტიკის, ლექსიკის, სინტაქსის განხრით, სახელმძღვანელოები, რომლებიც ტოლს არ დაუდებენ არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში გამოზრდილ მეცნიერთა სახელმოხვეჭილ წიგნებს. ამ სახელმძღვანელოების ავტორები, იქნებ, ვერც კი გრძნობენ, — და იმიტომ კი არა, თითქოს ისინი უმადურები იყვნენ, — რომ ამ წიგნის შექმნაში თავიანთი მასწავლებლის ხელიც ურევია, თუნდაც საქმის მიმართ იმ სიყვარულისა და სერიოზული დამოკიდებულების გამო, რაც უსათუოდ მისგან მოსდგამთ. დღეს ჩვენში ბევრი უცხოელი ჩამოდის და როცა ისინი ჩვენს უნივერსიტეტში მოხვდებიან, თვალა არ უჯერებენ, ყურს არ უჯერებენ, როცა პატარა ბიჭებისა და გოგონების თავისუფალი ლაპარაკი ესმით სხვადასხვა ენებზე. ამ ყმაწვილებს თვალითაც არ უნახავთ ერეკლე ტატიშვილი; უმეტესი მათგანი მისი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ არის დაბადებული, მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ, და ეს ნურავის გადაჭარბებად ნუ მოეჩვენება, რომ ესეც მისია, მისი მადლიანი ხელით ჩაგდებული თესლის ნაყოფია.

მისი მოღვაწეობის მეორე მხარესაც შევეხოთ.

ერეკლე ტატიშვილი პირველი დღიდანვე, ესე იგი, უნივერსიტეტში ახალმიღებულ სტუდენტებთან პირველი ლექციიდანვე, ხმალამოღებული იდგა ქართული ენის სიწმინდის დასაცავად. ინგლისურში დაშვებულ შეცდომას უბრალოდ გაგისწორებდა, მაგრამ ქართულში თუ მოგვიდოდა შეცდომა, განგაშს ატეხდა. შეგარცხვენდა. და სტუდენტებიც მუდამ ფრთხილობდნენ. გვიკვირდა ხოლმე ასეთი სიმკაცრე, მით უმეტეს ეს ერთგვარად დროსაც ართმევდა. დროის დაკარგვა კი ლექციაზე აგრერიგად არ უყვარდა. ჩვენ უბრალოდ ვხსნიდით ამას — ქართული უყვარს, ენის სიწმინდეს იცავსო, ვამბობდით. და ვემორჩილებოდით, ვცდილობდით ნაკლები შეცდომა მოგვსვლოდა. მაგრამ, ახლა რომ ვუკვი-

რდები, მას სხვა მოსაზრებაც ჰქონდა, უფრო კონკრეტული და პრაქტიკული.

იგი თავიდანვე ცდიდა და ამოწმებდა ყოველი სტუდენტის უნარსა და შესაძლებლობას. უკვე მეორე კურსის დასასრულს. — ყოველ შემთხვევაში, ჩემს დროს ასე მოხდა, — შემოიტანდა შედარებით იოლ ტექსტს, მაგრამ შინაარსით საინტერესოს, და სტუდენტებს ჩამოურიგებდა. თარგმნეთო, დაავალებდა. ვისაც როგორ შეეძლო, თარგმნიდა. ამ საქმეს არავის აძალებდა. (რად გინდა ქვეყნად ცოდვიანები გაამრავლოო! — ჰამლეტის რეპლიკით იხუმრებდა. აქვე უნდა შევნიშნოთ: იუმორის კარგი გრძნობა ჰქონდა. ხშირად ხუმრობდა და მოხდენილადაც. ზოგჯერ მწარე დაცინვაც იცოდა, მაგრამ ისეთი კილოთი იტყოდა, რომ მაშინვე შეატყობდი, გესლით არ იყო ნათქვამი და ამიტომ შენ თვითონ გაგეცინებოდა. „მონასტერში! მონასტერში!“ შესძახებდა ხოლმე ჰამლეტის სიტყვებს სტუდენტ გოგონას, რომელმაც გაკვეთილი არ იცოდა, — „მონასტერში. ოფელია!“ ბიჭებისათვის სხვა რეპლიკა ჰქონდა: „კვირიკეთი! კვირიკეთი! უკვე ჩასული ხარ კვირიკეთში!“ ეტყოდა ერთერთი გურული სიმღერიდან ამოღებულ სიტყვებს. უფრო დიდი საყვედურის გამოხატვა იმავე ჰამლეტის სხვა რეპლიკით იცოდა: Whbats Hecuba fo him or he to Hecuba?!“ — მაგრამ რა არის ჰეკუბა მისთვის, ან თვით რა არის ჰეკუბასათვის!“ საერთოდ, სხვადასხვა კურსზე, სხვადასხვა სიტუაციაში, სულ სხვადასხვაგვარად იცოდა თავისი „გულისწყრომის“ გამოხატვა). ერთი სიტყვით, არავის აძალებდა, გინდა თუ არა თარგმნეო. არც წინასწარ აძლევდა რაიმე დარიგებასა და რეცეპტს. ჩამოყალიბებული თეორიები თარგმნის საქმეშიაც არა ჰქონია. მიუტანდა სტუდენტი უკვე შესრულებულ თარგმანს, და აქ კი იწყებოდა პრაქტიკული საქმიანობა — შედარება, ჩასწორება, წინადადებების გამართვა, დაზუსტება. ეს ხდებოდა ლექციის გარეთ, უფრო ხშირად მასთან, სახლში, და, ვიმეორებ, პირველ ხანებში არა ისეთი ოსტატობით. ქართული, ზემოთაც ვსთქვი, ბრწყინვალედ იცოდა, თუმცა თავს ნებას მივცემ ვთქვა, რომ ცოტათი კონსერვატორი იყო ქართული ენის საკითხში. მაგრამ ჩვენთვის, ვისაც მეტისმეტად ფართო „დემოკრატიზმი“ გვქონდა დამყარებული ენაში, ეს, ალბათ, სასარგებლოც გამოდგა.

თვითონ ერეკლე ტატიშვილს დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა არ დარჩენია. მისი რამდენიმე წერილი ჯერ კიდევ „კავკასიონში“ დაიბეჭდა, შესანიშნავი ენით, კარგი კომპოზიციის გრძნობით და გემოვნებით დაწერილი სტატიები. თარგმნა შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, ისიც თავისი დისწულის რეჟისორ გიორგი ჟურულის თხოვნით, რომელიც დასადგმელად ამზადებდა ამ ნაწარმოებს. მერე შილერის ტომეულშიაც შევიდა თარგმანი, ოღონდ სრული ტექსტი, სამწუხაროდ, დაკარგული აღმოჩნდა (თუმცა მას სრულად ჰქონდა თარგმნილი), იპოვნეს მხოლოდ რეჟისორის მონტაჟი, და გამოტოვებული ადგილები რედაქციამ — მისივე მოწაფეებმა — შეავსო. თარგმნა აგრეთვე ედგარ პოს რამდენიმე მოთხრობა და კიდევ ზოგიერთი სხვა ნაწარმოები. ეს არის და ეს. ისე შთანთქა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ, უცხო ენებისა და ლიტერატურის სპეციალისტთა მომზადების საქმემ, რომ სამწერლოდ, უბრალოდ, დრო და ენერგია ველარ გამონახა. ჩვენ, მის სტუდენტებს გვიკვირდა ხოლმე ეს და, როცა უფრო შევეჩვიეთ და გავუთამამდით, მოკრძალებით საყვედურსაც ვკადრებდით — რატომ არ თარგმნიო. ახლა კი ვგრძნობ, რომ ეს საყვედური, თუნდაც მოკრძალებული და ფრთხილად გამოზომილი, სავსებით უსამართლო იყო, რადგან იმ კოლოსალური ენერგიის დაზოგვით, რაც რომელიმე წიგნისა თუ ავტორის თარგმნისათვის უნდა შეელია, იგი გაცილებით უფრო დიდ საქმეს აკეთებდა სწორედ თარ-

გმნითი ლიტერატურის განვითარებისა და გაფდიდრების თვალსაზრიაით.

ახლა გადავხედოთ, რა სურათი გვქონდა ჩვეხ, უნივერსიტეტში ამ გახყოფილების დაარსებამდე, უცხოელ კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლობის ქართულად თარგმნის საქმეში. აქ უმთავრესად გერმანული და, განსაკუთრებით, ინგლისურ-ამერიკული ლიტერატურა იგულისხმება, რადგან ფრანგულ ლიტერატურას, რაღაცნაირად ისე მოხდა, რომ თავიდანვე გამოუჩნდნენ შესანიშნავი მზრუნველები, ჩვენი დიდებული მოღვაწეები — ივანე მაჭავარიანი, თედო სახოკია, განსაკუთრებით გერონტი ქიქოძე, რომელთაც ყამირი გასტეხეს და დიდი ფრანგი მწერლების თითო-ოროლა ნიმუში მაინც გადმოიღეს ქართულად. ჩვენს ახალგაზრდობას ოცდაათიან წლებშივე შეეძლოთ ქართულად წაეკითხათ ბალზაკი, ჰიუგო, სტენდალი, მერიმე, დოდე, დიუმა, მოპასანი, ფრანსი, ნაწილობრივ ზოლაც. ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის ყამირი კი აუღებელი რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სწორედ ინგლისური ლიტერატურის თარგმნის შესანიშნავი ტრადიცია გადმოგვცა მეცხრამეტე საუკუნემ. ივანე მაჩაბლის სწორუპოვარი თარგმანების შემდეგ ისე გავიდა ნახევარ საუკუნეზე მეტი, რომ ასე თუ ისე მნიშვნელოვანი წიგნი ინგლისური ენიდან ქართულად არ თარგმნილა. დაახლოებით ასეთივე სურათი იყო გერმანული ლიტერატურის თარგმნის საქმეშიაც. ეს იყო მეტად სავალალო მდგომარეობა. მდიდარი ტრადიციების ქართული ლიტერატურა ამას, რა თქმა უნდა, ვერ მოითმენდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, არ შეიძლება ორიგინალური მწერლობის ცალმხრივი განვითარება, თუ მას ზურგს არ უმაგრებს და კვალდაკვალ არ მიჰყვება თარგმნილი ლიტერატურა. მე ნება მივეცი თავს ასე ფართოდ დამეწყო ამ საგანზე ლაპარაკი არა იმიტომ, თითქოს საჭირო იყოს ვინმეს შევახსენო ეს თავისთავად ნათელი და ყველასათვის გასაგები ფაქტი, არამედ იმიტომ, რომ უფრო თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ ერეკლე ტატიშვილის მოღვაწეობის მასშტაბი და ასპარეზი, რადგან მან ამ საქმესაც — ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის განვითარების საქმესაც — დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო.

თავისი პრაქტიკული და შორსგამიზნული მუშაობით ისეთი მტკიცე საძირკველი ჩაუყარა, მთარგმნელობის საქმეს, რომ ჩვენ ამჟამად — არსებული მდგომარეობითაც და პერსპექტივითაც — არც ერთ განათლებულ ერს არ ჩამოვუვარდებით, და მე არ მეუხერხულება ამისი ასე თამამად განცხადება, რადგან ვგულისხმობ არა ერთსა და ორ ლიტერატორს, არამედ მთელ პლეადას მთარგმნელებისას, რომელთაც ნიჭიც შესწევთ და ცოდნა-გამოცდილებაც, კარგად გაართვან საქმეს თავი.

უნდა გენახათ, რა სასოებითა და გულისფანცქალით ამზადებდა იგი მთარგმნელთა კადრებს, როგორი მამაშვილური სიყვარულით ახალისებდა და აქეზებდა, როგორი სიფრთხილით აუნთებდა სტუდენტს გულში ლიტერატურული მუშაობის ჟინსა და სურვილს, და დრომდე, მანამ ამ სურვილის ალი საკმაოდ მომძლავრდებოდა, როგორ უადვილებდა, იოლად მოაჩვენებდა ხოლმე, თუმცა მთელ სიძნელეს და სერიოზულობას ამ საქმისას თვითონ ყველაზე კარგად გრძნობდა.

მესამე კურსიდან მოკიდებული შემოღებული ჰქონდა ერთგვარი ლიტერატურული საღამოები, ყოველი სემესტრის ბოლოს. რაღა თქმა უნდა, უფრო გრანდიოზული — წლის დასასრულს. აქ სტუდენტები კითხულობდნენ მოხსენებებს სხვადასხვა ლიტერატურულ თემებზე ინგლისურად და, რაც მთავარია, თარგმანებს—ინგლისური და ამერიკული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების თარგმანებს. ეს, რასაკვირველია, წინას-

წარ მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, ახალ ეტაპზე ასაყვანად, წასახალისებლად. მახსოვს, სწორედ ასეთ ლიტერატურულ საღამოზე წაიკითხა თავისი პირველი და, სამწუხაროდ, უკანასკნელი თარგმანები უდროოდ დაღუპულმა ახალგაზრდა პოეტმა ალექსანდრე საჯაიამ. ეს იყო შელის „სიყვარულის ფილოსოფია“, მისივე „ღრუბელი“, ლონგფელოს „წვიმიანი დღე“ და პოს „ანებელ ლი“. ეს თარგმანები, შესრულებული ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, მთარგმნელობითი ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ზემოთ რისკზე მოგახსენებდით, რასაც ენის სწავლების საქმეში იჩენდა ერეკლე ტატიშვილი. ასეთი რისკი აქაც, ამ საქმეშიაც შეგვიძლია გავიხსენოთ. რისკია, მაგალითად, როდესაც სრულიად გამოუცდელ ყმაწვილს ძალიან დიდ საქმეს შეაჭიდებდა — წახალისების მიზნით, საკუთარ თავში რწმენის განმტკიცების მიზნით, იმავე მიზნით, რასაც ზემოთ „გემოს გასინჯვა“ თუ „გემოში შესვლა“ ვუწოდე. ასეთი ფაქტიც მომხდარა: უფროს კურსს ლიტერატურული საღამო აქვს დანიშნული, სამზადისი დიდი ხნის დაწყებულია, ჯერ აფიშა არ გამოუკრავთ, მაგრამ სტუდენტებში გაცხოველებული მზადებაა, — ასეთი საღამოები დიდი სიხარულის თრთოლვითა და ცახცახით ტარდებოდა ხოლმე. — და უცებ, როცა აფიშას გამოაკრავენ, დაბალი კურსის სტუდენტი თავის გვარსაც ხედავს მიწერილს ამ აფიშაზე, უფროს კურსელებთან ერთად. გამოცხადებულია სწორედ იმ ნაწარმოების თარგმანი, რომელსაც ეს სტუდენტი შორიდან ელოლიავება და სათარგმნელად კალმის ხელში აღება კი ვერ გაუბედავს, ყოყმანობს, შიში მორევია. გულისხმიერი და გამოცდილი პედაგოგი, ეტყობა, ხედავს ამ შიშს, ალბათ იმ სტუდენტის შესაძლებლობასაც გრძნობს და, უცხო გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ფაქტის წინაშე აყენებს, ნამუსში აგდებს. იმ რამდენიმე დღეში უნდა მოასწროს თარგმნა, იმიტომ, რომ, ეტყობა, გაჭიანურება უფრო დააფრთხობს და დააშინებს.

ესეც პედაგოგიური ნაბიჯია, რა თქმა უნდა, სარისკო, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, წინასწარ მოზომილი და აწონ-დაწონილი.

ამ ბოლო დროს ჩვენს პრესაში სულ უფრო და უფრო გახშირდა ფრაზები, რომ უკანასკნელი ორი თუ სამი ათეული წლის განმავლობაში იმდენი წიგნი ითარგმნა ქართულად, რაც ადრე ასეული წლების მანძილზე არ თარგმნილაო. ნამდვილად ასეა. და ეს განაპირობა ჩვენმა ცხოვრებამ, კულტურის დონის საერთო ამაღლებამ, ჩვენი ადამიანების გაზრდილმა გემოვნებამ და მოთხოვნილებამ. მაგრამ დიდი უმადურობა იქნებოდა, ეს ფაქტი აღგვენიშნა და არ გაგვეხსენებინა ადამიანი, რომლის დაუღალავმა შრომამ, ენერგიამ და მეცადინეობამ დიდად შეუწყო ხელი მხატვრული ლიტერატურის თარგმნის კულტურის, კერძოდ, საზღვარგარეთული ლიტერატურის თარგმნის შემდგომ განვითარებასა და აღმავლობას. დაკანონებული რომ იყოს წესი, რომ წიგნის ავტორის თუ მთარგმნელის გვერდით იმ კაცის სახელიც მოიხსენიებოდეს ,რომელმაც ამ წიგნის შექმნა განაპირობა, მაშინ ძალიან ბევრი თარგმნილი წიგნის სატიტულო ფურცელზე, მთარგმნელის გვართან ერთად, ჩვენ ერეკლე ტატიშვილის სახელსა და გვარსაც წავიკითხავდით.

როგორც ყველა ჭეშმარიტი პედაგოგისათვის, ერეკლე ტატიშვილისთვისაც ახალგაზრდობის აღზრდა არ შემოიფარგლებოდა მარტო ერთი საგნის სწავლებით და, ამდენად, არც მარტო უნივერსიტეტის კედლებით. ცალკეულ საგანთან ერთად იგი თავის სტუდენტს ასწავლიდა საქმის სიყვარულს, მშობელი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულს, შრომისმოყვარეობას, ცხოვრების დისციპლინას, პატიოსნებას, პირდაპირობას, პრინციპულობას, კაცურ კაცობას... და მიძნელდება თქმა, რა უფრო ძვირფასი

იყო მის პედაგოგიურ მოღვაწეობაში— მეცნიერების ის დარგი, რასაც იგი მართლაც რომ საფუძვლიანად და მთელი სისავსით ასწავლიდა სტუდენტს, თუ ის რაღაც ზოგადი და სახელშეუთქმელი მადლი და სიკეთე, რაც ადამიანის მოქალაქედ ჩამოყალიბებას ემსახურება.

კიდევ ერთი შტრიხი ერეკლე ტატიშვილის პორტრეტის შესავსებად. მის სიცოცხლეშივე ამბობდნენ, ზოგჯერ ახლაც გაიგონებთ — ტატიშვილი სუბიექტური, ტენდენციური კაცია, ხალხის გამორჩევა იცისო. ეს იქნება მართალიც იყოს, და არც არის მართალი. გააჩნია, როგორ შეხედავ საქმეს. წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულება, თუ როგორი სტუდენტი, ადამიანი დაეახლოვებინა, მას არა ჰქონია. არც გარეგნობით, არც სადაურობით, არც წარმოშობით, არც ცოდნითა და განათლებით, არც სხვა რამ ნიშნით არ გამოარჩევდა იგი ახალგაზრდას. საზომი ერთი იყო— ადამიანური ღირსება, არა წვრილმან საქციელში გამოხატული, არამედ დიდი, ფართო გაგებით. აპატიებდა კიდეც ყველაფერს ახალგაზრდას, თუკი საქმე დიდ ადამიანურ ღირსებას არ შეეხებოდა. და გუმანი ადამიანის შერჩევაში იშვიათად თუ მოატყუებდა.

საშინლად აბრაზებდა ადამიანის უმადურობაც. ქართველი ადამიანისათვის შეუფერებელი გაფიცხება და აპილპილება იცოდა. ახლაც გუშინდელივით მახსოვს 27-28 წლის წინანდელი ამბავი. ინგლისური ენის ლექცია გვქონდა. ზარი დაირეკა და სტუდენტები პატარა აუდიტორიაში ველოდით ლექტორის შემოსვლას. ერეკლე ტატიშვილმა კარი შემოიღეთა და აუდიტორიაში ფეხის შემოდგმამდე მოატარა თვალი ყველა მერხზე. უკვე ვიგრძენით, რა გუნებაზე იყო, და მიზეზსაც მივხვდით. სწორედ წინა დღეს ინგლისური ლიტერატურის კურსი ჩამოართვეს, რასაც იგი ინგლისურად გვიკითხავდა. მიზეზი — ხარისხი არ გაქვსო. სამეცნიერო ხარისხი არასოდეს დაუცავს ტატიშვილს. ამ ამბის შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა და Honoris causa-ს წესით მიენიჭა პროფესორობა. შემოვიდა აუდიტორიაში, პორთფელი უხალისოდ დააგდო კათედრაზე და იშვიათი სილამაზის წითელ ტყავის ყდაში ჩასმული შექსპირის ერთტომეული ამოიღო. ჩვენც ხელად გამოვიღეთ ჩვენი შექსპირი და გადავშალეთ. „ჰამლეტს“ გავდიოდით. არაო, ცივად გვითხრა, დღეს „ლირზე“ გადავდივართო. წიგნი გადაშალა და თავიდან კი არ დაიწყო, რომელიღაც სცენიდან დაგვაწყებინა. ეს ის ადგილია, როცა შვილებისაგან დაგმობილი ლირი მწუხარედ შენიშნავს: ვაი მას, ვინც გვიან ჩავარდება სინანულში.. უმადურება ქვისგულიანი ეშმაკია და შვილის სხეულში თუ შეძვრა, ზღვის ურჩხულად იქცევა... დე მაგათაც იგრძნონ, რომ შვილის უმადურობა ასპიტის ნაკბენზედაც უფრო მწარეა..

ერეკლე ტატიშვილი ჩვენი სახელოვანი უნივერსიტეტის მოამაგეთა მეორე სასიქადულო თაობას ეკუთვნის. ჩვენი დიდი მეცნიერების, ერის სიწმინდისა და სინდისის, ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთა პირველი პლეადის შემდეგ, მეცნიერთა ამ მეორე თაობამ ყველაფერი იღონა, ცოდნა, ენერგია და სასიცოცხლო ძალები არ დაიშურა, რათა ქართული მეცნიერების სახელი საპატიოდ შეენახა. ამ თაობის ზოგიერთი წარმომადგენელი დღესაც შეუბღალავი სინდისითა და სიყვარულით ემსახურება ქართულ მეცნიერებას. ერეკლე ტატიშვილი ოცი წლის წინათ გარდაიცვალა. და როცა ჩვენ ერის ღვაწლმოსილ შვილებს ვიხსენებთ, ამით მარტო მადლიერებას კი არ გამოვხატავთ. მადლიერებას ჩვენ გულში ვატარებთ ხოლმე. ასეთი გახსენებით ჩვენ მაგალითი უნდა დავუსახოთ ახალგაზრდობას, მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ადამიანი. მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს კაცი თავის ქვეყანასა და ხალხს. მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მეცნიერი. და, ბო-

ლოს, იმისი მაგალითიც, თუ რა მადლიერება უნდა გქონდეს შენი აღმზრდელისა და წინაპრის მიმართ. თვითონ ერეკლე ტატიშვილი ჯერ კიდევ 1924 წელს, უნივერსიტეტის დაარსების სულ რამდენიმე წლის შემდეგ, მიმართავდა იმ პირველი თაობის — ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთა ერთ წარმომადგენელს:

„ასეთი ადამიანები ქმნიან ერის დოვლათს... ორმოცდაათი წლის წმინდა მოღვაწეობის ისტორია! ადვილად ითქმის! მაგრამ ადვილი საქმით არ დაუწერია იგი ჩვენს წარჩინებულს თანამოქალაქეს. დიდია მისი მორალური ღირებულება და მაგალითი ჩვენი ერის პოტენციალობის განსახიერებისა. სალამი დიდ მეცნიერს და მეძლეველ ქართველს ნიჭს! სალამი ჩვენს მომავალ თაობას, რომელიც თავისი ღვაწლით მოსილი მასწავლებლის გზას იდეალად დაისახავს“.

ზემოთაც ითქვა, შექსპირის კითხვა უყვარდა სტუდენტებთან ერეკლე ტატიშვილს. გვიკითხავდა და გვასწავლიდა ხოლმე მის ტრაგედიებს. განსაკუთრებით „ჰამლეტი“ უყვარდა. ზეპირად იცოდა მთელი სცენები. მინდა ეს წერილი „ჰამლეტის“ მაჩაბლისეული სტრიქონით დავამთავრო:

„ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი გაჩეჩილაძე

ჯონ გოლზუორთი

ჯონ გოლზუორთის შემოქმედებას ინგლისური ფსიქოლოგიური რომანის ტრადიციაში უდგას ერთი ფესვი, ხოლო მეორე ფესვი, რომელიც უცხოეთის ლიტერატურიდან საზრდოობს, აგრეთვე ინგლისის ნიადაგზე უერთდება მის შემოქმედებით ხეს.

გოლზუორთის ყურადღების ძირითადი საგანია ბურჟუაზიული კლასი, ე. წ. საშუალო კლასის მაღალი ფენა, რომელიც იმპერიალისტური დიდი ბრიტანეთის მეტროპოლიის მოსახლეობის ნახევარზე მეტს წარმოადგენს და „საუკეთესო ნახევარს ამასთანავე". მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ გოლზუორთი ბურჟუაზიული კრიტიკული რეალიზმის უკანასკნელი ეტაპის დიდი წარმომადგენელია.

გოლზუორთის ე. წ. ფორსაიტების ქრონიკები, ე. ი. ორი ტრილოგია „ფორსაიტ საგა" და „თანამედროვე კომედია", ოთხი ინტერლუდიით და ნოველების წიგნი „ფორსაიტების ბირჟაზე", წარმოადგენს ამ წერილის არეს, როგორც ცენტრალური, უძლიერესი და შემკრები მომენტი გოლზუორთის მთელი შემოქმედებისა. ამ ქრონიკებში ყველაზე აშკარადაა წარმოდგენილი გოლზუორთის მთავარი კოლიზია, რომლის თეზაა საკუთრების ინსტინქტი ადამიანში, ანტითეზა — სილამაზისა და თავისუფლების გრძნობა, ხოლო მათი სინთეზი, გოლზუორთის გაგებით, ახალი დროის დასაწყისს გულისხმობს. არსებობს მესამე ტრილოგიაც — „თავის დასასრული" — გოლზუორთის უკანასკნელი ნაწარმოები, რომელიც აგრძელებს ახალი დროის საწყისთა ანალიზს. მაგრამ, რამდენადაც მესამე ტრილოგია წარმოადგენს პირველი ორი ტრილოგიის არა პირდაპირ და არა უშუალო გაგრძელებას, ამასთან, შედარებით სუსტი ნაწარმოებიცაა საკითხების როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ასევე მხატვრული გადაწყვეტით, იგი ამ ნარკვევში დაწვრილებით არც არის განხილული.

გოლზუორთის ფორსაიტების ქრონიკები დარჩა ინგლისურ ლიტერატურაში არა მარტო ისტორიული ინტერესის მქონე დოკუმენტად, არამედ როგორც მხატვრული და ფსიქოლოგიური ინტერესების მქონე ნაწარმოები, რომელიც კონკრეტული დროიდან და გარემოებიდან ზოგადადამიანური მნიშვნელობის სიმაღლეზე ავიდა. ამ მხრივ განსკვრეტილი გოლზუორთი დგას ინგლისელ მწერალთა იმ რიგში, რომელიც შექსპირით იწყება. ამ გარემობამ განსაზღვრა ჩვენი განზრახვა დაგვეწერა ქართულად ეს მცირე ნარკვევი გოლზუორთის შესახებ.

ჩვენს მიზანს უფრო გოლზუორთის რეალიზმის ობიექტური სურათის წარმოდგენა შეადგენს, ვიდრე მისი შემოქმედების კატეგორიული კლასიფიკაცია. არსებულ კრიტიკულ-ლიტერატურულ ცდებს გოლზუორთის შესახებ — მეტად მცირეს ესოდენ დიდი მწერლისათვის— არ მიუქცევია საკმაო ყურადღება ყველა იმ საკითხისათვის ერთად, რომლებიც ქრონიკებშია აღძრული, არც მთელი სიღრმით ჩასწვდომია ქრონიკების მხატვრულ ღირსებას, რაც განსაკუთრებით საინტერესოა ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის. რაც შეეხება უცხოელ მწერალთა და კრიტიკოსთა შრომებს გოლზუორთის შესახებ, საუკეთესონი მათ შორის ეკუთვნიან გოლზუორთის წრის წარმომადგენლებს, უფრო მეტიც, გოლზუორთის მეგობრებს. მართალია, მათში ბევრი რამ არის მართებულად და ღრმად გაგებული გოლზუორთის ოსტატობის სფეროში, მაგრამ ისინი, უთუოდ კლასობრივად შეზღუდულნი, უგულებელყოფენ გოლზუორთის რომანების სოციალურ მნიშვნელობასა და აქტუალობას. და თუ პოზიტიურად განწყობილი პირები მაინც გამოსთქვამენ გარკვეულ ჰეშმარიტებას, ნეგატიურნი, რომელთა რიცხვი ბევრად უფრო მცირეა, ჩვეულებრივ უმართებულონი არიან და მათი ტენდენციური თავდასხმები ამეღვენებს ბურჟუაზიული რადიკალიზმის ვარიაციებს. ჩვენ შეეცადეთ გადმოგვეცა სოციალურ, ფსიქოლოგიურ, მორალურ თუ ესთეტიკურ საკითხთა სხვადასხვაობა ისეთივე მთლიანობაში, როგორც ეს წარმოდგენილია თვითონ გოლზუორთის შემოქმედებაში და ამგვარად გაგვეხსნა მწერლის მხატვრული ჰეშმარიტება.

გოლზუორთის ინგლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორსაიტების ქრონიკები ინგლისის უახლესი ისტორიის ორმოცწლიან პერიოდს ეხება: ვიქტორიანულ ინგლისს, ბურების ომის, მეოცე საუკუნის დასაწყისის, პირველი მსოფლიო ომისა და ომისშემდგომ პერიოდებში გამოვლილი ინგლისის ისტორიას. ფორსაიტების ქრონიკები დიდი ეპოპეაა იმპერიალიზმის ეპოქის ინგლისისა. გოლზუორთის ინგლისი — ეს არის მოწინავე კაპიტალისტური ქვეყანა, პირდაპირი შთამომავალი ტრადიციული ინგლისისა, რომელიც პირველი შესდგა კაპიტალისტური განვითარების გზაზე და რომელმაც დღემდე შეინარჩინა თავისი სპეციფიკა. ინგლისის სპეციფიკა, როგორც კაპიტალისტური ქვეყნისა, ის არის, რომ იგი, ლენინის თქმით, წარმოადგენს „სახელმწიფო-რანტიეს", რომელშიც მეტისმეტად მცირეა მწარმოებელი მოსახლეობის პროცენტი და მეტისმეტად მაღალია მოსახლეობის რანტიეს ფენის შემოსავალი. ეს არის არსებითად ბრიტანეთის იმპერიალიზმის აგრესიული ხასიათის ახსნა. ინგლისში არ არსებობს მთელი მოსახლეობისადმი ისეთ პროპორციულ მიმართებაში მყოფი მუშათა კლასი, როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშია... როგორც ამბობს ფ. ენგელსი, კ. კაუცკისადმი მინაწერ წერილში (12. 9. 1882): „აქ არ არის მუშათა პარტია, არიან მხოლოდ კონსერვატორი და ლიბერალი რადიკალები, მუშები კი დამშვიდებით სარგებლობენ მათთან ერთად ინგლისის კოლონიალური მონოპოლიით და მისი მონოპოლიით მსოფლიო ბაზარზე". —„არსად ცივილიზებულ ქვეყანაში მუშათა კლასი არ იჩენს ნაკლებ აქტიურ წინააღმდეგობას, მეტ პასიურობას ბედისწერის მიმართ, მეტ დაცემულობას, ვიდრე ლონდონის ისტ-ენდში" (ფრ. ენგელსის წერილი მ. ჰარკნესისადმი).

წერილში მარქსისადმი ენგელსი (1858 წლის 7 ოქტომბერს) წერდა: „ინგლისური პროლეტარიატი სულ უფრო და უფრო ბურჟუაზიული ხდება, ისე რომ, ამ ყველა ერთა შორის ყველაზე უფრო ბურჟუაზიულ ერს სურს მიიყვანოს საქმე ბოლოს და ბოლოს იქამდე, რომ ჰყავდეს ბურჟუაზიული არისტოკრატია და ბურჟუაზიული პროლეტარიატი ბურჟუაზიის გვერდით. რა თქმა უნდა, ისეთი ერის მხრივ, რომელიც ექსპლუატაციას უკეთებს მთელ ქვეყანას, ეს გარკვეულად კანონზომიერია".

მარქსი და ენგელსი ბურჟუაზიული კლასის არსებობისა და ბატონობის უმთავრეს პირობად თვლიდნენ სიმდიდრის დაგროვებას კერძო პირების ხელში. სწორედ ამგვარ პირთაგან შემდგარ ინგლისთან აქვს საქმე გოლზუორთის, როგორც რეალისტ მწერალს. თუ „რეალიზმის დიდი ტრადიციების შემქმნელი ბალზაკი ცდილობდა არ დაეტოვებინა არც ერთი პროფესია, არც ერთი სოციალური დაჯგუფება შემოქმედებაში აუსახავი, მოეცა ყველაფერი, რაც ხდება ყველგან, გოლზუორთიმ თავი მხოლოდ ერთი სოციალური ჯგუფით შემოიფარგლა, ამის მიზეზი ბრიტანეთის განვითარების ზემო აღნიშნულ სპეციფიკაშია: გოლზუორთიმ მთლიან ეროვნულ ერთეულში, ინგლისში ამოირჩია ის სოციალური ფენა, რომელიც წარმოადგენს კაპიტალისტური „ინგლისის ნახევარს" (ე. წ. საშუალო კლასს) და დახატა იგი. აქედან მომდინარეობს ის გადახლართვა ეროვნული და სოციალური საკითხებისა, რომელსაც გოლზუორთის შემოქმედებაში ვხედავთ. ამითვე აიხსნება გოლზუორთის შემოქმედების უმთავრესი პრობლემების განზოგადებული ხასიათი. ბრიტანეთის სპეციფიკა, მიუხედავად შეცვლილი საერთაშორისო ვითარებისა, დღესაც მოქმედებს. ამ სპეციფიკურ ნიადაგზე აღმოცენებული მძლავრი საშუალო კლასი ჯერჯერობით უძლეველი რჩება მეტროპოლიის მუშათა კლასის მიერ და დღესაც განაგებს ინგლისელი ერის ბედ-იღბალს. ინგლისური იმპერიალიზმი სხვა არაფერია, თუ არა ინგლისური საკუთრების ინსტინქტის განვითარება, იმ ინსტინქტისა, რომლის კონკრეტულ, ადამიანურ ფორმას გოლზუორთი გვიხატავს თავის მთავარ ნაწარმოებებში. მაგრამ აქვე დგება გოლზუორთის რეალიზმის მსგავსებისა და განსხვავების საკითხი დიდ, ბალზაკისეულ რეალიზმთან. ბალზაკი, ენგელსის თქმით, ფრანგული საზოგადოების მთელ ისტორიას ასახავს. იგი, მიუხედავად თავისი სიმპათიისა სასიკვდილოდ განწირული მშობლიური კლასის მიმართ, „ხედავდა კლასის დაცემის აუცილებლობას, ხედავდა მომავლის ნამდვილ ადამიანებს მხოლოდ იქ, სადაც ამ დროს შეიძლებოდა მათი დანახვა" (ენგელსი ბალზაკის შესახებ). ვიქტორიანელი რეალისტებიც კი (თეკერეი ან დიკენსი), მარქსის თქმით, „უმხელდნენ ქვეყანას მეტ პოლიტიკურ და სოციალურ ჭეშმარიტებებს, ვიდრე ეს გააკეთა ყველა პოლიტიკოსმა, პუბლიცისტმა და მორალისტმა, ერთად აღებულმა". გოლზუორთი, ჭეშმარიტი შვილი მის მიერ ასახული კლასისა, მწერალი, რომელსაც რეალისტ წინაპართა ყველა ნიშანი მოეპოვება, რომელმაც, მართლაც, მოგვცა თავისი კლასის რეალური ყოფის სურათი, მაინც ვერ გასცილდა კლასობრივ ზღუდეს. მშობლიური კლასის დაცემულობას იგი ხედავს და დაუზოგავადაც დასცინის, მაგრამ გამოსავალს კლასის შინაგან ძალებში ეძებს, ბალზაკის მსგავსად, მისი შემოქმედება არ შეიცავს ობიექტურად რევოლუციურ პერსპექტივას. ამიტომაა გოლზუორთის რეალიზმი დიდი

კრიტიკული რეალიზმის დაცემის მანიშნებელი; ამიტომ სთვლიან გოლზუორთს დიდ რეალისტთა ეპიგონად. მაგრამ გოლზუორთის მიერ აღძრულ საკითხებს თანამედროვე ინგლისის ბურჟუაზიის ყოფისა და მისი მხატვრული განსახიერების გასაცნობად მაინც აქვს დიდი მნიშვნელობა, და სწორედ ამიტომ მათზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება.

გოლზუორთი ლიტერატურული ტრადიციების წინაშე

თუ მივიღებთ, რომ არჩევანი შემოქმედებითი ინტერესის ძირითადი საგნისა და არჩევანი მწერლის ყურადღების ცენტრში დაყენებული კერძო საკითხებისა, მხატვრულ ხერხებთან ერთად, მიგვითითებს გოლზუორთის სტილს, ჩვენს წინაშე დადგება ამ სტილის ფორმირების საკითხი მანამდე, სანამ შევეხებოდეთ მის გამოვლენას გოლზუორთის შემოქმედებაში, საერთოდ, და კერძოდ კი ფორსაიტების ქრონიკებში. გოლზუორთის სტილის ფორმირება შეუძლებელი იყო ლიტერატურულ ტრადიციათა და გავლენათა გარეშე. ამ ტრადიციებში იგულისხმება როგორც ინგლისური, სახელდობრ, ადრე-ვიქტორიანული და გვიან-ვიქტორიანული ლიტერატურული მემკვიდრეობა, აგრეთვე საერთო ევროპული ლიტერატურული ტრადიციები.

გოლზუორთის შემოქმედებითი მეთოდი თავისი რეალისტური ხასიათის გამო ემსგავსება ბალზაკის მეთოდს, მაგრამ მათ შორის ის არსებითი განსხვავებაა, რომელსაც პროგრესულ პერსპექტივამდე მიჰყავს ბალზაკი, ხოლო გოლზუორთის საკუთარი კლასის საზღვრებში ჰკეტავს. შეიძლება ითქვას, რეალიზმის დიდი ტრადიციის შემქმნელს — ბალზაკს კი არ ენათესავება ის იმდენად, როგორც ადრე-ვიქტორიანელ ინგლისელ მწერლებს — სარკასტულ თეკერეისა და, უფრო კი, — ჰუმანურ დიკენსს. გოლზუორთის ბიოგრაფს მაროტს მართებულად მოაქვს გოლზუორთის შეხედულება დიკენსის შესახებ, რომელსაც გოლზუორთი ბავშვობიდანვე იცნობდა, და დასძენს: „გოლზუორთის ისევე მგზნებარედ, როგორც ჩარლზ დიკენსს, სძულდა უკულმართობა, ჩვეულება და შინი". მას ჰქონდა „ჯვაროსნის სული", და მაროტს მოაქვს გრძელი სია ჰუმანური ამოცანებისა, რომლებიც გოლზუორთიმ ჩამოსწერა შესასრულებლად. ამის გამო გოლზუორთის ზოგიერთი პროპაგანდისტს უწოდებდა, თუმცა, როგორც ხელოვანს, მას არაფერი ჰქონდა საერთო პროპაგანდასთან. მისი მიზანი იყო კეთილშობილების სამსახური. მაგრამ გოლზუორთი დიკენსისებურ ფილანტროპიას ისეთ თავისებურ, „ხშირად იმ მტკივნეულ ერუანტელს უმატებს, რომელიც ემსგავსება რუსული რომანისთვის დამახასიათებელ ძმობის მგზნებარებას, რაშიც, ჩანს, აღმოსავლეთის მისტიციზმს შეუტანია თავისი ცეცხლი და რაც სიცოცხლის სიყვარულს მთელს ბუნებაზე ავრცელებს. მაინც ეს კულტი გრძნობისა თავისუფალია სენტიმენტალიზმისაგან. იგი თითქმის ყოველთვის განსაზღვრულია რელატიურობის ინტელექტუალური შეგნებით" (ლუი კაზამიანი).

გოლზუორთი კიდევ უფრო შორს წავიდა. ახლა ყველასთვის ცნობილია, თუ რაოდენ დიდადაა იგი დავალებული რუსი ტურგენევისა და ფრანგი მოპასანის მიერ.

თვითონ გოლზუორთი ტურგენევისა და მოპასანის შესახებ ამბობს, როდესაც თავის სიკვდილის გაკვეთილებს აჯამებს, ისინი იყვნენ პირველი მწერლები, რომელთაც ერთსადაიმავე დროს მომცეს ნამდვილი ესთეტიკური მღელვარებაც და ღრმად ჩამახედეს თემის პროპორციასა და სიტყვების ეკონომიაში. მათგან სტიმულირებულმა დავიწყე ჩემი მეორე რომანი „ვილა რუბეინ"-ის. ედვარდ გარნეტისადმი მიწერილ წერილში (13. 4. 1914) გოლზუორთი მოპასანს უწოდებს „გულწრფელ სენსუალისტს".

გოლზუორთის თანამედროვე ინგლისელი მწერალი ფორდ მედოქს ფორდი ამგვარ კითხვასაც კი აყენებდა: „ასჯერ უნდა დავეკითხო ჩემს თავს სიცოცხლეში: რომ არ ყოფილიყო ტურგენევი, რა გამოვიდოდა გოლზუორთისგან ანუ უკეთ: რა გახდებოდა გოლზუორთი?".

„ტურგენევი —მწერალთა შორის ყველაზე საშიში თავის მოწაფეთათვის — ტურგენევი და ემოციონალიზმი გამოჩნდა ამ მზიური ქმნილების აზროვნებაში, რომელსაც შეეხო გენია", —ამბობს ფორდი თავის მოგონებებში გოლზუორთის შესახებ.

გოლზუორთის ზოგიერთი თანამედროვე არ ეიქრობს, რომ გოლზუორთის ბევრი მართებს უცხოური გავლენებისა, მაგრამ ფრანგულ და რუსულ გავლენებს მაინც აღიარებს. გოლზუორთის აქვს „ის უსაზღვრო სიბრალული, თითქმის მოკრძალება ტანჯვის წინაშე, რომელიც ახასიათებს რუსულ იდეებს, მაგრამ ეს სიბრალული და მოკრძალება გამოთქმულია არა ტოლსტოისა და დოსტოევსკის დიდი, პირდაპირი მანერით. არამედ გალური გონებამახვილობითა და ირონიით, რომელიც გვაგონებს ფლობერს. მწერალი, რომლის უფრო დიდი ნათესაობა აქვს მას, რომლის, შეიძლება ითქვას, მოვალეცაა იგი გარკვეულად, არის ტურგენევი. ტურგენევში ეხედებით ფრანგული და

რუსული ხელოვნების შემხვედრ ნიადაგს. აქ არის გაქანება, მგრძნობიარობა, მისტიციზმი სლავისა შეერთებული ფრანგის ჰუმორისა და ფორმის გრძნობასთან... ინგლისური ხელოვნება არსებითად გულუბრყვილოა თავისი ტექნიკით. გოლზუორთის აქვს ცოტა რამ ასეთი, თუ კი, საერთოდ აქვს რამე ინგლისური ნათესაობისა. მაგრამ, მეორე მხრით, მან გააინგლისურა უცხო გავლენები. რუსულ სიბრალულს მოჰკვეთა მისტიციზმი, ფრანგულ ირონიას — მხიარულება. ეს ორი კომბინაცია დამახასიათებელია მათი წარმომშობი ქვეყნებისათვის, და გოლზუორთი იცილებს მათ. სტოვებს სიბრალულსა და ირონიას, უკუაგდებს მისტიციზმსა და მხიარულებას, — ამგვარად, ამეღავნებს იგი ორივეს, თავის პიროვნებასა და თავის რასას". (შეილა კეი-სმითი).

სხვები ტურგენევისა და მოპასანის გავლენას ახალგაზრდა გოლზუორთის შემოქმედებაში ეძებენ ,თუმცა მოწიფული გოლზუორთი სტილითა და ტექნიკით მთლად თავისებურია. მათი აზრით, ინგლისელთაგან, გარდა დიკენსისა და თეკერეისა, არავის მოუხდენია მასზე გავლენა. დრამაშიაც იგი იბსენის, სტრინდბერგისა და ჰაუპტმანის გავლენას გადაურჩა (შალიტი). ფორდი იგონებს გოლზუორთის, რომელიც ინტერნაციონალური პენ-კლუბის თავმჯდომარე იყო და იმყოფებოდა პარიზში. გოლზუორთი იდგა იმ ფრანგი მწერლების საზოგადოებაში, რომელთაც სძულთ ანატოლ ფრანსი, მოპასანი ნიჰილისტ მტრად მიაჩნიათ და ცეცხლი ეკიდებათ, როცა ტურგენევს ნამდვილ ფრანგად აცხადებს ვინმე, გოლზუორთი კი ლაპარაკობდა თავისი დიდი ვალის შესახებ ფრანგების წინაშე, რომელთა შორის არის ტურგენევიც, თუმცა უცხოელია.

როგორც თვით გოლზუორთი და აგრეთვე მისი მკვლევარები ამტკიცებენ , გოლზუორთის ვალი ტურგენევისა და მოპასანის, დიკენსისა და თეკერეის წინაშე არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ტურგენევი, რომელიც მე-19 საუკუნის დასასრულს ძლიერ პოპულარული იყო ინგლისელ მწერალთა შორის, ისევე ალერსიანი იყო, ჭკუამახვილი და გონიერი, როგორც გოლზუორთი, ისეთივე ოსტატი ლირიკული პეიზაჟისა და ისეთივე სევდისა და სიბრალულის გამომწვევი. სხვა გავლენათა შორის აღნიშნავენ კიპლინგის გავლენასაც გოლზუორთის უადრეს მოთხრობებზე. ეს გავლენა აღარ განმეორებულა. გოლზუორთი, საერთოდ, არ იზიარებდა კიპლინგისებურ იმპერიალისტურ „გამაჯანსაღებელ" პათოსს, რომელმაც ასე გაიტაცა ბურების ომის შემდგომი პერიოდის ინგლისი.

რაც შეეხება გოლზუორთის უშუალო წინამორბედებსა და თანამედროვეებს, საერთო მათთან მხოლოდ კრიტიკული რეალიზმის ტენდენციით თუ განისაზღვრება. გარდა ამ ტენდენციისა, არავითარი არსებითი ნათესაობა არ შეეძებნება გოლზუორთის არც თომას ჰარდისთან, არც ჯორჯ მურსა, ჯორჯ გისინგსა, ან მუნდეაც არნოლდ ბენეტთან. როგორც ფრანგი ლიტერატურისმცოდნე შევრიიონი იტყვის, გოლზუორთის ნაწარმოებთა სხვაობისათვის ძველებთან, „ჩვენ ვერაფერს ვპოვებთ მათში დიკენსის მხიარულების ან ემოციების ფრქვევის მსგავსს, ვერაფერს მსგავსს, ჯორჯ ელიოტის გონიერი ქადაგებისა, ან მერედითის ფანტაზიისა, ან კიპლინგის ლირიკული ცეცხლის, ენერგიის უეცარი დაძაბვისა და ელვარე ნაპერწკლებისა". გოლზუორთის უფრო მეტი რამ აქვს საერთო, ინგლისურ ფსიქოლოგიურ რომანთან, რომელიც რიჩარდსონით იწყება, ხოლო თანამედროვეთა შორის — ჯორჯ მერედითთან.

„რომანი, რომელიც ცხოვრების კრიტიკული ანალიზია, —წერს პროფ. ფელპსი, —ჩვეულებრივ მხოლოდ მაშინ იყო გამარჯვებული, როდესაც იგი გამოცდილების ნაყოფს წარმოადგენდა, და როდესაც ავტორს შესწავლილი ჰქონდა სტილის ტექნიკა კომპოზიციის სხვა ფორმებში. ჩვენი უდიდესი ინგლისელი რომანისტებიდან მხოლოდ ერთმა, დიკენსმა გამოაქვეყნა კარგი რომანი ოცდაათი წლის ასაკამდე". ფელპსი ხელოვანის მიზნად მიიჩნევს სრულ ფსიქოლოგიურ ანალიზს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დეტალის აკუმულაციით იქნება მიღწეული. ამ თვალსაზრისით ფსიქოლოგიური რომანის დამწყებად რიჩარდსონი ჩაითვლება.

„მე"-ს ჰიპერტროფიას იპოლიტ ტენი ინგლისელის დამახასიათებელ თვისებად აცხადებდა. ბრიტანეთის ცივ და ნისლიან კუნძულზე, სადაც ბუნების ცხოვრება ძლივს შეიცნობა, ადამიანის შინაგანი ცხოვრება უკიდურესადაა განვითარებული. შევრიიონის აზრით, ნებისყოფა და გრძნობა სჭარბობს გონებას და შეგრძნებას, შიგნით წასული და ინტროსპექტიული ინგლისელისათვის მთავარ ობიექტს მისი შინაგანი ცხოვრება წარმოადგენს. აქედან მოდის ინგლისელის არარიტუალური და ქვეცნობიერი რელიგია, ხელოვნება, — ხილულ ქვეყანაში უხილავის ნიშნებისა და სიმბოლოების მძებნელი; აქედანვეა მისი ფსიქოლოგიური და მორალისტური ლიტერატურა, ყოველთვის სულების ღრმა და განმარტოებული ცხოვრების შემსწავლელი. ასეთია ამ ფრანგ მკვლევართა აზრით ემოცია და ვნება ჩრდილოეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით ინგლისში, სადაც აღზრდის მთავარი მიზანი ნებისყოფის ვარჯიშია, და სადაც საგანგებო სოციალური დისციპლინა ასწავლის კაცს დაიჭიროს ხელში თავისი იმპულსები. თუნდაც იგი არისტოკრატიული იტონის კოლეჯის მოწაფე იყოს, იგი მაინც წინაპრებივით ვულგარულია და ჩაკეტილი იმ გადაწყვეტილებისა და ურყეობის ძალების გამო, რომელ-

საც ინგლისელები „ხასიათს“ ეძახიან და აყენებენ ყველა თვისებაზე მაღლა. გოლზუორთიც საგანგებოდ სწავლობს ინგლისელთა იდუმალი ვნების ამგვარ რეზერვაციას.

ინგლისური ფსიქოლოგიური რომანი, რომელიც, როგორც ლიტერატურის ისტორია გვასწავლის მე-17 საუკუნის რევოლუციამ და ომგადახდილმა გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ შექმნა მომდევნო საუკუნეში, დამშვიდებისა და დალაგების პერიოდში, როდესაც მისი ყურადღება პოლიტიკური ინტერესიდან შინაგან ადამიანურ ცხოვრებაზე გადავიდა, ეს რომანი რიჩარდსონით დაიწყო. გოლზუორთიმ და მისმა თანამედროვეებმა, ჰენრი ჯეიმსმა და არნოლდ ბენეტმა, გააგრძელეს ეს ტრადიცია. თუ საფრანგეთში გოტიე, ფლობერი, გონკურები, აღფონს ღოდე, ჰიუსმანსი და ლოტი ობიექტის გარეგნობის უნიკალურ ელემენტს იჭერენ და სიტყვების არჩევითა და განლაგებით გადმოსცემენ რიტმისა და სილამაზის შთაბეჭდილებას, ინგლისელები, პირიქით, ადამიანის შინაგან ცხოვრებაში შედიან, ანალიზს უკეთებენ და თარგმნიან მას. თუ ფრანგი ფსიქოლოგი რომანისტები (სტენდალი და მისი სკოლა) კმაყოფილდებიან ხასიათთა განვითარებითა და აზრთა ინვოლუციისა და იდეათა ასოციაციის ანალიზით, ინგლისელები იჭრებიან ბნელ სიღრმეში, სადაც გრძნობა და ნება იბადება. ინგლისელები არ კმაყოფილდებიან ფიზიკური ადამიანის სტენდალისებურ პერეტას, ჰვრეტას „ხილული ფორმისა, გახსნილისა იმავე ძალების მიერ, რომლებიც ავითარებენ სულს და წარმართავენ მის მოძრაობას“. ისინი იკვლევენ გახსნილ ფორმას, რომელზედაც თანდათან გავლენას ახდენს სიცოცხლის პროცესი. ინდივიდუალობის გარდა, ისინი იკვლევენ ყველაფერს, რაც მას ეხება და ენათესავება, რაც მათზე ახდენს გავლენას (შევრიიონი).

მორალური სამყაროსადმი ამ ინტერესს თანსდევდა სპეციალური ტექნიკური ძიება. ინგლსელმა რომანისტებმა დაიწყეს მარტივი მოყოლითა და შენიშვნებით; შემდეგ სულიერ მდგომარეობათა აღწერა თხრობასთან შეაერთეს. ჯორჯ ელიოტმა პროფესიონალ ფსიქოლოგთა და დარვინელთა ტერმინოლოგია და მეთოდები შემოიტანა, მაგრამ მაინც ეს მხოლოდ ცხოვრების შესწავლა იყო და არა თვით ცხოვრების ასახვა. ჯორჯ მერედითმა ცხოვრების ასახვა მისი ახსნისა და ანალიზის გარეშე სცადა ყოველი ხასიათის ცენტრში ავტორის დაყენების გზით, აზრის შეერთებით გრძნობასა და შთაბეჭდილებასთან. ამით მან გარკვეულად მიაღწია ადამიანის ქვეცნობიერი ცხოვრების გამოხატვას. ამგვარია მერედითის „ეგოისტი“ და „ერთი ჩვენი დამპყრობელთაგანი“. ახალ სტილს, რომელიც შეიქმნა საჭირო, უნდა ეთარგმნა ის, რისი თარგმნა თვით ხასიათებს არ შეეძლო. მერედითი უშუალო, და პირდაპირ შთაბეჭდილებებს არაპირდაპირი მეთოდებით გადმოგვცემს. „ამას ის აკეთებს ხართული პერსპექტიული შემცირებით, იმ რთული სიტყვების ხმარებით, რომლის საშუალებასაც იძლევა ინგლისური ენის გენია, იმ სიტყვებისა, სადაც ზმნა და ზმნისსართი, არსებითი და ზედსართავი სახელები ერთდებიან იმ საგანთა გამოსახატავად, რომელთაც ფრანგული ეხა ლოგიკურად ჰყოფს მოქმედებისა და მისი პიროობების, ობიექტისა და მისი მომენტების მიხედვით. ამასვე აკეთებს იგი ელიპსებით და გვერდის ახვევით, უეცარი ხარვეზებით, რომელთა შევსებას იგი მკითხველისაგან მოელის. ასე ათანხმებს იგი ცხოვრების სურათს და „ჩვენს მიმქროლავ გონებათა სიჩქარეს“, რომლის პერცეფცია აღწერასა და ანალიზს ასწორებს. ამ მეთოდით „ეგოისტის“ ავტორმა შეუდარებელ შედეგებს მიაღწია“ (შევრიიონი).

მაგრამ შევრიიონის აზრით, მერედითი იყო ბნელი და, ბროუნინგის მსგავსად, უცხოელთათვის გაუგებარი. როდესაც მწერალი ნიშნებათა არაპირდაპირ მეთოდს მიმართავს, მკითხველი, რომელიც მას სავსებით გაუგებს, უნდა მისი თანამედროვე იყოს და ცხოვრობდეს მის მსგავს გარემოცვაში. მერედითის მონათესავე ჰენრი ჯეიმსის ფსიქოლოგიური ხელოვნება და სიმახვილე ამავე გზით კიდევ უფრო შორს მიდიოდა... გოლსუორთიც მერედითივით დაინტერესებულია სულის მოძრაობითა და ბნელი ფიბრებით. როდესაც იგი მაღალი კულტურის წარმომადგენლებს ხატავს, მისი ხელოვნება ისე რთულდება და ისე მგრძნობიარე ხდება, რომ მისი დეტალური შესწავლა შეუძლებელია. გოლზუორთის არა მარტო ობიექტი (ფსიქოლოგიური ცხოვრების ყოველგვარ ასპექტში გადმოცემა), არა მარტო ხელოვნება, არამედ ფილოსოფიაც აახლოვებს მერედითთან: „იგივე კრიტიკა „ფარისეველური“ ინგლისისა, იგივე გამომეღავნება მამაკაცური თავმოყვარეობისა და ტირანია ქალის მიმართ, იგივე ფუნდამენტური იდეალიზმი. მაგრამ ჩვენ ვპოულობთ ტურგენევის გავლენის კვალს, რომელიც ნათელს ჰფენს, ამსუბუქებს და ანელებს ყველაფერს. ამგვარ ხელოვნებას, გრძნობაში ფესვგადგმულს, ინტელექტი სავსებით მართავს. იგი უფრო ნათელია, უფრო შეგნებული, და, საერთოდ, უფრო სრულყოფილი. ვიდრე მერედითის ხელოვნება, მაგრამ სწორედ ამ მიზეზის გამო ნაკლებ ცხოველი და მშფოთავი, ნაკლებ აუცილებელი, ნაკლებ აღსავსე პრიმიტიული, წარმართული სიცოცხლით“ (შევრიიონი).

გოლზუორთის არაფერი უსესხებია მერედითის სახიფათო და ზემეტაფორული სტილიდან. მისი სტილი გამჭვირვალეა, მაგრამ მისი აზრის მთლიანი აღქმა არ შეიძლება პირველი შეხედ-

ვით, პირველი შეხედვა დაგვანახვებს უახლოესს და ყველაზე მატერიალურს, სადაც ხასიათები მოძრაობენ და ლაპარაკობენ. ჩვენ დავინახავთ ჩვეულებრივ გამოვლენას სინამდვილისა, რომელიც ცხოვრების ბუნებრივი ლოგიკით იხატება. მეორე, გამჭრიახი და ყურადღებიანი შეხედვა გამჭვირვალე ზედაპირის ქვეშ მიმდინარე ფსიქოლოგიურ ცხოვრებას დაგვანახვებს. იგი თითქმის უხილავად ახდენს გავლენას რომანის მთავარ ხასიათებზე. და მაშინ აღმოჩნდება, რომ ზედაპირზე დახატული ცხოვრება მხოლოდ ავტორის საიდუმლო განზრახვის სიმბოლოს წარმოადგენს. შევრიიონს მოაქვს გოლზუორთის პანთეისტურად განზრახული სურათების მაგალითი (რომანებიდან „ძმობა" და „მესაკუთრე"), სადაც, ერთი შეხედვით, არავითარი იდუმალების ნიშანი არა გვაქვს. ეს სურათები ნამდვილად გვიჩვენებენ [illegible] ფარულ რეალობას უნივერსუმ, [illegible] ყოველი ქმნილება იღებს საწყისს. ეს მოკლე ხილვები ლანდშაფტურადაა წარმოდგენილი. მცირე ინდივიდუალობათა ღირებულებანი, რომელნიც თავისთავს „მე"-ს უწოდებენ, სრულებით იცვლებიან: მათი ამბავი ახალ, ირონიულ, ან პათეტიკურ მნიშვნელობას იღებს. ხანდახან ლანდშაფტები და რომანის მეორადი ფიგურები ამთავრებენ მთავარი იდეის განხორციელებას, ან მინიშნებას, და მაშინ სწრაფი, მსუბუქი მინიშნება იქცევა მძიმე, მოფიქრებულ მეტაფორად და სიმბოლო ვითარდება იგავად.

ძირითადი გოლზუორთის არაფორსაიტულ რომანებში

გოლზუორთის შემოქმედება ძირითადად ორი გვარისაა: პროზა, უმთავრესად რომანებით წარმოდგენილი, და დრამა, თემატურად პროზის მონათესავე, თუმცა გოლზუორთის ლექსებიც უწერია. ამ ნარკვევში საგანგებოდ არ იქნება განხილული გოლზუორთის დრამა და, თუ შევეხებით მას, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი ელემენტები შეპრილია გოლზუორთის პროზაში. ასევე გვერდს ავუხვევთ მის პოეზიას, წერილებს, სიტყვებს და ნარკვევებს. და მაინც ჩვენს წინაშე დადგება გოლზუორთის შემოქმედების ძირითადი მასივი — მისი რომანი.

ჯონ გოლზუორთი ლონდონელი მოსამართლის შვილი იყო. იგი სარეის საგრაფოში დაიბადა, ჰაროუს სკოლასა და ოქსფორდის უნივერსიტეტში აღიზარდა და მთელი სიცოცხლე საზღვარგარეთ მოგზაურობდა. ეს ჩვეულება მან მთელ სიცოცხლეში არ მოიშალა, როგორც ჭეშმარიტმა ინგლისელმა, და მის შემოქმედებით ქარგაში ნაწარმოებები დედამიწის სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილში იწყება, გრძელდება და მთავრდება. მაინც ინგლისში ჰქონდა გოლზუორთის მშობლიური ფესვი, საკუთარი კუთხე. ეს იყო დევონშირი. გოლზუორთი იყო „დევონის კაცი". ინგლისი იყო მისი ობიექტი, „ინგლისის ნახევარი და საუკეთესო ნახევარი ამასთანავე", როგორც თვითონ ამბობდა, ინგლისის ნიადაგზე ამოსული სამუალო კლასი.

გოლზუორთის გამოსვლის ეპოქა იყო XIX საუკუნის მიწურული. ინგლისის ისტორიის მყარი და კონსერვატული ვიქტორიანული პერიოდის დასასრული, დასაწყისი შეფოთვარე მეოცე საუკუნისა. ბურების ომი, რომელმაც ინგლისური იარაღის სისუსტე გამოამჟღავნა. ახალი დამთავრებული იყო, კიპლინგის იმპერიალისტური ფორმულები — თუმცა დროებით, მაგრამ მაინც უკვე ფერგამკრთალი. პოლიტიკური ძვრები საკმაოდ იგრძნობოდა და რევოლუციის ძალები უკვე მოძრაობაში იყო. ოცდაათი წლის განმავლობაში ძალაუფლებააყრილმა ლიბერალებმა, რადიკალებმა და სოციალისტებმა წინ წამოიწიეს. ხელოვანთა და რომანისტთა შორის იგივე მიზეზები იწვევენ ანალოგიურ ეფექტს... სემუელ ბატლერი გარდაიცვალა 1902 წელს, მაგრამ მისი რომანი „ყოველივე ხორციელის გზა" გამოქვეყნდა 1903 წელს. მასში შეჯამებული იყო ყველაფერი, რასაც წინა თაობა თაყვანს სცემდა. ბერნარდ შოუმ, ბატლერის ინტელექტუალურმა პირმშომ, ის იყო, გამოაქვეყნა „კაცი და ზეკაცი". პარადოქსისა და ხატთმებრძოლობის სუნი იდგა ჰაერში. ხოცვა-ყლეტა დაიწყო. მორალური რევოლუცია მზადდებოდა. „ჩვენ არ ძალგვიძს გავითვალისწინოთ, როგორი იქნება ყოველივე ამის დასასრული, მაგრამ იგი მოგვიახლოვდება, როდესაც ვინმე, ამა თუ იმ ფორმით, გამოაქვეყნებს ვიქტორიანული საუკუნის აუცილებელ დაცვას, არა ნაკლებ აუცილებელი სიცრუისა, პირობითობისა და თვალთმაქცობის აპოლოგიის დამატებით" (შევალი).

ამგვარი იყო დრო, როდესაც ლიტერატურა ჯერ კიდევ ანგარიშს არ უწევდა ფართო მკითხველს და მას მაინც ჰყავდა მკითხველი, რომელსაც შეეძლო ვიქტორიანულ ცრურწმენათა დანგრევა აიტანა ქაღალდზე მაინც. ეს მკითხველი, ჯგუფ-ჯგუფად შეკრული, ყოველ ცალკეულ მწერალს აღიარებდა, და გოლზუორთის თაყვანისმცემელთა საზოგადოება მათ შორის ყველაზე მცირე იყო. გოლზუორთი არ იყო მათი მწერალი, ვინც წიგნისგან მოითხოვს რაიმეს სწავლებასა და პროპაგანდას. ხოლო მათთვის

კი. ვინც წიგნისაგან არაფრის სწავლებას მოითხოვს, გოლზუორთი არ იყო წარმომადგენელი წმინდა ხელოვნებისა ხელოვნებისათვის. ამ უკანასკნელთა წინაშე, რომელნიც უეჭველად სცნობდნენ მას, როგორც სიტყვის ოსტატს, იგი აღმართავდა ხოლმე იდეების ბარიერს და ამით უკუაგდებდა მათ. ამგვარად, გოლზუორთის მკითხველთა საზოგადოება შედგებოდა მხოლოდ იმათგან, ვინც თანაბრად გრძნობდა სიმპათიას მისი მიზნებისა და მისი მეთოდების მიმართ, ვისაც შეეძლო აეტანა მცირეოდენი პროპაგანდა ხელოვნების გულისათვის. თუმცა გოლზუორთიმ ისტორიის მთელი პერიოდი დაგვანახვა, როგორც თვითონ ამბობდა, მას, ბოლოს და ბოლოს, არ მოუცია ამ პერიოდის მეცნიერული გამოკვლევა.

ოპტიმისტურ რწმენაზე დამყარებულ ვიქტორიანულ საუკუნეს იმედგაცრუების საუკუნე მოჰყვა. მორალური და სოციალური წყობის დაწესებული კოდექსი დაარღვია 1870-80 წლების ეკონომიურმა კრიზისმა, კაპიტალიზმის წინააღმდეგობებით აღსავსე ინგლისის გადასვლამ იმპერიალიზმის ფაზაში, სიღატაკისა და მუშათა მოძრაობის ზრდამ. დაცემული ვიქტორიანული რელიგიური დოგმის ადგილი ცარიელი დარჩა. იდეოლოგიის კრიზისმა ლიტერატურა მიიყვანა ყოველივეს გაშიშვლებამდე, ყოველივესი, რაც კი შეადგენდა ცხოვრებას. — ეკლესიისა, იმპერიისა, სოციალური უსამართლობისა, პოლიტიკური თეორიისა, საოჯახო მორალისა. საუკუნის დასასრულმა მოურიდებლად, სირცხვილის გრძნობის გარეშე ჩახედა ყველა ამაღელვებელ საკითხს, კრიტიკულად განიხილა მატერიალური, უცვლელი ღირებულებანი. იყო შემთხვევები უკიდურეს ცინიზმამდე მისული სიშიშვლისა, რაც განსაკუთრებით მეოცე საუკუნის რომანში გამოჩნდა. თანამედროვე ცინიზმის საზღვრები შხამიანად გადაშალა ოლდოუს ჰაქსლიმ თავის „მასხრულ ფერხულში". ეს არის ცინიკური და ურწმუნო სატირა თანამედროვე ცინიზმსა და ურწმუნოებაზე. დროის აგნოსტიკურმა განწყობილებამ ლიტერატურა უშიშარი გახადა ექსპერიმენტსა და დასკვნებში; აქედანვე დაიწყო რეფორმაც, და ეს იყო დადებითი მხარე მეოცე საუკუნის რომანისა.

ჰაქსლის რომანი — „ის ხმელი ფოთლები" პოზიტიური რწმენის შესაძლებლობისაკენ მიუთითებს რწმენაგამოცლილ საუკუნეს. ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა აზრით, „საჭიროა შემწყნარებლობა მათ მიმართ, ვინც ცდილობს მგზნებარედ მისდიოს გულის, გონების ან სულის კარნახს ადამიანის სახსნელად. და თუმცა შესაძლებელია, როგორც მრავალი კრიტიკოსი აცხადებდა, მას (ადამიანს) ფეხები ორმოში ედგას, მაგრამ მისი თავი ასევე იმყოფება ეარსკვლავებს შორის (ელზაბეთ დრიუ).

გოლზუორთის კლასის ფესვები მიწაში იყო გადგმული. თავის წარმოშობით, ეს იყო სოფლის საშუალო კლასი, ხოლო ახლა საშუალო კლასის ზედაფენა, სოციალურ წყობათა ცვლას, უწინარეს ყოვლისა, ეს კლასი გრძნობდა, რადგან იგი წარმოადგენდა ერთსა და იმავე დროს ბრიტანეთის ეროვნებისა, იმპერიისა და საზოგადოების ძირითად ბირთვს. გოლზუორთიმ, უფრო მეტად არისტოკრატიული ხასიათის პატრონმა, ვიდრე მეორე ინგლისელი სოციალური მხატვარი ჰერბერტ უელსი იყო, არანაკლები სინათლითა და გამბედაობით მოჰკიდა ხელი სოციალური წესრიგის ანალიზს. არნოლდ ბენეტის მსგავსად, საკუთარი ქვეყნის შვილი, იგი ბენეტზე უფრო მეტად აერთებდა ეროვნულ ინსტინქტებს მოურიდებელ ობიექტივიზმთან (ეს ჩვეულება ინგლისურმა ლიტერატურამ გარეშე სამყაროდან შემოიტანა საერთოდ). გოლზუორთის კრიტიციზმი პარალელურად მისდევს იმ ინტელექტუალურ ცდებს, რომელთა მაგალითი მეთიუ არნოლდმა, ჯორჯ მერედითმა და სემუელ ბატლერმა მოგვცეს, თანამედროვეთაგან მათ ბერნარდ შოუ და ჰერბერტ უელსი მისდევენ. გოლზუორთი „აერთებს მასთან საკუთარ ელემენტებს: მორალური ნატურის დამოუკიდებლობას, რომელიც ყოველგვარი ცრურწმენის გარეშე, იხილავს ინგლისური ხასიათის შესამჩნევ ან წვრილმან თვისებებს და ამაღლებს მათ გაბედული თავისუფლებით. მეორე მხრით, ფუნდამენტურ ზომიერებაა, რომელშიც ამოიცნობა არა კომპრომისის საჭიროება, არამედ საგნების მრავალმხრივი შემეცნება; გონების ტაქტს, რომელიც არასოდეს აძლევს თავისთავს სისტემამდე, გადაჭარბებამდე,პარადოქსამდე მისვლის ნებას და რომელიც ათანხმებს ლოგიკას საღ აზრთან (კაზამიანი).

იმ პერიოდში, როდესაც სხვადასხვაგვარი რეფორმატორები აცხადებდნენ, ნამდვილი ხელოვნება იმავე დროს მემარცხენეობის პროპაგანდაა, ხოლო მწერლების ერთი ჯგუფი ეწეოდა იმპერიალისტურ ქადაგებას, სერიოზული რომანი სოციალურ საკითხებს უღრმავდებოდა. ინგლისელი ესთეტების ორგანოს „ყვითელი წიგნის" გარშემო შემოკრებილი მწერლებისა და მხატვრების ჯგუფი, რომელიც პარიზის გზით ამერიკიდან მოსულმა ჰენრი ჰარლანდმა დააარსა, სოციოლოგიური რომანის კონტრბანაკს წარმოადგენდა. ეს მემარცხენე რეფორმატორები თავის „კულტურ" გენიას უპირისპირებდნენ „ტევტონურ", ვიქტორიანულ საუკუნეს და სხვადასხვა ბილიკით დაეძებდნენ რეალიზმის გზას. ინგლისი და ამერიკა ამოდებდნენ ფლობერის, მოპასანისა და, ყველაზე უფრო, ტურგენევის სახელებს. „ხელოვნება უნდა იყოს უგრძნობელი გამოხატულება ცხოვრებისა" — ასეთი იყო ამ ბანაკის რეალისტური ფორმულა.

ასეთ პერიოდში გამოვიდა გოლზუორთი. და

მან დაუყოვნებლივ მიიღო ტურგენევი. მან მიიღო ტურგენევი, მიუხედავად იმისა, რომ მწერლების ერთი ჯგუფი (ჯოზეფ კონრადი, ჰენრი ჯეიმსი, სტივენ კრეინი, ფ. მ. ფორდი) ფიქრობდა, ტურგენევისაგან ტექნიკურად არაფრის სწავლა არ შეიძლებაო. არიან მწერლები, — წერდა ფორდი, — მათ შორისაა შექსპირიც, რომელთაც არა აქვთ „მეთოდი"..., რომლებიც მხოლოდ თავისი ტემპერამენტით სწერენ. ასეთი მწერლებისაგან სწავლა სახიფათოა, რადგან სწავლით ვერაფერს ისწავლი, ხოლო მათი მანერის მიბაძვას და მათი ტემპერამენტის შეთვისებას კი დაიწყებ". გოლზუორთიმ მოგზაურობიდან დაბრუნებისთანავე (1893 წ.) დაიწყო წერა. დიდხანს იმუშავა, სანამ გამოაქვეყნებდა თავის ნაწერებს, და მაინც მისი ნამდვილი ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1900 წელს რომანით — „ვილა რუბეინ". გოლზუორთის მრავალჯერ უთქვამს (უკანასკნელად, სიტყვაში ნობელის პრემიის მიღების გამო, 1932 წელს), რომ იგი მწერლად არ დაბადებულა, არამედ მხოლოდ თერთმეტი წლის შრომის შედეგად დაწერა „მესაკუთრე", თავისი პირველი საუკეთესო რომანი. გოლზუორთის მეგობარი ფორდი მას რომანისტად დაბადებულად არა თვლის და სწუხს მისი რომანების იმ დროებითი წარმატების გამო, რომელმაც დააბნელა გოლზუორთის დიდი მიღწევები დრამაში. ხოლო ერთი კრიტიკოსი მას მეორეხარისხოვან მწერალთა რიგშიაც კი აყენებს, ტროლოპსა და ბენეტზე დაბლა.

გოლზუორთის ძირითადი თემატიკა — ინგლისური არისტოკრატიული და უმაღლესი ბურჟუაზიული საზოგადოების რღვევაა. გოლზუორთი ხატავს ღრმა ფსიქოლოგიური პერსპექტივების მქონე სურათს ინგლისური ეროვნული ხასიათის თავისებურებათა ასახვით. საშუალო კლასის მაღალი ფენა, რომელსაც იგი საგანგებოდ გამოჰყოფს ინგლისური საზოგადოებიდან, შეადგენს მისი მონუმენტური ციკლის — ფორსაიტების ქრონიკების — ობიექტს. მაგრამ ეს ციკლი, რომელიც „მესაკუთრით" იწყება (1906), უშუალოდ უკავშირდება მის მთელ შემოქმედებას. გოლზუორთის სხვა რომანებიც შეიცავენ ეპოქათა ცვლის ნიადაგზე წარმოქმნილ კრიტიკას ან სატირას ინგლისური საზოგადოების ტიპებზე, ტრადიციულ მორალზე, კასტურ დისციპლინასა, იდეებსა, ცრუმორწმუნეობასა და თვალთმაქცობაზე. ვიქტორიანული საუკუნისა და მისი ტრადიციის სახით წარმოდგენილი XIX საუკუნის სტაბილური კაპიტალიზმი მის რომანებში უპირისპირდება, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნებას და პიროვნების განვითარებას, რაც სილამაზისა და თავისუფლების ცნებებითაა წარმოდგენილი. ერთ-ერთ პირველ რომანში — „ფარისეველთა კუნძული" (1904) — გოლზუორთი შლის თავისი ობიექტის საერთო ხედს; „მესაკუთრეში" (1906), რომლითაც იხსნება მხატვრულად ყველაზე სრულყოფილ ნაწარმოებთა ციკლი, გოლზუორთი ეხება [illegible] ნაცნობ სოციალურ ჯგუფს — [illegible]. „მამულში" (1907) და „ფრილენდებში" (1915) მიწისმფლობელ აზნაურობას; „ძმობაში" (1909) — ზეკულტურულ ინტელექტუალებსა და მწერლებს; „პატრიციუსში"(1911) — უმაღლეს მმართველ არისტოკრატიას. ინგლისური ბურჟუაზიული საზოგადოების კრიტიკამ გოლზუორთი, განსაკუთრებით მსოფლიო ომის შემდეგ, მთელი კაპიტალისტური საზოგადოების საფუძვლების კრიტიკამდე მიიყვანა. გოლზუორთიმ, როგორც ინდივიდუალისტმა, ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა: მისი საკუთარი ინდივიდუალიზმი იყო ინტელექტუალური და ესთეტიკური; ის კი, რომლის წინააღმდეგაც იგი ილაშქრებდა, მატერიალური. მაგრამ ეგოიზმისა და სიხარბის ძალთა მოწინააღმდეგე ინდივიდუალურ კეთილშობილებას არ ძალუძს კაპიტალისტური სოციალური ორგანიზაციის დარღვევა. და თავის უკანასკნელ დადებით დასკვნებშიაც გოლზუორთიმ გვიჩვენა ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი უძლურება. საკუთარი კლასის ჩარჩოებში გოლზუორთი იყო არა უგრძნობელი ხელოვანი, არა მხოლოდ ობიექტური მხატვარი, არამედ მგზნებარე, გულშემატკივარი რეფორმატორი.

პირველსავე რომანში „ვილა რუბეინ" გოლზუორთი ასახავს თავის რჩეულ სიტუაციას: მეამბოხე პიროვნება, ჩვეულებრივ, იმპრესიონისტული ხერხებით დახატული, ხელოვნების წარმომადგენელი, იჭრება მტკიცე, კონსერვატიული ტრადიციებით შეკრულ ადამიანთა წრეში და არღვევს მათ მყუდროებას. ფ. მ. ფორდი, რომელიც გოლზუორთის თეატრზე უფრო მაღალი აზრისაა, ვიდრე მის რომანზე, ბრალად სდებს გოლზუორთის ჯიუტ გადაწყვეტილებას, ეძიოს მუდამ „ირონიული ანტითეზები". მისი „ეფექტი", როგორც რომანისტისა, ამბობს ფორდი, იყო წარმოდგენა პირობითად ღირსეული, კეთილი ადამიანებისა, რომლებიც სხედან და ლაპარაკობენ სასაცილო ამბებს ყოველგვარი ადამიანის შესახებ.

„ფარისეველთა კუნძული" წარმოგვიდგენს ინგლისური მაღალი საზოგადოების მდგომარეობის საერთო სურათს, ისე, როგორც გოლზუორთის ჰქონდა წარმოდგენილი: ერთი მხრით, აზროვნების პასიობა და ეგოიზმი კლასისა, რომელიც თავის ინტეგრაციას იცავს მხოლოდ მისი სიცოცხლის ნების სახელით, და, მეორე მხრით, აზროვნების აქტიობა მეამბოხე პიროვნებებისა, რომლებიც დეზინტეგრირებული არიან სილამაზისა და თავისუფლების სახელით. ამ ორი ანტითეზის ბრძოლის ერთ-ერთ სახეობას ვხედავთ შელტონში, რომელიც ტიპიური ინგლისელი ბურჟუაა. შელტონმა მიიღო

ტრადიციული აღზრდა, იმოგზაურა დედამიწის გარშემო და ინგლისში დაბრუნებულმა დანიშნა თავისივე წრის ქალი, ანტონია დენანტი. ამის შემდეგ ისევ წავიდა სამოგზაუროდ სამი თვით და, როდესაც ბრუნდებოდა, გზაში ერთი ბელგიელი გაიცნო, სახელად ლუი ფერანი. ფერანი შეძლებული ოჯახის შვილი იყო, მაგრამ უარი თქვა თავის კლასზე. ფერანმა კეთილი გავლენა მოახდინა შელტონზე და დაანახა მისთვის ჩვეული ინგლისური კაპიტალისტური სამყაროს ნამდვილი სახე: ერთი მხრით, თვალთმაქცობა და კარჩაკეტილობა და ,მეორე მხრით, მუშათა და ღარიბთა კვარტალები. ფერანის გავლენით შელტონი ახალი თვალით უყურებს ქვეყანას. მას აინტერესებს ყველაფერი: მდიდრული კლუბებიც და ლიტერატურული წრეებიც; საქველმოქმედო საღამოებიც და მუშათა ცხოვრებაც; ციხეებიც და აზნაურთა მამულებიც. იგი უკვე კარგად გრძნობს თავისი საცოლის, დენანტის წრის — „ფარისეველთა კუნძულის“ — სიშორეს, შელტონი უკვე აღარ იზიარებს ამ წრის შეხედულებებს, რომელთა თანახმად სიმდიდრე ითვლება „ჯილდოდ“ წინაპართა ან საკუთარ დამსახურებათათვის ქვეყნის წინაშე; შეხედულებებს, რომლებიც ვერ ამჩნევენ ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ ცვლილებებს და მის არსებულ სახეს, რომლებიც ებრძვიან ყველაფერს, რაც კი ეწინააღმდეგება ტრადიციას. შელტონიც, ბელგიელი ფერანის მსგავსად, სტოვებს დანიშნულს და თავის აღმზრდელ საზოგადოებასაც. „ფარისეველთა კუნძულში“ მეამბოხე ბელგიელის გავლენის რეაქციაა გამოხატული ინგლისელი შელტონის სახით. უკვე ინგლისური საზოგადოების ამ გენერალურ ხედსა , და აგრეთვე გოლზუორთის ჩვეულ კონფლიქტში, შეიძლება დავინახოთ „არაინგლისელი“ მეამბოხე ტიპის მიმართება ინგლისელ კონსერვატორულ ტიპთან. ამ გარემოებამ მისცა საშუალება ზოგიერთ მკვლევარს ტრადიციონალიზმისა და შეზღუდულობის წარმომადგენლები გამოეყო სილამაზისა და თავისუფლების წარმომადგენლებისაგან არა მარტო მათი სოციალური მდგომარეობის, არამედ ეროვნული წარმოშობისა და ამის შესაბამის თვისებათა მიხედვით. მაგრამ ამაზე ქვემოთაც იქნება ლაპარაკი.

რომანში „მამული“, **გოლზუორთი გადადის** კრიტიკის ახალ ობიექტზე. ეს არის მიწისმფლობელი აზნაურობა, ე. წ. „ჯენტრი“ და ამ წრის ტრადიციათა განმასახიერებელი პენდისების ოჯახი. „მამულში“ დეტალურად გამოხატული მიკროკოსმოსი . ტრიალებს სკვაირის ტრადიციული ავტორიტეტის გარშემო. რომანის გმირი მისტერ პარამორი ასე განსაზღვრავს „პენდისიზმის“ წარმომადგენლებს: „ისინი გონებაჩლუნგები არიან, ისინი აკეთებენ საქმეს, მაგრამ აკეთებენ მცდარი გზით. მათ აწუხებთ უამრავი უქმი გარჯა და სევდა. ასეთია მემკვიდრეობითი პრინციპის ხვედრი“. მაგრამ ეს სიჩლუნგე, როგორც ავტორიც ამბობს სხვა ადგილას, დამახასიათებელი ამ წრის ყოველ წევრისათვის და სკვაირის სახეში კიდევ უფრო მეტად გაძლიერებული, არის უფრო პროცესი, ვიდრე თვისება. აქ ყველა ემორჩილება ინსტინქტურ შიშს ყველაფრის წინაშე, რაც კი უცხოა მისთვის, ინსტინქტურ შიშს სხვისი თვალსაზრისის დანახვისას და ინსტინქტურ რწმენას პროცედენტის მიმართ. ამ წრეში კიდევ მეტი კასტურობის სული მეფობს, ვიდრე ბურჟუაზიის წრეში. მძიმე კონფლიქტს იწვევს მოხუცი პენდისის ვაჟის მიერ ტრადიციის დარღვევა, (გათხოვილი ქალის შეყვარება). დამახასიათებელია ჰორას პენდისის მიერ გამოთქმული „რწმენის სიმბოლო“, უკვე მიმავალი თაობის ინგლისისათვის განკუთვნილი: „მწამს მამაჩემი და მისი მამა, და მისი მამის მამა, შემქმნელი და შემნახველი ჩემი მამულისა. და მწამს ჩემი თავი და ჩემი შვილი და ჩემი შვილისშვილი. და მწამს, რომ ჩვენ შევქმენით ქვეყანა და შევინახავთ მას ისეთს, როგორიც არის. და მწამს სახალხო (იგულისხმება, მისი. გ. გ.) სკოლები და, განსაკუთრებით, ის სკოლა, სადაც მე მისწავლია. და მწამს ჩემი ტოლები საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით. და მამული და საგნები, როგორიც არიან და იქნებიან აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ“.

შიშველი სოციალური საკითხების შემცველ რამდენიმე მოთხრობაში (1908) გოლზუორთის კაპიტალისტური ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი საშინელი უთანასწორობის სურათები გამოუხატავს, და ეს სოციალური თვისება, კიბოს ავადმყოფობის მსგავსად, მოურჩენლად მიუჩნევია.

ამის შემდეგ გოლზუორთი გადადის კულტურის წარმომადგენელ ინტელექტუალთა და ხელოვანთა წრეებში. რომანი „ძმობა“, რომლის სათაური ირონიული ხასიათის მქონეა, წარმოადგენს სატირას ლონდონის ხელოვანთა და ფილანთროპთა წრეების პირობითობაზე. გოლზუორთი აყენებს კულტურის წარმომადგენლებს სოციალური პრობლემების პირისპირ და გვაჩვენებს მათი ფილანთროპიული მორალის სრულ პრაქტიკულ უძლურებას. საერთო პრინციპები კაცთმოყვარეობისა, თავისუფლებისა და თანასწორობისა, გამოთქმული რომანის ინტელექტუალურ გმირთა მიერ, ფრთებს იმტვრევენ სინამდვილეში. ისინი ვერ სძლევენ უფსკრულს, რომელიც „ადამიანის ბუნების“ გამო, გოლზუორთის აზრით, მდებარეობს დაბალი სოციალური ფენის მისასვლელთან.

რომანში „პატრიციუსი“ გოლზუორთი ეხება მმართველი არისტოკრატიის წრეს. აქ გვხვდებიან ხნიერი კონსერვატორი ლორდები და ახალგაზრდა დაჯერებული არისტოკრატები. აქვე ვხედავთ სიყვარულის გრძნობის შეჯახებას კლასობრივ მოვალეობასა და კარიერის საჯი-

როებასთან, შეჯახებას, რომელიც თავდება სიყვარულის დამარცხებით. ახალგაზრდა არისტოკრატი მილტონი სტოვებს საყვარელ ქალს, ქმარგაყრილ ოდრი ნოელს, რომლის სიყვარულმა მის თვალთმაქცურ, მორალისტურ წრეში სასტიკი უკმაყოფილება გამოიწვია. გოლზუორთის მახვილი, როგორც ყოველთვის, აქაც პირობითობასა და თვალთმაქცობას უმიზნებს. გოლზუორთი ღრმა გულთამხილავია, რომელსაც აქვს უნარი აღმოაჩინოს სიყალბე იქაც კი, სადაც ადამიანს თავი გულწრფელი ჰგონია. თვალთმაქცობის გახსნა მართლაც ემარჯვება გოლზუორთის.

როგორც „მამული", რომანი „ფრილენდებიც" მიწისმფლობელ ლენდლორდებს შორის ტრიალებს. თუ რომანების ციკლში, რომელსაც ფორსაიტების ქრონიკები შეადგენს, გოლზუორთი ეხება ქალაქის ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, „ფრილენდებში" იგი წარმოგვიდგენს მის პარალელურ სოციალურ წრეს, სადაც კასტურობა და ტრადიციონალიზმი უკვე დაღვეულია. ფრილენდები ოთხნი ძმანი არიან: უფროსი — ჯონი ოფიციალური წრეების წარმომადგენელია, მდიდრული ფერმის პატრონი, კონსერვატორი და არ გააჩნია სიმპათიები დაბალი კლასების მიმართ. მეორე ძმა — სტენლი, ინდუსტრიალიზმის წარმომადგენელია, დიდი მრეწველი, აგრეთვე კონსერვატორი. მესამე ძმა — ფელიქსი ინტელექტუალიზმს გამოხატავს, მწერალია, გაუბედავი, სოციალური კომპრომისების მომხრე და ახლოს დგას თვით გოლზუორთისთან, როგორც მგრძნობიარე და კულტურული ადამიანი. მეოთხე ძმა — მორტონი, თავისებური, ტოლსტოისებური „რევოლუციონერია", ცოლიც ასეთივე ჰყავს და შვილებიც ასევე აღზრდილი. მაგრამ შვილები გამბედავი მეამბოხენი არიან, მეთაურები დიდი გაფიცვისა, რომელიც ლენდლორდის სერ ჯერალდ მალორინგის მუშებმა მოაწყეს. გაფიცვა მარცხით თავდება. გაფიცვის მიზეზი, მოჯამაგირე ბობი, რომელიც ცეცხლის წამკიდებელი გახდა შურისძიების მიზნით, ავტომობილს შეუვარდება ქვეშ და იღუპება, ხოლო მორტონის ვაჟიშვილს დერკს, ტვინი შეერყევა ბობის დაპატიმრების დროს. მუშები დერკს მათი უბედურების მიზეზად სთვლიან და სწყეველიან. ეს მომენტი გამოაფხიზლებს დერკს რევოლუციური გატაცებისაგან, იგი ბრძოლის რევოლუციური მეთოდების იმედს კარგავს და საცოლესთან ერთად მიდის ახალ ზელანდიაში, რათა იქ ფერმერი გახდეს. ამგვარად, გოლზუორთის ეს რომანი სოციალური კომპრომისით მთავრდება.

ვიდრე გადავიდოდეთ გოლზუორთის მთავარ ნაწარმოებებზე, საჭიროა დავასახელოთ ის თხზულებებიც, სადაც, ზოგიერთის აზრით, გოლზუორთიმ გამოავლინა თავისი ნიჭი და მოგვცა ანალიზი რომანტიული ვნებისა. ეს ნაწარმოებებია „ბნელი ყვავილი" და „იქითა მხარეს". „ბნელი ყვავილი", ღრმა და მძიმე გრძნობის ანალიზის გარდა, შესანიშნავია ბუნების ფონთან ადამიანური ვნების შეხამებით. აქ არის ყველაზე სრულყოფილი სურათი ზაფხულის საღამოს საოცარი ატმოსფეროსი, რომელიც არა ერთხელ გვხვდება გოლზუორთის რომანებში. ეს საღამო მიჯნურებს მაშინაც კი ეხვევა გარს, როდესაც ისინი თავის სიყვარულს ქვეყნის თვალს აფარებენ. თუმცა მოიძებნებიან კრიტიკოსები, რომელთა აზრით, „ბნელი ყვავილი" მენტალურ სიტუაციათა ნაცვლად ფიზიკური გრძნობელობის სიტუაციებს ასახავს, — ინსტინქტებს ხატავს აზრების ნაცვლად და ემსგავსება მოპასანსა და ტეოფილ გოტიეს. ამათი აზრით, „ზამბახები, რომლებიც ლპებიან, უარეს სურნელს აფრქვევენ, ვიდრე სარეველები".

„იქითა მხარეს" ეხება სიყვარულის კონფლიქტს, რომელზედაც მუდამ უჭირავს თვალი გოლზუორთის და ანალიზს უკეთებს გრძნობათა ჭეშმარიტების ამბოხებას ორთოდოქსალური ბედნიერების სიმშვიდისა და პერმანენტულობის წინააღმდეგ.

„ფორსაიტ საგა ზოგადად"

არც იდეების, არც ხერხების მხრივ დიდი მანძილი არ რჩება "ფორსაიტ საგამდე". „ფორსაიტ საგა" ჩართულია გოლზუორთის დანარჩენ ნაწარმოებთა შორის. ოღონდ იგი უფრო სრულყოფილია და მთლიანი. აქაც გრძელდება ადრევე დაწყებული ანალიზი ინგლისური საზოგადოებისა. ოღონდ უფრო ღრმად. აქაც გვხვდება იგივე დაპირისპირება თეზისა და ანტითეზისა, ბოლოს კი სინთეზის აღმოჩენის ცდა.

შალიტის თქმით „ამ გიგანტურ ციკლში მოჩანს მისი ავტორის ყველა მხარე: ის არის სოციალ-ფილოსოფოსი, ირონისტი, სიმბოლისტი, ხასიათების მხატვარი, ატმოსფეროს ჯადოქარი, ჭეშმარიტებისა და სილამაზის ტრფიალი, რომანისტი და დრამატისტი, კაცი და პოეტი".

რომანით „მესაკუთრე" (1906), სადაც გოლზუორთი შეეხო პროფესიონალ, ფულიან კლასს, რანტიეს ანუ ე. წ. საშუალო კლასის მაღალ ფენას, გაიხსნა ფორსაიტების ქრონიკების ციკლი, რომლის პირველი ტრილოგია ატარებს „ფორსაიტ საგას" სახელწოდებას. ეს „მესაკუთრის "თავდაპირველი სათაური იყო, მაგრამ „მესაკუთრე" შემდეგ თვითონ გადაიქცა „ფორსაიტ საგის" ნაწილად. „მესაკუთრეში"

დახატული კლასის პროვინციული შესატყვისი მოცემულია რომანში „მამული“, ხოლო ორივე ამ რომანზე ადრე ფრაგმენტში „დანაი“ წინასწარი ნახაზები გვხვდება ორივე რომანის ტიპაჟისა. სულ პირველი ფორსაიტი კი (კერძოდ, სუითინ ფორსაიტი) ჩნდება ჯერ კიდევ 1901 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობაში „ფორსაიტის გადარჩენა“.

„დანაი“ დაწერილია 1905-1906 წლებში, როდესაც იქმნებოდა „მესაკუთრე“ და „მამული“. ადა გოლზუორთი (მწერლის მეუღლე) წერს წინასიტყვაობაში კრებულისათვის „ფორსაიტები, პენდისები და სხვები“, რომ ეს ნაწყვეტი თავდაპირველად შეადგენდა რომან „მამულის“ დასაწყისს, მასში ვხვდებით ბევრ ისეთ პიროვნებას, ვინც გვიან ჩვენი ახლო ნაცნობი ხდება: აქ არიან ფორსაიტები—მოხუცი ჯოლიონი, ჭაბუკი ჯოლიონი. ჯეიმსი, ჯორჯი; აქ არიან მისტერ ჰორას პენდისი და გრეგორი ვიჯილი „მამულიდან“ ამგვარად, აქ არის ორივე ბურჯი ინგლისური საზოგადოებისა: კაცი, რომელიც ჰფლობს—ფორსაიტი, და კაცი, რომელიც ცხოვრობს — პენდისი. პენდისები წარმოადგენენ ფორსაიტების სოციალურ შესატყვისს სოფლად, მაგრამ გოლზუორთი ფორსაიტების ისტორიის გადმოცემაში პენდისებზე უფრო შორს წავიდა. გოლზუორთიმ წარმოადგინა მთელი სოციალური კლასი და ამავე დროს მისი აზრით, ინგლისელი ერის ძირითადი შემადგენელი ნაწილი. მოგვცა მისი წარმოშობის ისტორია, მისი ევოლუცია ახლო წარსულში და ამჟამად, მისი ფსიქოლოგია და დამოკიდებულება ქვეყანასთან. „ფორსაიტები ნახევარი ინგლისია და ამასთან, უკეთესი ნახევარი“, — ამბობს გოლზუორთი. გოლზუორთიც, უელსის გამოთქმით, თვითონვე იყო ფორსაიტი და ამასთან საუკეთესო ფორსაიტიც.

ფორსაიტების ქრონიკებში შედის რომანების ორი ტრილოგია; „ფორსაიტ საგა“ და „თანამედროვე კომედია“. მათში შეტანილია ოთხი ინტერლუდია. პირველი ტრილოგია დალაგებულია ასე: „მესაკუთრე“ (1906), — „უკანასკნელი ზაფხული ფორსაიტისა“ (1917), „მარყუჟში“ (1920), „გამოღვიძება“ (1921), „ქირავდება“ (1921), მეორე ტრილოგია: „თეთრი მაიმუნი“ (1924), „მდუმარე ნიშნობა“ (1927), „ვერცხლის კოვზი“ (1926), „გამვლელები“ (1927), „გედის სიმღერა“ (1928); ფორსაიტებსავე მიეძღვნა ნოველების ტომი „ფორსაიტების ბირჟაზე“ (1928), ხოლო გოლზუორთის მესამე და უკანასკნელ ტრილოგიას „თავის დასასრული“ (1932) პირდაპირი კავშირი არა აქვს ფორსაიტების ტრილოგიებთან, თუმცა იგი აგრძელებს ამ უკანასკნელში აღძრული ზოგიერთი საკითხის განხილვას. ასეთივე თანმიმდევრობით უნდა განვიხილოთ ფორსაიტების ქრონიკები, მანამდე კი უნდა შევეხოთ იმ გვარის წინარე ისტორიას, რომელიც ამ ქრონიკებში მოქმედებს.

როგორც ზოლას „რუგონ-მაკარებში“ ან თომას მანის „ბუდენბროკებში“, ფორსაიტების ქრონიკებიც ისწრაფვის მონუმენტურობისაკენ. გოლზუორთიმ ტიპიური გვარი ამოარჩია ვიქტორიანული და შემდეგ ედვარდიანული ინგლისის საზოგადოების დასახატავად. ოჯახი სოციალურ ერთეულად გამოიყვანა გოლზუორთიმ და როგორც „რუგონ-მაკარებმა“ დახატეს მემკვიდრეობის თეორიის მიხედვით მეორე იმპერიის პერიოდის საფრანგეთი, ასევე გოლზუორთიმ იმავე თეორიის თანახმად მე-19 საუკუნის დასასრულიდან 1920-იანი წლების დასასრულამდე მთელი ინგლისური საზოგადოებრივი ცხოვრების სურათი მოგვცა. ის, რაც ემართება ფორსაიტების ოჯახს, მანის „ბუდენბროკების“ ისტორიის მსგავსად, არის ტიპიური პროცესი მთელი ბურჟუაზიული კლასის რღვევისა. ამგვარად, ფორსაიტების გვარის სავსებით კონკრეტული და რეალური ცხოვრება იმავე დროს დამახასიათებელია და განსაკუთრებული მნიშვნელობით სიმბოლურიც კი ინგლისური საზოგადოების ძირითადი ნაწილისათვის. გოლზუორთი თვითონვე ამბობს: „მიუხედავად იმისა, რომ ამ ოჯახის ცალკეულ წევრებს შორის უმრავლეს შემთხვევაში უბრალო სიმპათიაც კი არ არსებობდა, იგი მაინც შეიძლებოდა ჩაგვეთვალა იმ განსაკუთრებული სიმჭიდროვისა და სიმყარის ბრწყინვალე მაგალითად, რომლებიც ოჯახს მძლავრ სოციალურ ერთეულად ხდიან და თითქოს მთელი საზოგადოების სიმბოლოდ აქცევენ“.

ფორსაიტების ქრონიკების მოქმედების დროს უჭირავს პერიოდი 1886 წლიდან 1926 წლამდე. გოლზუორთის ყოველთვის ზუსტად აქვს თავისი თარიღები დადგენილი. მკითხველი არასოდეს ივიწყებს ისტორიულ პერიოდს, რომელშიც მიმდინარეობს მოქმედება. მაგრამ ამ მოქმედების დაწყებამდე ფორსაიტებს ჰქონდათ თავისი ისტორია, თავისი წარსული, რომლის ანარეკლი დასტყობია ფორსაიტების სახეებს, ტრადიციასა და გარემოცვას.

გოლზუორთი ფორსაიტების ტრილოგიებს წინ ურთავს დეტალურად დამუშავებულ საგვარეულო ხეს. ირკვევა, რომ პირველი ფორსაიტი, რომლის არსებობაც ჩვენთვის ცნობილია, იყო „პირველი ჯოლიონი“, დორსეტელი ფერმერი, სამხრეთ-დასავლეთი ინგლისის „ფრიჰოლდერი“, ანუ წვრილი დამოუკიდებელი გლეხი სამრეწველო რევოლუციის წინაპერიოდის ინგლისისა. იგი დაბადებულა 1741 წელს და გარდაცვლილა 1812 წელს. ჯოლიონს 1768 წელს შეურთავს ჯულია ჰეიტერი და შესძენია ოთხი ვაჟი და ერთი ქალი. უფროსი ვაჟი, „მეორე ჯოლიონი“ აგრძელებს ჩვენთვის საინტერესო შთამომავლობას. იგი დაიბადა 1770 წელს და გარდაიცვალა 1850 წელს. როგორც

გადმოცემით ირკვევა, იგი ყოფილა ტანად სრული და ხასიათით მკაცრი, უშენებია სახლები, გაუჩენია ათი შვილი და გადმოსახლებულა ლონდონში. აქ იგი ანტინაპოლეონური ომების პერიოდის ბურჟუაზიული ინგლისის ტიპიური წარმომადგენელი გამხდარა. მისი შთამომავლობა — ექვსი ვაჟი დასახლებულა ლონდონის საუკეთესო რაიონში, ჰაიდ-პარკის გარშემო. მისი შვილები უკვე მონაწილეობენ რომანებში: სამი გაუთხოვარი ქალი — მამიდები ენი, ჯულეი და ჰესტერი—ჟორების ბადის მქსოველნი, გათხოვილი სუზანი, უფროსი ვაჟი ჯოლიონი, ცნობილი როგორც „მოხუცი ჯოლიონი" (დაიბ. 1806, გარდ. 1892 წ.). — ჩაის ვაჭარი და კომპანიის თავმჯდომარე, „ერთი ყველაზე უფრო საქმიან ინგლისელთაგანი როგორიც კი ოდესმე არსებულა"; ჯეიმსი, იურისტი, ფირმის დამფუძნებელი, მამა სოომსისა, რომელიც მთავარი ანტაგონისტია „მესაკუთრეში" დატრიალებული ტრაგედიისა; სუეთინი, (მამულების და მიწის აგენტი); როჯერი (მიწის ნაკვეთთა მფლობელი); ნიკოლასი (მაღაროების, რკინიგზებისა და სახლის საკუთრების საზოგადოებათა საბჭოს წევრი) და ტიმოთი (გამომცემელი). ყველაზე ახლოს ფორსაიტების მრავალრიცხოვანი ტომიდან ჩვენამდე მოდის სოომსი, ჯეიმსის უფროსი ვაჟი, ფორსაიტიზმის განსახიერება, ქრონიკების მთავარი თეზა. იგი გაივლის მთელს ციკლში თავიდან ბოლომდე. ფორსაიტები წარმოადგენენ რანტიეს, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ისევე, როგორც მათი ინგლისი წარმოადგენს სახელმწიფო-რანტიეს. გლეხობიდან ისინი ავიდნენ საშუალო კლასის ზედა ფენის მდგომარეობამდე. მათი წლიური შემოსავალი ათასსა და ხუთმეტი ათას გირვანქა სტერლინგს შორის ტრიალებს. მათი უმთავრესი ინსტინქტია საკუთრების გრძნობა (ამავე დროს მათი საკუთრება თანდათან და განუწყვეტლივ იზრდება). ყველაზე მეტად, უტყუარობისაკენ ისწრაფვიან ისინი — ფულის დაბანდება იქნება ეს, თუ ქორწინება. ყოველთვის ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის ზრუნავენ. მაგრამ თუ ქორწინების საკითხში ზოლა ბურჟუაზიის თვალთმაქცობას და მის გარეგნულ სიწმინდეს, ხოლო ფაქტიურ მრავალცოლიანობასა და მრავალქმარიანობას გვიჩვენებს, გოლზუორთი მთლად ანგრევს ბურჟუაზიული ქორწინების პრინციპებს, იგი ტრაგედიად აქცევს ამ ქორწინებას. ეს ტრაგედია იმავე დროს ფორსაიტიზმის ტრაგედიად იქცევა. თუ მაკარ-რუგონები სოციალურ კიბეზე გაფანტა ზოლამ, გოლზუორთის ფორსაიტები საკუთარ წვენში იხარშებიან. თუ მაკარ-რუგონების მემკვიდრეობითმა პრინციპებმა ზოლას უნებურად სოციალური მნიშვნელობა მიიღო, გოლზუორთის სავსებით აქვს შეგნებული სოციალური მდგომარეობა და ღირებულება ფორსაიტებისა, თუმცა მხედველობიდან არ რჩება მემკვიდრეობითი პრინციპებიც. ფორსაიტებს სძულთ სიკვდილი, რადგან იგი „უკარგავს მათ საკუთრების რეალიზაციის საშუალებას" — მათ არა აქვთ აბსტრაგირების უნარი. მათთვის უცხოა ხელოვნება და ფილოსოფია, ან სიყვარულის გრძნობა, მათი აზროვნების სუბსტანცია არის საკუთრება, განსახიერებული სულიერსა თუ უსულო ნივთებში.

მაგრამ ფორსაიტების ტრადიციული ქვეყანა ირღვევა. დეზინტეგრაციის ძალები უტევენ ფორსაიტიზმის მთელ კომპლექსს შიგნიდან და გარედან. „მოხუცი ჯოლიონის" და განსაკუთრებით მისი შვილის მხატვარი „ჭაბუკი ჯოლიონის", აგრეთვე რამდენიმე სხვა შთამომავლის სახით, ფორსაიტებს უჩნდებათ გადამდგარი წევრების წყება. დამარღვეველი ელემენტები იჭრებიან გარედანაც, სილამაზისა და თავისუფლების კონკრეტიზირებული სახეებით და იწყება ფორსაიტიზმის დეზინტეგრაციის პროცესი. გოლზუორთი სწორედ ამ პროცესს ასახავს, მაგრამ მას, მიუხედავად იმისა, რომ აქვს დროისა და სივრცის მეტად მახვილი გრძნობა, ეს პროცესი რამდენადმე აბსტრაქტულად ესმის. მისი აზრით, ეს არის არა ბურჟუაზიული კლასის რღვევის ნორმალური პროცესი, როგორც ეს სინამდვილეშია, არამედ ახალ ეპოქასთან ტრადიციული ანგლო-საქსური სამყაროს შეხამების პროცესი. გოლზუორთი ახალი დროის ინგლისისათვის საიმედო ელემენტთა სინთეზს ეძებს ფორსაიტების კლასის შიგნით, დეზინტეგრაციამქმნელი გარეშე ძალების გავლენით გარდაქმნილ ფორსაიტთა შორის.

მაქსიმ გორკი წერდა: „სულ უფრო ხშირად ჩნდებიან წიგნები, რომლებიც ასახავენ სახელმწიფოს დასაყრდენის, — ოჯახის რღვევის პროცესს, შეუმუსრავი ფორსაიტების გადაშენებისა და ნგრევის პროცესს, რომელიც ოსტატურად დახატა გოლზუორთიმ თავის „ფორსაიტ საგაში".

რაც არნოლდ ბენეტმა გააკეთა საშუალო კლასის ქვედა ფენისათვის თავის „ძველ ქალთა ზღაპარში", იგივე გააკეთა გოლზუორთიმ ამავე კლასის მაღალი ფენისათვის. ანდრე შევრიიონის გამოთქმით, „ფორსაიტ საგა" შეიძლება კლასიფიცირებული იქნას, როგორც ზოოლოგიური პარკი, რადგან ჩვენს წინაშეა ადამიანის მოდგმის მთელი განშტოება, მისი სპეციფიკური და ინდივიდუალური ნიშნებით წარმოდგენილი. ამ ადამიანთა მთავარი ბიოლოგიური ინსტინქტია საკუთრების გრძნობა. მათთვის ხელოვნება, მაგალითად, ნიშნავს ხელოვნების ნაწარმოებთა ვასასყიდ ღირებულებას.

გოლზუორთი თვითონვე აყენებს საკითხს „ფორსაიტ საგას" სათაურის გამო „საგის" წინასიტყვაობაში. საგა ეწოდება ძველ სკანდინავურ თქმულებებს გმირების საგმირო საქმეთა შესახებ, მაგრამ გმირული ცოტაა „ფორსაიტ

საგაში". ფორსაიტები შორს არიან გმირობისა და თავგანწირვისაგან. როგორც თვითონვე ამბობს გოლზუორთი, ამ სიტყვას იგი ირონიული მნიშვნელობით ხმარობს. მაგრამ ავტორი ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობასაც გვიხსნის: გოლზუორთი არსებითად მცირედ ასხვავებს ფორსაიტების ტომს ძველი საგების ხალხისაგან, რომელიც, ფორსაიტების მსგავსად, შეპყრობილი იყო საკუთრების ინსტინქტით და ასევე მცირედ იყო დაცული მშვენიერებისა და ენების თავდასხმათაგან, როგორც სუეთინ, სოომსი ან თუნდაც „ჭაბუკი ჯოლიონ" ფორსაიტები; და მიუხედავად მთელი სხვაობისა, მათი უპირველესი ძალა, ფორსაიტების მსგავსად, იყო ტომობრივი ინსტინქტი, „ოჯახი", სახლისა და საკუთრების გრძნობა.

როგორც ვხედავთ, სიტყვა „საგა" ალაფიათებს ავტორის ორმაგ დამოკიდებულებას გმირების მიმართ. პირველია ირონიული დამოკიდებულება (როგორც ჩანს, ეს მწერლის ობიექტური რეალისტური მეთოდის შედეგია, რომელიც გარკვეული კრიტიკული განწყობილებიდან გამომდინარეობს), ხოლო მეორეა — პირდაპირი აზრი იმ მსგავსების გამო საგების ძველ ხალხთან, რომლის შთამომავლად გოლზუორთი თვლის ფორსაიტებს, (ამ მსგავსებას იგი სერიოზულად აღიარებს) და გადაჭარბებულად მაღალი შეფასება (მიუხედავად კრიტიკული დამოკიდებულებისა), რომელსაც გოლზუორთი აძლევს ფორსაიტიზმის სულიერ და საზოგადოებრივ ძალას, მათი ბედ-იღბლის მნიშვნელობას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის. ამიტომ არის, რომ ფორსაიტიზმის კომპლექსის მთავარ მატარებელს სოომსს, რომელიც „მესაკუთრეში" შეუბრალებელი ირონიისა და უარყოფითი ხაზების ქსელშია გახვეული, გვიანი გოლზუორთი სიმპათიურ და საბრალო მოხუცად აქცევს და უკანასკნელად თავგანწირვის უნარსაც კი ანიჭებს, რათა ამით შეაძლებინოს იმ მშვენიერების შეცნობა, რისკენაც სოომსი მთელი სიცოცხლე ტრაგიკულად მიისწრაფოდა. ამას აკეთებს გოლზუორთი, რომელსაც არა სწამს წარსულის ნამდვილი სიკვდილი და არა სწამს ადამიანის ფუნდამენტური ევოლუცია, გოლზუორთი, რომელიც აღიარებს ფორსაიტიზმის ელემენტთა პერმანენტულობას ადამიანის ბუნებაში საერთოდ, გოლზუორთი, რომელიც ამბობს: „ადამიანის ბუნებას მისი ცვალებადი პრეტენზიების და სამოსელის ქვეშ აქვს და მარად ექნება ბევრი რამ ფორსაიტისა და, შეიძლება, იგი ბოლოს ბევრად უარესი ცხოველიც აღმოჩნდეს".

ადამიანის ბუნების ფუნდამენტური ევოლუციის უარყოფის მიზეზი უთუოდ ის არის, რომ გოლზუორთი, რომელიც მიმართავს ფორსაიტების ობიექტურ უარყოფით კრიტიკას, სუბიექტურად შორსაა კაპიტალისტური სამყაროს და, მაშასადამე, მისი კლასიკური წარმომადგენლების დაგმობისაგან. სწორედ აქაა გოლზუორთის რეალიზმის გაორებაც და შეზღუდულობაც. გოლზუორთის ისტორიის რეალური ძალები სრულებით არ ესმის. იგი ხანდახან ფორსაიტების გაიდეალებამდეც კი მიდის (როგორც, მაგალითად, მოხუცი ჯოლიონის სახეში, რომელსაც, ორთოდოქსალური ფორსაიტის თვისებებს გარდა, მშვენიერების გრძნობის ელემენტებიც გააჩნია). განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მძლავრად შეირყა კაპიტალისტური სამყაროს საფუძვლები, გოლზუორთიმ ნათლად დაინახა ომის შემდგომი ბურჟუაზიული თაობის ამორალიზმი, და მაშინ კიდევ მეტი დაჟინებით მიმართა „უკვდავ" წარსულს, ფორსაიტების ძირებს, განსახიერებულს ერთ დროს დაუზოგავად მხილებული სოომსის ფიგურაში. ეს ფიგურა,—მონუმენტური გამოხატულება საკუთრების ფსიქოლოგიის სისაძაგლისა, — გოლზუორთიმ დააყენა ჩვენს წინაშე, როგორც აირინისადმი განუყოფელი სიყვარულისათვის წამებული და მიუღწეველი სილამაზის გარდაუვალი გრძნობით დევნილ ადამიანი, ნაზი მამა და ვიქტორიანობის საუკეთესო ტრადიციათა შემომნახველი. გოლზუორთი ადამიანის ძირეულ თვისებებს უცვლელად სტოვებს. მომხრეა მხოლოდ მისი ერთი ნაწილის განვითარებისა, ხოლო მეორე ნაწილის მიმართ ლმობიერ დამოკიდებულებას იჩენს.

გოლზუორთი აღიარებს ადამიანის ბიოლოგიურ ევოლუციას. ამ გზით ღებულობს იგი ინგლისური საზოგადოების უკანასკნელ საიმედო თაობას, „სინთეტურ ინგლისელებს", მისი აზრით, ახალი დროის დასაწყისის აღმნიშვნელებს. მაგრამ გოლზუორთის შემოქმედების ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ იგი სცნობს და დიდ ყურადღებასაც უთმობს სოციალურ ევოლუციასაც: იგი გვიხატავს ფორსაიტების ქრონიკების მთელი მოქმედების პერიოდში მომხდარ ცვლილებებს; საზოგადოებრივი ცხოვრება მისი ძირითადი ფონია და თუმცა გოლზუორთი ფიქრობს, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ საკუთარ გამოგონებათა კონტროლი, მაინც სცნობს, რომ ადამიანებს აქვთ უნარი შეეწყონ ახალ პირობებს, რომელთაც ეს გამოგონებანი ქმნიან, და მაშასადამე, თვითონაც შეიცვალონ.

გოლზუორთი არ ფიქრობს, რომ მისი ქრონიკები წარმოადგენს გარკვეული ისტორიული პერიოდის მეცნიერულ გამოკვლევას. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ასახიერებენ მოუსვენრობას, რომელსაც სილამაზე იწვევს ადამიანის ცხოვრებაში:

„აირინის ფიგურა, რომელიც, როგორც, ალბათ, მკითხველმაც შენიშნა, მარტო სხვა ხასიათების შეგრძნებათა გამჭოლ არის წარმოდგენილი, განსახიერებაა მაშფოთებელი მშვენიერებისა, რომელიც თავს ესხმის მესაკუთრეთა სამყაროს".

ერთი მხრით, „მესაკუთრეთა სამყაროა" ანუ

ფორსაიტები — ძირითადი თეზა გოლზუორთის შემოქმედებისა, — ხოლო მეორე მხრით, — სილამაზე და მისი მხლებელი თავისუფლება,— მისი ძირითადი ანტითეზა. მესაკუთრეთა სამყაროს მიმართ გოლზუორთი იჩენს უარყოფით, ირონიულ დამოკიდებულებას, სილამაზეს კი იგი არასოდეს არ გვიჩვენებს პირდაპირ: აირონის იმპრესიონისტულად მოხაზულ ფიგურას მუდამ სხვა ხასიათთა საშუალებით ვხედავთ. ჩვენ ვხედავთ სილამაზის ანარეკლს, რომელიც ჩრდილივით გადაივლის ადამიანთა სახეებზე და მათ სულებში სამუდამო მოუსვენრობას სთესავს.

ორი რამ უნდა წინასწარ გავითვალისწინოთ: გოლზუორთის ირონია და მწერლის დამოკიდებულება სილამაზისადმი, სილამაზისადმი, რომლის შეგრძნება არასოდეს სტოვებს მას.

„არაფერია ისეთი, რაც იძლევა მეტ გამბედაობას, ვიდრე საგანთა ირონიული ჭვრეტა“, ამბობს გოლზუორთის ერთ-ერთი გმირი.

გოლზუორთის ყოველ ნაწარმოებში დაფარულია ჩუმი ირონია, რომელიც ხან სიმწარესთან არის შერეული, ხან კი ჰუმორთან. პირდაპირი ჰუმორისტული აფორიზმი გოლზუორთის არ ეხერხება, მაგრამ ჰუმორისტული შენიშვნებით გოლზუორთი აგებს მთელ ხასიათს. მისი ჰუმორი იშვიათად აღძრავს ხმამაღალ სიცილს. ურიცხვი ინსტანციების გავლით იგი შინაგან ღიმილს იწვევს ან მხოლოდ ნელ სიცილს. მაგრამ ინციდენტები მის ნაწარმოებებში არასოდეს შემოდიან მხოლოდ ჰუმორის გულისათვის, არამედ ამბის გაგრძელების მიზნით, ან ხასიათის ანდა ურთიერთობის ნათელსაყოფად. მაგალითად, მოგონება, რომელიც მოხუც, განმარტოვებულ სოომსს მოევლინება ერთ ღამეს, როდესაც ის შინისკენ მიემართება, მხიარულების მომგვრელია, მაგრამ იმავე დროს შუქს ჰფენს მის წარსულსა და აწმყოს. იგი გვიხსნის მის მარცხს და ამავე დროს მკითხველში იწვევს სიმპათიას იმის გამოც კი, რომ სოომსი უძლური აღმოჩნდა სიყვარულის საქმეში: სოომსი იგონებს თავის პირველ დღეს სკოლაში, როდესაც ბიჭებმა შეუჭამეს მთელი საჭმელი. სოომსის პოპულარობა ოცდაორ წუთს გაგრძელდა და, რამდენადაც აგონდება, აღარასოდეს განმეორებულა. მას შემდეგ იგი ყოველთვის კომუნიზმის წინააღმდეგი იყო... (რომანი „ვერცხლის კოვზი“).

განსაკუთრებით მძლავრია გოლზუორთის ირონია, როდესაც იგი ფორსაიტების ზოოლოგიურ პარკს ხატავს. „მესაკუთრის“ შესავალი დათმობილი აქვს ფორსაიტების დარბაზობის აღწერას. ხუროთმოძღვარ ბოსინის ნაცრისფერი ქუდი (ამ დარბაზობის წესისათვის მიუღებელი) საოცარ საერთო აღელვებას იწვევს. გოლზუორთის ირონია აქ ფორსაიტების ტრადიციონალიზმის პედანტური შესრულების წინააღმდეგ მიიმართება. როდესაც ფორსაიტი თვითონ ნახულობს ნამდვილ ზოოპარკს, გოლზუორთი ასე გადმოგვცემს ტყვე ცხოველთა მდგომარეობასთან ფორსაიტისეული ფსიქოლოგიის დამოკიდებულებას: „მის თვალში, ისევე, როგორც ყველა ფორსაიტის თვალში, ამ მშვენიერ ცხოველთა ნახვა ტყვეობაში გაცილებით უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე ფიქრი ტყვეობის უსიამოვნებაზე: ეს ცხოველები ღმერთმა ასე წინდაუხედავად მოათავსა თავისუფალ მდგომარეობაში! თვით ცხოველებისთვისვეა კარგი, რომ ისინი ღია ჰაერსა და უთვალავ განსაცდელს მოშორებულნი იყვნენ და შეეძლოთ თავისი ფუნქციების შესრულება გარანტირებულ, განცალკევებულ კერძო ბინაში. მართლაც, საეჭვოა, რისთვის არიან შექმნილი გარეული მხეცები, თუ არა გალიებში ჩასასმელად!“

ირონია, რომლის დიდი თუ მცირე მაგალითი გოლზუორთის ნაწარმოებთა თითქმის ყოველ გვერდზე მოიპოვება და იგი ყველგან, თვით პოეტურ ადგილებშიც კია ნაგულისხმები, ხშირად იწვევს სიყვარულს ადამიანის მიმართ, განსაკუთრებით გოლზუორთის ყურადღების გამო საზოგადოების მიმართ. გოლზუორთი თვითონვე ამბობს: „ხატვას შეუძლია ორგვარი ფორმა მიიღოს: ან უარყოფითი, რეალისტური და კვაზისატირული, რომელიც ხასიათს პირდაპირ სახეში უყურებს, ან ოდნავ მის ქვემოთ იმზირება და გვაჩვენებს, რა შეიძლება გახდნენ ადამიანები, ნაკლოვანებათა გამომჟღავნების შედეგად, ან რომანტიკული, რომელიც ხასიათის ზემოთ იყურება... პირველი მეთოდი უფრო ბუნებრივი და ეფექტური მოსჩანს. რომანისტი, თუ იგი ეხება საზოგადოებას და კრიტიკოსის რაიმე ელემენტი გააჩნია, თავის უნებურად გახდება რაღაც სატირიკოსის მსგავსი რამ“.

„ფრანგულ სიცილს აქვს რაღაც ცივი, სასტიკი, ხანდახან მრისხანე და მტრული იერი, მას არ მოეპოვება გერმანული ან ინგლისური ჰუმორის გულითადი და სასიამოვნო სანდომიანობის არავითარი ნიშანწყალი. ჰუმორი წინასწარ გულისხმობს მუდმივ სიმშვიდეს, პიროვნების სიმტკიცეს, უპირატესობის გრძნობას საკუთარი სისუსტის მიმართ“. ამგვარად განსაზღვრავს გოლზუორთის ჰუმორს ერთი გერმანელი ფსიქოეთნიური დისერტაცია.

მაგრამ, რა თქმა უნდა, გოლზუორთის ირონიული მუზის ნელი ნათება ყველაზე უკეთ უშუალოდ იმ ნაწარმოებებში მოსჩანს, სადაც გოლზუორთი, მართლაც, ნამდვილი რეალისტია და ნახევრად სატირიკოსი-უარმყოფელი.

„ქვეყნის მშვენება არის რომანისტის ნამდვილი სასოწარკვეთილება, გულის ტკივილი, რომელსაც იგი გრძნობს აყვავებული ბუნების წინაშე“, ამბობს გოლზუორთი მისი უმწვავესი საკითხის — სილამაზის საკითხის გამო. მაგრამ მას შესაძლებლად მიაჩნია, რომ ეს ტკივილი იყოს სექსუალური ინსტინქტის ელემენტი—

წყურვილი შეერთებისა სილამაზესთან, რომელსაც ხედავ; ან, შესაძლებელია, უფრო უხეშად, დაერქვას მას სიხარბე—სურვილი მშვენიერების მუდმივი და ინტიმური ფლობისა. „ამ მშვენიერების დახატვის ან მისთვის ხარკის გადახდის ცდა სიტყვებით არის, მაშასადამე, ბუნებრივი საშუალების გამოყენება, წყურვილის დაკმაყოფილება, რომლის შესრულება, სამწუხაროდ, მხოლოდ უბრალო აჩრდილს თუ აღწევს... ჭეშმარიტება და სილამაზე ძნელი საძიებელია, მაგრამ განა სხვა რა არის ძიების ღირსი?“ ამბობს იგი.

მართლაც, შეიძლება ბევრი არ სცემდეს თაყვანს სილამაზეს ისე ვნებიანად, როგორც გოლზუორთი, რა სახითაც უნდა იყოს გამოხატული იგი—ქალის, ხელოვნების, ბუნების, სიცოცხლის, თუ თუნდაც სიკვდილის სახითაც კი. ფიზიკური ქვეყანა, რომელსაც იგი ყველაზე უკეთ იცნობდა, ჭეშმარიტი სილამაზის ქვეყანა იყო მისთვის. „გოლზუორთის სწყუროდა სილამაზე, როგორც წმიდანს სიმართლე. მას არ გააჩნდა სიმპათია პლასტიკურ და გრაფიკულ ხელოვნებაში სიმახინჯის თანამედროვე კულტის მიმართ, არც კაკოფონიის მიმართ თანამედროვე მუსიკაში; არც თანამედროვე მანერების სიმკვეთრისა და სიტლანქის მიმართ“. (ჰერმანოულდი). მისი ლექსების კრებულის უკანასკნელი ლექსი ლოცვაა სილამაზისადმი:

„გამაგებინე:
„ვით არიან შექმნილი იასამფერანი და
გუგულის სიმღერა!
„პატარა ოხი ბუები, საღამოთი სამნი რომ
სხედან ჭიშკარზე;
„ბაია მინდვრად, მერცხლის ნავარდი;
„ხბომოგებული ძროხის თვალები.
„ქარი მიმავალი იფნიდან იფნისკენ.
„ნუთუ არასდროს შემიწყდება ეს ტკივილი?
„განა კოლობუზები მზვარეში რომ ცეკვავენ,
ტკივილსა გრძნობენ?
„განა ყვავილებს სტკივათ, ან ფუტკრებს,
მათი ოქროს მძარცველებს?
„განა მხოლოდ მე ვარ ის, ვისაც სტკივა?
„სილამაზევ, აღმასრულე მე! გაანელე ჩემი
სურვილი!..“

მაგრამ გოლზუორთის სწამდა რელატიობა სილამაზისა, ისევე, როგორც ყველა საგნის რელატიობა (მიუწვდომელი აბსოლუტის გამოკლებით, რომელიც არ შეიძლება შეცნობილ იქნას). მას შეგნებული ჰქონდა სილამაზით გამოწვეული ექსტაზის დროებითი ხასიათი. ადრიანის წერილი, რომლითაც მთავრდება გოლზუორთის უკანასკნელი რომანი „მდინარის იქით“, ამეღავნებს სილამაზის წარმავლობის შეგნებას, მოკვდავობის ფარულ შეგნებას, იმის ცოდნას, რომ ყოველი საგანი უნდა გაჰქრეს ბოლოს და, რაც უფრო მეტია მისი გაქრობის შესაძლებლობა მით უფრო მეტია მისი სილამაზე! შესაძლოა ის ტკივილი, რომელსაც გოლზუორთი განიცდის ბუნებისა და სილამაზის წინაშე, მხოლოდ სიკვდილის სიახლოვის გრძნობა იყოს! ამიტომ გოლზუორთის სიკვდილი, რომელიც მას ერთადერთ გარკვეულობად მიაჩნია, სილამაზის სიმაღლემდე აჰყავს. ხელოვნება და სიცოცხლის სილამაზე, ღმერთი და ჭეშმარიტება, სიყვარული და სიკეთის ბუნება—ეს სუბიექტური ფენომენებია, რომელთა მიმართ შეიძლება ადამიანებმა იქონიონ სხვადასხვა აზრი და იდავონ დაუსრულებლად. მაგრამ სიკვდილის გამო დავა არ შეიძლება. ეს ერთადერთი გარკვეულობაა:

„სიცოცხლის ულამაზეს ნიღაბთა უკან
მარად სახლობს ეს ვაფითრებული, უცვლელი
სიკვდილი“

გოლზუორთი მუდამ ხაზს უსვამს სიკვდილის გამალამაზებელ ეფექტს. შედარებით იშვიათია მის შემოქმედებაში უიცარი და მკაცრი სიკვდილი (ასეთი, ვგონებ, მხოლოდ ბოსინის სადავო ხასიათის მქონე სიკვდილია „მესაკუთრეში“). პირველი მნიშვნელოვანი სიკვდილი გოლზუორთის კოსმოგონიაში მამიდა ენის სიკვდილია, რომელიც არყევს ორთოდოქსალური ფორსაიტების რწმენას ფორსაიტის უკვდავების მიმართ, რაც საკუთრების სტაბილობის საფუძველს წარმოადგენდა. მოხუცი ჯოლიონის სიკვდილი ზაფხულის შუადღეს („ფორსაიტის უკანასკნელი ზაფხული“) გოლზუორთისათვის ჩვეული, იდუმალი სილამაზის ქსოვილშია გახვეული, და შეიძლება ითქვას, ყველაზე ლამაზი და მხატვრულად სრულყოფილი მომენტია გოლზუორთის მთელს შემოქმედებაში. შესანიშნავია ძაღლის—ბალთაზარის სიკვდილი, რომელსაც ცხოველთა ფსიქოლოგიის დიდი მხატვარი გოლზუორთი აგვიწერს: ძაღლი მოკვდა გადაჭარბებული სიხარულის მომენტში მისი პატრონის, ჭაბუკი ჯოლიონის დაბრუნების გამო. „სოომსის სიკვდილში შეკრულია ყველა მოშვებული ძაფი მისი სიცოცხლისა. გოლზუორთი აქ თითქოს ითავისუფლებს თავს საკუთარი რეალიზმისაგან, რასაც მეტად იშვიათად, მაგრამ ადრეეც აკეთებდა ხოლმე. მესაკუთრემ, რომელსაც უფრო ადრეულ ასაკში იმედი ჰქონდა სილამაზე ძალით დაეპყრო და სიყვარული ეყიდა, ბოლოს სიცოცხლე გასწირა ბრძოლაში ცეცხლისგან სილამაზის დასახსნელად და დაიღუპა იმ ქმნილების დაცვის დროს, რომელიც მას უმწიკვლოდ უყვარდა“ (ოულდი).

მაგრამ სიკვდილზე უფრო გოლზუორთის სიცოცხლის სილამაზე უყვარს. ფიზიკური ქვეყნის შიშველი სილამაზე. „შეიძლება სიკვდილი კარგია, მაგრამ სიცოცხლე უკეთესია. მკვდარი

ფორმა, როდესაც იგი ჯერ კიდევ ფორმაა, საშინლად გაღელვებს. ფორმა არის სიცოცხლე: და თუ სიცოცხლე გაჰქრა, ვერ გაიგებ, როგორ შეიძლება ფორმამ გასძლოს სულ მცირე ხანს მაინც", ამბობს გოლზუორთი რომანში „მდინარის იქით".

გოლზუორთის უყვარს ბუნება, მისი დიდი მხატვარია და დიდ ადგილსაც უთმობს მას. მაგრამ იგი არასოდეს აგვიწერს ბუნების უადგილო და შეუსაბამო ფაქტებს და არც გადაჭარბებულადაა გატაცებული ბუნების ხატვით. ბუნება თითქოს პანთეისტურად ესმის გოლზუორთის. მისი ბუნება გაცოცხლებულია და ლირიკულად შეთანხმებული ადამიანის განწყობილებასთან. ამგვარი ბუნება ძალიან ხშირად იღებს მონაწილეობას გოლზუორთის რომანში. ხეები, მაგალითად, თითქმის ადამიანებივით დასახლებული არიან გოლზუორთის ქვეყანაში და დამოუკიდებლად ცხოვრობენ. ადამიანური ემოციების მქონე ბუნებას გოლზუორთი ხატავს, როგორც ოსტატურად ნაკეთებ საგანს. ყველაზე უფრო კი მას ფერმკრთალი მზის შუქი უყვარს. მკრთალი გარიჟრაჟი, მდუმარე ბინდი, მწუხარე სურვილებით სავსე. იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ბუნებას როგორც ძალას. იგი ერიდება ავდრის ხატვას.

მაგრამ როგორც გოლზუორთის სჩვევია, ბუნებაც, ჩვეულებრივ, გმირების თვალით არის დანახული. ამიტომაც ბუნების ისეთი სურათია შერჩეული თხრობის დროს, რომელიც გმირის განწყობილებას ეთანხმება. მაგრამ საკმაოდ ხშირად ბუნების ჩრდილი და სინათლე მოქმედების სცენაზე თავისთავად ეცემა და ბუნება მაშინაც გმირთან ან ავტორთან შეთანხმებულია, ცოცხალი და მოქმედი.

საერთოდ, ბუნება და ბუნების სიყვარული ისეთ დიდ როლს თამაშობს განსაკუთრებით გოლზუორთის მეამბოხე და დადებითი პერსონაჟების ცხოვრებაში, რომ ზოგიერთს ისიც კი ჰგონია, თითქოს გოლზუორთი ადამიანის გაველურებას ქადაგებდეს, ან მაწყნწალად ქცევას, ან მისი ლუი ფერანი უთუოდ რუსოსა და სტერნის გავლენით იყოს შექმნილი.

გოლზუორთი თავისი ბუნებითაც ქალაქგარეთელია და დიკენსთან ან თეკერეისთან შედარებით მისი გმირების ყოფნა ლონდონში ფრიად შეზღუდულია. მათი რადიუსი არ შორდება ჰაიდ პარკსა და კენსინგტონ გარდენს. გოლზუორთი მიიჩქარის ქალაქგარეთ რობინ ჰილისა და მეპლდერჰემისაკენ. მისი სტილის სილამაზე მატულობს, როდესაც იგი ფიზიკური ბუნების ელემენტებს ეხება: ტყეს, მინდორს თუ მდინარეს, გაზაფხულის ექსტაზს თუ შემოდგომის სევდას, შეღამებას თუ მთვარის შუქს, რომელშიც დადიან მისი მიჯნურები ისე, როგორც ქვეყნის დასაბამიდან დადიოდნენ, მაგრამ ეს რომ ყველაფერი იყოს, მაშინ გოლზუორთი მხოლოდ ლირიკოსი პოეტი იქნებოდა. გოლზუორთის არანაკლებ უყვარს ადამიანის ბუნება და მისი ხატვის კიდევ უფრო დიდი ოსტატია.

უმთავრესი გოლზუორთის სილამაზის კონცეფციაში სილამაზის მოქმედი ინკარნაციაა, რომელიც გოლზუორთის ძირითად სიტუაციებში იწვევს კონფლიქტებს და სტაბილური ფსიქოლოგიის ადამიანთა მთელი ჯგუფის უმაღლეს დეზინტეგრაციამქმნელ ძალას წარმოადგენს. ეს ძალა გოლზუორთის რეალისტურ სამყაროში იმპრესიონისტული ხაზებითაა შეყვანილი. იგი იმავე დროს სილამაზისა და თავისუფლების სიმბოლური ნიშანია და „საგაში" აირინის სახითაა წარმოდგენილი. ფორსაიტიზმის რღვევა შიგნიდან იწყება. მოხუცი ჯოლიონი თავისი ესთეტიკური მიდრეკილებებით უკვე აღარ არის ორთოდოქსალური ფორსაიტი. მისი შვილი მხატვარი „ჭაბუკი ჯოლიონი", რომელიც გაეყარა პირველ ცოლს და სიყვარულით შეირთო უბრალო აღმზრდელი ქალი, სანახევროდაა ფორსაიტი. მაგრამ საბოლოო ბზარს ფორსაიტების რკინის რეზერვებსა და მათ მორალს გარეშე ძალები უქმნიან. ესენია ხუროთმოძღვარი ბოსინი და აირინი, რომელიც მთელს „საგაში" გაივლის, როგორც სილამაზის სიმბოლო და დეზინტეგრაციის პროცესის გამომწვევი ფაქტორი. მესაკუთრე და მატერიალისტი სოომსი, ფორსაიტიზმის ინკარნაცია, იქამდე ისრისება აირინის ფიგურის გამანადგურებელი გავლენით, რომ, მიუხედავად თავისი არამიმზიდველი ხასიათისა, ბოლოს და ბოლოს ტრაგიკული ხდება. აირინი, როგორც სულ სხვა მსოფლშეგრძნება, დაპირისპირებულია არა მარტო ამ თანამედროვე ბერძნული ტრაგედიის მთავარ ანტაგონისტთან, არამედ ფორსაიტების მთელ ქოროსთან. მაგრამ მაინც ამ დაპირისპირებულ კონცეფციათა ფსიქოლოგიური კონკრეტიზაცია აირინისა და სოომსის კონფლიქტშია. გოლზუორთი გრძნობს, რომ სოომსი მკითხველში გამოიწვევს სიბრალულს და კითხვას: ნუ თუ მხოლოდ იმისათვის ისჯება იგი, რომ მარად დაეძებს სიყვარულს და ვერ პოულობს? გოლზუორთის თქმით, სოომსის ტრაგედია არის ის, რომ ის არ არის სიყვარულისთვის შექმნილი. მიუხედავად ტრაგიკული მისწრაფებისა, იგი ვერ აღწევს მის წინაშე მიმქროლავი სილამაზის პერცეფციას, ვერც მის თანაგრძნობას. სოომსის ასეთ ყოფას შეუძლია ააჯანყოს მკითხველი აირინის წინააღმდეგაც კი და დააეჭვოს კიდეც მის მხატვრულ სიმართლეში. მაგრამ ფსიქოლოგი გოლზუორთი ამ მომენტს სექსუალური ანტაგონიზმითაც გვიხსნის და ამით კიდევ მეტად ადასტურებს თავისი გმირის მხატვრულ სიმართლეს. მისი აზრით, როდესაც სექსუალურ ატრაქციას აკლია ერთი მონაწილე, არავითარ სიბრალულს, მიზეზს, მოვალეობას, ან სხვა რაიმეს არ შეუძლია ბუნებრივი ზიზღის გადალახვა და სადაც კი აირინი შეიძლება სასტიკი და

დაუზოგავი გვეჩვენოს, იქ იგი მხოლოდ ბრძნულად რეალისტურია: მან იცის, რა მოჰყვება მცირეოდენ დათმობასაც კი.

ასეთი ფსიქოლოგიური ახსნა სილამაზის ინკარნაციის ფესვებისა გოლზუორთის შემოქმედებაში არ არის შორს ობიექტური ჭეშმარიტებისაგან, როგორც კონკრეტული მასალა გვიჩვენებს. ადამიანში სილამაზის გრძნობის პირველ გამოღვიძებასაც კი გოლზუორთი სექსუალურ საწყისს უკავშირებს და, როგორც ვნახავთ, იგი გარკვეულად ფროიდისტულადაც კია ახსნილი (ინტერლუდია „გამოღვიძება"). სოციალურ კონფლიქტამდე ასული ანტაგონიზმის ფესვები მხატვრულად კონკრეტიზირებულია ფსიქოლოგიაში და მისი სიმბოლურად ამსახველი იმპრესიონისტული ფიგურა დამაჯერებელი ხდება. სილამაზე, რომელიც ასეთ შემმუსრავ შთაბეჭდილებას ახდენს ფორსაიტიზმზე, სიყვარულშია, ხოლო სიყვარული და, მაშასადამე, სილამაზეც, მიუწვდომელი რჩება ფორსაიტული ნატურისათვის. როგორც ჩანს, აქ არის ფორსაიტიზმის რღვევის ფსიქოლოგიური საწყისი. გოლზუორთი უდიდეს ყურადღებას უთმობს სიყვარულის გრძნობას, საერთოდ, და მის გარშემო წამოჭრილ პრობლემებს, კერძოდ. მისი აზრით, „სიყვარული ველური მცენარეა, ველური თესლიდან აღმოცენებული. გზის პირად ველური ქარისაგან ნარხევი... სადაც კი ეს ველური მცენარე ამოვა, კაცები და ქალები, პეპლებსღა ემგვანებიან, გაფითრებული, ცეცხლის მსგავსი ყვავილის გარშემო მოფარფატეებს". გამოურკვეველი დაუკმაყოფილებლობის ხმა ისმის სიყვარულის ასეთ ახსნაში. „აკრძალული ვნების ბნელი ყვავილი უხვად ყვავის გოლზუორთის ქვეყანაში". (ოულდი): და ის მუდამ მიუწვდომელია, მისწრაფება მისით დაკმაყოფილებისაკენ—ყოველთვის დამარცხებული. ასე ამარცხებს სიყვარულს „მესაკუთრეში" (ყველაზე უფრო მკვეთრად და ამავე დროს სიმბოლურად ხორცასხმული სიყვარულს) ბედისწერა, ასე ამარცხებს მას მონანიება „ბნელ ყვავილში", ტრადიცია—„პატრიციუსში", ზნეობრივი მარცხი—„მამულში", ზეციერილიზაცია — „ძმობაში", წარსული — „ქირავდება"-ში. ეს მუდმივი დაუკმაყოფილებლობა და ტკივილის გრძნობა თანსდევს გოლზუორთის სიყვარულის გაგებას, ისევე როგორც საერთოდ მთელი „ქვეყნის სილამაზის" შემეცნებას გოლზუორთის მიერ.

სიყვარული სილამაზედაა წოდებული „ფორსაიტ საგაში". აირინი არის მისი განსახიერება. სიცოცხლის მთელი სილამაზე მისი ფიგურის ფოკუსშია თავმოყრილი. რადგან, გოლზუორთის გაგებით, სილამაზის პერცეფცია არ არის ფიზიკური პროცესი, ამიტომაც არ არის დახატული პოზიტიური მანერით და მატერიალური ხაკვთებით ეს ფიგურა. იგი დანიშნულია სილამაზის მიმჭროლავი ხასიათის გადმოსაცემად. ასევე ირაციონალური (ფორსაიტული გაგებით) და იმპრესიონისტული ხერხებითაა გადმოცემული მისი კანონზომიერება, შეცნობილი ფორსაიტის ლოგიკით. გოლზუორთი აირინს ხან ფორსაიტის თვალებით დანახულს გვიჩვენებს, ხანაც იმ სილამაზის უეცარი შთაბეჭდილების მსგავსად, რომელსაც იგი ახდენს ყველა ადამიანზე საერთოდ. ამიტომ აირინი სურნელოვანია, მიმზიდველი, იდუმალი, იდეალური და შორეული, მაგრამ მაინც თბილი და მსუნთქავი, თუმცა ვერასოდეს ვერ ვხედავთ მას თავისთავად, თუ არა სხვა პერსონაჟთა ხედვის გამჭოლ, შესაძლოა ამ სიმბოლური ფიგურის ხორცეულ არსებად ქცევისათვის გამოუნახა გოლზუორთიმ კონფლიქტს „მესაკუთრეთა ქვეყანასთან" ბიოლოგიური ფესვები! მაგრამ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მესაკუთრე ქვეყნის ძირშივე შესაძლებელი კონფლიქტი გოლზუორთიმ ადამიანის უმაღლეს გრძნობათა სფეროში აიყვანა. გოლზუორთიმ ადამიანის ორ დაპირისპირებულ ტიპს მოუნახა ყველა ანტიპოდური წერტილი — ბიოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური, და სიმძიმის ცენტრი ფსიქოლოგიის სფეროში გადაიტანა მას შემდეგ, რაც ეს ფსიქოლოგია ბიოლოგიური და სოციალური საწყისებიდან გამოიყვანა. მართალია გოლზუორთი აირინის (უმაღლესი ინტელექტუალური ცნების — სილამაზის) და სოომსის (ფორსაიტიზმის) ანტაგონიზმს, უპირველეს ყოვლისა, ბიოლოგიური ფაქტორით ხსნის, მაგრამ არ ავიწყდება ამ ანტიპოდთა (განსაკუთრებით უკანასკნელის) სოციალური არსი. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ეს გოლზუორთისეული ახსნა ამ კონფლიქტისა და ამავე დროს კუთვნილი უნდა მივუზღათ გოლზუორთის სოციალურ კრიტიციზმს.

მართლაც, „სიყვარული და სილამაზე და სქესი, როგორც თემა და კონტრთემა, დაკავშირებული და გაიგივებული ერთმანეთთან, ეღენთავს გოლზუორთის შემოქმედებას" (ოულდი). მაგრამ თუ მთელ რიგ რომანებში და დრამებში გოლზუორთის ბევრი გმირი მხოლოდ სექსუალური ატრაქციის განსახიერებას წარმოადგენს, აირინის სახის მნიშვნელობა ამ მხრივ მხოლოდ მეორადია. წინ წამოწეულია მისი ესთეტიკური არსი და მისი შემაშფოთებელი გავლენა ფორსაიტებზე, ხოლო მისი კონფლიქტის ფიზიკურ მიზეზად ფსიქოლოგიური ფაქტორია დასახელებული. ასეთ შეფარდებაშია გოლზუორთის სილამაზის პრობლემა ფსიქოლოგიურ საწყისთან. აირინის ტრაგედიის უნებლიე ემანაცია იწყება იმით, რომ იგი აშფოთებს ადამიანთა გრძნობებს, იწვევს სურვილს და საკუთრების გრძნობით შეპყრობილებს ახმარებინებს ძალას. მაგრამ გოლზუორთი არასოდეს მიდის თანამედროვე დასავლეთში მიღებულ პორნოგრაფიამდე და ფიზიკური დეტალების აღწერამდე, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი მას

თითქმის ყოველი კუთხიდან აქვს განშვრეტილი. ტრაგიკული სიტუაცია, ასეთი სიხშირით მოცემული მის შემოქმედებაში სექსუალურ საკითხთან დაკავშირებით, ამტკიცებს იმ მნიშვნელობას, რომელსაც გოლზუორთი აძლევდა ამ პრობლემას. მაგრამ გოლზუორთი მას ნორმალურ მდგომარეობაში იკვლევს. ავადმყოფური სექსუალური ფსიქოლოგია თითქმის არ აინტერესებს. გოლზუორთის ხშირად უთქვამს, რომ თუმცა იგი იცნობს დიდი სკანდინაველი დრამატურგების მნიშვნელობას და ძალას, მაგრამ ისინი მას ძალიან არ იტაცებენ მათი ავადმყოფურობის გამო სექსუალურ საკითხში. მიუხედავად ამისა, ინსტინქტურად, თუ თავისი დიდი ცოდნისა და ნაკითხობის გამო, გოლზუორთი მაინც ეხება ამ საკითხის მრავალ ისეთ ინსტანციას, რომელიც ადამიანის ფსიქოლოგიის ფარული კუთხეებიდან მომდინარეობს და რომლის წარმოშობა პროფესიონალ ფსიქოლოგებისათვისაც კი არ არის მთლად ნათელი. ასე მაგალითად, ფსიქოანალიზისტების მიერ ოიდიპოსის ცნობილი კომპლექსის აღმოჩენამდე, გოლზუორთის „მამულში" გვხვდება ინსტინქტური ფროიდიზმის მომენტი: მარჯორი პენდისმა, რომელსაც ქმრის მიმართ ნამდვილი სიყვარული არასოდეს ჰქონია, მთელი თავისი სიყვარული გადაიტანა თავის ერთადერთ შვილზე, ჯორჯზე. ინტერლუდიაში „გამოღვიძება", რომელიც უკვე ფროიდის გამოსვლის შემდეგაა დაწერილი, პატარა ჯონის სიყვარული დედის მიმართ აყვანილია სილამაზის ინსტინქტის გამოღვიძების დონემდე და მისი ანალიზი აშკარად დიდ ფროიდისტულ მასალას იძლევა. ჯუნის გრძნობა „კოპლი იხვების" მიმართ, რაც იწვევს მთელი მისი ემოციური ძალის კონცენტრაციას იხვებსა და მათ მოთხოვნილებებზე, ამაღლებული გამოხატულებაა სექსუალური ენერგიისა, რომელიც შეაგუბა და კალაპოტს ააცდინა საყვარელი ბოსინის დაკარგვამ (ოულდი).

საყურადღებოა გოლზუორთის წერილი (1913 წლის 10 ოქტომბრით დათარიღებული):

„ძვირფასო სერ, მე არასოდეს შემისწავლია ფსიქოანალიზი. მე ვიცი, რა თქმა უნდა, უხეშად, რასაც შეეხება იგი. ვაღიარებ, რომ იმ მცირე მასალიდან, რაც მე წამიკითხავს ფროიდის შესახებ, ვფიქრობ, ყველაფერი ძლიერ ჩვეულებრივი გამოვლენაა სანახევრო ჭეშმარიტებისა, რომელიც გადიდებულია მთელამდე, განსაკუთრებით კომპლექსების საკითხში, სადაც, მე ვფიქრობ, ნავარაუდევი თავდაპირველი შემთხვევითი მიზეზი ნამდვილად მხოლოდ სიმპტომია განწყობილების საერთო მიმართულებისა... გარდა იმისა, რომ ამ პროცესის მიმართ ეჭვი აღმიძრავს, ვფიქრობ, არასოდეს გამომიყენებია ის მცირეოდენი ცოდნა, რაც ფსიქოანალიზის შესახებ გამაჩნია".

როგორც ჩანს, მხატვარი გოლზუორთი არასოდეს ყოფილა პროფესიონალი ფსიქოლოგი და მისი მისვლა ფსიქოლოგიის ისეთ რთულ სახემდე, როგორც ფსიქოანალიზია, აიხსნება მხოლოდ მისი საოცარი მისწრაფებით ჭეშმარიტების აღმოჩენისადმი. იგი ასახავს ისეთ რთულ, მაგრამ რეალურ ფსიქოლოგიურ სიტუაციებსაც, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ფსიქოანალიზმა მიაქცია.

თავის უკანასკნელ რომანში „მდინარის იქით" მწერალი არ მალავს, რომ იცნობს უკანასკნელი თაობის სექსუალურ კონცეფციას, ამ თაობის მეტ თავისუფლებას ამ საკითხის გარშემო არსებულ სიტყვასა და საქმეში. გოლზუორთი ამ რომანში ამ მიმართულებითაც ღალატობს „ფორსაიტ საგას" უმთავრეს ნოტას. აქ მისი ფსიქოლოგიური დაკვირვების ობიექტი არის უკვე „ნაზი სხვაობა, შეპარული იმ ქალის მიმზიდველობაში, რომელმაც ფიზიკური სიყვარული გამოსცადა და სიმწვავე, რომელსაც ამის ცოდნა ნერგავს ადამიანის გრძნობებში". მაგრამ მიუხედავად ამ სიახლისა, გოლზუორთი, რომელიც ამ რომანში გვიხატავს ახალი დროის ინგლისელის იდეალურ განსახიერებას (დინ ჩერელი) და ინგლისელის ხასიათის კონსერვატულ საწყისებში ეძებს ხსნას, სიყვარულისა და სილამაზის საკითხს ისევ ძველებურად განმარტავს. სიყვარულის მიერ იყო მოვლენილი ადამიანი ქვეყნად, სიყვარული თავისებური პირველმიზეზია სამყაროსი და მწერალი ისევე განიცდის გულის ტკივილის მწვავე გრძნობას ფიზიკური ბუნებისა და მისი სილამაზის წინაშე.

ასეთია გოლზუორთის სილამაზის კონცეფცია, რომელსაც იგი ბოლომდე არ ღალატობს. მაგრამ როგორიც უნდა იყოს იგი ან მისი მნიშვნელობა, ერთი რამ უდავოდ გააკეთა გოლზუორთიმ. ამის შესახებ იგი თვითონვე ლაპარაკობს „საგის" წინასიტყვაობის ბოლოში:

„თუმცა სილამაზის თავდასხმა და თავისუფლების უფლებები მესაკუთრული ქვეყნის მიმართ უმთავრესი წინაპირობებია „ფორსაიტ საგისა", იგი არ შეიძლება გათავისუფლდეს საშუალო კლასის დაცვის ტვირთისაგან...

უკეთუ საშუალო კლასს, სხვა კლასებთან ერთად, უწერია არყოფნაში გადასვლა, აქ, ამ ფურცლებზე აღბეჭდილი განისვენებს იგი მაყურებლის წინაშე შუშის ქვეშ, ფართო და ცუდად განლაგებულ ლიტერატურულ მუზეუმში. აქ წევს იგი შენახული საკუთარ წვენში. ეს წვენია საკუთრების გრძნობა".

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საგედისწერო მოსახვევი“

მიხეილ მრევლიშვილის პირველი მოთხრობები ამ ორმოციოდე წლის წინ გამოქვეყნდა. ორმოცი წელია მწერალი სიყვარულით ემსახურება მშობლიურ ლიტერატურას. მ. მრევლიშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის საწყისები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პირველი წლებით თარიღდება, ე. ი. მწერალი სამოღვაწეო ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როდესაც, ის-ის იყო, ფეხს იდგამდა სოციალისტური კულტურა, ქართული საბჭოთა ლიტერატურა, რომელმაც, როგორც ვიცით, შემდეგში ასე დიდი აღიარება და წარმატება მოიპოვა.

თუ თვალს გადავავლებთ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ამ პერიოდს, ადვილი წარმოსადგენია ის რთული, უაღრესად დაძაბული და ძიებებით აღსავსე გზა, რომელიც გაიარა მწერალმა. რა თქმა უნდა, ეს ძიებების გზა მარტო ახალი სამყაროს და ადამიანის აღმოჩენით ვერ შემოიფარგლებოდა, ახალი თემები და განწყობილებები სიახლეს მოითხოვდნენ ფორმის მხრივაც.

სწორედ მწერლის ამ ორმოცი წლის ლიტერატურული მოღვაწეობის ხასიათსა და ბუნებაზე გვაძლევს წარმოდგენას მიხეილ მრევლიშვილის მოთხრობების კრებული — „საბედისწერო მოსახვევი“. მკითხველისათვის ეს კრებული მით უფრო საინტერესოა, რომ ასე თავმოყრით, ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, პირველად გამოდის „ორმოცი წლის ლიტერატურული შრომის შედეგი“.

კრებულში, რომელიც უკანასკნელ წლებში დაწერილი მოთხრობებით იხსნება, ჩვიდმეტი მოთხრობა და ხოველაა.

ჩვენ პირველ რიგში ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მ. მრევლიშვილის ადრეულ მოთხრობებზე რომლებზეც თვითონ მწერალი ერთგვარი მოკრძალებითაც კი ლაპარაკობს.

მოთხრობა „ობობა“ 1927 წელსაა დაწერილი: მწერალი გულისამაჩუყებლად გვიხატავს გონჯი მაწანწალის ცხოვრებას. მკითხველს სჯერა ამ მაწანწალასი, სჯერა მისი დარდისა და წუხილისა, რომელიც ცხოვრების ორომტრიალში ბედისა და უბედობის ჭიდილში წარმოშობილა. მის გონჯ სხეულში კეთილი და ძალიან სათუთი სულია. მაგრამ ამ სათუთმა და კეთილმა ბუნებამ იგი სასამართლოს კარზე მიიყვანა, და მას იმდენად სჯერა თავისი გულისა, რომ აქაც ვერ უთქვამს სიმართლე: მისთვის ეს სიმართლე წმინდათა წმინდაა, სიყვარულია, მაგრამ... ტრაგედიაა — იგი ხომ გონჯია და კუზიანი, მაშასადამე, არც სიყვარულს დაუჯერებენ. მას თითქოს ეშინია კიდეც თავისი გრძნობების გამხელისა — სიყვარულს მალვა უნდა და მასაც სათუთად და ღრმად შეუნახავს იგი გულის სიღრმეში.

ფსიქოლოგიური მომენტითაა გახსნილი მოთხრობის მეორე პერსონაჟის ჯუნო ბიჭის სახე. მას ერთადერთი და ჰყავს, და იმის შიშით, რომ იგი არავინ წაართვას, უკვე ფსიქიურადაც კი დაავადდა. ეს ამბავი ასე ზერელედ როდია აღწერილი მოთხრობაში. ჯუნოს დის— ალას საყვარელი მხატვარია, რომელმაც ალას საჩუქრად მოუტანა ტილო, რომელზედაც გამოსახული ყოფილა ობობას ქსელში გახვეული შიშველი ქალიშვილი (ალბათ, ალა) და... ობობა. ჯუნოს სულ ობობა ელანდება. ბიჭის სახე მოთხრობაში დამაჯერებელი და დრამატულია.

„აკანკალებული ჯუნო ზეწარაფარებულ სურათს მოათრევს.

— აი როგორ წაგვართვა ობობამ ალა! — ლუღლუღებს ბრაზმორეული გიჟი და სურათს ზეწარს ხსნის.

სურათზე მართლა ობობას ქსელია, ნაზად ნაქსოვი ხშირი ბადე. ამ ბადეში ქალის ტანია გახვეული. ბროლის ტანი ობობას ქსელს შემოუსალტავს. ქალს ნეტარებით თვალები მიულულავს და ტიტველ მკერდზე ჩამოშლილი თმა აბლაბუდაში ჩაჰხვევია. ზევით, კუთხეში, ობობა ზის თავის მშვენიერ სავარძელში და ხარბად დაჰყურებს მისთვის განკუთვნილ უმანკო მსხვერპლს.

აი ხედავ, როგორ წაგვართვა ობობამ ალა. დღეს კი ქორწილი აქვთ ალას და ობობას“...

„ობობას“ გმირთა ხასიათები და მხატვრული სამოსელი ფსიქოლოგიურ მომენტებზეა აგებული, რაც მოთხრობასა თუ მის ცალკეულ

მიხეილ მრევლიშვილი, „საბედისწერო მოსახვევი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

დეტალს დამაჯერებლობასა და მხატვრულ სიძლიერეს აძლევს.

ამასვე ვერ ვიტყვით მის ადრეულ მოთხრობაზე „შიში". თვითონ საკითხი აქ იმდენად სადაოდაა დასმული და გადაწყვეტილი, რომ პრინციპში მთელი მოთხრობის სიუჟეტი სადაო და გაუმართლებელია. ჩვენ, პირველყოველისა, მხედველობაში გვაქვს არტანელის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან გადაყენების საკითხი, კერძოდ, გადაყენების მიზეზი. არტანელი ენერგიული და მოწინავე თავმჯდომარეა. მისი ხელმძღვანელობით კოლმეურნეობაში, როგორც იტყვიან, ყველაფერი საათივით არის აწყობილი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არტანელი პირადი გამდიდრებისა და სახელისათვის როდი იბრძვის, იგი პატიოსანი კაცია, საქმის მოყვარე და ნამდვილი მამულიშვილი. მაგრამ ასეთ კაცს არ აპატიეს ძველი ცოდვა (იგი თურმე, თავის დროზე, ბატონთან მდგარა მოურავად) და თავმჯდომარეობიდან მოხსნეს:

„გათავდა არტანელო, შენი სიკეთეცა და კაი კაცობაც, ახლა ქურდივით უნდა გახვიდე, არტანელო, ბნელ ღამეში, რომ მეზობლებმა არა ნახონ დღის სინათლეზე შენი ვაჟკაცობა. მოკვდა, არტანელო, ამაგიცა და შრომაც ამ ყანაევნახში ჩათესილი. მოკვდა სიკეთე შენი ხელით ნაამაგარი და ნათეს-მოვლილი".

ბუნებრივია, იბადება კითხვა: სიკეთის მთესველი მშრომელი კაცი როგორ გაიმეტა ასე ხალხმა? პარტიამ? უფრო სწორად — მწერალმა? ჩვენ გვესმის, რომ ცხოვრებაში ასეთი შემთხვევები თავის დროზე მართლაც ხდებოდა, მაგრამ „ცალკეული შემთხვევების" განზოგადება და ლიტერატურულ ფაქტად ქცევა (თუ მათ ბუნებრივი შინაგანი ლოგიკა და დამაჯერებლობა არა აქვთ), მეტ გაღრმავებას და დამაჯერებლობას მოითხოვს.

კრებულის ყველაზე ვრცელი მოთხრობაა „ხარატაანთ კერა". ამ მოთხრობას ქართველი მკითხველი კარგად იცნობს, და ზედმეტი იქნებოდა ახლა ვრცლად და დაწვრილებით გველაპარაკა მასზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ „ხარატაანთ კერამ" სამართლიანად დაიმსახურა საყოველთაო მოწონება. მასში ომის სუნთქვაც ტრიალებს და მშვიდობიანი შრომის ფერხულიც. მიხეილ მრევლიშვილმა აკმია ხუცურაულის სახით საინტერესო პიროვნება გაგვაცნო— კაცი ხელმძღვანელი, ადამიანი მთელი თავისი ბუნებრივი ავკარგით, ჩვეულებრივი მიწიერი ადამიანი...

ოსტატის ხელითაა დაწერილი მოთხრობა „საფრთხობელა". რთული, მაგრამ ძუნწად გამოძერწილი სახეა ამ მოთხრობის პერსონაჟი ტანტალა. იგი გაიძვერა, გაქნილი და ყალთაბანდი კაცია. ირგვლივ უკვე ავტომანქანები დარბიან, მაგრამ ტანტალა რაღაც მაქინაციებით (ვითომდა ნერგების გადასაზიდად, სინამდვილეში კი პირადი ინტერესებისათვის) ძველ ეტლს დაახრიგინებს. ფარულად უკვე აქედანვე იგრძნობა ტანტალას ხასიათი და მიზნები, რაც თანდათანობითა და ზედმიწევნით ლოგიკური სიმართლით ვლინდება ფაქტებში, მოთხრობის შემდგომ დეტალებში.

ტანტალა მამინაცვალია. მას სურს, საკუთარი ზრახვებისათვის გასწიროს თავისი გერის — თეონას პატიოსნება. ამ მიზნით დაუახლოვდა იგი ავთანდილს. სიახლოვემ თავისი გაიტანა და ქალს გულწრფელად და ალალად შეუყვარდა ვაჟი. ამ გრძნობას იგი არსად არ ამხელს და, ალბათ, არც გაამხელდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ავთანდილს ტანტალას ზრახვები არ ამოეცნო:

„აი თურმე სადა გრეხდა ტანტალა თოკს, საშინელი შეურაცხყოფა იგრძნო (ავთანდილმა —ი. ქ.) მკაცრად შეხედა ჩაფერფლილ თეონას. წუთში მოაგონდა ქალის მონური მორჩილება, სახლში სტუმრად მიპატიჟება, წუხანდელი უტიფარი გამოცხადება, დღევანდელი ჯიქური ქცევა. მძაფრმა ეჭვმა გულს მარწუხივით მოუჭირა".

ეს სიტყვები რომ ავთანდილს თავიდანვე ეთქვა, მაშინ მკითხველი, ალბათ, დაეჭვდებოდა თეონას პატიოსნებაში, მაგრამ თეონა უეშმაკოა, უმანკო, მამინაცვლის მორჩილი და დამყოლი... მას შეუყვარდა და იგი მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულისათვის აგებს პასუხს. მისი სიყვარული წმინდაა, და მას ახლა სულ სხვაგვარი მოპყრობა უნდა. და აი, უნებლიედ, ტანტალასათვის მოქნეული ჯოხი მასზე გადატყდა:

„— სილამაზე თვალთმაქცობის ფარად იხმარო, კარგია ვითომ? — ყრუდ დასძინა მან (ავთანდილმა — ი. ქ.) და თანამგზავრს გაშორდა".

შეურაცხყოფილი თეონა სამსახურში (სადაც ავთანდილია უფროსი) განცხადებას წერს გათავისუფლების თაობაზე. მას სიამაყითა და უცნობი ადამიანის იერით შეაქვს განცხადება ავთანდილთან, პასუხსაც არ ელოდება, ისე გაბრუნდება უკან.

მაგრამ ავთანდილს უყვარს თეონა, მათი სიყვარულის გზა ახლა იწყება. ეს გზა ვარდებით არაა მოფენილი, მასზე ბინდივით ჩანს ეველი ეტლი და კოფოზე ლანდად მოქანავე ტანტალა. იგი ახლა აღარავის ახსოვს.

მწერალმა მოხუცის თავისებური და საინტერესო სახე დაგვიხატა „იონა ოსტატში". იონა თავის დროზე განთქმული დურგალი ყოფილა. მან თავისი ხელობა საკუთარ ერთადერთ ვაჟსაც შეასწავლა. მოხუცს მიაჩნია, რომ მარტო გვარს კი არა, ტრადიციასაც — მამა-პაპათა ნიჭსა და სახელსაც გაგრძელება და მოვლა უნდა. მაგრამ... მოხდა უბედურება და ოსტატის ერთადერთი შვილი ფრონტზე დაიღუპა. იონა მოტყდა, იონამ ინტერესი დაჰკარგა, იგი ძველი იონა აღარაა. იგი აქამდე ორი კაცი იყო: მამა და ოსტატი — თავის ხელობაზე

ღრმად შეყვარებული კაცი. ახლა კი ორივე იონას შეეკვეცა ფრთები, ორივემ დაჰკარგა მემკვიდრე: მამამ — შვილი, ოსტატმა კი — შეგირდი. მოხუცს მაინც შემორჩენია იმედის ნაპერწკალი. მას ჰყავს შვილიშვილი, მაგრამ კოლექტივმა თოთხმეტი წლის უჩა თბილისის ერთერთ სახელოსნო სასწავლებელში ვაგზავნი.

„— აღარ მენდობიან თვარა, თუ ხელობაზე მიდგება საქმე, ჩემზე უკეთ ვინ ასწავლიდა იმ ბიჭს ხელობას!“ — ფიქრობს განაწყენებული იონა. მოხუცმა ოსტატმა საბოლოოდ დაჰკარგა იმედი, რომ თავის შთამომავალს გადასცემდა ხელობას. ღრმა ადამიანური ტკივილია მის სიტყვებში — აღარ მენდობიანო. გამოცდილი ოსტატის იმედგაცრუებას ეჭვიც დაემატა, ეჭვი საკუთარი თავის მიმართ.

ამ მოთხრობაში ლოგიკურად ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ორი ცხოვრება — ძველი და ახალი. მაგრამ ეს დაპირისპირება მწერალს კონკრეტულ განზოგადოებამდე არ მიჰყავს; პირიქით, მოთხრობის ბოლო გვერდები იმაზე მეტყველებენ, რომ ცხოვრებას, დღევანდელობას სჭირდება როგორც ძველი, ასევე ახალი ადამიანის ხელი, ერთობლივი შრომა...

ყველაფერ ამაზე მწერალი დიდი დამაჯერებლობითა და ტაქტით წერს, მაგრამ ბაბუის (იონა ოსტატის) სახელოსნო სასწავლებელში მიწვევა (იქ, სადაც მისი შვილიშვილი სწავლობს), ცოტა არ იყოს, მაინც ხელოვნურია და თუ იონა ოსტატის ხასიათიდან გამოვალთ, არც ფსიქოლოგიურადაა სწორი.

ღრმა ფსიქოლოგიური მოთხრობაა „მწუხრის სიმღერა“. იგი ჭეშმარიტი ხელოვანის თვალითაა დანახული. მუდამ მშვენიერების მაძიებელი მხატვრის თვალი მშვენიერებას არასოდეს უყურებდა და აღიქვამდა, როგორც ხორციელ არსებას. მისთვის მშვენიერება — ბოლოდ ხელოვნებაა. ბოლოს თვით ხელოვანაც მიხვდა, რომ არც მას უყურებდნენ როგორც ხორციელს. მაგრამ უკვე გვიანაა, მას აღარც ახალგაზრდობის დაბრუნება შეუძლია და აღარც იმის უფლება აქვს, რომ ხორციელ ვნებებს აჰყვეს. მისი სულის აფორიაქება კი საკუთარი ჭაღარით გამოწვეული ეჭვის გაღვიძებასღა ჰგავს.

„საბედისწერო მოსახვევი“ მიხეილ მრევლიშვილის ბოლოდროინდელი ნაწარმოებია. მწერალი ამ ნაწარმოებში ეხება თანამედროვე ახალგაზრდობის, კერძოდ — სტუდენტობის ცხოვრებას. სიყვარული და მეგობრობა — ეს ორი მარად ძველი და მარად ახალი მოტივი ზგას ამ მოთხრობის ცენტრში.

მწერლის ეს ნაწარმოები იმდენ საინტერესო კითხვას აღძრავს, რომ მასზე აქ მოკლედ შეჩერება გაუმართლებლად მიგვაჩნია, იგი ცალკე საფუძვლიან განხილვას მოითხოვს, რადგან ნაწარმოების კარგიცა და ავიც საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

კრებულის ბოლოს დართულია „თბილისური ნოველები“. ეს ციკლი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ექვსი ნოველისაგან შედგება. ისინი საინტერესონი არიან, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით, იგავისათვის დამახასიათებელი ცხოვრებისეული სიბრძნითა და მორალით, თავისებური სიმბოლოებით. მიხეილ მრევლიშვილი წერს მდიდარი, დარბაისლური ქართული ენით, რაც ყველაზე მეტად „თბილისური ნოველების“ კითხვისას იგრძნობა.

ᲘᲝᲠᲐᲛ ᲥᲔᲛᲔᲠᲗᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

ნოდარ შამანაძე ერთ ლექსში ასე ამბობს: „როგორც კრავი ათას ცხვარში ეძებს თავის დედას, ასე ვეძებ სიტყვას ფრთაშლილს, ფეროვანს და მედგარს“. თუ დაკვირვებით გადავიკითხავთ ნ. შამანაძის ლექსების კრებულს „სულმა სულში ჩაიხედა“, დავრწმუნდებით, რომ პოეტი აღწევს გარკვეულ მხატვრულ ეფექტს, ზოგჯერ ახერხებს სასურველი სიტყვების პოვნას.

ნ. შამანაძის ლექსები, უწინარეს ყოვლისა, მკითხველის ყურადღებას იქცევენ თემატიური სიახლით და მრავალფეროვნებით, კოლორიტული მხატვრული სახეებით და ხალხური მოტივების მოხერხებული გამოყენებით. ნ. შამანაძის ლირიკაში უპირატესად გვიზიდავს ლაღი თხრობა, სტრიქონის აზრობრივი დატვირთვა, ბუნებრივი ქართული ენა და თავისუფალი პოეტური სუნთქვა.

მისი პოეტური გააზრება ბევრ შემთხვევაში ორიგინალურია და სიახლის შემცველი.

ნ. შამანაძის ლექსი ლირიკულია, მაგრამ მასში შეინიშნება დიდი მისწრაფება ამბისადმი. მას უყვარს ცხოვრებისეული ფაქტის პოეტურ ფაქტად გადაქცევა და მხატვრული განზოგადება. ახალგაზრდა შემოქმედს კარგად ეხერხება ამბის პოეტური დასრულება, თავის დროზე წერტილის დასმა.

იგი ლექსის შინაარსს ამდიდრებს ყოფაცხოვრებითი დეტალებით, იშველიებს ხალხურ გამოთქმებს, მოტივებს მაგრამ ყოველთვის პოეტურ ქურაში ატარებს და თავისებურად წარმოგვიდგენს. პოეტის თავისებური ახალი შედარებანი, ეპიტეტები, მიმართვები გვეხმარებიან იდეის ათ-

---

ნ. შამანაძე, „სულმა სულში ჩაიხედა“, „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1964.

ვისებაში. ჩვენი თვალწარმტაცი პეიზაჟებიც კი ადამიანის სულიერი განწყობილების გამოხატვის საშუალებად აქვს მოხმობილი, რაც იშვიათად ატარებს თვითმიზნურ ხასიათს. შემთხვევითი ოდია, რომ ბუნების წიაღში განმარტოებული და მისი მშვენიერებით მოხიბლული პოეტი ამბობს: შენ გამახსენდი ადამიანო. ამ ლექსთა კრებულს წითელ ზოლად გასდევს ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა.

ნ. შამანაძე გულწრფელი სტრიქონებით უმღერის ჩვენი ახალგაზრდა თაობის შემოქმედებითი შრომის პათოსს, სიყვარულს, მაღალ მორალურ თვისებებს, ოჯახის ზნეობრივ სიწმინდეს, საბჭოთა სამშობლოს ღრმა პატრიოტიზმსა და მოქალაქეობრივი მოვალეობის უზადო გრძნობას. მისი ლირიკული გმირი თავს დასტრიალებს სახალხო საქმეს, მისი მოქმედება სანიმუშოა და მისაბაძი. პოეტს შესწევს უნარი რომანტიკული სურათები გვიჩვენოს ნათელი ფერებით, იმეტყველოს მდიდარი, პოეტური ენით. კარგი ლექსია „ლხინი თუშებთან". ამ ლექსში ჩვენი ბუნების სიდიადე გამოყენებულია ფონად, რაც ნაწარმოების იდეის გახსნას ემსახურება, ცენტრში ადამიანია დაყენებული, რომელიც თითქოს შეზრდია საყვარელ მთებს. განახლებული მთათუშეთის პეიზაჟებს, მის ახალ, საბჭოთა ადამიანს.

სარეცენზიო კრებულის ლექსთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენს მშობლიურ საქართველოს და მის მამულიშვილებს ეძღვნება. ამ თემაზე უამრავი ნაწარმოები შექმნილა. ამიტომ ძნელია პოეტი აცდეს ტრაფარეტს. ნ. შამანაძე არც თუ იშვიათად ახერხებს თემისადმი ორიგინალურ მიდგომას, აზრის ახლებურად გადაწყვეტას. იგი მიმართავს ცრუპატრიოტებს, რომელთაც სამშობლო მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა ბახუსით შუბლი უხურთ.

ნუ იმეორებ რიხით, ხმაურით,
ღვინო რომ ყანწში ცეცხლს გინთებს
უქრობს, —
მამული მიყვარს, მიყვარს მამული
ყველაზე უფრო, ჩემს თავზე უფრო...

ავტორი კანონიერი სიამაყის გრძნობას განიცდის ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის მშობლიურ ადგილებში გავლისას და სიამით ევსება გული. ამ დიდ ადამიანთა გახსენებით პოეტი მკითხველის გულს აღანთებს ჩვენს დიად აწმყოსა და მომავლის ოპტიმიზმის სულისკვეთებით. კრებულში საკმაო ადგილი უჭირავს აგრეთვე სოფლის თემაზე დაწერილ ლექსებს. პოეტი ცდილობს თემა ახალი კუთხით, საკუთარი თვალით დაინახოს, სურათი მიმზიდველად დაგვისატოს. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსი „სოფლის გზაზე". მიაბიჯებს პოეტი ორორბეში და უხარია, რომ ჩვენს დიად ეპოქაში, სოციალიზმის თავისუფალ ქვეყანაში ყოველი ოჯახიდან დიდი სიცოცხლის ხმაური ესმის. ლექსში ერთი სიტყვაც არაა ბავშვის დანახვით გამოწვეულ სიხარულზე, მაგრამ ყოველივე კარგად იგრძნობა. პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით, განცდის უშუალოებით და სათქმელის სიახლით გვხიბლავენ სხვა ლექსებიც: „ამირანის ანდერძი", „სად გეძახდნენ", „დიკლოს სანახებში", „ხალხი", „მოლოდინი", „საპაექრო", „ყვირილას გახსენება", „შენ რომ გხედავ", „მამა". ამ ლექსებში გვხვდება საინტერესო, რეალისტური მხატვრული სახეები, მაგალითად, „ქარაფს ყაყაჩო დაუსვამს მუხლზე და შეუმოსავს წითელ ფარჩითა", „ცეცხლის კევრივით ტრიალებს მზე და სხივებს ხორბალივით ანიავებს", „ქუჩა ქალაქის ძარღვია ფართო, ხალხი უშრეტი სისხლია მისი", „მესხის მიწაზე შესული მივღიღინებდი მესხურად, სხივი ვისხივე მესხური, ციური ცვარი მესხურა" და სხვა.

მიუხედავად საერთოდ პოეტის კარგი ქართულისა, კრებულში მაინც შეგხვდებათ ისეთი ლექსები, რომლებიც ხასიათდებიან ბუნდოვანებით, პრიმიტიულობით, ზედმეტი ტავტოლოგიური გამოთქმებით, ზოგჯერ უაზრობითაც კი. პოეტს კრებულში შეუტანია ლექსი „გომეწრის ხეობაში". ამ ლექსში ნ. შამანაძემ ულალატა თავის პოეტურ ტრადიციას და დაადგა მსჯელობის, აღწერის გზას, გააღარიბა შინაარსი, მხატვრულ ოსტატობაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. მხოლოდ ერთი მაგალითი, „იმგვარი სიჩუმეა, ბუზის ხმაც შეგაწუხებს, მაგრამ ამ სიმაღლეზე რა უნდა ბუზს". ბუნდოვანი და არაფრის მთქმელია აგრეთვე ლექსები „შავმა ღამემ, ბნელმა ღამემ, დედაბერმა შავკაბამ" „მზე დილაზე სხივთა ისრით", „ეს ფარსმის მთა რა მთა არის" და სხვა.

კრებულში გვხვდება აგრეთვე პროზაული სტრიქონები, აზრობრივი უზუსტობანი, გაუგებარი გამოთქმები, სასურველია პოეტმა უფრო მეტი იმუშაოს ლექსის ყოველი სტრიქონის დახვეწაზე, თორემ ასეთი სტრიქონები „დე აჭრელდეს დალახტული წვიმები", „არ მივრბოდი ოჩნადა", და სხვა კრებულს არაფერს მატებს.

ახალგაზრდა პოეტმა, ნ. შამანაძემ, როგორც ზევით შევნიშნეთ, თვითონვე გვაუწყა, „სიტყვას ვეძებო". იგი ბეჯითი და შრომისმოყვარე შემოქმედია, გვჯერა, ვინც ეძებს ის კიდევაც იპოვნის!

ბ. ლოგვინაძე.

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“